

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

არნ. ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

Iv. Javakhishvili Tbilisi State University
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ქართველურ ენათა სტრუქტურის
საკითხები

XV

Issues of the Structure of Kartvelian
Languages

ედღვნება იოსებ ყიფშიძის ხსოვნას

თბილისი 2020 Tbilisi

მთავარი რედაქტორი

გიორგი გოგოლაშვილი

Editor-in-Chief

Giorgi Gogolashvili

სარედაქციო კოლეგია

ავთანდილ არაბული
ლელა გიგლემიანი (სწავლული მდივანი)
ნანა მაჭავარიანი
მურმან სუხიშვილი
ვაჟა შენგელია
იზა ჩანტლაძე
მერაბ ჩუხუა
გიორგი ცოცანიძე

Editorial Board

Avtandil Arabuli
Iela Giglemiani (scientific secretary)
Nana Machavariani
Murman Sukhishvili
Vazha Shengelia
Iza Chantladze
Merab Chukhua
Giorgi Tsotsanidze

მ ი ს ა მ ა რ თ ი :

0108 თბილისი, ინგოროყვას ქ.8
არნ. ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

A d d r e s s :

0108, 8 Ingorokva Str., Tbilisi
Arn. Chikobava Institute
of Linguistics

E-mail: contact@ice.ge

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arnold Chikobava Institute of Linguistics

ISBN

გიორგი გოგოლაშვილი

„თავგანწირული მოღვაწე უნივერსიტეტისათვის“
(ოსებ ყიფშიძის გარდაცვალებიდან 100 წლისთავის გამო)

საუკუნის წინათ, 1919 წლის 21 თებერვალს, მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა ოსებ ყიფშიძე – ტფილისის უნივერსიტეტის პროფესორი... ახლადდაარსებულ უნივერსიტეტში მესამე სასწავლო სემესტრი იდგა...

სათაურად გამოტანილი ფრაზა – ეს არის ფრაგმენტი იმ სიტყვიდან, **ექვთიმე თაყაიშვილმა** რომ უთხრა პროფესორ **ოსებ ყიფშიძეს**. დიდმა ექვთიმემ იმ სიტყვაში ესეც უთხრა უდროოდ დაღუპულ მოღვაწეს: „**შენში ვგლოვობთ ჩვენ ჩვენს თავს, ჩვენ უნივერსიტეტსო**“... ამ სიტყვის ერთ ნაწილს აქვე, საუბრის დასასრულს შემოგთავაზებთ. დიახ, ეს თქვა უფროსმა კოლეგამ უმცროს მეგობარზე, რომელსაც „**თავისი მაღალი მეცნიერული კიბე მაშინ ჩაენგრა, როცა მარტოდენ პირველი საფეხურები ჰქონდა ავლილი... ეს მთელი ჩვენი ეროვნული კულტურის უმძიმესი დანაკლისი იყო**“ (ს. ჯორბენაძე). დიდი ექვთიმეს სიტყვა თუ ახლადგაჭრილ სამარესთან ითქვა, ეს უკანასკნელი შეფასება ათეული წლების შემდეგ გაკეთდა. აზრი ერთია: „**ოსებ ყიფშიძის სახით ქართველმა ხალხმა დაკარგა საუკეთესო შვილი, ქართულმა უნივერსიტეტმა – ნიჭიერი პროფესორი, ქართულმა ენათმეცნიერებამ – დიდი იმედი, მშობლებმა და ცოლ-შვილმა ოჯახის ბურჯი და ამხანაგებმა – ტკბილი მეგობარი**“ (ა. შანიძე). თუ ვინმემ იცოდა ფასი ი. ყიფშიძისა, იცოდა აკაკი შანიძემ...

დიახ, ეს მოხდა 1919 წლის 21 თებერვალს... მაშინ ოსებ ყიფშიძე მხოლოდ 35 წლისა იყო...

* * *

ოსებ ყიფშიძე ქართულმა საზოგადოებამ, უპირველეს ყოვლისა, დაიტირა როგორც ერთ-ერთი დამაარსებელი ქართული უნივერსიტეტისა. ამიტომ უთხრა დიდმა ქართველმა – შენში ჩვენს უნივერსიტეტს ვგლოვობთო.

ქართული უნივერსიტეტის დაარსების საინიციატივო კომიტეტი უნივერსიტეტის გახსნისათვის ემზადებოდა... 1918 წლის 23 იანვარს პროფესორთა საბჭომ ჩაატარა არჩევნები. ამონაწერი საბჭოს სხდომის ოქმიდან:

„განაჩენი: ერთხმად არჩეულ იქნენ:

- ა) **რექტორად** დამსახურებული პროფესორი **პეტრე მელიქიშვილი**;

ბ) სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის **დეკანად** პროფესორი **ივანე ჯავახიშვილი**.

გ) პროფესორთა **საბჭოს მდივნად** პროფესორი **ოსებ ყიფშიძე**
(„პროფესორთა საბჭოს ოქმები, 1917-1926“, თბ, 2006, გვ. 95).

ასე რომ,

ოსებ ყიფშიძე მესამე პირია ქართული უნივერსტეტისა.

უნივერსტეტს იმჟამად არ ჰყავდა პრორექტორი – ი. ყიფშიძე არის ფაქტობრივ მოადგილე რექტორისა.

ი. ყიფშიძე არის მოადგილე სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანისა (ივანე ჯავახიშვილისა);

ი. ყიფშიძე არის ქართული ენის კათედრის გამგე.

კ. დანელიას თქმით, „თვითმხილველნი ირწმუნებიან: როცა ის საუნივერსტეტო საქმეებს ასრულებდა, მისთვის არავითარი დადლილობა, უძილობა, სიცივე და შიმშილობა აღარ არსებობდა, ამასთან ერთად არავითარ შავ სამუშაოს არ ერიდებოდა, ხშირად, ძალიან ხშირად, რომ საქმე არ გაჭიანურებულიყო, საბარგო ეტლებზე და ავტომობილებზეც კი იჯდა ხოლმე და შოფერ-მეეტლეებთან ერთად მოაქანებდა უნივერსტეტის შენობისკენ საჭირო ავეჯს და მოწყობილობას მთავრობის მიერ გაუქმებულ სხვადასხვა დაწესებულებებიდან“ (კ. დანელია, უკვდავება მეცნიერის ღვაწლისა: ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ. 1994).

ვინც იცის ისტორია ქართული უნივერსტეტის დაარსებისა, მოყოლებული 1907 წელს პეტერბურგის უნივერსტეტში ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის დაარსებიდან 1918 წლის 26 იანვრამდე (უნივერსტეტის გახსნის დღემდე) და შემდეგ, დაგვერწმუნება: **ოსებ ყიფშიძე იყო მარჯვენა ხელი ივანე ჯავახიშვილისა ამ დიდ ეროვნულ საქმეში; კაცი, რომელმაც ყველაზე მძიმე ტვირთი ზიდა ივანე ჯავახიშვილის შემდეგ...**

* * *

ოსებ ყიფშიძეს პეტერბურგში დიდ კარიერას უწინასწარმეტყველებდენ. 1914 წლის 23 ნოემბერს მას მიენიჭა ქართული ფილოლოგიის მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი კაპიტალური მონოგრაფისათვის „მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკა“. ჩავიკითხოთ მცირე ფრანგმენტი ოფიციალური ოპონენტის – ნიკო მარის – რეცენზიიდან: „აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტმა მის ავტორს მიანიჭა ქართული სიტყვიერების მაგისტრის ხარისხი. მაგრამ თუ ის წარდგენილი იქნებოდა ქართული ფილოლოგიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, მის ავტორს ისევ დამშვიდებული სინდისით შეიძლებოდა მინიჭებოდა უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი, როგორც ახლა მე ვთვლი მას საცხებით ღირსად ქართული ფილოლოგიის მაგისტრის წოდებისა“... 30 წლის ახალგაზრდას პრივატ-დოცენტის წოდებას აძლევენ და საპასუხისმგებლო საუნივერსიტეტო კურსების კითხვას ავალებენ, მაგრამ... იგი ტოვებს პეტერბურგს, იქაურ მომხიბვლელ კარიერას და 1917 წლიდან საკმაოდ რისკიან ნაბიჯს დგამს – ჩამოდის თბილისში და ი. ჯავახიშვილის გვერდით დგე-

ბა, მუხლჩაუხრელად იბრძვის უნივერსტეტის დაარსებისათვის... რისკი-ანს იმდენად, რამდენადაც იმჟამად პერსპექტივა ქართული უნივერსტეტისა ბევრს ეეჭვებოდა; ბევრიც ხელს უშლიდა...

მისი ღვაწლის შესახებ ქართული მეცნიერების წინაშე არაერთგზის ითქვა და ითქმება კიდევ. მე მხოლოდ ერთს ვიტყვი: რომ შეიძლებოდა, აიწონოს ღვაწლი იოსებ ყიფშიძისა, ერთი მხრივ, როგორც მეცნიერისა და, მეორე მხრივ, როგორც მოღვაწისა, ალბათ შედეგი თანაბარი იქნება:

**იოსებ ყიფშიძე იყო ჭეშმარიტად დიდი მოღვაწე და
იოსებ ყიფშიძე იყო ჭეშმარიტად დიდი მეცნიერი.**

1976 წლის 20 ნოემბერს „საენათმეცნიერო საუბრების“ საჯარო სხდომა მიემდვნა იოსებ ყიფშიძის დაბადებიდან 90 წლისთავს. მომხსენებლები იყვნენ აკაკი შანიძე და არნოლდ ჩიქობავა. იმ სხდომაზე ბრძანა **არნოლდ ჩიქობავამ: „იოსებ ყიფშიძეს რომ ეცოცხლა, ის ენერგია, რაც გართულბულმა ურთიერთობებმა შეიწირა, საკმის მოხმარდებოდაო“**. ქართულმა საენათმეცნიერო საზოგადოებამ იცის, რა გართულბულ ურთიერთობებზეა საუბარი და ისიც, ამ ურთიერთობებმა რა ენერგია შეიწირა. მკვეთრად გამოკვეთილი ორი საენათმეცნიერო სკოლის დაპირისპირება ფაქტია; არ იყო ეს პიროვნული დაპირისპირება – მას წმინდა მეცნიერული ხასიათი ჰქონდა და სწორედ ამან შეიწირა დიდი ენერგია... სხვა რომ არა იყოს, აკაკი შანიძეს მონაწილეობა არ მიუღია ისეთ დიდ ეროვნულ საქმეში, როგორცაა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენა... და სწორედ აკაკი შანიძის თანდასწრებით თქმა იმისა, რაც მოგახსენეთ, არნოლდ ჩიქობავას მიერ – ეს იყო უდავო აღიარება ამ კლასიკოსთაგან იოსებ ყიფშიძისა, როგორც მეცნიერისა და პიროვნებისა...

იოსებ ყიფშიძე იყო უნიკალური მოვლენა ქართულ ენათმეცნიერებაში.

ზემოიძვრეთში, სოფელ რგანში (ჭიათურა) დაბადებული და ქუთაისში განსწავლული ყმაწვილი პეტერბურგიდან 1909-1912 წლებში ოთხჯერ იყო მივილინებული სამეგრელოსა და ლაზეთში მეგრულ-ლაზური ენის შესასწავლად. ერთი მეორეზე მან სამეგრელოში ამ ოთხი წლის განმავლობაში ექვს თვემდე დაყო, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ მას ბრწყინვალედ შეესწავლა მეგრული და შეექმნა უნიკალური წიგნი „მეგრული ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონით“ (გამოქვეყნდა 1914 წელს; ი. ყიფშიძე ამ დროს 29 წლისაა... წიგნი ხელმეორედ გამოსცა კ. დანელიამ 1994 წელს – „ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი“).

იოსებ ყიფშიძემ ასევე ბრწყინვალედ შეისწავლა ჭანური. 1911 წელს გამოაქვეყნა „დამატებითი ცნობები ჭანური ენის შესახებ“. ი. ყიფშიძე ამ დროს 26 წლისაა (მოგვიანებით მის მიერ ჩაწერილი ტექსტები დაბეჭდა არნ. ჩიქობავამ)...

როგორც ჩანს, 1917 წლის ზაფხულში ი. ყიფშიძე კვლავ მივლინებაშია ლაზეთში: ამ მოგზაურობის შესახებ საინტერესოა დ. კლდიაშვილის მოგონება. მოგეხსენებათ დავითი, როგორც სამხედრო პირი, რუსეთის არმიის ოფიცერი იყო და პირველი მსოფლიო ომის გამო იმჟამად თადარიგში მყოფი გაწვეული იქნა მოქმედ არმიაში. თავის „მემუარებში“ ლაზეთში გატარებულ პერიოდსაც აღწერს მწერალი და, ცხადია, იოსებ ყიფშიძესთან შეხვედრაც არ გამოორჩენია.

დ. კლდიაშვილის მოგონება იმითაცაა მნიშვნელოვანი, იქ ი. ყიფშიძე წარმოჩენილია, როგორც დიდებული მცოდნე ჭანურის კილოკავებისა, ნამდვილი პროფესიონალი და უბადლო პიროვნება. ჩავიკითხავთ ამ მოგონებას: მოქმედება პირონიტში (ლაზური დასახელება) ხდება:

„მაცნობეს, ვიღაც თქვენ გკითხულობთო. გამოვედი ოთახიდან; ჩემს წინ იოსებ ყიფშიძეა, მოგზაურის ტანისამოსში; ზურგზე პატარა ჩანთა, ხელში კოლოფი.

– იოსებ! – მივაძახე გაკვირვებულმა, – იოსებ, საიდან, რამ გადმოგაგდო აქ?!

იგი მოვიდა სოფელ ვიწედან ფეხით – სამგზავრო ტვირთის მზიდავის პატოსიას თანხლებით. იგი მოგზაურობდა ლაზისტანში ჭანურ-მეგრულის შესწავლის მიზნით. მთხოვა მომეხმო ადგილობრივი მცხოვრებნი, რომ მათგან ჩაეწერა ხალხური ლექსები, ზღაპრები და თხზულებები. მოვიხმე თავდაპირველად მოხუცი მუსტაფა. მუსტაფას ხან ქართულად, ხან მეგრულად გამოელაპარაკა, გულიანი მუსაიფი გააბეს, მაგრამ როცა იოსებმა იწყო წერა, მუსტაფა რაღაც შიშს მიეცა, ჩაჩუმდა და ითხოვა განთავისუფლება – ავად შევიქენიო. მოხუცებულს შიში შეეპარა, არაფერ სახიფათოში გაებათ და ვერასგზით წინანდელ ხალისზე ვერ მოვიყვანეთ. გავსწიეთ ზღვის ნაპირზე დუქნებისაკენ: აქ გამოვატანიე მაგიდა, დავაჯინე იოსები, შემოუსხი ლაზები და გაიმართა საუბარი. ლაზები გაკვირვებას იყვნენ ყიფშიძის ლაზური კილოკავების ზედმიწევნით ცოდნით: თქვენ, პირონიტელები, ასე ხმარობთ ამ სიტყვას, არხავებმა ასე იციან, ვიწები ასე ამზობენ, სოფლები კი ამგვარად გამოთქვამენ. შეყრილი ხალხი ისე დაინტერესდა, ისე ჩაიყოლა, შეახალისა, რომ პირდაპირ საყურებელი რამ სურათი იყო:

– გატაცებული მეცნიერი ამოდრავებულ ხალხს შორის. მეორე დღეს ყიფშიძე შევაჯინე ცხენზე, გავაყოლე კაცი და გავამგზავრე, როგორც მას უნდოდა, ხოფაში, კვლევის გასაგრძელებლად. თან წერილი გაუგზავნე ჩემს კარგ მეგობრებს კეჯან-ოღლებს და ომერიაზაკ-ოღლებს, რომ ხელი შეეწყოთ იოსებისთვის, ხოფაში და მის მიდამოებში. ყიფშიძე ერთი კვირა დარჩა, გაფაცვიცებული მუშაობდა და დიდი პატივისცემა მოიპოვა მაცხოვრებლებში“ (დ. კლდიაშვილი, თხზულებანი, ტ. II, 1981.)

კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა...

აი, ეს კაცი 35 წლის ასაკში გამოეცალა ქართულ მეცნიერებას, ქართულ უნივერსიტეტს. იცის ფასი იოსებ ყიფშიძისა მისგანვე დაარსე-

ბულმა უნივერსტეტმა და ცდილობს ღირსი პატივი მიაგოს თავის უდროოდ გამოცლილ ბურჯს. ამ ფაქტზე ყურადღებას ვამახვილებთ თუნდაც იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, შემდგომში იოსებ ყიფშიძე თითქოსდა მიივიწყა ქართულმა უნივერსტეტმა... ამ საკითხს ქვემოთ დავუბრუნდებით...

* * *

ზემოთ ვთქვი, ახალგაზსნილი უნივერსტეტი შემღებისდაგვარად ცდილობდა ღირსი პატივი მიეგო უდროოდ გარდაცვლილი დიდი მოღვაწისადმი, პროფესორთა საბჭოს ძუნწი ოქმები საკმაო ცნობებს გვაწვდიან ამის თაობაზე. მოვიყვანთ ცალკეულ ადგილებს პროფესორთა საბჭოს დღიურებიდან.

პროფესორთა საბჭოს სხდომის დღიური №26. 8 მარტი, 1919წ.

„2. განსახილველი საკითხი: პროფ. იოსებ ყიფშიძის ავადმყოფობისა და გარდაცვალების გამო გაწეული ხარჯების დამტკიცება.

განაჩენი: პროფ. ი. ყიფშიძის ავადმყოფობის (5000მ.) და გარდაცვალების გამო (5917მ. 50კ.) გაწეული ხარჯები, სულ ათიათას ცხრას ჩვიდმეტი მანეთი და ათი შაური დაუმტკიცდეს. ეს ხარჯი დაიფაროს მოულოდნელი ხარჯების მუხლიდან.

3. განსახილველი საგანი: განსვენებული პროფესორის ი. ყიფშიძის ოჯახის უზრუნველყოფა მომავალში.

განაჩენი. თ) მიეცეს განსვენებულის მეუღლეს ევგენია ყიფშიძისას, თვიური სარგო პროფესორისა 1919 წლის დამლევამდე.

თანხა ამისათვის გაღებულ იქნას მოულოდნელი ხარჯების მუხლიდან.

ბ) აღიძრეს შუამდგომლობა განათლების სამინისტროს წინაშე, რათა განსვენებულის ობლად დარჩენილ ბავშვს გიორგის დაენიშნოს სტიპენდია, ან მიეცეს დაკმარება ყოველთვიური.

4. განსახილველი საგანი: პროფ. ი. ყიფშიძის სახელობის ფონდის დაარსება.

განაჩენი: დაარსდეს უნივერსტეტში პროფ. იოსებ ყიფშიძის სახელობის ფონდი.

საფუძვლად დაედოს მას განსვენებულის მშობლების მიერ გვირგვინის ნაცვლად უნივერსიტეტისთვის შემოწირული სამასი მანეთი. ამავე მიზნისთვის გადაიდოს პროფესორ-ლექტორ-ასისტენტთა თვიური სარგოდან სამ-სამი პროცენტი ერთი წლის განმავლობაში.

განსახილველი საგანი: განსვ. პროფ. იოსებ ყიფშიძის სურათის ჩამოკიდება საპროფესორო დარბაზში.

განაჩენი: საპროფესორო დარბაზში დაიკიდოს განსვენებულის სურათი.

9. განსახილველი საგანი: უნივერსტეტის შენობის დეზინფექცია.

ეს საკითხი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ იყო რამდენიმე შემთხვევა გადამდები სენისა პროფესორთა და სტუდენტებს შორის. მაგალ. პროფ ი. ყიფშიძე იმსხვერპლა შავმა სახადმა, იგივე სენი სჭირ-

და პროფ. გ. ახვლედიანს. ლექტორი ა. ხარაძე ავად იყო მუცლის სახადით...

10. განსახილველი საგანი: საბჭოს მდივნის არჩევა პროფ. იოსებ ყიფშიძის გარდაცვალების გამო.

განაჩენი: არჩეულ იქნას ი. შანიძე.

პროფესორთა საბჭოს სხდომის დღიური №29. 2 აპრილის 1919წ.

10. განსახილველი საკითხი. თ)საბჭოს მოჰკსენდა განსვ. პროფ. იოსებ ყიფშიძის მეუღლის წერილობითი მადლობა განსვენებული პროფესორის ავადმყოფობისა და გარდაცვალების გამო უნივერსიტეტის მიერ გაწეული ხარჯებისა და დახმარებებისთვის.

ბ) საბჭოს მოჰკსენდა, რომ განსვენებულის ქვრივმა უნივერსიტეტს შემოსწირა ქმრისეული დიკტოფონი ჩაწერილი და ჩაუწერელი ფირფიტებითურთ.

განაჩენი: გამოეცხადოს მადლობა.

პროფესორთა საბჭოს სხდომის დღიური №(44)1 „4“ იანვრის 1920წ.

7. განსახილველი საგანი: განსვენებული პროფესორის იოსებ ყიფშიძის ობლების უზრუნველყოფისათვის.

განაჩენი: აღიძრეს შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა განსვენებული პროფესორის მიერ უნივერსიტეტის დაარსების საქმეში დიდი ღვაწლის გაწევის გამო მის ობლებს დაენიშნოს სტიპენდია ანუ აღმოუჩინოს დაკმატება.

პროფესორთა საბჭოს სხდომის დღიური №(45) 2. 24 იანვრის 1920წ.

8. განსახილველი საგანი: იმავე ფაკულტეტის შუამდგომლობა, შეძენილ იქნეს განსვენებული პროფესორის იოსებ ყიფშიძის მერ გამოსაცემად დამზადებული საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი და აგრეთვე მეგრულ-ჭანური ლექსიკონის სარჩევი და გაღებულ იქმნეს ამისათვის 18000 მანეთი (თვრამეტი ათასი მანეთი).

განაჩენი: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქნეს.

პროფესორთა საბჭოს სხდომის დღიური №19, 25 ოქტომბრის 1920წ.

14. განიხილეს. რექტორის, პროფ. ივანე ჯავახიშვილის მოხსენება, რომ გამგეობას მოუვიდა განსვენებულის პროფ. იოსებ ყიფშიძის ქვრივის განცხადება ქონებრივი გაჭირვების შესახებ და გამგეობის აზრია, მიეცეს მას მთლად ის თანხა, რომელიც განსვენებული პროფესორის სახელობის ფონდს შეადგენს.

დაადგინეს: საბჭომ დაადასტურა გამგეობის აზრი და დაადგინა, მიეცეს განსვენებული პროფესორის ქვრივს 1-ნ ევგენია ყიფშიძისას მთელი თანხა, რომელიც პროფ. იოსებ ყიფშიძის ფონდს წარმოადგენს.

* * *

იმ წლებში (ოქმები 1919-1926 წწ მოიცავს) სხვა ამაგდარი პიროვნებებიც დაიტირა ქართულმა უნივერსიტეტმა, იოსებ ყიფშიძის მსგავსად – არავინ...

ვიმეორებ, ამ ოქმებიდან ჩანს ღვაწლიც იოსებ ყიფშიძისა და უნივერსიტეტისაგან ამ ღვაწლის დაფასების შეძლებისდაგვარი მცდელობაც...

საბედნიეროდ, იმჟამინდელმა ახლადდაარსებულმა და უსახსრო უნივერსიტეტმა რაც შეძლო, გააკეთა...

მერე თითქოს მიივარჯა უნივერსიტეტმა ამაგდარი პიროვნება...

საბედნიეროდ, ეს დროებითი მოვლენა იყო...

2004 წლის გაზაფხულზე ძველი ქართული ენის კათედრის ინიციატივით შეიქმნა იოსებ ყიფშიძის 120 წლისთავის საიუბილეო საუნივერსიტეტო კომისია აკად. როინ მეტრეველის თავმჯდომარეობით. ივარაუდებოდა: ი. ყიფშიძის გადმოსვენება და ძეგლის დადგმაც უნივერსიტეტის ეზოში დამაარსებელთა ძეგლების გვერდით; ი. ყიფშიძის სახელის მინიჭება აუდიტორიისათვის; მისი შრომების მეორე ტომის გამოცემა; მის შესახებ წიგნის გამოცემა; ძველი ქართული ენის კათედრაზე მემორიალური კუთხის მოწყობა, სამეცნიერო სესიის გამართვა... იმსჯელა ამის თაობაზე საიუბილეო კომისიამ; ითქვა, რომ ი. ყიფშიძე ყოველივე ამას იმსახურებს და მისი ხსოვნის წინაშე უნივერსიტეტი ვალდებულია, ეს გააკეთოს... საიუბილეო სხდომა უნდა გამართულიყო 2004 წლის ოქტომბერში... მაგრამ უნივერსიტეტში 2004 წელს რადიკალური ცვლილებები მოხდა: მმართველობაში მოვიდა „რეფორმატორთა“ ჯგუფი... იოსებ ყიფშიძის უკვდავყოფის ღონისძიებებზე ფიქრი დაიწყო თავიდან: უნივერსიტეტის ახალმა რექტორმა ქნმა რუსუდან ლორთქიფანიძემ 2005 წლის თებერვალში ბრძანება გამოსცა – შეიქმნა საიუბილეო კომისია; ითქვა, საიუბილეო სხდომა 2006 წლის ოქტომბერში გაიმართოსო; ღონისძიებათა ნუსხა უცვლელი დარჩა... მაგრამ ამ გეგმას განხორციელება არ ეწერა:

2006 წლის აპრილიდან უნივერსიტეტს ახალი ადმინისტრაცია მოეკლინა (გ. ხუბუა და სხვანი)... შევახსენეთ ოფიციალურად, მაგრამ იოსებ ყიფშიძის დარდი აღარავის ჰქონდა... ჩაიშალა დაგეგმილი ღონისძიებანი... ცხადია, იოსებ ყიფშიძის დიდ სახელს ეს ვერაფერს დააკლებდა... ეს ისევ ჩვენ გვჭირდებოდა...

საბედნიეროდ, 2013 წელს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაში განხორციელებული ცვლილებები სასიკეთო აღმოჩნდა იოსებ ყიფშიძისათვის... უნივერსიტეტის რექტორი **ვლადიმერ პაპავა** გულისყურით მოეკიდა მრჩეველთა საბჭოზე გამოთქმულ წინადადებებს, შექმნა საორგანიზაციო ჯგუფი და:

2013 წლის 27 ოქტომბერს იოსებ ყიფშიძე მშობლიური უნივერსიტეტის პანთეონში გადმოასვენეს; გამოცხადდა კონკურსი ძეგლზე; 2014 წელს ი. ყიფშიძის საფლავზე ძეგლი დაიდგა; ი. ყიფშიძის სახელი

მიენიჭა ერთ-ერთ აუდიტორიას I კორპუსში; ი. ყიფშიძის ბიუსტმა ადმინისტრაციული კორპუსის ფოიეში დაიდო ბინა პეტრე მელიქიშვილის, ივანე ჯავახიშვილისა და აკაკი შანიძის გვერდით; ნაშრომები, რომლებიც არ შევიდა კ. დანელიას გამოცემულ „რჩეულ თხზულებებში“ (1994, 824 გვ.), შეკრებილი იქნა (მათ შორის ბევრი გამოუქვეყნებელი ხელნაწერი) და გამოიცა (ი. ყიფშიძე, „თხზულებანი“, 2015, 742 გვ., საგამომცემლო ჯგუფის ხელ-ლი ზ. გაიპარაშვილი, სამეცნიერო რედაქტორი გ. გოგოლაშვილი); მოეწყო ი. ყიფშიძისადმი მიძღვნილი გამოფენა და ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია...

სიამაყით შეიძლება ითქვას, რომ იცის თბილისის უნივერსიტეტმა ფასი იოსებ ყიფშიძისა!..

* * *

დაბოლოს, საუბარს დავასრულებთ ნაწყვეტით ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვიდან, რომლის ფრაგმენტიც წერილის დასაწყისში გამოვიყენეთ: „ჩვენ დავკარგეთ შენში არა მარტო სპეციალისტი ქართული ფილოლოგიისა, არა მარტო მკვლევარი საქართველოს წარსულისა, არამედ ერთი დამაარსებელთაგანი და სულის ჩამდგმელი ჩვენი უნივერსიტეტისა. არ ყოფილა საქმე უნივერსიტეტისათვის, რომელზეც შენ უარი გეთქვას, შენ მოაწყვე და მოაწესრიგე რთული შინაური საქმეები ამ ახალი დაწესებულებისა, შენვე მდივანი, შენვე მეურნე, შენვე მომწყობი კანცელარიისა, აუდიტორიისა, შემძენი და მომტანი ავეჯისა!... შენში ვგლოვობთ ჩვენ ჩვენს თავს, ჩვენ უნივერსიტეტს, რომ დიდხანს ვერ ვიპოვით შენს მოადგილეს, მომზადებულ ფილოლოგს, თავგანწირულ მოღვაწეს უნივერსიტეტისათვის“.

Giorgi Gogolashvili

„Dedicated Protector of the University“ (The 100th Anniversary of Joseph Kipshidze's Death)

Summary

Joseph Kipshidze was one of the fathers of Georgian linguistics, one of the pioneers of studying Kartvelian languages, and one of the founders of Tbilisi State University.

His role in the difficult and responsible task of establishing the first Georgian higher educational institution is invaluable. Joseph Kipshidze was the first vice-rector of the Georgian University, the first head of the Department of the Georgian Language.

Unfortunately, his life was too short (he died at the age of 35).

The paper gives facts about J. Kipshidze's eminence.

ნინო ჭუმბურიძე, ნანა ლოლაძე

იოსებ ყიფშიძე ქართული ენის შესახებ

ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელს, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელსა და ქართული ენის კათედრის პირველ გამგეს – **იოსებ ყიფშიძეს** დიდი დამსახურება მიუძღვის ქართველური ენების კვლევის საქმეში. მას 30-მდე სამეცნიერო ნაშრომი აქვს შექმნილი, რომლებიც ძველი და ახალი ქართულის, მეგრული-სა და ჭანურის გრამატიკულ სტრუქტურას ეხება. როგორც პროფ. ვ. დანელია აღნიშნავს, „რაოდენობრივად მცირე, მაგრამ ხარისხობრივად მეტად ფასეულ შრომებში კარგად ჩანს, თუ რა ღრმა პროფესიული განსწავლულობა, ფართო თვალსაწიერი და ბუნებით ბოძებული დიდი ნიჭი ჰქონდა მათ ავტორს“ (ყიფშიძე 1994, 8).

ი. ყიფშიძემ, სრულიად ახალგაზრდამ, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის ბოლო კურსის სტუდენტმა, 1911 წელს გამოსცა თავისი პირველი სამეცნიერო ნაშრომი – „ქართული ენის გრამატიკის კურსი“, რომელიც სასწავლო-პრაქტიკული დანიშნულებისა იყო. ამ ნაშრომში რუსულთან შეპირისპირებით წარმოჩენილია ქართული ენის ბგერითი სისტემის სპეციფიკა და მორფოლოგიის არსებითი თავისებურებანი.

შემდგომში ი. ყიფშიძის კვლევის ძირითადი მიმართულება მეგრული და ჭანური ენების გრამატიკული და ლექსიკური სტრუქტურის შესწავლა გახდა. მისი ნაშრომები „დამატებითი ცნობები ჭანურის შესახებ“ (გამოიცა 1911 წელს რუსულ ენაზე) და „მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკა ქრესტომატიითა და ლექსიკონით“ (გამოიცა რუსულ ენაზე 1914 წელს სანქტ-პეტერბურგში) ქართველოლოგთა სამაგიდო წიგნებად იქცა და ასეთად რჩება დღემდე. ამ ფუნდამენტურ ნაშრომებზე მუშაობის პარალელურად იგი იკვლევდა ძველი და ახალი ქართულის გრამატიკულ სტრუქტურას, მუშაობდა ძველი ქართული ტექსტებისა და სულხან-საბას „ქართული ლექსიკონის“ მეცნიერულ გამოცემებზე. მისი ნაშრომები მრავალი თვალსაზრისით არის საყურადღებო და გასათვალისწინებელი ქართული ენის მკვლევართათვის. საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ ზოგ მათგანზე.

1915 წელს ი. ყიფშიძე მიწვეულ იქნა პრივატ-დოცენტად პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, სადაც მან წაიკითხა ლექციები ძველი ქართული ენისა და მეგრულის შესახებ. შესა-

ვალი ლექციის თემა იყო ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში. ამ ლექციის რუსული ავტოგრაფი ქართულად თარგმნას. გორგაძემ და მცირეოდენი ცვლილებით გამოაქვეყნა „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის“ I ტომში (1919-1920, 1-8); შემდგომში ეს წერილი დაიბეჭდა კრებულში: იოსებ ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი (ყიფშიძე 1994, 723-730). ყიფშიძის არქივში დაცულია მისი სალექციოდ მომზადებული ჩანაწერები, რომლებიც გამოქვეყნდა მეცნიერის დაბადებიდან 130 წლის აღსანიშნავად გამოცემულ კრებულში 2015 წელს (რედაქტორი გ. გოგოლაშვილი). ამ ჩანაწერებიდან ერთ-ერთი არის სწორედ აღნიშნული ლექციის მასალა. ეს მასალა „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბეში“ გამოქვეყნებულ წერილთან შედარებით უფრო მოკლეა, მაგრამ სხვაობა მხოლოდ სიმოკლეში არ არის. ზოგი საკითხი მასში უფრო ვრცელად კი არის განხილული, მაგალითად, ფონეტიკის როლი და მნიშვნელობა. ეს ჩანაწერები საინტერესოა ავტორისეული სტილისა და ტერმინების გაცნობის თვალსაზრისითაც. კერძოდ, **გამეორებული ან გაორკეცებული თანხმოვნების** გვერდით ი. ყიფშიძე იყენებს ტერმინს - **მრჩობლი თანხმოვნები, რეგრესული** ასიმილაციის პარალელურად კი რამდენიმე ვარიანტი აქვს შემოთავაზებული: **უკანმქეცი, უკუქეცი, უკანმრბოლი**.

როგორც წერილი, ისე სალექციო ჩანაწერები ასიმილაციისა და დისიმილაციის შესახებ ქართულსა და მეგრულში მრავალმხრივ არის საინტერესო და მნიშვნელოვანი. აქ განხილულია საკითხები, რომლებიც მანამდე შესწავლილი არ ყოფილა და წარმოდგენილია მეცნიერის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები; კერძოდ, ნაჩვენებია ძველ ქართულსა და მეგრულში გავრცელებული ფონეტიკური პროცესების – ასიმილაციისა და დისიმილაციის ბუნება და ის კანონები, რომლებიც აწესრიგებენ ამ პროცესებს.

ი. ყიფშიძე აღნიშნავს, რომ „როდესაც ვსწავლობთ ასიმილაციისა და დისიმილაციის მოვლენებს ამა თუ იმ ენაში, ჩვენ ვამჩნევთ ორი დასაბამის ერთგვარ ბრძოლას. წმინდა ფონეტიკური, ანუ ბგერათმეორი დასაბამი ებრძვის მორფოლოგიურ-ეტიმოლოგიურ დასაბამს, რადგანაც პირველი მათგანი ხელს უწყობს ბგერათა ასიმილაციასა და დისიმილაციას, ხოლო მეორე აფერხებს, ხშირად სრულიად სპობს ამგვარ მოვლენებს“ (ყიფშიძე 2015, 52; 1994, 723); ძველ ქართულ სამწერლობო ენაში ჩანს მიდრეკილება იმისაკენ, რომ შენარჩუნებული იყოს ენის მორფოლოგიურ-ეტიმოლოგიური სტრუქტურა, ხოლო მეგრულში, როგორც არასალიტერატურო ენაში, ფონეტიკურ პროცესებს დიდი გავლენა აქვთ მორფოლოგიაზე (იქვე).

ი. ყიფშიძე დაწვრილებით განიხილავს ასიმილაციის სხვადასხვა შემთხვევას როგორც ქართულში, ისე მეგრულში. იგი აღნიშნავს, რომ დამსგავსება ხდება: 1) თანხმოვანთა შორის, 2) ხმოვანთა შორის და 3) ხმოვანთა და თანხმოვანთა შორის. ამასთანავე ასიმილაცია ხდება როგორც მეზობელ, ისე დამორებულ ბგერებს შორის და შეიძლება იყოს სრული ან „ნაწილობითი“ (ყიფშიძე, 2015, 52-53). მას მოჰყავს სათანადო ნიმუშები და ცალკე განიხილავს მათ. იგი აღნიშნავს, რომ ასიმილაცია ქართულსა და

მეგრულში ისეთივეა, როგორც სხვა ენებში, მაგრამ, მათგან განსხვავებით, სრული ასიმილაცია (როგორც გვაქვს, მაგალითად, ზმნაში ქქონდეს) ჩვენს ენებს ნაკლებად ახასიათებთ, რაც იმით აიხსნება, რომ ქართულსა და მეგრულს საზოგადოდ არ უყვართ „მრჩობლი“ თანხმოვნები. ამ ენებში ერთი და იმავე თანხმოვნების თავმოყრა, ჩვეულებრივ, მორფოლოგიური ხასიათისაა (თბილისს, ომმა, ცხადდება...) და ამ შემთხვევებშიც კი ერთი თანხმოვანი იკარგება (ყიფშიძე 2015, 53-54).

როგორც ი. ყიფშიძე აღნიშნავს, ასიმილაცია ხმოვნებისა ხმოვნებთან გავრცელებულია ქართულში, განსაკუთრებით მის კილოებში, და მეგრულში. ხმოვანთა შორისაც რეგრესული ასიმილაცია უფრო ხშირია, მაგრამ გვხვდება პროგრესულიც. ხმოვნების სრული ასიმილაციისათვის საჭირო არ არის ისეთი გაშორიშორება დამსგავსებული ბგერებისა, როგორც სჭირდება თანხმოვნებს. იგი ერთიმეორის გვერდით მყოფ ხმოვნებს შორის ხდება, ქართული ენის იმ თვისების თანახმად, რომლის ძალითაც ერთი და იგივე ხმოვანი შეიძლება გაორკეცებულ და გასამკეცებულ იქნეს: აახლებს, გან-აახლებს // გააახლებს (ყიფშიძე 1994, 727; 2015, 55).

რაც შეეხება დისიმილაციას, მასზე ავტორი შედარებით მოკლედ მსჯელობს, რამდენადაც დისიმილაცია ჩვენს ენებში ნაკლებად არის გავრცელებული. მეგრულისათვის დამახასიათებელია მხოლოდ პროგრესული დისიმილაცია (ირიფელი „ყველაფერი“, ჟირჟილი < ჟირჟირი „ორ-ორი“, ჯგირი ლე < ჯგირირე „კარგია“), ქართულისათვის კი - პროგრესულიც (ორორი // ოროლი, ერთჯერ // ერთჯელ) და რეგრესულიც (სუნნელი // სურნელი, წლეულს // წრეულს) (ყიფშიძე 1994, 730; 2015, 56).

ნაშრომში სრულად არის განხილული ქართულსა და მეგრულში მოქმედი ფონეტიკური პროცესების – ასიმილაციისა და დისიმილაციის – მიზეზები, შედეგები და მნიშვნელობა; წარმოჩენილია ქართულისა და მეგრულის თავისებურება სხვა ენებთან შედარებით; წარმოდგენილია მრავალფეროვანი მასალა. ი. ყიფშიძე მსჯელობს იმაზეც, თუ როგორ გვეხმარება ფონეტიკური კანონების ცოდნა სიტყვების ეტიმოლოგიის კვლევაში და მოჰყავს არაერთი მაგალითი ამის საილუსტრაციოდ. წარმოდგენილი სიტყვების ეტიმოლოგიური ანალიზი კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ამ ლექციას და თვალნათლივ წარმოაჩენს, რამდენად აუცილებელია ამ საკითხების კვლევა ენის მეცნიერული შესწავლისათვის.

ი. ყიფშიძის არქივში დაცულია ასევე ჩანაწერები თბილისის ახლადგახსნილ უნივერსიტეტში წაკითხული პირველი ლექციისათვის, რომელიც ქართულ ენას ეხებოდა. ამ ლექციაზე ავტორი განიხილავდა შემდეგ საკითხებს: ძველი ქართული ენის შესწავლის მიზანი; ზოგადად, ენათა მეცნიერული შესწავლის მიზანი და მნიშვნელობა; ენის ფუნქციები; ენისა და აზროვნების განუყოფლობა; ენის ცვლილების მიზეზები და შედეგები. ეს ჩანაწერები უაღრესად საყურადღებოა როგორც მეცნიერული, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, თუ რატომ შეირჩა კურსის მსმენელთათვის ერთ-ერთ საგნად ძველი ქართული ენა და რამდენად დი-

დი მნიშვნელობა აქვს მის მეცნიერულ შესწავლას. იგი განმარტავს, რომ ძველსა და ახალ ქართულს შორის არ არის არსებითი განსხვავება. ენის აგებულება, მისი ბუნება და თვისება, მისი სული დღესაც იგივეა, რაც იყო ამ ათი საუკუნის წინ; იგი საფუძველია თანამედროვე ქართული ენისა (ციფშიძე 2015, 45).

ი. ციფშიძე საუბრობს იმაზე, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს გრამატიკა უმაღლეს სასწავლებელში. „საშვალო სასწავლებელში გრამატიკას უყურებენ როგორც მართლწერისა და სწორმეტყველების შესასწავლ ხელოვნებას, – აღნიშნავს იგი, – ხშირად გრამატიკა ჩრდილავს ენას, გრამატიკა იქცევა შესწავლის **თვითმიზნად** და ენა კი შეუსწავლელი რჩება. გრამატიკა უწერს კანონებს იმის მაგივრად, რომ თითონ იყოს მხოლოდ და მხოლოდ ენის მრავალფეროვნების და მისი წარმოშობის ახსნა-განმარტება. უმაღლეს სკოლაში კი ასეთ გრამატიკა-ხელოვნებას ადგილი არა აქვს, ან არ უნდა ჰქონდეს, ჩვენთვის გრამატიკა არის **ენათმეცნიერება**, ე. ი. ენის შესწავლა-შემეცნება, მისი წარმოშობის, თანდათანობითი განვითარების და მის მოვლენათა სხვადასხვაობის ახსნა-განმარტება“ (იქვე, 46).

ი. ციფშიძე უხსნის კურსის მსმენელებს, საზოგადოდ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ენის მეცნიერულ შესწავლას. „ენა არ არის ჩვენთვის აზრთა და გრძნობათა გაცვლა-გამოცვლის მხოლოდ **იარაღი**, როგორც ბევრს ჰგონია, – აღნიშნავს იგი, – არა, ის თვით ჩვენი აზროვნების განუყოფელი ნატყუბარია, აზრი შინაგანი ენაა, უჩინარი, უხილავი, სიტყვა კი მისი დროებითი გამოჩენა-გამომჟღავნებაა ბგერათა საშვალეებით“ (იქვე, 47).

აქვე ი. ციფშიძე განიხილავს ისეთ საინტერესო საკითხს, როგორცაა სიტყვის ცვლილება და მისი შედეგები. იგი მიუთითებს, რომ ხშირად სრულიად სხვადასხვა წარმოშობის ორი სიტყვა, ბგერათა ცვალებადობის გამო ერთიმეორეს დაემსგავსება გარეგნულად და შემდეგ შინაარსის მხრივაც, რაც ახდენს გავლენას ჩვენს აზროვნებაზე. რაკი აღარ ჩანს სიტყვის პირვანდელი სახე, ხალხი უახლოვებს ერთმანეთს სხვადასხვა ძირს და ქმნის ფანტასტიკურ ახსნა-განმარტებას, ე. წ. ხალხურ ეტიმოლოგიას, აქედან კი წარმოდგება მითი. ამის ნიმუშად ი. ციფშიძეს მოჰყავს მეგრული სიტყვები ბჟა (მზე) და ბჟა (რძე). ისინი წარმოშობით სხვადასხვა ძირის სიტყვებია, რომლებიც ფორმის ცვლილების გამო ერთმანეთს დაემთხვა. ხალხმა ორივე სიტყვა ერთნაირად გაიგო და თავისებური ახსნა მოუძებნა. ბგერათა ცვალება გახდა მიზეზი ხალხური ეტიმოლოგიისა და მასთან დაკავშირებით მითის შექმნისა.

ავტორს მოჰყავს სხვა მაგალითებიც. აღსანიშნავია, რომ მას ყველაფერი არ ჩაუნიშნავს, რის შესახებაც ჰქონდა განზრახული საუბარი; ხელნაწერში დატოვებულია არე შემდგომი ნიმუშებისა და სამსჯელო საკითხებისათვის.

ი. ციფშიძის არქივში დაცულია ხელნაწერები, რომლებიც წარმოადგენს ჩანაწერებს 1918 წელს მასწავლებელთა კურსების მსმენელთა ლექციებისათვის და შეეხება ქართული ენის წარმოშობის საკითხსა და ქართულ ანბანს. ჩანაწერების მიხედვით, სანამ განიხილავს ლექციის მთავარ სა-

კითხს – რა ენათა ჯგუფს მიეკუთვნება ქართული ენა – ავტორი მსჯელობს იმაზე, თუ რამდენად შეისწავლიდნენ ქართული ენის წარმოშობას ძველ დროს და რა არის ცნობილი საისტორიო წყაროებიდან ამასთან დაკავშირებით. იგი აღნიშნავს, რომ ჩვენი წინაპრების ნაშრომებში ნაკლებად არის ცნობები ენის წარმოშობის შესახებ, რაც არ არის გასაკვირი, რამდენადაც „მეცნიერული ენათშესწავლა შედარებით ახალი მეცნიერებაა, მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისისა“ (ყიფშიძე 2015, 27). მიუხედავად ამისა, ი. ყიფშიძეს მიაჩნია, რომ რაც არის ძველ ტექსტებში ამ საკითხთან დაკავშირებით, იმის ცოდნა მეტად მნიშვნელოვანია და მოჰყავს ლეონტი მროველის სიტყვები „ქართლის ცხოვრებიდან“: „პირველად ვაჟსენოთ ესრეთ, რამეთუ სომეხთა და ქართულთა, რანთ და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა ამათ ყოველთა ერთი იყო მამა თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარშისა, ავნანისა, ძისა იაფეთისა ძისა ნოესა“. რა ნაკლიც არ უნდა ჰქონდეს ამ ცნობას, – აღნიშნავს ი. ყიფშიძე, – ის მაინც შესანიშნავია იმ მხრივ, რომ აღიარებს ყველა კავკასიელი ხალხის საერთო წარმომავლობას. მართალია, ყველა კავკასიელ ერს ღვიძლ ძმებად ვერ ჩავთვლით, მაგრამ ამ ერთა შორის არის ერთგვარი ნათესაობა და ამას ბოლო დროის ლეკური და ჩაჩნური ენების შესწავლა და მათი ქართულთან შედარებაც ამტკიცებს (იქვე, 27).

შემდეგ ი. ყიფშიძე მსჯელობს იმაზე, არსებობდა თუ არა ქართულ ენაზე „ნამდვილი გრამატიკული შრომა“ ქართულის ან სხვა რომელიმე ენის შესახებ, როგორც, მაგალითად, სომხებს ჰქონდათ ბერძნულიდან ნათარგმნი დიონისის თრაკიელის გრამატიკა. იგი მიუთითებს, რომ არსებობს ცნობა, თითქოს იოანე პეტრიწონელს დაეწეროს გრამატიკა, მაგრამ ეს გრამატიკა ჯერჯერობით არ ჩანს, თუმცა ხელნაწერები ჯერ კიდევ აღუწერელი და შეუსწავლელია. ი. ყიფშიძე აღნიშნავს, რომ ქართულ ენაზე შექმნილ უძველეს გრამატიკად უნდა ჩაითვალოს ზურაბ შანშოვანის (1737 წ.) და ანტონ კათალიკოსის (1753, 1767 წწ) ნაშრომები, მაგრამ არც ისინი და არც მათი მიმდევარნი ქართულის წარმოშობის საკითხს არ ეხებიან (იქვე, 28-29).

ი. ყიფშიძე გვაცნობს იმ მოსაზრებებს, რომლებიც მეცნიერებს გამოუთქვამთ სხვა ენებთან ქართული ენის მსგავსებასთან დაკავშირებით. კერძოდ, პ. იოსელიანი თავის ნაშრომში „პირველდაწყებითი კანონნი ქართულისა ღრამატიკანი“, როდესაც ლაპარაკობს „სხმით გარდასლვითი“ და „მრჩობელ სხმითგარდასლვითი“ ფორმების (ვაწერინებ, ვაწერინებინებ) შესახებ, აღნიშნავს, რომ მსგავსი ფორმები აქვთ არაბულ და ებრაულ ენებსაც. ყიფშიძე იმოწმებს ამ ადგილს ნაშრომიდან (იოსელიანი 1840, 40) და იმასაც დასძენს, რომ ეს მოსაზრება უფრო ადრე გამოთქმული აქვს ნ. ჩუბინაშვილს ებრაულთან მიმართებით. შემდეგ იგი აცნობს მსმენელებს რამდენიმე თვალსაზრისს, გამოთქმულს სხვადასხვა მეცნიერის მიერ ქართულის ამა თუ იმ ენათა ოჯახისათვის მიკუთვნების შესახებ და თავის მოკლე შეფასებასაც წარმოადგენს ზოგიერთ მათგანთან დაკავშირებით. ეს თვალსაზრისები ასე ჯგუფდება:

1. ქართულს ინდოევროპულ ენებს მიაკუთვნებდნენ ლეიბნიცი, მ. ბროსე და ფ. ბოპი. (როგორც ყიფშიძე აღნიშნავს, ლეიბნიცი მასალას იღებდა პაულინისა და ნიკიფორე ირბახის მიერ შედგენილი იტალიურ-ქართული ლექსიკონიდან და განიხილავდა ნასესხებ სიტყვებს, რასაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ენის წარმოშობის საკითხში);

2. ქართულს თურქულ ანუ თურანულ ენათა ოჯახს მიაკუთვნებდა მ. მიულერი;

3. ქართული განმარტობულად მდგომი ენაა – ამ აზრს იცავდნენ კლაპროტი, შლეიხერი, პოტი, ლეპსიუსი, შპიგტი და მიულერი;

4. იაფეტურ თეორიას ავითარებდა ნ. მარი;

5. ქართული „სუმერულის“ მონათესავედ მიაჩნდა მ. წერეთელს (ყიფშიძე 2015, 29-30).

ხელნაწერის ბოლოს ავტორისეული მინიშნებებია, ზოგჯერ ერთსიტყვიანიც, ქართულ და რუსულ ენებზე. ამ მინაწერების მიხედვით ჩანს, რომ იგი ლექციის ბოლოს საუბრობდა იმაზე, თუ რამდენად რთულია ამა თუ იმ ენის წარმოშობის საკითხის გარკვევა.

მეცნიერის არქივში დაცულია ამ ლექციის გაგრძელების ჩანაწერებიც „მასალები ქართული ანბანის ისტორიისათვის“. დასაწყისში ავტორი მოკლედ განიხილავს იმას, თუ როგორი ვარაუდები არსებობს ქართულ დამწერლობასთან დაკავშირებით და რომელ უძველეს ცივილიზაციებთან აკავშირებენ ჩვენს ენას. იგი ასახელებს რამდენიმე ძველ წყაროს, რომლებშიც ქართულ ტომებზე უნდა იყოს საუბარი და აღნიშნავს: „ვერც ლურსმული წარწერები და ვერც მოგვთა მწერლობა ვერ ჩაითვლება ნამდვილ ქართულ ლიტერატურის დასაწყისად... ნამდვილი დასაბამი იწყება ქრისტიანობის მიღებიდან“ (ყიფშიძე 2015, 32). ამას მოჰყვება ავტორის მოკლე მინიშნებები იმ საკითხებზე, რომლებსაც იგი ლექციაზე განიხილავდა. ზოგი მინიშნება მეტად მოკლეა, ერთსიტყვიანიც კი, მაგალითად: მონასტრები, პაექრობა (ოპოლოგეტიკა)...

როგორც ამ ჩანაწერებიდან ჩანს, განსახილველ საკითხთა არეალი მეტად ფართო იყო: V-XI საუკუნეების უმნიშვნელოვანესი აგიოგრაფიული ძეგლები, თარგმნილი და ორიგინალური თხზულებები, ქართული მონასტრების საქმიანობა, მ. ჯანაშვილის, ს. გორგაძისა და ზოგი უცხოელი მკვლევრის მიერ გამოთქმული ვარაუდები ქართულ ანბანთან დაკავშირებით... ხელნაწერში წარმოდგენილია ფინიკიური, ბერძნული, არამეული, სომხური და ქართული ასომთავრული ანბანები.

ი. ყიფშიძის არქივში დაცული ერთ-ერთი ხელნაწერი წარმოადგენს ქართული ენის სასწავლო კურსის შესავალი ლექციის მოკლე ვარიანტს. მასში, ზემოთ განხილული სალექციო ჩანაწერებისაგან განსხვავებით, არ არის ერთსიტყვიანი მინიშნებები და გეგმის სახით წარმოდგენილი განსახილველი საკითხების ჩამონათვალი; მას უფრო დასრულებული წერილის სახე აქვს. ქართული ენის სასწავლო კურსს კითხულობდა ყიფშიძე რუსეთში, აღმოსავლური ენების პრაქტიკულ აკადემიაში. შესავალი ლექციის წერილობით ვარიანტში, რომელიც რუსულ ენაზეა, იგი საუბრობს ქართუ-

ლი ენის წარმომავლობის, ქართული დამწერლობისა და ლიტერატურის შესახებ. კერძოდ, ავტორი ეხება შემდეგ საკითხებს: რა ადგილი უჭირავს ქართულს ენათა კლასიფიკაციაში; რა ადგილს იჭერს იგი მონათესავე მეგრულ, სვანურ, ლაზურ ენებს შორის; ქართული ენის მნიშვნელობა თანამედროვე ეტაპზე; ქართული ენის უძველესი ძეგლები და ქართული ლიტერატურის მთავარი პერიოდები.

ი. ყიფშიძე სხვადასხვა თეორიების მოკლე, ზოგადი ხასიათის, მიმოხილვის შემდეგ, ამ საკითხებში უკეთ გასარკვევად, ურჩევს მსმენელებს გაეცნონ შემდეგ სამეცნიერო ლიტერატურას ა. ცაგარლის წიგნს: „გრამატიკული ლიტერატურა ქართული ენის შესახებ“ და ივ. ჯავახიშვილის სტატიას „ქართული ენის წარმოშობის შესახებ თეორიებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა“, ასევე ნ. მარის ნაშრომებს „ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ტაბულები“ და „ქანური ენის გრამატიკა“. იგი მოკლედ აცნობს მსმენელებს მარის სემიტიური და იაფეტური ენების თეორიას და მეტად მაღალ შეფასებას აძლევს მას.

შემდეგ ყიფშიძე განიხილავს ქართული ენის ურთიერთობის საკითხს ლაზურ, მეგრულ და სვანურ ენებთან და აღნიშნავს, რომ ამ მონათესავე, მოძმე ენებს შორის ქართული უკვე 15 საუკუნეა ერთი კუთხის სასაუბრო ენიდან იქცა ყველა კუთხისათვის საერთო, სალიტერატურო-საეკლესიო ენად, ლაზური, მეგრული და სვანური კი მხოლოდ თავიანთ კუთხეებში სასაუბრო, საოჯახო ენებია. იგი აცნობს მსმენელებს, თუ რომელ მაზრებში მეტყველებენ ამ ენებზე (მაშინდელი რუსეთის იმპერიაში შემავალი საქართველოს ტერიტორიული დაყოფის მიხედვით) და განმარტავს, რომ ლაზების დიდი ნაწილი ამჟამად თურქეთის იმპერიაში ცხოვრობს, ხოლო ქართველების ერთი ნაწილი მე-17 საუკუნეში შაჰ-აბასის მიერ სპარსეთში გადასახლებულ ქართველთა შთამომავლები არიან, რომლებსაც მშობლიურ ენად შენარჩუნებული აქვთ ქართული.

ამის შემდეგ ი. ყიფშიძე მოკლედ საუბრობს ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშებისა და ქართული ლიტერატურის შესახებ, რომელსაც ყოფს 5 პერიოდად: 1) V-XI საუკუნეები – სასულიერო მწელობის განვითარებისა და აყვავების ხანა; 2) XI-XIII სს – საერო ლიტერატურის განვითარებისა და აყვავების ხანა; 3) დაცემის პერიოდი – მონღოლების ბატონობის ხანა; 4) განახლების, აღდგენის პერიოდი, XVI საუკუნიდან; 5) ახალი პერიოდი, XIX საუკუნე და მისი შემდგომი ხანა.

დასასრულ, ი. ყიფშიძე აღნიშნავს, რომ კურსის მიზანს არ წარმოადგენს ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ქართული ენის ისტორიული გრამატიკის დაწვრილებითი შესწავლა; ამიტომ აღარ აგრძელებს აღნიშნულ საკითხებზე საუბარს, მხოლოდ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ქართული ენა საუკუნეების მანძილზე მკვეთრად არ შეცვლილა და ყველაზე ძველი ძეგლების ენაც კი თანამედროვე მკითხველისათვის მეტნაკლებად გასაგებია. მისი აზრით, ეს აიხსნება იმით, რომ ძველი დროიდან მოყოლებული, ლიტერატურული ენა ყოველთვის ახლოს იყო და არის სასაუბრო, ხალხურ მეტყველებასთან (ყიფშიძე 2015, 455).

ი. ყიფშიძის საარქივო მასალებში ყურადღებას იქცევს ჩანაწერი, რომელიც სალიტერატურო ენის ნორმების დადგენის პრინციპებს ეხება. მკვლევარი მართლმეტყველებისა და მართლწერის მიმართებაზე საუბრობს და მათი გამიჯვნის აუცილებლობას უსვამს ხაზს. მისი აზრით, წმინდა ფონეტიკური პრინციპის გაბატონება ორთოგრაფიაში ან წმინდა ორთოგრაფიული პრინციპისა მეტყველებაში არა თუ სასურველი არ არის, არამედ, შეუძლებელიც კია. იგი წერს: „ორთოგრაფია მუდამ არსებობდა და იარსებებს ქართულ სამწერლობო ენაში, როგორც ფონეტიკისა და მორფოლოგიის აუცილებელი, მაგრამ მათგან განსხვავებული დამატება, რომელსაც მიზნად აქვს ერთმანეთში მოარიგოს-მოათანხმოს ენის მუდამ ცოცხალი, მდიდარი და ელასტიური ფონეტიკური მხარე“ (ყიფშიძე 2015, 37-38).

ამდენად, ქართული ენის ორთოგრაფიას არ შეიძლება საფუძვლად დაედოს წმინდა ფონეტიკური პრინციპი. ასევე შეუძლებელია მხოლოდ მორფოლოგიას დავემყაროთ, რადგან ენა დიდ მრავალფეროვნებას ავლენს როგორც ისტორიული თვალსაზრისით, ისე დიალექტური ვარიანტების მხრივ. მკვლევარი აქვე ეხება სინტაქსის მნიშვნელობას სასვენი ნიშნების ხმარებისა თუ რთული სიტყვებისა და თანდებულიანი ფორმების მართლწერის ნორმების დადგენის დროს. ამავე კონტექსტში განიხილავს იგი **არის** ზმნის შემოკლებული ფორმისა (-ა) და სხვათა სიტყვის ნაწილაკების (-**მეთქი**, -**თქო**, -**ო**) დაწერილობის საკითხს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ყიფშიძე აყალიბებს პრინციპებს, რომლებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შემუშავებისას. ეს პრინციპებია: „გრაფიკულ-ფონეტიკური, ეროვნული, ევოლუციონერული, გენეტიკურ-კულტურული, მორფოლოგიური, ისტორიული, ფონეტიკურ-მუსიკალური, სინტაქსურ-ლოდიკური, საერთაშორისო და საპუნქტუაციო“ (იქვე, 38). როგორც ვხედავთ, ყიფშიძის მიდგომას ამ საკითხისადმი დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა.

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ იოსებ ყიფშიძის მნიშვნელოვან ნაშრომზე – ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია ლექსიკონთან ერთად. ნიკო მარი მუშაობდა ძველი ქართული სალიტერატურო ენის სახელმძღვანელოზე და სწორედ მან მიანდო იოსებ ყიფშიძეს ქრესტომათიის შედგენა, რომელიც გათვალისწინებული იყო სტუდენტების პრაქტიკული მუშაობისათვის. სხვადასხვა მიზეზის გამო ნ. მარის გრამატიკის გამოცემა გაჭიანურდა და ქრესტომათია ცალკე გამოიცა 1918 წელს პეტერბურგში, ნ. მარის ზედამხედველობითა და მისივე წინასიტყვაობით. ი. ყიფშიძე ამ დროს უკვე თბილისში იმყოფებოდა და ახლადგახსნილი უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრას ხელმძღვანელობდა.

ი. ყიფშიძის მიერ შედგენილი ქრესტომათია სასწავლო დანიშნულებისაა, მაგრამ მისი მნიშვნელობა ბევრად მეტია, ვიდრე სტუდენტთა პრაქტიკული მუშაობისათვის შედგენილ კრებულს შეიძლება ჰქონდეს. ავტორმა მასში შეიტანა სხვადასხვა ხასიათისა და პერიოდის ძველი ქართული ტექსტები, ნაწყვეტები როგორც ნათარგმნი, ასევე ორიგინალური ძეგლები.

ბიდან. ესენია: „სახარება მათეს თავისად“, „წიგნი პირველი შესაქმეთად“, „წიგნი მეორე გამოსვლათად“, „პოვნად წმიდათა სამშქოვალთად“, „მოქცევად ქართლისად“, „ცხორებად გრიგოლ ხანძთელისად“, „სიბრძნე ბალავარისი“, გალობანი.

ეს ნაწყვეტები ამოღებულია როგორც უკვე გამოცემული ძეგლებიდან, ისე გამოუცემელი ხელნაწერებიდან; ასე რომ, ზოგი თხზულება პირველად სწორედ ამ კრებულით გაიცნო მკითხველმა, მაგალითად, ომკური ბიბლიის ნაწყვეტები, სინური მრავალთავის ტექსტი „პოვნად წმიდათა სამსქოვალთად“, „სიბრძნე ბალავარისი“ (იმნაიშვილი 1968).

წიგნში გამოყენებულია სამივე სახის ქართული შრიფტი: მრგვლოვანი, ნუსხური და მხედრული. ტექსტებს ერთვის ძველქართულ-რუსული ლექსიკონი, რომელშიც სიტყვების რუსულ ენაზე განმარტების გარდა ხშირ შემთვევაში მოცემულია მათი გრამატიკული და ეტიმოლოგიური დახასიათებაც, რაც ზრდის ამ ლექსიკონის მეცნიერულ ღირებულებას.

როგორც ი. ყიფშიძე წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რაკი წიგნი დამწყებთათვის არის გამიზნული, სიტყვები ლექსიკონში დალაგებულია არა ძირების მიხედვით (როგორც, მაგალითად, ნ. მარის ძველქართულ-რუსულ ლექსიკონშია), არამედ ფუძეების მიხედვით. მკითხველისათვის ძებნის გაადვილების მიზნით, რომელიმე წარმოქმნილი ფუძე შეტანილია ცალკე სალექსიკონო ერთეულად, ანბანთ რიგის მიხედვით და აქვს მითითება, რომელ ფუძესთან იხილავს მკითხველი მის განმარტებას.

მაგალითად, **ზრდ** ფუძესთან განმარტებულია: საწყისი **ზრდა-ი**, ზმნის აწმყოს მესამე პირის ფორმა **ზრდის**, პასივის ფორმა **ი-ზარდებოდა** და **ზრდ** ძირისაგან წარმოქმნილი სიტყვები: **მ-ზარდ-ულ-ი**, **სა-ზრდელ-ი**, **აღ-ზრდილ-ი**, **აღ-მზრდელ-ი** (დაყოფა ავტორისეულია). როგორც აღვნიშნეთ წარმოქმნილი სიტყვები გატანილია ცალკე სალექსიკონო ერთეულებადაც.

ამა თუ იმ სახელური ან ზმნური ფუძის სიტყვა-სტატიაში აფიქსაციით წარმოქმნილი სახელების გარდა წარმოდგენილია კომპოზიტები და ასევე შესიტყვებები, რომლებიც ქრესტომათიის ტექსტებშია გამოყენებული. მაგალითად, სიტყვასთან **გულ-ი** წარმოდგენილია კომპოზიტები: **გულის-თქუმაი**, **გულის-ხმა-ი**, **გულ-ძვრი**, **გულ-გდებული**, **გულს-მოდგინებაი**; **ცემ** ძირთან განმარტებულია: **მი-სა-ცემელ-ი**, **წარმო-ცემაი**, **და-ცემაი** და შესიტყვება **შიში დაეცა**; **რცხვ** სიტყვის სტატიაში შეტანილია **რცხუნა-ი**, **მ-რცხუნის** და შესიტყვებები: **პრცხვენისმცა** **სოფელსა** და **სირცხვილ მიჩნს** და ა. შ.

რამდენადაც წარმოქმნილი სახელი განმარტებულია ამ სახელის ძირთან ერთად, სიტყვის ძირი ყოველთვის თვალსაჩინოა. როგორც წესი, გამოყოფილია წარმომქმნელი პრეფიქსიც: **სა-ზელი** (ბმა-ე), **სა-ეკლესიოი** (ეკლესია-ე), **სა-სანთლჭ** (ნთ), **სი-ბერჭ** (ბერ-ი), **სი-დედრი** (დედ), **უ-ბიწოი** (ბიწი), **უ-დაბნოი** (დაბა-ე), **გან-უ-მზადებელი** (მზად), **აღ-სა-რებაი** (რება) და ა. შ. ხშირ შემთხვევაში გამოყოფილია სუფიქსებიც: **სა-სყიდ-ელ-ი**, **შობ-ილ-ი**, **შვ-ილ-ი**, **მ-შობ-ელ-ი**, **დევენ-ულ-ება-ი** და სხვ.

სიტყვების დაყოფისას წარმოჩნდება ავტორისეული შეხედულებები, მისი ეტიმოლოგიური დაკვირვებანი. მაგალითად, **სი-დედრი** სიტყვაში **სი-** მას მაწარმოებლად მიაჩნია, რადგან ამ სიტყვას უკავშირებს **დედ** (დედ-ალ, დედა) ძირს. **სო-ფელი** სიტყვაში **სო-** პრეფიქსად არის გამოყოფილი **ფლობა** სიტყვის ძირთან შეპირისპირებით (**ფლ-ობა-მ**), ამავე ძირთან აკავშირებს ი. ყიფშიძე **სუ-ფევა-ს**, რომელშიც **სუ-**ს მაწარმოებლად გამოყოფს. **სი, სო, სუ** პრეფიქსების გარდა გამოყოფილია **სე-ც: სე-სხეხამ**, თუმცა **სხებ** ძირზე არაფერია ნათქვამი. **ცხელ** ფუძესთან არის დაკავშირებული **ცე-ცხლი**, რომლის უფრო ძველ ვარიანტად ყიფშიძე აღადგენს ***სე-ცხლი** ფორმას.

საინტერესოა, რომ ი. ყიფშიძე გამოყოფს **მ-**ს, როგორც ფუძის დანამატს (напрост) სიტყვაში **მგელ-ი**. **მ** გამოყოფილია ასევე შემდეგ სიტყვებში: **მ-დაბალი, მ-დიდარი, მ-თავარი, მ-კვდრი, მ-კვრცხ, მ-რავალ-ი, მ-რთელ-ი, მ-რწემ-ი, მ-ტერ-ი, მ-ტკიც, მ-ღდელ-ი, მ-შვდ-ი, მ-ძლავრ-ი, მ-წუხრ-ი, მ-ხოლო-მ, მ-წნ, მ-წნ**. საინტერესოა ასევე, რომ გამოყოფილია **ა** შემდეგ სახელებში: **ა-დეილ-ი, ა-დევილ-ი, ა-დრე, ა-ლაგ-ი, ა-ხალ-ი, ა-ხლო; ხოლო ე -** სიტყვაში **ე-ჭვ//ი-ჭვ**.

ლექსიკონში უცხო წარმომავლობის სიტყვებს მიწერილი აქვს, რომელი ენიდან არის შემოსული. ასეთია, მაგალითად: **ანგელოზ-ი** (ангел); **დიაკონ-ი** (диаконост); **ბანაკ-ი** (банак); **გუნდ-ი** (гунд); **ტალავარ-ი** (талавар); **სბილო-მ** (перс.); **სტაგ-ი** (перс.); **ჭაბუკ-ი** (перс. быстрый, ловкий, изящный) юноша და ა. შ. (ამ უკანასკნელთან მითითებულია ნ. მარის ნაშრომი, რომელშიც არის მსჯელობა ამ სიტყვის ეტიმოლოგიაზე. წყაროზე მითითება ზოგ სხვა შემთხვევაშიც გვხვდება, მაგალითად, საკუთარ სახელთან **ხერკი** მითითებულია ივ. ჯავახიშვილის „ქართველ ერის ისტორია“).

ეტიმოლოგიური დახასიათება ან მინიშნება ახლავს არაერთ სიტყვას. ნიმუშად მოვიყვანთ ზოგიერთს:

„**ადამიან-ი** сын Адама, т. е. человек“;

„**ეგე** (<ჰე-გე) > **ეგ** этот (про предмет близ 2-го лица, ср. აგ); – **ეგე-ვითარი** такой; – **ეგ-ოდენ** тем более – **ეგ-რთ** таким образом, ეგ-რე, ეგრე-ცა“;

„**თხა-მ** козел, коза – **თხი-ერ-ი** мех (козий)“;

„**ლაგ**: **ა-ლაგ-ი** (<ჰა-ლაგ-ი) стезя, место; – **ლაგ-ებამ** положить, класть, убирать“.

ლექსიკონში, საზოგადო სახელების გარდა, წარმოდგენილია ონომასტიკური და ტოპონიმიკური ერთეულები, როგორებიცაა საკუთარი სახელები: **აზო-მ, ამაზასპ, ასფაგურ, ბაკურ, დერუკ, ვაჩე, ლევ** და სხვ.; კერპების სახელები: **ამინა, დანინა, გაიმ, გაცი, ზადენ** და სხვ.; ქალაქების, სოფლების, ზღვებისა და მდინარეების სახელები: **ბეთლემ-ი, ბოლატ, ზანავ-ი, კასპ-ი, ეგრის-წყალი** და სხვ. ზოგ სახელს, რომლებიც თანამედროვე ქართულში სახეცვლილია, მიწერილი აქვს ახალი დასახელებაც: „**ბოდინ-ი** (ბუდ-ი, ныне ბოდბ)“, „**ერწუ** (ныне ერწო)“...

აღსანიშნავია, რომ ლექსიკონში სახელურ და ზმნურ ფუძეებთან ერთად განმარტებულია მორფემებიც: დერივაციული აფიქსები, მიმღეობის მაწარმოებლები, ზმნისწინები, პირის ნიშნები. მაგალითად, სიტყვა-სტატიაში, რომელიც უ პრეფიქსს ეხება, განმარტებულია განსხვავებული წარმომავლობისა და სხვადასხვა ფუნქციის მქონე უ- პრეფიქსი: ა) მე-3 პირთან მიმართების გამომხატველი: **უ-გალობს**, ბ) აღმატებითი ხარისხის მაწარმოებელი: **უ-ბრწყინალწისი**, გ) უარყოფის აღმნიშვნელი: **უ-ბიწია**, დ) მოქმედი პირის გამომხატველი („преф. имени действующаго лица“): **უ-ფალი**.

ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, რომელსაც ახლავს ძველქართულ-რუსული ლექსიკონი, როგორც აღვნიშნეთ, სტუდენტთა პრაქტიკული მუშაობისათვის არის გამიზნული. სასწავლო მიზნით შექმნილ ნაშრომში ავტორი ცდილობს, სიტყვის განმარტებასთან ერთად, რაც შეიძლება, მეტი ინფორმაცია მიაწოდოს მკითხველს ამა თუ იმ სიტყვის აგებულებისა და წარმომავლობის შესახებ; დაეხმაროს მას ენაში არსებული მორფოლოგიური საშუალებებისა და კანონზომიერებების გარკვევაში. ი. ყიფშიძის ამ ნაშრომს ისევე, როგორც მის სხვა გამოკვლევებს, დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა.

სამწუხაროდ, ი. ყიფშიძის სამეცნიერო მემკვიდრეობიდან ზოგი რამ, რაც ხელნაწერების სახით იყო, დაკარგულა, მაგრამ რაც გადარჩა, არქივიცა და გამოქვეყნებული ნაშრომებიც, სადღეისოდ თავმოყრილი და გამოცემულია. სპეციალისტებს საშუალება აქვთ გაეცნონ მას და გაითვალისწინონ ამ დიდი მეცნიერის კვლევის შედეგები.

ლიტერატურა

იმნაიშვილი 1968 – ივანე იმნაიშვილი, იოსებ ყიფშიძე – ლექსიკოლოგი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავი, „თბილისის უნივერსიტეტი“, 1968 წ.

ყიფშიძე 1994 – იოსებ ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თსუ გამომცემლობა, 1994 წ.

ყიფშიძე 2015 – იოსებ ყიფშიძე, თხზულებანი, თსუ გამომცემლობა, 2015 წ.

Nino Chumburidze, Nana Loladze

Joseph Kipshidze on the Georgian Language

Summary

A well-known scholar and public figure - Joseph Kipshidze greatly contributed to studying Kartvelian languages. During his short life he created a few but very important and valuable works that are noteworthy in many ways.

The paper deals with J. Kipshidze's works and the records of his lectures regarding Old and New Georgian. They discuss such important issues as the position of the Georgian language in the classification of languages, the issue of its relationship with Laz, Megrelian and Svan languages and its significance at the modern stage; the issue of the origin of the Georgian alphabet and the periodization of literature; the causes and consequences of the language change; phonetic processes and their importance; the principles of establishing the norms of the literary language.

A chrestomathy of old Georgian literature compiled by him accompanied by an Old Georgian-Russian dictionary deserves a special mention. In this work, compiled for educational-practical purposes, along with the defining a word the author tries to provide as much information as possible to the readers about the structure and origin of a word. In many cases, their etymological description is also given which increases the scientific value of this dictionary.

მანანა ბუკია

იოსებ ყიფშიძის ღვაწლი მეგრულ-ლაზურის კვლევის საქმეში

„კავკასიოლოგიის ცის კაზადონის მნათობი ორიონის სარტყლიდან“ – ასე შეაფასა აკადემიკოსმა ნიკო მარმა თავისი საუკეთესო მოწაფის, იოსებ ყიფშიძის სამეცნიერო მოღვაწეობა.

მწელად თუ მოიძებნება ქართულ სამეცნიერო სივრცეში მეცნიერი, რომელმაც ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ასეთი ღირებული ნაშრომები დატოვა, ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა ლინგვისტური ქართველოლოგიის ერთ-ერთ მიმართულებას – მეგრულ-ლაზურის შესწავლას.

ი. ყიფშიძე ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლისას ჩაება აქტიურ სამეცნიერო საქმიანობაში, რამდენჯერმე იმოგზაურა სამეგრელოსა და ლაზეთში, სრულყოფილად შეისწავლა დიალექტებისა და კილოთქმების მიხედვით, ჩაიწერა უნიკალური ტექსტები, სალექსიკონო მასალა და მათი დამუშავების შემდეგ ლინგვისტურ ქართველოლოგიას შესძინა ისეთი გამოკვლევები, რომლებიც დღესაც, 100 წლის შემდეგ არ კარგავს მნიშვნელობას.

1909-1910 წლებში ი. ყიფშიძე პეტერბურგის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ მიავლინა სამეგრელოში მეგრულის შესასწავლად, 1910 წლის აგვისტოში კი ლაზეთში – ლაზურის შესასწავლად და ტექსტური მასალის შესაგროვებლად.

ლაზეთში მოგზაურობის შედეგად მალევე გამოქვეყნდა მისი „Дополнительные сведения о чанском языке“ (1911 წ.), რომელიც ავსებს ნ. მარის 1910 წელს გამოცემულ კვლევას „Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем“ (მარი 1910). ნაშრომს ერთვის ჩხალური მეტყველების ნიმუშები და მცირე ლექსიკონი.

1917 წელს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ და კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურმა ინსტიტუტმა ი. ყიფშიძე კვლავ მიავლინა ლაზეთში. ამ მივლინების დროს შეაგროვა უმდიდრესი ტექსტები, მასალები ლაზთა ეთნოგრაფიული, სოციალური, პოლიტიკური ყოფის შესახებ. ამ დროისთვის ი. ყიფშიძე ზედმიწევნით ფლობდა ლაზურს. ცნობილი მწერალი დავით კლდიაშვილი იხსენებს: „ლაზები გაკვირვებას იყვნენ ყიფშიძის ლაზური კილოკავების ზედმიწევნით ცოდნით; თქვენ პირონიტელები ასე ხმარობთ ამ სიტყვას, არხაველებმა ასე იცინაო, ვიწეში ასე ამბობენო, სოფლები ამგვარად გამოთქვამენო. თავშეყრილი ხალხი ისე

დააინტერესა, ისე ჩაიყოლა, შეახალისა, რომ პირდაპირ საყურებელი რამ სურათი იყო“ (ჩანაწერები 2013: 14).

ამ ტექსტებს, ექსპედიციის დღიურს და ანგარიშს მძიმე ბედი დაჰყვა. მათი ძირითადი ნაწილი დაიკარგა. როგორც მეცნიერის მეუღლე ევგენია ევაძე-ყიფშიძის იგონებს: „ეს ჩანაწერები ერთ დროს იოსების გარდაცვალების შემდეგ დაკარგული იყო ერთი მეორეზე გადაცემით. ბოლოს აღმოჩნდა ბაქოს მუზეუმისთვის ვიღაცას მიუყიდნია. შემდეგ საქართველომ დაიბრუნა და გადასცა დასამუშავებლად არნოლდ ჩიქობავას. ამან დაამუშავა და ტექსტი ჭანური გამოიცა 1939 წელს“ (ჩანაწერები 2013: 90-91).

სამწუხაროდ, არნ. ჩიქობავამდე ლაზური ტექსტების მხოლოდ ნაწილმა მიაღწია. იოსებ ყიფშიძე მივლინების საანგარიშო მოხსენებაში უთითებს, რომ „მეგროვილია სხვადასხვა ტექსტი ჭანური ენისა სულ მცირე 15 თაბახის მოცულობით“ (ყიფშიძე 1937: 147). ხელნაწერი კავკასიის-მცოდნეობის ინსტიტუტში ინახებოდა. რეორგანიზაციის შემდეგ დაიკარგა და მხოლოდ 1937 წელს დაუბრუნდა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტს. ხელნაწერის დაბრუნების შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ მას სულ ცოტა 9 თაბახი აკლდა.

1937 წელს ენიმკ-ის მოამბის პირველ ტომში გამოქვეყნდა ი. ყიფშიძის ჭანეთში მოგზაურობის საანგარიშო მოხსენება და მივლინების დღიური (ყიფშიძე 1937: 145-177). წარდგენაში არნ. ჩიქობავა წერს: „ხსენებული ტექსტების გამოცემა გადაუდებელი საქმეა. ამით შესაძლებელი გახდება გაირკვეს მთელი რიგი საკითხები, დაზუსტდეს სპეციალურ ლიტერატურაში წამოყენებული დებულებები და გამოთქმული ვარაუდები“ (ჩიქობავა 1937: 145).

1939 წელს გამოცემული ი. ყიფშიძის „ჭანური ტექსტები“, რომელიც შეიცავს ათინური, ვიწურ-არქაბული და ხოფური მეტყველების ნიმუშებს, დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას ენობრივი მრავალფეროვნების და თავისებურების გამო.

ი. ყიფშიძის ფუნდამენტური ნაშრომი *Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем* (1914 წ.) დღემდე შეუცვლელი სახელმძღვანელოა მეგრულის შესწავლის საქმეში. სწორედ ამ ნაშრომის დაცვით მიენიჭა მას ქართული ფილოლოგიის მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ერთი საუკუნის მანძილზე არაერთი მნიშვნელოვანი კვლევა განხორციელდა, ი. ყიფშიძის „მეგრული ენის გრამატიკა“ დღემდე რჩება დარგის ერთ-ერთ საუკეთესო ნაშრომად. წიგნში განხილულია მეგრულის ფონეტიკის, სახელთა ბრუნებისა და ზმნის უღლების საკითხები, მეტყველების სხვა ნაწილთა სპეციფიკური ბუნება.

ნაშრომს ერთვის „ქრესტომათია“ (ზუგდიდურ-სამურზაყანული და სენაკური ტექსტები – დიალოგები, ზღაპრები, ლექსები, ანდაზები, გამოცანები) და ვრცელი მეგრულ-რუსული ლექსიკონი, რომელიც 1990-იან წლებამდე მეგრული ლექსიკოგრაფიის ერთადერთი ნიმუში იყო. მართალია, ლექსიკონი თარგმნითი ხასიათისაა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში

ავტორი ურთავს ეტიმოლოგიურ კვლევებს და ენციკლოპედიურ ცნობებს, ნასესხებ ფორმებში მითითებულია სიტყვის წარმომავლობა, ამოსავალი ფორმა. ცალკეული სიტყვები ბუდეებშია წარმოდგენილი, ვრცლად არის განმარტებული მეგრული რწმენა-წარმოდგენების აღმნიშვნელი ტერმინები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ი. ყიფშიძის მივლინებების დღიურები, ანგარიშები, საგაზეთო პუბლიკაციები, ჩანაწერები. მათი ნაწილი ფართო საზოგადოებისთვის უცნობი იყო, ინახება საქართველოს ეროვნულ არქივში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ლიტერატურის მუზეუმის ფონდში. გამოიცა 2015 წელს (სამეცნიერო რედაქტორი გ. გოგოლაშვილი). ამ გამოცემამ სამეცნიერო სივრცეში დააბრუნა ი. ყიფშიძის არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი.

ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანია ი. ყიფშიძის მიერ 1912 წელს წაკითხული მოხსენება „მეგრული ენა და მისი შესწავლის ისტორია“, რომელიც ბოლო დრომდე უცნობი იყო ფართო საზოგადოებისთვის. მისი ორიგინალი საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში ინახება (სლმ № 24079), გამოიცა 2015 წელს (ყიფშიძე 2015).

ლექციის ტექსტი შეიცავს 68 ფურცელს, დაწერილია მელნით, მოგვიანებით ჩართული შენიშვნები და შესწორებები შესრულებულია ფანქრით.

ტექსტის ავტოგრაფში ჩანს, თუ როგორი რუდუნებით ემზადებოდა მკვლევარი საჯარო გამოსვლისთვის. ავტორი მსჯელობს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მეგრულის მეცნიერული შესწავლა.

მოხსენება რამდენიმე ნაწილისგან შედგება.

შესავალში მომხსენებელი ძალიან ემოციურად საუბრობს იმ დღეების მნიშვნელოვან მოვლენაზე – იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებაზე და მისი ღვაწლის ჩამოთვლის შემდეგ ამბობს: „ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სახარებასთან ერთათ იაკობის „დედა-ენაც“ იყო და არის ის ცემენტი, რომელიც აერთებდა გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ და ენათა სხვადასხვაობით დაყოფილ საქართველოს მკვიდრთა: კახელს, ქართლელს, იმერელს, გურულს, მეგრელს, სვანს და თუ სახარება აჭარა-ჭანეთში კარგა ხანია დადუმდა და მნელიც არის მისი იქ კვლავ ამეტყველდება, მე იმედი მაქვს, რომ „დედა-ენა“ ადრე თუ გვიან იქაც გასჭრის და აჭარლებს და ჭანებს, ვითარცა ცხოვართა წყმედულთა, კვლავ საქართველოს საერთო უშიშარ ბაკში მოუყრის თავს“ (ყიფშიძე 2015: 61).

მოხსენების პირველ ნაწილში მეცნიერი საუბრობს არასალიტერატურო ენების შესწავლის აუცილებლობაზე, შედარებისთვის საინტერესო და სახალისო პარალელი მოჰყავს: „როგორც ბიოლოგისათვის ერთნაირათ საჭიროა დიდი ორგანიზმების და პაწაწინტელა ერთი შეხედვით უმნიშვნელო ინფუზორიების, ბაქტერიების შესწავლა, როგორც ანატომია თანასწორ ყურადღებას აქცევს სხეულის საპატიო და სასირცხო ასოებს, აგრეთვე ენათმეცნიერებისათვის არ არსებობს სალიტერატურო და არასალიტერატურო ენები. ხშირათ, არასალიტერატურო ენებში ისეთი რამ არის დაცუ-

ლი, რაც სალიტერატურო ენაში დღეს აღარ იხმარება, ან სრულიად არ მოიპოება“ (ყიფშიძე 2015: 64).

შემდგომ ყიფშიძე გვთავაზობს თავის შეხედულებას ენის შესწავლის აუცილებლობაზე, ის ერთგვარად ფილოსოფიურ ჭრილში ჭვრეტს ენის არსს: „დიახ, ენა ერთგვარი სალაროა, სადაც თავმოყრილია და დაცული, ცალკე სიტყვებში თუ მათ კრებულში ჩამოყალიბებულია ხალხის სულის კვეთება, მისი ჭირი, მისი ლხინი, მისი რწმენა, მისი შეხედულება საზოგადოთ მსოფლიოზე და კერძოთ ადამიანზე, მთელი მისი ფილოსოფია და გამჭირიანობა. ამიტომაცაა რო ენის მეცნიერულათ შესწავლის მნიშვნელობა მარტო დღევანდელი დღით არ განისაზღვრება. ენის სალარო ხშირათ ერთათ-ერთი წყაროა, რომელიც გვაწვდის ცნობებს კაცობრიობის და თითული ერის ცხოვრების იმ ხანაზე, რომლის შესახებ არავითარი სხვა წყარო არ მოიპოება, არ მოიპოება არავითარი წერილობითი გინდ არაწერილობითი ნაშთი. აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ენათმეცნიერებას ისტორიისათვის და გასაგებია ის მოვლენა, თუ რისთვის აღიარეს ენათმეცნიერება ისტორიის დამხმარე მეცნიერებათ. ვერც ერთი სერიოზული ისტორიკოსი ენათმეცნიერებას გვერდს ვერ აუვლის, ნამეტურ, როდესაც ეხება კაცობრიობის, ან ცალკე ეროვნების ისტორიის ძველ ხანას, თუ სურს, რასაკვირველია, მეცნიერული ისტორია დასწეროს, ე. ი. რაც ნამდვილი იყო წარსულში და არ გაიმეოროს ის ზღაპრული შეხედულება კაცობრიობის და ცალკე ერის ისტორიის ძველი დროის შესახებ, რომელიც შემუშავდა იმ დროს, როდესაც მეცნიერული კვლევა-ძიების ჭაჭანებაც არ იყო ან და იყო მისი მხოლოთ სუსტი ჩანასახი“ (ყიფშიძე 2015: 63).

მეცნიერი მიუთითებს იმ ფონეტიკურ თუ ლექსიკურ თავისებურებებზე, რომლებიც სალიტერატურო ქართულში გამქრალია, მაგრამ მონათესავე მეგრულ-ჭანურისა და სვანურის მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ოდინდელი ვითარების აღდგენა. ამის მაგალითად მოჰყავს სალიტერატურო ქართულში გამქრალი ჯ, რომელიც დაცულია მთის დიალექტებსა და სვანურში.

საჯარო გამოსვლის ერთი საინტერესო პასაჟია ი. ყიფშიძის მსჯელობა კვირის დღეების სახელწოდებებთან დაკავშირებით. ლექციის ამ მონაკვეთში მეცნიერი მსჯელობს მონათესავე ენათა მონაცემების მნიშვნელობაზე საერთოქართველური ენობრივი სიტუაციის და საზოგადოებრივი ცხოვრების წარმოსადგენად (სტილი დაცულია): „მოგეხსენებათ, ქართულში, მიუხედავათ იმისა, რო თითქმის 15 საუკ. ლიტერატურა აქვს, დღეების სახელები ნასესხებია: აღებულია ქვაკუთხედათ ებრაული შაბათი და ამას მიჰყვება დღეების სახელები: ერთშაბათი (რაც ქრისტიანობის მიღების შემდეგ ბერძნულ კვირეთ შეიცვალა...“, მეგრულ-ლახურსა და სვანურში კი ოდინდელი ვითარებაა დაცული და გვიჩვენებს, რომ წარმართულ ეპოქაში ქართველები მნათობების სცემდნენ თავიანთს. თავისი ვარაუდის განსამტკიცებლად მოჰყავს მეგრული ხალხური ლექსი და გამონათქვამები: **ზეა ჩილი რე დო თუთა ქომონჯი; თუთა მუჟანგე დინგნი, თიმწკვმა ზეაწკვმა ნოჯანუე** „მზე ცოლია და მთვარე ქმარი; მთვარე როცა იკარგება, თურმე

მზესთან წოლილა“; **ხეა დია ჩქიმი, / თუთა მუმა ჩქიმი, / ხვიჩა-ხვიჩა მუ-რიცხეფ / და დო ჯიმა ჩქიმი** „მზე დედა ჩემი, / მთვარე მამა ჩემი, / გაბად-რული ვარსკვლავები / და და ძმა ჩემი“. ი. ყიფშიძეს მეგრულ ტერმინთა განხილვისას მოჰყავს პარალელური ფორმები ლაზურიდან. სამშაბათის აღმნიშვნელ **თახაშხა** ფორმაზე წერს: „ეტიმოლოგია ამ სიტყვის ჯერჯერობით ბუნდოვანია, შეიძლება *დიხაშხა-ს ნიშნავდეს, მიწის დღეს“. **ჯუმაშხა** (თუ ნასესხები არ არის არაბულ-თათრულიდან, იქნება ნიშნავდეს ძმის დღეს, ლაზურათ ჯუმა, მეგრ. ჯიმა ნიშნავს ძმას... **ობიშხა** – ამ სიტყვის ეტიმოლოგიაც ბუნდოვანია ჯერჯერობით, სვანურათაც ობიშ, ან ვებიშ; პრ. ცაგარელი ფიქრობს, რომ ობიშხა და ვებიშ წარმომდგარია სვანური სიტყვა ობი, ვები, უები, რაც ნიშნავს: წერა, ბედისწერა, ხვედრი“ (ყიფშიძე 2015: 66).

შემდგომ ი. ყიფშიძე ყურადღებას მიაქცევს ნათესაობის ტერმინებს, რომლებიც წარმოგვიდგენენ „თუ რა ბევრი რამ საყურადღებო არის დაცული არასალიტერატურო ენაში სალიტერატუროსთან შედარებით“. ასეთია, მაგ.: მეგრული **დიანთილი / მუანთილი**, „დედამთილი“ / „მამამთილი“, რაც ეტიმოლოგიურად „დედინაცვალს“, „მამინაცვალს“ ნიშნავს, და რომლის **თირ-უა** „ცვლა“ ძირი ჩანს ქართულ **დედამთილ-ი / მამამთილ-ი** ფორმებში; მეგრული **მუმაცონირი, დიდაცონირი** „დედინაცვალი“, „მამინაცვალი“ ეტიმოლოგიურად „მამადამყნილი“, „დედადამყნილი“ (**ყონუა** „მყნა“); ქართული ქვისლის შესატყვისია **ქვიშილი**, მაგრამ იქვე გვაქვს **სინ-დაცალეფი**, ეტიმოლოგიურად „სიმე-შტოები“; მეგრულად ნათლია **მორდია-ა**, რაც „გამზრდელს“ ნიშნავს... (იქვე, გვ. 67-68).

ი. ყიფშიძე მოხსენების დიდ ნაწილს უთმობს ქართულ-მეგრულ ბგერათმესატყვისობებს, განიხილავს შესაბამის ფორმებს: **წვიმა ≈ ჰვემა, მწყერი ≈ ჰყორი, მეფე ≈ მაფა, მესერი ≈ მასარი, ხარი ≈ ხოჯი, ღორი ≈ დე-ჯი...** აკეთებს ძალზე საინტერესო, თამამ დასკვნებს. ის ამბობს: „როდესაც ჩვენ რამე სიტყვას ამნაირათ მოვწახავთ ყველა თანამომძე ენებში, მაშინ თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რო ეს სიტყვა ნამდვილი ჩვენი სიტყვაა, და თუ ამ სიტყვის რომელიმე ფორმა უცხო ენაში გვხვდება, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უცხო ენას ჩვენგან წაუღია ეს სიტყვა; ავილოთ მეგრ. **ჩქვჩქვ** (ბავშვი), ქართულში უდრის **ჩჩვილი** (ქ. ჩ = მეგრ. ჩქ, ქ. ჩემი = ჩქიმი, დაბოლოება **ლი** კი მეგრულში იკარგება : ქ. ხელო, მ. ხე), მეგრულ **ჩქვჩქვ** კი ძლიერ წაგავს ოსმალური **čucuk** რაც აგრეთვე ნიშნავს **ბავშვს**, თუ, ამ სიტყვის შორის შემთხვევითი ერთგვარხმოვანება (совзвучие) არ არის, მაშინ ოსმალურს ეს სიტყვა მეგრულიდან უსესხნია“ (იქვე, გვ. 69).

მოხსენებაში ი. ყიფშიძე მიმოიხილავს მეგრულის შესწავლის ისტორიას, განიხილავს ისტორიულ წყაროებს, სადაც მეგრულის ნიმუშებია დაცული (ევლია ჩელები, არქანჯელო ლამბერტი, შარდენი...), აგრეთვე მეგრულთან დაკავშირებულ სამეცნიერო ნაშრომებს (გიულდენშტედტი, კლაპროტი, როზენი, ბროსე). განსაკუთრებული პატივისცემით და გულისტკივილით საუბრობს ა. ცაგარლის ღვაწლსა და შრომაზე, რაც მან მეგრულის შესწავლის საქმეში ჩადო, შემდეგ აღნიშნავს: „სამწუხაროთ, პრ.

ცაგარელის შრომას მეცნიერთა მხრით ნაცვლათ ჯეროვანი დაფასებისა, წილად ხვდა გულგრილობა და ნაცვლათ თანაგრძნობისა, საზოგადოების მხრით წინააღმდეგობა და საყვედური... პრ. ცაგარელზე ცუდათ იმოქმედა მისი მეცნიერული შრომის ასეთმა უსამართლო დაფასებამ და კალამი ხელიდან გააგდო: იმას აზრათ ჰქონდა მეგრული ლექსიკონისა და ლინგვისტური ქარტის (რუქის) გამოცემა, მაგრამ ყველაფერ ამას თავი დაანება და მეგრული ენის შესწავლა 30 წლ. შეჩერდა“ (ყიფშიძე 2015: 74).

მოხსენების მეორე ნაწილში განხილულია მეგრულის ფონემატური სტრუქტურა, მეგრულისთვის დამახასიათებელი ბგერები; მორფოლოგიის ძირითადი საკითხები (ბრუნების სისტემა – მეგრულისთვის დამახასიათებელ ბრუნვები – მიმართულებითი და დაშორებითი ბრუნვები; მითითებულია, რომ წოდებითი ბრუნვა მეგრულს არ გააჩნია; ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები, კერძოდ, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მეგრულში ქართულისგან განსხვავებით გვხვდება თანაობითი ხარისხი, მოჰყავს მაგალითები: სქანი **მასქვამა**, სქანი **მადატაკა... მა-გვარი**; განხილულია პირის ნიშანთა ალოფონები, ზმნის მწკრივები, პოტენციალისის კატეგორია), საგანგებოდ მსჯელობს მეგრულის ერგატიული კონსტრუქციის თავისებურებაზე – აორისტში მეგრული ქვემდებარე, მიუხედავად ზმნის გვარისა, ყოველთვის მოთხრობით ბრუნვაში დგას – და მის გამოვლენაზე მეზობელ ქართულ დიალექტებში, კერძოდ, მორფოლოგიური მეგრელიზმის ნიმუშად მოჰყავს იმერულსა და გურულში გავრცელებული **კაცმა მოვიდა**, **კაცმა წავიდა**, რომელიც მეგრულის ერგატიული კონსტრუქციის გავლენითაა გაჩენილი.

მომხსენებელი საგანგებოდ აღნიშნავს მეგრულში გავრცელებულ ბარბარიზმებს, ნეოლოგიზმებს, ნასესხებ სიტყვებს. განიხილავს იმ ფონეტიკურ მოვლენებს, რომელიც თან სდევს მეგრულში სიტყვის სესხებას. გამოყოფს სენაკური და ზუგდიდურ-სამურზაყანული თქმებს.

მოხსენების ბოლო ნაწილი ეხება მეგრულ ლექსიკას და მეტყველების ნიმუშებს. კერძოდ, ი. ყიფშიძე საუბრობს ტაბუირებულ მეტყველებაზე (ამ უკანასკნელის განხილვისას, ფიქრობთ, სარგებლობს თ. სახოკიას ეთნოგრაფიული ნაშრომით „მოგზაურობანი“, რომელიც, ცალკეული ეპიზოდების სახით იბეჭდებოდა მე-19 საუკუნის დასასრულის ქართულ პერიოდიკაში), ფოლკლორზე, მოჰყავს ძალიან საინტერესო პარალელები, ერთი მხრივ, მეგრულ ზღაპრებსა და, მეორე მხრივ, „ვეფხისტყაოსანს“ და „მაჰნამეს“ შორის.

ვრცელი მოხსენება მთავრდება სიტყვებით: „იცოდეთ, რომ საქართველოს დრო სანატრელი მაშინ ხვდა მხოლოდ, როს შეუერთდა ფარნაოხ ქართლელს ქუჯი მეგრელი“.

გაზეთ „კოლხიდის“ 1911 წლის №117 მაკომვილი-ალექსიძის ფსევდონიმით დაიბეჭდა ი. ყიფშიძის პუბლიკაცია „**ოდიშა და სამურზაყანოში (მგზავრის შენიშვნები)**“. სტატიაში ი. ყიფშიძე კვლავ განიხილავს მეგრულის ადგილს და მნიშვნელობას ქართული სალიტერატურო ენის გან-

ვითარების ისტორიაში: „ქართულში ბევრი მეგრული, ლაზური და სვანური სიტყვებია, რის მოწმეა ქართული დაბადების ტექსტი და სხვა ლიტერატურული [მეგლები], მაგალითად, ვეფხისტყაოსანი“; მიმოიხილავს არაერთ საჭირობოროტო საკითხს, რომელიც დგას იმდროინდელი ქართული საზოგადოების წინაშე; მოჰყავს სალხინოს კარის ეკლესიის სვეტზე ამოჭრილი ჩახრუხაულით გაწყობილი წარწერა, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუში და დასძენს: „აი, რა დიადი, უძვირფასესი საუნჯე შეუძლია მეგრელ ხალხს მთელ ქართველ ერთან ერთად! და განა საუნჯის ესე ვითარის დაკარგვა შესაძლოა? არა! არა, სანამ ცოცხლობს ერი, რომელიც ჭეშმარიტ ეროვნულ თვითშემეცნებაზე ამყარებს როგორც თავის თავის ღირსება-სიამაყე, აგრეთვე სხვის გაცნობას და პატივისცემას“.

ძალზე საინტერესოა ო. ყიფშიძის ეთნოლოგიური ნაშრომი „Религиозныя вѣрованія мингрельцевъ“, რომლის ავტორისეული ხელნაწერი ინახება ლიტერატურის მუზეუმში (სლმ №24080), გამოქვეყნდა 2015 წელს (ო. ყიფშიძე, თხზულებანი).

ავტორი ძალზე საინტერესოდ საუბრობს მეგრელების მიერ წინასწარმეტყველების წიგნად მიჩნეულ ერთზე, ოთუთაშხურზე, ჭეჭეთობის დღესასწაულზე, მთვარის, მჭედლობის, ხეების, მირსას კულტზე, წარმართულ ღვთაებებზე. ნაშრომს განსაკუთრებულ ღირებულებას მატებს ის ფაქტი, რომ მეგრული ეთნოლოგიის ერთ-ერთი პირველი კვლევაა. ამ დროისთვის არსებობდა მხოლოდ ო. ქობალიას „Из мифической Колхиды“ და თ. სახოკიას „სამურზაყანო“. გულდასაწყვეტია, რომ ფართო სამეცნიერო საზოგადოება ამ ნაშრომს ბოლო წლებამდე არ იცნობდა.

მეგრულის მეცნიერული შესწავლის საკითხს ეხება ო. ყიფშიძის პატარა, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი პუბლიკაციები: „Мингрелизмы в грузинских надписях из Мингрелии“ და „Еще о мингрелизмах в грузинских надписях из Мингрелии“ (1917 წ.). სტატიებში განხილულია სამეგრელოში დაცულ ლაპიდარულ წარწერებში აღმოჩენილი მეგრულიზმები: „[შემოგვიწირავს] მათის სახლის კაცითა, მამული და ალაგითა“ – უნდა იყოს მამულითა; ასევე ფორმები: ყოვლადი-წმიდა (< ყოვლად-წმიდა), ნათლისმცემელი (< ნათლის-მცემელი), მთავარი-ანგელოზი (< მთავარ-ანგელოზი)...

სხვა მეცნიერულ ღირებულებასთან ერთად ო. ყიფშიძის „საანგარიშო მოხსენება ჭანეთში საენათმეცნიერო მივლინებისა 1917 წლის ზაფხულს“ (ენიმკ-ის მოამბე №1) იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ავტორი უთითებს ყველა გეოგრაფიულ ადგილს, სადაც გაიარა, ან ინფორმაციებისგან ჩაიწერა. დღეს ყველა ლაზური ტოპონიმი შეცვლილია თურქულით. ლაზური ტოპონიმების ცვლას საფუძვლად დაედო ქემალისტური რევოლუციის შემდგომი ენობრივი პოლიტიკა. დასახლებებს და არა მარტო მათ, უპირობოდ გადაერქვა სახელები. ო. ყიფშიძის მიერ მითითებული ტოპონიმები მნიშვნელოვანია მათი ოდინდელი ლოკაციის და ავთენტური დასახელების გასარკვევად.

ლაზეთში მოგზაურობის გამოძახილია ი. ყიფშიძის ეთნოგრაფიული წერილი „ჭანეთი და ჭანები“ (დაიბეჭდა ჟურნალში „ნაკადული მოზრდილთათვის“, 1911 წ. №8), „ცოტა რამ ჩვენი თანამომძე ჭანების შესახებ“ (ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ. №26), „მცირე შენიშვნა“ (გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1912, № 779).

ეთნოგრაფიულ წერილში „ჭანეთი და ჭანები“ მკვლევარი გულისტკივილით აღნიშნავს: „...მოწყვეტილები არიან ჩვენგან. ამასთანავე ჩვენ – ქართველებსაც მივიწყებულნი გვყვანან ეს ჩვენი ძმები და იმათსაც არც კარგსა და არც ავს აღარ ვკითხულობთ“ (ყიფშიძე 2015: 346). წერილში აღწერილია ლაზეთის გეოგრაფიული მდებარეობა, ტოპონიმები, მეურნეობა, ლაზთა ყოფა, ლაზური მეტყველება. ი. ყიფშიძე შენიშნავს, რომ ლაზური „ქალების ენაა“, რადგან მათ უკეთ დაუცავთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი უცხოთან კონტაქტს გაურბიან, ამიტომ ვერ ხერხდება უძვირფასესი ფოლკლორული, ეთნოლოგიური, ლექსიკური მასალის ჩაწერა. მეცნიერი საუბრობს ეთნონიმ ჭან-ზე და მიიჩნევს, რომ ის მომდინარეობს კაენფორმისგან. ჭ ≈ კ მიმართებისათვის განიხილავს სიტყვათა წყვილს ჭახი ≈ კახი „ბელურა“, მჭოხა ≈ კოხა „უმწიფარი“, „მჟავე“. მეორე ეთნონიმი ი. ყიფშიძეს ლაზი სვანურიდან მომდინარედ მიაჩნია: „შესდგება წინსართ (პრეფიქსი) „ლა“-საგან, რომელიც სვანურში ადგილის აღმნიშვნელია და სიტყვა „ზან“-ისაგან. „ზან“-ს კი სვანები ახლაც ეძახიან მეგრელებს და წინათ, ალბათ, ჭანებსაც. ამგვარად, „ლაზიკა“ ნიშნავს ჭან-მეგრელებით დასახლებულ ადგილს და „ლაზი“ (ლაზანი) ლაზეთში მცხოვრებს. სახელწოდება „ჭანეთი“ და „ჭანი“ უფრო გვიანდელია, ვიდრე „ლაზიკა“ და „ლაზი“ (ყიფშიძე 2015: 350).

მეორე სტატიაში „ცოტა რამ ჩვენი თანამომძე ჭანების შესახებ“ (ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ. №26) ი. ყიფშიძე საუბრობს იმ სატკივარსა და გასაჭირზე, რომელიც პირველმა მსოფლიო ომმა დაატეხა თავს ლაზეთს. იმპერიებს შორის მოქცეულმა ლაზებმა დიდი მსხვერპლი გაიღეს, ორ არათანაბარ ნაწილად გაყოფილი ლაზეთი ომის ასპარეზად გადაიქცა. ავტორი მიიჩნევს, რომ ამდენი მსხვერპლი, ამდენი სისხლი ლაზეთისა უკვალოდ არ უნდა დაიკარგოს და ლაზეთი დაადგეს აღორძინების გზას.

ი. ყიფშიძე ხაზს უსვამს ერთ სავალალო მდგომარეობას, რამაც გამოიწვია გაუცხოება ლაზებსა და დანარჩენ ქართველთა შორის: „მაჰმადიანი ქართველები საზოგადოდ და კერძოდ ლაზები ჩვენ „თათრებად“ გამოვაცხადეთ და იმათაც „ქართველობაზე“ ხელი აიღეს, რადგან „მაჰმადიანი“ ჩვენის ყალბის შეხედულებით „თათარს“ ნიშნავდა, მაჰმადიანისთვის კი „ქართველი“ (გურჯი) „ქრისტიანსა“ ნიშნავდა“ (ყიფშიძე 2015: 355).

მეცნიერი მიიჩნევს, რომ გათიშული ძმების გაერთიანებაში მეტი პასუხისმგებლობა ქართველებს აკისრიათ, ქართველებმა უნდა გაუწოდონ ნუგეშისა და დახმარების ხელი და ლაზებში კვლავ აღორძინდეს ეროვნული სული“ (იქვე).

აფხაზეთში მცხოვრები ლაზების საკითხს ეხება ი. ყიფშიძის წერილი „მცირე შენიშვნა“ (გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1912, № 779). ავტორი კვლავ წუხს ლაზთა გაუცხოების გამო და ხაზს უსვამს საქართველოს ვალს მათი ინტეგრაციის საქმეში. ლაზური აქაც „დიაცთა“ ენადაა მიჩნეული, კაცები თავილობენ მშობლიურ ენას და თათრული ურჩევნიათ. თუ ასე გაგრძელდა, „ჭანები, – ეს ერთი უძველესი ტომთაგანი, ლითონის დამუშავების გამომგონნი და კაცობრიობისთვის მისი გადამცემი, – თავისი თავის ცნობას მთლად დაჰკარგავენ და ვედარც სხვა ვინმე იცნობს მათ“ (ყიფშიძე 2015: 359)

ეს არის მცირე, რაც შეიძლება ითქვას ი. ყიფშიძის უდიდეს ღვაწლზე მეგრულ-ლაზურის შესწავლის საქმეში. და რაოდენ დასანანია, რომ ამ საოცარი ნებისყოფის, ნიჭიერების, მონდომების და საქმის სიყვარულის მქონე ადამიანმა ძალიან ახალგაზრდამ, სულ რაღაც 35 წლისამ დატოვა წუთისოფელი.

და კვლავ ნიკო მარის სიტყვებს გავიხსენებთ, რომელიც ასე გამოეხმაურა თავისი საუკეთესო მოწაფეების, იოსებ და დავით ყიფშიძეების და სილიბისტრო ლომიას უდროო გარდაცვალებას: „**თითქოს ჩამოზნულდა არა მარტო ჩვენს ისედაც ღარიბ ცის კამარაზე, არამედ სულშიც. ხოლო კავკასიოლოგიური მასალების ცოცხალ არქივში კიდევ მეტი სიზნელა, კიდევ მეტი მწუხრი**“ (ჩანაწერები 2013: 16).

ლიტერატურა

მარი 1910 – Н. Я. Марр. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем. С.-Пб.

ყიფშიძე 1937 – ი. ყიფშიძე, I. საანგარიშო მოხსენება ჭანეთში საენათმეცნიერო მივლინებისა 1917 წ. ზაფხულს; II. მივლინების დღიური, ენიმკის მოამბე, I, ტფილისი.

ყიფშიძე 2015 – ი. ყიფშიძე, თხზულებანი.

ჩანაწერები 2013 – იოსებ ყიფშიძე, ევგენია ეგაძე-ყიფშიძისა, დავით ყიფშიძე, ჩანაწერები, თბილისი.

ჩიქობავა 1937 – არნ. ჩიქობავა, რედაქტორის წინასიტყვაობა, ენიმკის მოამბე, I, ტფილისი.

Manana Bukia**Joseph Kipshidze's Contribution to Studying Megrelian-Laz**

(Summary)

Ioseb Kipshidze is a unique phenomenon in the Kartvelological science of the 20th century. It is difficult to find a researcher in the Georgian scientific space who left such valuable works in a short period of time. In fact, he laid the foundation for one of the directions of linguistic Kartvelology - Studying Megrelian-Laz.

The paper discusses several papers by Ioseb Kipshidze dedicated to studying Megrelian-Laz and the text of the report that was unknown to the public until recently. Some of them were published in magazines and newspapers at the beginning of the last century, while others were unpublished. The materials preserved in the fund of the Museum of Literature, the National Archives of Georgia, National Center of Manuscripts were published in 2015 (scientific editor G. Gogolashvili). This publication brought J. Kipshidze's important works back to the scientific space.

In these papers J. Kipshidze will be presented to the readers not only as a researcher with a unique linguistic intuition but also as a sincere supporter and globally minded person of the country.

მეცნიერის არქივიდან

იოსებ ყიფშიძე

მეგრელთა რელიგიური რწმენა-წარმოდგენები¹

იაფეტურ კულტებსა და მითოლოგიაზე ვრცელ და სრულ მასალას გვაწვდის მეგრელთა რწმენა-წარმოდგენები. მათ რელიგიურ მსოფლადქმაში ისევე, როგორც მონათესავე ქართველების, სვანების, აფხაზების რელიგიურ წარმოდგენებში ირეკლება წარმართული ეპოქის გამოძახილი.

მასალები მეგრელთა რწმენა-წარმოდგენების შესახებ გაფანტულია რუსულ და ქართულ პერიოდულ გამოცემებში. განსაკუთრებული სისრულით გამოირჩება ი. ქობალიას „Из мифической Колхиды“², თ. სახოკიას ქართულ ენაზე გამოცემული „სამურზაყანო“ და „ახალი წელი სამეგრელოში“³. საკითხთან დაკავშირებით მეტ-ნაკლებად სრული ჩამონათვალი მაქვს მითითებული ჩემ ნაშრომის Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем შესავალში.⁴ მასალის ნაწილი მოვაგროვე სამეგრელოში ლინგვისტური ექსკურსიის დროს, ნაწილი კი მეგრულ ზღაპრებშია წარმოდგენილი.

ეს მასალა ნაწილობრივ უკვე გამოყენებული აქვს ი. ჯავახოვს [ი. ჯავახიშვილი – მ. ბ.] თავის ნაშრომში, რომელიც ეძღვნება ქართველი ერის ისტორიას, გამოქვეყნებულია ქართულ ენაზე,⁵ მასზე მიუთითებს ნ. ჯანაშია თავის ნაშრომში „Религиозныя вѣрованія абхазовъ“, რომელიც ამ დარბაზში წაიკითხა ნ. მარმა მიმდინარე წლის 24 აპრილს, უკვე დაბეჭდილია კრებულში Христианский Восток.⁶

მასალა, რომლის წარდგენის პატივი მაქვს დღეს თქვენს წინაშე, შეეხება იაფეტიდებისათვის უმნიშვნელოვანეს ასტრალურ კულტს.⁷ ასტრალურ კულტს უკავშირდება მცენარეთა / ხეების, ცხოველთა, მჭედლობის კულტი, ასევე მეგრელთა სხვა რელიგიური რწმენა-წარმოდგენები.

¹ ხელნაწერი ინახება საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში (სლმ № 24080).

² იხ. Сборник матеріаловъ для описанія мѣстностей и племень Кавказа, XXXII, განყ. III, გვ. 89-124.

³ ჟურნალი „მოამბე“, 1897, №№ I, VI.

⁴ იხ. გვ. XXX-XXXIII.

⁵ ქართველი ერის ისტორია, თ. III.

⁶ ტ. IV გამ. I, გვ. 72-112.

⁷ ი. ჯავახოვი, ნ. მარი.

მეგრელებს სწამთ წინასწარმეტყველთა წიგნის **ერტი**, რომელიც დიაკონ მირცხულავას დაუწერია. გადმოცემით, ამ წიგნში ნაწინასწარმეტყველებია დადიანთა დინასტიის მეფობა მეექვსე მუხლამდე, შემდეგ სამეგრელო სამუდამოდ უნდა გადაეცეს წითელ კაცს, ანუ რუსს.¹

ჩვენთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, რა წერია წინასწარმეტყველთა წიგნში. ყურადღებას იქცევს თავად წიგნის სახელწოდება **ერტი** და მისი დამწერის გვარი – **მირცხულავა**. **ერტი** მიღებულია ქართული სიტყვიდან „**ეტლი**“ თანხმოვანთა ბუნებრივი გადასმით. ლ იცვლება რ თანხმოვნით, როგორც მაგ. ქართული **კლება** მეგრულში გვხვდება **რკება** ფორმით. ქართულში სიტყვა **ეტლი** აღნიშნავს პლანეტას, ჰოროსკოპს, ბედისწერას. ეტლის წიგნი ბედისწერის წიგნია. გვარი **მირცხულავა** იმავე ძირისაა, რაც **მურიცხი** / **მურუცხი** და აღნიშნავს ვარსკვლავს. მირცხულავა ზედმიწევნით ვარსკვლავის ძეს, ვარსკვლავთმრიცხველს, ქურუმს, მოგვს ნიშნავს. ყოველივე ეს მიგვანიშნებს, რომ სამეგრელოში არსებობდა ქურუმთა, ზეციური მნათობების მსახურთა კასტა. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ ახლო წარსულში სამეგრელოში, სუჯუნის წმინდა გიორგის ეკლესიასთან ცხოვრობდნენ წინასწარმჭვრეტი ქურუმები. ტაძრის დღესასწაულზე, 23 აპრილის ღამეს ქადაგი იკეტებოდა ეკლესიაში, დილას გამოდიოდა ხალხის წინაშე და მათ უცხადებდა მთელი წლის მოსალოდნელ ამბებს.² ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ წინასწარმჭვრეტმა ღამე გაათია წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში, წმინდა გიორგისა, რომელმაც შეცვალა მთვარის კულტი. გარდა ამისა, ღამისთევა აღესრულება მთვარის პატივსაცემად. არქ. ლამბერტის ცნობით, ილორის წმინდა გიორგის ტაძრის დღესასწაულზე სამსხვერპლო ხარს კლავდა მხოლოდ ერთი გვარის, ოჯახის წარმომადგენელი ილორის მკვიდრი. ამ გვარს ოდითგანვე ჰქონდა ეს მოვალეობა. მის ოჯახში ინახება წმინდა რელიკვია – ნაჯახი, რომლითაც უნდა დაკლულიყო სამსხვერპლო ხარი.

მთვარე ითვლებოდა მთავარ მამაკაცურ ღვთაებად. არქანჯელო ლამბერტი გვაწვდის ცნობას იმის შესახებ, რომ მეგრელთა უმთავრესი ღვთაება იყო მთვარე. ეხება რა მეგრელთა რწმენა-წარმოდგენებს (ლამბერტი მას „ცრურწმენას“ უწოდებს), ის წერს: „უმთავრესი ცრუმორწმუნეობა მეგრელებისა შეეხება მთვარეს. მეგრელებს ისე ეშინიათ მთვარისა, რომ არც ეშმაკისა, არც წმიდანებისა, არც ანგელოზებისა და არც თვით ღმერთის იმდენად არ ეშინიათ. სწამთ, როგორც სიმბოლო სარწმუნოებისა, რომ მთვარეზე არის დამოკიდებული ყოველივე მათი ბედი და უბედობა და განრისხებული მთვარე უგზავნის მათ ყოველგვარ უბედურებას, სნეულებას და თვით სიკვდილსაც“.

მეგრელთა ასტრალურ კულტზე მიგვითითებს რამდენიმე დღის სახელწოდებაც, მაგ. კვირა – **ყაშხა**, ზედმ. „მზის დღე“, ორშაბათი – **თუთაშხა**, ზედმ. „მთვარის დღე“, ხუთშაბათი – **ცაშხა**, ზედმ. „ცის დღე“. ამათგან ორ-

¹ ქობალია, გვ. 122.

² A. A. Цагарели, журн. М. Н. 1877, დეკემბერი, გვ. 217, მოსივე – Мингрельские этюды I, გვ. 66.

შაბათი განსაკუთრებული პატივით სარგებლობს. ლამბერტის გადმოცემით: „დიდის გულმოდგინებით პატივს სცემენ მთვარის დღეს (ორშაბათს)... ამ დღეს ხორცს არ ჭამენ, თუნდაც შობა დღე დაემთხვეს... პირველად რომ ახალი მთვარე გამოჩნდება, ერთი მეორეზე უწინ ჩქარობს დანახვას. ერთი რომ დანახავს, თავის ამხანაგს უჩვენებს. მის დანახვაზე ზოგი ხელეებს გაიშვერს მთვარისაკენ, ზოგი – ქარქაშიდან ამოღებულ ხმალს, ზოგი – დანას და ზოგი ქუდს მოუხდის და თაყვანსა სცემს. ორშაბათ დღეს სამგზავროდ არ წავლენ, რაც უნდა დიდი საქმე ჰქონდეთ. ხოლო თუ გზაში უკვე არიან, ამ დღეს წყალს არ დალევენ არც მდინარისას და არც წყაროსას, თუნდაც წყურვილით კვდებოდნენ. ამტკიცებენ, რომ ამ დღეს მთვარე აჩენს თავის ძალას და ბოროტებასო და გველებისა და შხამიან ცხოველთა შემწეობით წყლებს ისე შხამავს, რომ თუ ვინმე დალევს, უსათუოდ ავად გახდება... ამ დღეს არავინ სახლიდან არაფერს გასცემს... ამ დღეს არავითარ სამძიმო საქმეს არ დაიწყებენ. ერთი სიტყვით, – ამთავრებს ლამბერტი, – ისე უქმობენ ორშაბათს, როგორც ებრაელები შაბათს.“

აქედან გამომდინარე, ორშაბათი დიდი პატივისცემით სარგებლობს დღესაც. დიდმარხვის პირველ ორშაბათს **თუთაშხაბედინერს**, ე. ო. „ბედნიერ ორშაბათს“ ეძახიან. მეგრელთა წარმოდგენით, ამ დღეს დაწყებული ნებისმიერი საქმე წარმატებით სრულდება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამ დღეს უნდა დაიწყოს ბავშვმა სწავლა. ამასთან დაკავშირებით ასრულებენ შემდეგ რიტუალს: ბავშვს დასვამენ იატაკზე, წინ დაუდებენ ორ წყლიან ვარცლს. ბავშვი შიშველი ფეხით რამდენჯერმე გამოსახავს ჯვრის სახეს წყლიან ვარცლში, ამავდროულად უყურებს გაშლილ ანბანს. ამ დროს მას ასწავლიან ასოების სახელწოდებებს. ამ დღეს შესრულებულ ლოცვას **ოთუთაშხური**, ანუ „საორშაბათო“ ჰქვია. ღამით ასე მკითხაობენ: ვახშმის შემდეგ ჭამენ **წყვთე კვარს** – ძალიან მლაშე კვერებს და იძინებენ იმედით, რომ ძილში საბედო გამოცხადებათ და წყალს დააღვინებთ (Сборник XXXII, გან. III, გვ. 101-102).

მთვარის კულტზე მიუთითებს სამეგრელოში გავრცელებული ღამეული მკითხაობა, განსაკუთრებით მიძინების და ელიობის დღესასწაულზე.¹

ეს დღესასწაულები მთავრდება **ჰეჰეთობით**. ხალხური რწმენით, ბოროტი სულით – **მაზაკვალით** (მზაკვარი, ჯადოქარი) შეპყრობილი კაცები და ქალები **ჰეჰეთობა** ღამეს ადიან უახლოეს მთასა თუ გორაკზე და იქიდან უსმენენ, თუ რა ხდება სახლებში. თუ რომელიმე სახლიდან ნაჯახის დარტყმის ხმა გაიგონეს, ეს ნიშნავს, რომ იმ ოჯახში წლის განმავლობაში მამაკაცი გარდაიცვლება. თუ ნაჯახის ხმა ხმაურით და ხშირად განმეორდა, ოჯახში ახალგაზრდა მამაკაცი გარდაიცვლება, თუ ჩუმად და ნელა – ბერიკაცი. საცხევლის ხმის გაგონება ქალის გარდაცვალებაზე მიანიშნებს. ბოროტი სულების ქმედების გასაწინააღმდეგებელ თილისმად ითვლება თავლის სანთელი, ან ცვილისაგან გაკეთებული ჯვარი. **ჰეჰეთობის** ღა-

¹ აფხაზეთში 1 აგვისტოს. იხ. ნ. ჯანაშია, გვ. 101.

მეს ყველა თმაში იმაგრებს ცვილის თილისმას. მაზაკვალეებისგან სიკვდილისთვის განწირულები მთელი წლის განმავლობაში არ იცილებენ თილისმას. ცვილს ამაგრებენ საქონელზეც, აკეთებენ ხის ჯვრებს, მას შემოახვევენ ეკლიან გვირგვინს და ათავსებენ სახლის და მარნის კარებთან.¹

მეორე ვერსიით **ჭეჭეთობა** ღამეს ავი სულელები იღებენ კაცის, ძაღლის, ჯადოქრის (მეგრ. **მენწარი**)² სახეს, იპარებიან სახლებში, ბავშვებს, ზოგჯერ დიდებსაც აცლიან ქრისტიანულ სულს და მიჰყავთ ტაბაკონას მთაზე თავიანთ მბრძანებელთან, რომელიც წმინდა გიორგიმ მიაჯაჭვა კლდეს.³ მეგრულ ზღაპრებში ასეთი სიუჟეტიც გვხვდება: ერთი ეშმაკი უყვება მეორეს, როგორ ამოაცალა გული მეფის ერთადერთ ასულს და ქვის ქვეშ შეინახა⁴ [ეშმაკიშ მეჩამილს კინ ეშმაკი მიდეღანს „ეშმაკის მიცემულს ისევ ეშმაკი წაიღებს“ – მ. ბ.]. ბოროტი ძალებისაგან თავის დასაღწევად მეგრელები ამ ღამეს ფხიზლობენ, ისვრიან თოფებიდან, უკრავენ საყვირზე და ა. შ. სამეგრელოში გავრცელებულ ღამისთევებზე ლამბერტი წერს: „მიძინების მარხვის განმავლობაში ასეთ წესს მისდევენ: საღამოობით ქალები და კაცები, დიდები და პატარები გადიან სახლებიდან, იკრიბებიან სოფლის მოედანზე და ღამის დიდ ნაწილს ცეკვასა და სიმღერაში ატარებენ“.

მეგრელთა წარმოდგენით მთვარე მამაკაცია, მზე – დედაკაცი. „მზე ცოლია, მთვარე – ქმარი. ახალმთვარეობისას, როცა მთვარე იკარგება, ის მზესთანაა. ზოგიერთი საკუთარი სახელი, მაგ. **თუთუ** (< **თუთა** „მთვარე“) და **თუთაშა** („მთვარის დღე“) მამაკაცის სახელებია. ი. ჯავახოვს [ი. ჯავახიშვილი – მ. ბ.] ზემოთ მითითებულ შრომაში მოჰყავს მეგრული ლექსი „მზე დედაა ჩემი, მთვარე – მამაჩემი, წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და დაძმა ჩემი“.

მჭედლობის კულტი

ასტრალურ კულტებს უკავშირდება მჭედლობის კულტი, რადგან იაფეტიდების წარმოდგენით ცა და მისი მნათობები რკინისგანაა გამოკვერილი.⁵

სამეგრელოში მჭედლობის კულტს უკავშირდება **ხეხუნჯობის**, ე. ი. ხელისა და მხრის დღესასწაული, რომელსაც აღნიშნავენ 31 დეკემბერს.

ამ დღესასწაულს მხოლოდ მჭედლები და ზეინკლები აღნიშნავენ. მათ სამჭედლოში აუცილებლად ჰქონდათ ქვევრი, რომელსაც ყოველწლიურად ავსებდნენ ღვინით. სწირავდნენ წმინდა სოლომონს, იკვლებოდა **ოხეხუნჯე** ღორი.

¹ Сборник материалов... XVIII, გან. III, გვ. 4. კრებული 1899, გან. გვ. 42.

² შეიძლება ეს სიტყვა ნასესხებია ქართული მეცარ-იდან, რაც მცოდნეს ნიშნავს. ლექსიკოგრაფ ორბელიანის მიხედვით – ცხოველის ბეჭზე მკითხავი.

³ Сборник материалов... XIX, გან. I, გვ. 152.

⁴ ყიფშიძე, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, გვ. 6.

⁵ Н. Маррь, Яфетические элементы въ языках Арменіи, I, გვ. 139-142.

რიტუალი იწყება დღესასწაულის დადგომისთანავე. მჭედლების და ზეინკლების პატარა შვილები დადიან სოფელში და მოსახლეობისგან აგროვებენ შესაწირავს: ფეტვს, კვერცხს, მარილს და ა. შ. ამ შესაწირავის გაღება აუცილებელია და იმით აიხსნება, რომ მჭედლები და ზეინკლები – წმინდა სოლომონის მიმდევრები – ისეთივე პატივისცემით სარგებლობენ, როგორც სასულიერო პირები. სამეგრელოში ყველაზე საშინელ წყევლად ითვლება მჭედლის მიერ სამჭედლოს სახელით, სამჭედლოში ანათემირება. რიტუალში უფროსი მჭედლის გარდა, მონაწილეობენ მისი შვილები, მხოლოდ ვაჟები. ყველანი მუხლებს იყრიან თავმოხდილი ქვევრის ირგვლივ და უფროსი წარმოთქვამს ლოცვას: „სამას სამოცდასამი ხელობის გამჩენო წმ. სოლომონ მაღლიანო! წყალობით მიიღე ჩემი და ჩემი შვილების დღევანდელი ლოცვა! შეგვეწიე (ზედმ. „ხელსა და მხარში მომეცი ძალა და ღონე“), მიგვიყვანე მომავალი წლის ლოცვამდე, კეთილად გვატარე, დაილოცოს შენი სახელი“.

ლოცვის დროს ხელმარჯვნივ შემოატარებენ სანოვაგით სავსე გობს. ბოლოს დაჩოქილი ვაჟები საჩვენებელი და ცერა თითებით გამოსახავენ ჯვარს და შეაერთებენ წრის სახით. მამა ამ წრეში ღვინოს ჩაასხამს და იტყვის: „ასე გამოატარე ჩემი ვაჟები (სახელი) ყველა ავადმყოფობასა და უბედურებაში“.

ხეების კულტი

სამეგრელოში ხეების კულტიც იყო გავრცელებული. მარტვილის მონასტერს მეგრულად ჰქვია **ჰყონდიდი**, რაც „დიდ მუხას“ ნიშნავს. ნათელია, წარმართობის პერიოდში ამ ადგილას თავყვანს სცემდნენ წმინდა მუხას. დღევანდელი მონასტრის ადგილას მდებარე **კაპუნის** კულტის ქურუმს **ჰყონდარი** ერქვა. ახლა ამ სახელით სამეგრელოში მოიხსენიებენ ეპისკოპოსს. ხეების კულტთან დაკავშირებით ტარდება რიტუალი, რომელსაც **ჰვენურობას** ან **ჰვენიერებას** ეძახიან. ტარდება ბანძაში, შაურკარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში თომას კვირიაკის ორშაბათს.¹

ამ დღეს ეკლესიის ეზოში იკრიბება დიდძალი ხალხი. მღვდლისაგან კურთხევის მიღების შემდეგ ხალხი გამოდის ეზოდან, მივა უახლოეს ხესთან და იწყებს მის ამოძირკვას. ამოგლეჯილი ხე შემოაქვთ ეკლესიის ეზოში და აყუდებენ ეკლესიის კედელზე ან რომელიმე ხეზე ზემოთ აშვერილი ფესვებით.

ამ რიტუალის არსს მეგრელი უხუცესები ორნაირად განმარტავენ: „ძველ დროში მეგრელები ხეს აღმერთებდნენ. როცა გაქრისტიანდნენ, ხის კულტი დაკნინდა. ახალი რელიგიის ძველზე გამარჯვების ნიშნად დაიწყეს ხეების მოგლეჯა და ეკლესიაში დადება ზევით აშვერილი ფესვებით“. სხვა განმარტებით: „ძველ დროში ყველა გვარს ჰქონდა თავისი წმინდა ხე. გვარები ერთმანეთს მტრობდნენ და ანადგურებდნენ გვარის წმინდა ხეს.

¹ იხ. დროება 1870, #20 და ცნობის ფურცელი 1897, №216.

დამცირება-შეურაცხყოფის ნიშნად მოგლეჯილ ხეს თავდაღმა დებდნენ თავიანთ წმინდა ხესთან“.

სამეგრელოში წმინდა გიორგის კულტი ერთი მხრივ უკავშირდება ხეების კულტს, მეორე მხრივ კი – მთვარისას. მეგრულად წმინდა გიორგის ჰქვია **გაგე** ან **ჯაგაგე**. ნ. მარის მტკიცებით,¹ ეს სახელები არ უკავშირდება წმინდანის სახელს. ისინი აღნიშნავენ მუხას. წმინდა მუხა იმავე ძირიდანაა, საიდანაც **ჰყონი**.

ილორის ეკლესია წმინდა გიორგის სახელობისაა. წმინდა გიორგის კულტმა სამეგრელოში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, შეცვალა მთვარის კულტი. მეგრულ ზღაპრებში ამ ცვლილების ასახვაა წმინდა გიორგის ვერცხლისფერი (ე.ი. თეთრი) შესამოსელი. როდესაც ხრისტაგანის გმირი ვერცხლისფერი სამოსით იმოსება [ხრისტაგანი დო ბელთაგანი ტარიელეფიშ არიკი „ხრისტანანი და ბელთაგანი გმირების არაკი“ – მ. ბ.], ქვისლები მას ვერ ცნობენ და წმინდა გიორგი ჰგონიათ“.²

მთავარი ღვთაების გვერდით მეგრელთა რწმენა-წარმოდგენებში ფიგურირებს მრავალი მეორეხარისხოვანი ღვთაება და ქალღმერთი, რომლებიც ადამიანთა ცხოვრების სხვადასხვა მხარეს იცავენ. მათი დღესასწაულები ძირითადად დიდ მარხვამდე და მარხვის განმავლობაში აღინიშნება, ნაწილი კი – ზაფხულში. დიდმარხვამდე 25 დღით ადრე ოთხშაბათს სრულდება **ნერჩი პატგნის**, ე. ი. ნერჩის ბატონის პატივსაცემი ზეიმი.

რიტუალი შემდეგნაირად ტარდება: ოჯახის დიასახლისი ამზადებს ოთხ კვერს, ოთახში განმარტოვდება, საიდუმლოდ ლოცულობს, ანთებს ოთხ სანთელს, ორს – წინა, ორს კი უკანა კართან. სანამ სანთლები ანთია, იხმევს კვერებს, შემდეგ კი ალებს კარებს. ვახშმისთვის აცხობს ჰქავის პურს, რომელსაც შიგთავსად ლობიოს ურთავს. ათავსებს ხის გობზე და დებს სახლის აღმოსავლეთ კუთხეში, მიწაზე. ამის შემდეგ რიტუალში ოჯახის სხვა წევრები ერთვებიან. ოჯახის უფროსი და დიასახლისი, შემდგომ სხვა წევრები რიგ-რიგობით მიდიან გობთან, მუხლს იყრიან, ხმადაბლა ლოცულობენ და შემწედ უხმობენ **ნერჩი პატგნს**.

სწორედ ამიტომ ეწოდება ამ სალოცავს **ნერჩიშ ხგამა**, ანუ ნერჩის ლოცვა, სხვანაირად **ოჯუმაშხური**, ანუ ოთხშაბათისთვის განკუთვნილი. ამ რიტუალის აუცილებელი პირობაა ლოცვის აღვლენა მიწურში, მიწის იატაკზე. ხის იატაკიან ოთახში ლოცვა არ შეიძლება. „აქედან ვასკვნით, – ამბობს სტატიის ავტორი, – რომ **ნერჩი** მიწის ღვთაებაა. სიტყვა ნერჩის მნიშვნელობა გაუგებარია. ყოფაცხოვრებაში ეს სიტყვა აღნიშნავს რისამე საფუძველს, ან მიწის ნაკვეთს, რომელზეც სახლი დგას“.³ ან სიტყვას იცნობს ქართველი ლექსიკოლოგი ორბელიანი დაახლოებით იმ მნიშვნელობით, როგორც მეგრულშია. ის ნერჩს განმარტავს როგორც ქვედა ნაწილს, ჭურჭლის, ყუთის, ნავის ფსკერს და ა. შ. ასეთ შემთხვევაში **ნერჩი პატგნი** (< **ნერჩიშ პატგნი**) ზედმ. ნიშნავს საფუძვლის, საძირკვლის ბატონს. სიტყვა

¹ „О рел. Вер. Мин.“

² ყიფშიძე 1914, გვ. 94.

³ Сборникъ матеріаловъ XXXIII, გან. III, გვ. 97.

ნერჩი სულაც არაა ღვთაების სახელი, დასმულია ფუძეგაუფორმებელ ნათესაობით ბრუნვაში და არა სახელობითში.

სიტყვა ნერჩი გვხვდება ქართული ენის კილოებშიც. საქართველოში არის ასეთი ჩვეულება: ახალშობილის დასალოცად იწვევენ და უმასპინძლებიან ბებიაქალს და მის დამხმარეებს. ამ დალოცვის შემდეგ ამბობენ: „ნერჩი უქნეს ბავშვსა“.¹

იმერულ კილოში ნერჩი, სანერჩე ჰქვია მეორედ გადარგულ თალგამს, რომელსაც სათესლედ იყენებენ. ეს მნიშვნელობაც უახლოვდება ნერჩის ზემოთ მოცემულ მნიშვნელობას. ვგონებ, ეს სიტყვა იმავე ძირისაა, რაც ქართ. ნერგი² და შესაძლოა, სომხ. Յաժ „ნაზი“.

მეორე დღეს, ხუთშაბათს (დიდმარხვამდე 24 დღით ადრე) აღინიშნება **მირსობა**, ანუ **წირსობა**. თუ დღესასწაულის სახელის მეორე ვარიანტი **წირსობა** რამენაირ კავშირს ამჟღავნებს მეგრულ **წირს**-თან, რაც „ნისლს“ ნიშნავს, **წირსობა** იქნება ნისლიანობა. ღვთაებას მსხვერპლად სწირავენ ღორს, რომელსაც **ომირსეს** ეძახიან. მას განსაკუთრებული მზრუნველობით კვებავენ რამდენიმე კვირის მანძილზე. მირსას დღესასწაულზე ოჯახის უფროსი ღორს უკანა ფეხებში ჩაავლებს ხელს და რამდენჯერმე შემოატარებს კერას, თან ლოცულობს: „დღეს, მირსობის მობრძანებაჲ! მე და ჩემს ცოლს და შვილს ბედი მიეცი, ბედნიერად ამყოფე. ყოველი ბოროტი გაუქარვე, ყოველი ავი გზისაგან, წყლისაგან შენ დაიცავი, შენ, სახელ-დალოცვილო“. სადილზე ოჯახის თითოეული წევრისთვის ამზადებენ ორ კვერს და მოხარშულ კვერცხს. ტრაპეზზე ოჯახის წევრებს ერთ ხელში კვერი უჭირავთ, მეორეში – მოხარშული კვერცხი, ჯვარს გამოისახავენ თვალებზე და ორჯერ წარმოთქვამენ: „დღევანდელი მირსობის მობრძანებაჲ, ჩემს თვალს არასოდეს ატკინო, ყველაფერი კარგი აჩვენე“. დიასახლისი თავისთვის ამზადებს სიმინდის მოხარშულ კვერს, შიგნით კი მოხარშულ კვერცხს ათავსებს. ამ კვერცხის მდებარეობის მიხედვით არკვევს დიასახლისი თავისი ოჯახის მომავალს – თუ კვერის დაჭრისას კვერცხი მთლიანად აღმოჩნდება, მომავალი წელი ოჯახისთვის სიკეთის მომტანი იქნება.³

მირსობის დღესასწაულის ლოცვის შინაარსი მიუთითებს, რომ ეს ღვთაება ოჯახის მფარველია. ის ადამიანს იცავს ცუდი გზისა და წყლისაგან. გამოდის, რომ **მირსა** მოგზაურობის მფარველი ღვთაებაცაა.

მირსობასთან ერთად აღნიშნავენ ღვთაება **ზორის** დღესასწაულს. მას **ზორსობა** ჰქვია. **ზორსობა** აღინიშნება მირსობიდან ზუსტად ერთ კვირაში (დიდმარხვამდე 17 დღით ადრე). **ზორი** ცეცხლისა და სინათლის ღვთაებაა. თუ წლის განმავლობაში ვინმე დაიწვება მდულარით ან ცეცხლით, ან დაბრმავდება, ეს ზორის რისხვას მიეწერება. **ზორსობის** შემდგომ ხუთშა-

¹ ო. ჭყონია, ქართული სიტყვის კონა.

² საეჭვოა ნ. ჯანაშიას მოსაზრება (X. B. ტ. IV, გამ. I, გვ. 101), რომ იმერეთში ნერჩი ჭერს ნიშნავს. ვ. ბერიძესთან ჭერის მნიშვნელობით გვხვდება მერჩი, ნერჩი კი – მხოლოდ ზემოთ მოყვანილი მნიშვნელობით. სრულიად შესაძლებელია, მეგრულში ლოცვას ერქვას ფუძეში დო ნერჩიში ხვამა, მაგრამ, სავარაუდოდ, ფუძე და ნერჩი არ უპირისპირდება ერთმანეთს, როგორც საძიკველი და ჭერი, ისინი საფუძვლის სინონიმები არიან.

³ Сборникъ матеріаловъ XXXII, გან. III, გვ. 97.

ბათს (დიდმარხვამდე 10 დღით ადრე) ღვთაება **კაპუნიასთვის** პატივის მისაგებად აღინიშნება **კაპუნობა**. გადმოცემით, კაპუნიას კერპი იდგა იქ, სადაც დღეს მარტვილის მონასტერია აღმართული, კაპუნიას კერპი თუჯისგან იყო ჩამოსხმული და პირდაღებული ადამიანის გარეგნობა ჰქონდა. გადმოცემით ამ დაღებულ პირში ათავსებდნენ ქურუმები მსხვერპლად შეწირულ ბავშვებს. ახლა ბავშვების ნაცვლად ქურუმი კაპუნიას სწირავს ღორს, რომელსაც საგანგებოდ ამ დღესასწაულისათვის ასუქებენ. შესაწირავ ღორს **ოკაპუნე** ჰქვია. ლოცვა იმავე შინაარსისაა, რაც ზემოთ მოცემული მირსობის დღესასწაულისა. **ომირსე** და **ოკაპუნე** ღორის ხორცის ჭამა სასტიკად იკრძალება სტუმრებისა და გარეშე პირთათვის. ძვალს და ხორცის ნარჩენებს ყრიან, ან ცეცხლში წვავენ.

დიდი მარხვის დასასრულს აღინიშნება ღვთაება **ჟინი ანთარის** – ზეციური ანთარის დღესასწაული. ამ დღესასწაულისთვის განკუთვნილი მსხვერპლშეწირვა ასე სრულდება: დილით ადრე სიმინდის ფქვილისგან ზელენ ცომს, ურევენ სპეციალურად ამ დღისთვის მომზადებულ საფუარს და ვახშმისთვის კერაზე აცხობენ კვადრატული ფორმის ღვეხელს. ცომის შუაგულში ათავსებენ კონუსის ფორმის ყველს (**ცქებზე**)¹. ცომს ფარავენ სუროს ფოთლებით, ზემოდან აყრიან ნაღვერდალს.

ღვეხლის გამოცხობის შემდეგ იკრიბებიან კერიასთან გაშლილი მაგიდის ირგვლივ. ოჯახის უფროსი აცლის ღვეხელს ნაღვერდალს და სუროს, ჭრის პატარა კვადრატულ ნაჭრებად და წარმოთქვამს ლოცვას: „ზეციერო ანთარო, ბატონო გამარჯვებულო, ჩემი საქონელი შენ გაამრავლე...“.

ღვეხლის ნაჭრები ნაწილდება გარდა კონუსის ფორმის ყველიანი ნაჭრისა, რომელიც ოჯახის უფროსს ეკუთვნის.

ღვეხლის ნარჩენები ითვლება ჭიანჭველების და ყვავის წილად. მეორე დილას ამ ნარჩენებს ყრიან სახლის სახურავზე, ძაღლებმა რომ არ ჭამონ. მეგრელთა წარმოდგენით, ამ რიტუალის შემსრულებლებს მთელი წლის მანძილზე არ შეაწუხებთ ჭიანჭველა, მათი ყანები დაცული იქნება ყვავებისგან. ამასთანავე ღვინოს ივლებენ პირში და ღვინითვე იბანენ ფეხის თითებს. მათი წარმოდგენით, ამის შესრულებით დაცული იქნებიან ბებერასა და სხვა დაავადებებისგან.

ასე რომ, **ჟინი ანთარი** საქონლის მფარველია. ამ ღვთაებას **აითარ**-ის სახელით იცნობენ აფხაზები.²

დიდი მარხვის 24-ე დღეს, ოთხშაბათს **გამიგიას** ღვთაების პატივსაცემად ტარდება **გამიგების** დღესასწაული. ამ დღეს ვახშმად მზადდება ნორჩი ჭინჭრის შეჭამანდი. ეს უკანასკნელი იმდენად აუცილებელია სადღესასწაულო სუფრაზე, რომ მთიან სამეგრელოში მცხოვრებნი ბარში ჩამოდიან ჭინჭრის მოსაგროვებლად, რადგან მთაში ამ დროს ჯერ კიდევ არ არის ამოსული. ახალი წლის დადგომიდან სამეგრელოში მკაცრად იკრძალება ჭინჭრის (მეგრ. **ჭუჭელი**) ხსენება, მას ემახიან **ოზეშ ხოჯი**-ს, რაც

¹ რთული სიტყვაა. აფხაზური ა-ცქა „წმინდა“, (ა)ზზია „კარგი“ – ნ. ჯანაშია, X. B. ტ. IV, გამ. I, გვ. 77.

² ნ. ჯანაშია, Религиозныя верования абхазовъ, X. B. ტ. IX, გამ. I, გვ. 79.

ითარგმნება, როგორც ეზოს ხარი. ეს არის სამეგრელოში ფართოდ გავრცელებული ტაბუ. მეგრელი მეუღლეები სხვისი თანდასწრებით ერთმანეთს სახელებით არ მიმართავენ. ასევე იკრძალება მავნე ცხოველების, ფრინველების, მწერების სახელების წარმოთქმა, მათ ალეგორიულ სახელებს ეძახიან.¹

გამიკობის დღესასწაულის შემდეგ შეიძლება ჭინჭრის ხსენება. ვახშამზე ჭინჭრიანი ფხალი უმთავრესი კერძია, მაგრამ სხვა კერძებიცაა, თანაც დიდი რაოდენობით. როცა ვახშამი მომზადდება, დიასახლისი ყველა კერძიდან იღებს თითო კოვზს და ნაჭერს და დებს კართან დამაგრებულ თაროზე, რომელსაც **კარბუზი** ჰქვია. ეს კეთდება **გამიკიას** სულის მოსაწვევად, რომელიც, მეგრელთა წარმოდგენით, ამ ღამეს მოივლის ყველა სახლს და ათვალიერებს თითოეულ ტაბლას. გამიკიამ ადვილად რომ დაინახოს მოვახშმეები, აღებენ სარკმელს, რომელსაც **ონდღემ კარი** „შუადღის კარი“ ჰქვია. სავსე ტაბლის მნახველი გამიკია ამბობს: „ვისაც აქვს, მას კიდევ მიემატოსო“, ანუ სახარების სიტყვებით: „რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს“ [მთ. 13, 12 - მ. ბ.].

გამიკიას სიტყვებიდან ჩანს, რომ ის ოჯახის კეთილდღეობის და სიმდიდრის მფარველია. სიტყვა გამიკია მეგრულში გაუგებარია, მაგრამ ძალიან ჰგავს ქართულ განზოგებას, რაც ნიშნავს დიდმარხვის გაშუალებას. ეს მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ გამიკიას დღესასწაული ემთხვევა განზოგებას – დიდი მარხვის 24-ე დღეს. მე არ ვამტკიცებ, რომ სიტყვა **გამიკია** ქართულიდან არის შეთვისებული მეგრულში, შეიძლება ის სულ სხვა ძირიდანაა წარმომდგარი და არა ქართული განზოგებიდან, მაგრამ საინტერესოა ორი დღესასწაულის – წარმართულისა და ქრისტიანულის მსგავსება.

ქრისტეს ამადლების დღესასწაულზე მეფუტკრეები ასრულებენ მსხვერპლშეწირვას მეფუტკრეების მფარველი ღვთაების **ჯგერაგუნას** / **ჯგერეგუნას** პატივსაცემად. სამსხვერპლოდ მზადდება დიდი რაოდენობის ელიფსის ფორმის სიმინდის ფქვილისგან მომზადებული **ჭვიშტარი** – სკების სიმრავლის სიმბოლო. მსხვერპლშეწირვის დროს სრულდება **ოკუმაფუში გილადვალა** „საკმევის დადება“. შესაწირავ ჭვიშტარს ადგილზევე ჭამენ ნიშნად იმისა, რომ ფუტკარი გაყრის დროს შორს არ გაფრინდეს.²

მეგრელები პატივს მიაგებენ **ორთა**-ს სახელით ცნობილ ორ ღვთაებას: 1. **გალენიში ორთას**, ანუ ნადირთ მბრძანებელს და 2. **ჟინიში ორთას**, ანუ ზენაარის, ზეციურის მბრძანებელს.

ნადირთღვთაებისადმი მიძღვნილ რიტუალს ადასრულებს ოჯახის უფროსი ბოსელში გაშლილი ტაბლის წინ. ტაბლაზე დევს შემწვარი თიკანი, რძიანი შეჭამადი (**ჩემჰვა**), ყველიანი ღომი (**ელარჯი**), ყველიანი მჭადი (**ჭვიშტარი**), ახლადამოყვანილი ყველი, ღვინო და ა. შ. ადგილი, სადაც რი-

¹ ობ. ყიფშიძე, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, გვ. 0145-6.

² აფხაზები პატივს მიაგებენ ფუტკრის ღვთაებას ანანა-გუნდას (ნ. ჯანაშია, გვ. 104).

ტული ტარდება, საგულდაგულოდ არის დაგვილი და პროცესის განმავლობაში ძალიან დიდი ყურადღება ექცევა წესრიგს და სისუფთავეს.

ოჯახის უფროსი მარტო ასრულებს რიტუალს, სხვას ევრძალება დასწრება. გ. ქობალიამ [უნდა იყოს ი. ქობალია – მ. ბ.], სტატიის ავტორმა, ერთხელ მოახერხა მამისგან შეუმჩნეველად დამალულიყო ბუჩქებში და ენახა რიტუალის მთელი საიდუმლოება. „მამა დადგა გაწყობილ მაგიდასთან თავშიშველი, – ამბობს ის, – რაღაც ლოცვას ბუტბუტებდა. ლოცვის შემდეგ მაგიდასთან მისწია გრძელი სკამი, თითქოს სტუმრები მიიწვია, შემდეგ ამ უხილავი სტუმრებისთვის დადგა თასი, თითქოს წყალი დაუსხა ხელზე და მიაწოდა პირსახოცი. უხილავი სტუმრები თითქოს ჭამას შეუდგნენ, დაჩოქილი მამა კი ღვინოს უსხამდა მათ“. რიტუალის ჩატარება შეიძლება გაზაფხულიდან შემოდგომამდე ნებისმიერ დროს. ლოცვა შემდეგი შინაარსისაა: „ნადირთმბრძანებელო, დიდებულო, შენ დაიფარე ცუდი შემთხვევისა და სიავისაგან ჩემი საქონელი, გამიმრავლე, უწვაგ-უხარშავის მჭამელს (ე.ი. ნადირს) კბილი შეუკარი“.

მეორე **ორთა**, ზეცის მბრძანებელი, განაგებს მეხსა და ელვას. მისი სახელობის მსხვერპლშეწირვის რიტუალი ტარდება ზაფხულში და ასე გამოიყურება: ოჯახის უფროსს ტყეში მიაქვს დანა, შეშა, წყალი, ცეცხლი, სიმინდის ორი კვერი და მამალი. ხის ძირას ბუმბულიანად და ფრთებიანად ატყავებს მამალს, ტყავს კიდებს ხის ტოტზე და ლოცვას ადავლენს. მეორე უხმობს ვაჟიშვილებს, მათი თანდასწრებით წვავს მამალს და იხმევენ ერთად.

თუ წლის მანძილზე ნადირი მოიტაცებს საქონელს, ან მეხი დაეცემა, ეს მოვლენა ორი ღვთაებიდან ერთ-ერთის განრისხებას მიეწერება.

მესეფ, მესეფები

ეს ღვთაებები ცხოველთა, ფრინველთა, მწერთა მბრძანებლები არიან. ისინი მფარველობენ მონადირეებს, თავადაც ნადირობენ ძაღლების თანხლებით და მათი ნებართვის გარეშე ვერავინ მოკლავს გარეულ ცხოველებს. ხალხის წარმოდგენით მათ ადამიანის – ქალის, კაცის სახე აქვთ, უკვდავები არიან. ისინი ზღვაში, ან ზღვის გაღმა ცხოვრობენ, ამიტომაც არსებობს გამოთქმა: **მესეფიქ ეკიილ** „მესეფი ამოვიდა“. ისინი ხმელეთზე მორიგეობით ამოდიან – ერთ წელს მამაკაცები, მეორე წელს – ქალები. მესეფების მოსვლის მიზანია მათი კუთვნილი სამეფოს წლიური მოსავლისა და დანაკარგის შემოწმება და ზამთრის სარჩოს აკრეფა. მამაკაცები შავი ტანსაცმლით არიან შემოსილი და მათ მოსვლას თან ახლავს ძლიერი წვიმები, ქალებს თეთრი კაბები აცვიათ და მათი მოსვლისას კარგი ამინდებია. ზამთრის სარჩოს მოგროვების შემდეგ მესეფები ბრუნდებიან თავიანთ სამყოფელში – ზღვაში ან ზღვის გაღმა. ამ ღვთაებათა ხმელეთზე ყოფნას ეწოდება **მესეფობა** და გრძელდება ერთი გადმოცემით 28 ოქტომბრიდან 3

ნოემბრამდე, მეორე გადმოცემით კი – ყოველი თვის 3 რიცხვიდან მომდევნო თვის 3 რიცხვამდე.¹

მეგრულ ზღაპრებში მესეფებს ახლავს ძალი, რომელსაც **მათიუოჩი** ჰქვია, რაც „მეც კაცს“ ნიშნავს². **მესეფები** და **მათიუოჩი** გვაგონებს აფხაზურ ალიშკინტირის ძაღლებს, ქართული ზღაპრების ყურშას და სომხურ არლეზს.³

ნაფრა, ნაფურნახა

ღვთაების დღესასწაული ტარდება ივლისში, აუცილებლად შაბათ დღეს. მსხვერპლად სწირავენ ჭვავის პურს ყველის შიგთავსით (**შელეზური**). ყველი შედედებული არ უნდა იყოს ღორის ნაწლავისაგან გაკეთებული დვრიტით. რიტუალის შესრულებისას ღორებს ამწყვდევენ, დგებიან პირით სამხრეთით, თურქეთისკენ და წარმოთქვამენ შემდეგ ლოცვას: „ნაფურნახე დიდებულო, შენი სახელი დიდებული, შენი წყალობა მიეცი ამის მლოცველს, დამიფარე ბოროტი ავადობისგან, შეიწირე ჩემი შელეზური და წალმა მატარე“. ნაფრა ჯანმრთელობის ღვთაებაა.

სხვა შემთხვევაში მეგრელები დიდ ცოდვად მიიჩნევენ ლოცვისას თურქეთისკენ გახედვას. შესაძლოა, ეს მაჰმადიანური სალოცავია, ამიტომაც არიდებენ ღორებს.

სამეგრელოში კიდევ ბევრი სალოცავია, მსხვერპლშეწირვისთვის თითქმის აუცილებელია ღორი. მეგრულად ამ სალოცავებს ეწოდება **ოხვამერი**. ოხვამერი შეიძლება იყოს **საღორონთო** ღვთისთვის, **სამგარიო** – მიქაელ მთავარანგელოზისთვის, **საჯგეგო** – წმინდა გიორგისთვის და სხვ. ოხვამერის აღწერა გვხვდება ლამბერტისთან და შარდენტან.

ტყაშ მაფა⁴

ტყეში შეხვედრილ მამაკაცს **ტყაშ მაფა** მიმიკებით, სიტყვების უთქმელად უხსნის სიყვარულს, უჩვენებს ათ თითს, ამით სთავაზობს ათწლიან სასიყვარულო ურთიერთობას. მამაკაცმა უარი უნდა უთხრას მანამ, სანამ ტყაშ მაფა მოხრილ თითს არ დაანახებს ნიშნად ნახევარწლიანი ურთიერთობისა. მაშინ მამაკაცი უნდა დაეთანხმოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ტყაშ მაფა თავის რჩეულს გააგიჟებს. ნახევარწლიანი თანაცხოვრების შემდეგ მამაკაცი დიდ წყალობას მიიღებს.

დასკვნა: მეგრელებში სხვა რწმენა-წარმოდგენები და რიტუალებიც არსებობს. მათზე ახლა არ ვისაუბრებ. ნათქვამიც საკმარისია, რომ გავცნოთ

¹ Сборникъ матеріалов... XXIV, გან. II, გვ. 1-5; XXXII, გან. III, გვ. 109; კრებული 1899, №VII, გან. II, გვ. 43.

² ყიფშიძე, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, გვ. 31-35.

³ ჯანაშია, გვ. 81, მარი, გვ. 128.

⁴ აფხაზებსაც ჰყავთ მსგავსი ღვთაება (ნ. ჯანაშია, გვ. 107-109).

მეგრელთა შეხედულებებს. ამ წარმოდგენებში მთავარი ადგილი უჭირავს ასტრალურ კულტს, რომელსაც სათავეში უდგას მთვარის ღვთაება.

თარგმნა მანანა ბუკიაშ

Joseph Kipshidze

Religious Beliefs of the Megrelians

Summary

Ioseb Kipshidze is a unique phenomenon in the Kartvelological science of the 20th century. It is difficult to find a researcher in the Georgian scientific space who left such valuable works in a short period of time. In fact, he laid the foundation for one of the directions of linguistic Kartvelology - Studying Megrelian-Laz.

The paper discusses several papers by Ioseb Kipshidze dedicated to studying Megrelian-Laz and the text of the report that was unknown to the public until recently. Some of them were published in magazines and newspapers at the beginning of the last century, while others were unpublished. The materials preserved in the fund of the Museum of Literature, the National Archives of Georgia, National Center of Manuscripts were published in 2015 (scientific editor G. Gogolashvili). This publication brought J. Kipshidze's important works back to the scientific space.

In these papers J. Kipshidze will be presented to the readers not only as a researcher with a unique linguistic intuition but also as a sincere supporter and globally minded person of the country.

Translated by Manana Bukia

მანანა ზუკია

ერთი კავკასიური ტრადიციის გავრცელების არეალისთვის

კავკასიაში გავრცელებული უამრავი წეს-ჩვეულება, ტრადიცია, რიტუალი საერთოკავკასიურ პარადიგმას ემნის.

ერთ-ერთი ასეთი წესი იყო მოსისხლეობა, სისხლის აღება, რომელიც ხანდახან თაობებში გრძელდებოდა და უამრავი მსხვერპლს იწირავდა. სისხლის აღების ტრადიციის შეუსრულებლობა სირცხვილად იყო მიჩნეული. შურისძიებას არ ჰქონდა ვადა და ხშირად თაობიდან თაობაზე გადადიოდა, რაც მნიშვნელოვან ზარალს აყენებდა საზოგადოებას. თუმცა დგებოდა მოსისხლეობის შეჩერების, შეწყვეტის დროც.

არსებობდა მოსისხართა შერიგების სხვადასხვა წესი, განირჩეოდა სამოქალაქო და სისხლის დანაშაული, „წორიც“ – შურისძიების ნაცვლად მიღებული სისხლის ტოლფასი მატერიალური ანაზღაურება – იმის მიხედვით განისაზღვრებოდა, რომელი სოციალური ფენის წარმომადგენელი იყო მოკლული თუ დაჭრილი, რამდენი და როგორი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, რა ვითარებაში მოხდა დანაშაული.

სისხლ-მოსისხლეობის შეწყვეტის ერთ-ერთი წესი იყო ხელოვნური დანათესავება.

სვანეთში წორის გადახდის შემდეგ იცოდნენ შვილად აყვანის რიტუალის შესრულება – სამაგიეროს გადახდის, შერიგების შემდეგ დაზარალებულის / მოკლულის დედას მიჰგვრიდნენ მკვლელის შვილს, ქალი ძუძუზე კბილს ადგმევინებდა, ე. ი. მისი შვილობილი ხდებოდა. ეს იყო სისხლის აღების შეწყვეტის დამაგვირგვინებელი ეტაპი (მასალა მოგვაწოდეს ე. გაზდელიანმა, რ. ჭკადუამ).

თუშეთში, სადაც სისხლის აღება ამ სიტყვის კლასიკური გაგებით არ ხდებოდა (იქ საქმეს მედიატორები წყვეტდნენ), არსებობდა ასეთი წესი: მკაცრი წესები სისხლის აღებისა, თუშეთში არ ყოფილა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველა მოკლულის პატრონი ცდილობდა, რომ მკვლელისთვის სამაგიერო გადაეხადა. იყო შემთხვევები, როდესაც მკვლელობა ხდებოდა შემთხვევით, უნდობლად. ასეთ შემთხვევაში მკვლეელი მოკლულის ჭირისუფალს მიუყვანდა თავის შვილს, პატარას და ჩააბარებდა – „აი, ეს შვილი მომიყვანია, თუგინდ მოკალი, თუგინდ გაზარდე“. მოკლულის ჭირისუფალი ზრდიდა ბავშვს და ამ გზით ამ ორ მტრულ ოჯახს შორის მყარდებოდა ნათესაური კავშირი (მასალა მოგვაწოდა გ. ცოცანიძემ).

აფხაზეთში როდესაც მესისხლე მხარეთა შერიგება უშედეგოდ მთავრდებოდა, მკვლელს, ტრადიციული სტუმარმასპინძლობით გულგამაგრებული, შეეძლო დაზარალებულის ოჯახში მოულოდნელად შეჭრა და მოკლულის დედის, დის ან ცოლის ძუძუზე კბილის ძალდატანებით დადგმა. ასევე მკვლელის დედას, დას ან ცოლს მოკლულის ოჯახში მისვლა და პირველივე ბავშვის მკერდზე მიკვრა, ან მისთვის ძუძუს პირში ჩადება. ამ გზით მტრებს შორის ნათესაური კავშირი მყარდებოდა და სისხლის აღების ტრადიციული წესი ძალას კარგავდა.

შერიგების მიზნით ხდებოდა მოკლულის ოჯახიდან ბავშვის გატაცება. მკვლელი ნათესავების დახმარებით მოკლულის სახლში შეიპარებოდა, აკვანში მწოლიარე ან სხვა მცირეწლოვან ბავშვს გაიტაცებდა და აღსაზრდელად საკუთარ სახლში მიიყვანდა. მკვლელის ოჯახი მოტაცებულ ვაჟს საკადრისად აღზრდიდა. 17 წლის რომ გახდებოდა, იგი მამამძუძუს ძვირფასი საჩუქრებით დატვირთული მშობლებისათვის უნდა დაებრუნებინა. ამგვარი ხელოვნური დანათესავებით წყდებოდა შურისძიების წესი.

ხელოვნური დანათესავების ჩერქეზულ წესს აღწერს შორა ნოდმა: „დამნაშავეს შეეძლო შეეწყვიტა საგვარეულო მესისხლეობა, მოეტაცებინა დაზარალებულის ოჯახიდან მამრობითი სქესის ბავშვი, აღეზარდა იგი საკუთარი შვილივით და შემდეგ, დაჯილდოვებული ცხენით, იარაღითა და სამოსით, დიდი ცერემონიით მიეგვარა მშობლებისთვის“.

ბარის საქართველო ამ ტრადიციას არ იცნობს. ამგვარი წესი არ აქვთ აღწერილი ეთნოგრაფებს, არ არის დაცული ზეპირ გადმოცემებში.

მეგრული მეტყველების ნიმუშების მოპოვებისას ასეთ ნარატივს წავაწყდით.

ეს ამბავი გასული საუკუნის 20-იან წლებში მოხდა ზუგდიდში, კერძოდ, განმუხურში. მასალა ჩაწერილია მოვლენის მთავარი პერსონაჟის შვილიშვილისგან, მას კი ბებისგან მოუსმენია ეს ისტორია, თანაც არაერთგზის.

მეზობლების ჩხუბში შემთხვევით გამშველებელი მოკლეს. მკვლელი დაიჭირეს. გარდაცვლილის ქვრივი შურისძიებით იმუქრებოდა, უვარდებოდა მკვლელის ოჯახს.

რამდენიმე თვეში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მკვლელი გაათავისუფლეს. ქვრივმა ეს რომ შეიტყო, იარაღს დაავლო ხელი და მკვლელის სახლისკენ გავარდა. მკვლელმა რომ გაიგო, ქვრივი მოდისო, ავარდა სახლში და კარი ჩაიკეტა, შემდეგ კი ფანჯრიდან გადახტა და გარდაიცვალა. რეალურად მოხდა ორმხრივი მკვლელობა. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, მტრობა გრძელდებოდა.

აქედან იწყება მთავარი ისტორია. შვილიშვილი ყვება ბების მოყოლილს.

ქვრივმა სამი უფროსი ქალიშვილი წაიყვანა ქმრის საფლავზე. სასაფლაოზე ეზოში იასონის (მკვლელის) შვილი, რძალი, ნათესაობა დახვდა. „ჰოდა, ეს წესი იყო ასეთი და მე ვერაფერს ვიტყოდიო, ბებია, რადგანაც სასაფლაოზე... სასაფლაოზე არ შეიძლებოდაო არაფრის თქმა... სამი ბავშვი

მიმყავდაო სასაფლაოზე. მე ვიტყვით, ვიქვითინეო („იმგარია, ფთვალა“), არ მივაქციეო ამათ ყურადღებაო და რომ გამოვდიოდით... უფროსს, ბუცას მოჰკიდესო ხელი და ამას ჩვენ გავზრდითო... ეს წესი იყო ასეთიო და მე რა მექნაო... და უარი ვერ ვუთხარიო და წაიყვანესო. პატარა მალევე დააბრუნეს სახლში და კონფლიქტიც ამოიწურა – არ გაგრძელდა თურმე მერე ჩხუბი, მტრობა... არ შეიძლებოდა თურმე იმ დროს...ეს ურთიერთობა თაობებში გაგრძელდა...

ეს ერთეული შემთხვევაა, მაგრამ ფრაზები – ასეთი იყო წესი... მე ვერაფერს ვიტყვოდი... ასე სცოდნიათ... გვაფიქრებინებს, რომ ამ ტრადიციას გარკვეული გამოცდილება უკვე დაგროვილი ჰქონდა მეოცე საუკუნის დასაწყისისთვის საქართველოს ბარში, კერძოდ, სამეგრელოში...

1. ჟირ მეზობელეფ რდეს, დიშკაშ გურშენ გიშულეზენა, დიშკას ნოკვათუენა, ოდო, ქიგაწაკინდეს თეს დო გორჩქინდე ჩხუპიქ.
2. გორჩქინდე ჩხუპიქ დო მანგარ ღაჭალქ იუნ, გინილე ბაბუქ, ოდო მურენია, ონჯღორე ვაიქქუნანიავო, ართიანს დიშქაშ გურშენ ოჩხუბუთიან, ოდო, მუღაშენიავადო დო ვემიოტეს...
3. ართის ხამ უკინებე თურმე, ინა, არგუნე... ოდო, ქიმერთ დო თე არგუნქ გიწოშქუმალირქ აყუ დო ქუმოხვადე ბაბუს დო დოდურე იშო ბაბუქ.
4. დოდურ დო ჩქინ ბების ხუთი სქუალეფ ცუნს, ძღაბეფე...
5. ჩხოლარიეფს მიშუხორანდ ენა, ჩხოლარია რდე თექ, განმუხურს, ხუთხოლო ჯიმალეფ ართ ოხეს რდეს დო...
6. დოდურუნ, იყუ სასტაულ ამბექ, ბები მიაკათუდ თურმე, პილენქია, მარა, ინა ქუდახუნეს ვიშო დო...
7. მიკილე დროქ, მიკილე ხანქ...ხუთ თუთაქ რენო, ვამიჩქუ ამშვ თუთაქ დო დელახე თურმე თე კოჩქ, ფილტვეფიშ ლეხი რდე...
8. თი დროს თურმე ვაგნოჩემებუნა ციხეს ლეხის... ოდო გუტენა ციხეშე.
9. ოდო, ბებიშა ქუმორთ მიდგარენქ, ქოიჩქუ, შპიონეფ ირო რდე...
10. ოდო, ქუმორთ ბებუშა ი კოჩქ დო უწუ, გუტესია იასონი, ჭაფანძე რდე თენა, იასონი, ოდო, გუტესია იასონია უწის დო ბებიქ ქიხვამილუ იარადი თურმე დო გეგნოლე უკახალე, ოთხირეთ..
11. ოდო, მირულენ თეშ ბადანაქ ქომირუ დო ბიძიას ქუდუმახუ, დედაქ ათაურე ირულუა მუდგარენ ოთხირეშა ვა დო...
12. ის გაგონებულ ცოფუ იასონი გოტებული რდუნ დო გამათხოზე თურმე.
13. მეფერ დროს იყუ ბებიქ მეულირქ, მინდორს წუმოხენა თურმე, მინდორს წუმოხენა თურმე სკამეფით დო ამბეს იჩიებნან თეშ ოდო ქომირეს ბებე დო თე კოჩქ გემნირულუ დინახალე თურმე.
14. გემნირულ დინახალე ოდო კარ ქენაკილუ თურმე დო ბებიქ ქიმკასხაპე კარს, მარა ვაგანჯინე კარქ დო მაჟერაშა ქიმკასხაპე დო ქუმაჰიშუ ოხორასკილს.

15. ოდო ქესუსტე ბეზის, ოდო, ქესუსტუნ, გეგმიონუ თურმე აშო, თუდო, ქისხუპუ, ოდო, სი ვეგდოდინავა, სი ბაღანემს ქემკაჯინიავა დო, ის მა პილუნქია, ოფვილარ რენია და...
16. ოდო, მოლეყუნუ აშო დო ბეზე თქუნადუ... მა ვამჩქინია, გეგმმაკურცხინუა დო მირაგადდესია, ხო ქარწყეყია, იასონიქ დოღურუა, კიჟინ რენია.
17. მუქ ცვილუა, უწია, მა ხომ ვამცვილუნია დო ვარია, ის აკომკაშე ქუსხაპუნია, სკანდა შკურნებუნია დო ფილტვიქ გუხორცქუა დო ვიშო დოღურუა.
18. ოდო, ჯგირ ანწი, დოღურუ რადგანშენგ დო მუს თქუნადეს უკული ენეფი დო...
19. დასაფლეს ინა, ირფელ დო უკული დო ათე ნტერალაქ ვეგეგრძელკო თურმენ თიშგურშენ წეს ცოფე თეცალი...
20. ბეზიქ მიდართ სასაფლაშა, დასაფლებულ რე უკვე იასონი, კილე გონწყუმ მიკულირ რე, ირფელ დო ბეზიქ მიდართე სასაფლაშა დო თე იასონიშ სკუა, ნოსა, თენეფ ქენოხენა თურმე სასაფლას,
21. ონ, ენა წესი რდუა ეფერე დო მა მუთუნ ვამარაგადედუა, ბეზიქ, რადგანშენ, სასაფლას... სასაფლას ვემლებედუა მუთუნიშ რაგადე. ოდო ...
22. სუმ ბაღანეფ მეკუნსია სასაფლაშა. მა იმგარია, ფთვალაია, ინა ვემვაქცია ენემს ყურადღებავა დო მიფშითინ თემ
23. ათაქ ბუცა რდგ შხვამე უნჩამ დო ჭიჭელეფ ხომ ვაგაჩენდუდეს დო ხე ქიმეთხესია დო თეს ჩქი მოზრდუნთია.
24. ენა წესი რდუა თეცალია დო უკულ მუ ბლოლიკოვა მა დო ვარიაქ ვამათქუა დო მიდეყუნესია ვიშო.
25. სი მუთუნს ვამგარკენთია, ვაგამქურნასია, ცუჩა გოიტალენთია ...
26. ოდო ინა რდილი რდუა დო ე ჭიჭელეფ ვაგაჩენდუდესია, მარა ექ გაჩენდუა დო მიდაყუნია ვიშო.
27. ვითოხუთ დღას ნოვენა, ვითოხუთის, მეტის ვარ, აშო ქიმიონესია დო ვეგეგრძელ თურმე ჩხუპიქ, უკულ ნტერალა ვემილებენ თურმე თი დროს. ოდო ნტერალაქ მედინგ თურმე...
28. უკულ ურაგადდეს ართიანს. ჩქიმ დეიდასკუა, ნამდა ჭოფეს თინემქენ თინა უკულ თი კათას სკუათ მიოჩქუდგ. ოდო, თი ბოშ იჩიებუდ, იასონიშ ბოშ, და მაფუნია, ბუცა ჩქიმ და რენია, თქუნადგ.
29. დო ბუცამ სკუას დასკუას უმახუდგ უკულ. თიცალ ინა ცოფე თი დროს კანონი... კანონ ვარ, წესი, ვარა
30. ოდო, თიქ ღურუნ, თი იასონიშ ბოშიქ ათაქ, ქუთაისიშ ქუჩას ღურუნ ეშ თიქ, თაქ ცხოჭრენდგ ინა, თიქ ღურუნ თიწკუმა, თამარას, თი დეიშ სკუას, დეი ღურელი რდგ ჩქიმ დო დეის სკუას ქიცა გიორთუდ დო თემ მუკუხედგ.
31. თენა დასკუა აფუნია თისია დო... მუმენ აფუდ დასკუა...
32. გეგრძელ უკულ, მაგალთო, ა, ჩქიმ დიდა ხოლო... ჩქიმ დიდაშა გილეშე იასონიშ ოსური, იასონიშ სკუა. არმა გვალო ნორმალურო რდეს უკული.

33. უკული ვეშილებედ ნტერალა თურმე დო.
34. ბები რდუ იამანი ჩიქავა კონსტანტინეს ასული
35. თენეფ ცხოვრენდეს კოკის. კოკის ცხოვრენდ ბები, ბები ჩიქა რდე, კოკშე რდე, მარა გათხილე განმუხურს რდუ, ჩხოლარიეფ წკუმა...
36. ე ამბექ მოხვადე განმუხურს. ბაბუ რდე ჩხოლარია, ხოფო ჩხოლარია.
37. თე ამბექ მოხვადუნ დედა სუმ წანერ ცოფე, დედა რდე ვითოხუთიმ დაბადებულ, სუმ წანერ დოსკილადე დედა დო ათამ.
38. თე ამბე ბების აფე ნაჩიებინა... დედა ხოლო თქუანდე, მარა მა ბებიმე მაფუ გუნაგონებე. ბებიქ ღურუნ მა ცირა ვორდე ბოში, სამსახურს მუბშენდი ოდიშის.
39. ბებე თქუანდე ეს ირო. დედა ხოლო მიწინდეს უკულ, მარა ბებიმ ნარაგადე მიჩქუ მა, დეი ხოლო თქუანდე.
40. ბები უკულ გათხილი რდე მაჟიაშა, ქარცხიას ეკუხედე.
41. ჩხოლარიემქ მინურინეს თურმე. თი დროს ვეშილებედ თურმე...
42. ახალგაზრდა ძღაბი რდე ენა თურმე, ეჩდობრუო წანერი რდე ქომონჯ უყვილესინე დო ეჩდობრუო წანერ ძღაბის მითინქ... გასიმასია ეგე-ბუავა დო ქიმურინეს თურმე აშო ...
43. ენა... ირო თქუანდეს, ირო მიწინდეს ბები, თინეფ ხოლო თქუანდეს, იასონიმ ოსურე ხოლო ირო თქუანდე... ძაძუ, ძაძუ ჯოხოდე თის დო ძაძუ ირო მიწინდეს თეს.
44. უკულ გვალო ჯგირო ვორდით უკულე ართმაჟირაწკუმა... ოდიშმა გილეშუ მუჭოთ ნათესე, მოჯგირე...

ფაცია საჯაია, 78 წლის, ზუგდიდი

1. ორი მეზობელი იყო („იყვნენ“), შემის გამო („გულისთვის“) გამოსულან, შემას ჭრიდნენ თურმე, ჰოდა, წაიკიდნენ ამის გამო და დაწყებულა („გაჩენილა“) ჩხუბი.
2. დაიწყო („გაჩნდა“) ჩხუბი და მაგარი ყვირილი რომ დაიწყეს („რომ იქნა“), გამოვიდა ბაბუა, ჰოდა, რა იყო, არ გრცხვენიათო, ერთმანეთს შემის გამო რომ ეჩხუბებითო, ჰოდა, ისაოდა არ მიატოვეს...
3. ერთს დანა ეჭირა თურმე, ისა, ნაჯახი... ჰოდა, მივიდა და ეს ნაჯახი მოუქნია („ხელიდან გაშვებული ექნა“) და მოხვდა ბაბუას და მოკვდა ბაბუა იქით.
4. მოკვდა და ჩვენს ბებიას ხუთი შვილი ჰყავს, გოგოები...
5. ჩხოლარიების მეზობლად ცხოვრობდა („ჩხოლარიებში ცხოვრობდა“), ჩხოლარია იყო იქ, განმუხურში, ხუთივე ძმა ერთ ეზოში იყვნენ და...
6. რომ მოკვდა, შეიქნა სასწაული ამბავი, ბებია უვარდებოდა თურმე, მოვკლავო, მაგრამ ის ჩასვეს თურმე...
7. გავიდა დრო, გავიდა ხანი... ხუთი თვე იყო, არ ვიცი, ექვსი თვე და დაავადდა თურმე ეს კაცი, ფილტვების ავადმყოფი იყო...

8. იმ დროს თურმე არ აჩერებდნენ ციხეში ავადმყოფს... ჰოდა გაუშვიათ ციხიდან.
9. ჰოდა, ბებიასთან მოვიდა ვიღაცა, იცი, მახეზღარები ყოველთვის იყვნენ („იყო“)...
10. ჰოდა, მოვიდა ბებიას ვიღაც („ის“) კაცი და უთხრა, გაუშვესო იასონი, ჭაფანძე იყო ის, იასონი, და, გაუშვესო იასონი უთხრეს და ბებიამ დასტავა იარაღს ხელი თურმე და გავარდა უკან, თხილნარით...
11. ჰოდა, რომ მირბის [ისე] ბავშვმა დაინახა და ბიძას დაუმახა, დედა აქეთკენ გაიქცა რაღაც თხილნარისკენო და...
12. იმას გაგონილი ჰქონია იასონი გაშვებული რომ იყო და გაეკიდა თურმე.
13. ისეთ დროს მივიდა ბებია („იქნა მისული“), მინდორში [ეზოში] სხედან თურმე, მინდორში სხედან თურმე სკამებით და ამბავს რომ ყვებიან ისე და ნახეს ბებია და ამ კაცმა შეირბინა შიგნით თურმე.
14. შეირბინა შიგნით და კარი ჩაკეტა თურმე და ბებია მიახტა კარს, მაგრამ ვერ გააღო კარი და მეორეჯერ მიახტა და მოუსწრო მაზღმა.
15. ჰოდა, გული წაუვიდა ბებიას, ჰოდა, გული რომ წაუვიდა, გამოიყვანა თურმე აქეთ, ქვევით, ხელში აიყვანა და შენ არ დაიღუპო („[თავი] არ დაიკარგო“), შენ ბავშვებს მიხედეო და მას მე მოვკლავო, მოსაკლავი თუ არისო და...
16. ჰოდა, წამოიყვანა აქეთ და... ბებია ამბობდა... მე არ ვიცი, გამომეღვიძა და მეუბნებოდნენო, ხომ ხედავო, იასონი მოკვდაო, კვიანო („კვივილი არისო“).
17. რამ მოკლავო, ვუთხარიო, მე ხომ არ მომიკლავსო და არაო, ის ფანჯრიდან გადამხტარა, შენი შეშინებია და ფილტვები გასკდომია და მოკვდაო.
18. ჰოდა, კარგი ახლა, რადგანაც მოკვდა და რას იტყოდნენ მერე ესენი და...
19. დაასაფლავეს ის, ყველაფერი და შემდეგ და ეს მტრობა რომ არ გაგრძელებულიყო თურმე ამიტომ („ამის გულისთვის“) წესი ყოფილა ასეთი...
20. ბებია წავიდა საფლავზე, დასაფლავებულია უკვე იასონი, მეცხრე დღე („მკლავის გახსნა“) ჩავლილია, ყველაფერი და ბებია წავიდა საფლავზე და ეს იასონის შვილი, რძალი, ესენი სხედან თურმე სასაფლაოში [სასაფლაოს ეზოში],
21. ჰოდა, ეს წესი იყოო ასეთი და მე ვერაფერს ვიტყოდით, ბებიამ, რადგანაც საფლავთან... საფლავთან არ შეიძლებდაო არაფრის თქმა და...
22. სამი ბავშვი მიმყავსო საფლავზე. მე ვიტყვი, მოთქმით ვიტყვი, იმით არ მივაქციეო ყურადღება და რომ გამოვდიოდით,
23. აქ ბუცა იყო სხვაზე უფროსი და პატარები არ გაჩერდებოდნენ და ხელი მოკიდესო და ამას ჩვენ გავზრდითო.
24. ეს წესი იყოო ასეთი და მერე რა მექნაო მე და უარი ვერ ვუთხარიო და წაიყვანესო იქით.

25. შენ არაფერს მოგაკლებთ, ნუ გეშინია, სახლში გაგიშვებთო...
26. ჰოდა, ის გაზრდილი იყო და ეს პატარები არ გაჩერდებოდნენო, მაგრამ ის გაჩერდა და გაჰყვაო იქით.
27. თხუთმეტი დღე ჰყოლიათ, თხუთმეტი, მეტი არა, აქეთ მოიყვანესო და არ გაგრძელდა თურმე ჩხუბი, მერე მტრობა არ შეიძლებოდა თურმე იმ დროს, ჰოდა მტრობა გაქრა („დაიკარგა“) თურმე...
28. მერე ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ჩემი დეიდაშვილი, რომელიც დაიჭირეს იმათ, მერე იმ ხალხს შვილად მიაჩნდათ. ჰოდა, იმისი ბიჭი ამბობდა, იასონის ბიჭი, და არისო („დად მეკუთვნისო“), ბუცა ჩემი და არისო, ამბობდა.
29. და ბუცას შვილს დისშვილს ეძახდა შემდეგ. ისეთი ისა ყოფილა იმ დროს კანონი... კანონი კი არა, წესი, თორემ...
30. ჰოდა, ის რომ მოკვდა, იმ იასონის ბიჭი აქ, ქუთაისის ქუჩაზე მოკვდა ისე ის, აქ ცხოვრობდა ის, ის რომ მოკვდა მაშინ, თამარას, იმ დეიდას შვილს, ჩემი დეიდა მკვდარი იყო მაშინ და დეიდას შვილს თავშალი ეფარა [სამგლოვიარო] და ისე ეჯდა [კუბოს].
31. ეს დისშვილი არისო მისიო და... რატომ იყო დისშვილი...
32. გაგრძელდა მერე, მაგალითად, ა, დედაჩემიც... დედაჩემთან დადიოდა იასონის ცოლი, იასონის შვილი, ყველა ძალიან ნორმალურად იყვნენ შემდეგ.
33. შემდეგ არ შეიძლებოდა მტრობა თურმე და.
34. ბებია იყო იამანი ჩიქავა კონსტანტინეს ასული.
35. ესენი ცხოვრობდნენ კოკში. კოკში ცხოვრობდა ბებია, ბებია ჩიქავა იყო, კოკიდან იყო, მაგრამ გათხოვილი იყო განმუხურში, ჩხოლარიებთან...
36. ეს ამბავი განმუხურში მოხდა. ბაბუა იყო ჩხოლარია, ხოფო ჩხოლარია.
37. ეს ამბავი რომ მოხდა, დედა სამი წლის ყოფილა, დედა [ცხრას] თხუთმეტშია დაბადებული, სამი წლის დარჩენილა დედა და ასე.
38. ეს ამბავი ბებიას აქვს მონაყოლი... დედაც იტყოდა, მაგრამ მე ბებიასგან მაქვს განაგონი. ბებია რომ მოკვდა, მე ქალიშვილი ვიყავი, ვმუშაობდი ოდიშში.
39. ბებია იტყოდა ამას ყოველთვის. დედაც მეტყოდა შემდეგ, მაგრამ ბებიას ნათქვამი ვიცი მე, დედაც იტყოდა.
40. ბებია მერე გათხოვილი იყო მეორედ, ქარცხიაზე იყო გათხოვილი.
41. ჩხოლარიებმა ჩაუსიძეს თურმე, იმ დროს არ შეიძლებოდა თურმე...
42. ახალგაზრდა გოგო იყო თურმე, ოცდარვა წლის იყო, ქმარი რომ მოუკლეს და ოცდარვა წლის გოგოს ვინმემ... ხმა გაუვრცელდეს ეგებოდა და ჩაუსიძეს თურმე აქეთ...
43. ეს... ყოველთვის ამბობდნენ, ყოველთვის გვეუბნებოდა ბებია, ისინიც ამბობდნენ, იასონის ცოლიც ყოველთვის ამბობდა... ძაძუ, ძაძუ ერქვა მას და ძაძუ ყოველთვის გვეუბნებოდა ამას.

44. მერე ძალიან კარგად ვიყავით შემდეგ ერთმანეთთან... ოდიში და-
დიოდა, როგორც ნათესავი, მოკეთე...

მასალა ჩაიწერა და თარგმნა მანანა ბუკიამ.

MananaBukia

On the Spread of a Caucasian Tradition

Summary

The tradition of blood feud was widespread in the Caucasus. There also were different rules for reconciling enemies including the ritual of pretended kinship – the murderer's family abducted the victim's child, raised and returned them to the family at the age of 17.

Georgia's lowland is not familiar with this tradition. Ethnographers have not described it. It is not observed in oral traditions, although we have found a similar phenomenon when obtaining samples of Megrelian speech. This narrative closely replicates the Circassian tradition described by Shora Nogma.

The Megrelian text of the empirical material obtained by us and the Georgian equivalent are attached to the paper.

*Obtained and translated by **Manana Bukia***

გიორგი გოგოლაშვილი, ხათუნა ყანდაშვილი

კახეთის 1812 წლის აჯანყების დოკუმენტების მნიშვნელობა კახური დიალექტის ისტორიისთვის

ცნობილი ისტორიული ფაქტია: 1912 წლის იანვრის ბოლოს რუსული მმართველობის წინააღმდეგ დაიწყო კახეთის აჯანყება. აჯანყებამ მოიცვა მთელი კახეთი: ქიზიყი, შიგნიკახეთი, გარეკახეთი. იმჟამად მთავარმართებელი კავკასიაში იყო მარკოზ პაულიჩი, რომელიც აჯანყების მომენტში ყარაბაღში იმყოფებოდა. იგი სასწრაფოდ დაბრუნდა თბილისში; აჯანყების ჩახშობის ღონისძიებთა პარალელურად გადაწყვიტა, შეექმნა საგამოძიებო კომისია აჯანყების გამომწვევი მიზეზების შესწავლის მიზნით. კახეთის მოსახლეობა არც ამ კომისიას შეხვდა ნდობით; ზოგ სოფელში (მაგ. ბაკურციხეში, მირზაანში...) არც შეუშვეს. თუმცა უნდა ითქვას, რომ კომისიამ საკმაოდ აქტიურად დაიწყო საგამოძიებო მოქმედებანი და მოკლე ხანში სამოცზე მეტი საჩივარი წარუდგინეს მთავარმართებელს (მათ შორის, ათიოდე რუსულ ენაზე). ამ მასალებს საინტერესო ისტორია აქვს: 1812 წლის ზაფხულში იმპერატორის ბრძანებით პაულიჩი გაათავისუფლეს და მთავარმართველად ნიკოლოზ რტიშჩევი დანიშნეს. ახალმა მთავარმართებელმა საგამოძიებო კომისიის მუშაობა შეწყვიტა და შეგროვილი მასალა პეტერბურგში სამხედრო მინისტრს გაუგზავნა. როგორც ირკვევა, 1940 წელს საიმპერატორო კარმა გადაწყვიტა 1804-1813 წლების რუსეთ-ირანის ომის ისტორიის დაწერა; საამისოდ შეგროვდა ყველა საჭირო საარქივო მასალა სხვადასხვა არქივიდან, ამ შეგროვილ დოკუმენტებში მოხვდა 1812 წლის კახეთის აჯანყების მასალებიც, რომლებიც ცალკე ტომად დაიდო და, როგორც ჩანს, ითარგმნა რუსულად... ეს მასალები გადაგზავნილი იქნა მოსკოვის სახელმწიფო სამხედრო-ისტორიულ არქივში... სწორედ ამ არქივში მიაკვლია ამ დოკუმენტებს ისტორიკოსმა შოთა ხანთაძემ 1951 წელს, გადმოწერა და იზრუნა მის გამოსაცემად. 1961 წელს უნდა გამოსულიყო წიგნი (იბეჭდებოდა მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში); აიწყო ლინოტიპზე, გაკეთდა კიდევ კორექტურა, მაგრამ ცენზურისთვის ცნობილი გახდა წიგნის შინაარსი და აიკრძალა; ანაწყოები ჩაიშალა... ბედად, გადარჩა ერთი საკორექტურო ცალი... სწორედ ამ ცალის საფუძველზე მოახერხა ისტორიკოსმა დურმიშხან ცინცაძემ მისი გამოცემა. წიგნი – „დოკუმენტები კახეთის 1812 წლის აჯანყების ისტორიისთვის“ – გამოვიდა 1999 წელს... ამ ძვირფასი მასალის გამოცემაში ფასდაუდებელია ისტორიკოსების შოთა ხანთაძისა და დურმიშხან ცინცაძის წვლილი... სწორედ ამ გამოცემის წინა-

სიტყვას ვემყარებით კახეთის აჯანყების შესახებ ისტორიულ ფაქტებზე მსჯელობისას...

რას წარმოადგენს ეს „დოკუმენტები“ (ასე მოვიხსენიებთ ამ გამოცემას ქვემოთ; დამოწმებისას მივუთითებთ გვერდს, ზოგჯერ სოფელსაც)?

* * *

მთვარმართებლის მიერ შექმნილი საგანგებო კომისიამ დაკითხა აჯანყების მონაწილეები - რა იყო მიზეზი აჯანყებისა: „მისი ბრწყინვალეების მოურავის თავადის იოსების ანდრონიკოვისაგან გამოგვეცხადა ბრძანება ეს შფოთი საიღამ დაიწყოვო“ (116). მთხრობელები არიან კახელი გლეხები. რადგან მათ წერა-კითხვა არ იციან, ჩვენებას იწერს ძირითადად სასულიერო პირი: „ამათ წიგნი არ იცოდნენ და ამათის თხოვნით მე იოსებ მღვდელი ხელს ვაწერ“ (86), „ერთობით კაკაბეთელთ თხოვნით მღვდელი მახარებელი, ჯელს ვაწერ“ (65), „ამათ თხოვნით მე დოდაძე ივანე მღვდელი ხელს ვაწერ“ (85) და სხვა... თუმცა იშვიათად არიან სამოქალაქო პირნიც: „ამათის თხოვნით ხელს ვაწერ მურადოვი სტეფანე“ (28), „ამათის თხოვნით მე მურადაშვილმა სტეფანემ დავწერე, ამათ ხელწერილი წიგნი არ იცოდნენ“ (48)...

ტექსტები არის დიალექტური ხასიათისა. ეტყობა ჩამწერი ცდილობს, ზუსტად ჩაიწეროს ნათქვამი; ხშირად ჩვენების მიცემის პროცესს სხვებიც ესწრებიან, ეს როგორც ჩანს, ჩამწერის პასუხისმგებლობას ზრდის ტექსტის სიზუსტისთვის. მაგალითები: „ამ გამოძიებაში დავესწარ თავადი იოანე ანდრონიკოვი, თავადი დიმიტრი ანდრონიკოვი, თავადი იოანე ვაჩნაძე“ (320). ეს სამეული, როგორც ჩანს, კომისიის წევრები არიან, ამიტომ უმეტეს მოხსენებაში მოიხსენებიან მოწმედ...

ფაქტობრივ, „დოკუმენტები“ არის XIX საუკუნის დასაწყისის კახური მეტყველების ნიმუში. შეიძლება ითვას, რომ ქართული დიალექტოლოგიის ისტორიაში ესაა პირველი ვრცელი დიალექტური მასალა... მართალია, XIX საუკუნის მეორე ნახევარში თითქმის სისტემურ ხასიათს იძენს ფოლკლორული ტექსტების შეკრება (პ. უმიკაშვილი, თ. რაზიკაშვილი...), მაგრამ მათი დიალექტოლოგიური თვალსაზრისით სანდოობა არაა მაღალი ხარისხის; განსაკუთრებით ეს ითქმის პოეტურ ტექსტზე (პოეტური ტექსტის დიალექტოლოგიური თვალსაზრისით სანდოობის თაობაზე იხ. ა. არაბული 1981); თუმცა დიალექტოლოგიურ კვლევა-ძიებაში ამ ფოლკლორული მასალის გამოყენება ფასეულია... XIX საუკუნის მწერალთა ნაწერებიც ასევე ფასეულ მასალას იძლევა დიალექტოლოგიისთვის (ი. ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, ე. ნინოშვილი, დ. კლდიაშვილი, ხალხოხსენები და სხვა), მაგრამ ეს შეიძლება მაინც განხილული იქნეს დამატებით მასალად... ძირითადი დიალექტოლოგიური მასალა, ფაქტობრივ, არა გვაქვს; XIX საუკუნის დასაწყისამდე დიალექტოლოგიური ტექსტები კონკრეტული დიალექტებისათვის, ფაქტობრივ, არ მოგვეპოვებოდა... და აი, „დოკუმენტები 1812 წლის კახეთის აჯანყებისა“ შეიძლება ითქვას, რომ ამ სახის დიალექ-

ტური მასალა არა თუ კახური დიალექტისა, არამედ არცერთი დიალექტისათვის არ მოგვეპოვება...

დოკუმენტების გამოცემას ეს მნიშვნელობაც აქვს... დასაბუნძობია ის ფაქტი, რომ ტექსტი არ არის ენათმეცნიერულად გამართული გამოცემა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არის რამდენიმე პირობა, რაც ამ ტექსტებს იმდროინდელ ბუნებრივ კახურ მეტყველებასთან შეიძლება აშორებს:

1. ტექსტის ჩაწერის სიზუსტე. ჩამწერები, მართალია, წერა-კითხვის მცოდნე პირები არიან, მაგრამ ამ ჩანაწერებს მათი კვალიფიკაციის გამო, ცხადია, სიზუსტის პრეტენზია არ შეიძლება ჰქონდეს;

2. ამგვარ საქმეში გამოუცდელიობის გამო არაა გამორიცხული მექანიკური შეცდომები, უზუსტობები ნაუბრის აღქმის თვალსაზრისით...

3. არ გამოირიცხება ჩამწერთა (ძირითადად სასულიერო პირთა) შეგნებული ჩარევა ტექსტში. ამის თქმის უფლებას ისიც გვაძლევს, რომ ტექსტი აშკარად განიცდის ანტონის სკოლის წესების გავლენას ორთოგრაფიაში (უმარცვლო უ-სთან დაკავშირებული საკითხები და სხვა);

4. არაა გამორიცხული დედნებიდან ტექსტის გადმოწერის დროს გამომცემლის მიერ შეცდომების დაშვება;

5. არ გამოირიცხება ტექსტის გამოცემისას დაშვებული კორექტურული თუ მექანიკური შეცდომები (გავითვალისწინოთ: 1999 წელს ტესტი გამოიცა 1961 წლის შემორჩენილი კორექტურული ფურცლების საფუძველზე)...

6. ასე რომ, მრავალი პირობა არსებობს იმისა, რომ გამოცემული ტექსტი მთქმელის ტექსტს აცდენილი იყოს... თუმცა ვიმეორებ: „დოკუმენტების“ მნიშვნელობა მაინც განუსაზღვრელია კახური დიალექტის შესწავლისათვის...

* * *

„დოკუმენტები“ სხვადასხვა თვალსაზრისით შეიძლება იყოს საინტერესო სხვადასხვა ინტერესის მკითხველისთვის: ისტორიკოსებისთვის, ეთნოგრაფებისთვის, ონომასტიკის საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის... ჩვენს მთავარ ინტერესს არ შეეხება ეს, მაგრამ მაინც გვინდა ყურადღება გავამახვილოთ კახელი გლეხების შინაგან ბუნებაზე, მათ ღირსებაზე, ზნეობრივ სახეზე... ამ უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილებს ხელისულება პასუხს სთხოვს, რატომ აჯანყდითო... ამ დროსაც კი უკიდურესად შეურაცხყოფილთ, დამცირებულთ, დაჩაგრულთ უმძიმთ საუბარი ოჯახის სიწმინდის დარღვევაზე, თუმცა გარემოება მოითხოვს, აუხსნან კომისიას და ისინიც ცდილობენ თავშეკავებით, ღირსების შენარჩუნებით, მინიშნებით აღწერონ:

„ყოველს მწუხარებას ვითმენდით ხელმწიფის ერთგულებისათვის, მაგრამ ცოლის მკლავიდან აყენება ვერ მოვითმინეთ“ (26);

„დაიჭერენ დედაკაცებს და ჩვენ კი ბოძებზედ მიგვაკრავდნენ. ეს უსამართლობა გვჭირდა ციციანოვის უკან და ამისთვის მოხდა ბუნტი“ (119);

„რა ვთქვა დედაკაცების გაუნამუსოებისა, თვით ჩვენ უნდა გვრცხვე-
ნოდეს მოხსენებითა“ (129);

„დღეში ანგარიში არ ჰქონდათ იმათ პურის ჭამას, მთვრალეები ეყარ-
ნიან, მრავალს გვცემდენ, ესეც გვითხრიან – თქვენი ცოლები მოგვგვარეთ-
თო“ (25);

„რომ დაითრობოდნენ, დაუწყებდნენ კაცებს ცემას – დედაკაცები
გვინდაო“ (128);

„ასე ეუბნებოდნენ გლეხ-კაცს: „თუ პური არა გაქვსთ, თქვენი ცოლე-
ბი უნდა მოგვცეთო. ეს ხომ ყველამ უწყით, კაცი თავის ცოლის გულის-
თვის მოკვდება, ამ ხმის სმენისთვის შეწუხდა ეს ხალხი და საწყაულიც
აღივსო მწუხარებით და აღარ დაითმინა კაცობრივმა ბუნებამ“... (18)

ეს ტექსტები საინტერესო იქნება ზეპირმეტყველების **სინტაქსისა** და
სტილის შესწავლისათვისაც...

საინტერესო ჩანს ხალხური სამართლებრივი ლოგიკაც: „ვითომც
(ქრთამის – გ.გ.) მომტანიცა, მომცემიცა და ამღებიც, სამნივ უნდა მოკვდე-
ნო და დაიკარგონო. ან მიმტანისა რა დანაშაულია ან მიმცემისა, თუ არ
გამომრთმეველისა...“ (11)

ანდა: „უკანასკნელ ყოველთა მწუხარებათა უმეტესად ჩუენზედ მო-
სრულმან ძალმან შიმშილისაგან გვაიძულა და გარდაგვიყუანა მოთმინე-
ბისა საზღვართა“ (126)...

მსჯელობაში გლეხები ხშირად იშველიებენ ვახტანგ მეფის სამარ-
თალსაც... „მაშინ გვებოძა ჩუენ მანიფესტნი და რჯულდებანი პირუჭლი
საქართველოდს მეფის ვახტანგის კანონით უნდა ესამართლათ... (...)

პირუჭლი აღთქმული – მეფის ვახტანგის კანონით უნდა გეესამარ-
თლნათ“ (36) და სხვა...

* * *

გაკვრით იმასაც გვინდა მივაქციოთ ყურადღება, რუსეთ-საქართვე-
ლოს (შემოსული რუსებისა და ადგილობრივი ქართველების) ურთიერთო-
ბის იმჟამინდელი ისტორიის შესწავლისათვის იქ წარმოდგენილ ფაქტებს
განსაკურებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. გვახსენდება: „არსენა მა-
რაბდელის“ თაობაზე გაკეთებულ ერთ-ერთ ჩანაწერში მიხეილ ჯავახიშვი-
ლი წერდა: „არსენაში გაძლიერდეს რუსების მხეცობა“... ეტყობა, ამას
ზღვარი არ ჰქონდა...

როგორც ჩანს, ამგვარ ფაქტებს „გამოგონება“ არ სჭირდებოდა... რუსი
ამგვარ მხეცობათა „უებრო გამოგონებელი“ იყო; „დოკუმენტებიდან“ :

„რაც შეეძლოთ და ან ჭურჭელი ჰქონდათ ღვინით სავსე, წაილიან და
დანაშთომი ღვინო მიწით აღგვივსიან და წაგვიხდინიან“ (126)

ვახმისტერმა „ერთი კაცი დადრიკის მსგავსად სკამისა და ზედ და-
ჯდის, ხოლო მეორე კაცი დადრიკის მსგავსად სტოლისა; ერთისა ზურგსა
ზედა იჯდის და მეორესა ზურგსა ზედა წიგნები წერის და ესრეთ განკიცხ-
ვით სტანჯევდის“ (129)

ამგვარ ფაქტთა აღწერა მრავლდა...

ასე რომ, „დოკუმენტები“ მრავალმხრივ არის საინტერესო... ჩვენ ძირითადად ენობრივ მხარეზე გავამახვილებთ ყურადღებას: **რას გვაძლევს „დოკუმენტები“ XIX საუკუნის კახური დიალექტის ენობრივი სახის წარმოსადგენად.**

* * *

როცა „დოკუმენტების“ ენაზე ვსაუბრობთ, შევნიშნავთ, რომ ტექსტის ლინგვისტურად სანდოობის ხარისხიდან გამომდინარე, ფონეტიკური ხასიათის დასკვნების გამოტანა გაჭირდება. თუმცა რამდენიმე შენიშვნას მაინც გავაკეთებთ: ტექსტებში **ჭ** და **ხ** არასისტემურადაა წარმოდგენილი. მართალია, ეს საშუალო ქართულის პრობლემაა ზოგადად, მაგრამ ჩამწერთა კვალიფიკაცია აქ, როგორც ჩანს, პრობლემას ქმნის. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ XIX საუკუნეში **ჭ** მხოლოდ ქიზიყში შემოგვრჩა, ისიც ასაკოვნების მეტყველებაში (ა. მარტიროსოვი, 1956) „დოკუმენტებში“ ეს ფაქტი მთელ კახეთში დასტურდება. ერთი მხრივ, გვაქვს:

„**ჭ**არს გაუჭირდის და დაწვის... **ჭ**არებში მოგვცეს თითოში თუმან ნახევარი... **ჭ**არი და ურემი გაიმართება“ (39); „აქ მდგომი მჭედრობის (41), ამას **ჭ**ელს ვაწერთ...“ (45) (გარეჯელთა მოხსენებიდან). მეორე მხრივ: „ჩვენ არ მივყოლილვართ იმათ **ხ**ელმწიფის ორგულებით ... მაგრამ მის მოხელეთაგან ... (127) შამოგვიყარეს **ხ**არების თეთრი... (128) ამ დავისაგან **ხ**ელის აღება გვინდოდა, ისინი მაინც **ხ**ელს არ აგვალებინებდნენ...“ (129) (ჩუმლაყელთა მოხსენებიდან).

თუმცა ამ ტექსტის ბოლოს წერია: „ჩუმლაყელთა თხოვნით **ჭ**ელს ვაწერთ“ ... (129)...

ცხადია, **ა**-ს ალქმა და ჩაწერაც პრობლემა ჩანს... ამიტომ ამ თვალსაზრისით ეს ტექსტები ფასეულს ვერაფერს მოგვცემს...

ფონეტიკურ პროცესთაგან თვალშისაცემია **წყვეტილსა და II კავშირებითში ვა** → **ო** პროცესი. თითქმის სისტემებრ:

„ჩაგვიყენა ჯარი და ისე დაწიოკებით ვისაც გვქონდა და არა გვქონდა **გამოგვართო**“ (19)

„თუმცა ჩვენ არა **ვსთქოთ**“ (19)

„კაპიტანმა პრავნიკმა სოროკინმა **წაგვართო**“ (20)

„არც **გაგვიშო**, არც პურები დაგვადებინა“ (121)

თუმცა **ვა** კომპლექსიც შენარჩუნებულია:

„ცხრა კოდით პური **გამოგვართვა**“ (133)...

ვა → **ო** იმდენად ბუნებრივი და ჩვეულებრივი ჩანს კახური მეტყველებისთვის, ილია ჭავჭავაძეს სწორ ვარიანტად მიაჩნია (გამოართო, გაუშო....)...

ვფიქრობთ, რომ გარკვეულ შემთხვევებში ტექსტი სტილიზებულია (არქაიზებულია). მხედველობაში გვაქვს მოთხრობითის **-მან** დაბოლოებიანი ფორმები და მრავლობითის ნარ-თანინის ვარიანტები: „**მწუხარებამან მრავალთა წელთა უსამართობამან** აღძრა...“ (127)

„იყვნენ **მიზეზნი შფოთისანი** ესე შემდგენი“ (917)

„**მთავარმართებელმან** მოწყალებითა და კაცთმოყვარებითა თვისითა... (16)

„დასდო სურათი **განსხვავებულმან მეფემან** ირაკლი...“ (55)

თუმცა ჩვეულებრივ **-მა (მ)** დაბოლოებიანი მოთხრობითითაა წარმოდგენილი: „ოდეს ყოვლად მოწყალემ **კელმწიფემ** ინება...“ (165)

„ველარ დაითმინა **კაცობრივმა ბუნებამ**“ (18)

„...რუსის **ჯარისკაცმა**, რომლის სახელი არ ვიცით...“ (28)

არის ე.წ. „შერეული“ ვარიანტებიც:

„...**დასაწყისმა ბუნთისამან** მოუწია თიანეთითგან“ (29)

როგორც ჩანს, ჩამწერი (უმეტესად სასულიერი პირი) წიგნური ენის გავლენას განიცდის, რადგან არ გვგონია, იმდროინდელ ხალხურ მეტყველებში ეს ვარიანტები ასე ცოცხალი ყოფილიყო.

* * *

როგორც ითქვა, ჩვენ ძირითად ლინგვისტური ინტერესები გვაქვს. ვთვლით, რომ „დოკუმენტების“ მონაცემთა ანალიზს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება კახური დიალექტის შესწავლაში; განსაკუთრებით – ამ დიალექტის იტორიისათვის; არის რამდენიმე გამოკვლევა, რომელიც კახური დიალექტის მონაცემებს ანალიზებს ისტორიული თვალსაზრისით. „დოკუმენტებს“ შეუძლია გარკვეული კორექტივის შეტანა არსებულ ვითარებაში: რა შეიცვალა რით ამ ორი საუკუნის მანძილზე...

ჩვენს ნაშრომს არა აქვს საკითხის ამომწურავად შესწავლის პრეტენზია. ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ გარკვეულ ენობრივ ფაქტებსა და მოვლენებს; აქცენტებს გავაკეთებთ, ჩვენი აზრით, საინტერესო საკითხებზე. ვფიქრობთ, რომ ცალკეულ შემთხვევაში საკითხის უფრო ღრმად და დაწვრილებით განხილვა საჭიროა, რაც მომავლის საქმეა... ცალკეული დიალექტოლოგიური თუ ენის ისტორიის საკითხის კვლევისას ამ მონაცემთა მოშველიება ასევე ფასეული იქნება...

* * *

არის არაერთი საინტერესო თავისებურება სახელთა ბრუნებაში. მაგალითად: არაა ერთგვაროვანი ვითარებითი ბრუნვის დაბოლოების გამოხატვა. ხშირია **-ათ** დაბოლოება:

„**იშვიათათ** ვნახით კარი ღია“ (11)

„დილბანდმა **უფულოთ** არ თარგმნის“ (12)

„**თაფდებათ** დაუდგეს“ (12) და სხვა...

„არაიშვიათია **-ად** დაბოლოება:

„ესენიც აღძრა **შეცოდებად** და **შფოთად**“ (18)

„**უსამართლოდ** გვეპყრობოდი“ (37)

არის „შერეული“ ვარიანტებიც:

„**დილათ** გვაწუხებდნენ და **უფასოდ** გვართმევდნენ პურსა, ღვინოსა...“

ვფიქრობთ, ამ ტიპის ვარიაციები უფრო ჩამწერის „ბრალი“ ჩანს, ვიდრე ცოცხალი მეტყველების თავისებურებისა...

* * *

საინტერესოა თანდებულების სისტემა „დოკუმენტების“ მიხედვით. ძირითადად **ზედ /ზედა** ვარიანტი გამოიყენება:

„უნდა მივართოთ **კომლზედ** ახალში...“ (14)

„**სულზედ** თვეში ერთი კოდი პური გადაგვირწყოს თორმეტის თვისა“ (19)

„იმ შეწუხების ბარობაზედ მივართვით არზა“ (19)

არაიშვიათია **-ზე** ვარიანტი:

„ახლა კაპიანის პრავნიკმა მოილო **ჩვენზე**, პირველი...“ (18)

„**კარზე** ყარაულს უყენებდნენ, რომ საჭირო საქმეზე არ უშვებდნენ“ (20)

ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებაში ორივე ვარიანტია:

„**ძალზე** ქურდობდნენ, მივასწარით **ორმოზე**, **ქვევრზე**“ (77)

არ შეგხვედრია **-დან** თანდებული. ჩვეულებრივ **-დამ** იხმარება:

„**იქიდან** წასაღები არის ან პური ან ბარგი“ (8)

„მასუკან **თელავიდან** ანაგას და **ანაგიდან** ტფილისს და **ტფილისი-დამ** ხან ქოლაგირს და ხან სხვაგან“ (9)

საინტერესო ვარიანტები აქვს **მდე /მდის** თანდებულს:

„იქიდან მოაწია **ჩვენამდე**...“ (77)

„რაც **ქვენში აქამდის** უსამართლობა იყო“ (6)

„გვართმევდნენ ჩვენ დღეში ათ **ურმამდინ**“ (21)

ვარიანტები – **თვის / თვინ**:

„იმათის **ცხენისთვის** გომებს გვაკეთებინებდნენ“ (21)

„**ბეგრისათვის** სალდათი რო მოვიდოდა...“ (27)

„ჩვენის მეუფროსისათვის არ შაგვაჩივლებინეს“ (27)

„ურმები რამდენიც იქნებოდა, ან წასაღებად **რისთვისმე**...“ (8)

კახურში **მო-** და **შე-** ზმნისწინთა ა ხმოვნისანი ვარიანტია გავრცელებული. დოკუმენტებში **შე- / შა-** პარალელიზმი გვაქვს, **მო-** ზმნისწინის **მა-** ვარიანტი, ფაქტობრივ, ძალზე იშვიათად შეგხვდა:

„ჩვენი მოხსენება ეს არის, ღმერთმან პასუხის **მამცემნი** იყვენით“ (92).

შა- ვარიანტი ზმნისწინისა საკმაოდ ხშირი გამოყენებისაა. გვხვდება როგორც პირიან, ისე უპირო ზმნებთან; როგორც მარტივ (**შე-**), ისე რთულ (**შემო-**) ზმნისწინებთან; როგორც ხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან, ისე – თანხმოვნის წინ.:

„ოთხმოცი ხარი **შამოგვიყარეს** დაცვივნილები“ (35)

„ოთხი ურემი კიდევ სოფელში **შაჭამა** ქერი“ (27)

„ჩვენის მეუფროსისათვის არ **შაგვაჩივლებინეს**“ (27)

„არც **შაიძლება** ყოვლის მწუხარების დაწერა“ (128)

„რაც **შაგვეძლო** ვკვებეთ“ (128)

„გზებიც საჩივრისა **შაკრული** გვქონდა“ (129)

„ათასი კოდის **შაძლება** რომ არ გვქონიყო“ (128)

ცხადია, **შე-** ვარიანტიც არაა უცხო:

„რომელიც ჩვენი მწუხარებაა, ამას ქვეით **შეუდგება**“ (129)

„ქვევერები ქურდობით აგვიხადიან, რაც **შეემლოთ...**“ (126)

„სამასი კოდი ქერი **შემოგვაწერა...**“ (133)

„სოფელი ისე **შეაწუხის** ხარჯისათვის“ (7)

არის თუ არა რაიმე კანონზომიერება ვარიანტთა განაწილებაში, ეს შემდგომი კვლევის საგანია.

საინტერესო სურათს ქმნის თემის ნიშანთა სისტემა. ხშირია თემის ნიშანთა მონაცველობა:

ებ > ავ: დაიფიც-ვ-ენ: „სასამართლოში დასხდებიან მდივან ბეგათ და **დაიფიცვენ**“ (11)

ებ > 0: მონდომოდა: „საჭმელი **მონდომოდა...**“ (7)

ებ > ოფ: ვიდ-ეფ-ო: „გვითხრა, რო, შტრაფის ფულში **ვიდეფო**“ (21)

ავ > ამ: გვინახ-ამ-ს: „ჩვენს დღეში არ **გვინახამს**“ (29)

ერთთემიან ზმნათა ერთ ნაწილს ჯერ კიდევ არ დაურთავს თემის ნიშანი: **ხოც-დ-ნენ** (20).

თითქმის სისტემებზე **-ავ/-ამ** თემისნიშნის ზმნათა უწყვეტელი ძველი ქართულისებურად იწარმოება, თუმცა ხშირ შემთხვევაში პარადიგმა გასწორებულია I და II პირის ფორმათა მიხედვით: III პირის ფორმაში გვხვდება **ვედ** და არა **ვიდ**, თუმცა ეს ვარიანტიც გვხვდება:

„როცა მინდორში გუთანსა **ვხნევედით...**“ (126)

„მანამ კაცის თავს ოროლ სამს ქათამს არ **დაუკლავდით** (128)

„**სვემდნენ** და ჭამდნენ“ (123)

„წყვაში ეგრეთვე **გვიწყვიდნენ**“ (129)

„რომელსაცა როს **მოხნევედიან** გარეჯელნი“ (124)

„ესრეთ განკიცხვით **სტანჯევედის**“ (125)

კახური დიალექტის ისტორიისა თუ თანამედროვეობის მკვლევართ „დოკუმენტები“ საინტერესო მასალას მიაწვდის ისეთ საკითხზე, როგორცაა მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის **-ნენ/-ენ** ფორმანტთა გამოყენება. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ძველ ქართულში **ნენ** დაბოლოება არ ყოფილა გამოყენებული ნამყო დროებში: ნამყო უსრულსა (უწყვეტელსა), ნამყო ძირითადსა (წყვეტილსა) და თურმეობით მეორეში იხმარებოდა **-ენ** სუფიქსი, ხოლო კავშირებითში (პირველსა და მეორეში) – **დ-ნ-ენ** ძალზე გავრცელებულია. მას ხმარობდნენ ნ. ლომოური, რ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე, შ. არაგვისპირელი... **დ-ენ** გაბატონებულია ა. წერეთლის, გ. წერეთლისა და ფაჟა-ფშაველას ნაწერებში“ (ნორმები, 1926, 189).

ვაქტია, **-ნენ** დაბოლოება აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებისათვის დამახასიათებელ მოვლენადაა მიჩნეული... ეს მოვლენა უკავშირდება გვარის ფორმათა წარმოების საკითხს და ე. წ. პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის მაწარმოებელ **-ენ/-ნ** სუფიქსის ფორმებს. ამ საკითხის შესასწავლად საინტერესო მასალას გვაძლევს „დოკუმენტები“.

აქ, ერთი მხრივ, ფართოდაა წარმოჩენილი **-ენ** სუფიქსიანი ფორმები: „ამალათ **ახდენ** ასე... მაგრამ სხვანიც რომ **ახლდენ** ამალათ“ (7)

„არ **გვატყუებდენ**...“ (14)

ზოგჯერ გამომცემელს აღუდგენია **[ნ]ენ**, რაც, ვფიქრობთ, უსაფუძვლოა:

„საღდათებისათვის ხარჯავდ**[ნ]ენ**...“ (13)

„თავიანთ ულუფას კი ჰყიდდ**[ნ]ენ**...“ (13)

თუმცა გაცილებით მეტია **-ნენ** დაბოლოებიანი ვარიანტი:

„აგრეთვე **გვართმევდნენ** სახლებსა“ (13)

„**გვართმევდნენ** ჩვენ დღეში ათ ურმამდინ“ (21)

„რომელნიც იდგნენ ჩვენ სოფელში დიდათ **გვაწუხებდნენ**“ (21)

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა **-ნენ/-ენ** ვარიანტები ერთსა და იმავე წინადადებაში გვხვდება:

„ისინი არა **გვტანჯავდენ** და არ **გვატყუებდნენ**“ (14)

„თავიანთ ულუფას **ყიდდენ** და აგრეთვე **გვართმევდნენ** სახლებსა“ (13)

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს სტილისტური მრავალფეროვნებისთვის ხდება ასეთი მონაცვლეობა... საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს.

კახური დიალექტის ისტორიისათვის, ანდა ცალკეული გრამატიკული ფაქტებისა თუ მოვლენების ისტორიისთვის ფასეული გვეჩვენება „დოკუმენტებში“ წარმოდგენილი ასევე სხვადასხვა გრამატიკული თავისებურებანი:

წყვეტილისა და II კავშირებითის **-ა** სუფიქსიანი ფორმები:

„სამი კაცი არ **დაესწრა** მიცემაში“ (10)

„სამი კაცი **დავისწრათ**...“ (10)

„ივან ზაქარიჩს ავით **მოეპყრა** ჩვენის გულისათვის“ (19)

„ჩვენი მამული მკედრობამ **დაიპყრა**“ (120)

პარალელიზმი II თურმეობითის წარმოებაში: **გვეონოდა // გვეონიყო**:

„ათასი კოდის შაძლება რომ არ **გვეონიყო**“ (128)

„ხუთი მინალთუნისა დავა რომ **გვეონიყო**“ (129)

„ერთი ღორის საჩივარი რომ **გვეონოდა**“ (42)

„სამართლიანი საჩივარი **გვეონოდა**“ (42)

* * *

განსაკუთრებით ფასეული გვეჩვენება „დოკუმენტების“ ჩვენება ისეთი მნიშვნელოვანი გრამატიკული კატეგორიის ისტორიისთვის კახურ დიალექტში, როგორცაა ხოლმეობითის კატეგორია. მოდით, გავიხსენოთ რა ვითარებაა კახურში მრავალგზისობის კატეგორიის გამოხატვის თვალსაზრისით სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით.

კახური დიალექტის აღწერისას შენიშნავენ, რომ „ხოლმეობითის არქაული **-ო** სუფიქსიანი წარმოება მეტ-ნაკლებად თავს იჩენს ქიზიყურში“...

(ბ. ჯორბენაძე, 1989, 329). „ქიზიყურშივე გვხვდება ხოლმეობითის **-ყ/-კე** ფორმანტიანი წარმოება – დაერთვის ხოლმეობითისავე ფორმებს... ხოლმეობითის გამოსახატავად **-ყ/-კე** გამოიყენება გარეკახურშიც, მაგრამ აქ იგი დაერთვის იმ პარადიგმებს, რომლებთანაც აღწერითი წარმოებისას „**ხოლმე**“ იხმარება“ (ბ. ჯორბენაძე 1989, 329).

ამ ნაშრომში XX საუკუნის მიწურულის ვითარებაა წარმოდგენილი. ცოტა უფრო ადრე, XX საუკუნის I ნახევრის ვითარებაა აღწერილი მონოგრაფიაში კახური დიალექტის შესახებ: „კახეთის ზოგიერთი კუთხის მოხუცთა მეტყველებაში ჯერ კიდევ შემონახულია ძველი ქართულისა და მთის კილოებისათვის (აგრეთვე ფერეიდნულისათვის) დამახასიათებელი ხოლმეობითის ფორმები. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქიზიყური, სადაც ხოლმეობითი დაცულია. გარდა ამისა, იგი დადასტურებულია სოფ. მატანის (ახმეტის რაიონი) მოხუცთა მეტყველებაში და ძალიან იშვიათად შეიძლება წავაწყდეთ სხვაგანაც“ (ა. მარტიროსოვი, გ. იმანიშვილი 1986, 97).

ანუ: XX საუკუნის მდგომარეობით, ხოლმეობითის ორგანული წარმოება ნაშთის სახით შემორჩენილია ძირითადად ქიზიყურ კილოკავში, იშვიათად – შიგნიკახურში (ახმეტის რაიონი), თითქმის აღარ – გარეკახურში.

დიალექტიზმების საკითხი საგანგებოდ იქნა შესწავლილი XV-XVIII საუკუნეების კახურ ისტორიულ საბუთებში (ა. მარტიროსოვი 1952), საანალიზო მასალად გამოყენებულია XV-XVIII საუკუნეთა ისტორიული საბუთები, რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა მკვლევართა მიერ იქნა გამოცემული (ა. ხახანიშვილის, თ. ჟორდანიას, ს. კაკაბაძის, ნ. ბერძენიშვილის და სხვა); საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი მასალაა გაანალიზებული (არ. მარტიროსოვი 1952, 143)... ჩვენთვის საინტერესო მოვლენასთან დაკავშირებით მოკლე შენიშვნაა გაკეთებული: „გვხვდება II ხოლმეობითის ფორმები, მაგ: „კაცმა ცოლი **გაყიდის** და თავად **დარჩის**“ (ა. მარტიროსოვი 1952, 266). მხოლოდ ეს ერთი შემთხვევაა დამოწმებული, თუმცა სხვა ფაქტებსა და მოვლენებზე საუბრისას საკმაოდ მდიდარი და საინტერესო მაგალითებია მოხმობილი. ავტორი შენიშნავს, რომ „საბუთების ენას თუმცა ერთგვარი შაბლონურობა ახასიათებს, მაგრამ იგი მაინც თავისუფალია, თუ შეიძლება ასე ითქვას, სალიტერატურო ენის მტკიცე ნორმებისაგან და ცოცხალ მეტყველებას გასდევს“ (იქვე, 241). ფაქტობრივ, ამით იმის თქმა სურს ავტორს, რომ ამ პერიოდშიც (XV-XVIII საუკუნეებში) ხოლმეობითის ორგანული წარმოება იშვიათია, გაქრობის გზაზეა...

ერთ საინტერესო ფაქტსაც მივაქცევთ ყურადღებას: შენიშნავენ, რომ ხოლმეობითის ორგანული წარმოების ფორმების გამოყენება ხშირია რაფიელ ერისთავის პოეზიაში, თუმცა ამ ფაქტს ძირითადად მთის კილოთა გავლენით ხსნიან: „ნამყო ხოლმეობითი ძველი ქართულის კუთვნილებაა. დღეს იგი მთის კილოებშია დაცული. რ. ერისთავის ენაში ამ ფორმების არსებობა ზოგჯერ აღნიშნული კილოების გავლენითაც აიხსნება. ხოლმეობითის ფორმები ფშაურ კილოზე დაწერილ ლექსებში მიუთითებს მთის კი-

ლოთა გავლენაზე. „თამარიანში“ ხოლმეობითის ფორმები შეიძლება არქაიზმად მივიჩნიოთ“ (ლ. იორდანაშვილი 2015, 67). როგორც ჩანს, ეს აზრი ადრეც გამოუთქვამთ, ამიტომაც ეკამათება ა. მარტიროსოვი „ფარულ ოპონენტს“. „წყვეტილის ხოლმეობითის ფორმებს ზოგჯერ იყენებს რ. ერისთავი და იშვიათად ზოგიერთი სხვა მწერალიც. მოსალოდნელი არაა, რომ ისინი ამ ფორმებს ხმარობდნენ მთის კილოების ან ძველი ქართულის გავლენით. ამაში „ბრალი“ კახურს უნდა მიუძღვოდეს. როგორც ამჟამად მოხუცა მეტყველებიდან ჩანს, ილიასა და რ. ერისთავის დროს ეს ფორმა უფრო მეტად უნდა ყოფილიყო ხმარებაში, ვიდრე ამჟამად არის“ (ა. მარტიროსოვი 1956, 27). თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია და ამ აზრს არგუმენტი არ ახლავს...

ეს შენიშვნა საგულისხმოა, თუმცა ის ფაქტი, რომ ისტორიულ საბუთებში ორიოდ ფორმა დადასტურდა; ილიასთან I და II ხოლმეობითის ორგანული ფორმები არ დასტურდება, გარკვეულ კითხვებს აჩენს... თუმცა ეს სხვა ნარკვევის თემაა. აქ კი არსებითი მნიშვნელობის ფაქტზე გავამახვილებთ ყურადღებას:

ჩვენ მიერ განსახილველ „დოკუმენტებში“ ხოლმეობითის ფორმათა გამოყენება ჩვეულებრივია; როგორც ჩანს, XIX საუკუნის I ნახევარში ეს ფორმები ცოცხალია მთელი კახეთის ტერიტორიაზე: ქიზიყშიც, შიგნიკახურსა და გარეკახურშიც. აქ მოვიყვანთ ვრცელ ამონაწერებს თითოეული ამ კილოკავის მასალიდან:

ქიზიყური მეტყველება:

„როცა იმათთან **მივიდით** და **შავჩივლით**, უფრო დიდ მწუხარებაში **მიგვცაიან** – რათა სთქვიო... სურსათი რომ **აილიან** ფასიანი თუ უფასო ერთი ფოხალი **ამოიტანის** პრავნიკმა – ხუთლიტრიანი არისო. **გამოვწყით** და შვიდი ლიტერა **გამოვიდის**“... (ბოდბე, 27)

„ცეცხლზედ ნადები მუგაზური **აილიან** და **წაილიან**; როდესაც ისიც ვერ **მოიხელიან** ურმისა და გუთნის იარაღი **მოიხელიან** და ის **გაიტანაიან** და **დაწვიან**, რომელიც რომ ბოლოზედ ვენახები იყო, რაც ახალი რქა **გამოუვიდის**. ჯერ რქა **დაგლიჯიან** და ის **კამიან**; და როცა რომ ისრიმი **გამოუვიდის**, ახლა ისრიმს **კრეფდიან** და იმას **კამდიან**, და თუ **გადარჩის** რამ ყურძნათ **მოკამიან**. ვაჟკაცებს ცოლები **წაართვიან** და თითონ **დაიჭირიან** და უნამუსოთ **გახდიან**“ (ბოდბისხევი, 31-32)

„ჩვენ **გვემედიან**, რომელიც **დაუდვით** პური სამზარდნოებში, ერთი კვირა **დაგვაყენიან**, ქრთამი **გამოგვართვიან** და ისე **წავგაღებინიან** და მათთან თუმცა ქირა **გვითხრიან**, მესამედი არ **მოგვცაიან**. პრავნიკთან **ჩაქონდის** ოცდაათი ურემი შეშა...“ (მაღარო და ნუკრიანი, 81)

შიგნიკახური მეტყველება:

„ჯარი რომ **დავარდის**, კაცი **შააზიან** და მრავალი **ჰსცემდიან**. ურემი **გატყდის** კაცსა **სცემდიან**; ჯარი ურმიდან **გამოუშვიან**, ურემზე **დააზიან** და ბალახი არ **აძოვიან**, პირუტყვზე ეს ურჯულოება **იჭმარიან**“ (ჯიმიტი, გურჯაანი, 137)

„საქონელიც მრავალჯერ დაგვივარდებოდა გზაზე შიმშილით და სიცივისაგან. და **ვიჭირავით** სხვა და ვისაც ის დავარდნილი ჯარი **მივაზარით**, თუ არ **მოკვდის**, **მივცით** შესანახავი და თუ **მოკვდის**, რაღას გამოვრჩებოდით?..“ (თელავის მაზრა, 9)

„**მივიდით** იმ დანიშნულ დროს, ვეყარენით თელავს ერთი კვირა, ორი, სამი და ერთი თვეც; **ვილით** ვალი და ისე ვსჭამდით და ვსვედით, **მოგვატყუის** და **წავივით** ცალიერ კიდევ **მოგვატყუის** და წავედით წელიწადში ამ სახედ ხუთჯერ და ექვსჯერ **მოგვატყუის** და ამით გვედებოდა ვალი... **მივიდით** და **ვიკითხით** და **მოგვციან**“ (თელავის მაზრა, 11)

„და ამავე პურისთვის **მოვიდიან** იასაულნი სალდათნი ანუ ყაზახნი, სმიდენ და სჭამდენ და გვემდენ ვიდრე კაცით დედაკაცამდე, და ოდეს მივართმევდით პურსა, სამს კაცზედ ჩაფს ღვინოსა და **დათვრიან** და სხვა უმჯობესი ღვინო **ითხოვიან**... შემდგომ **სთხოვიან** დედათაგანიც მოგვარეთო“ (კოლაგი და ჩუმლაყი, 78)

„საცა ჯარი **მოკვდის**, იმის მაგიერ უღელში ჩვენ შავვაზამდენ... პირობის წერილიც **მიუტანით**...“ (კარდანახი, 66)

გარეკახური მეტყველება:

„მარტი რომ **დადგის**... გომთან და ბაკთან ცხვარი, ღორი **მოკლიან**, **შაკმიან**. ძროხა და ცხენი **დაიჭირიან** და ფასი **გამოგვართვიან**... წისქვილში ჩვენსა ამოჰყრიდენ და თავიანთს დაუყრიდენ, მინდი არ **მოგვციან**“ (ყანდაურა, 117)

„როდესაც ჯარმა **ამოიარის**, ან **ჩამოიარის**, რამდენი დღეც **ნებადგის**, სოფელში **დადგან**; პური, ღვინო და საკლავი უფასოთ **დახარჯიან** და ეგრეთვე ბარგი **წაგვაღებინიან** უფასოდ... როცა პრავნიკი **მოვიდის** და კაცნი **მოჰყვნიან**...“ (მანავი, 125)

„რაც **იყვის**, სრულად ჩვენ გვაზიდვინებდნენ უფასოდ. ხარს **გაუჭირდის**, **დაწვის**, ჩვენა **გვემდიან**, ურემი **გავციტყდის**, ჩვენა **გვემდიან**...“ (პატარმეული, 96)

„მაიორმა **დაგვიძახის** ერთობლივ სოფლის კაცთა რომელიმე საყარაულში **შეგვრეკის**, რომელიმე წვერი **გვაგლიჯის** და რომელთამე **გვემის**...“ (საგარეჯო, 63)

„სულ ვენახებში დადიოდნენ და აოხრებდენ. რაც იმათ გადარჩათ და ქვევრჩი **ჩავასხემდით**, ისიც ქურდობით **ავციხადიან**, და რაც შეეძლებოდათ, **წაილიან** და რაც **დარჩის**, სულ მიწით **აღავსიან** და **წაგვიხდინიან**, რომ ღვინით აღარ **გამოგვადგის**. რომ ვიჩივლებდით, კიდევცა **გვემდიან** და არც სამართალი **გვიყვიან**“ (კაკაბეთი, 59)...

ფაქტობრივ, „დოკუმენტები“ (გავიხსენოთ – შედგენილია 1812 წელს) ამგვარი ენით არის დაწერილი; ხოლმეობითის ორგანული ფორმები ცოცხალ მეტყველებაში ბუნებრივია – პირველიცა და მეორე ხოლმეობითიც:

I ხოლმეობითი: **კრეფდიან, ჰამდიან, გვემდიან, ჩაქონდის, სცემდიან, ჩავასხემდით...**

II ხოლმეობითი: **ამოიტანის, აილიან, დაწვიან, გამოვიდის, მოჭამიან, წართვიან**

ის ფაქტი, რომ უფრო ხშირია II ხოლმეობის ფორმები, I და II ხოლმეობითა ფუნქციური ურთიერთმიმართების საკითხს სვამს და არა მწკრივთა ისტორიის საკითხს ამ დიალექტებში...

თუმცა ეს საკითხიც (I და II ხოლმეობით მწკრივთა ფუნქციური ურთიერთმიმართება) საკვლევეა როგორც ამ დიალექტებში, ისე ზოგადად ქართულში...

ენის ისტორიის თვალსაზრისით ისიც საინტერესოდ გვეჩვენება ამ ტექსტებში, რომ არცთუ იშვიათია უწყვეტლის მწკრივის ფორმათა გამოყენება მრავალგზისობის გადმოსაცემად; ეს იმის დასტურია, რომ ხოლმეობითის ორგანული ფორმების არსებობის პერიოდში უწყვეტელიც ინაწილებს (ითვისებს) მრავალგზისობის ფუნქციას... ზოგჯერ ხოლმეობითსა და უწყვეტლის ფორმები ერთსა და იმავე წინადადებაში (შერწყმულსა თუ რთულში) გვხვდება გვერდიგვერდ; აქ მწკრივთა შენაცვლებას სტილისტური ფუნქციაც შეიძლება ჰქონდეს:

„მოვიდიან იასაულნი, სალდათნი ანუ ყაზახნი, **სმიდენ** და **სჭამდენ** და **გვემდენ...**“

„საცა ხარი **მოკვდის**, იმის მაგიერ უღელში ჩვენ **შაგვაბემდენ...**“

„წისქვილში ჩვენსა **ამოჰყრიდენ** და თავიანთს **დაუყრიდენ**, მინდი არ **მოგვციან...**“

„ხარი **დაწვის** და კაცს **გვაბამდა**, ექვს შაურათ პურს **ვეიდულობდით** და ის ორ შაურს **გვამღევდა...**“

„ათი ხუთმეტი ურემი ბზე თითონ **წაგვართვის** და შვიდი თუ რვა ურემი ქალაქს **გაგზანის...**“ და იქვე: „იასაულები **გვედგენ, გვემდენ** და **გვეყდენ**, უარესს **გვპირდებოდენ...**“

როგორც ითქვა, ეს XIX საუკუნის დასაწყისია. არადა, ორგანული წარმოება ამ დროისათვის იშვიათ ფაქტად გაიაზრება, ძველი ნორმის ნაშთად... ზემოთ ა. მარტიროსოვის კვლევის შედეგი მოვიხმეთ; ასეთი ზოგადი დასკვნა კეთდება: „თვით სალიტერატურო ენაში და გარკვეულ დიალექტშიც უკვე XVII საუკუნიდან საბოლოოდ იჩენს თავს ანალოგიურ ფორმათა (იგულისხმება ხოლმეობითის ორგანული ფორმები – გ. გ.) მნიშვნელობის დაკარგვა – დავიწყება, რისთვისაც დამატებითი საკომპენსაციო საშუალება – „ხოლმე“ ნაწილაკი ხდება აუცილებელი“ (ი. ქავთარაძე 1961, 11).

ანუ, დასკვნები ასეთია: XV-XVIII საუკუნეებში ხოლმეობითის ორგანული წარმოება იშვიათობაა, XVII საუკუნიდან მისი ჩანაცვლება ხდება **„ხოლმე“** ნაწილაკიანი ფორმებით...

არადა, „დოკუმენტები“ სრულად საპირისპიროს გვიჩვენებს: ხოლმეობითის ორგანული წარმოება არის ძირითადი, ჩვეულებრივი; ამ მასა-

ლებში **„ხოლმე“** ნაწილაკიანი მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა დავადასტურეთ:

„მოგცვა უეზდის სასამრთლო, რომლიდამაც ჩვენი ყოვლივ საჩივარი უნდა შესრულებულიყო **ხოლმე** ექვს თვესა და თუნდ ერთს წელიწადს“ (თელავი, 10)

„როცა შეეჩვივლებდით პრავნიკს სოროკინს, კმაყოფილების მოცემის მაგიერ დაგვიჭერდა **ხოლმე** და ჩაგვყრიდა ყარაულში (ბოდბისხევი, 34)

„რაც თავიანთი გათიბული თივები აქვთ **ხოლმე** სახელმწიფო, ანუ მაიორსა და აგრეთვე კაპიტნებისა და არტერელიისა რაც **იყვის**, სრულად ჩვენ გვაზიდვინებნენ და არას მოგვემდენ“ (პატარძეული, ბერთუბანი, 96)

„პური, ღვინო, საკლავი, ბზე, თივა და ქერი, ყოველსავე უფასოდ გამოგვარმევდენ **ხოლმე** ყოველთვის და ყოველთვის სოფლით სოფლამდინ ურმებს გადაგვატანინებდნენ და არას მოგვემდენ“ (პატარძეული, ბერთუბანი, 100)

„ამათი ჯოგი რომ ვერანაში იქმნება **ხოლმე**, რამთენჯერ სალდათები ავლენ და ჩამოვლენ, ან ცხენს ჩამოიყვანენ და წაიღებენ რასმე, კვირაში ერთხელ ან ორჯელ სულ ერთიანათ უნდა გაჰყვეს **ხოლმე** სოფლის ხალხი, ამისთვის, რომ ცოტა კაცი ვერ წავა, მაშინ ძალიან ლეკის შიში არის ამ კალოში და მკაში იქ დავყევართ“ (ხაშში, 134)

საინტერესო ფაქტია: ხალხურ მეტყველებაში (რომლის ნიმუშიც „დოკუმენტების“ ენაა), ორგანული წარმოება ხოლმეობითისა ჩვეულებრივია, **„ხოლმე“** ნაწილაკიანი – იშვიათია; ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში პირველი მათგანი არ გვხვდება არც ავტორთან დ არც პერსონაჟთან... ჩვეულებრივია **„ხოლმე“** ნაწილაკიანი წარმოება... ასევე არ გვხვდება **ყე // -კე** ნაწილაკიანი წარმოება; ეს ვარიანტი არც „დოკუმენტებში“ გვხვდება, თუმცა XIX საუკუნის მწერალთა შემოქმედებაში (მაგალითად, მელანისთან) პერსონაჟთა მეტყველებაში დასტურდება (მელანია 1965).

აგრე **იტყოდაყე** ის საცოდავი, როცა ჩალოგინდა ქვემაგებში და აღარაფერი შეეძლო, და მეც ვალალას ვაყრიდი “ (29)

„აბა, მე ვიცოდი, თქმა არ მინდოდა, ყველაზედ წინ **გავარდებოდი-ყე** ციბრუტივით. ვტრიალებდი, მაგრამ მაშინ რალა დამემართა, თქვენმა გამარჯვებამ, ვერ გავბედე (38)

მაგრამ შენ ერთი ეს მითხარი, რასაც გარგებენ, დიდხანს **გაგყვება ყე** ისა?“ (= გაგყვება ხოლმე) (362)

„კიდევაც **გვეხუმრება ყე** ჩვენ მოჯამაგირეებს, ხან რას გვიშვრება და ხან რას (425)

„შე დასაქცევო, შე დასაქცევო და დასამიწებელო, **ეტყვის ყე**, სკოლაშო გასაწურთნად გაგზავნეთ და გაწვრთნის მაგიერ გაგასულელეს და გაგასასაცილოესო“ (426)

„რო გითხარი, კაი **ვინმეა ყე**, პატარა (447) (არის ხოლმე) = ზოგადი აწმყო?

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ **-ყე// -კე** ნაწილაკიანი წარმოება მრავალგზისობის გამომხატველი ფორმებისა დამახასიათებელია ფერეიდ-

ნული მეტყველებისათვის (არნ. ჩიქობავა, 2010; ბ. ჯორბენაძე, 1989), ფაქტია, რომ XVII საუკუნის კახური მეტყველებისათვის ეს ნაწილაკი ამ ფუნქციით უკვე დადასტურებულია...

ამჟამინდელ ბუნებრივ მეტყველებაში იშვიათი არ ჩანს მრავალგზისობის გამოხატვა ლექსიკური საშუალებებით, რაც ქართულისათვის დამახასიათებელი იყო ისტორიულად. ლექსიკური ერთეულების გამოყენება ორგანულ წარმოებას გამორიცხავდა ბუნებრივ მეტყველებაში:

„**მუდამ დღე და ღამე** დავდიოდი და ხარით კაცით ვილუპებოდი“ (ვაქირი, 47);

„**ყოველთვის** ზამთარში სალდათებს დაგვირიგებდნენ“ (ვაქირი, 47) და სხვა.

ზემოთ ვთქვით, რომ ი. ჭავჭავაძესთან ხოლმეობითის ორგანული ფორმები არ გვხვდება; არ დასტურდება არც **-ყე/-კე** ნაწილაკიანი ფორმები; ილია მრავალგზისობას **ხოლმე** ნაწილაკით გამოხატავს, როდესაც ხალხური მეტყველების მინიშნება დასჭირდა, გლახა ჭრიალაშვილს **ხოლმეს** ნაცვლად **ხვალმე** ფორმები გამოაყენებინა:

„კიდონ ბატონი წასცდება **ხვალმე**...“ (ი. ჭავჭავაძე, II, 323)

„ყველაფერს მალე დავიჯერებთ **ხვალმე**“ (ი. ჭავჭავაძე, II, 32)

ვთქვით ზემოთ: რაფიელ ერისთავთან ხოლმეობითის ორგანული (ძველი ქართულისებური ფორმები) გამოიყენება, დავიმოწმებთ მაგალითებს (ვიმოწმებთ: რ. ერისთავი, 1958):

„**გადაბრუნდის** ჩვენი ციგა, კოტრიელა, კოტრიელა“ (59)

„გიორგი კი ნადირობდა, თან **იახლის** ბლომათ სპანა“ (158)

„დიდი და მცირე **შემტრფოდის, მივლიდის** შვილსა სხვისასა“ (170)

„**ილაღის, იმხიარულის, მივიდის** წირვის სმენასა“ (163)

ცხადია, რ. ერისთავთან ამგვარ ფორმათა არსებობა არ შეიძლება აიხსნას მთის დიალექტთა გავლენით: რ. ერისთავისთვის კახური დიალექტი ბუნებრივი ენობრივი გარემოა, ამიტომაც ის მხოლოდ ამ გარემოს გავლენით უნდა აიხსნას...

ის ფაქტი, რომ ილიასთან არ გვხვდება, სხვა მსჯელობის თემაა. ამჟამად კახურში მრავალგზისობის გამოხატვის რამდენიმე ვარიანტი არსებობს:

1. ორგანული წარმოება (ასე ვთქვათ, ძველიქართულისებური);
2. **-ყე / -კე** აწილაკიანი წარმოება;
3. **ხოლმე** ნაწილაკიანი წარმოება;
3. 1. **ხოლმეს** დიალექტური ვარიანტი **ხვალმე** (თუ ეს სტილიზებული არაა)
4. უწყვეტლის ფორმები
5. ლექსიკურად

1-2 ილიასათვის, როგორც ჩანს, არასამწერლობო, არასალიტერატურო ვარიანტებია და ამიტომ იგი ამ ფორმებს არ გამოიყენებს. ჩვეულებრივ მიმართავს უწყვეტლის მწკრივის ფორმებს და ლექსიკურ (**ყოველთვის**,

დღედაღამ, მუდამ...) ვარიანტს და **ხოლმე** ნაწილაკს. ეს უკანასკნელი მწერლისათვის წიგნური მეტყველებისთვის დამხასიათებელი ფორმა ჩანს და ხალხური მეტყველების ელფერისათვის მის ფონეტიკურ ვარიანტებს (ხვალმე) იყენებს (ვიმეორებთ, თუ ეს სტილიზებული ვარიანტი არ არის ავტორისა...).

აქ ერთ საინტერესო ფაქტს გავიხსენებთ: ხოლმეობითის ფორმებს ამჩნევს და მის ფუნქციურ დახასიათებას ახდენს პ. იოსელიანი. მას **-ო** სუფიქსიანი წარმოება მიაჩნია სწორ ქართულად („ხშირობითის“ გამომხატველად), ხოლო ამავე მნიშვნელობით **„ხოლმე / ხვალმე“** ნაწილაკიანი წარმოება – „მდაბიურად“... (პ. იოსელიანი, 1840, 63-65).

როგორც ვნახეთ, ილია **„ხოლმე“** ნაწილაკს მიიჩნევს ძირითად ვარიანტად, **„ხვალმე“** – ნაწილაკიანს – მის ხალხურ ვარიანტად. **-ო** სუფიქსიანი და **-ყე** ნაწილაკიანს საერთოდ არ ახსენებს... „არქაული“ და „მდაბიური“?

ყოველივე ამაზე საუბრის შესაძლებლობა მოგვცა სწორედ იმ მასალამ, რომელიც „დოკუმენტებშია“ წარმოდგენილი. ანუ: „დოკუმენტებში“ წარმოდგენილმა მასალამ სრულად შეცვალა კახურ დიალექტში მრავალგზისობის მორფოლოგიური გამოხატვის შესახებ არსებული თვალსაზრისი.

ლიტერატურა

არაბული 1981 – ა. არაბული, დიალექტი და ხალხური პოეზია: III რესპ. დიალექტური სამეცნიერო სესიის მასალები, თელავი, 1981.

„დოკუმენტები“ – დოკუმენტები კახეთის 1812 წლის აჯანყების ისტორიისთვის, გამოსაცემად მოამზადა შ. ხანთაძემ, თსუ გამომცემლობა, თბ., 1999.

ერისთავი 1958 – რაფიელ ერისთავი, ერთტომეული, რჩეული თხზულებები, თბ., 1958.

იორდანიშვილი 2015 – ლ. იორდანიშვილი, რაფიელ ერისთავის ენა, თბ., 2015.

იოსელიანი 1840 – პ. იოსელიანი, პირუჭლი დაწყებითი კანონნი ქართულისა ღრამატიკისა, ტფილისი, 1840.

მარტიროსოვი 1953 – ა. მარტიროსოვი, დიალექტიზმები XV-XVIII სს. კახურ ისტორიულ საბუთებში, იკე, IV, 1953.

მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი 1956 – ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.

მელანია 1965 – მელანია, ქედნის ღულუნი, თბ. 1965.

ნორმები 1986 – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I თბილისი, 1986.

ქავთარაძე 1961 – ი. ქავთარაძე, ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიისათვის: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თეზისი, 1961.

ჩიქობავა 2010 (1) – არნ. ჩიქობავა, -ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით: შრომები: ტ. I. თბ., 2010.

ჩიქობავა 2010 (2) – არნ. ჩიქობავა, გარეკახური დიალექტოლოგიურად (უშუალო დაკვირვებანი); შრომები, ტ. I. თბ., 2010.

ჩიქობავა 2010 (3) – არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი: შრომები, ტ. I. თბ., 2010.

ჭავჭავაძე II – ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, თბ. 1988

ჯორბენაძე 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

Giorgi Gogolashvili, Khatuna Kandashvili

The Importance of the Documents of Kakheti Uprising of 1812 for the History of the Kakhetian Dialect

Summary

In order to study the causes of the uprising in Kakheti in 1812, Governor Marquis Paulucci instructed the local authorities to investigate the causes of the uprising. The local authorities prepared about 30 reports for the governor. These materials are currently kept in the Central State Military Historical Archive of Moscow. In 1915, historian Shota Khantadze copied these documents and in 1961 he wanted to publish them. They were almost ready to be published but the censorship banned the publication. The materials were destroyed. Only one draft piece has been preserved. In 1999, the documents were published with the efforts of historian Durmishkhan Tsintsadze.

The texts of the documents were written down in the the whole Kakheti region two centuries ago (Kiziki, Shigni Kakheti, Gare Kakheti). The narrators were Kakhetian peasants. The materials were mainly written down by clergymen. Their literacy had a certain effect on the linguistic image of the texts (e.g. archaisms, the influence of Anton School of Literature are apparent). When analyzing the texts, we paid attention to several issues:

1. Given the history of the texts of the published documents, it is difficult to speak about the phonetic image of the Kakhetian dialect of that time (We mean α and ζ and accordingly ჭ and ღ in verb forms, different phonetic processes, etc.). However, it is clearly possible to define some certain phonetic processes (e.g. *va > o. gauššo, gamoarto, čaarto*).

2. Specific morphological features can be specified: dialectal variants of postpositions and preverbs; the peculiarities of expressing the third person subject; the variants of the affixation of bases in the present tense; the continuous screeve and the screeves derived from it.

The documents are especially valuable in terms of confirming the existence of the morphological category of recurrence in a verb in Kakhetian: as it seems the category of recurrence was used very actively in the whole territory of Kakheti. This fact invalidates the idea that in the Kakhetian dialect the morphological category of recurrence had been disappeared by XV-XVIII centuries, and was preserved in the rarest cases (A. Martirov).

მაყვალა მიქელაძე

წოვათუშური ზმნის გვარის ტიპოლოგია ქართულთან მიმართებით

წოვათუშური ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ნახური ენების შტოს ეკუთვნის. იმავე შტოს დანარჩენი წევრებისაგან, ჩეჩნურისა და ინგუშურისაგან, განსხვავებით, რომელთაც კავკასიის ტერიტორიის გარკვეული რეგიონები უკავიათ, ის დღეს საქართველოს ერთადერთი სოფლის, ზემო ალვნის, მხოლოდ ნახევარშია შემორჩენილი და ძლიერი ქართული კულტურულ-სოციალური გავლენის ქვეშაა მოქცეული, რაც საკუთრივ ენის სფეროში ცალმხრივი წოვათუშურ-ქართული ორენოვნებით აისახა.

საუკუნეები ფარავენ წოვათუშურ-ქართული ორენოვნების ხანგრძლივობის საიდუმლოს, ენობრივი მეხსიერების ფაქტების მიხედვით კი მისი სათავე ჩვენი წელთაღრიცხვის მიღმა საგულვეტელი. მრავალსაუკუნოვანი სუსტი ცალმხრივი ბილინგვიზმი დღეისათვის უკვე ისევ ცალმხრივმა, მაგრამ აქტიურმა ზებილინგვიზმმა შეცვალა, რის გამოც წოვათუშური ენა ქართულზე გადართვის რეალური საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა.

პროფ. ქ. გიგაშვილის ბოლოს წლების სოციო-ლინგვისტური გამოკვლევის მიხედვით, ამ ნახევარ სოფელს შემორჩენილ, ოდესღაც ფართოდ გავრცელებულ ენას, წოვათუშურს, დღეს მხოლოდ 1558 წევრიანი ეთნიკური ჯგუფი ეთვლება. მათგან მშობლიურ ენას კარგად ფლობს მხოლოდ 95 პიროვნება, 803-მა საერთოდ აღარ იცის ეს ენა, დანარჩენებს კი ასე თუ ისე ჯერ კიდევ ესმით. დაწყებულია თაობათა შორის წყვეტა (გიგაშვილი, 2014-252).

ცნობილია, რომ „ყოველი ორენოვანი სიტუაცია უნიკალურია თავისი ბუნებით და აბსოლუტური დამთხვევა აქ გამორიცხებულია. მიუხედავად ამისა, ორენოვნების თითოეული შემთხვევა ავლენს ინტერფერენტულ პროცესთა ზოგად კანონზომიერებებს და საინტერესოა ზოგადი ლინგვისტიკის თვალსაზრისით, რაც, ცხადია, თვითონ ენათა სტრუქტურების სისტემური ხასიათითაა შეპირობებული“ (მიქელაძე, 2008-9).

ამჯერად ჩვენთვის საგულისხმოა ის გარემოება, რომ მიუხედავად შექმნილი მძიმე მდგომარეობისა, წოვათუშური აგრძელებს დამოუკიდებელი შინაგანი განვითარების გზას. სამართლიანად წერს დევიდ კრისტალი, რომ „ენა კვდება მხოლოდ მაშინ, როცა ერთი მოსაუბრედა რჩება და მას არავინ ჰყავს, რომ ელაპარაკოს“ (კრისტალი, 2007, 52). ანალოგიურ და-

სკვნას აკეთებს ქ. გიგაშვილიც: „ნებისმიერი საფრთხეში მყოფი ენა, განურჩევლად საფრთხის ხარისხისა, ცოცხალია მანამ, სანამ მასზე თუნდაც ერთი ადამიანი ლაპარაკობს“ (გიგაშვილი, 2010-156). აღნიშნული თვალსაზრისით საინტერესო ვითარება ფიქსირდება წოვათუშურ ენაში.

მოცემულ შემთხვევაში წოვათუშურზე უცხოენობრივი გავლენის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმ გარემოებამ, რომ მჭიდრო კონტაქტში მყოფი ორივე ეს ენა, წოვათუშურიც და ქართულიც, ერთი და იმავე გენეალოგიური ოჯახის წევრებია და გრამატიკული კატეგორიების რაოდენობისა და ხასიათის მიხედვით თითქმის თანაბრად შეეზომებიან ერთმანეთს. სწორედ ამან განაპირობა, რომ ქართული ენის მრავალსაუკუნოვანი გავლენა წოვათუშურზე ძირითადად გრამატიკულ კატეგორიების გამოხატვის თავისებურებათა ნიველირების გზით წარიმართა. ერთადერთი გრამატიკული კატეგორია, რომელიც ქართულიდან ისესხა წოვათუშურმა, ან უფრო სწორედ, ქართულის გავლენით გაჩნდა წოვათუშურში, ეს არის ზმნის გვარის კატეგორია.

გვარი ზმნის ერთ-ერთი რთული გრამატიკული კატეგორიაა. იგი განვითარების გვიანდელ საფეხურებზე ყალიბდება ენებში და მკაცრ ლოგიკურ კანონზომიერებას ეფუძნება. V საუკუნის ქართულში ის უკვე რაფინირებული სახითაა წარმოდგენილი და შესწავლილიცაა სათანადოდ. თანამედროვე ქართული ენის ზმნის გვარის კატეგორიას, მის სახეებს და ფორმაწარმოების საკითხებს გამოწვლილვით აანალიზებს აკად. ა. შანიძე და გამოყოფს სამ გვარს მათი ქვესახეებით: მოქმედებითს, ვნებითს (დინამიკურსა და სტატიკურს) და საშუალებას (აქტიურსა და პასიურს) (შანიძე, 1980-280).

წოვათუშურ ენაში ზმნის გვარის კატეგორია გვიანდელი შემონატანია ქართულიდან. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ წოვათუშურის არცერთი უახლოესად მონათესავე ენას, ჩეჩნურსა და ინგუშურს, ზმნის ეს კატეგორია არ გააჩნია. მისი შემოტანის გვიანდელობას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ მისი თანდათანობითი ჩამოყალიბების საფეხურები ჯერ ისევ იკვეთება ამ ენაში. ყველაზე საინტერესო კი აღნიშნულ პროცესში ის გარემოებაა, რომ ენა, რომელიც დღეს-ხვალ ქართულზე გადართვის რეალური საფრთხის წინაშე დგას და მასზე მოუბართა რაოდენობაც უკიდურესად შეცოტავებულია, ქმნის ზმნის გვარის ახალ სახეობას, რომელიც არც ქართულს და არც რომელიმე ენას მის გარშემო არ გააჩნია. მივყვეთ საკითხს თანმიმდევრულად.

გვარის საკითხი საკმაოდ რთულად დგას წოვათუშურში, რადგან ის ჯერაც არაა ბოლომდე ჩამოყალიბებული და არც შესწავლილია სათანადოდ. აქ ის პირველად შენიშნა ამ ენის შესახებ არსებული ხელნაწერი გრამატიკის ავტორმა იოზ ცისკარიშვილმა, თუმცა მისი მორფოლოგიურ-სინტაქსური დახასიათება არ მოუცია (ცისკაროვი, 1840).

მოგვიანებით წოვათუშურისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში ამ ენის ზმნის მორფოლოგიას ჯეროვან ყურადღებას უთმობს აკად. ი. დეშერიცი,

მაგრამ კატეგორიულად უარყოფს ამ ენის ზმნის გრამატიკულ კატეგორებში გვარის არსებობას (დეშერიევი, 1953, 91).

საგანგებო მონოგრაფიაში წოვათუშური ზმნის გვარის კატეგორიას საკმაოდ ვრცლად განიხილავს პროფ. კ. ჭრელაშვილი, მაგრამ მკვლევარი ორი გვარის ზმნებს გამოყოფს მხოლოდ: მოქმედებითებსა და ვნებითებს, შემდეგ კი ვნებითებს დინამიკურებისა და სტატიკურების ქვეჯგუფებად ანაწილებს. იგი სტატიკურ ვნებითებში აერთიანებს კლასიფიკაციის გარეშე დარჩენილ ყველა გარდაუვალ ზმნას, რაც, ჩვენი დაკვირვებით, რეალურ ვითარებას არ შეესაბამება (ჭრელაშვილი, 2002-227).

დაპირისპირება გვარებისა: მოქმედებითი და ვნებითი - თანამედროვე წოვათუშურში რომ მკვეთრადაა გამოხატული, ამაში სავსებით ვეთანხმებით პროფ. კ. ჭრელაშვილს, მაგრამ განსხვავებული შეხედულება გვაქვს მის მიერ ერთიანად სტატიკურ ვნებითებად გამოცხადებული გარდაუვალი ზმნების შესახებ. მიგვაჩნია, რომ გარდაუვალ ზმნათა პროფ. კ. ჭრელაშვილის მიერ ერთიანად სტატიკურ ვნებითებად გამოცხადებული ჯგუფი თავის მხრივ სტატიკურ ვნებითად და მედიოაქტიური ზმნების ჯგუფებად იყოფა.

მართალია, მკვლევართა გარკვეული ნაწილი ეჭვქვეშ აყენებს ქართული ზმნის საშუალო გვარის რეალობას, მაგრამ დანარჩენი ორი გვარის ზმნებისაგან განსხვავებული შინაარსითა და განსხვავებული მორფოლოგიით წოვათუშურში ეს ჯგუფი ზმნებისადამოუკიდებელ სისტემას ქმნის.

საკითხის განხილვას დავიწყებთ იქიდან, რომ ერთის მხრივ მოქმედებითი გვარისა და მეორეს მხრივ კი ვნებითი და საშუალო გვარის ზმნებს შორის ძირითად განსხვავებას პირდაპირი ობიექტის ქონა-არქონა ქმნის, ხოლო თვითონ ვნებითი და საშუალო გვარის ზმნებს შორის სხვაობას კი საფუძვლად მოქმედების პროცესში სუბიექტის ჩართულობა-ჩაურთველობა უდევს.

თავისებური ვითარება გვაქვს ამ მხრივ ვნებითთან. ასეთ ზმნებს მოქმედების რეალური შემსრულებელი არ გააჩნია, აქ მოქმედება სუბიექტს ფორმალურად მიეწერება. როგორც აკად. ა. შანიძე განმარტავს: „ვნებითის დანიშნულებაა საზოგადოდ პირდაპირ-ობიექტური პირი მოქმედების აგტორად, მის შემსრულებლად წარმოგვიდგინოს“ (შანიძე, 1980-290). აქედან უკვე კეთდება დასკვნა იმის შესახებ, რომ ვნებითი წარმოადგენს მოქმედებითი გვარის ზმნის მობრუნებულ, ანუ კონვერსიულ სახეს. ამიტომ, რომ ქართულშიც და წოვათუშურშიც თითქმის ყველა მოქმედებითი გვარის ზმნას მოეპოვება სათანადო შესატყვისი ვნებითი გვარის ზმნის სახით.

აღნიშნული შინაარსობრივი დაპირისპირება ვნებითი გვარის ზმნებისა მოქმედებითებთან განსაკუთრებით თვალსაჩინოა დინამიკურ ვნებითებში, რის გამოც ამ ტიპის ვნებითები ფორმითაც მკვეთრად დაუპირისპირდნენ მოქმედებითებს როგორც ქართულში, ისევე წოვათუშურ ენაში. ამ ფუნქციას წოვათუშურში წარმატებით ასრულებს სუფიქსი - **ლა**. გვაქვს, მაგალითად: თეფს-**ლა** „ვარდება“, წეგ-**ლა** „წითლდება“, დეთ-**ლა** „ისხმება“, ჯებწ-**ლა** „ეკიდება“, ჭელ-**ლა** „მაგრდება“, დივ-**ლა** „ითესება“, დებწ-**ლა**

„ებმება“, თეგ-**ლა** „კეთდება“, მეხკ-**ლა** „იღვრება“, ჳებლ-**ლა** „ეხურება“, კურჩ-**ლა** „გორდება“, ლახ-**ლა** „დაბლდება“ . . .

დინამიკურსა და სტატიკურ ვნებითებს გარდაუვალ ზმნათა ერთ სახეობად აერთიანებს სუბიექტის პასიურობა, განსხვავებას კი ქმნის ის გარემოება, რომ ერთსა და იმავე მოქმედებას დინამიკური ვნებითები პროცესის სახით წარმოგვიდგენენ, სტატიკური ვნებითები კი შედეგის სახით, ანუ ერთ ვითარებაში. მათ შორის არსებული ეს ფუნქციური დაპირისპირება დინამიკური ვნებითების განსხვავებული ფორმარმოებით გამოიხატება. თვალსაჩინოებისათვის დავასახელებთ წოვათუშური ენის სტატიკური ვნებითების მაგალითებს:

აჷკჷ – ანთია, დივჷ – თესია, დაიწჷ – აზია, თოჷკჷ – აკერია, დაითთჷ – ასხია, დოუფხჷ – აცვია, დატჷ – ყრია, ოუხკჷ – აზოა, დოუხკჷ – ყრია (რამეში), ლაითჷ – აკვრია, თაიფსჷ – აყრია ...

ორივე სახის ვნებითებს ერთმანეთთან აკავშირებს ის გარემოება, რომ მათი სუბიექტი პასიურია, რის გამოც მუდმივად სახელობითი ბრუნვის ფორმით შეეწყობა ზმნას. ეს გარემოებაც, ცხადია, თავისებური მარკერის როლს ასრულებს მოქმედებითი გვარის ზმნებთან მიმართებით, რაკი ამ უკანასკნელთა სუბიექტი მუდმივად მოთხრობით ბრუნვაშია.

ვნებითების საპირისპიროდ წოვათუშურში გვაქვს ისეთი გარდაუვალი ზმნებიც, სადაც არა გვაქვს პირდაპირი ობიექტი, მაგრამ სუბიექტი აქტიურად ასრულებს ზმნით გამოხატულ მოქმედებას. ამ დროს პირდაპირი ობიექტის უქონლობით ასეთი ზმნები ვნებითებს ჰგავს, ხოლო რეალური სუბიექტის მქონელობით მოქმედებითი გვარის ზმნებს. ცხადია, ყველა ასეთი ზმნა საშუალი გვარისაა.

ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ წოვათუშური ენის საშუალი გვარის ზმნები პროფ. კ. ჭრელაშვილს სტატიკურ ვნებითებთან აქვს გაერთიანებული. ამის მიზეზი, ალბათ, ის გახდა, რომ მათ არა აქვთ საგანგებო ფორმასაწარმოებელი აფიქსი, რითაც ისინი დაუპირისპირდებოდნენ დანარჩენ გარდაუვალ ზმნებს. მიუხედავად ამისა, სხვა გარდაუვალი ზმნებისაგან მათ მკვეთრად გამოარჩევს განსხვავებული მორფოლოგია, კერძოდ ის გარემოება, რომ I და II პირის ნაცვალსახელებით გამოხატული სუბიექტი ამ ზმნებს მოთხრობითი ბრუნვის ფორმით შეეწყობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი დაპირისპირებაა საშუალი გვარის ზმნებისა ვნებითებთან. მოცემულ შემთხვევაში I და II პირის ნაცვალსახელებით გადმოცემული სუბიექტისათვის მოთხრობითი ბრუნვის მისადაგებით გამოიხატა, ერთის მხრივ, ამ ტიპის ზმნათა მსგავსება მოქმედებითებთან და, მეორეს მხრივ, განსხვავება ვნებითებისაგან.

ლოგიკურია, რომ საშუალი გვარის ზმნათა სუბიექტის მსგავსება მოქმედებითებთან არ შეიძლებოდა სრული ყოფილიყო, რის გამოც გაჩნდა თავისებური ზღვარი მოცემულ საკითხში, კერძოდ:

I. საშუალი გვარის ზმნებს ერგატიული კონსტრუქცია სუბიექტის მხოლოდ I და II პირის ნაცვალსახელებით გამოხატვისას ეძლევა, მოქმე-

დებითი გვარის ზმნებთან კი იმავე ფუნქციით სამივე პირის ნაცვალსახელი მოთხრობითი ბრუნვის ფორმას იღებს.

II. მოქმედებითი გვარის ზმნებთან ქვემდებარედ შეწყობისას ყველა-ნაირი სახელი (არსებითი სახელი, რიცხვითი სახელი, ზედსართავი სახელი თუ ნაცვალსახელი) მოთხრობითი ბრუნვის ფორმას იღებს, საშუალო გვარის ზმნებთან კი ეს სტატუსი მხოლოდ ნაცვალსახელებს ენიჭება, თანაც გარკვეული შეზღუდვით, ანუ III პირის ფორმათა გამოკლებით.

დღეს წოვათუშურში პარარელურად მოქმედი ზმნის უპირისნიშნო და პირისნიშნო ფორმებიდან მეტი თვალსაჩინოებისათვის მაგალითებს უპირისნიშნოებს დავასახელებთ, გვაქვს:

ა) მოქმედებითი

1. ას (მოთხ) ახკო* ----- „მე ვაბამ“
2. აჰ' (მოთხ) ახკო ----- „შენ აბამ“
3. ოჯუს (მოთხ) ახკო ----- „ის აბამს“

ბ) დინამიკური ვნებითი

1. სო (სახ.) ახკ-ლა ----- „მე ვებმები“
2. ჰ'ო (სახ.) ახკ-ლა ----- „შენ ებმები“
3. ო (სახ.) ახკ-ლა ----- „ის ებმება“

გ) სტატიკური ვნებითი

1. სო(სახ.) აუხკუტ ----- „მე ვაბივარ“
2. ჰ'ო (სახ.) აუხკუტ ----- „შენ აბიხარ“
3. ო (სახ.) აუხკუტ ----- „ის აბია“

დ) საშუალო

1. ას (მოთხ.) ვულე ----- „მე ვყვირი“
2. აჰ' (მოთხ.) ვულე ----- „შენ ყვირი“
3. ო (სახ.) ვულე ----- „ის ყვირის“

მოცემულ ცხრილებში ნათლად გამოიკვეთა სუბიექტის ბრუნვის საკითხში სამივე გვარის ზმნებს შორის არსებული სხვაობა და თითოეული მათგანის დამოუკიდებელი გრამატიკული სტატუსი. ამავე თვალსაზრისით, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგანგებო -ლა სუფიქსით ვნებითი გვარის ზმნათა გამორჩეულობასაც.

დამოწმებული მაგალითების განხილვა ცხადყოფს, რომ განვითარების თანამედროვე საფეხურზე ამ ენაში გვარის მიხედვით განსხვავებულ ზმნათა 4 ჯგუფი ფუნქციონირებს, გვაქვს: მოქმედებითი გვარის ზმნები, დინამიკური ვნებითები, სტატიკური ვნებითები და საშუალო გვარის ზმნები. აღნიშნული კლასიფიკაციის სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე ის სისტემური განსხვავება, რაც ამ ჯგუფების შიგნით ზმნათა უღლების ფორმებში დასტურდება: მოქმედებითი, საშუალო და დინამიკური ვნებითი გვარის ზმნებს უღლების სრული პარადიგმები აქვთ, სტატიკურების პარადიგმა კი ასიმეტრიულია, აკლია გარკვეული მწკრივები.

მიუხედავად იმისა, რომ წოვათუშური ენის ზმნის გვართა ჩამოთვლილი სახეობებიდან საგანგებო მარკერი ფორმისა მხოლოდ დინამიკურ ვნებითებსა აქვთ, გამართლებულად მიგვაჩნია ამ ენაში გვარის ჩამოთვლილი ოთხი სახეობის გამოყოფა. მოცემულ შემთხვევაში ვეყრდნობით აკად. თ. უთურგაიძის საინტერესო დასკვნას, რომელსაც მკვლევარი აკეთებს ქართული ენის ზმნის გვარის სახეობათა ფორმოზოგიური ურთიერთობის საკითხში არსებული ანალოგიური ვითარების მიხედვით: „ენაში შესაძლებელია ესა თუ ის გრამატიკული კატეგორია წარმოდგენილი იყოს სპეციფიკური მარკერის გარეშე. ქართულში აქტიურ ზმნათა პირველადი

ფორმები არამარკირებულია გვარის მიხედვით. ამ შემთხვევაში ფორმათა სპეციფიკურობა გამოდის მარკერის როლში“ (უთურგაიძე, 2002-85).

შეიძლება დავასკვნათ, რომ ბილინგვიზმის ბოლო საფეხურზე წოვა-თუშურმა ენამ ქართულიდან ისესხა ზმნის გვარი. დაფიქსირდა ალგებრული სესხება, რადგან წოვათუშურს ნასესხები ახალი გრამატიკული კატეგორიის გამოსაკვეთად წყარო ენიდან რაიმე სახის ფორმანტი არ შემოუტანია, მან ამისათვის ფორმაწარმოების საკუთარი სისტემა შექმნა. რაც შეეხება სხვადასხვა გვარის ფორმათა ფუნქციური ურთიერთმიმართების მოდელს, ის ზედმიწევნით ქართულია.

საგულისხმოა, რომ ქართული ენის ზმნა გვარის საკითხში განვითარების მოცემულ საფეხურზე დარჩა, წოვათუშურმა კი ამის შემდეგ, სწორედ უკიდურესად მოძალებული ზებილინგვიზმის პირობებში, სრულიად დამოუკიდებლად ვნებითი გვარის ზმნათა ორივე სახეობისათვის ახალი მორფოლოგიური კატეგორია შექმნა; მხედველობაში გვაქვს ორივე სახის ვნებითებისათვის, სტატიკურისა და დინამიკურისთვისაც, ახალი ურთიერთდაპირისპირებული ფორმების გაჩენა, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, თავისი ნებით ანუ სურვილით არის ზმნის სუბიექტი ჩართული მოქმედება-უმოქმედობის პროცესში, თუ ეს ყველაფერი მისი ნება-სურვილის წინააღმდეგ ხდება.

მაგალითისთვის ავიღოთ ზმნა „ვიმალები“. მასთან მიმართებით გასათვალისწინებელია ორგვარი ვითარება: ერთ შემთხვევაში მე, სუბიექტი ზმნისა, ვაქტიურობ, ჩემი სურვილით ვეფარები რაღაცას თუ ვიღაცას, ანუ დამალვა ამჯერად ჩემი ნებით ხდება; მეორე შემთხვევაში მე, იმავე ზმნის სუბიექტი, პასიური ვარ, სხვა მეფარება ან გარემო მფარავს. ეს კი ნიშნავს, რომ მოქმედება ჩემი ნების გარეშე ანუ უნებლიედ სრულდება.

ანალოგიური შინაარსობრივი დაპირისპირება შეიძლება წინა პლანზე გამოვიტანოთ სტატიკურ ვნებითებთან მიმართებაშიც. ამ თვალსაზრისით განვიხილოთ ზმნა „აბია“ (რამეზუა დაბმული). აქაც სუბიექტი შეიძლება დაბმული იყოს თავისი სურვილით ანუ ნებით - იმის გამო, რომ ასრულებს რაღაცა მაღლივი სახის სამუშაოს და ემუქრება ჩამოვარდნის საფრთხე. სხვა შემთხვევაში ის შეიძლება თავისი სურვილის გარეშე ანუ ძალადობით იყოს დაბმული.

დინამიკური თუ სტატიკური ვნებითი გვარის ზმნებში არსებულ ასეთ შესაძლო შინაარსობრივ დაპირისპირებას თანამედროვე წოვათუშურმა ენამ ზმნების განსხვავებული ფორმები მიუსადაგა, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ახალი გრამატიკული კატეგორია, რომელსაც შინაარსობრივი მიმართებიდან გამომდინარე ნებსითობა-უნებლობის კატეგორია ვუწოდეთ.

ახალი გრამატიკული კატეგორიის მიხედვით ვნებითი გვარის ზმნებს შორის გამოვლენილი შინაარსობრივი დაპირისპირება თავიდან სუბიექტის განსხვავებული ბრუნვით გამოიხატა. თუ აქამდე როგორც დინამიკურ, ისე სტატიკურ ვნებითებს სუბიექტი ყველანაირ სიტუაციაში განურჩევლად სახელობითი ბრუნვის ფორმით შეეწყობოდა, ახლა უკვე ამ მხრივ

მათ შორის განსხვავება გაჩნდა: ნებსითი შინაარსის ვნებითა ფორმებს პირველსა და მეორე პირში სუბიექტი მოთხრობითი ბრუნვის ფორმით შეეწყო, უნებლიობის შემთხვევაში კი სუბიექტის ბრუნვას ცვლლება არ შეეხებია, ის სახელობითში დარჩა. სახელობითში დარჩა მესამე პირის ფორმებთან სუბიექტი ნებსითობის ფორმებთანაც.

ვნებითი გვარის ზმნათა ახალი გრამატიკული კატეგორიის გამოხატვის თავისებურ სისტემასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ნებსითობის ფორმათა აღნიშნული გააქტიურება მოთხრობითბრუნვიანი ნაცვალსახელებით მხოლოდ I და II სუბიექტური პირის შემთხვევაში მოხდა. ჩვენი აზრით, სიახლის დანერგვის აღნიშნული პროცესიდან III პირის ფორმათა გამოთიშვა ამჯერადაც მოხდა იმ მიზნით, რომ ამ ზმნების სინტაქსი ბოლომდე არ დამთხვეოდა მოქმედებითი გვარის ზმნებისას.

აღნიშნული გაუდიფერენციცებელი ანუ მხოლოდ სუბიექტის ბრუნვით გარჩეული ფორმები ნებსითობა-უნებლიობის კატეგორიისა დღემდე საკმაოდ აქტიურად იხმარება წოვათუშურში, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ენა განვითარების ამ საფეხურზე არ გაჩერებულა, ახალი შინაარსის გრამატიკულ კატეგორიას მალე სათანადო ფორმანარმოებაც მოჰყვა. მარკერის ფუნქცია ამჯერად პირის ნიშნებს დაეკისრა.

ნებსითობის გამოსახატავად ორიენტაცია გასაგები მიზეზით ისევ პირველი და მეორე პირის ფორმებზე იქნა აღებული. აღნიშნული მიზნით როგორც დინამიკური, ისე სტატიკური ვნებითების ყოველი მწკრივის ფორმას აქტიური სუბიექტის პირის ნიშნები დაერთო, რაც შეეხება უნებლიობის კატეგორიას, მისი გამოხატვა პასიური სუბიექტის პირის ნიშნებად გამოყენებულ სახელობით ბრუნვიან ნაცვალსახელებს დაეკისრა. ამ დროს ზმნის მწკრივის ფორმების აუსლაუტისა და პირის ნიშნების ანლაუტის ბგერათა ფონეტიკური ურთიერთზეგავლენით მწკრივთა განსხვავებული ფორმები ჩამოყალიბდა, რის შედეგადაც ნებსითობა-უნებლიობის გამომხატველ ზმნათა უღლების დამოუკიდებელი პარადიგმები შეიქმნა.

თვალსაჩინოებისათვის საფეხურებრივად წარმოვადგენთ დინამიკური ვნებითების ნებსითობა-უნებლიობის აწმყოს მწკრივის ფორმათა ჩამოყალიბების პროცესს. გვაქვს:

ა) ნებსითობის ფორმები:

მხ. რიცხვი

1. ას(მოთხ.) ლეჭყლა → ას ლეჭყლა - ას → ას ლეჭყლანს „მე ვიმალები“
2. აჰ(მოთხ.) ლეჭყლა → აჰ ლეჭყლა - აჰ → აჰ ლეჭყლანჰ „შენ იმალები“
3. ო(სახ.) ლეჭყლა----- „ის იმალება“

მრ. რიცხვი

1. ათხ (მოთხ.) ლეჭყლა → ათხ ლეჭყლა-ათხ → ათხ ლეჭყლანთხ „ჩვენ ვიმალებით“

2. აი შრ (მოთხ.) ლექყლა → აიშრლექყლა-აი შრ → აი შრლექყლანთხ
„თქვენ იმალებით“

3. ობი (სახ.) ლექყლა -----„ისინი იმალებიან“

ბ) უნებლიობის ფორმები:

მხ. რიცხვი

1. სო(სახ.) თეფსლა → სო თეფსლა-სო → სო თეფსლასრ „მე ვვარდები“

2. ჰ'ო(სახ.) თეფსლა → ჰ'ო თეფსლა-ჰ'ო → ჰ'ო თეფსლაჰ'რ„შენ ვარდები“

3. ო(სახ.) თეფსლა¹ ----- „ის ვარდება“.

მრ. რიცხვი

1. ვაი (სახ.) თეფსლა → ვაი თეფსლა-ვაი → ვაი თეფსლავაი „ჩვენ ვვარდებით“

2. შუ (სახ.) თეფსლა → შუ თეფსლა-შუ → შუ თეფსლაი შუ „თქვენ ვარდებით“

3. ობი (სახ.) თეფსლა ----- „ისინი ვარდებიან“.

აღნიშნული ფორმით ფიქსირდება აწმყოს მწკრივში ნებსითობისა თუ უნებლიობის გამომხატველი დინამიკური ვნებითი გვარის ყოველი ზმნა დღევანდელი წოვათუშების მეტყველებაში. ანალოგიური დაპირისპირება ნებსითობა-უნებლიობის კატეგორიისა ფიქსირდება სხვა მწკრივთა ფორმებშიც.

გვაქვს, მაგალითად:

ა)აწმყოს მწკრივის ნებსითობის ფორმები:

ლექყლანს – „ვიმალები“, თეფსლანს – „ვვარდები“, ვაგლანს – „ვენახვები“, ჭელანს – „ვმაგრდები“, კერჩლანს – „ვგორდები“, ვებჟლანს – „ვებმები (უღელში)“, ახკლანს – „ვებმები (რამეზე)“, თარლლანს – „ვემსგავსები“, წეგლანს – „ვწითლდები“ ...

ბ) იმავე ზმნათა აწმყოს მწკრივის უნებლიობის ფორმები:

ლექყლასრ – „ვიმალები“, თეფსლასრ – „ვვარდები“, ვაგლასრ – „ვენახვები“, ჰებწლასრ – „ვეკიდები“, ჭელლასრ – „ვმაგრდები“, კერჩლასრ – „ვგორდები“, ახკლასრ – „ვებმები“, წეგლასრ – „ვწითლდები“ ...

ფორმანარმოების ანალოგიური წესით ნებსითობა – უნებლიობის სპეციფიკური ფორმები შემუშავდა სტატიკური ვნებითებისთვისაც.

სუფიქსების იდენტურობის მიუხედავად მოცემულ შემთხვევაში ფორმათა სპეციფიკურობა განაპირობა დინამიკური ვნებითების ფუძეთა კარდინალურმა განსხვავებამ სტატიკური ვნებითების ფუძისაგან. შედარებისათვის დავიწმებთ სტატიკური ვნებითების ნებსითობა-უნებლიობის

¹წოვათუშურში ზმნას IIIპირის ნიშანი არა აქვს. ის სწორედ უნიშნობით გამოირჩევა სხვა პირის ფორმებისაგან.

კატეგორიის ფორმათა წარმოების საფეხურერივ პროცესს ისევ აწმყოს მწკრივის მაგალითზე. გვაქვს:

ა) ნებსითობის ფორმები:

- 1. ას (მოთხ). ლაითუ → ას ლაი თუ-ას → ას ლაი თას „მე ვაკვივარ“
- 2. აჰ' (მოთხ). ლაი თუ → აჰ' ლაი თუ-აჰ' → აჰ' ლაი თაჰ' „შენ აკვირი-ხარ“
- 3. ო(სახ.) ლაი თუ----- „ის აკვირა“

მრ. რიცხვი

- 1.ათხ (მოთხ.) ლაითუ → ათხ ლაითუ-ათხ → ათხ ლაითათხ „ჩვენ ვკიდივართ“
- 2. აიში(მოთხ.) ლაითუ → აიში ლაითუ-აიში → აიშილაითაიში „თქვენ ჰკიდიხართ“
- 3.ობი (სახ.) ლაითუ----- „ისინი ჰკიდიან“.

ბ) უნებლიობის ფორმები:

მხ. რიცხვი

- 1. სო (სახ.) ლაი თუ → სო ლაი თუ-სო → სო ლათუსო „მე ვკიდივარ“
- 2. ჰ'ო (სახ). ლაი თუ → ჰ'ო ლაი თუ-ჰ'ო → ჰ'ო-- ლათუჰ'ო-- „შენ ჰკი-დიხარ“
- 3. ო(სახ.) ლაი თუ----- „ის ჰკიდია“

მრ. რიცხვი

- 1. თხო (სახ.) ლაითუ→თხო ლაი თუ-თხო → თხო ლათუთხო „ჩვენ ვკიდივარ“
- 2. შუ (სახ). ლაი თუ→შუ ლაი თუ-შუ → შუ ლათუი შუ-- „თქვენ ჰკიდიხართ“
- 3. ობი(სახ.) ლაი თუ----- „ისინი ჰკიდიან“

ასეთი ფორმით ფუნქციონირებს თანამედროვე წოვათუშურ ენაში სტატკური ვნებითების აწმყოს მწკრივთა ნებსითობა-უნებლიობის ფორ-მები; გვაქვს, მაგალითად:

ა)ნებსითობის ფორმები:ვიშას – „ვწევარ“, ჰაი წას „ვკიდივარ“, ლა-ი თას – „ვაკვივარ“, ვაი ჟას – „შებმული ვარ“, ვოჰგას – „ვურევივარ“, ვიშას – „ვწევარ“, ჰ'აი რჩას – „ვახვევივარ“, ჰაი ლლას – „ვაყუდივარ“, ოჰჰყას – „ვაჩრივარ“ . . .

ბ) იმავე ზმნათა უნებლიობის ფორმები:

ვიშუსო – „ვწევარ“, ჰაწუსო – „ვკიდივარ“, ლათუსო – „ვაკვივარ“, ვაჟუსო – „შებმული ვარ“, ვაგუსო – „ვურევივარ“, ვიშუსო – „ვწევარ“, ჰ'არ-ჩუსო – „ვახვევივარ“, აჰყუსო – „ვარჩივარ“.

მსჯელობის დასასრულს შეძლება დავასკვნათ, რომ ზმნის გვარის კატეგორიაზე დაყრდნობით წოვათუშურ ენაში გაჩნდა სრულიად ახალი გრამატიკული კატეგორია, რომელსაც უღლების ყველასაგან განსხვავებუ-

ლი, დამოუკიდებელი პარადიგმა შეუმუშავდა. მისი გენეზისის თვალსაზრისით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ანალოგიური ფუნქციის მქონე კატეგორია არც ქართული ენის გრამატიკაში გვაქვს, არც უახლოესად მონათესავე ჩეჩნურსა და ინგუშურ ენებში ფიქსირდება. საინტერესოა, რომ ეს გრამატიკული კატეგორია არც გერმანულ ენაში გვაქვს, არც ფრანგულსა, რუსულსა თუ ინგლისურ ენებში, საიდანაც ის წიგნიერი გზით შეიძლება და შემოსულიყოწოვათუშურში.

წოვათუშური ენის გრამატიკაში აღნიშნული კატეგორიის სიახლეს ნათელიყოფს ის გარემოება, რომ ზმნურ ფორმათა ნებსითობა - უნებლიობის მიხედვით დაპირისპირება ამ ენაში გვიან ჩამოყალიბებული გვარის კატეგორიას ეფუძნება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ნებსითობა-უნებლიობა სუბიექტის მოქმედებისა პირის ნიშნებით გამოიხატება ზმნაში, პირის ნიშნები კი ჯერ კიდევ პარალელურ გამოყენებაშია მხოლოდ უპირისპირი ფორმებთან და არაა ბოლომდე დამკვიდრებული, კიდევ უფრო ცხადი გახდება, რომ აღნიშნული სიახლე წოვათუშური ენის გრამატიკაში გვიანდელი პერიოდის წარმონაქმნია.

ენებითი გვარის ზმნათა ნებსითობა-უნებლიობის კატეგორიის შექმნით წოვათუშურმა ენამ კიდევ უფრო შეავსო თავისი თვითმყოფი და გამომხატველობითი საშუალებებით ძალიან მდიდარი გრამატიკა. აღნიშნული თვალსაზრისით წოვათუშურ ენას უმაღლეს შეფასებას აძლევს კავკასიურ ენათა ცნობილი მკვლევარი-პეტრე უსლარი: „თუშური ენა არაჩვეულებრივად მდიდარია გრამატიკული ფორმებით, რომლებიც აზრის ყველაზე ნატიფ ელფერით გამოხატვის შანსს იძლევიან“ (უსლარი, 1887-27).

თუ გავითვალისწინებთ, რომ ახალი საინტერესო გრამატიკული კატეგორია წოვათუშურში მაშინ შეიქმნა, როცა ეს ენა ქართულზე გადართვის რეალურ საფრთხეშია მოქცეული და მასზე მოლაპარაკეთა შორის უკვე მიდის ე.წ. თაობათაშორისი წყვეტა, მოგვიწევს დავეთანხმოთ მკვლევართა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „ენა ცოცხალია, სანამ მასზე ორი ადამიანი კიდევ ესაუბრება ერთმანეთს“.

ლიტერატურა

გიგაშვილი 2010 – ქ. გიგაშვილი, თანამედროვე მსოფლიოს ლინგვისტური რუკა და საფრთხეში მყოფი ენების პრობლემები, თბილისი, 2010

გიგაშვილი 2014 – ქ. გიგაშვილი, წოვათუშების თანამედროვე ეთნო-სოციოლინგვისტური პროფილი, თბილისი, 2014.

დემერევი 1953 – Ю. Д. Дешериев, Бацбийский язык, Москва, 1953

კრისტალი 2007 – D. Crystal, HovLanguage works, Penguin Books, 2007

მიქელაძე 2008 – მ. მიქელაძე, ინტერფერენტული პროცესები წოვათუშურ ენაში, თბილისი, 2008

უთურგაძე 2002 – თ. უთურგაძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბილისი, 2002

უსლარი 1887 – П. К. Услар, Этнография Кавказа, Язскознание, Тифлис, 1887

შანიძე 1980 – ა. შანიძე, თხზულებანი, ტ. III, 1980

ცისკაროვი 1848 – И. Циссаров, Краткая Тушино-цовская грамматика (рукопись), Архив востоковедения УВАН СССР, разрод 2, описс №2 (№20) 1848.

ჭრელაშვილი 2002 – კ. ჭრელაშვილი, წოვათუშური ენა, თბილისი, 2002.

Makvala Mikeladze

Typology of the Voice of the Tsova-Tush Verb in Relation to Georgian

Summary

Centuries-old weak one-sided Tsovatush-Georgian bilingualism has been now replaced by active superbilinguism which has put Tsovatush language in real danger of switching to Georgian. The fact that the two languages in contact are members of the same genealogical family and almost equally coincide with one another with regard to the number and character of grammatical categories, has appeared crucial in terms of the scale of foreign languageinfluence on the Tsovatush language. That is why avoice of the verb is the only morphological category borrowed from Georgian by Tsovatush.

At the modern level of bilingualism, the four groups of verbs with different voices function in the Tsovatush language. We havethe verbs of active voice,dynamic passive voice, static passive voice, and middle voice. Th Tsovatush languagehas not borrowedany formant from the source language to express a new grammatical category. For that reason, it created its own system of form production. As for the model of typological interrelationships of appropriate forms, it is strictly Georgian, i.e. typical algebraic borrowing was observed.

It is noteworthy that the Georgian verb remained at a given stage of development in the matter of voice, while the Tsovatush languagahas completely independently created a new typological model of passive voice verbs. We mean the opposing forms of dynamic and static passive verbs, thatsheds light onwhether the subject is voluntarily involved in the process of inaction, or it happens without its will. In this way a new grammatical category of the verb has been formed, that we call the category of willingness-unwillingness based on the interrelation of opposite forms.

მედა სალიანი

ნასესხები ლექსიკის სემანტიკური ადაპტაციისათვის სვანურში¹

სვანური ნასესხები ლექსიკა მოიცავს როგორც ქართულ-ზანური ენებიდან უშუალოდ მომდინარე მასალას, ისე ქართულის გზით დამკვიდრებულ ბერძნულ, თურქულ, სპარსულ, არაბულ, ოსურ, ჩრდილო-კავკასიურ, რუსულ და სხვა ენათა მონაცემებს, რომელთაც სესხების პროცესში, ცხადია, მეტად მნიშვნელოვანი ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ცვლილება განუცდიათ.

„სესხების გზის გარკვევა საყურადღებო იმიტომ არის, რომ ხშირად პირველწყაროსა და მსესხებელ ენას შორის მოქცეული **შუამავალი** ენა ასხვადფერებს ნასესხებ სიტყვას“ (ჩიქობავა 1952:194), ხოლო „საზოგადოდ იმის გარკვევა, ფუძე-ენიდან მომდინარე ლექსიკური ერთეული გვაქვს, თუ ერთი ქართველური ენიდან სხვა ქართველურ ენაში ნასესხები, ზოგიერთ შემთხვევაში მეტად რთულია. ჩვენ არ ძალგვიძს, განვასხვავოთ ქართველურ ენებში ნასესხები სიტყვები ფუძე-ენისეული მასალისაგან, როცა იგი „იდენტური“ სახის შესატყვისობებს გვიჩვენებს, ხოლო სემანტიკა ერთნაირია ან სემანტიკური სხვაობა დასაშვებ ფარგლებს არ სცილდება“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:26).

უცხოური ენებიდან შეთვისებული ელემენტების გამოვლენა კი ყოველი ენის ისტორიული შესწავლის აუცილებელი ეტაპიკაა. „ნასესხები მასალის გათვალისწინებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, აგრეთვე, მონათესავე ენათა შორის კანზომიერი ფონეტიკური შესატყვისობის დადგენისას; აღნიშნული შესატყვისობის შეუსაბამო დარღვევანი, ხშირად, შედეგია სესხების შესაძლებლობის გაუთვალისწინებლობისა“ (ანდრონიკაშვილი 1966:5).

ცნობილია, რომ ესა თუ ის ენა მარტოდენ თავისი საკუთარი მასალით არ კმაყოფილდება. ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მასში მეტ-ნაკლები პროპორციით იჭრება უცხოური ენის ლექსიკური ელემენტები (ძიმიგური 1960:41). რა თქმა უნდა, ამ პროცესს ვერ ასცდებოდა ვერც უმწერლობო სვანური ენა, სადაც უამრავი ნასესხები სიტყვა დასტურდება.

¹ მოხსენება მომზადდა 2018 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „**სვანური ნასესხები ლექსიკის ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ანალიზი (ფუნდამენტურ-გამოყენებითი გამოკვლევა ლექსიკონითურთ)**“ ფარგლებში.

როგორც აკად. ვ. თოფურია აღნიშნავდა: „სესხება გამოწვეულია იმ ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობით, რომელიც სვანებს ჰქონდათ ჩრდილო კავკასიის მოსახლეობასთან (ჩერქეზ-ყაზარდოელებთან, აფხაზებთან, ბალყარელებთან და სხვ.). ზანებთან ტომობრივი და სახელმწიფოებრივი კავშირი ხომ ისტორიულია და მათი გავლენაც ძლიერია! ქართულის განსაკუთრებული გავლენა ჩანს ქვემოსვანურსა და ბალსზემოურზე, მეგრულისა – ბალსქვემოურზე. ზანური ფენა მთელ სვანურშია გამჯდარი. გარდა ამისა, ჩერქეზულის გრამატიკულ-ლექსიკური ფენაც გამოვლენილია სვანურში. შეიმჩნევა აფხაზურისა და სომხურის გავლენის კვალი. ამ მხრივ სვანური ლექსიკა სუბსტრატისა და სესხების შესასწავლად ხელშესახებ მასალას იძლევა. გავლენა და სესხება ამჟამად უფრო ძლიერია. მასში შედის საზოგადოებრივი ურთიერთობის, ეკონომიკური, ტექნიკური და საერთოდ კულტურის დარგის სიტყვები და ტერმინები, მაგრამ ექვემდებარება ფონეტიკურ-გრამატიკულ ნორმებს“ (თოფურია 2002:214).

სიტყვის სესხება ერთი ენიდან მეორეში სხვადასხვა გზით ხდება, რაც ხშირად განაპირობებს ერთი და იმავე ლექსემის ნაირგვარი ფონეტიკური ვარიანტით დამკვიდრებას. ამ პროცესს ზოგჯერ თან სდევს მნიშვნელობის ცვლა. ნასესხები სიტყვა მსესხებელი ენის კუთვნილება ხდება და, ბუნებრივია, სიტყვაწარმოების ჩვეულებრივ წესებს ექვემდებარება.

„ნასესხები მასალის გამიჯვნა მკვიდრისაგან ხშირად მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით უძველესი ნასესხობისა, სადაც შეთვისებული სიტყვების მსესხებელ ენასთან შეგუების პროცესი ძალიან შორს არის წასული“ (ანდრონიკაშვილი 1966:5) და ამიტომაც „სესხების გზით შესული ლექსიკა მეტად ფრთხილ ანალიზს მოითხოვს, რამდენადაც სვანურში მოქმედი ფონეტიკური პროცესების შედეგად საგრძნობლად შეცვლილი სახით არის წარმოდგენილი. გარდა ამისა, ერთი და იმავე ენიდან შესული ლექსიკა სხვადასხვა სიძველისა შეიძლება იყოს, შეთვისებული სვანურის მიერ სხვადასხვა დროს. სწორედ ამ ქრონოლოგიური საზღვრების დასადგენად გამოიყენება ისტორიულად სხვადასხვა დროს მოქმედი ფონეტიკური პროცესები“ (ოსიძე 1987:26-27).

ჯერ კიდევ გ. დეეტერსი აღნიშნავდა, რომ სვანურში ძალიან მცირეა ძირეული სიტყვების რიცხვი ნასესხებ და ისეთ სიტყვათა სიმრავლესთან შედარებით, რომლებიც არ შეიძლება არ გაირკვეს მონათესავე ენებით (Deeters 1930:1).

„არ არსებობს ენა, რომელიც მხოლოდ საკუთარი საშუალებებით კმაყოფილდებოდეს. ყველა ენაში გვხვდება ნასესხები სიტყვები. სხვა ენებიდან შეთვისებული სიტყვები ზოგ ენაში მეტი რაოდენობითაა, ზოგში – ნაკლები რაოდენობით, მაგრამ ნასესხები სიტყვები ყველა ენაში არსებობს. სხვა ენის მასალის მოზღვავება ლექსიკურ შემადგენლობაში არ არის საშიში ენისათვის მანამ, სანამ დაცულია მისი ძირითადი ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობა“ (ჩიქობავა 1952:83).

ნასესხები სიტყვები ზოგჯერ სვანური ფონოტაქტიკის წესებს ისე ემორჩილება, რომ, საკმაოდ რთული ფონეტიკური პროცესების გამო, და-

ლიან სცილდება გამსესხებელ ენაში დაცულ სტრუქტურულსა თუ სემანტიკურ ვითარებას – მსგავსი რთული პროცესების საილუსტრაციოდ უამრავი მასალის (მაგ.: **სუინოხსნზ, თარგლეზერ, კოსდანტხელ/ კასანპრლ, პარპოლშ...**) მოტანა შეიძლება (იხ. ჩვენი საკანდიდატო დისერტაცია „ნასესხობანი სვანურ ენაში“, 2005).

ამჯერად ჩვენი ნაშრომის ძირითად მიზანს ნასესებ ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკური თვალსაზრისით კვლევა წარმოადგენს, რისთვისაც დიდძალი საილუსტრაციო მასალა, სვანური ენის ტრადიციულად ცნობილი დიალექტებისა (ბალსზემოურის, ბალსქვემოურის, ლაშხურის, ლენტეხურის) და ჩოლურული მეტყველების მონაცემებზე დაყრდნობით, დავალაგეთ ორ ძირითად ჯგუფად: 1. *სემანტიკურად უცვლელი ნასესხები ლექსიკური ერთეულები* და 2. *სემანტიკური ნიუანსებით სახეცვლილი ნასესხები ლექსიკური ერთეულები*. ცხადია, საჭიროების შემთხვევაში გამოყენებულია სვანურის ამა თუ იმ დიალექტის კილოკავური მონაცემებიც.

1. სემანტიკურად უცვლელი ნასესხები ლექსიკური ერთეულები:

აბზ (ზს., ლნტ.)/**აბაზ** (ლშხ.) < ქართ. აბაზ-ი < სპარს. **‘abbaš** „ფულის ერთეული“

აბგა (ზს., ქს.) < ქართ. აბგა

აზინდა (ბზ.)/**აზინდაი** (ლშხ.)/**აფსინდ** (ბქ.)/**აზინდ** (ლნტ.) < ახ. ქართ. აზინდა, ძვ. ქართ. აფსინდ-ი, აფსინთ-ი

ამბაჟ (ზს., ლნტ.)/**ამბ** (ბქ.)/**ამბაჟ** (ლშხ.) < ქართ. ამბავ-ი < ფალ.

***hambav**

ანგრიშ (ბზ., ლშხ.)/**ანგრიშ** (ბქ., ლნტ.) < ქართ. ანგარიშ-ი < ფალ.

*(**h**)**angariš** „გამოანგარიშება, გამოთვლა“

ანდლზ (ზს.)/**ანდლაბ** (ლნტ.)/**ანდლებ** (ლშხ.) < ქართ. ამაღლება

ასაბია (ბზ.)/**ასაბია[ფ]** (ლშხ.)/**ასაბიან** (ლნტ.) < ძვ. ქართ. ასაბია („მეშველი, შემწე“), ახ. ქართ. „ჭირისუფალი“

ასტამ (ბზ., ქს.)/**ჰასტამ** (ბქ.) < ძვ. ქართ. ასტამ-ი

ატამა (ბზ.)/**ატამ** (ბქ., ლნტ.)/**ატამ** (ლშხ.) < ქართ. ატამ-ი

ადაპ (ლშხ.) < ძვ. ქართ. ადაპ-ი < ბერძ. **απατος** „სიყვარული“

აბრეგ (ზს.)/**აბრეგ** (ბქ.)/**აბრაგ** (ლშხ.)/**აბრგ** (ლნტ.) < ქართ. აბრაგ-ი < ოსურ. **abyræg/abæræg**

ანგულეზ/ანგლოზ (ბზ.)/**ანგლეზ** (ბქ.)/**ანგლოზ** (ლშხ.) < ქართ. ანგელოზ-ი < ბერძნ. **αγγελος** „მიკრიკი, მაცნე“

აქიმ/ექიმ (ზს.)/**იქიმ** (ლშხ.)/**[ფ]ექიმ** (ლნტ.) < ქართ. ექიმ-ი < არაბ.-სპარს. **ḫakīm**

ბალაბ (ზს., ლნტ.)/**ბალაბ** (ლშხ.) < ქართ. ბალაბ-ი < სომხ. **balax** (შდრ. ბზ. **მელჟ**)

ბალაჟერ[ფ] (ზს., ლშხ.)/**ბალაჟერ** (ლნტ.) < ქართ. ბალავარ-ი („სადირკველი“), შდრ. ზს. ქს. **ხუნ**

ბამბა/ბანბა (ბზ.)/**ბამბ** (ბქ., ლნტ.)/**ბამბაი** (ლშხ.) < ქართ. ბამბა < სპარს. **pamba**

ბან (ზს., ლნტ.)/**ბან** (ლშხ.) < ქართ. ბანი (ხმა)

ბარგ (ზს., ლნტ.)/**ზარგ** (ლშხ.) < ქართ. ბარგ-ი („მომრავი ქონება“) < სპარს. **barg**

ბეგარ (ზს.)/**ბეგარა** (ქს.) < ახ. ქართ. ბეგარა, ძვ. ქართ. ბეგარ-ი „ხარკი“ < სპარს. **bigār, bigārī**

ბერდენა (ზს.)/**ბერდანა** (ბქ.)/**ბერდენა** (ლშხ.)/**ბერდენა/ბერდენა** (ლნტ.) < ქართ. ბერდანა („ერთლულიანი თოფი“)

ბელელ¹ (ზს., ქს.) < ქართ. ბელელ-ი, შდრ. სპარს. **bayil** „ბოსელი, საძროხე“

ბეწუ (ზს., ქს.) < ქართ. ბეწვი-ი

ბლუტ/ბლიტ (ზს., ლნტ.)/**ბლუტ** (ლშხ.) < ქართ. ბლუ „მუნჯი“

ბრაზ (ზს., ლნტ.)/**ბრაზ** (ლშხ.) < ქართ. ბრაზ-ი (შდრ. ზს., ლნტ. **ხერ**)

ბრაზინა/ბრაზინა (ზს., ლნტ.)/**ბრაზიან** (ლშხ.) < ქართ. ბრაზიან-ი

ბუშტ/ბიშტუ (ზს.)/**ბუშტ[უ]** (ქს.) < ქართ. ბუშტი-ი

გადო (ქს.)/**გადუ** (ლნტ.) < ქართ. გადია („გამზრდელი“), შდრ. ზს., ქს. **მგრდი**

გალტან (ზს.)/**გალტან/გალატან** (ლშხ.)/**გალატან** (ლნტ.) < ქართ. გალავან-ი (შდრ. ზს., ლნტ. **ძლტიდ**)

განცხადა (ზს.)/**განცხადებ** (ლშხ.)/**განცხადა** (ლნტ.) < ძვ. ქართ. განცხადება (გამოცხადება „ნათლისღება“)

განწეს (ზს., ლნტ.) < ქართ. განაწესი

გარდანაკავ (ქს.) < ძვ. ქართ. გარდანაკავ-ი

გარეული (ზს., ლნტ.)/**გარეული** (უშგ.)/**გარეული** (ლშხ.) < ქართ. გარეული-ი (შდრ. ბქ. **ტყარ**)

გაჭირება (ზს.)/**გაჭირობ** (ლშხ.)/**გაჭირება** (ზს., ლნტ.)/**გაჭირება** (ლშხ.) < ქართ. გაჭირება

გზატრობ (ზს.)/**გზატრობ** (ბქ., ლნტ.)/**გზატრობ** (ბქ.)/**გზატრობ** (ლშხ.) < ქართ. მგზავრობა

გზატრ (ზს.)/**გზატრ** (ლშხ.)/**გზატრ** (ბქ., ლნტ.)/**გზატრ** (ბქ.) < ქართ. მგზავრ-ი

გოდერ (ზს., ლნტ.)/**გოდორ** (ლშხ.) < ქართ. გოდორ-ი

გრილ (ზს., ქს.) < ქართ. გრილ-ი (შდრ. ზს., ქს. **ქუეირ**, ზს., ლშხ. **ქუერ**)

გულბანდ (ლნტ.) „გულ-ღვიძლის არე“ (პირუტყვისა) < ქართ. (გურ.) გულბანდ-ი „მკერდი“ („გულ-ის – ბად-ე“)

გულტან (ზს.)/**გულთან** (ლშხ.)/**გულთან** (ლნტ.) < ქართ. გულიან-ი, გულოვან-ი

გურგინ (ზს.)/**გურგინ** (ბქ., ლნტ.) < ქართ. გვირგვინ-ი

გუარ (ზს., ლნტ.)/**გუარ** (ლშხ.) < ქართ. გვარ-ი < ფალ. **gōhr/gōhār** „ბუნება, მატერია, არსი, წარმოშობა, რასა, გვარეულობა, შთამომავლობა“

გუინა (ზს., ლნტ.)/**გუინა** (ლშხ.) < ქართ. გვიან-ი

გუიმბრა (ზს.)/**გუიმბ** (ქს.), შდრ. ზს., ქს. **გუიმრა**, ბქ. **გუიმორ** <

¹ შდრ. ლშხ. „ახმახი, ვეხერთელა“.

ქართ. გვიმრა, შდრ. გურ., აჭარ. გუმბრა „გვიმრა“

სპეციალურ ლიტერატურაში (ჭარაია 1895:106; Климов 1998:29; ფენრიხი, სარჯველაძე 1990:80; ფენრიხი, სარჯველაძე 2000:143-144) ქართ. **გვიმ- გვიმ-რ-ა** და მეგრ. **გვიმ- გვიმ-ორ-ა** „გვიმრა“ ერთმანეთთანაა დაკავშირებული შესაძლებლობის ფარგლებში, ხოლო რაც შეეხება მეგრულ **გუ- იმარა/გუმარა** ფორმებს, ისინი ქართულიდანაა შეთვისებული, ასევე ქართულიდან ნასესხობად არის მიჩნეული სვანური **გტიმბრა, გურიმბ** (შდრ. Wardrop 1911:604; Mapp 1915, II, 836; ЭСКЯ, 62).

გვრზნეტილ (ზხ., უმგ.)/**გვრზნატილ/გვრძნატილ** (უმგ.)/**გვრძნეულ** (ლშხ.)/**გვრძნეტილ** (ლნტ.) < ძვ. ქართ. გრძნეულ-ი

დამბაზ (ზხ., ლნტ.)/**დამბალ** (ლშხ.) < ქართ. დაბალ-ი

დარბაზ¹ (ზხ., ლნტ.)/**დარბაზ** (ლშხ.) < ქართ. დარბაზ-ი

დაშნა (ზხ.)/**დაშნა** (ბქ., ლნტ.)/**დაშნა** (ლშხ.) < ქართ. დაშნა

დარ (ზხ., ლნტ.)/**დარ** (ლშხ.) < ქართ. დარ-ი

დედბერ (ზხ., ქს.) < ქართ. დედაბერ-ი, შდრ. ფალ. **pīr** „მოხუცი“, **pīrih** „სიბერე“, **pīrak** „მოხუცი ქალი, დედაბერი“

დედფაღ (ზხ.)/**დედ[უ]ფაღ** (ლშხ.)/**დედოფაღ** (ლნტ.) < ქართ. დედოფალ-ი

დეკატილ (ზხ.) / **დეკეულ** (ლშხ.) / **დეკეტილ** (ლნტ.) < ქართ. დეკეულ-ი

დიდაბ (ზხ.)/**დიდაბ** (ლშხ.)/**დიდაბ** (ლნტ.) < ქართ. დიდაბა

დიაკონ (ზხ.)/**დიაკონ/დიაკონ** (ბქ.)/**დიაკონ** (ლშხ.)/**დიაკონ** (ლნტ.) < ქართ. დიაკონ-ი < ბერძ. **δίακονος**

დოლაბ (ზხ.)/**დოლაბ** (ლშხ.)/**დოლაბ** (ლნტ.) < ქართ. დოლაბ-ი < სპარს. **dūhab**

დომბა (ზხ.)/**დომბა** (ბქ.)/**დომბა** (ლშხ.) < ქართ. დომბა

დორა (ზხ.)/**დორა** (ლშხ.)/**დორა** (ლნტ.) < ძვ. ქართ. დორა „ღვინის საწყაო“, ახ. ქართ. „თიხის ჭურჭელი წყლისთვის“

დუმა (ზხ.)/**დუმა** (ბქ., ლნტ.)/**დუმა** (ლშხ.) < ქართ. დუმა < ფალ. **dum, dumb, dumbak, durb, durbak**

ზანდიკ (ზხ.)/**ზანდიკ** (ლშხ.)/**ზანდიკ** (ლნტ.) < ქართ. ზანდიკ-ი < სპარს.-არაბ. **sandūk**

ზარტილ (ზხ.) / **ზარულ** (ლშხ.) / **ზარეტილ** (ლნტ.) < ქართ. მზარეულ-ი

ზირაბ (ზხ.)/**ზირაბ** (ლნტ.)/**ზირაბ** (ლშხ.) < ქართ. ზირაბა

თაჭარ (ზხ., ლნტ.)/**თაჭარ** (ლშხ.) < ქართ. მთავარ-ი

თასმა (ზხ.)/**თასმა** (ბქ., ქს.) < ქართ. თასმა

თეთრ (ზხ., ქს.) < ქართ. თეთრ-ი (ფულის ერთეული)

თუჯ (ზხ., ქს.) < ქართ. თუჯ-ი

თუნგ/თუნგ (ზხ., ლნტ.)/**თუნგ** (ლშხ.) < ქართ. თუნგ-ი

იმედ (ზხ., ქს.) < ქართ. იმედ-ი

¹ შდრ. „სვანური სახლის ან ბოსლის ზედა სართული“.

იღბალ (ზს., ლნტ.)/**იღბალ** (ლშხ.) < ქართ. იღბალ-ი < არაბ.-სპარს. 'ikbāl

კარაჟ (ზს., ლნტ.)/**კარაჟ** (ლშხ.) < ქართ. კარაჟ-ი

კარაჟ (ზს.) < ქართ. კარაჟ-ი¹ < სომხ. karag

კახმზალ (ლშხ.)/**კახმზალ** (ლნტ.) < ქართ. კახამზალ-ი

კან (ზს., ლნტ.)/**კან** (ლშხ.) < ქართ. კან-ი

კაჟ (ზს.)/**კაჟ** (ლშხ.)/**კაჟ** (ლნტ.) < ქართ. კაჟ-ი

კეხ (ზს., ქს.)/**კეჰ** (უშგ.) < ქართ. კეხ-ი

კოლეფ (ზს., ლნტ.)/**კოლოფ** (ლშხ.) < ქართ. კოლოფ-ი (შდრ. ბქ. შაკუ)

კუტიჟ (ზს., ლნტ.)/**კუჟ** (ლშხ.) < ქართ. კუჟ-ი (შდრ. ბქ. დგრ)

ლაბარგ (ზს., ლნტ.) < ქართ. საბარგო („ზანდუკი, სკივრი“...)

ლაბტირ (ზს., ლშხ.)/**ლაბტ** (ლნტ.) < ქართ. საბატე

ლადრაჯ (ზს.)/**ლადრაჯარ** (ბქ.)/**ლადრაჯალ** (ლშხ.)**ლადარაჯალ** (ლნტ.) < ქართ. სადარაჯო (შდრ. ზს. ლლჩა)

ლათთუნარ (ზს.)/**ლათთუნარ** (ბქ., ლნტ.)/**ლათთუნარ** (ლშხ.) < ქართ. სათუთუნე

ლაშგარ/ლაშქარ (ზს.)/**ლაშქარ** (ლნტ.) < ქართ. ლაშქარ-ი < სპარს. laškar

ლერწ (ლნტ.) < ქართ. ლერწ-ი „ვაზი“

ლიემაკალ (ზს.)/**ლიემაკალ** (ბქ.)/**ლიემმაჟალ** (ლშხ.)/**ლიემმაჟალ** (ლნტ.) < ქართ. ეშმაკობა < ფალ. hēšm „ბოროტი გენია, ავი სული, სატანა“

ლიმსხარალ (ზს.)/**ლიმსხარალ** (ბქ.)/**ლიმსხარალ** (ლშხ.)/**ლიმასხარალ** (ლნტ.) < ქართ. მასხრობა (შდრ. ზს. ლიჯღაჟ)

ლიღლანტი (ზს., ლნტ.)/**ლიღლატი** (ლშხ.) < ქართ. ლალატი-ი, შდრ. არაბ.-სპარს. yalat

ლგარალ (ზს.)/**ლგარალ** (ბქ.)/**ლგარალ/ლგარალ** (ლშხ.)/**ლგარალ** (ლნტ.) < ქართ. იარაღიან-ი

ლგდრიბე (ზს., ლშხ.)/**ლგდრიბ** (ბქ.)/**ლგდრიბე** (ლნტ.) < ქართ. გაღარიბებულ-ი, შდრ. არაბ.-სპარს. qarīb

მადან (ზს., ლნტ.)/**მადენ/მადან** (ბქ.)/**მადენ** (ლშხ.) < ქართ. მადან-ი

მანათ (ზს., ლნტ.)/**მანათ** (ლშხ.) < ქართ. მანეთ-ი

მარან (ზს., ლნტ.)/**მარან** (ლშხ.) < ქართ. მარან-ი

მარწუნ (ზს., ლნტ.)/**მარწუნ** (ლშხ.)/**მარწონ** (ლშხ.) < ქართ. მაწონ-ი

მაცხუარ (ზს.)/**მაცხუარ** (ბქ., ლნტ.)/**მაცხუარ** (ლშხ.) < ძვ. ქართ. მაცხოვარ-ი

მახათ (ზს., ლნტ.)/**მახათ** (ლშხ.) < ქართ. მა-ხათ-ი

მასძელ (ზს., ლნტ.)/**მასძელ** (ლშხ.) < ქართ. მასპინძელ-ი, გურ., აჭარ. მაინძელ-ი < ფალ. aspanj „დასასვენებელი ადგილი, სასტუმრო, თავშესაფარი“

მაჟიკ (ზს., ლნტ.)/**მაჟიკ** (ლშხ.) < ქართ. მაჟიკ-ი

მესჟელ (ზს., ლშხ.)/**მესოფელ** (ლნტ.) < ქართ. სოფლელ-ი

¹ ძვ. ქართულში კარაჟ-ი რძე¹ს ნიშნავდა.

მეწეუტარ (ლნტ.) < ქართ. მწევეარ-ი

მეჯუთეგ/მეჯეგ (ზს.)/**მეჯუთეგ** (ლნტ.)/**მეჯოგ** (ლშხ.) < ქართ. მეჯოგე

მოაზლ/მოაზლ/მოაზ (ზზ.)/**მოაზ** (ბქ.)/**მოაზლ** (ბქ., ლშხ.)/**მოაზ** (ლნტ.) < ქართ. მოაზლე

მოგაზ (ზზ.)/**მოგეზა** (ბქ.)/**მოგეზ** (ლშხ.)/**მოგაზ** (ლნტ.) < ქართ. მოგეზა

მორიდაზ (ზს., ლნტ.)/**მორდაზ/მურდაზ/მგრდაზ** (ზს.)/**მორდეზ** (ზს., ლშხ.)/**მორიდაზ** (ლნტ.) < ქართ. მორიდეზა (შდრ. ბქ. **მალკაფ**)

მოკეთ (ზს.)/**მოკეთ** (ქს.) < ქართ. მოკეთე

ნათთარუ (ზზ.)/**ნათთარ** (ბქ., ლნტ.) < ქართ. ნათთარალ-ი

ნალშგარუ (ზს.)/**ნალშგარ** (ლშხ.) < ქართ. ნალაშქრევი < ფალ. **laškar** „ჯარი, არმია, ბანაკი“

ნათსაუ (ზს.)/**ნათსაუ** (ლშხ.)/**ნაშაუ** (ლნტ.) < ქართ. ნათესავ-ი (შდრ. ზზ. **ნათი**, ქს. **ნადალ**)

ნეფე (ზს., ლნტ.)/**ნეფე** (ბქ.) < ქართ. მეფე. ***მე-უფ-ე-უფ**- არქეტიპები აღდგება მხოლოდ ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის (Климов 1964:186), ხოლო სვანურში **ნ/ნეფე** ნასესხები ჩანს, თუმცა მ. ჩუხუას სვანური **ნეფე** ქართულიდან ნასესხებად არ მიაჩნია და საერთოქართველურ დონეზე აღადგენს **მეფე**-ს, როგორც დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულს (ჩუხუა 2000-2003:170).

პასუბუ (ზს., ლნტ.)/**პასუბ** (ბქ., ლშხ.) < ქართ. პასუბ-ი < სპარს. **pāsux**

პატურენ (ზზ., ლნტ.)/**პატრონ** (ბქ., ლშხ.) < ქართ. პატრონ-ი (შდრ. ზს. **ფუსდ**, ზზ., ლშხ. **ფუს[ტ]ენ**, ლნტ. **ფუსტ**)

პა[ნ]დურ (ზზ.)/**პადურ** (უმგ., ბქ., ლნტ.)/**პადურ** (ლშხ.) < ქართ. პანდურ-ი

პაპიროზ (ზს., ლნტ.)/**პაპიროზ** (ლშხ.) < ქართ. პაპიროს-ი

პატიუ (ზს., ლნტ.)/**პატიუ** (ლშხ.) < ქართ. პატივი < ფალ. ***pativ**

პიტნა (ზზ.)/**პიტნა** (ლშხ.)/**პიტნა** (ლნტ.) < ქართ. პიტნა (შდრ. ბქ.

მინთუ)

ჟამოზ (ზს., ქს.) < ქართ. ჟამიანობა < ფალ. **zamān** „დრო“

ჟამ (ზს., ლნტ.)/**ჟამ** (ლშხ.) < ქართ. ჟამ-ი < ფალ. **zamān** „დრო“

რანგ (ზს., ლნტ.)/**რანგ** (ლშხ.) < ქართ. რანგ-ი < ოს. **rong**

რაშ (ზს., უმგ.)/**რაშუ** (ბქ., ლნტ.)/**რაშ** (ლშხ.) < ქართ. რაშ-ი < სპარს.

raxš

როდინ (ზზ.)/**როდინ** (ქს.) < ქართ. როდინ-ი

საბან (ზზ., ლნტ.)/**საბან** (ლშხ.)¹ < ქართ. საბან-ი < ბერძნ. **σαβανον** „გადასაფარებელი“

საბდუარ (ზზ., ქს.) „ბუდე“ < ქართ. საბუდარ-ი (შდრ. ბქ. **ლაპონტე**)

საბგრწამ (ბქ.) < ქართ. საპირისწამლე, სამასრე

სადგემ (ზზ., ლნტ.)/**სადგემ** (ბქ.)/**სადგომ** (ლშხ.) < ქართ. სადგომ-ი

საკმეუელ/საკმელუ/საკმეტელ (ზზ.)/**საკმეუელ** (ბქ., ლნტ.)/**საკმო-**

¹ შდრ. ზს. **შარტინი**, ლხმ. **შარტინი**, ლშხ. **შარტუმ**, მეგრ. **შქართენ**-ი.

უელ/საკმეუელ (ლმხ.) < ქართ. საკმეველ-ი (შდრ. ბზ., ლმხ. **ნატუსუნ**, ბქ., ლნტ. **ნატუსუნ**)

საკუთარ (ზს.)/**საკუთარ** (ბქ., ლმხ.)/**საკუთარ** (ლნტ.) < ქართ. საკუთარ-ი

სასდიკ (ზს.)/**სასტიკ** (ლმხ.)/**სასტიკ** (ლნტ.) < ქართ. სასტიკ-ი < ფალ. *sāstik

საჩქუარ (ზს., ლნტ.)/**საჩქუარ** (ლმხ.) < ქართ. საჩქუარ-ი

საჯსნილ (ბზ.)/**საჯსნილ** (ლნტ.) < ქართ. საჯსნილო (შდრ. ზს., ლმხ.

ლგშრაჟე)

ჯ შენახულია სვანურში ქართულიდან ადრე ნასესხებ სიტყვებში (**კერჯ**, **კსნილ**, **კოხუებ**, **კეც**, **იკმარი**, **კეუ** (**კეუობ**), **კარჯ** (**კაჯა**), **კუალმანდ** (-კვამალდ||კუმალდ: საბა) და სხვ.), ხოლო გვიან ნასესხებში კი **ხ** არის დაცული (**ხელწიფ**, **ხმელწთ**, **ხმალ**, **კეუ||ხეუ**, **კელობ||ხელობ**, **კელოჟან||ხელოჟან** და სხვ. – თოფურია 1979:266).

საკსარ (ზს.) < ქართ. საკისარ-ი („ბერკეტი“)

საკურელ (ზს., ლნტ.)/**საკურელ** (ლმხ.) < ქართ. საკვირველ-ი (შდრ. ზს. **ლემზჟე**)

სინდის (ზს., ქს.) < ქართ. სინდის-ი

სინდისიან (ზს., ლნტ.)/**სინდისიან** (ლმხ.) < ქართ. სინდისიან-ი

ტიტიელ (ზს., ქს.)/**ტიტიელ** (ზს.) < ქართ. ტიტველ-ი (ბქ. **ლგსინ-ტლაჟე**)

ტყუე (ზს., ლნტ.)/**ტყუე** (ლმხ.) < ქართ. ტყვე

უდიერ (ბზ.)/**უდიერ** (ბქ., ქს.) < ქართ. უდიერ-ი

უდროჟ (ზს., ლნტ.)/**უდრო** (ლმხ.) < ქართ. უდრო

უსმართულ/უსმართულ (ბქ.) < ქართ. უსამართლო

უხაჟა (ზს., ლმხ.)/**უხაჟა** (ლნტ.) < ქართ. {და}უხაჯავ-ი

უხატა (ზს., ლმხ.)/**უხატა** (ლნტ.) < ქართ. {და}უხატავ-ი

უჟლ (ბზ., ლნტ.)/**უჟალ** (ლმხ.) < ქართ. ვალ-ი (შდრ. ზს., ლმხ. **გადან**)

უობელ (ზს., ლნტ.)/**უობელ** (ლმხ.) < ქართ. ობოლ-ი (შდრ. ზს.

{**უიკარ**)

უსტატ (ზს., ლნტ.)/**უსტატ** (ლმხ.) < ქართ. ოსტატ-ი („ხელოსანი, დურგალი“) < სპარს. *ustād*, ფალ. *ōstāt*

უოჯახ (ზს., ლნტ.)/**უოჯახ** (ლმხ.) < ქართ. ოჯახ-ი < თურქ.-სპ. *oĵāq* „კერა“ (შდრ. ზს., ქს. **მეზგე**)

ფალაჟანდ (ბზ.)/**ფალაჟანდ** (ზს.)/**ფალაჟან** (უმგ.)/**ფალაჟანდ** (ლმხ.) < ქართ. ფალაჯან-ი

ფანცალა (ბზ.)/**ფანცალა** (ბქ.)/**ფანცალა** (ლმხ.) < ქართ. (ლეჩხ.) ფანცალა (ძალის ავადმყოფობა)

ფარდაგ (ბზ.)/**ფარდაჟ** (ბზ., ლნტ.)/**ფარდაგ** (ლმხ.) < ქართ. ფარდაგ-ი < ფალ. *partak* „ფარდა, რიდე, ხალიჩა“

ფაცერ (ბზ., ლმხ.)/**ფაცერ** (ლნტ.) < ქართ. ფაცერ-ი

ფარისეუელ / **ფაჟეუელ** (ბზ.) / **ფარისეუელ** (ლმხ.) < ქართ. ფარისეველ-ი

- ფოლანდ** (ზზ., ლნტ.)/**ფოლედ** (ბქ.) < ქართ. ფოლ-ად-ი
ფურცელ (ზს., ქს.)/**ფორცელ** (ბქ.) < ქართ. ფურცელ-ი
ქალაკოდან (ბქ., ლნტ.)/**ქალაკოდაი** (ლზზ.) < ქართ. კალაკოდა („ნი-
უკა“)
- ქარტან** (ზს.)/**ქარტან** (ლზზ.)/**ქარატან** (ლნტ.) < ქართ. ქარავან-ი <
ფალ. karvān
- ქასანიკ** (ლზზ.)/**ქასანიკ** (ლნტ.) < ქართ. (რაჭ.) ქასანიკ-ი („გაიმვერა,
ემშაკი ადამიანი“)
- ქარახს/ქერახს** (ზზ.)/**ქერახს** (ლზზ.) < ქართ. ქარახს-ი („ყანწი“)
- ქლიბ** (ზზ., ქს.)/**ქვლიბ/ქილიბ** (ბქ.) < ქართ. ქლიბ-ი
- ქუნდარ/ქონდორ** (ბქ.) < ქართ. ქონდარ-ი
- ქუეყანა** (ზზ., ქს.)/**ქეყანა** (ბქ.) < ქართ. ქვეყანა
- ღალატ** (ზს., ლნტ.)/**ღალატ** (ლზზ.) < ქართ. ღალატ-ი < არაბ.-სპარს.
- yalat**
- ღარიბ** (ზს., ლნტ.)/**ღარიბ** (ლზზ.) < ქართ. ღარიბ-ი < არაბ.-სპარს.
- qarib**
- ღინდილ** (ზს., ლზზ.) < ქართ. ღინდლ-ი
- ღუაჭარ** (ზს., ლნტ.)/**ღუაჭარ** (ლზზ.) < ქართ. ვაჭარ-ი < სომხ. vačar <
ფალ. vāčār
- ყანაოზ/ყანაუტეზ** (ზს.) < ქართ. (ქიზიყ.) ყანაოზ-ი („აბრეშუმი, ფარჩა“)
- ყანდიან** (ზს.)/**ყანდიან/ყანდიონ** (ლზზ.)/**ყანდინ** (ლნტ.) < ქართ. ყალი-
ონ-ი
- ყურმანჯ** (ზზ., ლნტ.)/**ყურმანჯ** (ლზზ.) < ქართ. (გურ.) ყურმანჯა-მ
(ყრუ-მუნჯი), შდრ. ბქ. ყუგ[რან]
- ყურმილ** (ზს.)/**ყირმილ** (ლზზ.) < ქართ. ყირმილლა („თოფი“)
- შამფორ** (ბქ.)/**შამფორ** (ზს.)/**შამფურ** (ლზზ.)/**შამფორ** (ლნტ.) < ქართ.შამ-
ფურ-ი
- შამფურმან/შეგურმან** (ზს.)/**შეგურტრემან** (ლზზ.)/**შამფურმან** (ლნტ.)
< ქართ. შამგურმან-ი (შდრ. ზზ. **მეშხლან**, ზს. **შიხგოგან**)
- შამფხსხალაი** (ლზზ.) < ქართ. შამფხსხალა
- შენობ** (ბქ., ლნტ.) / **შენებ** (ლზზ.) < ქართ.შენობა < ფალ. šen „საცხოვრე-
ბელი“
- შიბაქ** (ზს., ლნტ.)/**შიბაქ** (ლზზ.) < ქართ. შიბაქ-ი (შდრ. ბქ. **საბრუნა**)
- შურდულ** (ზზ.)/**შურდუმი** (ბქ.)/**შურდულ** (ლზზ.) < ქართ. შურდულ-ი
- შუენდბა** (ზს., ლზზ.)/**შენდბა** (ლზზ.) / **შონდობა** (ლნტ.) < ქართ. შენ-
დობა
- ჩახმან** (ზზ., ლნტ.)/**ჩახმან** (ბქ.)/**ჩახმან** (ლზზ.) < ქართ. ჩახმან-ი <
თურქ.-სპარს. čakmak
- ჩით** (ზზ., ქს.)/**ჩიმი** (ბქ.) < ქართ. ჩით-ი
- ცარიელ** (ლზზ.)/**ცარიელ** (ლნტ.) < ქართ. ცარიელ-ი, შდრ. ოს. **cal**
(შდრ. ზს. **ჰარი**)
- ცქუ** (ზზ.) „მოციქული, შიკრიკ-ი“ < ქართ. მო-ციქ-ულ-ი. ამკარაა,
რომ აღნიშნული ლექსემა ქართულიდანაა ნასესხები (ჩუხუა 2000-

2003:157) და დამაჯერებლად აჩვენებს **ი** → **ე** → **ჰ** უკუუმლაუტის რეალურობას, რაც მომდევნო **ჟ**-ს მიეწერება (ქალდანი 1969:108). ე. ი. სვან. **ცჷქ** < ქართ. **ციქ**-ი, რომელიც დღეს დამოუკიდებლად არ იხმარება ქართულში, მაგრამ გვხვდება მიმდებარე ფორმებში: მო-**ციქ**-ულ-ი, სა-**ციქ**-ელ-ი.

ცოდლიან/ცუედლიან (ზს., ლნტ.)/**ცოდრიან** (ბქ.)/**ცოდლიან** (ლშხ.) < ქართ. ცოდვილიანი < ოს. **cawd** „ცუდი, მდარე“

ცხერილ¹ (ზს.)/**ცხრილ** (ქს.) < ძვ. ქართ. (გუდამაყრ., ქართლ., ქიზიყ., ზ. აჭარ.) ცხრილ-ი „ცხავი“

ძეწარ/ზეწარ (ზს., ლნტ.)/**ძეწარ/ზეწარ** (ლშხ.) < ქართ. ზეწარ-ი

წაგბ (ბზ.)/**წაგაბ** (ლნტ.)/**წაგებ** (ლშხ.) < ქართ. წაგება

წინდა (ბზ.) / **წინდა** (ბქ.) / **წინდა** (ლშხ.)/**წინდა** (ლნტ.) < ქართ.

წინდა

წყენარ (ბზ.)/**წყენარ** (ლშხ.)/**წყენარ** (ლნტ.) < ქართ. წყნარი

ჭახრგ (ბზ.)/**ჭახნეგ/ჭახრეგ** (ბქ.)/**ჭახრაგ** (ლშხ.)/**ჭახრგ** (ლნტ.) < ქართ.. ჭახრაკ-ი < ფალ. **čaxrak, čaxrag** „კოჭი, ხრახნი, მაქო, ჯარა“, შდრ. სომხ. **čaxrak**

ჭილუფ (ბზ.)/**ჭილოფ** (ლშხ.)/**ჭილეფ** (ლნტ.) < ქართ. ჭილოფ-ი

ჭირისუფალ (ზს., ლნტ.)/**ჭირისუფალ** (ლშხ.) < ქართ. ჭირისუფალი

ხათრ (ზს., ლშხ.) / **ხათრ** (ბქ., ლნტ.) < ქართ. ხათრ-ი (შდრ. ბქ. **მალ-კაფ**)

ხარბ (ზს.)/**ხარაბ** (ლშხ., ლნტ.)/**ხარებ** (ლშხ.) < ქართ. ხარება (რელიგ. დღესასწაული)

ხარბ (ზს., ლნტ.)/**ხარბ** (ლშხ.) < ქართ. ხარბ-ი (შდრ. ზს. {**ჟ**}**ორცფიან**, ზს., ლნტ. **თხამიან**) < სპარს. **xarb**

ხელწიფ (ზს., ლნტ.)/**ხენწიფხე** (ბქ.)/**ხენწიფ** (ლშხ.)/**ხელმწიფ** (ლნტ.) < ახ. ქართ. ხელმწიფე, ძვ. ქართ. ჳელმწიფე

ხურჯინ (ზს., ლნტ.)/**ხურჯუნ** (ლშხ.) < ქართ. ხურჯინ-ი

ჯარდან (ზს., ქს.) < ქართ. (ლეჩხ., იმერ.) ხარდან-ი (ვაზის სარი, ჭიგო)

ჯერკ (ზს., ქს.) < ძვ. ქართ. ჳერკ-ი („ხერხი, მიხვედრილობა“), შდრ. ზს., ლნტ. **კაფ**

ჳმელ/ჳმელეთ (ბზ.) < ძვ. ქართ. ჳმელ-ი „ქვეყანა, ხმელეთი“

ჯაჭრ (ბზ.)/**ჯაჭრ** (ბქ., ლნტ.)/**ჯაჭრ** (ლშხ.) < ქართ. ჳავრ-ი (შდრ. ზს., ლნტ. **ხგრ**) < არაბ.-სპარს. **javr**

ჯოჯხეთ (ზს.)/**ჯოჯხეთ** (ბქ.) შდრ. ქს. **ჯოჯოხეთ** < ქართ. ჳოჯოხეთ-ი < ფალ. **dōžax, dužax**

ჯაჭარ (ზს., ლნტ.)/**ჯაჭარ** (ლშხ.) < ქართ. ჳვარ-ი (შდრ. ბზ. **სტარტუნ**, ბქ. **სტარინ**, ლშხ. **სტარუნ**, ლნტ. **უსტარუნ**, **უსტარტინ** „ჯვარი; პირჯვარი“)

ჯაჭე (ზს., ლნტ.)/**ჯე** (ბქ.)/**ჯო** (ლშხ.) < ქართ. ჳოგ-ი < სპარს. **jug, ju**

¹ ბალსქვემოურში „საცერ“-საც ნიშნავს.

ჰაბედ (ზს.)/**ჰობედ** (ბქ.)/**აბედ** (ბქ., ლშხ.)/**ჰბედ** (ლნტ.) < ქართ. აბედ-ი (შდრ. ზს. **ლწჭიწრ** „საკვესი“)

ჰაბჯარ (ზს.)/**აბჯარ** (ლშხ.)/**აბჯარ** (ლნტ.) < ქართ. აბჯარ-ი

ჰაკუტან (ზს.)/**აკუტან** (ლშხ.)/**აკუტან** (ლნტ.) < ქართ. აკვან-ი (შდრ. ბქ. **ჰენწ**)

ჰარაკ (ზს.)/**არაკ** (ლშხ.)/**არაკ** (ლნტ.) < ქართ. არაკ-ი და მრავ. სხვ.

როგორც აქ წარმოდგენილი ნასესხები მასალიდან ჩანს, ლექსიკურ ერთეულთა უდიდეს ნაწილს სესხების პროცესში სვანურისათვის დამახასიათებელი გარკვეული ფონეტიკური ცვლილებები განუცდია, თუმცა შესაბამის ქართულ ლექსემებთან (ისევე, როგორც მეგრულთან) შედარებისას სემანტიკური თვალსაზრისით სრული იდენტურობა მჟღავნდება.

2. სემანტიკური ნიუანსებით სახეცვლილი ნასესხები ლექსიკური ერთეულები:

ადგომ (ზს., ლნტ.) „მძიმე მარხვა და უქმე, ნათლისღების წინა დღე“ < ქართ. ა[ლ]დგომა

აგო (ზს., ლნტ.)/**აგო** (ლშხ.)/**არგო** (უშგ.) „შინ“ < ქართ. ადგილ-ი, ალაგ-ი < ფალ. **arak/ālak** „მხარე, გვერდი, მიმართულება“. ფონეტიკურად ქართული ფორმა ფალაურის იდენტურია: ალაგ – **ālak** (k>g – გვიანდელი გამოთქმის შედეგია – ანდრონიკაშვილი 1966:279).

აგომწარგლიწარ (ზს.)/**აგომწარ** (ბქ., ლნტ.)/**აგომწარ** (ლშხ.) „შინაურები“ < ქართ. ადგილისან-ი, ალაგისან-ი

ბაბანიკ (ქს.) „ძვრა, განძრევა“ < ქართ.ქართ. (გურ.) ბაბნიკ-ი „ერთ ადგილას ტკეპნა“. სამეცნიერო ლიტერატურაში სვანური, კერძოდ, ქვემო-სვანური **ბაბან-იკ**, ზს., ლშხ. ა-**ბაბ**-ე, ბქ., ლნტ. ა-**ბაბ**-ე „ანიავებს“ (← ეტ. „ათრთოლებს, შეანძრევს“) და ქართ. (ფშ., მოხ., გუდამაყრ., ქართლ.) **ბაბან**-ი „კანკალი, თრთოლა, ძაგძაგი“; **ბაბან**-ი „სიცივის აყოლის ხმა (საბა)“ შესატყვისობად არის მიჩნეული და ამდენად საერთოქართველურ დონეზე აღდგენილია ***ბაბ-ან** („ნიავი, რხევა“ → ქართ. **ბაბან-ი**: სვან. **ბაბ-**, **ბაბ-ან-იკ**) არქეტიპი (ჩუხუა 2000-2003:56), ჩვენი ვარაუდით კი სვანური **ბაბანიკ** ნასესხებია ქართულიდან, კერძოდ, დასავლური დიალექტებიდან ა ხმოვნის რედუქციით. ამ ლექსემის სტრუქტურული ანალიზი ჩვენს ვარაუდს მხარს უჭერს.

ბალაურ[დ] (ზს., ლშხ.)/**ბალაურ** (ქს.) 1. ზს. „ბალავარ-ი, სამირკველი“, 2. ზს., ლხმ., ლშხ. „თახჩა, ნიში (კარის ან ფანჯრის თავზე, ქვითკირის კედელში)“ < ქართ. ბალავარ-ი

ბარძიმ/ბარძიმ (ზს., ლნტ.) 1. „ბარძიმ-ი“, 2. „შხამი, საწამლავი“ < ძვ. ქართ. ბარძიმ-ი < ფალ. ***barz-in** „მაღალი“ (ჭურჭელი), თუმცა მეორე მნიშვნელობა ქართულში არ უდასტურდება (შდრ. ბქ. **ბარძიმ მარე** გადატ. – გესლიანი კაცი (ზედმიწ. – **ბარძიმ**-ი კაცი)

ბარგ (ზს., ლნტ.)/**ბარგ** (ლშხ.) „ნადირის (ჯიხვი, არჩვი) ჯგუფი“ < ქართ. ბარგ-ი

ბარგ (ზს., ლნტ.)/**ბარგ** (ლშხ.) „მოკეთე, ახლო ნათესავი გვარში“ < ქართ. ბარგ-ი

ბარობ (ზს.)/**ზარობ** (ლნტ.) „ბარობა (ადგილობრივ მკვიდრთა განმარტებით, ძველისძველი პერიოდი, როდესაც ზამთარი საერთოდ არ არსებობდა)“ < ქართ. ბარ-ი „ვაკე, დაბლობი“ < არაბ.-სპარს. *bār*

ბედ (ზს., ქს.) „მიზეზი, ბრალი“ < ქართ. ბედ-ი (შდრ. ბზ., ლნტ. **ტბრ**)

ბედელ (ლხმ.) „ახმახი“, „ვეებერთელა“ < ქართ. ბედელ-ი; საფიქრებელია, რომ საანალიზო ლექსემა (**ბედელ**) შედარებით გვიანდელი ნასესხობაა სვანურში

ბენაბ (ბზ., ლნტ.)/**ზენაბ** (ლშხ.), „ავი ზნე“, „ზნედა“ < ქართ. ბუნება < ფალ. *būn* „საფუძველი, ძირითადი პრინციპი, საბაზი, ფესვი“

გარჯ (ზს., ქს.) „გაჭირვება; ძნელი“ < ქართ. გარჯა

გარჯობ (ზს., ქს.) „გასაჭირი“ < ქართ. გარჯა (გარჯობა?)

გამ (ბზ.)/**გამ** (ბქ.)/**გან** (ლშხ.) „სამაგიერო, სანაცვლო“ < ქართ. გემო

გუპკუტირ (ბზ.)/**გუპკუტირ** (ბქ.)/**გუაკუტირ** (ლშხ.)/**გუაკუტირაბ** (ლნტ.) „ყურადღება“ < ქართ. დაკვირვება (პრევერბის მონაცვლეობით)

გუიწყილან (ზს.)/**გუიწყილან** (ბზ.)/**გუწყილიან** (ლშხ.)/**გუიწყილიან** (ლნტ.) „გულწრფელი“ < ქართ. გულწყილიან-ი (ნასესხებია მხოლოდ კომპოზიტის მეორე ნაწილი).

დამწარაბ (ბზ.)/**დამწარ**/**დამწარაბ** (ლშხ.)/**დამწარა** (ლნტ.) „მონატრებული, მონადომებული, მოსურვებული“ < ქართ. გამწარებულ-ი (პრევერბის შენაცვლებით), შდრ. ძვ. ქართ. დამწარება „გამწარება“

დაბ (ბზ.)/**დაბ** (ბქ., ლნტ.)/**დაბ** (ლშხ.) „ბრიყვი, სულელი“ < ქართ. დევ-ი < ფალ. *dēv* „ბოროტი სული, დემონი“

დაბბედნიერ (ბზ.)/**დაბბედნიერ** (ბქ.) „გულუბრყვილო, უწყინარი (ადამიანი)“ < ქართ. *დევბედნიერ-ი

დეგან (ბზ.)/**ტელან** (ბქ.)/**დეგან** (ლშხ.)/**დეგან** (ლნტ.) „აივანი“ < ქართ. დერეფან-ი

თაბარ (ზს., ლნტ.)/**თაბარ** (ლშხ.) „მოზრდილი“ < ქართ. მთავარ-ი

თაბკაც (ზს.) „უშვილო“ < ქართ. თავკაც-ი (შდრ. ზს., ლშხ. **უგზელა**)

თულუყ (ზს., ლნტ.) „გუდა“ < ქართ. (ფშ.) თულუხ-ი „სპილენძის კოკა, დიდი თუნგი ყელწვრილი“ < თურქ. *tuluk* „გუდა, ტიკი“

იბასიდამს (ბქ.)/**იბასიდამს** (ლნტ.) „ოდითგან (ევას და ადამის დროიდან)“ < ქართ. ევას და ადამს. ევა, როგორც ცნობილია, ძვ. ებრაული სახელია და ნიშნავს „ცოცხალ“ს, ხოლო ადამი, ასევე, ძვ. ებრაული სახელია და ნიშნავს „თიხა“ს, „ადამიან“ს“ (ჭუმბურიძე 1987:385, 320).

იბაშიშ (ბზ.)/**იბაშ** (ბქ.)/**იბაშიშ** (ლშხ.)/**იბაშიშ** (ლნტ.) „ძველისძველი, დიდი ხნის; უკვდავი; ევას დროის“ < ქართ. *ევასის[ა]

კალმახ (ზს., ლშხ.)/**კალმახ** (ლხმ.) „თევზი“ < ქართ. კალმახ-ი

კალ (ბზ.)/**კალ** (ლხმ.)/**კალ** (ბქ., ქს.) „ეზო“ < ქართ. კალო

კეპილ (ზს., ქს.) „ძეხვი, კუპატი“ < ქართ. [და]კეპილ-ი; ბალსქვემოურ დიალექტში უმეტესად **კეპლარ** ფორმას ხმარობენ უსისხლო ძეხვის აღსანიშნავად.

კერძ (ქს.) „მეგობარი, მოკეთე, მოყვარე, ნათესავი“ < ძვ. ქ. კერძ-ი, კერძო < ოს. *kærd*. ქართულ **კერძო**ს აქვს რამდენიმე მნიშვნელობა: „მხარე,

ნახევარი“, თანდებული „-კენ“, „წილი, ნაწილი, ხვედრი“ და ა. შ. მ. ანდრონიკაშვილის ვარაუდით, ქართული სიტყვისათვის კ ე რ ძ ო ამოსავალია ცნება „ჭრისა, კვეთისა“, რომელიც წარმოდგენილია ოსურ ზმნაში: **kærdyn: karst/kærdun: karst** „ჭრა, კვეთა, ხევა, კუწვა“ და სხვა, თუმცა თვით ოსურში ირ. ***karti**-ს შეედლო მოეცა ფორმა **kærc** (ანდრონიკაშვილი 1966:92-93).

კერძობ (ქს.) „დანათესავება, დამოყვრება“ < ქართ. *კერძობობა

კირატ (ქს.) „საბძელი“ < ქართ. კარავ-ი (შდრ. ბზ. **ლანუნან**)

ლაკუმამ (ზს.)/**ლაკუმამირ** (ლზს.)/**ლაკუმამ** (ლნტ.) „საქონლის სადგომი, ბოსელი, სასაქონლე“ < ქართ. *საკუმამე < არაბ. **kumaš** (შდრ. ბქ. **ლამენგარ**, ლნტ. **ლამანგარ**)

ლეგარჯ (ზს., ლნტ.)/**ლეგერჯ** (ლზს.) „ძნელი, საძნელო“ < ქართ. საგარჯო

ლეკერძელი (ლზს.) „ნათესავი; სანათესაო“ < ქართ. [საკერძო (შდრ. ბზ. **ნათი**, ქს. **ნაღალ**)

ლეკლატი (ზს., ლნტ.)/**ლეკლატი** (ლზს.)/**ლეკალატი** (ლნტ.) „გასალეწი, სალეწი“ < ქართ. *{გა}საკალოებელ-ი

ლემორტე (ზზ., ლზს.)/**ლემორტე** (ბქ.)/**ლემორატი** (ლნტ.) „გასარჩევი, სამედიატორო საქმე“ < ქართ. *{გა}სამოურავებელ-ი

ლესკეთე (ზზ., ლნტ.)/**ლესკეთი** (ბქ., ლზს.) „გასაკეთებელი, მოსაგვარებელი“ < ქართ. *{გა}სასიკეთებელ-ი (შდრ. ზს. **ლესცი**)

ლეტკლებე (ზზ., ლზს.)/**ლეტკლებ** (ბქ.)/**ლედაკლებ** (ლნტ.) „დასანანი“ < ქართ. {და}საკლებ-ი

ლემხალი (ზზ.)/**ლემხალი/ლემხალი** (ლზს.)/**ლემხალი** (ბქ., ლნტ.) „გასარეკი (საქონელი)“ < ქართ. {გა}საძახებელ-ი

ლეჭირე (ზზ., ლზს.)/**ლეჭირე** (ბქ., ლნტ.) „გასაწვალელებელი, საშრომი“ < ქართ. {გა}საჭირებელ-ი

ლეჭირიზი (ბქ.) „დახვევა, დაგრავნა“ < ძვ. ქართ. გრუზ-ი/გროზ-ი „ხშირი“ (შდრ. ბქ. **გურიზი** „ხვეულა“)

ლეკერძალ (ლზს.)/**ლეკერძალ** (ლნტ.) „დანათესავება“ < ქართ. კერძი, კერძო

ლეკთილე/ი (ზს., ლზს.)/**ლეკთილე/ლეკთილი** (ლნტ.) „გამდიდრება; აშენება“ < ქართ. *{გა}კეთილება

ლეკლატი (ზს., ლნტ.)/**ლეკლატი** (ლზს.)/**ლეკალატი** (ლნტ.) „{გა}ლეწვა“ < ქართ. *{გა}კალოება

ლეკუმამ[ი] (ზს., ლნტ.)/**ლეკუმამი** (ლზს.) „მესაქონლეობა“ < ქართ. *კუმამობა < არაბ. **kumaš** (შდრ. ბქ. **ლეკუმინგენ[ი]**)

ლიმდილალ (ზს.) „ხვეწნა, მუდარა“ < ქართ. მადლ-ი (შდრ. ბზ. **ლიკერან**)

ლიმორტე (ზზ., ლზს.)/**ლიმორტე/ლიმორეტე** (ბქ.)/**ლიმორატი** (ლნტ.) „გარჩევა, მედიატორობა“ < ქართ. *{გა}მოურავება (შდრ. ზს. **ლილხტერი**)

ლიტკლებე (ზს., ლზს.)/**ლიტკლებ** (ლნტ.) „დანანება“ < *ლი-დაკე-ლებ-ე საგან < ქართ. დაკლება. სვანურ ფორმაში ამოღებულია ა ე ხმოვნები და თავმოყრილი დვ ასიმილაციის ძალით ქცეულია ტვ კომპლექსად (თოფურია 1979:148).

ლიცხტლე (ზს., ლნტ.)/**ლიცხტლი** (ლშხ.) „[შე]ტრუსვა“¹ < ქართ. გაცხე-
ლება

ლიწინდამ/ლიწინდამ (ზს., ლნტ.)/**ლიწინდატი** (ბქ.) „ქსოვა“ < ქართ.
წინდის ქსოვა. ბალსქვემოურ დიალექტში ზოგადი მნიშვნელობით იხმა-
რება, ბალსზემოურში კი მხოლოდ „წინდის ქსოვის“ მნიშვნელობა აქვს
(შდრ. ზს., ლშხ. **ლიჯში**, ლშხ. **ლიჯიმ/ლიჯშე**, ლნტ. **ლიჯიმ[ი]** „ქსოვა“)

ლიწირტელი/ლიწირტელი (ზს.) „გალობა“; წრიპინი (ჩიტისა)“ < ქართ.
წირვა

ლიკლამ (ზს.)/**ლიკლამ** (ლშხ.)/**ლიკალამ** (ლნტ.) 1. „ჩადირვა“, 2.
„გადათელვა“ < ქართ. *{გა}ჭალება (შდრ. ბზ. **ჭალამ**, ლშხ. **ჭალამ**, ბქ., ლნტ.
ჭალამ 1. „დინარე“, 2. „ჭალა; მდინარის პირა მინდორი“) < ფალ. čalak „კუნ-
ძული, ხმელეთი“

ლიკვლტარი/ლიკვლტრე (ზს.)/**ლიკვლტარი** (ლშხ.)/**ლიკვლტარი**
(ლნტ.) 1. „რთვა (შალის ძაფისა)“, 2. „რთვა და ქსოვა, საერთოდ ხელსაქმე“
< ქართ. *ხელტარობა (შდრ. ქართ. ხელტარ-ი „ძაფის დასამახავი თითისტა-
რი“)

ლუსდგომე (ზს., ლშხ.) „დაბინავებული“ < ქართ. *{და}სადგომებულ-ი
ლგეთილ[ე] (ზს., ლშხ.)/**ლგეთლე** (ლნტ.) „ქონებიანი, მდიდარი, შე-
ძლებული, აშენებული, დოვლათიანი“ < ქართ. {გა}კეთილებულ-ი

ლგკალაშე (ზს., ლშხ.)/**ლგკალაშე** (ლნტ.) „გალეწილი“ < ქართ.
*{გა}კალოებულ-ი

ლგსტეუტ (ზს., ლნტ.)/**ლგსტეუტ** (ლშხ.)/**ლგსოუტ** (ლშხ.) „ბარაქიანი, ხვაე-
რიელი, დოვლათიანი“ < ქართ. სვიან-ი < ოს. **fesgan** „სვიანი, ბედნიერი“

მასდიკ (ზს.) „საწყენი, წყენა, მწუხარება“ < ქართ. სისასტიკე < ფალ.
sästik „ძლიერი, მტკიცე, მკაცრი“

მატკლანტარ (ბზ.)/**მატკლანტარ/მატკლოზან** (ბქ.)/**მატკლანტარ** (ლშხ.)/
მადაკლანტარ (ლნტ.) „ძუნწი, ხელმოჭერილი“ < ქართ. {და}კლება

მანკ (ზს., ლნტ.)/**მანკ** (ლშხ.) „ხასიათი, ზნე“ < ქართ. მანკ-ი „ნაკლი,
ზადი, ბიწი, უარყოფითი მხარე“

მამდან (ზს.) „აივნის კარი“ < ქართ. მოედან-ი < სპარს. **maydān**

მგკვლმანხი (ზს.)/**მგკვლმანხი** (ლშხ.)/**მგკალმანხი** (ლნტ.) „მეთევზე“ <
ქართ. მოკალმანხე

მგქსარ (ბქ.) „ფეხშიშველი (ფეხსაცმელში წინდების გარეშე ჩაყოფი-
ლი ფეხები)“ < ქართ. (ხევს.) მუქსარ-ი „შარვალი; შარვლის ტოტის ბო-
ლო“, (ინგილ.) მუქსარ „ქალის შარვალი (ინგილოების ეროვნული ტანსაც-
მლის ქვედა ნაწილი)“

ნაზარ[ტ] (ბზ.)/**ნაზარ[ტ]** (ბქ.)/**ნაზარ** (ლშხ.)/**ნაზარ** (ლნტ.) „დანაზო-
გი“ < ქართ. *{და}ნაზარებ-ი; სპეციალურ ლიტერატურაში (Fähnrich 1984:42)
ქართ. **ზრ**-უნ-ვ-ა; **ზრ**-უნ-ავ-ს; მ-**ზრ**-უნ-ვ-ელ-ი... და სვან. ლი-**ზარ**-ე
„ზრუნვა; დაცვა...“ შესატყვისობად არის მიჩნეული. ჩვენი აზრით, არ არის
გამორიცხული სვან. **ზარ**- ძირის ქართულიდან ნასესხობა. მეგ.-ლაზ. შესა-

¹ შდრ. ბზ., **ნა-ტუს-უნ** „საკმეველი“ < ძვ. ქართ. ნა-ტუს-ავ-ი.

ტყვისი ძირი ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის.

ნაკლაჷ (ზს., ლშხ.)/**ნაკალაჷ** (ლნტ.) „[გა]ნალეწი (ზზე)“ < ქართ. *ნაკა-ლოებ-ი

ნანრლ/ნანულ (ზზ.)/**ნანულ** (ლშხ.) „ქალიშვილი“ < ქართ. ნანა + სვანური კნინობითის სუფიქსი. ბალსქვემოურში ეს ლექსემა არ დასტურდება, ალბათ იმიტომ, რომ იქ დედის აღმნიშვნელად *ნანა* ფორმა არ გვხვდება. მ. ჩუხუას აზრით, სვან. **ნანრლ** მომდინარეობს ძვ. ქართ. ნინველ-ი'საგან „ჩჩვილზე მეტი, ჭაბუკისა უმცირესი“ (საბა), ხოლო საქართველოში გავრცელებული ქალის საკუთარი სახელი **ნანულ**-ი მისი ვარაუდით, შეიძლება სვანური წარმოშობისა იყოს (ჩუხუა 2000-2003:166).

ნანჭირ (ზზ.)/**ნანჭირ** (ბქ.)/**ნანჭირ** (ლშხ.)/**ნანჭირ** (ლნტ.) „ნაშრომი, ნაჯაფი, ჭირგამოვლილი“ < ქართ. *განაჭირ-ი

ბანტრიჯან (ზს.)/**ბანტრაჯან** (ბქ., ჩზხ.)/**ბანტრაჯ/ბანტრეჯან** (ბქ., ლშხ.)/**ბანტრიჯან** (ქს.) „პომიდორი“ < ქართ. ბანტრიჯან-ი < სპარს. *badnižan*, *badližan*

ბანტარდამ (ზზ.)/**ბანტარდამ** (ბქ.)/**ბანტარდამ/ბანტარტამ** (ლშხ.)/**ბანტარტამ** (ლნტ.) „დიდტუჩა, ლაშეზიანი“ < ქართ. პირვარდა/ი

რანგუ (ბქ.)/**რანგუ** (ლშხ.) „მორყული, მოფამფალეზული შენობა, გზა...“ < ქართ. რანგ-ი „წნელის ღობე“ (შდრ. ქართ. რეგავს „ამტვრევს, ამსხვრევს“), გურ. „თავისა და ფრინველის დასაჭერი მახე“, ლეჩხ. „გაუთლელი მორი, ძელი“; რანგუ, შარანგულ-ი „სუფთად დაწნული ღობე“ (საბა). სპეციალური ლიტერატურის მიხედვით (Neisser 1953:45; Schmidt 1962:129; ჩიქობავა 1974:74; ფენრიხი, სარჯველაძე 2000:381; არაბული 2001:72, 133, 134, 135, 201, 313), ***რანგუ**- ძირი ივარაუდება მხოლოდ ქართულ, მეგრულ და ლაზურ ლექსემებში (ქართ. სა-რანგუ-ავ-ი „მახე“; მეგრ. რანგ-ი „მახე“; ლაზ. რანგ-ი „ჩიტის საჭერი მახე“); სვანურში, როგორც ჩანს, ის ნასესხებია მეგრულიდან ან ქართული ენის დასავლური დიალექტებიდან, თუმცა მ. ჩუხუა ***რანგუ**- არქეტიპს საერთოქართველურ მონაცემად წარმოაჩენს (იქვე:188).

რიგ (ბქ., ლშხ.) „წესი“ < ქართ. რიგ-ი

რიდ (ზზ., ლშხ.) „შნო“ < ქართ. რიდ-ი („ხათრი, მორიდება“)

რიდიან (ზზ.) „შნოიანი, წარმოსადეგი შეხედულებისა“ < ქართ. *რიდიან-ი („მორიდებული“)

საბრალ (ზს., ქს.) „ღარიბი“ < ქართ.საბრალო

სათაჷლ (ზზ.)/**სათანთაჷლ/სანთაჷლ** (ბქ.) 1. „დურბინდი“, 2. ბქ. „კორა (სამიზნე თოფისა)“ < ქართ. სათვალე

სანეფ (ზზ., ლშხ.)/**სანანეფ/სანანეფ** (ბქ.)/**სანანეფ** (ლნტ.) < ქართ. სინანე-ი (ვაშლის ჯიში), ბალსქვემოურში გამოიყენება ზოგადი მნიშვნელობით (შდრ. ზს. **ჟისეგ**)

საუდ (ზზ.)/**საუდ/საუდ** (ბქ., ქს.) „მონატრება, ნახვის ნატვრა“ < ქართ. სედა < არაბ.-სპარს. *souda*

საწუთრ (ლშხ.) „ლამაზი, კობტა, სანატრელი, სასურველი“ < ქართ. საწუთრო

საბ (ბქ.) „საქმე; წესი“ < ქართ. სახე

საბიშ (ზს., ლნტ.)/**სახიშ** (ლშხ.) „ხასიათი“ < ქართ. სახის[ა]

სიკცხაჷ/სიკცხაჷ (ბქ.) „პატივი“ < ძვ. ქართ. სიკიცხევა „კიცხვა, ლან-ძღვა, შერცხვენა; შეურაცხყოფა“, შდრ. ქართ. საკიცხავ-ი, განკიცხულ-ი, აგრეთვე საკაცრავ-ი „საქციელი-მართებული“ (საბა), შდრ. სვან. **ხესკიცხაჷ** „პატივს სცემს, მიაგებს“, **ლესკიცხაჷ** „მოსახათრებელი, საპატივცემლო, საკითხავი“ (ადამიანი)

ტარტეს (ზს., ლნტ.)/**ტაროს/ტაროც** (ლშხ.) „გუნება, განწყობილება, ჯანმრთელობა“ < ქართ. ტაროს-ი

ტაიც (ზს., ქს.) „სიმართლე; ჭეშმარიტი, ნამდვილი, მართალი“ < ქართ.მტკიცე, სიმტკიცე. ქართ. **ტაიც-**/**ტაიც-** და სვან. **ტაიც-** ერთმანეთთან შეაპირისპირა პროფ. ზ. სარჯველაძემ, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ ძნელია მისი ქართულიდან ნასესხობის გამორიცხვა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:37). ასევე, **ტაიც** ქართული **მტკიცე**’დან ნასესხებად მიაჩნია გ. კლიმოვსაც (Климов 1964:336).

უკალაჷ (ზს., ლშხ.)/**უკალაჷ** (ლნტ.) „გაულებწავი“ < ქართ. *{გა}უკალო-ბელ-ი

ურწყულ/ურწყულ (ზს., ლნტ.) „უწმინდური, ბინძური“ < ძვ. ქართ. ურწყო „წმინდა, წყალშეურევნელი“, „ფარული“, ურწყულ-ი „ურწყლო“ (შდრ. ბზ., ლშხ. **ჟიდრობა**)

ჟარჩხილ (ზს., ქს.) „ფულ-ი“ < მეგრ. ვარჩხილ-ი „ვერცხლი“

ჟეთხმალ/ჟეთხმალ (ბქ.)/**ჟეთხმალ** (ლშმ.) „საქონელი, პირუტყვი“ < ქართ. ოთხმავალ-ი (შდრ. ბზ., ლნტ. **ქტინლგმგენე**, ბქ. **ქტინიმიგენე**)

ჟიმცარ (ბქ.) „სუსტი, უძლური“ < ქართ. უმეცარ-ი (შდრ. ბქ. **ჟინცარილ**)

ჟიჭმ (ზს., ლნტ.)/**უჭმ** (ლშხ.) 1. „მარხვა, ქრისტეშობის მარხვა“, 2. „ქრისტეშობისთვის, დეკემბერი“ < ძვ. ქართ. უჭმევა „უჭმელობა“, უჭმელი „მარხული“

ჟოჯარ (ზს.)/**ჟოჯარ** (ლშხ.) „ობოლ-ი“ < ძვ. ქართ. ოჯერ-ი, ახ. ქართ. ოხერ-ი

ფერაბ (ზს., ლნტ.)/**ფერაბ** (ლშხ.) „პირფერობა; მოზოდიშევა“ < ქართ. ფერება

ფირცქაჷილ / ფგრცქაჷილ (ბზ.) / **ფირცქაჷილ / ფგრცქაჷილ** (უშგ.)/ **ფირცქაჷულ / ფგრცქაჷულ / ფარიცქაჷულ / ფარიცქაჷულ** (ლშხ.) 1. ბზ. „ტყუილი, სიცრუე“, 2. „მატყუარა, ცრუპენტელა; ფარისეველი“ < ძვ. ქართ. პირ[შქ]ქცეული

ფურთხ[ჷ] (ბქ.) 1. „საქონლის მჭლე ხორცისათვის დამახასიათებელი ბუმტუკები“, 2. „ქონში დაბუდებული მავნე უჯრედი, ხორცის შემადგრებული ბურთულა“ < ქართ. ფურთხ-ი. აღნიშნული ლექსემა აშკარად ნასესხებია ქართულიდან. ქართულიდან ნასესხებ სიტყვებში კი, აუსლაუტში, **ჟის** განვითარება სვანურისთვის უცხო არ არის.

მ. ჩუხუა სვან. **ფურთხ-ჟი**||**ფურთხ-ჟი** ლექსემის შესატყვისად წარმოაჩენს ქართულ (ზ. აჭარ.) **ფურთხ-ო** „ხმელი მუწუკი“ და ქართულ-სვანურში

ძირად გამოყოფს **ფუთხ**-ს. ბოლოკიდური **-ჟ** (**-** **-ო**): **-ო**, მისი აზრით, სადერივაციო აფიქსებია (ჩუხუა 2000-2003:242).

ქაჯრან (ბზ.)/**ქაჯრან** (ბქ.)/**ქაჯრა** (ლშხ.)/**ქაჯარან** (ლნტ.) „მოუსვენარი, ცელქი, დაუდეგარი“ < ქართ. *ქაჯ-ია, ქაჯ-ი < სპარს. **kaĵ**. შესაძლოა ბალსქვემოური ფორმა **ლი-ქაჟ-ალ** „გიჟობა, ქაჯობა“ და **ლგ-ქაჟ-ე** „სულელი, გიჟი“, **მგლქაჟ** „მოგიჟო“ **ქაჯ** სიტყვისგან მომდინარეობდეს. ამ ფორმების ერთმანეთთან დაკავშირება ფონეტიკურად და სემანტიკურად დაბრკოლებას არ უნდა წარმოადგენდეს.

ყაბა (ლშხ.) „ცალ მხარეზე გადაწონილი ტვირთი“ < ქართ. (ლექხ.) ყაბა „მსუბუქი ტვირთი“, შდრ. გურ. ყაფა „არამკვიდრად მოკრული ტვირთი“. აღნიშნული ქართულ-სვანური ლექსემის შესახებ მ. ჩუხუა შენიშნავს: „ამ ფუძის დისტრიბუცია შეზღუდულია ქართველურ ენებში: სხვა ენებიდან ხომ არ მომდინარეობს?“ (იქვე:242) ზანური ეკვივალენტი ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის და ამდენად, სვანური ლექსემის ქართულიდან ნასესხობას ამჯერად არ გამოვრიცხავთ, მითუმეტეს, რომ საანალიზო ლექსემა სვანური ენის სხვა დიალექტებში არ დასტურდება.

ყომ (ბზ., ლშხ.)/**ყუმ/ყემ** (ბქ.)/**ყომ** (ლნტ.) „კოვზ-ი“ < ქართ. (ქართლ., ქიზიყ.) ყომ-ი „მოკლეთარიანი პატარა ნიჩაბი“, შდრ. ძვ. ქართ. კომ-ი „ხისა და გოგრის თასი“

შშშობ (ბზ.)/**საშშობ** (ბქ., ლნტ.)/**საშშობ** (ლშხ.) „ჭიაკოკონობა, ჭინკობისთვის ბოლო ღამე“ < ქართ. *საშიშობა

ჩირთ (ზს., ლნტ.) „ქვების გროვა“ < ქართ. (ფშ.) ჩირთ-ი (?) „ახლად გამოსული ფოთოლი გაზაფხულის პირას“

ცალ (ზს., ლნტ.)/**ცალ** (ლშხ.) 1. „ტოლ-ი, ხელა; კბილა, ერთი ასაკისა“, 2. „იგივეა, რაც ქართული ცალი“ < ქართ. ცალ-ი < ოს. **cal** „რაოდენი, ერთეული“

ცონარ (ბზ., ჩბხ.) „უსუსურ-ი, სუსტი“ < ძვ. ქართ. მცონარე/ი „ზარმაცი, მუქთახორა; უქმი“ < ოს. **æncoj/æncojnæ** „სიმშვიდე, დასვენება“

ცხტიშილ (ლშხ.) „შინაყმა, მოჯამაგირე, ნაყიდი ყმა“ < ქართ. სხვი[ს]-[ი] შვილ-ი

წყან (ზს.) „ზარალ-ი“ < ქართ.საწყენ-ი, წყენა

წყელიან/წყელაინ (ზს.)/**წყელიან** (ლშხ.)/**წყელიან** (ლნტ.) „წმინდა, სუფთა“ < ქართ. წყლიან-ი

წყელიან/წყელაინ (ბზ.) „ვერცხლი“ < ქართ. წყლიან-ი

წყეზან/წყეზემ (ბზ.)/**წყეზემ** (ლშხ.)/**წყეზარ** (ლნტ.) „სუფთა, ფაქიზი, წმინდა“ (შდრ. ბქ. **წყეზარ ტანიშ** „კოხტა ტანის, მოხდენილი“ (ადამიანი) < ძვ. ქართ. მწყეზარ-ი „თეთრი“, რაჭ., ფშ. „მორთული, მოხდენილი, კოხტა; ცოცხალი, მარდი, ფხიანი, მარჯვე“.

შენიშვნა: არაერთი ლექსემის სტრუქტურულ-სემანტიკური მხარის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სვანური მასალა გაცილებით ახლოა ძველ ქართულთან, ვიდრე სხვა მონაცემებთან.

ჰალან (ბზ.)/**ჰალან** (ბქ.) „მდინარე“ < ქართ. ჰალა (მდინარის პირა

მინდორი) < ფალ. **čalak** „კუნძული, ხმელეთი“, თუმცა სვანურში საანალიზო ლექსემას იგივე მნიშვნელობაც აქვს, რაც ქართულში (**ჭალა** (ბზ.)/**ჭალა** (ბქ., ლნტ.)/**ჭალა** „ჭალა“)

ჭაგ (ზს.)/**ჭაგ** (ლშხ.)/**ჭაგ** (ლნტ.) „ჭაკი“, მაგრამ ბალსქვემოურსა და ჩოლურულ მეტყველებაში უწესო ქალის სალანძღავ სიტყვად გამოიყენება < ქართ. ჭაკ-ი

ჭერ (ბქ.) „ეჭვი“ < ქართ. ჭორ-ი (შდრ. ბქ. **ჭერკ**)

ჭირ (ზს., ლნტ.) „შრომა, გარჯა, ჯაფა“ < ქართ. ჭირ-ი

ხარჯობ (ბზ., ქს.)/**ხარჯობ** (ბქ.) „პურობა, სადილობა, ვახშობა“ < ქართ. *ხარჯობა < არაბ. **xarj** (შდრ. ბზ. **ლიდიარა**)

ხარჯ (ზს., ლნტ.)/**ხარჯ** (ლშხ.) „საჭმელი, საგზალი“ < ქართ. ხარჯ-ი < არაბ. **xarj** (შდრ. ზს., ლნტ. **ლეხტებ**)

ხელტარ (ზს., ლნტ.)/**ხელტარ** (ლშხ.) „მქსოველი“ < ქართ. (ქართლ.) ხელტარ-ი „ძაფის დასამახავი თითისტარ-ი“ (შდრ. ზს., ლნტ. **მეჯიშ**, ბქ., ლშხ. **მეჯიში**)

ხელტან (ზს., ლნტ.)/**ხელტან** (ლშხ.) „კალატოზი, ხელოსანი“ < ძვ. ქართ. ჯელოვანი-ი

ხეც (ზს., ქს.) „დევი“ < ძვ. ქართ. მჯეც-ი, ახ. ქართ. მხეც-ი

ხალაგ (ზს.)/**ხალაგ** (ლშხ.)/**ხალაგ** (ლნტ.) 1. „ჭიშკარი“, 2. „ღობე“ < ძვ. ქართ. ალაგ-ი „ბილიკი, გზა; კვალი“, ახ. ქართ. ალაგ-ი, (იმ., გურ.) ალაგე „ღობეზე გადასასვლელი ადგილი“ < ფალ. **arak/alak** „მხარე, გვერდი, მიმართულება“

ხაუეჯ (ზს.)/**ხაუეჯ** (ლშხ.) „იარაღი“ < ქართ. ავეჯ-ი (შდრ. მთარაჭ. ავეჯ-ი – ტანის მოკაზმულობა-მორთულობა: „წაიღე შენი იარაღი და ავეჯი“ – მიძიგური 1956:200, შდრ. ასევე, ზს., ლნტ. **ნახე**, ლშხ. **ნახე**) და ა. შ.

დიდძალ საანალიზო მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ უცხოენოვან ლექსემათა ფუძეები სვანურში დასტურდება როგორც სემანტიკურად უცვლელი სახით, ისე სემანტიკური ნიუანსებით სახეცვლილ მონაცემთა ვითარებაში.

ამა თუ იმ ნასესხები სიტყვის კონკრეტული მნიშვნელობის დადგენის პარალელურად შევეცადეთ დაგვედგინა თითოეული ნასესხები ლექსიკური ერთეულის ყველა შესაძლო სემანტიკური ტრანსფორმაცია სვანური ენის დიალექტ-კილოკავთა მონაცემებზე დაყრდნობით. კვლევამ აჩვენა, რომ ამ მხრივ დიალექტ-კილოკავებში ერთგვარობას ნამდვილად არა აქვს ადგილი. ზოგჯერ სვანურის ესა თუ ის დიალექტი, ან თუნდაც კილოკავი უცხოენოვან ფუძეებს სესხებისა და ენაში ადაპტირების შემდგომ მნიშვნელობას საგრძნობლად უცვლის, თუმცა იგივე ფუძე, შესაძლოა, რომელიმე დიალექტ-კილოკავში სემანტიკურად უცვლელი სახით შეგვხვდეს.

ლიტერატურა

- ანდრონიკაშვილი 1966** – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, ტ. I, თბ., 1966
- არაბული 2001** – ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბ., 2001
- თოფურია 1979** – ვ. თოფურია, შრომები, III, თბ., 1979
- თოფურია 2002** – ვ. თოფურია, შრომები, II, თბ., 2002
- ოსიძე 1987** – ევ. ოსიძე, სვანური ენის ლექსიკის შესწავლისათვის ისტორიული თვალსაზრისით, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1987
- ფენრიხი, სარჯველაძე 1990** – დ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990
- ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000
- ქალდანი 1969** – მ. ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა, I, უმლაუტის სისტემა სვანურში, თბ., 1969
- ჩიქობავა 1952** – არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952
- ჩუხუა 2000-2003** – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003
- ძიძიგური 1956** – შ. ძიძიგური, ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბ., 1956
- ძიძიგური 1960** – შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1960
- ჭარაია 1895** – პ. ჭარაია, მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან, „მომბე“, XII, თბ., 1895
- ჭუმბურიძე 1987** – ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1987
- Климов 1964** – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964
- Март 1915** – Н. Я. Март, Яфетическе названия деревьев и растений, II, ИАН, Санкт-Петербург, 1915
- Deeters 1930** – G. Deeters, Das kartwelische Verbum, Leipzig, 1930
- Wardrop 1911** – O. Wardrop, English-Svanetian Vocabulary: Jurnal of the Royal Asiatic Society, London, 1911
- Klimov 1998** – G. Klimov, Etimological Dictionary of the Kartvelian Languages, Berlin/New-York, 1998
- Fährnich 1998** – H. Fährnich, Kartwelischer Wortchatz, VI: Georgica, 21, Konstanz, 1998
- Schmidt 1962** – K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962

Medea Saghlani

On the Semantic Adaptation of Borrowed
Vocabulary in Svan

Summary

The main aim of the paper is to study the borrowed lexical units semantically. For this purpose, we have divided a great deal of illustrative material into two main groups based on the data of the traditionally known dialects of the Svan language (Upper Balian, Lower Balian, Balskvemouri, Lashkian, Lentekhian) and the Cholur speech: 1. Semantically unchanged loanwords and 2. loanwords with changed semantic nuances. Obviously, the data of the Svan dialects are used where applicable.

Observations on a large amount of research material have shown that the bases of foreign lexemes are attested both in a semantically unchanged or changed forms in Svan.

მედია სალიანი, ნატო შავერშიანი

ნასესხები ლექსიკის ფონეტიკურ-ფონოლოგიური ადაპტაციისათვის სვანურში¹

ნასესხები ლექსიკის დიდი ნაწილი სვანურში სხვადასხვა მიზეზთა გამო ძლიერ არის როგორც ფონეტიკურად, ისე სემანტიკურად სახეცვლილი, რაც, ბუნებრივია, მეტისმეტად ართულებს სვანური ლექსიკის ცალკეული ნიმუშების ეტიმოლოგიურ ანალიზს.

ამჯერად ჩვენი კვლევის ძირითად მიზანს ნასესხები ლექსიკის ფონეტიკურ-ფონოლოგიური ტრანსფორმაციების ანალიზი წარმოადგენს დიდძალი სვანური დიალექტური მასალის საფუძველზე. ვფიქრობთ, ამგვარი კვლევა კიდევ ერთხელ დაუჭერს მხარს ქართველოლოგიაში აღიარებულ აზრს სვანური ენის გრამატიკულ მოვლენათა უდიდეს (ზოგჯერ გადამწყვეტ) მნიშვნელობას არაერთი ლინგვისტური პრობლემის გადასაჭრელად.

უპირველეს ყოვლისა, წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ თანხმოვანთა და ხმოვანთა ცვლილებებს რაგვარობის მიხედვით სვანურ ნასესხებ ლექსიკაში, სადაც ყველაზე მეტად იკვეთება შემდეგი ფონეტიკური პროცესები: *გამჟღერება, გამკვეთრება, გაფშვინვიერება, ასი-მილაცია, აფრიკატიზაცია-დეზაფრიკატიზაცია, ხმოვანთა და თანხმოვანთა, ასევე ლ/მ/წ/რ/ჭ (სონორ) თანხმოვანთა მონაცვლეობა, ბგერის ჩართვა-დაკარგვის შემთხვევები, მეტათეზისი* და ა. შ.

ბგერათა ცვლილებები რაგვარობის მიხედვით სვანურ ნასესხებ ლექსიკაში

ა) გამჟღერება:

აზად (ლხმ.), შდრ. ლშხ. **აზატ**, ლნტ. **აზატ** „თავისუფალი გლეხი“ < ქართ. აზატ-ი (ტ>დ) < ფალ. āzād

ალზად (ბქ.) *ნაწილ.* < ქართ. ალზათ

აპეხდ/აპეხ[ჭ]დ (ბქ.) „შაში“ < ძვ. ქართ. აპოხტ-ი/აპუხტ-ი „შესანახად დამარილებული და კვამლში გამოყვანილი ხორცი“ (ტ>დ)

არაბარა (ზს., ქს.) „არაფერი, ერთი და იგივე, სულერთი“ < ქართ. არაფერ-ი (ფ>ბ)

¹ მოხსენება მომზადდა 2018 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „**სვანური ნასესხები ლექსიკის ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ანალიზი (ფუნდამენტურ-გამოყენებითი გამოკვლევა ლექსიკონითურთ)**“ ფარგლებში.

არგა! (ბქ.), შდრ. ბქ., ლნტ. *არქა შორისდ.* < ქართ. არიქა! (ქ>გ)

ბალტო (ჩხბ.), შდრ. ზს., ქს. *პალტო*, ბქ. *პალიტო* < ქართ. პალტო (პ>ბ) < რუს. *Пальто* < ფრანგ. *paletot*

ბანჭ (ქს.) < ქართ. პაიჭ-ი (პ>ბ), შდრ. ხევს. ბაჭიჭ-ი

ბარდიკუტ (ბზ.) < ***ბარტიკუტ** < ***პარტიკუტ** < ***პატრიკუტ** < ***პატრიქუტ** < ***პატრტიქ** < ***პატრტუქ** < ქართ. პატრუქ-ი „დაგრეხილი ბამბის ძაფი, ჩვარი ან საგანგებოდ დამზადებული ქსოვილის ნაჭერი ლამპაში, ჭრატში, სანთელში, ნავთქურაში და მისთ.; გამოიყენება წვისათვის და განათებისათვის“ (ორი პროცესი მიმდინარეობს ერთდროულად: გამჟღერება **პ>ბ** და გამკვეთრება **ქ>კ**) < ფალ. *patrk* „სანთელი“

ბაპ (ზს., ქს.)/**პაპ** (ბქ.) < მეგრ.-ლაზ. პაპ-უ¹ < ბერძნ. *παππας*. ***პაპალ**-არქეტიპი, სპეციალური ლიტერატურის (ჭარაია 1918:287-289, 619; ჩიქობავა 1938:14-15; Климов 1964:152) მიხედვით, მხოლოდ ქართულ-ზანურ ერთიანობის ხანისთვისაა აღდგენილი, სვანურში კი ის მეგრულიდან ნასესხებად ითვლება ანლაუტის მკვეთრი ბგერის გამჟღერების საფუძველზე, თუმცა გ. კლიმოვის უკანასკნელ ნაშრომში საერთო მასალაზე აღარაა მსჯელობა (სალიანი 2005:345).

ბაწკ (ზს., ლნტ.)/**ბაწკ/ბაწკ-ერ** (ჩოლ.), შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. *ბაწკ-ერ* „ხიწვი; პატარა, წვრილი ბზარი, ნაპობი“ < ქართ. პაწკ-ი „ხის გამხმარი წვრილი შტო“, იმერ. პაწკ-ი „წვრილი, სუსტი წნელის საბელი“, გურ. პოწკ[ქ]-ი, აჭარ. პაწკ-ი „მცენარის კვირტი“ (**პ>ბ**); შდრ. ბაწკ-ი „სუსტი ძაფი“ (საბა), ქიზ. „დაძახული ან დაგრეხილი ძაფის ამოშლილი, ბუსუსივით წვრილი ძაფი“. თუკი უძველეს ნასესხობასთან გვაქვს საქმე, ამ შემთხვევაში გამჟღერების პროცესს გამოვრიცხავთ და ვივარაუდებთ, რომ ზს., ლნტ. **ბაწკ** და ჩოლ. **ბაწკ/ბაწკ-ერ** ძველი ქართულიდან ისესხა სვანურმა, ხოლო ბზ., ლშხ. *ბაწკ-ერ* მოგვიანებით – ქართული ენის დიალექტებიდან.

ბირწამალ (ბზ.) < ქართ. პირ-ის-წამ-ალ-ი (თოფისა), **პ>ბ**

ბირწალ (უშგ.)/**ბიწალ** (ზს.)/**ბიწარ** (ბქ.), შდრ. ბზ. ლნტ. *ფიწალ*, ლშხ., ჩოლ. *ფირწალ* < ქართ. *ფიწალ*-ი (**ფ>ბ**)

ბიფხ (ზს., ქს.) 1. „ნამი, ცვარი, წვეთი“, 2. იხმარება გამოთქმაში **ბიფხდ ლიფხე** – „სწრაფად განკურნება; დასუფთავება“ < ქართ. ფიფქ-ი. მ. სუხიშვილის აზრით, სვან. **ბიფხ** ქართულიდან შეთვისებული ფიფქია, რომელმაც სვანურის ფონემატური სტრუქტურის შესატყვისი სათანადო ფონეტიკური ცვლილებანი განიცადა (ქართ. *ფიფქ* > სვან. **ფიფხ* > *ბიფხ*). მის მიერ ნავარაუდები ფონეტიკური პროცესი ყრუ ფშვინვიერთა დისიმილაციური გამჟღერების ნიმუშს წარმოადგენს, რაც ქართველური ენებისათვის თითქმის უჩვეულო ჩანს (სუხიშვილი 1997:148-149).

კაკ (ბზ., ქს.), შდრ. ბქ. *კაკ* 1. „ნიგოზი, კაკალი“, 2. „კაკლის ხე“ < ქართ. კაკ-ალ-ი, რომელიც გ. კლიმოვის მიხედვით (Климов 1964:185), შესაძლოა ნასესხობაც იყოს. ბალსზემოურსა და ქვემოსვანურ დიალექტებში

¹ მეგრულ-ლაზურში ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ მითითებულია **პაპ**-უ (2000:369), ხოლო გ. კლიმოვისა და ხალილოვის წიგნში „Словарь кавказских языков“ – მეგრულში **პაპ**-ი, ლაზურში კი **პაპა** (2003:46).

ანლაუტის თანხმომავანი გამჟღერებულია, ხოლო, თუ მივიღებთ სპეციალურ ლიტერატურაში (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:83) გამოთქმულ მოსაზრებას ქართული -ალ (ფუძის მაწარმოებელი) აფიქსის შესატყვისად სვანური -ჟ- სონანტის მიჩნევის შესახებ (დედჟ < *დედლ < *დედალ), მაშინ ფონეტიკური პროცესები ასე წარმოგვიდგება: ქართ. კაკალ- > *კაკლ > *კაკუ > ბქ. კაკ > ბზ., ქს. გაკ, თუმცა არც სხვაგვარი გააზრებაა გამორიცხული: ქართ. კაკალ > *კაკა > ბქ. კაკ > ბზ., ქს. გაკ – სალიანი 2005:346).

გაწრ (ბქ.), შდრ. ლშხ., ჩოლ. კაწარ „წვივი“ < ქართ. (ფშ., ხევს.) კაწარი „ბრჭყალი“ (კ>გ)

გატ (ზს., ლნტ., ჩოლ.)/**გატ** (ლშხ.) < ქართ. ქატო (ქ>გ)

გირწყალ (ზს., ლნტ.)/**გირწყალ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. კირწყალი-ი „კირხსნარი, დულაბი“ (კ>გ)

გოწხილ (ბზ.) < ზს., ქს. გოწხირ < *გოწახირ < *გოწახტირ < *გოწახურ < ქართ. კოწახურ-ი (კ>გ). ***გოწახურ**- ძირი ზ. სარჯველაძემ აღადგინა მხოლოდ ქართული და მეგრული ენების მო-ნაცემთა საფუძველზე ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქის დონეზე (სარჯველაძე 1999:127)

დაბჟ (ბზ.) < ქართ. ტაბჟ-ი (ტ>დ) < ფალ. *taβk* „არაბი“

ზანგლაგ (ბზ.) < ბქ. ზანდლაგ < *ზანზლაგ < *ზანზალაგ < *ზანზალაგ < *ქართ. ზან-ზალ-აკ-ი (კ>გ)

კოსდა (ბქ.) ანთრ. < ქართ. კოსტა (ტ>დ) < ლათ. კონსტანტინე „მტკიცესი“, „ურყევისა“, „მედგარისა“ (ჭუმბურიძე 1987:351)

კომგ (ბზ.), შდრ. ზს., ქს. კომგ < ქართ. კომგ-ი (კ>გ) < ფალ. *kōšak* „სასახლე“ (შდრ. ზს., ლნტ. მურყტამ)

კრამიდ (ბზ.) < ქართ. კრამიტ-ი „სილა-ნარევი თიხის გამომწვარი ფირფიტა“ (ტ>დ) < ბერძ. *karamidos*

ლაშგარ (ზს.), შდრ. ზს., ლნტ. ლაშგარ „ჯარი“ < ქართ. ლაშგარ-ი (ქ>გ) < ფალ. *laškār* „ჯარი, არმია“

მადრანგ/მგდრანგ (ზს.)/**მგდრანგ** (ბქ.)/**მადრანგ** (ლშხ., ჩოლ.), შდრ. ლნტ. მათრან < ქართ. მათრახ-ი < არაბ.-სპარს. *mitrak* (თ>დ)

ეფესკოპოზ (ბზ.) < ქართ. ეპისკოპოს-ი (ს>ზ) < ბერძ. *ἐπίσκοπος*

პრისტაჟ (ბზ.) < ქართ. პრისტავ-ი < რუს. Пристав (ტ>დ)

საზერწამ (ბქ.) < *საზირწამ < *საზირიწამ < *საპირისწამ < *საპირისწამლ < ქართ. სა-პირ-ის-წამ-ლ-ე (სამასრე), **პ>ზ**

სასდივ (ზს.), შდრ. ლშხ. **სასტივ**, ლნტ. **სასტივ** „სასტიკი, მკაცრი“ < ქართ. სა-სტიკ-ი (ტ>დ) < ფალ. *sastik* „სასტიკი, მკაცრი, მწვალებელი“. დადასტურებულია ასევე ავესტურში, სანსკრიტში, ლათინურში, სომხურში. მ. ანდრონიკაშვილის აზრით, აღნიშნული სიტყვა მკვიდრ სომხურად ითვლება (ანდრონიკაშვილი 1966:368-369). სვანურში არსებული ობიექტური წყობის ინვერსიული ზმნა **ხასდივ** „წყინს“, ევ. ოსიძის აზრით, მომდინარეობს **სასტივ** ფუძიდან, ე. ი. **სასტივ** ფუძეა ამოსავალი: **ხასდივ** < ***ხასასტივ** (ოსიძე 1990:70-71).

სბენდივ/სზონდივ (ზს., ლშხ.), შდრ. ლნტ. **სპენდივ** „ფაშარი და მჩატე ქვა“ < ქართ. სპონდიო (პ>ზ)

სგელ (ზს., ლშხ., ჩოლ.), შდრ. ლნტ. **სკელ** < ქართ. სქელ-ი (ქ>გ), ლენ-ტეხურში კი პირიქით მოხდა, გამკვეთრდა. შდრ. ძვ. ქართ. ზრქელ-ი, ხევს. ზგელ-ი.

სპედანგ (ზზ.), შდრ. ბქ. **სპეტაკ** < ქართ. სპეტაკ-ი (კ>გ) < ფალ. **spētak** „თეთრი“

სურდუქ (ბქ.) < ქართ. სერთუკ-ი < ფრანგ. **surtout** „[განიერი] ზედა სამოსი“ (თ>დ). ბქ. **სურდუქ** < ***სერდუქ** < ***სერდუკ** < ***სერდტიკ** < ***სერთტიიკ** < ***სერთუკ** < ქართ. სერთუკ-ი

ტაბანგ (ზს., ლნტ.)/**ტაბაგ** (ლშხ.) 1. „ტაბაკი, მაგიდა, სუფრა“, 2. რელიგ. „ტაბლა (სულეებისათვის გაშლილი სუფრა)“ < ქართ. ტაბაკ-ი (კ>გ) < ფალ. **tapak** „ტაფა“

ტაბგობ (ზს.) „დღეობა, ლხინი, ნადიმი“ < ქართ. *ტაბაკ-ობ-ა (კ>გ)

ტაშდ (ზს.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **ტაშტ** < ქართ. ტაშტი (ტ>დ)

ტახდ (ზს.)/**ტახდ** (ლშხ.), შდრ. ბზ. **ტახტ**, ბქ., ლნტ. **ტახტ** < ქართ. ტახტი (ტ>დ) < ფალ. **taxt**

ფინდიხ (ზს.), შდრ. ბქ., ქს. **ფინთიხ** „ტყვია, ფინდიხი“ < ქართ. (გურ.) ფინთიხ-ი „გასროლილი ისარი ან ტყვია“ (თ>დ) < სპარს.-თურქ. **punduk** „მახვილი, სასროლი ტყვია“

ფორლიგ (უმგ.), შდრ. ბზ. **ფორ-ჩლიკ**, ქს. **ფორლიკ**, ლნტ. **ფოლ** „ჩლიქი“ < ქართ. ფლოქვ-ჩლიქ-ი (დიალექტების მიხედვით სხვადასხვა პროცესი ხდება: უმგულურში გამჟღერდა (ქ>გ), ხოლო ბალსუემოურსა და ქვემოსვანურში კი გამკვეთრდა (ქ>კ), შდრ. გურ. ჭლიკ-ი „ფეხი“, ფშ. ჭლიკა „ფეხი“, მონ., აჭარ. ჭლიკ-ი „ჩლიქი“, რაჭ. ჭლიკვი „ჩლიქი“; იმერ., გურ. ფოლ-ი „ცხენის, ჯორის, ვირის ერთიანი ჩლიქი“)

ჩაფრანტ (ბქ.), შდრ. ბზ., ლნტ. **ჩაფრანტ**, ლშხ. **ჩაფრასტ** „ჩაფრასტი, სამკაული“ < ქართ. (ხევს.) ჩაფურასტი-ი „ქალის სამკაული, ყელსაბამი“, (თიან.) ჩაფურაშტი-ი „ვერცხლის ერთგვარი სამკაული – მოგრძო ფირფიტა, ამოზნექილი და მოსევადებული“ (ფ>ხ) < სპარს. **čāprast**

წიბან (ბზ.)/**წიბან** (ბქ.)/**წიბან** (ლშხ.), შდრ. ქს. **წიაბ** < ქართ. წრიაპ-ი (კ>ხ)

ჭაბიგუ (ზს.), შდრ. ქს. **ჭაბუკუ**, ლშხ. **ჭაბუკ/ჭაბუკუ** < ქართ. ჭაბუკ-ი (კ>გ) < ფალ. **čapuk** „სწრაფი, მოხერხებული“

ჭაგუ (ზს. ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ჭლაკვი (კ>გ)

ჭახრანგ (ბზ.)/**ჭახნენგ/ჭახრენგ** (ბქ.)/**ჭახრაგ** (ლშხ., ჩოლ.), შდრ. ლნტ. **ჭახრანკ** < ქართ. ჭახრაკ-ი (კ>გ) < ფალ. **čaxrak/čaxrag** „კოჭი, ხრახნი, მაქო, ჯარა“, შდრ. სომხ. **čaxrak**

ჭანგ (ზს.)/**ჭანგ** (ლშხ., ჩოლ.), შდრ. ლნტ. **ჭანკ** 1. „დედალი ცხენი, – ფაშატი“, 2. **გადატ**. „ცუდი ყოფაქცევის ქალი, – მრუში“ < ქართ. ჭაკ-ი „დედალი ცხენი ან ვირი, – ფაშატი“ (კ>გ)...

ბ) **გამკვეთრება:**

აბდაუბდა (ლშხ.) < ქართ. აბდაუბდა „უთავბოლო მსჯელობა, ლაპარაკი“ (ბ>პ)

ართაშაკ (ლშხ.) < ქართ. ათაშანგ-ი (< სპარს.) „სიფილისი“ (**გ>კ**)

ართაშაკიან (ლშხ.) < ქართ. ათაშანგიან-ი (< სპარს.) „ათაშანგით დაავადებული; სიფილისიანი“ (**გ>კ**)

ატოკატ/ატუკატ (ბქ.) „დამცველი, ვექილი“ < ქართ. ადვოკატ-ი < ლათ. **advocates** > **advoco** „ვიხმობ“ (**დ>ტ**)

აფხნიკ (ლშხ., ჩოლ.)/აფხნიკ (ლნტ.), შდრ. ზს. **აფხნეგ** < ქართ. ამხანაგ-ი < ფალ. **hamxānak** (**გ>კ**), შდრ. ხევს. ამხანიგ-ი

ბარდიკუ (ბზ.) < ***ბარტიკუ** < ***პარტიკუ** < ***პატრიკუ** < ***პატრიქუ** < ***პატრტიქ** < ***პატრტუქ** < ქართ. პატრუქ-ი „დაგრეხილი ბამბის ძაფი, ჩვარი ან საგანგებოდ დამზადებული ქსოვილის ნაჭერი ლამპაში, ჭრაქში, სანთელში, ნავთქურაში და მისთ.; გამოიყენება წვისათვის და განათებისათვის“ (ორი პროცესი მიმდინარეობს ერთდროულად: გამკვეთრება **ქ>კ** და გამჟღერება **პ>ბ**, იხ. ზემოთ!) < ფალ. **patrōk** „სანთელი“

ბეჭეტი (ქს.), შდრ. ზს. **ბეჭედი** 1. „ბეჭედი (თითის სამკაული)“, 2. „ოფიციალური ნიშანი საბუთებზე“, 3. „ნიშანი“ < ქართ. ბეჭედი-ი (**დ>ტ**) < ფალ. **pēcti** „ხვეული, რკალი“ (შდრ. ზს. **მესკაჲ**, ლნტ., ჩოლ. **მესკაჲ**)

თგრქატი (ლშხ., ჩოლ.) < **თგრქატი** (ზს., ლნტ.) < **თგრქატი** (ზს., ლნტ.) < ***თურქატი** < ***თუქრატი** < ***დუქრატი** „მაკრატელი“ < ქართ. დუქრად-ი „დიდი მაკრატელი ცხვრის საპარსად“ (**დ>ტ**, **დ>თ**) < სპარს. **dukārd**

ნაშტები (ლნტ.), შდრ. ზს. **ნა-შდ-ებ-ი**, ბქ. **ნა-შტდ-ებ-ი**, ლშხ., ჩოლ. **ნა-შდ-ობ-ი** „მშვიდობა, ჯანმრთელობა“ < ქართ. *ნა-მშვიდ-ებ-ი (ე. ი. მშვიდობა), **დ>ტ**

პატრიჯან (ზს.)/პატრაჯან (ბქ.)/პატრაჯ/პატრეჯან (ჩზხ., ლხმ.)/პატრიჯან (ბქ., ქს.) *ბოტან.* „პომიდორ-ი“ < ქართ. ბადრიჯან-ი (**ბ>პ**, **დ>ტ**) < სპარს. **badnižan/badližan**

ბელატი (ლშხ.) < ქართ. (გურ., იმერ.), მეგრ. ბელატი-ი (**ბ>პ**). შესაძლოა დასავლური ქართულის იგივეობრივი ლექსემები მეგრული ლექსიკის ნაშთიც იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერც სვანურ დანაშრეგებს გამოვრიცხავთ (სადლიანი 2005:350).

ბილწ (ზს., ლშხ.) < ქართ. ბილწ-ი (**ბ>პ**) < ძვ. სომხ. **piṙc**

პილწიან (ბზ.)/პილწიან (ლშხ.) „უწმინდური, საძაგელი“, შდრ. ჩოლ. მასდარული ფორმა **ლი-პილწ-იელ** „უწმინდურობა, საძაგლობა (ზედმიწ. – **ბილწ-ობ-ა**)“ < ქართ. ბილწ-იან-ი (**ბ>პ**)

სკელ (ლნტ.), შდრ. ზს., ლშხ., ჩოლ. **სგელ** < ქართ. სკელი-ი (**ქ>გ**), შდრ. ძვ. ქართ. ზრქელი-ი, ხევს. ზგელი-ი. ზემოსვანურსა და ლაშხურში ადგილი აქვს გამჟღერების პროცესს, ლენტეხურში კი, როგორც ვხედავთ, – გამკვეთრების.

ტელაფ (ბქ.), შდრ. ბზ. **დგფან**, ლშხ. **დგფან**, ლნტ. **დელფან**, ჩოლ. **დელფან** „აივანი“ < ქართ. დერეფან-ი (**დ > ტ**)

ჭაბუკუ (ლშხ.), შდრ. ზს. **ჭაბიგუ**, ქს. **ჭაბუკუ**, ლშხ., ჩოლ. **ჭაბუკ** < ქართ. ჭაბუკ-ი (**ბ>პ**) < ფალ. **čapnik** „სწრაფი, მოხერხებული“...

გ) **გაფშვინგიერება**:

ბაპსირ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ბაპსირ (ბქ.)/ბაფსირ (ბქ., ლნტ.,

ჩოლ.)/**ზაფსკენ** (ჩოლ.), შდრ. ლშხ. **ზაზსირ/ზაზსირ/ზაზსგ[რ]**, ჩოლ. **ზაზსგირ**, ლხმ. **ზაზსგ[რ]** 1. „ცისტიტი“, 2. „სისხლიანი ფაღარათი“ < ქართ. (რაჭ.) ბაზასილ-ი „ქათმის ავადმყოფობაა ერთგვარი“, (ინგ.) ბაზასილ „ბუასილი“, ბავასირ-ი (საბა) < არაბ. **bavāsīr** (შდრ. სალიტ. ქართ. ბუასირი). აღნიშნულ ლექსემაში გვაქვს სამი პროცესი თანხმოვანთა ცვლილებებისა, ე. ი. სამსაფეხურიანი გადასვლა: მჟღერი, ფშვინვიერი და მკვეთრი (**ზ>ფ>პ**), ჩოლურულ ფორმაში კი დამატებით – სხვადასხვა თანხმოვნის ჩართვა.

ზაპსირიან (ბზ.)/**ზაპსირიან** (ბქ.)/**ზაფსირიან** (ბქ., ლნტ.), შდრ. ბზ. **ზაპსირიან**, ბქ. **ზაზსგირიან**, ბქ., ლნტ. **ზაფსირიან**, ლშხ. **ზაზსირიან** „ცისტიტი დაავადებული“ < ქართ. (რაჭ.) ბაზასილ-იან-ი < სპარს. **bavāsīr** (**ზ>ფ>პ**)

თგრქანდ/თგრქანტ (ზს., ლნტ.)/**თგრქანტ** (ლშხ.) „მაკრატელი“ < ქართ. დუქარდ-ი „დიდი მაკრატელი ცხვრის საპარსად“ (**დ>თ**) < სპარს. **dukārd**

იფესკოპოზ (ბზ.) < ქართ. ეპისკოპოს-ი (**პ>ფ**) < ბერძ. **ἐπίσκοπος**

საფტინ (ზს., ქს.), შდრ. ბქ. **სამტინ** „შაბათი“ < მეგრ. საბატონ-ი (გვაქვს გაფშვინვიერება (**ზ > ფ**) და ბალსქვემოურში – **ზ/მ** თანხმოვანთმონაცვლეობა)

სიფრიტ (ბქ.) < **სიფრიტუ** ბზ. < ***სიფრუ**ტი < ლშხ. **სიფრუთ** < ლნტ. **სიფრუტ** < ***ციფრუტ** „ბურღი“ < ქართ. ციბრუტი-ი {მიმდინარეობს ორი ფონეტიკური პროცესი: 1. გაფშვინვიერება (**ზ>ფ**), 2. სპირანტიზაცია (**ც>ს**)}

ფაკან (ბზ., ლნტ., ჩოლ.)/**ფაკანი** (ბქ.)/**ფაკან** (ლშხ.) „ჯამი“ < ქართ. (თუშ., ფშ., ხევს., მოხ., ინგ.) ბაკან-ი 1. „დიდი ჯამი ხისა ან სპილენძისა“; 2. „ვარცლის მსგავსი მრგვალი ჭურჭელი, რომელშიც რძეს ჩაწურავენ“ (საინგილოში იხმარება საწყაოდ), **ზ>ფ**

ფარდაქ (ბზ., ლნტ.), შდრ. ბზ. **ფარდაჭ**, ლშხ. **ფარდაგ** < ქართ. ფარდაგ-ი (**გ>ქ**) < ფალ. **partak** „ფარდა, რიდე, ხალიჩა“

ფირცქუთილ (ბზ., ჩოლ.)/**ფგრცქუთილ** (ბზ.)/**ფირცქუთილ/ფგრცქუთილ** (უშგ.)/**ფირცქულ/ფგრცქულ/ფარიცქულ/ფარიქვეულ** (ლშხ.) 1. ბზ. „ტყუილი, სიცრუე“, 2. „მატყუარა, ცრუპენტელა; ფარისეველი“ < ძვ. ქართ. პირ-{შე}-ქც-ეულ-ი (**პ>ფ**)

ფირწამალ (ბზ.)/**ფირწამალ** (ლშხ.) „საპირისწამლე“ < ქართ. პირ-ისწამ-ალ-ი (შდრ. ბზ. **სა-ზგრ-წმ-წრ**), **პ>ფ**

ფოდნოს (ჩოლ.), შდრ. ზს., ქს. **პოდნოს** < ქართ. პოდნოს-ი (**პ>ფ**) < რუს. Поднос

ფშუქიან (ქს.) „ფეთიანი, ბრაზიანი“ < ქართ. ფხუკ-იან-ი (**კ>ქ**, თუმცა **შ/ზ** თანხმოვანთმონაცვლეობა ძნელი დასაჯერებელია)

ქართუებილ/ქართობილ (ბზ.)/**ქართებილ** (ბქ.)/**ქართოგილ** (ქს.), შდრ. ბქ. **კარტეგილ/კარტოგილ** < ქართ. კარტოგილ-ი (**კ>ქ**, **ტ>თ**) < რუს. Картофель (შდრ. ბქ. **გარდუიშ**)

ქარღალთ/ქალღართ (ბზ., ლნტ.)/**ქაღალთ** (ბზ., ლნტ., ჩოლ.)/**ქარღა** (ბქ.), შდრ. ლშხ. **ქაღალდ** 1. „ქაღალდი“, 2. ქს. „წერილი“ < ქართ. ქაღალდ-ი < არაბ.-სპარს. **kagāz** (**დ>თ**)

ქუფ (ზს., ლშხ.) 1. „დაწული კიდობანი“, 2. ბზ. „ბუდე“, 3. ბქ. „გაწუ-

რული ყველის შესანახი მოგრძო ჭურჭელი, რომელიც სახლის ჭერზეა ჩამოკიდებული“ < ქართ. (ფშ.) ქუბდია, (ხევს.) ქუბდე „სამარილე ხისა, თავსახურიანი; ხის თავსახურიანი, ჭერში ჩამოსაკიდი ჯამი, მარილისა და მისთანათა შესანახი“ (ბ>ფ)

შართქუტინ (ზს.)/**შართქუტილ** (ლზმ., ჩოლ.)/**შართქუმ** (ლზმ.) „საბანი“ < ქართ. შატქუნ-ი, შათქუნ-ი „დოშაქი“ (საბა), ტ>თ...

დ) **ასიმილაცია:**

ართქუტილ/ართქუტილ (ბზ.)/**მქერდ-გუტილ** (ბქ.)/**მერდ-გულ** (ლზმ.), შდრ. ზს., ლნტ. **ერთ-გუტილ**, ზს., ჩოლ. **ერთ-გულ** < ქართ. ერთ-გულ-ი (თგ>თქ, თგ>დგ)

ბორჩხალ/ბორჩხალად (ლზმ., ჩოლ.) < ქართ. ბორჯღ[ა]ლ „მსხვილი ტოტის განაყოფი (საბა), – გაშლილი, გაბარჯლული ტოტები||ტოტებად გაშლილი (ხე, რქები)“, ჯღ>ჩხ

მატკლაზ (ბზ.)/**მატკლახ** (ბქ., ჩოლ.)/**მატკლებ** (ლზმ.), შდრ. ლნტ. **და-კლ-ებ** 1. „დანანება, სინანული“, 2. „სიძუნწე“ < ქართ. და-კლ-ებ-ა (დკ>ტკ)

ნამრდგული (ბზ.)/**ნაურდგული** (ბქ.), შდრ. ბზ. **ნა-ერთ-გულ-ი**, ლზმ., ჩოლ. **ნა-ერთ-გულ-ი**, ლნტ. **ნა-ერთ-გულ-ი** < ქართ. ერთ-გულ-ებ-ა (ზედმიწ. – **ნა-ერთ-გულ-ებ-ი**), თგ>დგ

ტობთრის (ბზ., ქს.)/**ობთრის** (ბქ.), შდრ. ბზ., ქს. **ტობდრის** „სახსნილო (ყველისა, ხორცისა)“ < ქართ. (აჭარ.) უ-ხდ-ურ-ი „რძე და რძის პროდუქტები“ (ხევს., მოხ.) უ-ჯდ-ურ-ი „ერბო, ყველი“¹ (**ხდ>ხთ**)

ფაშეი (ლნტ.) < ზს. **ფასეი** (ჟღენტი 1949:161) < ქართ. ფას-ზე (**სზ>სე>შე**)

შაშშობ (ბზ.), შდრ. ბქ., ლნტ. **სა-შშ-ობ**, ლზმ., ჩოლ. **სა-შშ-ობ** „ჭიაკოკონობა, ჭინკობისთვის ბოლო დამე“ < ქართ. *სა-შიშ-ობ-ა (**სშ>შშ**)

წიმწარ (ზს., ლნტ.)/**წიმწარ** (ლზმ.) < ქართ. ძირ-მ-წ-არ-ა/ე (**ძწ>წწ**)

წუნწ (ლზმ.)/**წინწკუ** (ლნტ.)/**წუინწ** (ჩოლ.) < ქართ. ძუნწ-ი (**ძწ>წწ**), შდრ. ზს. **წინგუტილ**, ლზმ. **წინგულ**...

ე) **აფრიკატიზაცია:**

სვანურში აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის მრავალრიცხოვანი შემთხვევა მოიპოვება (ჟღენტი 1949:179). აფრიკატიზაცია-დეზაფრიკატიზაცია, როგორც ცნობილია, და-მახასიათებელია ყველა ქართველური ენისათვის, მაგრამ შედარებით ნაკლებად გვაქვს ქართ-ულში, უფრო ხშირად – კოლხურში (მეგრულ-ჭანურში), განსაკუთრებით ხშირია ის სვანურში (ლომთაძე 1999:269), რასაც ჩვენ მიერ წარმოდგენილი ნასესხები მასალაც ადასტურებს. მაგ.:

ანკეც (ლზმ.), შდრ. ზს., ქს. **ანკეს** < ქართ. ანკეს-ი < პრაინდოევროპ. *ankes (**ს>ც**)

¹ იგივეა, რაც **მო-უ-ხდ-ელ-ი**. სვანური ფორმა სიტყვა-სიტყვით იქნება **უ-ხდ-ურ-ის-[ა]**, ე. ი. **მო-უ-ხდ-ელ-ის-[ა]**.

ანჯუედ (ფარ.), შდრ. ბქ. **ანჟუედ** < ქართ. ავჟანდ-ი/ავჟანდა „უნაგორის ნაწილი, ფეხის შესადგმელი, – უზანგი“ (**ჟ>ჯ**)

ადეცა (ლნტ.), შდრ. ბქ., ლნტ. **ადესა ბოტ.** < ქართ. ადესა „ყურძნის ერთ-ერთი ჯიში“ (**ს>ც**)

ბერძეგენ (ლშხ., ჩოლ.) „მდიდარი“ < ქართ. ბეზირგან-ი „დიდი ვაჭარი“ (**ზ>ძ**)

თარი[ნ]ძელ (ლშხ.), შდრ. ბზ. **თარინგზელ**, ზს. **თარგლეზერ**, ლშხ. **თარი[ნ]გზელ/თარგლეზერ**, ლნტ. **თარიგზელ/თარიგლეზერ**, ჩოლ. **თარიგზელ** < ქართ. მ-თავ-არ-ანგელოზ-ი (**ზ>ძ**)

ინძერფაშა (ბზ.), შდრ. ჩოლ. **აზარფაშაი** < ქართ. აზარფეშა „ვერცხლის სასმისი, ტარიანი“ (**ზ>ძ**)

კანცერ (ბქ.) < ქართ. კონსერვი-ი (**ს>ც**) < რუს. Консерв < ლათ. **conservo**

კშიცია (ლხმ.) < ქართ. კომისია (**ს>ც**) < რუს. Комиссия

კაჯ (ბზ.), შდრ., ბზ. **კაჭ**, ლშხ. **კაჟ**, ლნტ. **კაჟ** < ქართ. კაჟ-ი (**ჟ>ჯ**)

ლურცმან (ბზ.), შდრ. ბქ., ლნტ. **ლურსმარ**, ბქ. **ლურსტმარ**, ლშხ., ჩოლ.

ლურსმანდ < ქართ.

ლურსმან-ი (**ს>ც**) < არაბ.-სპარს. **mismār**

მალაძია/მალაძი (ლნტ.), შდრ. ზს., ქს. **მალაზია** < ქართ. მალაზია (**ზ>ძ**) < რუს. Магазин < ბერძნ. μαγαζι

როძე (ბზ., ჩოლ.), შდრ. ბქ., ქს. **როზე** < ქართ. როზე-ი (**ზ>ძ**) < რუს.

розги

საჯენ (ბზ., ლშხ.)/**საჯენ** (ბქ., ლნტ.), შდრ. ბზ., ლშხ. **საჟენ**, ბქ., ლნტ. **საჟენ** < ქართ. საჟენ-ი (**ჟ>ჯ**) < რუს. Сажень (შდრ. დიალ. საჯენ-ი)

ტაროც (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ტარტეს**, ლშხ. **ტაროს**, ლნტ. **ტაროს** 1. „ამინდი“, 2. „გუნება, განწყობილება, ჯანმრთელობა“ < ძვ. ქართ., გურ., იმერ. ტაროს-ი (**ს>ც**) < ბერძ. ταραζ

ფარცაგ (ლშხ., ჩოლ.)/**ფარცაგ** (ლნტ.), შდრ. ბზ. **ფარსაგ**, ბქ. **ფარსაგ** „კარგი“ < ქართ. ფარსაგ-ი (**ს>ც**) < ოს. **færssag**

ყანჯუტ (ბზ.), შდრ. ბქ., ლნტ. **ყანჯუტ**, ლშხ. **ყანჯუტ** < ქართ. ყანჩა (აფრიკატიზაცია გამჟღერებით – **ჩ>ჯ**)

ცხუნენ (ბქ., ქს.)/**ცხენ** (ლხმ.) < ქართ. სხვენ-ი¹ (**ს>ც**)

ცხუიშილ² (ლშხ.) „შინაყმა, მოჯამაგირე, ნაყიდი ყმა“ < ქართ. სხვის-ის-ი შვილ-ი (შდრ. მოხ. **ცხო** ← სხვა), **ს>ც**

ძაფრა (ზს., ქს.) „დარდი, ჯავრი“ < ქართ. ზაფრა (**ზ>ძ**)

ძაფრანა (ბზ.)/**ძაფრანა** (ბქ.) **ბოტ.** < ქართ. ზაფრანა (**ზ>ძ**) < არაბ.-სპარს. **za'farān** (შდრ. ბქ. **ძაფანა** „წიწაკა“ და ლშხ., ჩოლ. **ძაფანა** „ზაფრანას მნიშვნელობით)

ძეწარ (ზს., ლნტ.)/**ძეწარ** (ლშხ., ჩოლ.), შდრ. ზს., ლნტ. **ზეწარ**, ლშხ. **ზეწარ** < ქართ. ზეწარ-ი (შდრ. მეგრ. **ძენწარ-ი**), **ზ>ძ**

ძღუიდე (ზს., ლნტ., ჩოლ.)/**ძღუდე** (ლშხ.) < ქართ. ზღუდე (**ზ>ძ**)

¹ შდრ. ჰან. **ო-ცხონ-ე**.

² **ცხუიშილქარ** (სვან. ჰოეზ. 210:58) – ქართ. „სხვის შვილება“ (ყდენტი 1949:180).

ჯანგ (ბზ.)/**განჯ**[ტ] (ზს., ლნტ.)/**განჯ** (ლშხ.) < ქართ. ჟანგ-ი (შდრ. გურ. ჯ/ჟანგარა-ი „ჟანგი“, ლეჩხ., გურ. ჯანგარა „ჟანგის მონადეები“ (**ჟ>ჯ**) < სპარს. **zang**

ჯინ (ზს., ლშხ. ჩოლ.) < ქართ. ჟინ-ი (შდრ. დიალ. ჯინ-ი), **ჟ>ჯ**...

ვ) **დეზაფრიკატიზაცია:**

დეზაფრიკატიზაციის საკითხს სვანურში არაერთი ენათმეცნიერი (ჟღენტი 1953:179-182; ქობალავა 1958:83-86; როგავა 1952:46-47; ქალდანი 1955:160; ქალდანი 1959:227; მაჭავარ-იანი 1965:348; გამყრელიძე 1968:7; თოფურია 1956:22; ლომთაძე 1999:269-327) შეეხო და ბევრი სერიოზული დასკვნაც გაკეთდა. დადგინდა, რომ სვანურში დეზაფრიკატიზაცია ძირითად-ად სპირანტიზაციის ხასიათისაა.

ანზ (ზს.), შდრ. ბქ. **ანს** „ანძა, წვეტიანი ადგილი“ < ქართ. ანძა „წვერ-მახვილი ძელი“ (**ძ>ზ**)

ბერზენ (ბზ.)/**ბერზემ** (ლხმ.), შდრ. ზს., ქს. **ბერძენ**, ლხმ. **ბერძემ** < ქართ. ბერძენ-ი (**ძ>ზ**)

ბზანება (ბზ.) < ქართ. ბრძან-ებ-ა (**ძ>ზ**) < ფალ. **frazan** „შეცნობა, გაგება“

ბოზალი (ბზ.) < მეგრ. ბორძალ-ი (**ძ>ზ**)

განზ (ზს.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **განძ**, ლნტ. **განძ** < ქართ. განძ-ი (**ძ>ზ**) < ფალ. **ganj** „საუნჯე, საფასე, განძი“

გგრზნეტილ (ბზ.)/**გგრზნეტილ/გგრზნეტილ** (უშგ.), შდრ. ლშხ. **გგრძნეულ**, ლნტ. **გრძნეტილ**, უშგ. **გგრძნეტილ** < ქართ. გრძნ-ეულ-ი (**ძ>ზ**)

თერზ (ბზ.), შდრ. ლშხ. **თერჯ** < ქართ. თერძ-ი (**ძ>ზ**) < სპარს. **darzi** „მკერავი“ (შდრ. ბზ., ლშხ. **მეშზხიელი**)

ლიკგრზანი (ბზ.)/**ლიკერზე** (ბქ.) < ქართ. მი-კერძ-ო-ებ-ა (**ძ>ზ**)

მეზზარ (უშგ.), შდრ. ზს. **მეძზარ**, ლშხ. **მეძზარ/მეძმარ**, ლნტ. **მაძმე-ზარ**, ჩოლ. **მეძმეზარ** < ქართ. მე-ძმე-არ-ი (**ძ>ზ**)

მზიუ (უშგ.), შდრ. ზს., ქს. **ძიუ** < ქართ. მძივ-ი (**ძ>ზ**)

საბზანებელისგა (ბზ.) < ქართ. სა-ბრძან-ებ-ელ-ში (**ძ>ზ**)

სასტრაფ (ბზ.), შდრ. ლშხ. **სასწრაფუ** „სავაზნე, პატრონტაში“ < ქართ. (ფშ.) სა-სწრაფ-ო „ჩანთა მასრებიტურთ, რომლებშიც წინასწარ თითო გასროლა წამალია ჩაყრილი“ (**წ>ტ**)

სიფრით (ბქ.) < ბზ. **სიფრითუ** < ***სიფრუთ** < ბქ. ლშხ. **სიფრუთ** < ლნტ. **სიფრუტ** < ***ციფრუტ** „ბურღი“ < ქართ. ციბრუტ-ი (**ც>ს**)

სურაუ (ლშხ.) < ქართ. ცურ-ვა (**ც>ს**)

ქინზ (ზს.), შდრ. ქს. **ქინძ** < ქართ. ქინძ-ი (**ძ>ზ**)

ღერზ (ბზ.) < ქართ. ღერძ-ი (შდრ. მეგრ. **ღერზე**), **ძ>ზ**

ყუნზელ (ზს.), შდრ. ქს. **ყურძენ** < ქართ. ყურძენ-ი (**ძ>ზ**)

შიშლანგ (ბზ.) < ქართ. ჩიჩილაკ-ი (**ჩ>შ**)

ხარშუ (ზს., ლნტ., ჩოლ.), შდრ. ლშხ. **ხარჩუ** „ხორცის ნახარში წვენი“ < ქართ. ხარჩო (**ჩ>შ**)...

ზ) თანხმოვანთა მონაცვლეობა:

აფშარა (ლშხ.), შდრ. ბზ. **აჟშრანა**, ბქ. **აჟშერა/აჟშარა**, ლნტ. **აჟშარან** < ქართ. აფშარა „ულაგმო ალვირი“ (**ვ>ფ**)

ხლეჰ (ბზ.)/**ხლე** (ბქ., ლნტ.)/**ხლეი** (ლშხ.) „ნაპრალი (მცინვარისა)“ < ქართ. (თუშ., ფშ.) მღე „ოდნავ ან მთლიანად ღია“ (**მ>ხ**)? შესაძლოა შესატყვისობის დონეზეც განვიხილოთ; დასაძებნია მისი ზანური შესატყვისი. მ. ჩუხუა სვან. **ხღეს** უკავშირებს ქართ. ლელმა^ს „ზარი“ (ჩუხუა 2000-2003:74).

გაბანშარ (ჩოლ.), შდრ. ბქ. **გამაშარ**, ჩოლ. **გამაშარ** < ქართ. გამაშ-ი (< ფრანგ. **gamache**) „პაჭიჭისებური სქელი (თბილი) ჩასაცმელი ფეხსაცმლის ზემოდან“ (**მ>ბ**)

თეზ (ბზ.) < ქართ. თევზ-ი (**ვ>ზ**), შდრ. დიალექტ. თეზ-ი

თულუყუ (ზს., ლნტ.) „გუდა“ < ქართ. (ფშ.) თულუზ-ი „სპილენძის კოკა, დიდი თუნგი ყელწვრილი“ (**ხ>ყ**) < თურქ. **tuluk** „გუდა, ტიკი“

კუმ (ლშხ.) < ქართ. (რაჭ., იმერ.) ყუმ-ი „უხასიათო, უსიცოცხლო, მიუკარებელი, მუდამ გაჩუმებული“ (**ყ>კ**)

მურადა (ბქ.), შდრ. ზს., ქს. **მურაბა**, ჩოლ. **მერაბა** < ქართ. მურაბა „ტკბილ წვეთში მოხარშული ხილეული ან ზოგიერთი ბოსტნეული“ (**ბ>დ**) < არაბ. **murabba**

პამიდლო (ბქ.)/**პამიდლო** (ჩოლ.) < ქართ. პავიდლო (**ვ>მ**) < რუს. **Повидло** „ხილფაფა“

სარგის (ლშხ.) < ქართ. სა-დგ-ის-ი (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. **თეტენ**, ბქ., ლნტ. **თეტენ**), **დარ**

ტირხინა (ზს., ქს.)/**ტირხინა** (ბქ.) < ***ტირხინა-ა** „საწამლავი“, შდრ. ჩოლ. **სტირხინა**¹ < ქართ. სტირქინინ-ი (**ქ>ხ**) < რუს. **Стрихин**

უემაკურ (ლშხ.) „უშნო, უხეირო“ < ქართ. უ-წმაწ-ურ-ი (**წწ>კკ**)

ფშუქიან (ქს.) „ფეთიანი“ < ქართ. ფხუკ-იან-ი (**შ>ხ**)

ყასნაყ (ბქ.)/**ყასნაყ** (ჩოლ.) < ქართ. ყასნაღ-ი „საქსოვი ჩხირი“, შდრ. გურ. კასნაღ-ი, თუშ., იმერ., გურ., კახ. ყასნაღ-ი (**ღ>ყ**) < თურქ. **kasnak**

შაჟფსხალა (ლშხ.)² < ქართ. შავ-მსხალ-ა (მსხლის ჯიშია), **მ>ფ**...

მ) ხმოვანთა მონაცვლეობა:

აბრეგ/აბრეგ (ზს.)/**ამბრეგ**(ბქ.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **აბრაგ**, ლნტ. **აბრანგ** < ქართ. აბრაგ-ი < ოს. **abyraeg/abæraeg** „ყაჩაღი, აბრაგი“, შდრ. საშ. ირან. და ფალ. ***āparak**, **āpartan** „მარცვა“, **āpar** „მარცვა, ტაცეზა, ქურდობა“, ახ. სპარს. **āvāra** „ავარა“, **āvār** „ნადავლი, ნამარცვი, ალაფი“ და, აგრეთვე, ირან. **abra** „ღრუბელი“ და ოს. **arv** „ცა“ (**ა>ე**)

აგებ (უშგ.)/**არგებ**ს (ჩოლ.) < ქართ. ეგებ/ეგების (**ე>ა**)

¹ არ არის გამორიცხული, რომ პირდაპირ რუსულიდან ესესხა სვანურს (!).

² სვანურში „შავი“ ფერის გადმოსაცემად გამოიყენება „წვის, ნახშირის“ აღმნიშვნელი საერთო-ქართველური ძირი **-შიხ**: **მე-შხ-ე**, მაგრამ შედარებით გვიანდელ ნასესხობებში დასტურდება ქართ. **შავ**: მაგ. ზს. **შაჟბედ** – „შავი ბედი“, ბზ. **შაჟგურმან**, ბქ. **შეგურმან**, ლშხ. **შეჟტრემან**, ლნტ. **შაჟგურმან** „შავგვრემანი“, ბზ., ლშხ. **შაჟლემდე** „დასაწყველი“, ბქ. **შაჟრან** „შავტუხა“.

ადეთ (ბზ.), შდრ. ზს., ლნტ. **ადთ**, ბზ., ლშზ., ჩოლ. **ადათ**, ლნტ. **აღდთ**, ჩოლ. **აღდათ** < ქართ. ადათ-ი (ა>ე)

აზარფაშია (ჩოლ.) < ქართ. აზარფეშა „ვერცხლის სასმისი, ტარიანი“ (ე>ა)

ანდრწ (ჩოლ.) „ზნე, ჩვევა, შინაარსი; ანდერძი“ < ქართ. ანდრეზ-ი „აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ზეპირსიტყვიერებაში – სამაგალი-თოდ შემონახული ამბავი ლაშქრობა-გმირობისა თუ ლაჩრობისა“ (ე>ა)

ანჭუედ (ბქ.)/**ანჯუედ** (ფარ.) < ქართ. ავჭანდ-ი/ავჭანდა „უნაგირის ნა-წილი, ფეხის შესადგმელი, – უზანგი“ (ა>ე)

ანტენებილ (ბქ.), შდრ. ბქ. **ანტონობილ/ანტომობილ** < ქართ. ავტომო-ბილ-ი (< ფრანგ. ავტომობილე), **ო>ე**

აპელწცია (ბქ.) < ქართ. ოპერაცია < ლათ. **operatio** „მოქმედება“ (რუს. ენის მეშვ.), **ო>ა**

არაზარა (ზს., ლნტ.) „ერთი და იგივე, სულ ერთი“ < ქართ. არა-ფერ-ი (ე>ა)

არედან (ლნტ.) < ქართ. არადან-ი „არჩევანის საპასუხო წამოძახილი“ (ა>ე)

აურობელ (ჩოლ.) „ბევრი, ურიცხვი“ < ქართ. აუარებელ-ი „ძალიან ბევრი, დიდძალი“ (ე>ო)

აუგარეზ (ზს.)/**ანგარეზ** (ლხმ.), შდრ. ზს. **აუგაროზ**, ბქ., ლშზ. **ანგა-როზ**, ლნტ. **აუგაროზ** 1. ბქ., ლშზ. „თილისმა“, 2. ლხმ. „ანგარიში; თილისმა“ < ქართ. ავგაროზ-ი „რაიმე მცირე გულსაკიდი ნივთი, თილისმა, რომელ-საც სამკურნალო ძალა ან მფარველობითი თვისებები მიეწერება“ (ო>ე)

აუშერა (ბქ.), შდრ. ბზ. **აუშრწა**, ბქ., ჩოლ. **აუშარა**, ლშზ. **აფშარა**, ლნტ. **აუშარწ** < ქართ. ავშარა „ულაგმო აღვირი“ (ა>ე)

აფხნეგ (ზს.)/**აფხნიკ** (ლშზ., ჩოლ.)/**აფხწნიკ** (ლნტ.) < ქართ. ამხანაგ-ი < ფალ. **hamxānak**, შდრ. ხევს. ამხანიგ-ი (ა>ე, ა>ი)

ბალაუერ (ქს.)/**ბალუერ[დ]** (ზს., ლშზ.) 1. ბზ. „ბალავარ-ი, სამირკვე-ლი“, 2. ბზ., ლხმ., ლშზ. „თახჩა, ნიში (კარის ან ფანჯრის თავზე, ქვითკი-რის კედელში)“ < ქართ. ბალავარ-ი 1. „სამირკვლის ქვანი დიდ-დიდნი“ (საბა). ||საერთოდ, სამირკველი, 2. „ასეთივე ლოდი კარ-სარკმლის თავზე წირთხლთა შესაკრავად, – გამირი“ (შდრ. ზს., ქს. **ხუნ**), **ა>ე**

ბარბელ (ბქ.)/**ზარბელდ** (ჩოლ.), შდრ. ლშზ. **ზარზოდ** < ქართ. ბორ-ბალ-ი (ო>ა, ა>ე)

ბიკენწხწლ (ბზ.)/**ბიკენწხალ/ბიკუნწხალ/ბიკენწხალ** (ლშზ.)/**ბი-კინწხწლ** (ლნტ.) **ბოტ.** < ქართ. ნეკერჩხალ-ი (შდრ. ზს., ქს. **თეკრა**, ლშზ. **თეკერ**, ბზ. **ფეხურა**, ბქ., ლშზ. **ფიხურა**), **ე>ი**, **ე>უ**, **ე>გ**

ბინზილ (ბქ.), შდრ. ზს., ქს. **ბენზინ** < ქართ. ბენზინ-ი (ე>ი) < რუს. **Бензин** < ფრანგ. **benzine**

ბერდენწ (ბზ.)/**ბერდენა** (ლშზ., ჩოლ.)/**ბერდენა/ბერდენწ** (ლნტ.), შდრ. ბქ. **ბერდანწ** < ქართ. ბერდან[კ]ა „ერთლულიანი თოფი“ < რუს. **берданка** „ძველებური ერთვაზნიანი შაშხანა“ (ა>ე), შდრ. მეგრ. ბერდენა „ერთვაზნიანი შაშხანა“, **გადატ.** ყოჩალი, ჩქარი. არ გამოვრიცხავთ მეგრუ-

ლიდან სესხებასაც, თუმცა მეგრული ფორმის სესხება უფრო მოსალოდნელი იყო ბალსქვემოურში, ვიდრე სხვა დიალექტებში.

გამოფრინებილ (ლნტ.) < ქართ. გამოფრენილ-ი „ვინც გამოაფრინეს, ან გამოფრინდა (ე>ი)

გომეჯ (ბზ., ლნტ.), შდრ. ბზ., ლნტ. **გომიჯ**, ლშხ. **გომინჯ** „სეფისკვე-რი; მრგვალი პური“ < ქართ. (ლექხ., რაჭ., აჭარ.) გომიჯ-ი „ცოტათი მოგრძო, ერთ მხარეს სქელი და მეორე მხარეს თხელი პური; ფეტვის მჭადი“ (ო>ე)

დასიფასელ (ზს.), შდრ. ბქ. **დასაფასელ/დასაფას** „ძვირფასეულობა, საფასე, განძი, სიმდიდრე“ < ქართ. და-სა-ფას-ებ-ელ-ი (ა>ო)

ზითუნახაჷ (ზს., ლნტ.)/**ზითუნახაჷ** (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ზეთუნახაჷ**, ლშხ. **ზეთუნახაჷ** < ქართ. მზე-თ-უ-ნახ-ავ-ი (შდრ. ზს. მიჟუნდუნა), ე>ო

კირაჷ (ქს.) „საბძელი“ < ქართ. კარავ-ი. მ. ჩუხუა სვან. **კირაჷ** „საბძელი“ ლექსემის შესატყვისად მიიჩნევს ქართ. (მთიულ.) კვილ-ის „თივის პატარა ზვინი“ (სვან. **კირაჷ** ← ***კჷირ**-ა ← ***კჷილ**-ა, ჩუხუა 2000-2003:127), ა>ო

კირჷენ (ზს., ჩოლ.)/**კირონ** (ლშხ.)/**კირენ** (ლნტ.) „კელაპტარი, ცვილის დიდი სანთელი (უნთებენ მიცვალებულს)“ < ძვ. ქართ. კერეონ-ი, კეროვან-ი „დიდი სანთელი ცვილისა“ (ე>ო)

მარკლენ (ბზ.)/**მარკლენ/მარკნელ** (ლშხ., ჩოლ.), „ფალავანი“ < ქართ. მო-რკინ-ალ-ი (ო>ა, ა>ე)

ენკანობ (ბზ.), შდრ. ბქ., ლნტ. **ენკენობ**, ლშხ. **ეკენობ/ეკენობ** „ენკენისთვე (სექტემბერი)“ < ქართ. ენკენ-ობ-ა, ენკენია, რომელიც ბერძნული სიტყვა და ნიშნავს განახლებას (ჭუმბურიძე 1987:76), ე>ა

ორტოლი/ჷორტოლი (ლშხ.) < ქართ. ოტურ-ი ქლიავი (უ>ო)

რიკ (ბზ.), შდრ. ბქ., ლშხ., ჩოლ. **რიკ 1**. „რიკი; რიკტაფელას სათამაშო ჯოხი, – ჩილიკა“, 2. „თოკის ბოლოს მობმული ხის გახვრეტილი ნაწილი“ < ქართ. რიკ-ი „მოკლე ჯოხი; რიკ-ტაფელას სათამაშო ჯოხი, – ჩილიკი“ (ო>ე)

საწყინ (ზს.), შდრ. ლშხ. **საწყენ**, ლნტ. **საწყენ** < ქართ. სა-წყ-ენ-ი (ე>ო)

ფაქარ (ლშხ.), იხმარება გამოთქმებში: **ფაქარდ ლგ** – გამრჯეა, ძალიან სწრაფია, დაუზარებელია; **ფაქარშნლ ისიპანნლ** – მარჯვედ (ჯარასავით, ციბრუტივით, ფეიქარივით) ტრიალებს“ < ქართ. ფეიქარ-ი (შდრ. გურ. ფაქარ-ი „ძალიან სწრაფი, ძალი“), ე>ა

ფელინჯ (ბზ.), შდრ. ბქ. **ფელენჯ**, შდრ. ლშხ. **ფილენჯ 1**. „კრუნჩხვა; ფილენჯი“, 2. ბქ. „დამბლა“ < ქართ. (ქართლ.) ფელენჯ-ი, (გურ.) ფილენჯ-ი „ავადმყოფობა, სენია დამგრეხელი“ < არაბ. **palaġ** (ო>ე, ე>ო)

ფილკჷნ (ბზ.)/**ფილიკჷნა** (ლშხ.) „ნავი“ < ქართ. (გურ., ზ. აჭარ.) ფელუკა-ი „პატარა ნავი“ < (იტალ., არაბ.) **feluca** (ე>ო)

ქესა (ბზ.)/**ქესა** (ბქ., ქს.), შდრ. ბზ. **ქისა** < ქართ. ქისა < არაბ.-სპარს. **kisā**, ფალ. **kisak**, შდრ. ძვ. ქართ. ქისაკი, სომხ. **ksak** (ო>ე)

ქონდორ (ბქ.), შდრ. ბქ. **ქჷანდარ** < ქართ. ქონდარ-ი (ა>ო)

ქურა (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/**ქურა** (ბქ.) 1. ზს. „ნასვენი, მოუხვენელი მიწა“, 2. „მინდორი, მოლი“ < ქართ. (ქართლ.) ქერა მიწა „თიხნარი, მწირი მიწა“ (ე>უ)

ქუირეთ (ბქ., უშგ.), შდრ. ზს., ქს. **ქუირით** < ქართ. ქვირით-ი (ო>ე)

ქუიშე (ზს., ქს.) < ქართ. ქვიშა (ა>ე)

ყაღიან (ზს.)/**ყაღიან** (ლშხ.)/**ყაღიან** (ლნტ.), შდრ. ლშხ. **ყაღიონ** < ქართ. ყალიონ-ი < თურქ. **kalyan** (შდრ. ბზ. **ლა-თრ-წლ** „მოსაწვევი“), **ო>ა**. შესაძლოა სვანური ფორმა პირდაპირ თურქულიდან იყოს შეთვისებული.

ჭეშმარიტ (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ჭეშმარიტ** (ლნტ.) < ქართ. ჭეშმარიტ-ი (< ფალ. **ჩიშმადიტ**) „მართალი, ნამდვილი, უტყუარი“ **ე>ო**

ხურჯუნ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ., ჩოლ. **ხურჯინ** < ქართ. ხურჯინ-ი (ო>უ)...

ი) **ლ/მ/ნ/რ/ჟ (სონორ) თანხმოვანთა მონაცვლეობა:**

აკვლდან (ლხმ.), შდრ. ბზ., ლშხ. **აკვლდამ**, ბზ., ჩოლ. **აკვლდამ**, ბქ. **ლა-კვლდამ**, ლნტ., ჩოლ. **აკვლდამ** < ახ. ქართ. აკვლდამა, შდრ. ძვ. ქართ. აკვლდამა < ებრ. **akeldam** „სისხლისათვის განკუთვნილი სახლი“ (**მ/ნ**)

ამელ (ჩოლ.), შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. **ამენ**, ბქ. **ჰამენ/ჰამინ**, ბქ., ლნტ. **ამენ** < ქართ. ამინ < ბერძ. **amen** (< ძვ. ებრ.) „ჭეშმარიტად, ნამდვილად“, შდრ. ძვ. ქართ. ამენ (**ნ/ლ**)

ანგაროზ (ბქ., ლშხ.)/**ანგარეზ** (ლხმ.) 1. ბქ., ლშხ. „თილისმა“, 2. ლხმ. „ანგარიში; თილისმა“ < ქართ. ავგაროზ-ი (**ვ/ნ**)

ანარკია (ლხმ.) *გადატ.* „სვანების წარმოდგენით მეტისმეტად შორეული მხარე, გადასაკარგავი ადგილი“ < ქართ. ანაკლია „სოფელი და ზღვისპირა კლიმატური კურორტი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში“ (**ლ/რ**)

ანბაჟ (ბზ.)/**ანბაჟ** (ჩოლ.), შდრ. ზს., ლნტ. **ამბაჟ**, ბქ. **ამბა**, ლშხ., ჩოლ. **ამბაჟ** < ქართ. ამბავ-ი (**მ/ნ**) < ფალ. **hambav**

ანტენგილ/ანტონობილ/ანტომობილ (ბქ.) < ქართ. ავტომობილ-ი < ფრანგ. **automobile** (**ვ/ნ, მ/ნ**)

ანდლაზ (ზს.)/**ანდლაზ** (ლნტ., ჩოლ.)/**ანდლეზ** (ლშხ.) < ქართ. ა-მაღლებ-ა (**მ/ნ**)

აპელანცია (ბქ.) < ქართ. ოპერაცია (**რ/ლ**)

ბალქო (ქს.) „კარტი“ < ქართ. ბანქო (**ნ/ლ**)

ბანბაი (ბზ.), შდრ. ბზ. **ბამბაი**, ბქ., ლნტ., უშგ. **ბამბა**, ლშხ., ჩოლ. **ბამბაი** < ქართ. ბამბა (**მ/ნ**) < სპარს. **pamba**

ბერზემ/ბერძემ (ლხმ.), შდრ. ბზ. **ბერზენ**, ლშხ. **ბერძენ** < ქართ. ბერძენ-ი (**ნ/მ**)

ბინზილ (ბქ.), შდრ. ზს., ქს. **ბენზინ** < ქართ. ბენზინ-ი < რუს. **Бензин** < ფრანგ. **benzine** (**ნ/ლ**)

ბიკენჩხალ (ბზ.)/**ბიკენჩხალ/ბიკუნჩხალ/ბიკვჩხალ** (ლშხ.)/**ბიკინჩხალ** (ლნტ.) < ქართ. ნეკერჩხალ-ი (შდრ. ზს., ქს. **თეკრა**, ლშხ. **თეკერ**, ზს. **ფეხურა**, ბქ., ლშხ. **ფიხურა**), **რ/ნ**

ბინტცილ (ზს., ლნტ.)/**პინტცილ** (ბქ.)/**ზუნტყულ** (ლშხ., ჩოლ.)/

ბინტყუილ (ჩოლ.) „ბუმბული“ < ქართ. ბურტყელ-ი (**რ/ნ**). ***ბურტყელ**- არქეტიპი, საენათმეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, მხოლოდ ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვისაა აღდგენილი, სვანურში კი იგი ნასესხებად ითვლება (Климов 1964:55; ფენგრიხი, სარჯველაძე 2000:124).

ბოთრ (ლნტ.), შდრ. ზს. **ბოთლიკ**¹, ლშხ. **ბოთ**, ქს. **ბოთლ** < ქართ. ბოთლ-ი < ინგლ. **bottle** ლ/რ

ბოყორად (ჩოლ.) 1. „დიდი და მსხვილი საგანი“, 2. „მსუქანი დედალი“ < ქართ. (ოკრიბ.) ბოყოლა „უშნო ფართო სასმისი“ (**ლ/რ**)

ბჷლთ{ჷ} (ბზ.)/**ბჷლთ** (ლშხ.)/**ბჷლთ** (ლნტ.), შდრ. ბზ. **ბირთჷ**, ბქ. **ბურთ**{ი}, ჩოლ. **ბჷრთ** < ქართ. ბურთ-ი (**რ/ლ**)

გოწხილ (ბზ.), შდრ. ზს., ქს. **გოწხირ** < ქართ. კოწახურ-ი (**რ/ლ**)

დეღფან (ლნტ.) შდრ. ბზ. **დეფან**, ბქ. **ტელანფ**, ლშხ. **დეფან** „აივანი“ < ქართ. დერეფან-ი (**რ/ლ**)

ღეშან (ლნტ.), შდრ. ზს. **ნიშან**, ლშხ., ჩოლ. **ნიშან** „ნიშანი, ბელგა“ < ქართ. ნიშან-ი (**ნ/ლ**) < ფალ. **nišan**

მასგლ (ზს., ქს.) 1. „მასრა“, 2. „ყალიონის ტარი“ < ქართ. მასრა (**რ/ლ**)

ნეკუთხან (ბზ.)/**ნეკურთხან** (ბქ.)/**ნეკუთხან** (ლშხ.), შდრ. ლშხ. **ლეკურთხან** (და ბქ. მხ. რიცხვის ფორმა **ნეკურთხ**) < ქართ. ლეკურთხ-ებ-ი (**ლ/ნ**)

ნეფე (ზს., ქს.) < ქართ. მეფე (**მ/ნ**), თუკი პირდაპირ ნეფე არ ისესხა სვანურმა

ორტოლი/ჷორტოლი/ჷოტოლ (ლშხ.)/**ოტოლ** (ჩოლ.) **ბოტ**. < ქართ. ოტურ-ი (ქლიავი), **რ/ლ**

ტალხუნა (ბზ.) < ქართ. ტარხუნა (**რ/ლ**) < სპარს. **tarxun**

ტანტაროზ (ლშხ.) „ემშაკი, კუდიანი“ < ქართ. ტარტაროზ-ი „ჯოჯოხეთი“ (**რ/ნ**) < ბერძ. **Tartaros** „შავეთი“; ქრისტიანულ წყაროებში – ჯოჯოხეთი, ემშაკი

უმბილ/უმბულ (ზს., ქს.)/**იმბულ** (ჩოლ.), შდრ. ზს. **უნბილ**, ჩოლ. **ინბულ** „უნებლიე/უნებური“ < ქართ. უნებ-ლ-ი-ე (**ნ/მ**)

უსურმან (ზს.)/**უსურმან** (ლშხ.)² „ურჯულო“; **გადატ.** „გაუტანელი, დაუნდობელი, ურჯულო“ < ქართ. მუსულმან-ი „ისლამის მიმდევარი, – მაჰმადიანი“ (**ლ/რ**)

ფელანდიშ (ლნტ.), შდრ. ლნტ. **ფელამიშ** < ქართ. ფელამუშ-ი „ნადუღი ყურმნის ტკბილისა და სიმინდის (ხორბლის) ფქვილისაგან მოდულე-ბული ფაფისებური საჭმელი“ (**მ/ნ**)

ფინჯალ (უმგ., ლშხ.) < ქართ. ფინჯან-ი „ფაიფურის ყურიანი ჭურჭელი, ჩვეულებრივ პირფართო, ყავის, ჩაის და მისთ. დასალევად“ (**ნ/ლ**)

ქორგა (ზს., ქს.) < ქართ. ქოლგა (**ლ/რ**) < სპარს. **khilgā**

ღირკილ (ბქ., ქს.), შდრ. ზს. **ღილიკ** < ქართ. ღილ-კილო (**ლ/რ**)

ყაურჯელ (ზს.)/**ყაურჯელ** (ბზ.), შდრ. ზს., ქს. **ყაურჯენ** < ქართ. ყაურჯენ-ი „საბჯენი ჯოხი“ (**ნ/ლ**)

¹ ზს. **ბოთლიკ** < ქართ. კნინ. ფ. ბოთლიკა/ბოთლუკა¹საგან აუსლაუტისეული ა ხმოვნის მიკვეციტ.

² **გადატ.** გაუტანელი, დაუნდობელი, ურჯულო.

ყუნზელ (ზს.), შდრ. ქს. **ყურძენ** < ქართ. ყურძენ-ი (**რ/ნ, ნ/ლ**)

შალაშტიმ/შალაშტიმ (ზზ.), შდრ. ბქ. **შალაშენ/შალაშინ**, ლშზ., ჩოლ.

შალაშინ, ლნტ. **შალაშინ** < ქართ. შალაშინ-ი (**ნ/მ**)

შაჭგურმწალ (ზზ.), შდრ. ბქ. **შეგურმწან**, ლშზ. **შეჭტურემან**, ლნტ.

შაჭგურმწან < ქართ. შავ-გვრემ-ან-ი (**ნ/ლ**)

შაჭურდელ (ზს.), შდრ. ზს., ლშზ. **შაურდენ**, ლნტ., ჩოლ. **შაჭარდენ** < ქართ. შევარდენ-ი (**ნ/ლ**)

შაშწალ (ბქ.) „ლახვარი“ < ქართ. (ფშ., ქიზიყ.) შამარ-ი „ნესტარი, ლან-ცეტი; ხმლის წვერი, ორივე მხარეს წამახული“ (**რ/ლ**)

შარი-ბამბა (ზზ.)/**შუარი-ბამბა/შარი-ბამბა** (ბქ.), შდრ. ბზ. **შალი-ბამბა** 1. „შალი და ბამბა“, 2. ბქ. „მძიმე საქმის მორიგება (მოგვარება)“, 3. ბქ. „შალამო, დამამშვიდებელი წამალი“, *გადატ.* „ფუფუნება“ < ქართ. შალი და ბამბა (**ლ/რ**)

შურდუმ (ზზ.)/**შურდუმი** (ბქ.), შდრ. ლშზ. **შურდულ** < ძვ. ქართ. შურდ-ულ-ი (**ლ/მ**), შდრ. მეგრ. **შქურდ-ონ-ი**

ჩერჩ (ზს., ქს.)/**ჩუერჩ** (ბქ.) < ქართ. ჩენჩო „მარცვლეულის ბუდე/კანი – ნაჩენჩი/ხეჭბი“ (**ნ/რ**)

ციმბილ (ზზ.)/**ცინზირ** (ბქ., ლშზ., ჩოლ.), შდრ. ლზმ. **ცეზვრ/ცემზვრ** < ქართ. ციმბირ-ი (**რ/ლ, მ/ნ**)

ჭიმკა (ლშზ.) < ქართ. ჭინკა (**ნ/მ**)

ჭურდუმ (ზზ.)/**ჭულდუმ** (ბქ.) „ერდო“ < ქართ. ურდულ-ი „კარის ან ჭიშკრის შიგნიდან დასაკეტი გარდიგარდმო გასაყრელი კეტი“ (**ლ/მ, რ/ლ**)...

კ) **ბგერის ჩართვა (ინლაუტში):**

ამინისტა (ბქ.), შდრ. ბქ. **ამნისტა** < ქართ. ამნისტია < ბერძ. **αμνηστία** „მივიწყება, პატიება“

ანგურ/ანგურა (ზს.)/**ანგურა** (ლზმ.) < ქართ. აგურ-ი „გამომწვარი თიხის ძელაკი“, შდრ. მეგრ. ანგურა. შესაძლოა, სწორედ მეგრულიდან ისესხა სვანურმა, თუმცა ფონეტიკური პროცესები სვანურში ბევრად უფრო შორს არის წასული.

ანლიმ (ლშზ.), შდრ. ბზ. **აღლიმ** < ქართ. იაღლიმ-ი (< თურქ. **იაღლი**) „შეცდომა“

არგებს (ლშზ., ჩოლ.) „იქნებ, შეიძლება“ < ქართ. ეგების „იგივეა, რაც ეგება“

არდლი (ჩოლ.) *ბოტ.* < ქართ. არდ-ი „ვარდკაჭკაჭას მსგავსი ერთ- ან ორწლოვანი ბოსტნეული მცენარე რთულყვავილოვანთა ოჯახისა“

ბაზსგერ (ჩოლ.), შდრ. **ბაპსირ** (ზზ., ლშზ., ჩოლ.)/**ბაპსირ** (ბქ.)/**ბაფსირ** (ბქ., ლნტ.), ლშზ. **ბაზსირ/ბაზსირ/ბაზსგ[ერ]**, ლზმ. **ბაზსგ[ერ]** 1. „ცისტიტი“, 2. „სისხლიანი ფაღარათი“ < ქართ. (რაჭ.) ბაზასილ-ი „ქათმის ავადმყოფობაა ერთგვარი“, ინგ. ბაზასილ „ბუასილი“, ბავასირ-ი (საბა) < არაბ. **bavastir** (შდრ. სალიტ. ქართ. ბუასირი)

ბალანგიარ (ჩოლ.) „ბრიყვი კაცი“ < ქართ. ბალანგარ-ი „ვინც არაფერს

შეისმენს, – „კაცი მოუსმინარი“ (საბა), გურ. ბალანგარა „უწესრიგო, უსუფ-თაო“

ბანჭ (ქს.)/**ბანჭ** (ლნტ.) < ქართ. პაიჭი „წვივზე წამოსაცმელი“ (შდრ. ხევს. ბაჭიჭი)

ბირწალ (უმგ.)/**ფირწალ** (ლშხ., ჩოლ.), შდრ. ბზ. **ბიწალ/ფიწალ**, ბქ. **ბიწარ/ბიწალ**, ლნტ. **ფიწალ** < ქართ. ფიწალ-ი

ბულუზა (ბქ.), შდრ. ლნტ. **ბლუზა**, ჩოლ. **ბლუზა** < ქართ. ბლუ-ზა/ბლუზი-ი 1. „თხელი ზედა სამოსი ქალისა“, 2. „მამაკაცის ზედა ხალვათი სამოსი, ხალათი“ < ფრანგ. **blouse**

ბურწალუაი/ზგრწალუაი (ჩოლ.) „ბაბუაწვერა“ < ქართ. (რაჭ., ლეჩხ.) ბუწალია „იგივეა, რაც ბირკა“

ბულაღალტერ (ბქ., ჩოლ.) < ქართ. ბულაღალტერი-ი < გერმ. **buchhalter**

ბუხ[ტ]არ (ზს., ჩოლ.) < ქართ. ბუხარი-ი < სპარს. **buxar**

გომინჯ (ლშხ.), შდრ. ბზ., ლნტ. **გომიჯ**, ბზ., ლნტ., ჩოლ. **გომეჯ** 1. „სეფისკვერი“, 2. „მრგვალი პური“ < ქართ. (ლეჩხ., რაჭ., აჭარ.) გომიჯ-ი „ცოტათი მოგრძო, ერთ მხარეს სქელი და მეორე მხარეს თხელი პური; ფეტვის მჭადი“

დამბალ (ზს., ლნტ.)/**დამბალ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. დაბალ-ი

დეპუტანტ (უმგ.), შდრ. ზს., ქს. **დეპუტატ** < ქართ. დეპუტატი-ი < რუს. Депутат

ზურჩი[ა] (ზს., ლშხ.) „მუზარადი“ < ძვ. ქართ. ზურჩი-ი „მეომრის რკინის ქუდი“

იჯარა (ლნტ.) < ქართ. იჯარა (< არაბ. **იჯა*რა**)

კაბშირ (ლხმ.) < ქართ. კავშირი-ი < სპარს. **kāfir** „მედუღება, მიერთება“

ლი-ნ-ქროტე (ბზ.)/**ლი-ნ-ქტრ-ეტ-ი** (ბქ.) „მო-ოქრო-ვ-ებ-ა“, **გადატ.** „დაფასება“ < ქართ. მო-ოქრო-ვ-ებ-ა, შდრ. ბერძნ. **οικτις** „ყვირთელი“

ლუ-ნ-ქროტე (ზს.)/**ლგ-ნ-ქროტე** (ლშხ.), შდრ. ჩოლ. **ლგ-ქროტე** < ქართ. მო-ოქრო-ვ-ილი-ი

მარქტ (ზს., ქს.) < ქართ. მაქო „საქსოვი დაზვის ნაწილი“ < სპარს. **mākt, mākt** ფალ. **mākt, mākt** „საქსოვი მაქო“

მარწუნ (ზს., ლნტ., ჩოლ.)/**მარწენ** (ბქ.)/**მარწონ** (ლშხ.) < ქართ. მა-წონ-ი

მენცხარ (ბზ., ქს.)/**მენცხარ** (ბქ.)¹ **ბოტ.** < ქართ. მოცხარ-ი

პამიდორ (ლშხ.), შდრ. ზს. **პამიდორ**, ლნტ., ლშხ., ჩოლ. **პამიდორ** **ბოტ.** < ქართ. პამიდორ-ი

სამზღარ/სამიღარ (ბქ.), შდრ. ბზ., ლნტ. **საზღარ**, ლშხ., ჩოლ. **საზღარ** < ქართ. სა-ზღვარ-ი (შდრ. ბზ. **ჰაზღარა**, ბქ. **აღარა**, ლშხ. **აღარა**, ლნტ. **ლაღარა**)

სამეჭირ[ტ] (ბზ.)/**სანყეჭირ** (ბზ., ჩოლ.)/**სანყეტერ** (ბქ.)/**სამეყურ/სანყურ** (ლშხ.)/ **სამეჭირ** (ლნტ.) „ბუკი“ < ქართ. სა-ყვირი-ი

საღათ (ზს.), შდრ. ზს. **საღათ**, ბზ., ლშხ., ჩოლ. **სათ**, ბქ. **სათ**, ლნტ. **სათ** < ქართ. საათ-ი < თურქ. (არაბ.-სპარს.) **saat**

¹ შდრ. კვინოზიტის სუფიქსით ნაწარმოები **მენცხ[ტ]მ-ულდ.**

საშიჭიჭარ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **საშიჭარ** < ქართ. სა-ჩივ-არ-ი
სტამფილო (ზზ., ლნტ.)/**სტამფილო** (ლშხ., ლნტ.)/**სტანფილო**
 (ჩოლ.)*ბოტ.* < ქართ. სტაფილო (შდრ. ბქ. **ხეხე**)

სტინდის (ზს., ქს.) < ქართ. სინდის-ი (< ბერძ. **syneidesis**-იდან) „პატიო-
 ოსნება, ნამუსი“

სტინდისიან (ზს., ლნტ.)/**სტინდისიან** (ლშხ.) < ქართ. სინდის-იან-ი
 (< ბერძ. **syneidesis**-იდან) „პატიოსნება, ნამუსი“

უნთოტ (ბქ.)/**ონთოტ** (ჩზხ.) < ქართ. უთო (შდრ. მეგრ. **უნთო**) <
 სპარს. **ut**

უსაბაჟ/უსაბაჟ (ზს.) „უცნაური, თავისებური“ < ქართ. უ-საბ-ო, ძვ.
 ქართ. უ-საბ-ურ-ი „ურჩი, თავნება...“ (შდრ. ზზ., ლნტ. **საჯაყ**)

უოფრინდომ (ზზ.) *ანთრ.* < ქართ. ფრიდონ-ი < აფრიდონ-ი < ფალ.
fredun, შდრ. პართ. **frēdn**

ფინთილაი (ლშხ.)/**ფინთილა** (ლნტ.), შდრ. ბქ. **ფიტოლა**, ლნტ.,
 ჩოლ. **ფითილ** „ფითილი, პატრუქი“ < ქართ. ფითილ-ი < რუს. **Фитиль**
 „პატრუქი“ < არაბ. **pātilā**

ქარღალთ/ქალღართ (ზზ., ლნტ.)/**ქარღათ** (ბქ.), შდრ. ზზ., ლნტ. **ქა-
 ღალთ**, ლშხ., ჩოლ. **ქაღალდ** 1. „ქაღალდი“, 2. ქს. „წერილი“ < ქართ. ქა-
 ღალდ-ი < არაბ.-სპარს. **kagāz**

ყინულ (ზზ., ლშხ.), შდრ. ლნტ. **ყინილ** „ყინულა (ვაშლის ან
 მსხლის სახეობა)“ < ქართ. (ოკრიბ.) ყინულა „ყინული ვაშლი (საზამთრო)“

ჩინთ (ზზ., ქს.)/**ჩიმთ** (ბქ.) < ქართ. ჩით-ი

ჩრდილოტეთ (ლშხ.) < ქართ. ჩრდილო-ეთ-ი (შდრ. ზს. **ლამშგედ**,
 ზს., ლნტ. **ლამგნჩალ**)

ცინდა (ბქ.) < ქართ. ციდა (შდრ. მეგრ. **ცინდა**). სვანურშიც და მე-
 გრულშიც ინლაუტში სონორი ჩაერთო, რაც არც თუ ისე იშვიათი მო-
 ვლენაა ნასესხებ სიტყვებში.

წინწილ (ზს.), შდრ. ქს. **წიწილ** < ქართ. წიწილა

ჭანდარ (ბქ.), შდრ. ზზ. **ჭადარ**, ლშხ. **ჭადარ ბოტ.** < ქართ. ჭადარ-ი

ხანსარ (ზს.), შდრ. ქს. **ხაშარ** 1. ზზ. „ყინულის დიდი ნამსხვრევები“,
 2. ბქ. „მყინვარი“, 3. ქს. „თრთვილი“ < ქართ. (ლექს.) ხაშარ-ი „თოში,
 თრთვილი“, შდრ. ფშ. ხაშურ-ი „ნესტიან ადგილზე მოდებული რამ ქაფი-
 ვით“

ჭუალმანდ (ზს., ლნტ.)/**ჭუალმანდ** (ლშხ.), შდრ. ლშხ. **ხომალდ** < ახ.
 ქართ. ხომალდ-ი, ძვ. ქართ. ჭუამალდ-ი; -ჭვამალდ|ჭუმალდ (საბა) <
 თურქ. **xumald** (ქართ. **ხომალდ-ი** > ***ხომალდ** > ***ჯომალდ** > ***ჭუამალდ** >
 ზს., ლნტ. **ჭუალმანდ**)...

მ) **ბგერის დაკარგვა ანლაუტში:**

ახარდა (ჩოლ.) „სწრაფად მოტრიალება/წასვლა“ < ქართ. ხაბარდა <
 არაბ.-სპარს. **ხაბარდარ** „შემახილი: ჩამოდექი, გადადექი გზიდან“

აგონ (ბქ.) „ხე-ტყის გამოსაზიდი ვაგონი“ < ქართ. ვაგონ-ი (< ინგ.
wagon რუს. ენის მეშვე.)

ამოსაჟღეთ (ლნტ.), შდრ. ლშხ. **აღმოსაჟღეთ** < ქართ. აღმოსავლეთ-ი „ქვეყნის ის მხარე, საიდანაც მზე ამოდის“

ანაგებ (ლშხ.)/**ანაგებ** (ლნტ.) „ბუნებრივად, თავისთავად; განგებ“ < ქართ. განგებ

ანლიში (ლშხ.), შდრ. ბზ. **აღლიში** < ქართ. იაღლიში-ი < თურქ. **აღლი/აღლიში** „მეცდომა“

ზითეთ (ლშხ., ჩოლ.), შდრ. ბქ. **ზითი**, ლნტ. **ზითეთ** < ქართ. მზითეთ-ი

გზაჟრობ (ბზ.)/**გზარობ** (ბქ., ლნტ.)/**გზარობ** (ლშხ.) < ქართ. მ-გზ-ავ-რ-ობ-ა

გზაჟრ (ბზ.)/**გზაჟრ** (ლშხ.)/**გზაჟრ** (ბქ., ლნტ.)/**გზარ** (ბქ.) < ქართ. მ-გზ-ავ-რ-ი

დიდარ (ზს., ლნტ.)/**დიდარ** (ლშხ.), შდრ. ლშხ. **მიდიდარ** 1. „მიდიდარი“, 2. ბქ. „ამპარტავანი“ < ქართ. მ-დიდ-არ-ი

დჟერი (ლნტ.)/**დჟერ** (ჩოლ.) < ქართ. მდორე, იგივეა, რაც მდოვრე

ზარჟილ (ბზ.)/**ზარჟლ** (ლშხ.)/**ზარჟილ** (ლნტ.) < ქართ. მ-ზარ-ეულ-ი

ზეთუნახაჟ/ზითუნახაჟ (ზს., ლნტ.)/**ზეთუნახაჟ/ზითუნახაჟ** (ლშხ.)/**ზითუნახაჟ** (ლნტ.), შდრ. ბქ., ლშხ. **მზეთუნახაჟ, მზითუნახაჟ/მზეთუნახაჟ** (ლნტ.) < ქართ. მზე-თ-უნახ-ავ-ი (შდრ. ზს. **მიჟუნაჟ**)

თაჟარ (ზს., ლნტ.)/**თაჟარ** (ლშხ., ჩოლ.) „მოზრდილი“ < ქართ. მ-თავ-არ-ი

ინდზანდ (ლშხ., ჩოლ.)/**ინდზანდ** (ლნტ.) „გარიჟრაჟი, გამთენია“ < ქართ. ბინდ-ბუნდ-ი (შდრ. ზს. **ლეჟგრმში**)

კჟიდრ (ზს., ლნტ., ჩოლ.) „ღვიძლი ნათესავი“ < ქართ. მ-კვიდრ-ი „უახლოესი ნათესავი, ღვიძლი, ალალი, ნამდვილი“ (შდრ. ზს., ლნტ. **წამ**)

კჟინჩ (ზს.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **სკჟინჩაჟ**, ლნტ. **სკჟინჩ** *ზოოლ.* < ქართ. სკვინჩა „ნიბლია“

ჟაჟ (ლშხ.) < ქართ. მჟავე (შდრ. ზს., ქს. **მგხიმ**)

ტეჟან (ლშხ., ჩოლ.)/**ტეჟან** (ლნტ.)/**ტაჟან** (უშგ.) < ქართ. მტევან-ი

ტერ (ლშხ.) < ქართ. მტერ-ი (შდრ. ზს., ქს. **ამახჟ**)

ტავ (ზს., ქს.) 1. „სიმართლე“, 2. „მართლის მთქმელი“ < ქართ. {სი}-მ-ტკიც-ე

ტრედიფერ (ლშხ.) „გოგრის ჯიში“ *ბოტ.* < ქართ. მტრედის-ფერ-ი

ტყელ (ლშხ.) < ქართ. ბრტყელ-ი (შდრ. ბქ. **ტყფრი**)

უსურმან (ზს.)/**უსურმან** (ლშხ.) „ურჯულო“; *გადატ.* „გაუტანელი, დაუნდობელი, ურჯულო“ < ქართ. მუსულმან-ი „ისლამის მიმდევარი, – მაჰმადიანი“

ჟარილ (ბზ.), შდრ. ბქ. **ჟარყა** „თავნება ცხენი“ < ქართ. (გურ.) ყვერულ-ი „დაკოდირი მამალი (ქათამი)“, შდრ. ბზ. **ყჟარჟლ/ყჟარილ**, ბქ., ლნტ. **ყჟარილ** „ლაფმა ცხენი“

ფერთხ (ლნტ.)/**ფერთხა** (ჩოლ.) „ციცხვი, ლობიოს ამოსაქნელი კოვზი (ხისა), ლაფერთხა“ < ქართ. (ლეჩხ.) ლა-ფერთხ-ა (შდრ. ბზ., ლშხ. **ჟიშხა**, ბქ. **ჟიშხე** „ლაფერთხა“)

შტიდბა (ზს., ჩოლ.)/**შტიდებ** (ბქ.)/**შტიდობ/შუდობ**{ა} (ქს.) < ქართ. მ-შვიდ-ობ-ა

შტიდობობ/შტიდობრობ (ბზ.)/**შტიდობრობ** (ლშხ.)/**შტიდბარობ** (ლნტ.) < ქართ. მ-შვიდ-ობ-იან-ობ-ა

ცონწარ (ზს.) „უსუსური, სუსტი“ < ძვ. ქართ. **მცონარა/ე** „ზარმაცი, უქმი, მუქთახორა“ < ოს. **æncoj/æncojnæ** „სიმშვიდე, დასვენება, მოსვენება“

ძეტაღ (ზს., ლნტ.)/**ძაჭაღ** (უმგ.)/**ძეტაღ** (ლშხ., ჩოლ.) 1. „მძევალი“, 2. „საფუარი“, 3. „მაწვნის დედა“, 4. „საბუდარში ჩატოვებული კვერცხი, მძევალი“ < ქართ. მ-ძევალ-ი

ძიჭ (ზს., ქს.) < ქართ. მძივ-ი

ძტერ (ზს., ლნტ., ჩოლ.)/**ძერ** (ბქ.)/**ძორ** (ლშხ.) 1. „რბილი ხორცი“, 2. „მძორი, ლეში“ < ქართ. მძორ-ი

წეტწარ (ზს.)/**წაჭარ** (უმგ.)/**წეტარ** (ბქ., ლშხ., ჩოლ.) *ზოოლ.* < ქართ. მ-წ-ევ-არ-ი „სანადირო ძაღლი“

წტანილ (ზს., ქს.) *ბოტ.* < ქართ. მწვანის-ი (შდრ. ბქ. **მაღაშა**; ზს. {**ღ**}**გრეი** „მწვანე“)

წტად (ზს., ლნტ.)/**წადა** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მწვად-ი

წყგზამ/წყგზემ (ბზ.)/**წყგზემ** (ლშხ., ჩოლ.)/**წყაზარ** (ლნტ.) „სუფთა, ფაქიზი, წმინდა“ < ძვ. ქართ. მწყაზარ-ი „თეთრი; მეტად ლამაზი, მოხდენილი, მშვენიერი“

ხინ (ბზ., ქს.), შდრ. ბქ. **ხლინ** < ქართ. ლხინ-ი (შდრ. ბზ. **ლწხიადანლ**, ბქ., ლნტ. **ლწხედალ**, ლშხ. **ლახიდალ**)

ხინობ (ზს., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ლხინ-ობ-ა (ლხინის გადახდა)...

ნ) ბგერის დაკარგვა ინლაუტში:

ატოკატ/ატუკატ (ბქ.) „დამცველი, ვეჭილი“ < ქართ. ადვოკატ-ი < ლათ. **advocates** > **advoco** „ვიხმობ“

აზმა (ლშხ.) < ქართ. აიაზმა „წმინდა, ნაკურთხი (წყალი)“ < ბერძ. **აგო-ასმოს** „კურთხევა“

ამრიკა (ბქ.)/**ამრიკად** (ლშხ., ჩოლ.), შდრ. ლნტ. **ამერიკა** < ქართ. ამერიკა „უხეში ქსოვილი ზამბეულისა, – ნარმა“

ანგრიმ (ბზ., ლშხ.), შდრ. ბქ., ლნტ. **ანგრიმ**, ბქ., ჩოლ. **ანგარიმ** < ქართ. ანგარიმ-ი < ფალ. *(**h**)**angariñ** „გამოანგარიშება, გამოთვლა“

აქსენტი (ბზ., ლნტ.) *ანთრ.* < ქართ. აქსენტი-ი (< ბერძ.) „ზრდადი“

ბუმბ[ტ]ილ (ზს., ლნტ.)/**ბუმბილ** (ჩოლ.), შდრ. ლშხ. **ბუმბულ** 1. „ბუმბული“, 2. „ბუმბულის ლეიბი“ < ქართ. ბუმბულ-ი

გაჭირება (ზს.)/**გაჭირობ** (ლხმ.), შდრ. ზს., ლნტ. **გაჭირუება**, ლშხ., ჩოლ. **გაჭიურება** < ქართ. გაჭირ-ვ-ებ-ა

გერცამ (ზს., ჩოლ.)/**გარცამ** (ბქ.)/**გარცემ** (ლშხ.)/**გერცამ/გარცამ** (ლნტ.) „ხატზე გადაცემა, ხატზე დაფიცება“ < ძვ. ქართ. გარ-და-ც-ემ-ა „გადადინება, თავს გადასვლა, ავსება; ზეშთ-გარდაცემა“, ახ. ქართ. გა-და-ც-ემ-ა

დასიფასელ (ზს.)/**დასაფასელ/დასაფას** (ბქ.) „ძვირფასეულობა, საფა-

სე, განძი, სიმდიდრე“ < ქართ. და-სა-ფას-[-ებ]-[ელ]-ი

დევან (ბზ.)/**ტელვან** (ბქ.)/**დევან** (ლშხ.)/**დელვან** (ლნტ.)/**დელვან** (ჩოლ.) „აივანი“ < ქართ. დერეფან-ი

კანდა (ბქ.), შდრ. ლნტ. **კალანდა** < ქართ. (გურ.) კალანდა „ახალი წელი“ < ლათ. **calandae** (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. **ზომხა**)

კდე (ლშხ.) < ქართ. კლდე (შდრ. გურ. კტე), შდრ. ზს., ქს. **კოჯ**

მსპმელ (ბზ., ლნტ.)/**მასპმელ** (ლშხ., ჩოლ.)/**მპინმელ/მპინმელ** (ლნტ.) < ძვ. ქართ. მასპინძელი-ი < ფალ. **aspanz** „დასასვენებელი ადგილი, სასტუმრო, თავშესაფარი“, შდრ. იმერ., გურ., აჭარ. მაინძელი-ი

იალენ (ლნტ.), შდრ. ბქ. **ალიონ**, ლნტ. **იალუენ** < ქართ. ალიონ-ი „რიჟრაჟი, განთიადი“

ბტყელ (ჩოლ.), შდრ. ლშხ. **ტყელ** < ქართ. ბრტყელ-ი (შდრ. ბქ. **ტყფრი**)

საზგრწამ (ბქ.) < ქართ. სა-პირ-ის-წამლ-ე „სამასრე“

სათალ (ბზ.)/**სანთალ** (ბქ.), შდრ. ბქ. **სტანთალ** 1. „დურბინდი“, 2. ბქ. „კორა (სამიზნე თოფისა“) < ქართ. სა-თვალ-ე (შდრ. ბქ. **სანთალ** „სათვალეები“)

სამნელ (ბზ., ქს.) < ქართ. სამურველ-ი, საურველ-ი

საკურელ (ზს., ლნტ.)/**საკურელ** (ლშხ., ჩოლ.) „საოცარი“ < ქართ. სა-კვირ-ვ-ელ-ი

ტოლიბაშ (ზს.)/**ტოლბაშ** (ბქ.)/**ტოლიბაშ** (ლშხ.)/**ტოლობაშ** (ლნტ.), შდრ. ბზ. **სტოლუმბაშ** „თამადა“ < ქართ. ტოლუმბაშ-ი < თურქ. **tulumbaşi** „ტიკის უფროსი“

ტომიორ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ოხშივარ-ი, შდრ. ლეჩხ. ოშიორ-ი

ფანელ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/**ფანელ** (ბქ., ლნტ.) < ქართ. ფლანელი-ი < რუს. **Фланель** < ფრ. **flanelle**

ფარსეულ (ბზ.), შდრ. ბზ. **ფარსეულ**, ლშხ. **ფარსეულ** < ქართ. ფარსეულ-ი

ფილ (ლხმ.) < ქართ. ფერფლ-ი (შდრ. ბქ. **ქამარ**)

ფირწამალ (ბზ.)/**ფირწამალ** (ლშხ.), შდრ. ბქ. **საზგრწამ** „საპირისწამლე, სამასრე“ < ქართ. პირ-ის-წამ-ალ-ი

ფორეცხ (ზს.), შდრ. ლხმ. **ფორენცხ**, ქს. **ფოცხურ** *ზოოლ.* < ქართ. ფოცხვერ-ი

ღადალ (ზს.), შდრ. ბქ., ლშხ. **ღანდალ** „ბაღლინჯო“ *ზოოლ.* < ქართ. (ზ.რაჭ.) ღანდალა, (იმერ.) ღანდარა

ღრდა (ბზ., ლშხ.) *ბოტ.* < ქართ. ღორღოვანა (ბალახია)

ყარ (ბზ.)/**ყარ** (ბქ., ლნტ.)/**ყარ** (ლშხ., ჩოლ.) 1. „ყავარი“, 2. „სახურავი“ < ქართ. ყავარ-ი, შდრ. თურქ. **qavara** „ნაჭერი“

ყუიჩ (ზს., ქს.) „მამალი“ *ზოოლ.* < ქართ. ყვინჩილა

შაშკლაჟ (ზს., ქს.), შდრ. ზს., ქს. **შაშკულაჟ** „რეჰანი“ *ბოტ.* < ქართ. (ლეჩხ.) შაშკლაჟ-ი

ცხუშილ (ლშხ.) „შინაყმა, მოჯამაგირე, ნაყიდი ყმა“ < ქართ. სხვ-ის-ი-შვ-ილ-ი, შდრ. მოხ. ცხო ← სხვა

წიაპ (ქს.), შდრ. ბზ. **წიბარ**, ბქ. **წიბარ**, ლშხ. **წიბარ** < ქართ. წრიაპ-ი

წიმწარ (ზს., ლნტ.)/**წიმწარ** (ლშხ.) *ბოტ.* < ქართ. ძირ-მწარ-ა
ჭაგუ (ზს., ლშხ., ჩოლ.) *ბოტ.* < ქართ. (გურ.) ჭლაკვი-ი „სოხვი (ბოს-ტნეულია)“

ხარზილ (ბზ.)/**ჯარზილ** (ზს.)/**ხარძილ** (ლშხ.)/**ხარძილ/ჯარძილ** (ლნტ.) *ბოტ.* < ქართ. ხარ-ის-ძირ-ა

ხეკ (ბქ., ლშხ.) „მწირი, ხრიოკი ადგილი“ < ქართ. ხრიოკ-ი. ბქ., ლშხ.
ხეკ < ***ხუეკ** < ***ხრუეკ** < ***ხრიუეკ** < ქართ. ხრიოკ-ი

ხელწიფ (ზს.)/**ხენწიფხე** (ბქ.)/**ხენწიფ** (ქს.), შდრ. ლნტ. **ხელმწიფ** < ქართ. ხელ-მ-წიფ-ე

ჯისმანდ/კეცმანდ (ბზ.)/**ჯისმანდ** (ლშხ.) „თავსაფარი, ხილაბანდი; თავ-ზე შემოსაკრავი გრძელი და ვიწრო ნაჭერი“ < ქართ. ხელ-მანდილ-ი (ხელ-ის-მანდილ-ი).

ო) **ბგერის დაკარგვა აუსლაუტში:**

ბოთ (ლშხ.), შდრ. ქს. **ბოთლ**, ლნტ, **ბოთრ**, ზს. **ბოთლიკ** < ქართ. ბოთლ-ი < ინგლ. **bottle**

გამარჯუ (ზს., ლნტ., ჩოლ.), შდრ. ლშხ. **გამურჯობ** < ქართ. გა--მარჯვ-ებ-ა

გუპლი (ბზ.)/**გუპლი** (ბქ., ლნტ.)/**გუპალი** (ლშხ., ჩოლ.) 1. „გვალვა“, 2. ბქ. „მოწმენდილი ცა“ < ქართ. გვალვა

დიხსაძ (ბზ.)/**დიხსაძ** (ბქ.)/**დიასახლ** (ლშხ.) < ქართ. დია-სახლ-ის-ი
კუპრ (ზს., ლნტ., ჩოლ.) „ტიკი, ტიკჰორა“ < ქართ. (მთიულ.) კუპრ-იალ-ა „გადაბრუნებული ტყავი ბეწვით შიგნით“, (ქართლ.) კუპრ-იელ-ი „მოკუპრული ტყავი“, (გურ.) კუპრ-იელ-ი „მამალი თხის ტყავისაგან გაკეთებული გუდატიკი“

მოაზ (ბზ.)/**მოაზ** (ბქ.)/**მოახ/მუახ** (ლნტ.)/**მოაზ** (ლხმ.), შდრ. ბზ. **მოაზლ/მოაზლ**, ბქ., ლშხ. **მოახლ** < ქართ. მოახლე (შდრ. ზს., ლშხ. **მესგურე**)

მოცალ (ზს., ლნტ.)/**მოცალ** (ლშხ., ჩოლ.) „უმნიშვნელო, უბრალო რამ“ < ქართ. მო-ცლ-ილ-ი

პატრაჯ (ბქ.), შდრ. ბზ. **პატრიჯან**, ბქ. **პატრაჯან**, ქს. **პატრიჯან** „პომიდორი“ < ქართ. ბადრიჯან-ი < სპარს. **badnižan/badližan**

სამრპუ (ზს., ლნტ.) < ქართ. სა-მ-რეკ-ლ-ო (შდრ. ბზ. **ლაზენგლანგ**, ბქ. **ლაზენდლაგარ**, ჩოლ. **ზანგლაგ**)

სადუ/სუაძ (ბზ.) „სადენი მიწის ქვეშ (მილი)“ < ქართ. სა-დ-ენ-ი

საციქუ (ზს., ლნტ.)/**საციქუ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. (თუშ., ფშ., მესხ., მოხ.) სა-ციქვ-ელ-ი „საოჯახო ნივთები; მეზობლისაგან ნათხოვარი საოჯახო ნივთი“, (რაჭ., ზ. იმერ., გურ.) სა-ციქვ-ელ-ი „მათხოვრის მისაცემი შემწეობა; მეალილოეების ან მეჭონეების საჩუქარი“

საზრ (ბზ., ლშხ.)/**საზრ** (ბქ.)/**საზრ** (ლნტ.) „აზრი, განსჯა; გონება, აზროვნება“ < ქართ. სა-ზრ-იან-ობ-ა (საზრისი?)

სოხ (ზს.) „ჭლაკვი“ < ქართ. (გურ.) სოხვი-ი/სოხი „ჭლაკვი, უთავო ხახვი“ < თურქ.-ირ. **soy** „ხახვი“

უბედრ (ლშხ.) < ქართ. უბედურება

ფარფ (ზს.)/**ფარფ** (ლშხ.) „ფარფლი, კიდე“ < ქართ. ფარფლ-ი

ფაშ (ზს.)/**ფაშ** (ჩოლ.) შდრ. ლშხ. **ფაშჷ**, ლნტ. **ფაშჷ** < ქართ. ფაშვ-ი (შდრ. ზს., ლშხ. **ქაშხეკ** „მუცელი/ფაშვი“)

ფერფ (უშგ.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **ფერფილ** < ქართ. ფერფლ-ი (შდრ. ზს., ლნტ. **ქამ**, ლშხ. **ქამ**, ბქ. **ქამარ**)

ფლიჷ (ბზ., ლხმ.) < ქართ. ფლურ-ი (ოქროს ან ვერცხლის ფული ძველად)

ფშალ (ბქ.), შდრ. ლშხ. **ფშალაი** 1. „ყლორტი, მორჩი; ნორჩი“, 2. „სვია“ < ქართ. (ზ. იმერ.) ფშალა, მშრალა „სვია“, (გურ., იმერ.) ფშალო „სვია“

დილიე (ზს.)/**ღირკილ** (ბქ., ქს.) < ქართ. დილ-კილო

ღრღა (ბზ., ლშხ.) < ქართ. ღორღ-ოვან-ა (ბალახია)

შონდო (ლშხ.) „საგალობელი მიცვალებულის პატივსაცემად, შენდობის სიმღერა“ < ქართ. შენდ-ობ-ა

ჩირგ (ბზ., ლშხ.) „ჩირგვი, ბუჩქი“ < ქართ. ჩირგვ-ი (შდრ. ზს. **ჭუამ**)

ცოდ (ზს., ქს.) 1. „ცოდვა“, 2. „საცოდავი“ < ქართ. ცოდ-ვ-ა < ოს. **cawd** „ცუდი, მდარე“ (შდრ. ზს., ქს. **ლეკრი**)

წირ (ზს., ქს.) < ქართ. წირ-ვ-ა

ჭანტი (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/**ჭანტი** (ლნტ.) „კორკოტი“ < ქართ. (ლეჩხ., რაჭ.) ჭანტილა „წანდილი, კორკოტი“...

პ) მეტათეზისი:

როგორც ცნობილია, ყველაზე უფრო ხშირად მეტათეზისი მოსდის **ჷ** ბერას, თუმცა სვანურში დასტურდება სხვა ბერათა გადასმის შემთხვევებიც. მაგ.:

ანარკია (ლხმ.) **გადატ.** „სვანების წარმოდგენით მეტისმეტად შორეული მხარე, გადასაკარგავი ადგილი“ < ქართ. ანაკლია „სოფელი და ზღვისპირა კლიმატური კურორტი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში“

აპეხ[ჷ]დ (ბქ.) „შაშხი“ < ძვ. ქართ. აპოხტ-ი/აპუხტ-ი „შესანახად დამარილებული და კვამლში გამოყვანილი ხორცი“

ანგულეზ (ბზ., ლნტ.), შდრ. ბზ., ლნტ. **ანგლრზ**, ბქ. **ანგლეზ**, ლშხ. **ანგლოზ** < ქართ. ანგელოზ-ი < ბერძნ. **αγγελος** „მიკრივი, მაცნე“

ბერუკილ/ბერკუილ (ბზ.), შდრ. ზს., ლნტ. **ბერკილ**, ბზ. **ბუერკილ**, ლშხ., ჩოლ. **ბორკილ** < ძვ. ქართ. ბორკ-ილ-ი < მეგრ. ან. ლაზ. **ბორკ**-ი „ფეხი“ (შდრ. ზს., ქს. **კულ**)

ბირდჷ (ჩოლ.) < ქართ. ბურდ-ი/ბურდა „გაუვალი ბუჩქნარი, ჩირგვი; ბარდი“

ბიქჷ (ზს., ლნტ, ჩოლ.), შდრ. ბზ. **ბუქ[ჷ]**, ლშხ. **ბუქ[ჷ]** „ქარი“ < ქართ. ბუქ-ი

ბირდჷ (ზს., ლშხ.)/**ბიდჷ** (ბქ., ლნტ.), შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. **ბუდჷბრ**, ლნტ. **ბუდჷბრ**¹ „ბული, ბდღვირი, ნაგავი, მტვერი“ < ქართ. ბულ-ი, ბდღვირი (შდრ. ზს. **პისჷ**)

¹ **ბუდჷბრ**||**ბუდჷბრ** ლექსემა, როგორც ჩანს, ქართული **ბდღვირი**სგან მომდინარეობს.

ბირღუ (ბზ.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **ბურღუ** < ქართ. ბურღ-ი „იარაღი, რომლის ბრუნვითაც ხვრეტენ რაიმე საგანს“ < სპარს.-თურქ. **bürü**

ბირჯუ (ბზ.) < ქართ. ბურჯ-ი (ხიდისა) < არაბ.-სპარს. **burj** „კომპი, ბურჯი, ციხე-სიმაღლე“ < ბერძნ. **Πύργος** „ციხე-სიმაღლე, ბურჯი“

ბიშტუ (ზს.), შდრ. ქს. **ბუშტ/ბუშტ[უ]** < ქართ. ბუშტ-ი

ბლენ (ლხმ.) < ქართ. ბნელ-ი (შდრ. ზს. **მუხ[ტ]ირ**)

ბლენურ (ლხმ.) < ქართ. არა-ბნელ-ი

ბლიუ (ზს., ლნტ., ჩოლ.), შდრ. ზს., ქს. **ბლუუ** „მუნჯი“ < ქართ. ბლუ

ბუღუდან (ლნტ.) „ნოყიერი“ < ქართ. (რაჭ.) ბუღდავან-ი „კაი მისადგომი ადგილი“, (ლეჩხ.) ბაღდავან-ი „კარგი, ბარაქიანი ადგილი“

ბირთუ (ბზ.), შდრ. ბზ. **ბუთ[უ]**, ბქ. **ბურთი**, ლშხ. **ბუთ**, ჩოლ. **ბურთ**, ლნტ. **ბუთ** < ქართ. ბურთ-ი

გაჭირება (ლშხ., ჩოლ.), შდრ. ზს. **გაჭირება**, ბზ., ლნტ. **გაჭირება**, ლხმ. **გაჭირობ** < ქართ. გა-ჭირ-ე-გბ-ა

დისხა (ბზ.)/**დისხალ** (ბქ.), შდრ. ლშხ. **დასახლ** < ქართ. დია-სახლის-ი

ზანდიკუ (ბზ.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **ზანდუკ**, ლნტ. **ზანდუკ** < ქართ. ზანდუკ-ი < არაბ.-სპარს. **sanduk**

ზგარობ (ბქ.), შდრ. ბზ. **გზარობ**, ბქ., ლნტ. **გზარობ**, ლშხ. **გზარობ**, ჩოლ. **გზარობ** < ქართ. მ-გზ-ავ-რ-ობ-ა

თაკუ (ზს., ლნტ.)/**თეკუ** (ლშხ.)/**თაკუ** (ჩოლ.) < ქართ. თოკ-ი < სომხ. **tok**

თარინგზელ (ბზ.)/**თარგლეზერ** (ზს.)/**თარი[ნ]გზელ/თარინძელ** (ლშხ.)/**თარიგზელ/თარიგლეზერ** (ლნტ.)/**თარიგზელ** (ჩოლ.) < ძვ. ქართ. მ-თავ-არ-ანგელოზ-ი

თაისდუბ/თაისდუბ (ბზ.), შდრ. ბზ. **თაისდობ**, ბქ. **თაისდუბ**, ლშხ. **თაისდობ/თაისდობ**, ლნტ. **თაისდუბ/თაისდუბ** „ფიცი, პირობის მიცემა (ხელის ჩამორთმევით)“ < ქართ. თავ-დ-ე-ბ-ი

თგრქანდ (ზს.)/**თგრქანტ** (ლნტ.)/**თგრქანტ** (ლშხ., ჩოლ.) „მაკრატელი“ < ქართ. დუქარდ-ი „დიდი მაკრატელი ცხვრის საპარსად“ < სპარს. **dukard**

კაბშური (ლხმ.) < ქართ. კავშირ-ი < სპარს. **kāfir** „შედღუება, მიერთება“. ს. ჟღენტის ვარაუდით, აღნიშნულ ლექსემაში გვაქვს **ვ/ზ** ბგერათმონაცვლეობა (1949:184), რასაც ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან აქ აშკარად სხვა ფონეტიკური პროცესები (*ჭ ბგერის მეტათეზისი* და *ბ ბგერის ჩართვა*) უნდა განხორციელებულიყო.

კიბდუენ (ზს.)/**კიბდონ** (ბქ., ჩოლ.)/**კიბდენ** (ლხმ., ლნტ.)/**კიდბონ** (ლშხ.) < ქართ. კიდობან-ი

რილა (ბზ.) < ქართ. ლირა (ფულის ერთეული)

მნლდიან (ზს.), შდრ. ზს. **მნლდიან**, ლნტ. **მადლიან**, ლშხ., ჩოლ. **მადლიან** < ქართ. მადლ-იან-ი

მარკლენ (ბზ.)/**მარკლენ** (ლშხ.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **მარკნელ** 1. „ვალავანი, მორკინალი“, 2. ლშხ. „სწრაფი, მარჯვე“ < ძვ. ქართ. მო-რკინ-ალ-ი ქართ. მო-რკინ-ალ-ი > ***მო-რკინ-ალ** > ***მრ-რკინ-ალ** > ***მრე-რკინ-ალ**

> ***მე-რკინ-ალ** > ***მე-რკნ-ელ** > ერთი მხრივ, ლშხ. **მა-რკნ-ელ** < ლშხ. **მა-რკლენ**, და მეორე მხრივ, ბზ. **მწ-რკლენ**

ლშხ. **მა-რკნ-ელ** < ლშხ. **მა-რკლენ**, ბზ. **მწ-რკლენ** < ***მე-რკლენ** < ***მტე-რკნ-ელ** < ***მტე-რკინ-ალ** < ***მწ-რკინ-ალ** < ქართ. მო-რკინ-ალ-ი

ნამგებ/ნამგებაუ (ზს.) „მონაგები, მონაგარი“ < ქართ. მო-ნა-გ-ებ-ი (ზს. **ნამგებ** < ***მონგებ** < ***მონაგებ** < ქართ. მო-ნა-გ-ებ-ი)

საკმელტ/საკმეტელ (ბზ.), შდრ. ბზ. **საკმეტელ**, ბქ., ლნტ. **საკმეტელ**, ლშხ. **საკმოტელ/საკმეტელ** < ქართ. სა-კმ-ე-ვ-ელ-ი

საქლეტ (ბზ.)/**საქლეტ** (ბქ.), შდრ. ბზ. **საქუელ**, ლშხ. **საქოლ** < ქართ. (რაჭ.) სა-ქ-ოლ-ი „სახლის სახურავზე ულურსმნოდ დახურული ყავრის დასამაგრებელი ქვა ან სხვა რამ“ (ბზ. **სა-ქ-ლ-ე-ტ** < ბქ. **სა-ქ-ლ-ე-ტ** < ***სა-ქ-ტელ** < ლშხ. **სა-ქ-ოლ** < ქართ. სა-ქ-ოლ-ი)

სიფრითტ (ბზ.), შდრ. ბქ., ლშხ. **სიფრუთ**, ბქ. **სიფრით**, ლნტ. **სიფ-რუტ** „ბურდი“ < ქართ. ციბრუტ-ი „სახვრეტი ხელსაწყო, ბურდი“

სეუტ (ბქ.), შდრ. ბზ., ლნტ. **სტეუტ**, ბზ. **სტეი/სრმ**, ბქ., ლშხ. **სოტ/სოი** < ქართ. სვე < ოს. **fes** „ბედი“ (ანდრონიკაშვილი 1966:108-109)

სტრილ (ზს., ლნტ.)/**სტირილ** (ბქ.), შდრ. ლშხ. **სრულ** < ქართ. სრულ-ი

ტურბა (ზს.) < ქართ. ტრუბა (ცოცხალ მეტყველებაში გავრცელებული ლექსემა) < რუს. **труба** „მილი კვამლსადენი“

ტიტიტელ (ზს., ქს.), შდრ. ზს. **ტიტრლ** < ქართ. ტიტველ-ი (შდრ. ბქ. **ლგსინტლატე**)

ტალირტ (ბზ.), შდრ. ბზ. **ტალტრ**, ლშხ., ჩოლ. **ტელურ**, ლნტ. **ტელირ** < ქართ. ველ-ურ-ი (შდრ. ბქ. **ტყარ**)

ტოქტრ (ზს., ლნტ.), შდრ. ბქ., ლშხ. **ტოქტრ**, ჩოლ. **ოქტრ** < ქართ. ოქრო < ბერძნ. **οχρος** „ყვითელი“

ფირტენ (ბზ.) < ქართ. ფრინ-ვ-ელ-ი (შდრ. ბზ. **ნაპრლ**, ბქ. **ნაპტრ/ნე-პოლ**, ჩოლ. **ნეპრლ**)

ფლიტ (ბზ., ლხმ.) < ქართ. ფლურ-ი (ოქროს ან ვერცხლის ფული ძველად)

ქობ (ბზ.)/**ქოლბ** (ლშხ.)/**ქოლბ** (ლნტ.)/**ქტელბ** (ჩოლ.) „ბუჩქი“ < ქართ. ბოლქვ-ი (შდრ. ზს. **ჭტამ**)

ქრუტ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ., ჩოლ. **ქტრიტ** < ქართ. ქვრივ-ი (შდრ. ზს., ლნტ. **ოჭარ**)

ღრის (ქს.), შდრ. **ღირს** < ქართ. ღირს-ი

ყატირილ (ბზ.), შდრ. ბზ. **ყარტილ/ყარტილ**, ბქ., ჩოლ. **ყარტილ**, ლშხ. **ყარულ**, ლნტ. **ყარეტილ** < ქართ. ყარაულ-ი (შდრ. ზს. **მელეჩ**) < რუს. **караул** < სპარს. **kara'ul**

შამფირ[ტ] (ზს.), შდრ. ზს. **შამფტირ**, ლშხ., ჩოლ. **შამფურ**, ლნტ., ჩოლ. **შამფირ** < ქართ. შამფურ-ი

წატირ (ბზ.)/**წატირ** (ბქ.) < ქართ. წერო

წიბარ (ბზ.)/**წიბარ** (ბქ.)/**წიბარ** (ლშხ.), შდრ. ქს. **წიაბ** < ქართ. წრიაბ-ი

წვირპატ (ბქ.), შდრ. ბზ., ლნტ. **წვიპატ**, ბქ., ჩოლ. **წვიპურტ**, ლშხ. **წვიპარტ** < ქართ. წვიპურტ-ი

ჭაბიგუ (ზს.), შდრ. ლშხ. **ჭაბუკ** < ქართ. ჭაბუკ-ი < ფალ. **ჭაპიკ** „ცოცხალი, მარდი, მოხერხებული, მკნე, სწრაფი“

ხლინ (ბქ.), შდრ. ბზ., ქს. **ხინ** < ქართ. ლხინ-ი (შდრ. ბზ. **ლხიადნლ**)

ხირკ (ბქ., ლნტ.) „ხრივი, სარმა; ფანდი, ილეეთი“ < ქართ. ხრიკ-ი

ჯუალმანდ (ზს., ლნტ.)/**ჯუალმანდ** (ლშხ.) < ქართ. ხომალდ-ი < თურქ. **xumald...**

სვანურ დიდძალ საანალიზო ნასესხებ ლექსიკაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ აღნიშნულმა ლექსიკამ სვანურის ფონემატური სტრუქტურის შესატყვისი სათანადო ფონეტიკური ცვლილებანი განიცადა. სვანურ ნასესხებ ლექსიკაში ყველაზე მეტად ხელშესახები, რაგვარობის მიხედვით, აღმოჩნდა: გამჟღერების, გამკვეთრების, გაფშვინვიერების, ასიმილაციის, აფრიკატიზაცია-დეზაფრიკატიზაციის და ა. შ. პროცესები. საკმაოდ ხშირია თანხმოვანთა და ხმოვანთა, ასევე **ლ/მ/ნ/რ/ტ (სონორ)** თანხმოვანთა მონაცვლეობა, ბგერის ჩართვა-დაკარგვის შემთხვევები, მეტათეზისი და სხვ.

ცხადია, ერთი ენიდან მეორეში შეთვისებისას სიტყვის ბგერითი შემადგენლობის ცვლილებებს მრავალი ფაქტორი განაპირობებს, რომელთაგანაც ერთ-ერთი შუამავალი ენის ფაქტორია. გარდა ამისა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ისიც, თუ რა გზით მოხდა ამა თუ იმ სიტყვის შეთვისება და შეთვისების შემდგომ ადაპტაციის რა საფეხურები გაიარა.

ლიტერატურა

ა) სამეცნიერო ლიტერატურა

ანდრონიკაშვილი 1996 – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, ტ. II, თბ., 1996

გამყრელიძე 1968 – თ. გამყრელიძე, დეზაფრიკატიზაცია სვანურში, „გადაწერის წესები“ დიაქრონიულ ფონოლოგიაში, თბ., 1968

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 – თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965

თოფურია 1956 – ვ. თოფურია, აფრიკატთა ცვლისა და შესატყვისობის ზოგი საკითხი ქართველურ ენებში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XIII სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1956

ლომთაძე 1999 – ა. ლომთაძე, სპირანტებისა და აფრიკატების ფონეტიკური სახეცვლილებანი ქართველურ ენებში, თბ., 1999

მაჭავარიანი 1965 – გ. მაჭავარიანი, საერთო ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965

ოსიძე 1990 – ევ. ოსიძე, რამდენიმე სვანური ფუძის ისტორიისათვის, ეტიმოლოგიური მიეზანი, თბ., 1990

ჟღენტ 1949 – ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1949

როგავა 1952 – გ. როგავა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები, იკე, ტ. IV, თბ., 1952

სალიანი 2005 – მ. სალიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2005

სარჯველაძე 1999 – ზ. სარჯველაძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტისა და თსუ ფილიალების II სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1999

სუხიშვილი 1997 – მ. სუხიშვილი, სვანური კომპოზიტი **შუპრ-ზიფხილდ** „ცვარ-ნამი“ და მასთან დაკავშირებული საკითხები, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1997

ქალდანი 1955 – მ. ქალდანი, სვანური ენის ლაზამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, VII, თბ., 1955

ქალდანი 1959 – მ. ქალდანი, სვანური ენის ჩუბხეური მეტყველების თავისებურებანი, იკე, XI, თბ., 1959

ქობალავა 1958 – ი. ქობალავა, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე IX-X, თბ., 1958

ჭუმბურიძე 1987 – ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1987.

ბ) ლექსიკონები

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000

ჩიქობავა 1938 – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-ქართულ-მეგრული შედარებით ლექსიკონი, თბ., 1938

ჩუხუა 2000-2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003

ჭარაია 1918 – ჭარაია, ქართულ-მეგრული და მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ხელნაწერი, ტფ., 1918

Климов 1964 – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964.

გ) წყაროები

სვან. პროზ. ტექსტ. 1939 – სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსუმური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი, 1939

სვან. პროზ. ტექსტ. 1957 – სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსუმური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი, 1957

სვ. პროზ. ტექსტ. 1967 – სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბ., 1967

სვან. პროზ. ტექსტ. 1979 – სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არს. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი, 1979

სვან. ენის კრესტ. 1978 – სვანური ენის კრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი, 1978.

Medea Saghliani, Nato Shavreshiani

On the Phonetic-Phonological Adaptation of Borrowed Vocabulary in Svan

Summary

Observations on a large amount of the borrowed Svanvocabulary have shown that it has undergone phonetic changes corresponding to the phonematic structure of Svan. The following processes turned out to be the most apparent in the borrowed Svan vocabulary: vocalization, sharpening, aspiration, assimilation, affrication-disaffrication, etc. The alternation of consonants and vowels, as well as the sonorant consonants **ლ/მ/ნ/რ/ლ**, the cases of insertion-losing sounds, metathesis, etc. are quite frequent.

Clearly, changes in the phonetic composition of a word when moving from one language to another are conditioned by a number of factors including the factor of the intermediary language. In addition, the way of borrowing a word and the stages of adaptation play an important role.

ჭაბუკა ქირია

სუბიექტური პირის კლება (ელიფსი) და მოდალური ტრანსფორმაცია აორისტში

ზმნის პოლიპერსონალიზმი ერთ-ერთი სპეციფიკური ლინგვისტური მახასიათებელია და მასთან არის სწორედ დაკავშირებული ქართული ენის სირთულე; პირთა შორის მიმართება ბევრ გრამატიკულ სპეციფიკურ ნიუანსს წარმოაჩენს, რომელთა ნაწილი მორფოლოგიზებულია და ამა თუ იმ გრამატიკულ კატეგორიაში აისახება. საინტერესოა ამ თვალსაზრისით პირის კლებასთან (ელიფსთან) დაკავშირებული პროცესები.

სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილია ნეიტრალური ქცევის, საობიექტო და სასუბიექტო ქცევის ფორმათა შემცველი შესიტყვებანი, სადაც დასტურდება უახლოესი ობიექტის ელიფსი ძველსა და ახალ ქართულში, ასევე სუბიექტის ელიფსი გარდამავალი ზმნის შესიტყვებაში [იხ. სუხიშვილი, 1986, 59-93].

საკმაოდ რთულია ამგვარი ტრანსფორმაციის მექანიზმისა და მას-შტაბების დადგენა: „უახლოესი ობიექტი **უფრო ხშირად** (ხაზი ჩვენია – ჭ. ქ.) იმგვარ შესიტყვებაში გაუჩინარდება, სადაც ზმნა სასუბიექტო ქცევის ფორმითაა წარმოდგენილი, თუმცა ობიექტის დაკარგვა არც ნეიტრალური და საობიექტო ქცევის ფორმათა შემცველი შესიტყვებებისთვის არის უცხო“ [სუხიშვილი, 1986, 59]. ჯერ განხილულია **ქცევის მიხედვით ნეიტრალური** გარდამავალი ზმნები:

ათენებს // ათენებს მას („დასვენების მაგივრად ცის ქვეშ ათენებ“; შდრ.: ამის შემდეგ გადასწყვიტა, რომ ღამეს აქ გაათენებს“);

ალამებს // ალამებს მას („მე ვათენებ, მე ვალამებ, მე ამომყავს მზე და მთვარე“; შდრ.: „ტაციობით დღეს ალამებს“);

აცხუნებს // აცხუნებს მას (მზე კი თანდათან მიიწვედა და ისე აცხუნებდა, რომ ზოგი კამეჩი გააღეჟა; შდრ.: მზე მეტად აცხუნებდა გარემოს“);

ანათებს // ანათებს მას („თქვენ იცით, რომ ქვეყანაზედ მაშინ უფრო თბილა, როცა მზე ანათებს“);

ათბობს // ათბობს მას („თქვენ შენიშნავდით, რასაკვირველია, რომ მზე დილითა და საღამოთი ისე ძრიელ არ ათბობს, როგორც შუადღისას“; შდრ.: ხოლო მზე შეიძლება გადმითურს უფრო ათბობდა, ვიდრე გამოდმითურს“)...

„ჩვენ მიერ დამოწმებულ შესიტყვებაში, წერს ავტორი, – უახლოესი ობიექტის გაუჩინარების მიზეზი შეიძლება შემდეგი იყოს: შესიტყვებისა-

თვის სუბიექტს ენიჭება მნიშვნელობა და ობიექტი შეიძლება გამოტოვებულ იქნეს, მით უმეტეს, თუ ეს ობიექტი ადვილად იგულისხმება, ე. ი. მოცემული სიტუაციისთვის მიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ **მზენათებს, აცხუნებს** და **ათბობს** და არა ის, თუ **რასანათებს, აცხუნებს** და **ათბობს**. როდესაც კონკრეტულად ობიექტზე მითითებაა საჭირო, ის აღდგება“ [სუხიშვილი, 1986, 61].

მთავარი, როგორც ჩანს, მართლა ის ფაქტორია, რომ **ჩავარდნილი ობიექტი ადვილად იგულისხმება**, – ამდენად, ძნელი არ იქნება ამგვარ ცვლილებაში ენობრივი ეკონომიის ტენდენცია და გამოვლინება დავინახოთ.

საობიექტო ქცევის გარდამავალ ზმნებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ „შესიტყვებებში, სადაც საობიექტო გარდამავალი ზმნა მონაწილეობს, შეიძლება უახლოესი ობიექტის ფარდი სახელი არ დადასტურდეს“ [სუხიშვილი, 1986, 61]; სათანადო კონტექსტებითურთ განხილულია ზმნური ფორმები: გაუჩირადდნა, მოუჩრდილა, მოუყრუა, გაუხუმრა, შემოუტია, უღრენს, უსტვინა, წაუბორძიკა, მოუხშირა, შეუთამამა“ [სუხიშვილი, 1986, 62].

საინტერესოა შემთხვევები, როდესაც დასტურდება **სუბიექტის** ელიფსი-ნამყო ძირითადში, როცა სუბიექტად მესამე პირი გვაქვს. ეს მოვლენა, – აღნიშნავს ავტორი, – გარდამავალი ზმნის ნატვრით კილოს ახასიათებს.

წარმოდგენილია სათანადო მასალა:

ნეტავი ერთხელ კიდევ **დამანახვა** და **მომკლა** მეთქი (რუსუდ. 533,26); **ნეტავ** სულ შენთან **მამყოფა** (აკაკი, IV,361); ახ, **ნეტავი** ჩემ შვილებს **მიუტანაო!** (ვაჟა, VI,29); ახ, **ნეტავ** ერთხელ მაინც **ამომასუნთქა** (ი. ევდ. 120), **ნეტავ**, ფრინველად **მაქცია**, **დამსვა** მაღალსა მთაზედა (ხალხ., 213); **ნეტავი**, ქალო, ფიფქი **მქნა** (ხალხ., 196); ახ, **ნეტავი**, ხელში კი **ჩავგავდებინა**, **შეგვაჭამა**, რომ მოგვესპო მაგისთვის სიცოცხლე (ვაჟა, VI,13); **ნეტა გამაგებინა**, ვინ არის ის უბედურ დღეზე გაჩენილი (ნ.ლომ., 151, 25); **ნეტავი**, მეც ბულბულად **მაქციაო** (ვაჟა, VI, 13); **ნეტა** ახლა **გაგაგიჟა**, რა ძვირად გიღირს, – შენ **გაგაგიჟა**, თუ კარგიაო (უიარალო, II, 334); **ნეტავი**, **მაჩვენა** მისი ბანცალი (უიარალო, I, 43); **ნეტავ**, მაგ კბილებზედ **მიმაჭახუნებინა** ეს ჭიქა (ხომლი, 1969, II, 127); **ნეტა** ასე **მომკლა** (გ. წერ. II, 404); უკ, **ნეტავი** ერთი სამიანი **მიმაღებინა** და მეტი არაფერი მინდაო („ცისკარი“, 1967, 9,66); **ნეტავ**, იმდენ ხანს **მაცოცხლა**, ვიდრე ომის ვარამი ჩაივლის (კ. კობ., „მეწყ.“, 129)... [იხ. 91].

შ. აფრიდონიძის აზრით, ამგვარ შესიტყვებებში გრამატიკულ სუბიექტად მხოლოდ მესამე პირი გვევლინება, ამიტომ მისი დასახელება თანდათან ზედმეტი ხდება. ეს ნაგულისხმევი „შეიძლება ნატვრის ერთერთ მუდმივ ატრიბუტად ვიგულოვოთ“ [აფრიდონიძე, 1970, 24].

ნამდვილად ჭარბობს შემთხვევები, როდესაც გრამატიკულ სუბიექტად მესამე პირი გვევლინება, მაგრამ სხვა პირებიც გვხვდება ამ ფუნქციით (ამის ერთი მაგალითი ზევითაც დასტურდება:

ნეტა ახლა **გაგაგიჟა**, რა ძვირად გიღირს, – შენ **გაგაგიჟა**, თუ კარგაო (უიარალო, II, 334));

ეს ცაცხვიც როგორ დამგურგურებს, **ნეტავ, გაჩვენა** (<https://1tv.ge/elit/bela-chekurishvilis-leqsebi/5/>);

ნეტავიწამოგახედა, მთაწმინდაკიდევგაჩვენა (ლეონიძე)...

სუბიექტის ფუნქცია ნატვრითი კილოს გადმოცემისას ირიბ ობიექტს ეკისრება (თუ ზმნა სამპირიანია): **გამაგებინა მან მე ის** და **ნეტავ გამაგებინა მე ის**, და უახლოეს ობიექტს – თუ ზმნა ორპირიანია: **მამყოფა მან მე** და **ნეტავ მამყოფა მე**. თუ ზმნურ შესიტყვებაში უახლოესი ობიექტი არ გვაქვს, ნატვრითი კილოს გამოხატვისას მხოლოდ ირიბი ობიექტილა დაგვრჩება სუბიექტის ფუნქციით: **ამომასუნთქა მან მე** და **ნეტავ ამომასუნთქა მე** [სუხიშვილი, 1986, 92].

საყურადღებოაერთი ნიუანსი:**ზმნის წყობა პირის კლებისას ობიექტურია**.

საერთოდ, რთული სათქმელია, რა შემთხვევაში, რა ტიპის ზმნებშია მოსალოდნელი და რეალიზებული პირის კლება, თუმცა ამ მხრივ ნამდვილად გამოირჩევა**კაუზატიური ფორმები:ობიექტური წყობის შემთხვევაში**– მათ სისტემურად და სტაბილურად აქვთ **პირის კლებით ოპტატივის გამოხატვის** გრამატიკული რესურსი.

საინტერესოა, რომ ეს ეხება არამხოლოდ ფორმით კაუზატიურ ზმნებს (resp. შუალობითი კონტაქტის ფორმებს), არამედ ე.წ. სემანტიკურ (პირველად) კაუზატივებსაც.

ორიოდე სიტყვით თავად კაუზაციის არსის შესახებ:

როგორც ცნობილია, ზოგადად კაუზაცია მიზეზობრივ განპირობებულობას გულისხმობს. მოქმედების მიზეზია S-ური პირი (ტერმინ „კაუზატივის“ ქართული ეკვივალენტი იქნება „მიზეზობითი“).

აკაკი შანიძე კონტაქტის სახელით აღნიშნავს „გარდამავალი ზმნის ფორმას, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი მოქმედებს პირდ. ობიექტზე უშუალოდ ან სხვა პირის შუალობით. ამის მიხედვით გვაქვს ორი კონტაქტი: უშუალო და შუალობითი (resp. უმეშვეო და მეშვეობითი).

უშუალოა კონტაქტი, რომელიც აღნიშნავს, რომ სუბიექტური პირი მოქმედებს პირდ. ობიექტზე უშუალოდ, სხვა პირის ჩაურევლად: ვწერ, ვხატავ, ვაშენებ, ვიჭერ.

შუალობითია კონტაქტი, რომელიც აღნიშნავს, რომ სუბიექტური პირი მოქმედებს პირდ. ობიექტზე სხვა პირის შუალობით: ვაწერინებ, ვახატვინებ, ვაშენებინებ, ვაჭერინებ.

შუალობითი კონტაქტის ფორმას დამოუკიდებლად კაუზატივს ეძახიან, ანუ ფაქტიტივს, ზოგჯერ აგრეთვე იძულებითსაც“ [შანიძე, 1980, 358].

კაუზაციისთვის არსებითი ხასიათის მომენტია: **ის პირი, რომელსაც ზმნის ფორმის მიხედვით „აიძულებენ“ (რეალური მოქმედი), სულიერი უნდა იყოს**.

ეს კაუზაციის იმანენტური ფაქტორია, შინაგანად განმაპირობებელი და მამოდრავებელი, პირობაა.

„ბატონი ყმას ამუშავებს“ ტიპის წინადადებები, – წერს გ. ნებიერიძე, – ავ. შანიძის მიხედვით, არ წარმოადგენენ კაუზატიურ კონსტრუქციებს, არ გამოხატავენ შუალობით კონტაქტს... თუ კაუზაციას აღვნიშნავთ „აიძულებს“ სიტყვით, მაშინ მოცემული წინადადების სტრუქტურა ასე უნდა წარმოვიდგინოთ: **ბატონი აიძულებს ყმას... ყმა მუშაობს.** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბატონი ყმას ამუშავებს“ წინადადებაში გამოიყოფა მატრიცული (ბატონი აიძულებს ყმას) და ჩართული (ყმა მუშაობს) წინადადებები, რომელთა კაუზაციური გაერთიანების შედეგად მიიღება „ბატონი ყმას ამუშავებს“ წინადადება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ამუშავებს“ ზმნა კაუზატივია, ხოლო ამ ზმნის შემცველი „ბატონი ყმას ამუშავებს“ წინადადება – კაუზატიური კონსტრუქცია [ნებიერიძე, 158-160].

პრინციპულად გამოსარიცხი არ არისორპირიანი გარდამავალი ზმნის კაუზატიურობა. ამის ერთ-ერთი ილუსტრაციაა სწორედ **„ამუშავებს“** ზმნა, რომლის არაკაუზატიური ძირეული ცალია **„მუშაობს“**.

მაგრამ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ **„ამუშავებს“** კაუზატიურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის პირი, რომელსაც **„მუშაობას აიძულებენ“**, კონტექსტის მიხედვით სულიერია („ბატონი ყმას ამუშავებს“).

მაგრამ ვნახოთ ასეთი კონტექსტი: **„ყმა მიწას ამუშავებს“**.

რა თქმა უნდა, ვერ წარმოვადგენთ მოცემული წინადადების სტრუქტურას ასე: **ყმა აიძულებს მიწას... მიწა მუშაობს.**

ფაქტია, რომ „ამუშავებს“ აღნიშნულ კონტექსტში არაკაუზატიური ფორმაა, მისი საოპოზიციო კაუზატიური ფორმაა „ამუშავებინებს“ („ბატონი ყმას მიწას ამუშავებინებს“).

ამგვარად, „ამუშავებს“ ფორმა თავისთავად არ იძლევა არავითარი დასკვნის გაკეთების საშუალებას (კაუზაციის თვალსაზრისით); მხოლოდ კონტექსტი წარმოაჩენს, იძულებით, რაღაც მიზეზით განპირობებული თუ „ჩვეულებრივი“ მოქმედება სრულდება.

ქველ-ის მიხედვით შუალობითი კონტაქტის ფორმები ასეთი ფორმულირებებით წარმოგვიდგება: **აიძულებსან საშუალებას აძლევს, დაავალლებს**(რაღაც გააკეთოს), **დაეხმარება**(რაღაცის გაკეთებაში), **ხელს შეუწყობს, საშუალებას მისცემს, აიძულებს ან სთხოვს, აიძულებსან ხელს შეუწყობს...**

სწორედ ამ ფორმულირებებში ჩანს სრულად კაუზატიური მიმართებების სპექტრი და სპეციფიკა, რომელიც მხოლოდ იძულებასა თუ მიზეზზე არ დაიყვანება; იძულებისა თუ სუბიექტის მიზეზით განხორციელებულ მოქმედებაზე ვერ ვიმსჯელებთ, როდესაც კაუზატიური ფორმის პერიფრაზირებისთვის ვიყენებთ ფორმულირებებს: **საშუალებას აძლევს** (რაღაც გააკეთოს), **დაეხმარება**(რაღაცის გაკეთებაში), **ხელს შეუწყობს, საშუალებას მისცემს.**

აკეთებს მოქმედების გამომხატველი ფორმაა; ამ ზმნის კაუზატიური ფორმის განმარტებაში პრაქტიკულად სრულადარის განხორციელებული სემანტიკური დახასიათება:

აკეთებინებ-ს კაუზატ. აკეთებს ზმნისა **ავალებს** აკეთოს, კეთების **სა-შუალეზას ამღვეს, კეთებაში ეხმარება**. უფროს ქალიშვილს არაფერს **აკეთებინებს** (ვ. ლორთქ.). მოსე მამასახლისს და სოფლის მსაჯულებს, როგორც უნდოდა, ისე ატრიალებდა, რაც თითონ სურდა, იმას **აკეთებინებდა** (ე. ნინოშ.).

ხან სუბიექტია მიზეზი მოქმედებისა (მისგან მოდის მოქმედების ინიციატივა), ხოლო რეალური შემსრულებელი ირიბი ობიექტია, ხანაც სუბიექტი და ირიბი ობიექტი ერთობლივად ასრულებენ მოქმედებას, – ცხადია, ეს ნიუანსები უნდა აისახოს კაუზატივის (resp. შუალობითი კონტაქტის) ფორმათა განმარტება-ინტერპრეტაციებსა და თავად კატეგორიის-დეფინიციებშიც.

როგორც ზევით აღინიშნა, აორისტის ოპტატიურ (ნატვრით) ფორმებში, პირველ რიგში, სწორედ კაუზატიური (resp. შუალობითი კონტაქტის) ზმნები გამოირჩევა. კაუზატივების თხრობითი კილოს ფორმებმა რომ ოპტატიური შინაარსი შეიძინონ, ამისთვის ორი პირობაა საჭირო:

ზმნის ობიექტური წყობა + სუბიექტური პირის ჩავარდნა:

გამაკეთებინა მან მე ის > გამაკეთებინა მე ის
 დამახატვინა მან მე ის > დამახატვინა მე ის
 დამაწერინა მან მე ის > დამაწერინა მე ის
 გამაღებინა მან მე ის > გამაღებინა მე ის
 გამაწვევინა მან მე ის > გამაწვევინა მე ის
 გამარეცხვინა მან მე ის > გამარეცხვინა მე ის
 დამაბარვინა მან მე ის > დამაბარვინა მე ის
 გამათოხნინა მან მე ის > გამათოხნინა მე ის...

ეს არის მწყობრი, გამართული სისტემა. ამ სიმწყობრეს, პირველ რიგში განაპირობებს ის ფაქტორი, რომ **სუბიექტური წყობის ყველა კაუზატიურ ფორმას აქვს ობიექტური წყობის სათანადო ცალი**.

კიდევ ერთი გარემოებაა თვალშისაცემი: ამგვარი ტრანსფორმაციის შედეგად ზმნის ფორმაში **რჩება კაუზატივის მარკერები, თუმცა ეს ფორმა სათანადო სემანტიკისგან დაცილია**. ანუ, ეს არის **ფორმისა და შინაარსის დაცილების კიდევ ერთი შემთხვევა**.

მოდალური ტრანსფორმაციის ასეთივე მექანიზმი მოქმედებს არამარკირებული კაუზატივების შემთხვევაშიც:

მანახა მან მე ის > **მანახა** მე ის
მალაპარაკა მან მე ის > **მალაპარაკა** მე ის
მაჭამა მან მე ის > **მაჭამა** მე ის
მასვა მან მე ის > **მასვა** მე ის...

მაყვირა მან მე > **მაყვირა** მე
მაცინა მან მე > **მაცინა** მე
მატირა მან მე > **მატირა** მე
მამუშავა მან მე > **მამუშავა** მე
მარბენინა მან მე > **მარბენინა** მე...

უნდა აღინიშნოს, რომ საკლასიფიკაციო ნიშანი ან ნიშნები, რომელთა გათვალისწინებითაც ესა თუ ის ფორმა პირველად კაუზატიურ ზმნათა სისტემაში უნდა მოხვდეს, ბოლომდე მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. ამის გამო ხშირია კონკრეტულ ფორმათა სტატუსთან დაკავშირებული გაურკვეველობა.

კაუზატიურად მიჩნეული არამარკირებული ზმნებისთვის პერიფრაზირების გარკვეული მოდელი არსებობს: **აჩენს** (ის ჩანს იმიტომ, რომ მას აჩენენ), **ადულებს** (ის დულს იმიტომ, რომ მას ადულებენ), **ატრიალებს** (ის ტრიალებს იმიტომ, რომ მას ატრიალებენ), **ატირებს** (ის ტირის იმიტომ, რომ მას ატირებენ)... **რევს** (იგი ირევა იმიტომ, რომ მას იგი რევს), **ჩეკს** (ის იჩეკება, რადგან მას ჩეკენ), **ხადებს** (იგი იხადება, რადგან მას ხადებს) და სხვა [დამენია, 112].

ამ „პრინციპით“ კაუზატიური გამოდის ნებისმიერ გარდამავალი ზმნა; მაგ.: **კლავს** ის მას (ის კვდება იმიტომ, რომ მას კლავენ), **წერს** ის მას (ის იწერება იმიტომ, რომ მას წერენ); **ჭამს** ის მას (ის იჭმება იმიტომ, რომ მას ჭამენ), **ჭრის** ის მას (ის იჭრება იმიტომ, რომ მას ჭრიან); **ხნავს** ის მას (ის იხვნება იმიტომ, რომ მას ხნავენ); **თიბავს** ის მას (ის ითიბება იმიტომ, რომ მას თიბავენ)...

მეტცი: მიზეზ-შედეგობრივი მიმართება შეიძლება „აღმოვაჩინოთ“ გარდაუვალ ზმნებშიც; მაგ.: ის **იხატება** (იმიტომ, რომ მას ხატავენ); ის **კვდება** (იმიტომ, რომ მას ხატავენ); ის **ხმება** (იმიტომ, რომ მას ახმობენ)...

ერთ-ერთ **საკლასიფიკაციო ნიშნად** უნდა გამოდგეს სწორედ კაუზაციის ადრესატად **სულიერით** აღნიშნული პირის განსაზღვრა.

ამ თვალსაზრისით **აორისტისოპტატივისფორმებთან დაკავშირებული ტრანსფორმაცია შესაძლოა კიდევ ერთ სადიფერენციაციო ნიშნად გამოდგეს** და სულაც ასე დაისვას საკითხი: კაუზატიური შინაარსისაა ზმნა (ზოგადად), რომელსაც აქვს უნარი აწარმოოს ნატვრითი კილოს ფორმები აორისტში.

როგორც აღინიშნა, მოდალური ტრანსფორმაციისთვის აუცილებელი პირობაა ობიექტური წყობა, მაგრამ ეს არის ერთ-ერთი პირობა; სხვაგვარად: ეს არ ნიშნავს, რომ ობიექტური წყობის ყველა ზმნას აქვს ამგვარი ცვლილების გრამატიკული რესურსი:

გვაქვს:	არა გვაქვს:
მომწერა მან მე ის	მომწერა მე ის
მიპასუხა მან მე ის	მიპასუხა მე ის
მითხრა მან მე ის	მითხრა მე ის
გამიკეთა მან მე ის	გამიკეთა მე ის
მთხოვა მან მე ის	მთხოვა მე ის...

პირის კლება გვარისა და ქცევის კატეგორიის სისტემაშიც ვლინდება.

გვაქვს **ვნებითი გვარის კაუზატივებიც**, რაც აპრიორი ნიშნავს კონსტრუქციიდან ირიბი ობიექტის ამოვარდნას (ვნებითად მოქცევისას მოქმედებითი გვარის კაუზატივი **ორპირიანიხდება**). ეს არის, ასე ვთქვათ, რეფლექსური კაუზატიური კონსტრუქციების ტრანსფორმაციის შედეგი:

დაახატინა მან მას ის(თავი)>**დაეხატინა** ის მას

დააჭერინა მან მას ის(თავი)>**დაეჭერინა** ის მას...

ეს მოვლენაცნობილია, როგორც **კონვერსია**, მოქმედებითი გვარის ზმნის ვნებითად გარდაქმნა, რასაც ყოველთვის ახასიათებს პირის კლება: კაუზატიური ზმნებიც უბამენ მხარს ამ ტენდენციას, თუმცა აქვე ისიცაა აღსანიშნავია, რომ ვნებითი გვარის ამგვარი კონვერსიული კაუზატიური ფორმები შედარებით ნაკლებად გვხვდება; არსებობს გარკვეული მოდელი, ყალიბი, თუმცა, რა თქმა უნდა, თავად ეს წარმოება სისტემური და ბუნებრივი, პროდუქტიულიარის არაკაუზატიური ფორმების შემთხვევაში:

აკეთებს ის (კაცი) მას (საქმეს) >**კეთდება** ის (საქმე) [მის (კაცის) მიერ]

აშენებს ის (მშენებელი) მას (სახლს) >**აშენდება** ის (სახლი) [მის (მშენებლის) მიერ]...

ამ შემთხვევაში ჩავარდნილია სუბიექტური პირი, თუმცა თუ ვიცით ამოსავალი კონსტრუქცია, მარტივია მის მიხედვით სიღრმისეული სუბიექტის აღდგენა.

მსგავსი მექანიზმი ჩანს პირის კლებისას **სათავისო ქცევის** რეფლექსურ კაუზატივებშიც:

გააკეთებინა მან მას ის (**თავისთვის**)> გაიკეთებინა მან ის

დაახატინა მან მას ის (**თავისთვის**)> დაიხატინა მან ის...

ასეთი ტრანსფორმაციებს შეიძლება მოჰყვეს კაუზატიური მიმართებების ნიველირება:

„გაიტება – გაიტებიან“: „ოთარაანთ ქვრივი ... ჯერ ხომ გულმა გასტება, მერე თვითონ მოერია გულსა, თვითონ **გაიტებიანა** გული (ჭავ.). გად(ა)ვიგდებ –**გად(ა)ვიგდებიანებ**, მოვიგდე – **მოვიგდებიანე**: **„გადვიგდებიანებთ** მაშინა ყინულის ლოდსა ქედითა“ (ვაჟა, „მთათ მითხრეს“, I, 87, 15). გაყრა – **გაყრევიანება**, გადაყრა – **გადაყრევიანება**, მოყრა – **მოყრევიანება**: „თავი ამბობს: „მოიცა ამ კავებს **გავიყრეინებ** (ვაჟა, V, 437, 13); „როდესაც (წიფლის) ხე წაიქცა, გუგულის კაბამ **გადიყრეინა** ზევიდამ ფოთლები და წითლად გამობრჭყვინდა“ (ვაჟა, „ია“)... „მთელი საათი ვიწმინდეთ თავი და ტანი, და როგორც იყო, **გავიყრეინეთ** ზედასხმული ბურდო“ (იქვე, 161, 28)..."

ა. შანიძის აზრით, „ეს არის ნიმუში ფორმისა და ფუნქციის ერთმანეთისაგან დაცილებისა. შეიძლება ეს ამბავი გარკვეულ ზმნებთან იყოს დაკავშირებული (გატებიანება, გაყრევიანება, მოგდებიანება), ისიც გარკვეულ კილოში (ვთქვათ, ფშაურში“ [შანიძე, 1980, 366].

აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ ქართულში სამპირიანი ზმნებისთვის მესამე სერიაში დამახასიათებელია პირის კლება:

სთავაზობს **ის მას მას** – შესთავაზა **მან მას ის** – შეუთავაზებია **მას ის**(მისთვის)

სწერს **ის მას მას** – მისწერა **მან მას ის** – მიწერია **მას ის**(მისთვის)...

ბუნებრივია, რომ ამ ტენდენციას მხარს უჭერს კაუზატიური ფორმებიც (მოქმედებითი გვარისა და ნეიტრალური ქცევის ყველა კაუზატივი სამპირიანია):

აწერინებს **ის მას მას** – დააწერინა **მან მას ის** – დაუწერინებია **მას ის**(მისთვის)

ახატვინებს **ის მას მას** – დაახატვინა **მან მას ის** – დაუხატვინებია **მას ის**(მისთვის)...

ერთმანეთს შევადართო ორი კონსტრუქცია:

(1) **გამაკეთებინა** მან მე ის > **გამაკეთებინა** მე ის

(2) **გამაკეთებინა** მან მე ის – **გაუკეთებინებია** მას ის (ჩემთვის)

პირველ შემთხვევაში **სუბიექტური** პირია ჩავარდნილი, ხოლო მეორეში **ირიბი ობიექტი**.

პირველ შემთხვევაში შეიძლება ვთქვათ, რომ სუბიექტური პირის ფუნქცია თითქოს ირიბმა ობიექტმა იტვირთა, – ეს არ არის მოულოდნელი კაუზაციაში ირიბი ობიექტის აქტიური როლის გათვალისწინებით.

მეორე შემთხვევაში ანალიზისთვის აუცილებელია სიდრმისეული ირიბი ობიექტის აღდგენა, – **სხვაგვარად გრამატიკული ინფორმაცია ზუსტი და სრული ვერ იქნება**.

საყურადღებოა, რომ ნატვრითობის გადმოსაცემად გამოყენებულია **აორისტის ფორმა**.

ამ ფუნქციის მქონე აორისტის ფორმებს მოდალური ელემენტები ან კავშირი ახლავს: *ნეტავ/იქნებ/ერთი/ოღონდ/რომ* დამაჭერინა = დამაჭერინა. შესაძლოა არ ჩანდეს, მაგრამ კონტექსტის მიხედვით ისინი ყოველთვის იგულისხმება.

ასეა ზანურშიც, მხოლოდ აქ კონსტრუქციაში **ნი** („რომ“) კავშირი აუცილებელია: **მოჭარაფუთიქ მა თინა** „მაწერინა“ **მან მე ის – მოჭარაფუნ** „რომ მაწერინა მე ის“.

ბ. ქობალავა თვლის, რომ ნატვრითი ნაწილაკის დართვა სავალდებულო აღარც არის მეგრულში. მართლაც, ის შეიძლება არ შეგვხვდეს სათანადო ფორმებთან, თუმცა ყოველთვის იგულისხმება და ადვილად აღდგება.

მკვლევრის დაკვირვებით, მეგრული ნატვრითის ფორმებისთვის ამოსავალია აორისტის თხრობითილოიანი ობიექტური წყობის გარდამავალი ზმნის ორპირიანი და სამპირიანი (უშუალო და შუალობითი კონტაქტის) ფორმები. ნატვრითი შინაარსის გადმოცემისას ხდება კონვერსია: ისინი კარგავენ სუბიექტურ პირს, ხოლო პირდაპირი ობიექტი გვევლინება სუბიექტის როლში: **ქემერჩუ** (თიქ სი თინა) „მოგცა მან შენ ის“ – ნიტე **ქემერჩუნი** (სი თინა) „ნეტავ მოგცა შენ ის“, **დომოჭარაფუ** (თიქ მა თინა) „დამაწერინა მან მე ის – ნიტე **დომოჭარაფუნი** (მა თინა) „ნეტავ დამაწერინა მე ის“ [ქობალავა, 2001, 116].

აქტივისგან კონვერსიის შედეგად მიღებულ ვნებითს აქვს, ასე ვთქვათ, კანონიკური კონსტრუქცია. მისგან განსხვავებით ნატვრითის ფორმებს **დეფექტური კონსტრუქცია** აქვთ. ასეა ეს მეგრულშიც.

ქართულისგან განსხვავებით, მეგრულში არა მხოლოდ აორისტს, არამედ **კავშირებითი მეორის** ნაკვთსაც აქვს ელიფსის უნარი, რასაც სათანადო სემანტიკური ცვლილებები ახლავს თან:

მოკარაფუას თიქ მა თინა „მაწერინოს მან მე ის“ >**მოკარაფუას** მა თინა („მაწერინა მე ის“; *ზედმიწ.*: „მაწერინოს მე ის“)

მორაგადაფუას თიქ მა თინა „მალაპარაკოს მან მე ის“ >**მორაგადაფუას** მა თინა („მალაპარაკა მე ის“; *ზედმიწ.*: მალაპარაკოს მე ის“)...

აქაც ეს არ არის მხოლოდ შუალობითი კონტაქტისფორმათა თავისებურება, – ამ სისტემაში არამარკირებული კაუზატივებიც ერთიანდებიან:

ქომოძირუთიქ მა თინა „მაჩვენა მან მე ის“>**ქომოძირუნი**მა თინა „მაჩვენა მე ის“/ **ქომოძირას** მა თინა„მაჩვენა მე ის“ (*ზედმიწ.*: „**მაჩვენოს** მე ის“)...

გინმორთინუ თიქ მა „მაქცია მან მე“>**გინმორთინუნი** მა „მაქცია მე“/ **გინმორთინუას**მა „მაქცია მე“ (*ზედმიწ.*: „**მაქციოს** მე“)...

საინტერესოდ და, ვფიქრობთ, ზუსტად არის დაფიქსირებული განსხვავება **კავშირებითისა** და **ნატვრითი** კილოს ფორმებს შორის მეგრული მასალის მიხედვით: „კავშირებითში (განურჩევლად წყობისა) გამოხატულია სუბიექტის მიერ მოქმედების შესრულების სურვილი (**ნიტე ვკარუნდე** „ნეტა ვწერდე“, **ნიტე რხანტუნდას** „ნეტა გხატავდეს“). ნატვრითი კილოს ფორმებში მოქმედების შემსრულებელი პასიურია. სანატვრელი, სასურველი არის არა მოქმედების შესრულება, არამედ უფრო მოქმედების შესრულების უნარი“ [ქობალავა, 2001, 116].

ცხადია, ასევე შეიძლება აიხსნას ქართულის ელიფსური ოპტატივის სემანტიკური არსიც.

„წყვეტილი **დროის** მიხედვით ძირითადად წარსულია, ამ შემთხვევაში მას **თხრობითი კილოს** მნიშვნელობა აქვს („ტყემ **მოსხა** ფოთოლი“), მაგრამ წყვეტილის მეორე პირის ფორმას, თხრობითის გარდა, შეიძლება **ბრძანებითი კილოს** მნიშვნელობაც ჰქონდეს, წართქმითი ბრძანებითისა. ამ შემთხვევაში დრო მომავალი იქნება. შდრ.: შენ ნამდვილად ვაჟკაცურად **იცხოვრე**, ბევრი **იშრომე**... და ვაჟკაცურად **იცხოვრე!** ბევრი **იშრომე!**“ პირველ წინადადებაში **იცხოვრე**, **იშრომე** წარსული დროის თხრობითი კილოს ფორმებია, მეორე წინადადებაში კი წყვეტილის მწკრივის იმავე ზმნებით ბრძანებითი კილო და მომავალი დროა გადმოცემული“ [გეგუჩაძე, 2001, 53].

აღმოჩნდა, რომ წყვეტილის ფორმას კონტექსტის მიხედვით არა მხოლოდ **თხრობითი** ან **ბრძანებითი** კილოს, არამედ **კავშირებითი კილოს** გრამატიკული შინაარსიც შეიძლება ჰქონდეს ქართულში.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოდ აორისტის ნაკვთის დახასიათება კილოს თვალსაზრისით ქართულში ცალსახა ვერ იქნება: ამ ნაკვთის ფორმებს შეიძლება ჰქონდეს როგორც **თხრობითი**(გააკეთა, დაწერა...), ისე **კავშირებითი** (ოპტატივს კავშირებითის მოდალურ ვარიაციად განვიხილავთ)(დამაწერინა მე ის) და **ბრძანებითი** (დაწერე!)კილოს გაგება.

კიდევ ერთი საკითხი: ოპტატიური სემანტიკის კაუზატიურ ზმნებს აქვთ დეფექტური კონსტრუქცია: **გამაკეთებინა მე ის/გააკეთებინა შენ ის/გააკეთებინა მას ის**ცხადია, ვერ დადგება **აქვს მას ის**კონსტრუქციის გვერდით.

ლიტერატურა

აფრიდონიძე 1970 – შ. აფრიდონიძე, შემასმენლისა და ნაწილაკის სინტაქსური ურთიერთობა ქართულში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1970, 3 (18);

გეგუჩაძე 2001 – ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, ნაწილი მესამე, თბ., 2001;

დამენია 1982 – ქართული ზმნის მორფემების სტრუქტურული მოდელები, თბ., 1982;

ნებიერიძე 1984 – გ. ნებიერიძე, გვარისა და კაუზატივის ურთიერთმიმართება ქართულში, საენათმეცნიერო კრებული, I, 1984;

სუხიშვილი 1986 – მ. სუხიშვილი, გარდამავალი ზმნები ქართულში, თბ., 1986;

ქობალავა 2001 – ბ. ქობალავა, კავშირებითის კილო მეგრულში, ენათმეცნიერების საკითხები, N 4, თბ., 200;

შანიძე 1980 – ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1980.

Chabuka Kiria

Ellipsis of the Subject and Modal Transformation in Aorist

Summary

The aorist screeve is declarative when the verb is in the past tense. If the verb is in the future tense, the mood is imperative. It may express the grammatical meaning of the conjunctive in the optative of the objective order. Its accompanying process is the ellipsis of the person. The marked forms of causative (intermediate contact) systematically have the resource of such transformation.

In Megrelian, the conjunctive form participates in a similar structural-semantic transformation along with the aorist.

A defective construction is typical for the optative forms.

იზა ჩანტლაძე

ჩოლურული მასალა ნიკო მარის სვანურ-რუსულ ლექსიკონში

აკადემიკოსმა ნიკო მარმა ოთხჯერ (1911-1914 წ.წ.) იმოგზაურა სვანეთში. მისი მასპინძლები იყვნენ ცნობილი მოღვაწეები არსენ ონიანი (ლაშხეთი, სოფ. სასაში) და ბესარიონ ნიჟარაძე (ბალსზემო სვანეთი, სოფ. უშგული). სწორედ ამ სამეცნიერო კონტაქტების შედეგია ნ. მარის "Сванско-русский словарь" (1916 წ.), რომელიც შეიცავს 283 გვერდს და ხელნაწერის სახითაა დაცული რუსეთის მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიის სანკტ-პეტერბურგის არქივის №800 ფონდში, სადაც ის შეცდომით იდო სრულიად სხვაგან საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, მაგრამ რის ვაი-ვაგლახით, როგორღაც მოვახერხეთ და მივუჩინეთ თავისი ადგილი. არქივის თანამშრომელთა განცხადებით, ამ ლექსიკონზე გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში მუშაობდა ნ. მარის მოწაფე, პროფესორი იოსებ მეგრელიძე, მაგრამ ჯერჯერობით ამ მუშაობის შედეგს ვერსად მივაკვლიეთ.

დიდი ტანჯვა-წამების შემდეგ, როგორც იქნა, მოვიპოვეთ საანალიზო ნაშრომის მხოლოდ 20 გვერდი (მთელი ხელნაწერის შეძენას ჩვენი სამი თვის ხელფასი სჭირდება!..) და მისმა შედარებამ ამ ლექსიკონის ერთ-ერთ ნაწილთან ("Извлечение изъ сванско-русскаго словаря"), რომელიც თავად ნ. მარმა გამოსცა 1922 წელს, გვიჩვენა მეტად საინტერესო შედეგი:

ლექსიკონში წარმოდგენილია სვანური ენის ყველა დიალექტისა და ზოგი მნიშვნელოვანი კილოკავის მასალა. ინტერფერენცირებულ მეტყველებათა შორის ნ. მარს საგანგებო ყურადღება მიუქცევია ჩოლურულისთვის, თუმცა **კოდორული მეტყველება ნახსენებიც კი არსად აქვს**. სხვა ხელნაწერიდან ("Поездка в Абхазию из Сваний", 1912) ვიგებთ, რომ სვანეთიდან პეტერბურში მიმავალ გზაზე, კოდორის ხეობაში (ჰარვის მთაზე) მას შეხვედრია აფხაზი (სოფელ ჯგერდიდან) მწყემსი, რომლისგანაც ჩაუწერია აფხაზური ენის მასალები.

აშკარაა, რომ ნ. მარს გამოყენებული აქვს ა. გრენის "Грамматические заметки" (СМОМПК, X, Тифлиси, 1890), რომელშიც **პირველად იქნა ფიქსირებული ჩოლურული მეტყველების ნიმუშები, თუმცა შეცდომებით საფსე**. იგი ყველგან ცდილობს მათ გასწორებას.

როგორც ჩანს, ნიკო მარმა დაიწყო კიდეც სვანეთში ოთხჯერ მოგზაურობის განმავლობაში მის მიერ ჩაწერილი და სვანებთან გადამოწმული სალექსიკონო მასალის ბეჭდვა, მაგრამ, ვინ იცის, სადაა ეს ამონაბეჭდები?! –

აღბათ, ისიც რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის სანკტ-პეტერბურგის არქივის ფონდში! აი, რას წერს თავად ნ. მარი "Сванско-русскій словарь"-ის შესახებ 1922 წელს: "Въ виду накопления большого лексического матеріала въ печатныхъ текстах, **я вынужденъ былъ прервать печатаніе своего Сванско-русскаго словаря на буквѣ г**, послѣднемъ звукѣ изъ гласныхъ, чтобы выполнить и переработать провѣренный или собранный мною вновь за четыре поѣздки въ Сванію лексическій матеріаль. Академію Наукъ было поставлено издать набранную часть словаря "как **specimen**, чтобы использовать ее как руководство для собирателей" (Маррь, 1922: III).

მეტად საინტერესოა სვანური ენის დიალექტ-კილოკავების ნ. მარისეული კლასიფიკაცია და მისი აზრევიატურა, რომელიც მეცნიერისთვის „სვანურ დიალექტურ სახესხვაობათა (говоры и нарѣчій) სახელწოდებების **ჩვეულებრივი** (привычные) **შემოკლებები** (1915: 770).

ВС – Верхняя Сванія (Верхне-ингурская Сванія) ზემო სვანეთი (ზემოენგურული სვანეთი).

НС – Нижняя Сванія (Нижне-ингурская Сванія) ქვემო სვანეთი (ქვემოენგურული სვანეთი).

ЦС – Цхенис-цѣльская Сванія (ცხენისწყლური სვანეთი).

у	– ушкульскій	Верхне-ингурская Сванія	უშგულური;
шх	– лāшхскій ¹	Цхенис-цѣльская Сванія	ლაშხური,
чл	– чолурскій		ჩოლურული,
тх	– лентехскій		ლენტეხური;
б	– бечойскій	Нижне-ингурская Сванія	ბეჩოური,
э	– эцерскій		ეცერული,
п	– парскій		ფარული,
тр	– таврарскій		თავრარული,
х	– лахамульскій		ლახამულური;
хл	– халдскій	Верхне-ингурская Сванія	ხალდური,
ип	– ипарскій		იფარული,
м	мж – мужальскій мл – мулахскій ²		მუჟალური, მულახური.

¹ **шх**თი ზოგჯერ აღინიშნება лашхетскій говоръ верхне-цхенисцѣльскаго нарѣчія (1911, გვ. 1999).

² სხვაგან (1911, გვ. 1199; 1915, გვ. 770) ნ. მარი უფრო აკონკრეტებს **м** აზრევიატურაში ნაგულისხმებ მეტყველებას (мужальскій и мулахскій говоръ верхне-ингурскаго нарѣчія ან мужало-мулахскій).

ნ. მარის ლექსიკონში ამა თუ ის სიტყვა-სტატიის ესა თუ ის გრამატიკული ფორმა ნაჩვენებია აბრევიატურის ზემოაღნიშნული თანმიმდევრობით (იხ. Извлечение из Сванско-русского словаря, გვ. VIII).

ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ნიკო მარის სალექსიკონო მასალა გაწყობილია უშგულურ ან ხალდურ სიტყვაფორმათა ანბანთრიგზე, ხოლო სვანური ლექსემების თარგმანებში რუსულის გვერდით გამოყენებულია ქართული ენის ამა თუ იმ დიალექტის (ძირითადად, დასავლურის) მონაცემებიც. არაერთ სიტყვა-სტატიას ახლავს მეტად მნიშვნელოვანი შენიშვნა ძირთა სეგმენტაციითა თუ ეტიმოლოგიური ანალიზითურთ.

ჩოლურულ მასალებში ერთი ძალზე საინტერესო ფონეტიკური პროცესი შევნიშნეთ:

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ სვანურ ენას ლექსემათა აუსლაუტში ახასიათებს ხშულ თანხმოვანთა გამჟღერება (**ზანგლჷგ** < ქართ. **ზანზალ-აკ-ი** „ზარი“), ნ. მარის "Сванско-русский словарь"-ში კი შემდეგი ვითარებაა: **ანტყვასგ** (шх., м.), **ანტყვსგა** (р.¹), **ანტყვსგი** (м., и.), **ანტყვასქ** (ყ.), **ანტყვასკ** (мх.), **ამტყვასგ** (ушг., тр.) – ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ი, ანუ აუსლაუტში გვხვდება როგორც მჟღერი (**გ**), ისე მკვეთრი (**კ**) და ფშვინვიერი (**ქ**) თანხმოვანი. I და II ფორმები სვანური ენის დიალექტებში არაერთხელ დაგვიდასტურებია, ფშვინვიერი ფონემა კი მხოლოდ ნ. მარს აქვს შენიშნული. თუ ჩვენი დიდებული მასწავლებლების (ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ვ. თ ო ფ უ რ ი ა, გ. რ ო გ ა ვ ა) აზრს გავიზიარებთ, ამ ლექსემისთვის ამოსავალია ჩერქეზული **მასკა** („ვარსკვლავი“) [შდრ. ძვ. ქ. **ტყ-ინ-ჯა** „ნთება“ (Марты, 1922: 29) და საერთოქართველური ძირიდან (**ტყჷენ-ტყოც** „ელვა, ნათება, ნაპერწყალი, ვარსკვლავი“) მომდინარეობის ვარაუდი (ჩუხუა, 2000-2003: 218)], ამიტომ სვანურში სრულიად მოსალოდნელი იყო, ზოგ დიალექტსა და კილოკავში აუსლაუტის მკვეთრი თანხმოვანი სადმე უცვლელად დარჩენილიყო ან სხვა სოფლებში გამჟღერებულიყო (სვანურ ენაში არსებული ფონოტაქტიკური წესების მიხედვით!), მაგრამ **სრულიად მოულოდნელია ჩოლურული ფორმის ფშვინვიერი – ქ**.

ნ. მარი იმავე სიტუაციას და ძალზე საინტერესო მსჯელობას გვთავაზობს **ლე-მესგ** („ცეცხლი“) სიტყვასთან დაკავშირებით, ოღონდ **ლემესქ** ფორმას ის ადასტურებს მარტოოდენ ხალდურსა და მულახურ-მუჟალურ მეტყველებაში, თანაც შენიშნავს, რომ **-გ თანხმოვნის ნაცვლად -ქ მხოლოდ პაუზის დროს** გამოიყენებაო (გვ. 26). რაც შეეხება ჩოლურულს, აქ ნ. მარი აუსლაუტის თანხმოვანს (არც მჟღერს, არც მკვეთრსა და არც ფშვინვიერს) საერთოდ არ ასახელებს (**ლემეს**).

აუსლაუტში **-გ/-კ/-ქ** თანხმოვანთმონაცვლეობას ნ. მარი სხვაგანაც ადასტურებს:

1. **ლი-ეს-გ-ი** („წადება, მიტანა“) მასდარის სხვადასხვა ზმნურსა თუ მიმდებობურ ფორმაში: **ლი-ეს-გ-ი** хл, м ("брать туда, относить"), **ლიესგ**, тх **ლიესკ** (მოველოდით **ლიასკ** ფორმასაცო!), э, и; х **ლიესქ** (ასე მესმის,

¹ **p** ნათესაობითი ბრუნვის (родительный падеж) აღმნიშვნელი აბრევიატურაა.

მაგრამ ლახამულელი დაჟინებით გახაზავს -გ თანხმო-
ვანსო), хл, ип **მი ხვამესგ**, э, и, х **ხვამესქ... ლაისქეთე** („წასაღებად“) – იხ.
"Извлечение", გვ. 20.

2. არსებით სახელებში:

სგიმ – у, ип, м, шх, чл, э, и, тр, х მინერალური წყალი
(кисложелѣзный источник), тх **სკიმ**, э **სქიმ**, ср. **მრრელ...**

თუმცა ჩოლურული **ანტყვასქ**, **ლიესქ**, **ხჷამსქ**, **ლაისქეთე** ან **სქიმ** თა-
ნამედროვე სვანებისთვის მთლად ბუნებრივი ფორმები არ არის, რადგა-
ნაც, დანარჩენ ქართველურ ენათაგან განსხვავებით, სვანურს თანხმოვანთა
გამჟღერების (ქვემოსვანურში გამკვეთრებისაც) პროცესი უფრო ახასია-
თებს, ვიდრე გაფშვინვიერებისა. ეს ფონოტაქტიკა, რასაკვირველია, შესა-
ნიშნავად იცოდა აკადემიკოსმა ნიკო მარმა.

ნ. მარის ლექსიკონში სვანური ენის დიალექტ-კილოკავთა მონაცე-
მებს შორის გაცილებით ნაკლებია ჩოლურული ლექსიკა, თუმცა სხვა ენა-
თაგან ნასესხებ მასალას შესადარებლად თითქმის ყოველთვის ახლავს სა-
ერთოქართველური წარმომავლობისა თუ საკუთრივ სვანური სიტყვა:

ირემ ш х., ч л., э. – олень, ср. **ლჷ-ჩჷ**

ჯოქთავ ш х., ч л., х л., м. – ребёнок дорогой, миладка, ср. **ჩიჩვილ**

ურ ш х., ч л. – молотъ деревянный (ш х., х л., м. железный) – ურო,
ср. **წირ**

ურია (< ქართ. ჰ უ რ ი ა) ч л., э., и, х. – Иудей, еврей, ш х. ურიაჲ, т х.
ურია, у. ჯირია х л., и и, м. ჯირიაჲ.

მაღალმეცნიერულ დონეზეა წარმოდგენილი ლექსიკონში სახელთა
ერთფუძიანი და ორფუძიანი ბრუნების მონაცემები (მაგალითად: ლშხ.
ლგვ-ემ || **ლგვ-ი ავუსტ** „წყლის გრძელი ჭია, რომელიც განსაკუთრებით
ავვისტოში მრავლდება“).

საოცარი რემარკები აქვს ნ. მარს თავის ნაშრომებში! – ამ მხრივ არც
სვანურ-რუსული ლექსიკონია გამონაკლისი. ჩვენი განსაკუთრებული ყუ-
რადღება მიიქცია თვლის სისტემამ, რომელიც დღემდე განსხვავებულადაა
წარმოდგენილი სვანური ენის დიალექტებში – ათობითი (ბზ./ლშხ.) და
ოცობითი (ბქ./ლნტ.). აი, რას წერს ლექსიკონის ავტორი: "**Говорили мне
въ первыя поездки сем ерჯемд** („სამი ოცი“) – **шестьдесят, но на
самомъ деле у нихъ (шх., чл.) счесть по десяткамъ**" (გვ. 13).

მეტად საყურადღებოა ჩოლურული **უსგვეშტ** („სამოცი“) ინტერფე-
რენციის თვალსაზრისით. მასში გრძელი ხმოვანია წარმოდგენილი
ლაშხურისებურად, მაგრამ იმავდროულად ლენტეხური ფონოტაქტიკაც
(**შტ < შდ**) გვხვდება, თუმცა თვლა განხორციელებულია ათობითი სისტე-
მის (ე. ი. ლაშხური დიალექტის) მიხედვით.

თანხმოვანთკომპლექსთა ბოლო ერთეულის გამკვეთრების პროცე-
სი, ძირითადად, ლენტეხური დიალექტისთვისაა დამახასიათებელი, ზოგ-
ჯერ ლაშხურ-ჩოლურულშიც გვხვდება იგი და, ალბათ, მათი გავლენით
უშგულურ მეტყველებაშიც, თუმცა ამ უკანასკნელის მეზობლად მდებარე

სოფელ ხალდეში ბალსზემოურისებური ვითარებაა. ეს მოვლენა ძალზე ფაქიზად აუსახავს ნ. მარს თავის ლექსიკონში. მაგალითად:

უსგა шесть, тх **უსკვა**; – **უსგაშტ** у, хл, иі, м (хл настаиваетъ **უსგაშდ**) шестьдесятъ, шх **უსგაშდ**, чл **უსგაშტ**; **ჯუსგაშდ**²... (გვ. 10).

აქვე ნ. მარს შესადარებლად მოჰყავს ოცეულობითი ფორმები იმავე რიცხვითი სახელისა: **სემი ერბეშტ** („სამი ორიათი“), **სუმინ ერგეშტ** („სამჯერ ორიათი“), ე. ი. სამოცი.

ელიზიური ფორმები არა მხოლოდ დიალექტების, არამედ კილოკავების მიხედვით აქვს შესწავლილი ნ. მარს და აპოსტროფიც, ძირითადად, სწორადაა აღნიშნული. მაგალითად: хл **ამექაშარ** („აქაურები“), მაგრამ იქვეა (გვ. 2) шх **ამექაშარ** და **ამექაშარ** (აპოსტროფის გარეშე). უკანასკნელი ფორმის წარმომავლობა ლექსიკონში ნაჩვენები არ არის; ვფიქრობთ, არც არსად არსებობს მსგავსი რამ, რადგანაც **ამექაშარ** < ***ამე-ქა-იშ-არ**, ამიტომ პირველი მათგანი ასე უნდა დაფიქსირებულიყო – **ამექაშარ**. შესაძლოა საუკუნის წინ, როცა ნ. მარი ჩოლურში მუშაობდა, ვინმეს ეთქვა კიდეც **ამექაშარ** (ინტერფერენციულ მეტყველებაში არაფერი აგასაკვირი!), მაგრამ წარმომავლობაზე რომ არ მიუთითა, ეს იმას ნიშნავს, რომ თავადაც ეჭვი ეპარებოდა ამ ფორმის არსებობაში. ალბათ, ისიცაა ანგარიშგასაწევი, რომ თავის ლექსიკონში, უკანაენისმიერ **გ/ქ/კ** თანხმოვანთა მომდევნო პოზიციასში, ნ. მარი **ა** ხმოვნის უმლაუტს კი არ გვიჩვენებს, არამედ იოტიზაციას მაშინ, როდესაც ასეთ სიტუაციებში **ა**. შანიძე სწორედ ა გრაფემას წარმოგვიდგენდა ხოლმე, „რადგანაც იოტაცია აღნიშნული სამი თანხმოვნის შემდეგ პალატალი ა-ნის წინ ყველგან და ყოველთვის თავისთავად და უთუოდ იგულისხმება“ (შანიძე 1982: 324); ჩვენ კი, ვფიქრობთ, რომ **სწორედ უთუოდ უნდა აღინიშნოს როგორც უმლაუტი, ისე იოტიზაცია ანალოგიურ შემთხვევებში** (ჩანტლაძე, იოსელიანი, 2018: 176); ზემოხსენებული **ამექაშარ**, როგორც ჩანს, აშკარად ბალსზემოური ან ჩოლურული ფორმაა, ოღონდ ნ. მარის ფონოლოგიური ტრანსკრიფციის მიხედვით ფიქსირებული, რადგანაც უმლაუტიან გრძელ ხმოვნებს სვანები მხოლოდ ე. წ. ზემოენგურული (ნ. მარის ტერმინოლოგიით!) მეტყველების გავრცელების ტერიტორიაზე (ლატალი–ლენჯერი–მესტია–მულახი–ივარი–ჰადიში–ხალდე–უშგული) და ჩოლურში წარმოთქვამენ.

საყოველთაოდაა ცნობილი ნ. მარის საოცარი ეტიმოლოგიები. მივიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს:

ბასყ, -о³ (и хл) земляника, чл **ბასყ**, тх **ბასყი**, у **მარწყვ** (г. მარწყვი), с р. **მაიროლ** шх ...

¹ მაშასადამე, ხალდელი მთქმელი აუსლაუტში და აქინებით ამბობდა მყდერ დ თანხმოვანს და არა მკვეთრ ტ ბგერას.

² რაკი ამ ფორმაში გრძელი ხმოვანი არაა, ალბათ, ქვემოენგურულ ნაირსახეობასთან გვაქვს საქმეო – შენიშნავს ნ. მარი, მაგრამ გრძელი ხმოვნები არც ლენტეხურ დიალექტს ახასიათებს, თუმცა იქ გვაქვს თანხმოვანთა მკვეთრი კომპლექსები (**უსგაშტ**), ამიტომ მისი ვარაუდი ჭეშმარიტებასთან ახლოს დგას.

³ -ო ნათესაობითი ბრუნვის -იშ მორფემის შეკვეცილი ვარიანტია.

ნ. მარის აზრით, **მა-ა-რლ'**ის ეტიმოლოგია ჯერჯერობით კითხვის ნიშნის ქვეშაა: აშკარაა, რომ **-რლ** კნინობით სახელთა სუფიქსია; რაც შეეხება ფუძეს **მაა-**, მისი საწყისი **მა-** (> ა-) [პრეფიქსი თუ ძირისეული **მ > ბ** თანხმოვანი ა გახმოვანებით], როგორც ჩანს, წარმოადგენს **ბასყ** (баск) სიტყვის **ს > ჰ** სპირანტულ ნაირსახეობას (***მაჰა** mahy) **ყ**'ს გადასვლით **ა**'ში.

ვარლამ თოფურიას და მაქსიმე ქალდანის ლექსიკონში შემდეგი ვითარებაა:

ბასყ (-იმ, ბასყ¹) ზ ს ვ., **ბასყი** (-ამ, -არ)\ლ ნ ტ., ბ ო ტ. – მარწყვი. შ დ რ. **მაა^რლ** (-ამ, -არ) ლ შ ხ.

მამასადაძმე, **მაა^რლ** აკადემიურ ლექსიკონში მხოლოდ ლაშხურისთვისაა დასახელებული, რადგანაც ჩოლურული მასალა მასში საერთოდ არაა გათვალისწინებული. თანამედროვე ჩოლურულ მეტყველებაში (სოფელ ლეუშერელი რუსუდან ბაბლუანისა და ჯიყოლა ჩეგიანის განმარტებით) ჩვეულებრივია **მაა^რლ**, ხოლო ნიკო მარისეულ **ბასყ** (უუმლაუტო ფორმა, როგორც ჩანს, ლაშხურის გავლენით)²ს ძალზე იშვიათად ხმარობენ მხოლოდ მოხუცი მთქმელები.

გასაოცარია, რომ უშგულური კილოკავისთვის "Сванско-русский словарь"-ში გვაქვს **მარწყვ** მაშინ, როდესაც ნ. მარის მასპინძელი უშგულელი ბესარიონ ნიჟარაძე ქართული „მარწყვისა“ და რუსული "клубника"-ს შესაბამისად თავის ლექსიკონში (2007: 139) მხოლოდ **ბასყ**'ს (უუმლაუტოდ!) ასახელებს.²

დავინტერესდით კიდევ ერთი სიტყვით: ნიკო მარის მიხედვით, **ამხვ** тр лягушка, у, хл **აფხვ**, э **ამფხვ**, мн. **ამფხვარ**, -шх, ср. **ბა-ყაყ**, მაგრამ **ბა-ყაყ** ლექსემა არც ხელნაწერ რუსულ-სვანურ ლექსიკონშია (1916 წ.) და არც მის "Извлечение"-ში (1922 წ.), თუმცა **шх** აბრევიატურის წინ დეფისია, რაც იმას ნიშნავს, რომ ლაშხურ დიალექტში არც **ამხვ** არის, არც **აფხვ** და არც **ამფხვ** და, რაკილა ამის შემდეგ შესადარებლად მოყვანილია ქართული ენიდან შესული სიტყვა, უნდა ვივარაუდოთ, რომ დანარჩენ სვანურში (მათ შორის ჩოლურშიც!) **ბაყაყ** გვხვდება. ეს მართლაც ასეა! – თანამედროვე ქვემოსვანურში „ბაყაყის“ აღსანიშნავად მხოლოდ ქართულიდან ნასესხები ლექსემა გვაქვს. ამ მხრივ ყურადსაღებია ჩოლურელი ასლან ლიპარტელიანის შენიშვნა: სვანური ძველი სახელია „მ ყ ვ ა რ“, რაცა ახლაც ქვია ზემოსვანურად (ლიპარტელიანი 1994: 65). ჩოლურული ლექსიკონის ავტორი თავის დროზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახლდათ და, როგორც ჩანს, მაშინ ნასწავლი ძველი ქართული **მყუარ-ი** ახსოვდა, თორემ ამგვარი ლექსემა არც ერთ სვანურ ტექსტში არასდროს ყოფილა დაფიქსირებული.

¹ მრავლობითი რიცხვის ფორმა.

² ბ. ნიჟარაძეს თითქმის დამთავრებული ჰქონდა სვანური ლექსიკონის შედგენა (აკაკი შანიძის ცნობით, მისი „ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონის“ ხელნაწერი ჯერ კიდევ 1912 წელს შეიძინა რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ), როცა ნ. მარმა დაიწყო მასალების შეგროვება თავისი ლექსიკონისთვის სვანეთში.

ბუნებრივია, ნ. მარის ამ ლექსიკონის მომხმარებელი აუცილებლად იკითხავს, რატომ მოახდინა მისმა ავტორმა შემდეგი სეგმენტაცია: **ბა-ყაყ**? თითქოს სხვაგვარი სეგმენტაციაა მოსალოდნელი, თუ კახურ **ბაყატ**ს („ბა-ყაყი“) და ფშაურ **ბაყოტ**-ს ან **ყოტ**-ს („ბაყაყი“) გავითვალისწინებთ; ალბათ, **ბაყ-აყ-ი** გვექნებოდა, ე. ი. **ბაყ**- ძირთან ქართულ ენაში სხვადასხვა სუფიქსი (-ა ყ, -ა ტ, -ო ტ,...) დადასტურდებოდა.

ჰქონდა თუ არა ნ. მარს ინფორმაცია კახური და ფშაური დიალექტების მონაცემების შესახებ, ძნელი სათქმელია. მოსალოდნელია, რომ მან იცოდა თავისი ყოფილი სტუდენტის – ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევები ქართველურ ენებში მთის კავკასიურ ენათა კლასკატეგორიების პრეფიქსთა სავარაუდო არსებობის შესახებ [შდრ. ქართ. (გურ.) **ბა-ღან-ა** „ბავშვი“ და სვან **ღან-აჟ** „ვეხმძიმე“, **ლი-ღნ-აჟ-ი** „ორსულობა“,... **ბა-ყაყ-ი** და ა. შ.]. დიდი კავკასიოლოგის აზრით, „ბუნებრივად იბადება საკითხი, **ბ-** ბგერა უძველეს ქართულში უჰასაკოთა, მცირეწლოვანთა და პირუტყვთა ზოგადი სახელების სქეს-კატეგორიის ნიშანი ხომ არ იყო?“ (ჯავახიშვილი, 1937: 189). ეს მოსაზრება დღემდე ძალზე ფრთხილ ჰიპოთეზად რჩება ქართველურ ენათა სისტემისათვის, რადგანაც, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით მუშაობა კარგა ხანია აღარ მიმდინარეობს.

რაც შეეხება **აფხჟ** („ბაყაყი“)-ს, საანალიზო ლექსემა ძალიან მოგვაგონებს აფხაზური სტრუქტურის სიტყვას, თუმცა, ვფიქრობთ, რომ იგი შესაძლოა მომდინარეობდეს მეგრული (> გურულ-იმერული) **ფულუ** („თხუნელა“) სგან¹, მაგრამ ანლაუტში **ა-** ხმოვნის გაჩენა არც ისე ადვილი ასახსნელია:

საერთოქართვ. ***ფაღუ** > მეგრ./ლაზ. **ფულუ**, სვან. ***აფღუ** > ***აფღჟ** > **აფხჟ** > **ამხჟ**.

ცნობილია, რომ ქვემოსვანურში გაცილებით მეტია ქართულიდან ნასესხები მასალა, ვიდრე ზემოში. ამიტომ ლაშხურ-ლენტეხურ-ჩოლურულში გამოყენებული ქართული სიტყვა-სტატია ანბანთრიგზე კია გატანილი, მაგრამ **cp**. აბრევიატურით იქვეა მითითებული შესაბამისი სვანური (ან საერთოქართველური ფუძეენიდან მომდინარე) მონაცემი: **ირემ** ш х, ч л олень, э, cp. **ლწ-ჩჯ** (გვ. 8);

ურ ш х, ч л, т х, х л, м молоть деревянный (ш х, х л, м жѣлезный), шх **ურო**, -э, -й, -х, -тр, cp. **წირ** (გვ. 10).

ლიგალე ш х, ч л, т х занимать, одалживать, აწმყო: **ხვიგალე** „ესესხულობ“, **ხვაგალე** „სესხს ვაძლევ, ვავალე“, cp. **ლიგდანე**² (სხვა დიალექტებისა), თუმცა **ხ-ა-გად** („მართებს, ვალად ადევს“) დღეს უუმლაუტო სვანეთში და ჩოლურშიცაა გავრცელებული (შდრ. ზსვ./ლნტ. **ხ-ა-გად**).

¹ განსხვავებული ეტიმოლოგიისათვის იხ. მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003, გვ. 156.

² იენაში გამოცემულ ჩვენს წიგნში "Tscholurwanisch-Deutsches Verbenverzeichnis" ბალსზემოური დიალექტისთვის რუსულდან იოსელიანი ასახელებს **ლიგდენი/ლიგდანი** ფორმებს (2003: 21).

საყურადღებოა, რომ ჩვენთვის დღემდე ცნობილ სვანურ ლექსიკონებში ძველი ქართულიდან მომდინარე ლექსემა „ულვაში“ არსად ყოფილა იმდენი ვარიანტით წარმოდგენილი, რამდენიც აქვს ნ. მარს: **ულმაშ** у, хл, м усь, чл, тх, х **ულმაშ** (но х и **უმლაშ**), э, һ, тр **უმლაშ**, шх **ურმაშ**. ვ. თოფურია და მ. ქალდანი ბალსქვემოური დიალექტისთვის ასახელებენ **ლუმლაშ** ფორმას,¹ ხოლო ა. ლიპარტელიანი ჩოლურულისთვის **ურმაშ** ლექსემას წარმოგვიდგენს, რომელიც ნ. მარისა და ვ. დონდუასთვის ლაშხური დიალექტის კუთვნილებაა. ეს უკანასკნელი ქართული ენის ქართლურ დიალექტშიცაა დადასტურებული („ურმაში“) „ულაში“-სა და „ულმაში“-ს გვერდით.

ნიკო მარს ორი სვეტი აქვს მიძღვნილი კვირის დღეთა სახელწოდებებისადმი. ძალზე საინტერესოა შესაბამის ლექსემათა გრამატიკული ფორმები, განსაკუთრებით – ხალხის ეთნოლოგიური ყოფის ამსახველ რიტუალებთან მათი სემანტიკური დაკავშირება, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ არც **ჯრმაშ** (у, и һ, м) არის სწორად ფიქსირებული მონაცემი „ოთხშაბათისთვის“ და არც ლაშხურ-ჩოლურული **ჯომაშ**; სწორია მისივე **ჯგმაშ** хл, э, һ, тр, х (ნათ. ბრ. **ჯგში** < ***ჯგმა-იშ-იშ**), ოღონდ უმლაუტით -ა ხმოვანზე (გვ. 23).

ზმნა უხვადაა ილუსტრირებული ნ. მარის ლექსიკონში; ის (სხვა სიტყვა-სტატიათა მსგავსად) ანბანთრიგზე გაწყობილია ძირეული მორფემის მიხედვით და გვერდით მიწერილი აქვს მასდარის, მიმღობის, აწმყო-აორისტისა თუ თურმეობითის სხვადასხვა პირის ან რიცხვის ფორმები, ზოგჯერ მრავალგზისობაც: ***არმ** > **რმ**: шх **ლი-რმი**, ალი (და э, һ, х) хватать, ловить, поймать, тх, хл, тр **ლირმი**, -ალი; აწმყო **ხვირმი** шх და სხვ. **ხვარმი**; აორისტი **ოთგრმ**, **ათგრმ**, хл **ადირმ**, у **ადგრმე**; у, хл, м აჯდარდ (хл ეჯიარდ) **ადირმშ** они схватили, поймали, шх, чл ეჯდარდ **ადგრმეб** || шх **ედგრმეб**.

ამ სიტყვა-სტატიაში კარგადაა ნაჩვენები ჩოლურული მეტყველების სპეციფიკა პრევერბის გამოყენების თვალსაზრისით – მასში გვხვდება სვანური ენის ყველა დიალექტისთვის დამახასიათებელი **ად**- ზმნისწინი, განსხვავებით ლაშხურისაგან, სადაც, მოცემული ზმნის კონკრეტულ ფორმაში (აორისტის III პ., მრ. რ.) ასახულია უმლაუტის, როგორც ფონოლოგიური პროცესის, ამსახველი ძველი საფეხური (**ა** > **ე** და არა **ა** > **ა**). მამასადამე, ამ შემთხვევაში ჩოლურული ლაშხურს კი არ მიჰყვება, როგორც ეს სხვა დროს ხდება ხოლმე, არამედ პირიქით – განსხვავდება მისგან.

საერთოდ კი, ისეთი შთაბეჭდილება გვაქვს, რომ ნიკო მარი უფრო მეტად ლენტეხლების მეზობელ ჩოლურლებთან მუშაობდა, ვიდრე ლაშხელებისა. მის ლექსიკონში წარმოდგენილი ჩოლურული მონაცემები ლენტეხური დიალექტის სტრუქტურას უფრო მისდევენ, ვიდრე ლაშხურისა.

საინტერესოა დაკვირვება აქვს მოცემული ნ. მარს ნაწილაკებთან დაკავშირებითაც. მისთვის -**უჟ** სხვათა სიტყვას გადმოსცემს ისევე, როგორც **როქჟ/ლოქჟ** და **ესერ**, „მაგრამ **ჟინჟ** („რომ, რათა“) ს მნიშვნელობით მე არ

¹ უკანაენისმიერ თანხმოვანთა ანლაუტში განვითარება დამახასიათებელია სვანური ენისათვის (**ღუაჭარ** < ქართ. **ვაჭარ**-ი)

შემხვედრია სვანეთში, თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში არის ამაზე მითითებაო“.

შორისდებულებში ნ. მარი გამოყოფს, ე. წ. უხემ და ზრდილობიან ფორმებს.

დასასრულს, ნიკო მარი დიდი პატივით მოიხსენიებს სვან მთქმელებს, უწოდებს მათ თავის მასწავლებლებს და ბოდიშს უხდის მკითხველს იმ მოსალოდნელი შეცდომებისთვის, რომლებიც ახასიათებს ყოველგვარ ადამიანურ სამუშაოს, მით უმეტეს, თუ ის ახალ სფეროს ეხება. ძალიან წუხს, რომ უშუალოდ მეტყველებაში მან საკმაოდ გვიან შენიშნა გრძელი ხმოვნები და არც თუ ისე სწრაფად აითვისა რბილი ა, რომელსაც თურმე პირველ ხანებში ხშირად ურევდა ააში. წარმოგიდგენიათ, რამდენ ბოდიშს იხდის ბუმბერაზი მეცნიერი უნებლიე შეცდომების გამო! – დღეს კი ზოგი თითო-ოროლა სტატიისა თუ წიგნის ავტორს თავი გენიოსი ჰგონია.

როგორმე აუცილებლად უნდა შევძლოთ აკადემიკოს ნიკო მარის სვანურ-რუსული ლექსიკონის ხელნაწერის შეძენა (უკვე სამი წელია, ამას გავიძახით!), რადგანაც ის შექმნილია მისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში, როცა მწვავედ არ იდგა ჩვენი ენების სემიტურ ენებთან სავარაუდო ნათესაობის საკითხი – „**იბერიულ-კავკასიურ ენებზე მომუშავე სპეციალისტი აუცილებლად უნდა იცნობდეს ნ. მარის შრომებს**“ (ჩიქობავა, 1965: 374). საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ნ. მარრმა დატოვა უშველებელი კულტურული მემკვიდრეობა, რომლის დამლევას თაობები მოუხდება“ (მეგრელიძე, 1935: 183)...

სხვა რომ ვერაფერი მოვახერხეთ, გადავწყვიტეთ, მონაწილეობა მიგველო რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონკურსში, სადაც ჩვენმა პროექტმა მაღალი შეფასება მიიღო, თუმცა ვიღაც „ინკოგნიტო“ უცხოელმა ექსპერტმა დიდი საყვედური გამოთქვა იმის გამო, რომ ნ. მარის "Сванско-русский словарь"-ის შესწავლისა და გამოქვეყნების საქმეში არ ჩავრთეთ პეტერბურგელი კოლეგები; **ამიტომაც დაგვსაჯეს – ჩვენი პროექტი აღარ დაფინანსდა!!!** საოცარი კია, ვინ უნდა ჩაგვერთო ჩვენს სამუშაოში?! – **დღეს ხომ არც პეტერბურგში და არც მოსკოვში აღარავინ მუშაობს ქართველოლოგიაში!** ნუთუ, ეს არ იცის ჩვენმა „ინკოგნიტო“ ექსპერტმა?!

2011 წლის 17 იანვარს ინტერნეტში (Posted in History) შემდეგი ტექსტი ამოვიკითხეთ ვინმე ნუგზარ ტალიკაძისა:

„ნიკო მარი... ნიკო მარი... ნიკო მარი...“

ჩემი შორეული ახალგაზრდობის სიზმარი...

რატომაა იგი მივიწყებული სამეცნიერო საზოგადოებაში?! ვინ ჰყავს საქართველოს მასზე უკეთესი?!

ის ხომ ბუმბერაზი მეცნიერი და მომწესხველი პიროვნება იყო!..

იქნებ მოხერხდეს მისი შემოქმედების ყველასთვის გასაგები ენით აღწერა და გამოცემა? – ეს წიგნი ათასჯერ გაამართლებს მის შექმნაზე დახარჯულ შრომას!

აკადემიკოს ნიკო მარის გახსენება უთუოდ გააუმჯობესებს შავზნელ კლიმატს საზოგადოებაში და სიცოცხლის დღეებს გაუნათებს ხალხს ამ ჩამუქებულ ცხოვრებაში“...

ასეთია ჩვენი ზოგადი დასკვნა ნიკო მარის ხელნაწერი "Сванско-русскій словарь"-ის 20 გვერდისა (1916 წ.) და მისი პეტროგრადში გამოცემული "Извлечение изъ сванско-русскаго словаря" (1922 წ.)-ს 39 გვერდის გაცნობის შემდეგ. იმე დ ი ა, ო დ ე ს მ ე მ ა ი ნ ც გ ვ ე ღ ი რ ს ე ბ ა მ თ ე ლ ი ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი ს (283 გვ.) ნ ა ხ ვ ა.

რაც შეეხება ჩოლურული მეტყველების ნ. მარისეულ შეფასებებს, ისინი გაზნეულია დიდი მეცნიერის სხვადასხვა შრომებში, რომელთა ანალიზს მომავლისთვის გადავდებთ.

ლიტერატურა

ბაბლუანი 2003 – ლამარა ბაბლუანი, სვანური ენის ჩოლურული მეტყველების თავისებურებანი, XXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესია, თელავი, 2003.

თოფურია 1965 – ვარლამ თოფურია, გარდამავალი დიალექტის საკითხისათვის სვანურში კილოების მონაცემთა მიხედვით, თსუ შრომები, ტ. 114, თბილისი, 1965.

თოფურია 1963 – ვარლამ თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ. III, თბილისი, 1963.

ოსელიანი 2019 – რუსუდან ოსელიანი, პირველი ლინგვისტური ნაშრომი სვანური ენის ჩოლურული მეტყველების შესახებ, სამეცნიერო-პოპულარული კრებული „ღვაწლი“, თბილისი, 2019.

მეგრელიძე 1935 – იოსებ მეგრელიძე, აკადემიკოსი ნიკო მარრი, ჟურნალი „მნათობი“, №1, ტფილისი, 1935.

შანიძე 1981 – აკაკი შანიძე, უმლაუტი სვანურში, „არილი“, ტფილისი, 1925/ თხზულებანი, ტ. II, თბილისი, 1981.

ჩანტლაძე, ოსელიანი 2018 – იზა ჩანტლაძე, რუსუდან ოსელიანი, სვანეთის მივიწყებული მკვლევარი, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. XLVI, თბილისი, 2018.

ჩუხუა 2000-2003 – მერაბ ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003.

ჯავახიშვილი 1937 – ივანე ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების ბუნება და ნათესაობა, ტფილისი, 1937.

Марр 1911 – Марр Н. Я., Гдѣ сохранилось сванское склонение? Извѣстія Императорской Академіи наукъ, Санкт-Петербург, 1911.

Марр 1915 – Марр Н. Я., Яфетическія названія деревьевъ и растений (Pluralia tantum), ИИАН, Санкт-Петербург, 1915.

Марр 1922 – Марр Н., Извлечение изъ сванско-русскаго словаря,

"Материалы по яфетическому языкознанию", X, Петроградъ, 1922.

Марр 1916 – Marr N. Я., Сванско-русский словарь (283 გვერდის შემცველი ხელნაწერი), Санкт-Петербургъ, 1916, ფონდი №800 რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის არქივისა.

Чантладзе 2012 – Чантладзе И. И., Первое этимологическое исследование чолурской (сванской) лексики, III международная научная конференция "Кавказские языки", Махачкала, 2012.

Tschantladze, Babluani, Fähnrich 2003 – Tschantladze I., Babluani R., Fähnrich H., Tscholur-swanisch-Deutsches Verbenverzeichnis, Jena, 2003.

Iza Chantladze

Cholur Material in Svan-Russian Dictionary by Nikos Marr

Summary

The Dictionary was created in 1916 and has not been published yet despite its great importance. It is preserved in №800 Fund of the St. Petersburg Archives of the Imperial Academy of Sciences of Russia. Nichos Marr published (1922) only a small part of it ("Извлечение..."). Unfortunately, we have not been able to get a dictionary manuscript so far (due to quite serious financial problems!); This time we have studied only 20 pages and the published part (39 pages), which enabled us to draw very important and necessary conclusions for Kartvelology.

The paper consisting of 283 pages by N. Marr presents not only the material of the Svan language but also a very interesting classification (abbreviated!) of its dialects. In Marr's opinion, Cholur is a transitional, interference speech, the research material of which is more closely related to Lentekhian dialect. Apparently, his respondents were residents of villages directly bordering the territory of Lentekhi (and not Lashkheti).

We think that the segmentation of the dictionary entries or separate morphological observations (especially -sg > -sk > -sq consonant clusters) are also very important.

მერაბ ჩუხუა

ზოგი თანდებულიანი ბრუნვისა და ფორმის შედგენილობისათვის ლაზურ-მეგრულში

ზანური დიალექტების თავისებურებას შეადგენს თანდებულთადა თანდებულიან ბრუნვათა თვალშისაცემი სიმცირე. აქ სულ რამდენიმე თანდებული გვაქვს, რომლებიც, როგორც წესი, დაერთვის ნათესაობით ბრუნვას ან ნათესაობითის ფუძეს, რასაც, თავის მხრივ, ემყარება ყველა მეორეული ბრუნვა. როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, თანდებული დაერთვის არსებითს, ზედსართავსა და რიცხვით სახელებს, ნაცვალსახელებს, ზმნისართებსა და სახელზმნებს. სამეცნიერო ლიტერატურაში ქართულისათვის შენიშნულია, რომ თანდებული დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი სიტყვა ან ბგერათა კომპლექსია, რომელიც დაერთვის სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას მდებარეობის, მიმართულების, დანიშნულების ან დასახელებულ საგანთან სხვა რაიმე დამოკიდებულების აღსანიშნავად [შანიძე 1980 : 598]. წინამდებარე ნაშრომში სურვილი გვაქვს წარმოვადგინოთ ზოგ თანდებულთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები.

1.-**ხ-ა** /-**ხ**/-**ხ(ი)**/-**ხგ**

მეგრულისთვის განკუთვნილ ნაშრომებში შენიშნულია-**ხ** /-**ხ(ი)**/-**ხგ** თანდებულიანი ალომორფები, მისი მორფოლოგიურ ელემენტებად კვალიფიკაცია იოსებ ყიფშიძის სახელთანაა დაკავშირებული. ავტორი-**ხ**-ს პარალელურ ფორმებად გამოყოფდა-**ხი** /-**ხგ** ვარიანტებსაც [ყიფშიძე, 1914 :0122]. ბოლო პერიოდის კვლევებში ‘უდემა-**ხი**’/‘უდემა-**ხგ**ქქა’უნუ „სახლამდე უკან გაჰყვა“; თა-**იშა-ხგ**, ა-**იშა-ხგ**ვამიძირუ „აქამდე არ მინახავს“ ტიპის ფორმებში წარმოჩენილი ბოლოკიდური **ი** და **გ** ხმოვნები პარაზიტ ხმოვნებადაა კვალიფიცირებული [ქირია, ეზუგბაია, მეშიშიძე, ჩუხუა 2015 : I.1.12.].

როგორც ეტყობა, სავსებით შესაძლებელია მსგავსი ტიპის წარმოების გამოყოფა ლაზურშიც, შდრ.: ოხორ-**იშა-ხ** „სახლის მიმართულებით“, კოჩ-**იშა-ხ** „კაცის მიმართულებით“. თუმცა, იგივე ფორმები მეგრულში განსხვავებულ სემანტიკას აჩვენებენ, კერძოდ, ნაცვლად მიმართულებისა, ისინი დამატებით ხაზს უსვამენ სამიმართულებო პუნქტის სასრულობას: ოხორ-**იშა-ხ** „სახლისკენ ბოლომდე“, კოჩ-**იშა-ხ** „კაცისკენ ბოლომდე“. ფაქტია, ის ნიუანსური სხვაობა, რაც მეგრულში შენარჩუნებული ჩანს, ლაზურში დაჩრდილულია, რაც გვიანდელი, ლაზურის დამოუკიდებელი განვითარების პერიოდშია მომხდარი და საკუთრივ ლაზურ ინოვაციად

უნდა ჩაითვალოს. ვფიქრობთ, ლაზურში -ხ-ს ფუნქციის შეზღუდვას ხელი შეუწყო პარალელურად მეგრულისებური -იმა-**ხგ** ფუნქციით -ქის „-მდე/-მდის“ თანდებულის არსებობამ, რომელიც ასევე *მიმართულებით* ბრუნვას დაერთვის: ახჩამ-იმა-ქის... ქომოხთეს „სადამომდის მოვიდნენ“, სუმ წანა-მა-ქის შქითოში მანათი ქომეჩუდორენ (II, 38²⁵, 26) „სამ წლამდე შვიდასი მანეთი მიუცია“ ... სუმ თუთა-მა-ქის ვა მოფთინა-ვა „სამ თვემდე თუ არ მოვიდე-ო...“ [ჩიქობავა 1936 : 66]. ბარემ, აქვე შევნიშნავთ, რომ -ქის „-მდე/-მდის“ თანდებული უნდა შეიცავდეს ერგატიული ბრუნვის -ქ- ნიშანს, რომელსაც დაერთო მიცემითის მარკერი -ს- ადგილობითი ბრუნვის ფუნქციით, ანუ -ქის დაიშლება -ქ-ი-ს, სადაც ი ასრულებს თანხმომოვანამყარის როლს მხოლოდ.

ჩვენს კონტექსტში, მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება ის თვალსაზრისიც, რომლის მიხედვით ანალოგიური -ხ- აფიქსი გამოსაყოფია ნიკო მარის [1910 : 228] მიერ დამოწმებულ ათინურ შესიტყვებებში: ბაბაშკიმი-იმა-ხ-ა „მამაჩემივით“, ჰამუ-მა-ხ-ა „ამასავით“ [ჩირიქვა 2009 : 82-83]. თვალსაზრისის გაზიარებისას აუხსნელი გვრჩება ბოლოკიდური -ა-ს საკითხი, მისი ფუნქცია. იქნებ, ეს -ა- იგივე -ა სუფიქსია, რაც ლაზურ ჭიფაშ-ა „წვრილად, დაწვრილებით“ ტიპის ზედსართაულ ფორმებში გვაქვს დამოწმებული, შდრ. მეგრ. მსგავს სიტუაციაში: ჭიფაშ-ე /სამურზ, ჭიფაშ-ო „წვრილად, დაწვრილებით“...

მეგრულ-ლაზურში -ხ-აფიქსის არსებობა ისეთ ფორმებში, როგორიცაა: მეგრ. თუდოგითო-ხგ-შე „ქვემოდან“, ჟიდო-ხგ-შე „ზემოდან“, ეკო-ხგ „აღმართ, ზევით, მაღლა“, დიკო-ხგ „დაბლა, ჩა-“, „ლაზ. დოლო-ხ-ე „შიგნით, შიგან“, ოკაჩ-ხ-ე / უკაჩ-ხ-ე „უკან“... მიჩნეულიქნა აფხაზურ ნასესხობად [გუდავა 1947 : 194], რაც ზოგმა ავტორმა გაიზიარა კიდევ [ჩირიქვა 2009 : 83]. მართალია, -ხ- სუფიქსი „-მდე“ ფუნქციით აფხაზურში ბუნებრივია და პროდუქტიულიც, მაგრამ ლაზურ-მეგრული -ხ-ს ახსნა ნასესხობის თეორიით აჩენს უკმარისობის გრძნობას, ვინაიდან -ხ- სუფიქსი ასევე ბუნებრივია მეგრულ-ლაზურ ზმნისართებში, შდრ.:გოწო „გასული წელი“ -> გოწო-ს „შარშან“ / გოწო-ხ „შარშანწინ“, წუმო „წინ“ -> წუმო-ხ „წინათ“, კინო-ხ „ძველად“ და ა.შ., რაც მეტად არქაულ მოვლენად გვესახება. გარდა ამისა, ჩანს, მეგრულ-ლაზური -ხ-ა /-ხ /-ხ(ო)/-ხგ, სულაც არ არის უნიკალური; მის კანონზომიერ ფუნქციურ-მატერიალურ შესატყვისს ჩვენ ვხედავთ სვანურში, სადაც ბუნებრივია სგა- „შიგნით“ / სგა-ხი „უფრო შიგნით“, ჟი- „ზევით“ / ჟი-ხი „უფრო ზევით“, ჩუ- „ქვევით“ / ჩუ-ხი „უფრო ქვევით“ დერივაცია, შდრ. გოწო-ს „შარშან“ / გოწო-ხ „შარშანწინ“. ამ შედარებით ის რეალობაც იკვეთება, რომ ზანური ბოლოკიდური იდაგხმომოვნები ისტორიულად უფუნქციო ელემენტები კი არ არის, არამედ სვანური ო-ს კანონზომიერი შესატყვისები. იდაგხმომოვანთა სუბსტიტუცია ადვილად აიხსნება, როგორც შედეგი ო->გ ფონეტიკური პროცესისა სიტყვის ბოლოში.

ამდენად, -ხ-ა /-ხ /-ხ(ო)/-ხგ ალომორფებში -ხ- საკუთრივ ზანური (საერთოქართველური ფუძეენიდან მომდინარე) მონაცემი ჩანს და არა აფხაზურ-ადილური ენებიდან ნასესხები ოდენობა. ივარაუდება, რომ -ხ-მ, როგორც მორფოლოგიურმა მარკერმა, დროთა განმავლობაში დაკარგა მის-

თვის დამახასიათებელი დისტრიბუცია და კანტიკუნტად შემოგვრჩა მხოლოდ თანდებულიანბრუნვებსა თუ ზმნისართებში.

2. ლაზ. **-კალა/-კელი /-კული/-ჭკული**; მეგრ. **-წკალა /-წკელა /-წკუმა // -წკუმი**

ა) **-კალა** „თან“

როგორც ყველა სხვა, **-კალა** თანდებულის ნათესაობით ბრუნვას დაერთვის; მისი გრამატიკული ფუნქცია და სემანტიკაქართ. „თან“-ის შინაარსის გამოხატვა: კოჩი-**კალა**<-*კოჩ-იმ-**კალა** „კაცთან“; ნანა-**კალა** <- *ნანაშ-**კალა** „დედასთან“... ამ დროს, როგორც ვხედავთ, ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი იკარგება. ჩვეულებრივ, **-კალა** გამოიყენება კუთვნილებით ნაცვალსახელებთანაც: ჩქიმ-**კალა** „ჩემთან“, სქანი-**კალა** „შენთან“, მუში-**კალა** „მასთან, თავისთან“... მეგრულში ამ თანდებულის ფუნქცია გამოხატულია მრავალფეროვანი **-წკალა/-წკელა/-წკუმა// -წკუმი** ალომორფებით: ჯიმა**წკალა/** ჯიმა**წკელა/**ჯიმა**წკუმა** // ჯიმა**წკუმი**... „მმასთან“, თი**წკალა** /თი**წკელა**, თი**წკუმა** / თი**წკუმი** „მასთან, მამინ“, მუ**წკალა** / მუ**წკელა** / მუ**წკუმა** / მუ**წკუმი** „თავისთან“. მეგრულში ზედმეტად წარმოჩენილი **წ** წარმოშობით ნათესაობითი ბრუნვის გასისინებული **ს** [**- შ**] უნდა იყოს, ალბათ, ისეთივე წარმოშობისაა, როგორც ჭანურ „**-ჭკული**“-ში არის **ჭ**- ***შ** [ჩიქობავა, 1936 : 65]. კონკრეტულად ლაზური **-კალა**-ს მეგრულ შესატყვისზე თუ ვიმსჯელებთ, მეგრულის მრავალრიცხოვანი ვარიანტებიდან უშუალოდ მას [-კალა-ს] **-წკალა** შეეფარდება, ანუ მეგრ. **-წკალა** იგივე **-კალა** არის, ოღონდ, **-წ**-დართული. აქ სემანტიკურ-სტრუქტურულ-ეტიმოლოგიური ერთობა მეტად საგრძნობია, შდრ. ლაზ. ჩქიმ-**კალა** : მეგრ. ჩქიმ-**წკალა** „ჩემთან“.

ბ) **-კელი** „კენ“

-კელი ამ სახით მხოლოდ ლაზურში გვხვდება: კოჩიშ-**კელი** „კაცისკენ“, ბიჭიშ-**კელი** „ბიჭისკენ“, მას ქართულ **-კენ** თანდებულს უკავშირებენ ფუნქციითაც და „ბგერითი შედგენილობითაც“ [ჩიქობავა 1936 : 66].

ნაცვალსახელებში **-კელი** თანდებული დაშორებით ბრუნვასაც დაერთვის: სკანდე**კელი** „შენკენ“, ჩქიმდე**კელი** „ჩემკენ“. მეგრულში მის ნაცვლად (ფუნქციურ შესატყვისად) იხმარება **‘ური** „მხარე“, შდრ. ქართ. **ყურე** - ლაზ. სკანდე**კელი**: მეგრ. სკან**‘ური** „შენკენ“, ლაზ. ჩქიმდე**კელი**: მეგრ. ჩქიმ**‘ური** „ჩემკენ“... მაგრამ ეს მხოლოდ ფუნქციური შესატყვისია, გენეტიკურად კი, ჩვენ ვფიქრობთ ლაზურ **-კელი**-ს მეგრ. **-წკელა** შეესაბამება, შდრ. მუში-**კელი** „თავისკენ“ : მეგრ. მუ-**წკელა** <- *მუ-**შკელა** „თავისთან“, კოჩიშ-**კელი**: კოჩი**წკელა**<- *კოჩიშ-**კელა** „კაცისკენ“...

გ) **-კული** „შემდეგ“

როგორც ვიცით, **-კული** „შემდეგ“ [კოჩიშ-**კული** „კაცის შემდეგ“] ლაზურში **-ჭკული** ვარიანტითაც არის წარმოდგენილი [ჩიქობავა, 1936 : 65]: კოჩი**ჭკული** „კაცის შემდეგ“ <- კოჩიშ-**კული** „კაცის შემდეგ“ (შდრ. ზმნური უწუ-**შკული** // უწუ-**ჭკული** „უთხრა რა, თქვა შემდეგ“), რაც ნათლად წარმოაჩენს მეგრული **წ**-ს ისტორიას: **შ** -> **ჭ** -> **წ**. მსგავს შემთხვევებში გლოტალიზაცია კომბინატორული ჩანს, მომდევნო **კ**-ს ასიმილაციური ზეგავ-

ლენა. გენეტიკურად ლაზურ **-კულე** // **-ჭკულე**-ს მეგრულში **-წკუმა**//**-წკუმე** შეესატყვისება, სადაც მეგრული **წ**, როგორც ითქვა, ისეთივე წარმოშობისაა, როგორც ლაზურ **-ჭკულე**-ში. ტენდენცია ანალოგიურია ქვემოიმერულში: ტყიწყენ (<-ტყისკენ), ცეცხლიწყენ (<- ცეცხლისკენ), ამეიყვანოწყე (<- ამეიყვანოსყე) [თოფურია 1937]. ლაზ. **-ჭკულე**-ს და მეგრ. **-წკუმე** // **-წკუმა**-ს შედარებითი ანალიზის დროს საერთო ძირად მხოლოდ **-კუ** შეგვრჩება, რეალურადაც ასე უნდა ყოფილიყო, ვინაიდან **-ლე** / **-მე** // **-მა** სადერივაციო აფიქსებია, რომელთაც განსხვავებული წარმომავლობა, მაგრამ ერთგვაროვანი ფუნქცია ახასიათებთ, შდრ. **-ლე**: მეგრ.-ლაზ. ჟიდო „ზედ(ა)“ - ჟიდო-**ლე** „ზემოთ“, თუდო „ქვევით“ - თუდო-**ლე** „ქვემოთ“, მეგრ. ექ„იქ“ - იქი-**ლე** „იქით“... ლაზ. გა-**მა** „გამო“, მეგრ. გი-**მე** // გი-**მა** „ქვევით“, ეშა-გი-**მა** „ზევით-ქვევით“... ფუნქციურად და მატერიალურადაც ზანური **-ლე** ქართული **-რე** სუფიქსის შესატყვისი უნდა იყოს, რაც არაერთ ზმნისართში მეორდება: ქართ. გა-**რე** - ზან. გა-**ლე**, ზე-**რე** - ჟი-**ლე**... რატომ არის ზანურში მოსალოდნელი **რ**-ს ნაცვლად **ლ** ლატერალი? ახსნა შესაძლებელია მხოლოდ ხმოვნური გარემოცვით, მსგავს პოზიციებში როგორც მეგრულში, ისე ლაზურში რ -> ლ ლატერალიზაციის პროცესი ბუნებრივია, შდრ. ქართ. გორა - ზან. გოლა // გვალა, ქვირითი - ქვილითი, ქართ. ჩირი -> ზან. ჩილა „ჩირი“...

წარმოდგენილი ახსნა ღირებულია **-კელე** / **-კალა** თანდებულების შემთხვევაშიც, სადაც **კა**- / **კე**-ს ძირად გამოყოფას მხარს უჭერს მათთან გენეტიკურად დაკავშირებული ქართ. **-კენ** თანდებული. ამ უკანასკნელში **-წ** ნამდვილად აფიქსურია და სხვაგანაც ადვილად გამოიყოფა: -თა-**წ**, გა-**წ**, წი-**წ**, ში-**წ** და ა.შ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ლაზ. **-კალა**/**-კელე** / **-კულე** // **-ჭკულე**: მეგრ. **-წკალა** / **-წკელა** / **-წკუმა** // **-წკუმე** თანდებულები რთული შედგენილობისაა და აქ ძირად გამოყოფილი **-კა**- / **-კე** / **-კუ** სემენტები საერთოს პოულობენ ზმნისწინისეულ **-კა** / **-კე** / **-კო** ელემენტებთან. საკითხი მომავალში სპეციალური კვლევის საგანი უნდა გახდეს.

ლიტერატურა

გუდავა1947 – Гудава Т. Е., Абхазский послелог **б х** в занском языке; Сообщ. АН Груз. ССР, т. VIII, №3; 1947; გვ. 193-196.

გუდავა1968 – ტ. გუდავა, აორისტის დაბოლოების ზოგიერთი საკითხი მეგრულში; ენათმეცნ. ინსტ. XXIV სამეცნ. სესია; თეზ.; თბ., 1968 წლის 1-2 ოქტომბერი; გვ. 10-11.

თოფურია1937 – ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, IV, ბუნებრივი კომპლექსებისათვის, ენიმიკის მოამბე, I, 1937; გვ. გვ. 119-129.

მარი 1910 – Марр Н. Я., Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем; С.-Пб.; 1910;

ჟღენტ 1953 – ს. ჟღენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953.

ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა 2015 – ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა. I. მორფოლოგია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2015.

ყიფშიძე 1914 – Кипшидзе И. А., Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем; С.-Петербург (Мат. пояфет. языкознанию, VII); 1914.

ყიფშიძე 1937 – ი. ყიფშიძე, საანგარიშო მოხსენება ჭანეთში საენათმეცნიერო მივლინებისა 1917 წ. ზაფხულს, ენიმკის მოამბე, 1, 1937.

შანიძე 1980 – ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1980.

ჩირიკბა 2009 – Чирикба В., Абхазские заимствования в мегрельском // Абхазоведение. – Труды АБИГИ. Язык. Фольклор. Литература. Выпуск 3. Сухуми, 2009, გვ. 64-125.

ჩიქობავა 1936 – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936.

ჩიქობავა 1938 – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.

ჩუხუა 2012 – მ. ჩუხუა, სახელური **-იშენი** დაბოლოების კვალიფიკაციისათვის ლაზურ-მეგრულში, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XXIII, 2012.

Merab Chukhua

On the Composition of Case Forms with a Postposition in Laz-Megrelian

Summary

The paper concludes that:

1. In the allomorphs **-x-a /-x /-x(i) /-xə**, **-x-** is Zan (derived from a common Kartvelian root) and not the morphological inventory borrowed from Abkhazian-Adyghe languages. It is assumed that **-x-**, as a morphological marker, has lost its characteristic distribution over time and has remained as a rare marker only in conjunctions or adverbs.

2. Laz **-kala / -kele / -kule// -čkule**; Megr. **-čkala / -čkela/ -čkume// -čkuma**. The adjectives are of complex composition and the segments **-ka-/ke-/ku-** found at the base are common with the preverb elements **-ka-/ke-/ko-**.

The issue should be the subject of special research in the future.

როინ ჭიკაძე

სტატიკურ ზმნათა მორფო-სინტაქსური და სემანტიკური პარადიგმები შერწყმულ წინადადებაში

ერთგვარშემასმენლებიან შერწყმულ წინადადებაში სუპლექტურ პარადიგმას ქმნის მდგომარეობის გამოხატველი ის სტატიკური ზმნები, რომლებსაც საკუთარი აქვთ აწმყო და ნასესხები ნამყო (ზის – იჯდა, წევს – იწვა, დგას – იდგა...). ამგვარი კონსტრუქციის სპეციფიკურ მოდელებს გიორგი გოგოლაშვილმა **სემანტიკური პარადიგმები** უწოდა და იქვე მიუთითა, რომ ასეთ პარადიგმებში „ფორმობრივი პრინციპი დარღვეულია და სხვადასხვა ფუძის მქონე ზმნები ერთ პარადიგმაში მხოლოდ სემანტიკური პრინციპითაა გაერთიანებული“ (გოგოლაშვილი, 2010, 224; 2016, 298). შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ამ ჯგუფის ზმნების „სემანტიკურმა აქტუალობამ განაპირობა, ანალოგიის გზით თუ სუპლექტური ძირების მეშვეობით შეენარჩუნებინათ სიცოცხლე და გარკვეულად იზოლირებული, საკუთარი სისტემაც კი შეექმნათ (მელიქიშვილი, 2001, 261).

საერთოდ, სტატიკურ ზმნათა ფორმისა და სემანტიკურ მნიშვნელობათა ურთიერთმიმართების საკითხი ენათმეცნიერთა ცხოველი ინტერესისა და აქტუალური კვლევის საგანია, რაც ამ ზმნათა სპეციფიკური ბუნებითაა განპირობებული. საენათმეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ საფუძვლიანადაა შესწავლილი სტატიკურ ზმნათა მორფო-სემანტიკური თავისებურებანი. აღიარებულია, რომ სტატიკური ზმნები ასახავენ ქართული ენის ისტორიის უძველეს ვითარებას. მათ შეინარჩუნეს სტატიკური შინაარსი და დღემდე შემოინახეს ის სისტემა, როდესაც უღვლილება ასპექტების (და არა დროების) ცვლით გამოიხატებოდა (ჩიქობავა, 1943, 92). ამასთანავე, ეს ზმნები უმთავრესად მდგომარეობას აღნიშნავენ და ეს მდგომარეობა თვისების მსგავსად უცვლელია დროში (ჩიქობავა, 1950, 051). ამჟამად ფაქტია, რომ ასეთ ზმნებს აქვთ საკუთარი აწმყო და ნასესხები ნამყო (შანიძე, 1973, 445), თანაც ისეთი ნამყო, რომელიც თავისი ხასიათით განუსაზღვრელია (ქავთარაძე, 1954, 22). ფაქტობრივად, „მათი სახით საქმე გვაქვს იმ ეპოქაში წარმოშობილ ზმნებთან, როცა გვარის კატეგორია ენაში შესაძლოა არც კი არსებობდა“ (ჩიქობავა, 1948, 113). ასე რომ, სტატიკურმა ზმნებმა უაღრესად მყარი გამძლეობა გამოავლინეს, რის გამოძახილიცაა დღემდე მოღწეული მათი მორფო-სინტაქსური თუ სემანტიკური მეხსიერება.

ქართველ ლინგვისტთა ფუნდამენტური კვლევის შედეგებით ნათლად გამოიკვეთა სტატიკურ ზმნათა როგორც მორფო-სინტაქსური, ისე მათი სემანტიკური ბუნება, რაც ხელშესახებად გამოვლინდა ერთგვარი ზმნა-შემასმენელების დრო-კილოთა თანამიმდევრობაზე დაკვირვებისას. გამოირკვა, რომ „სტატიკურობა ზმნისა მხოლოდ მაშინ არის ნათელი, როცა მას გვერდში საპირისპიროდ დინამიკური ფორმა უდგას“ (შანიძე, 1973, 319). სტატიკურ და დინამიკურ ზმნა-შემასმენელთა თანამიმდევრობისას მართლაც ნათელი გახდა, რომ მდგომარეობის გამომხატველ სტატიკურ ზმნათა ნამყოფ ფორმით წყვეტილია, ხოლო შინაარსით – უწყვეტელი.

შევეცადეთ, აღნიშნული საკითხი შეგვესწავლა სინტაქსურ-სემანტიკური თვალთახედვითაც. ამ შემთხვევაში მისაღები ჩანს თვალსაზრისი, რის მიხედვითაც „ზმნის მორფოლოგიური აგებულება ზოგადად არის გადაწყვეტი მასთან შეხამებული წინადადების წევრების თავისებურებათა დასადგენად. მთავარი მნიშვნელობა მაინც სინტაქსურ მიმართებას ენიჭება“ (დავითიანი, 1973, 316). პარატაქსული კონსტრუქციის სემანტიკური პარადიგმების მონაცემებზე გვიჩვენა, რომ დროთა თანამიმდევრობაში სტატიკური ზმნის ნამყოფი წყვეტილს უმთავრესად მოსდევს დინამიკურ ზმნათა ნამყოფი უწყვეტელი. ასეთ კონსტრუქციაში სტატიკური ზმნა-შემასმენლის ნამყოფი წყვეტილი ბუნებრივი თანამეწყვეილეა დინამიკურთა უწყვეტელისა, რაც იმითაა განპირობებული, რომ ნამყოფი უწყვეტელი გადმოგვეცემს წარსულში მომხდარ მოვლენას დაუსრულებელი, შეუწყვეტელი, განგრძობადი შინაარსით, რითაც რამდენადმე უახლოვდება ნამყოფ დროის სტატიკურ ზმნათა სემანტიკას (ჭიკაძე, 1995, 78).

ჩვეულებრივ მოვლენადაა მიჩნეული, როდესაც ერთგვარი შემასმენლები ერთი და იმავე დროისა და მწკრივის ფორმებით არის გადმოცემული, იშვიათად კი სხვადასხვათი (კვაჭაძე, 2010, 276-277). ის ფაქტი, რომ შერწყმული წინადადების „შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ერთმანეთის გვერდით ერთი და იგივე ან სხვადასხვა, მაგრამ ერთი დროის გადმოცემაში მწკრივებია ნახმარი“ (გეგუჩაძე, 2005, 67), კიდევ უფრო ხელშესახებად გამოვლინდა სტატიკურ ზმნა-შემასმენლიან პარადიგმებში, სადაც კომპონენტთა თანამიმდევრობა უმთავრესად ეფუძნება დროის გამოხატვის ფაქტორს და არა მწკრივისას, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში „ივარაუდება არა წმინდა **ფორმა**, არამედ, უწინარეს ყოვლისა, მასში ჩადებული დროითი **შინაარსი**“ (აფრიდონიძე, 1986, 99). ამასთანავე, ნათელი გახდა, რომ „ფორმის მორფოლოგიური სტრუქტურა და სემანტიკური სტრუქტურა ხშირად არ მოსდევს ერთმანეთს: სემანტიკა ბევრად უფრო რთულ და მრავალფეროვან მიმართებებს წარმოგვიდგენს“ (არაბული, 2016, 124).

ყურადღებას იქცევს აგრეთვე სემანტიკური პარადიგმების ზმნა-შემასმენელთა განლაგება, სადაც, როგორც წესი, დაცულია კომპონენტთა თანამიმდევრობა: ნამყოფ დროის პარადიგმატულ მოდელში ჯერ სტატიკური ზმნა-შემასმენელია, შემდეგ – დინამიკური, რასაც განპირობებს სტატიკურ ზმნათა სემანტიკა; კერძოდ, ჯერ გადმოცემულია პიროვნების, საგნის,

მოვლენის ესა თუ ის მდგომარეობა, შემდეგ კი ამ მდგომარეობაში მიმდინარე მოქმედების პროცესი.

ზემოაღნიშნულის გასათვალსაჩინოებლად გთავაზობთ „და“ კავშირიანი ერთგვარშემასმენლებიანი შერწყმული წინადადების წარსულდროიან **სემანტიკური პარადიგმების** მრავალრიცხოვან ნიმუშთაგან მცირე რაოდენობას, რომელთა კომპონენტებია მდგომარეობის ამსახველი ნამყოდროის სტატიკური ზმნა და მისი თანამეწყვილე დინამიკური ზმნა-შემასმენელი:

იდგა და ...

კაცი **იდგა** და **ფიქრობდა** (შატბ.). დედაჩემი **იდგა** და **მიყურებდა** (ჯავახ.). **იდგა** ხალხი და გულამომჯდარი **ქვითინებდა** (ლეონ.). თენგო სიმინდში **იდგა** და **თოხნიდა** (შატბ.). ყასაბი დარჩო დახლთან **იდგა** და პურსა **სჭამდა** (ჯავახ.). ლუარსაბი გაშტერებული **იდგა** და სულ **არ ესმოდა** (ილია). თოხის ტარზე დაბჯენილი **იდგა** პეპია და თამროს **ელაპარაკებოდა** (ილია). თვითონ ერთ ალაგას **იდგა** და **არ ინძრეოდა** (აკაკი). ბერიკაცი **იდგა** და გიორგის **ელოდებოდა** (შატბ.). მოხუცი შარაზე **იდგა** და ჩხუბის საბაბს **ეძებდა** (ჯავახ.).

იდგნენ და ...

იდგნენ და **ელოდნენ** (ვაჟა). ბიჭები **იდგნენ** და ჯამებით **ასხამდნენ** წყალს დასიცხულს კამეჩებს (ილია). ერისთავები გაქვავებულსავით **იდგნენ** და ხმას **ვეღარ იღებდნენ** (აკაკი). გაფითრებული ბიჭები **იდგნენ** და ჭირვეულად **დუმდნენ** (შატბ.). ბიჭები იდგნენ და მიწას **ჩასცქეროდნენ** (შატბ.).

იჯდა და ...

ტახტზე იჯდა ზაალ ერისთავი და კრიალოსანს ათამაშებდა (აკაკი). დერეფანში იჯდა და ტაბიკსა სთლიდა (ვაჟა). ერთ გორაზე **იჯდა** მელია და **ათვალთვრებდა** ქვეყნიერებას (ვაჟა). კურკა გაშეშებული **იჯდა** და თვალებს **ახამხამებდა** (ჯავახ.). მთელი დღე შინ **იჯდა** და ბუმბულს **არჩევდა** (ჯავახ.). საკნის კუთხეში **იჯდა** და გულმოდგინედ **ზელაგდა** წითელ ცომს (ჯავახ.). თაღრია კერაზე **იჯდა** და თან ოროველას **აზუზუნებდა** (ლეონ.). თაღრია მთელი დღე **იჯდა** და განუყრელ ჩიბუხს **აბოლებდა** (ლეონ.). შიო ჩუმად **იჯდა** და თავის გულს **უსმენდა** (შატბ.). ბიჭი ღობეზე **იჯდა** და კვლავ მორევს **დაჰყურებდა** (შატბ.).

ისხდნენ და ...

და-ძმანი ეზოში **ისხდნენ** ფურცლის ქვეშ და ჩაის **შეეკეოდნენ** (ილია). **ისხდნენ** ბიჭები ცეცხლის წინ და მწვადებს **აშიშხინებდნენ** (აკაკი). ორივენი შორს-შორს **ისხდნენ** და **სდუმდნენ** (ჯავახ.). იმის გვერდით ვიღაც ჩოხიანები **ისხდნენ** და **ქეიფობდნენ** (ჯავახ.). ჩაფიქრებული **ისხდნენ** და უხმოდ **ისვენებდნენ** (შატბ.).

იწვა და ...

პირაღმა **იწვა** და კაკლის მაღალ შტოებს **შესცქეროდა** (ილია). **იწვა** და ჩუმჩუმად **კენესოდა** (ვაჟა). ნიკა ამ დროს ჩრდილში **იწვა** და პავლეს თვალს **ადევნებდა** (ჯავახ.). გოგია **იწვა** და სიბნელეში რაღაცას **ეჩურჩულებოდა** (ჯავახ.). გულაღმა **იწვა** და **ალარ ინძრეოდა** (ჯავახ.). გაუნძრევ-

ლად **იწვა** ტახტზე და **აღარ ხვრინავდა** (შატბ.). ისევ გულადმა **იწვა** და თითქოს რაღაცას **ელოდა** (შატბ.). შიო ამ წყაღზე გულადმა **იწვა** და წყნარად **სუნთქავდა** (შატბ.). ის გოლიათი აკვანში **იწვა** და თოთო ხელებით ღინჭილებს **ეთამაშებოდა** (შატბ.). ვაჟა ისევ გულადმა **იწვა** და ვარსკვლავიან ცას **შეჰყურებდა** (შატბ.). მამალხინე გულადმა **იწვა** და თავისი დარბაზის ჭერს **შესცქეროდა** (შატბ.)

ამგვარად, ერთგვარშემასმენლებიანი შერწყმული წინადადების სემანტიკური პარადიგმების კომპონენტების დრო-კილოთა თანამიმდევრობაზე დაკვირვებითაც გამოირკვა, რომ მდგომარეობის აღმნიშვნელმა სტატიკურმა ზმნებმა ახალ ქართულშიც შენარჩუნეს ქართული ენის უძველესი სისტემა და გვიჩვენეს, რომ მათი დროითი სემანტიკა მუდმივია, უცვლელი და განუსაზღვრელია, მას არა აქვს დასაწყისი თუ დასასრული. ამიტომაცაა, რომ სტატიკური ზმნის ნასესხები ნამყო წყვეტილი სემანტიკურად უახლოვდება დინამიკურის უწყვეტელს და წარსულდროიან პარადიგმებში მისი ბუნებრივი თანამეწყვილე უმთავრესად უწყვეტლის მწკრივის დინამიკური ზმნა-შემასმენელია.

ასე რომ, შერწყმული წინადადების სტატიკურ-დინამიკური მოდელის წარსულდროიანი სემანტიკური პარადიგმების კომპონენტებს ს ა ე რ თ ო აქვთ **დრო**, ხოლო **ფორმა/მწკრივი** – გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი; კერძოდ: დრო – ორივე კომპონენტს წარსული, ხოლო მწკრივი – სტატიკურს ნასესხები წყვეტილი, დინამიკურს უწყვეტელი.

ერთგვარშემასმენლებიანი შერწყმული წინადადების წარსულდროიანი სემანტიკური პარადიგმების კომპონენტთა მორფო-სინტაქსური და სემანტიკური ურთიერთმეჯერებითაც დადასტურდა ბესიკ ჯორბენაძისეული პოსტულატის ქვემარტივება, რომ „მხოლოდ ურთიერთმიმართებებში ვლინდება ენობრივ მოვლენათა დინამიკა, ენის შემოქმედებითი ნიშატი“ (ჯორბენაძე, 1980,76).

ლიტერატურა

არაბული 2016 – ავთანდილ არაბული, ქართული ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისათვის, ახალი ქართული ენა, წიგნი II, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2016.

აფრიდონიძე 1986 – შუქია აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1986.

გეგუჩაძე 2005 – ლეილა გეგუჩაძე, მწკრივთა შესაძლო შეფარდებისა და დროთა თანამიმდევრობის საკითხები რთულ კონსტრუქციებში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2005.

გოგოლაშვილი 2010 – გიორგი გოგოლაშვილი, ქართული ზმნა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2010.

გოგოლაშვილი 2016 – გიორგი გოგოლაშვილი, დრო-კილოთა სისტემა, ახალი ქართული ენა, წიგნი II, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2016.

დავითიანი 1973 – აკაკი დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1973.

კვაჭაძე 2010 – ლეო კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გამომცემლობა „ცოტნე“, თბილისი, 2010.

მელიქიშვილი 2001 – დამანა მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, თბილისი, 2001.

ქავთარაძე 1954 – ივანე ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1954.

შანიძე 1973 – აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თსუ გამომცემლობა თბილისი, 1973.

ჩიქობავა 1943 – არნოლდ ჩიქობავა, პერმანსივის („ხოლმეობითი“) ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, IV, 1943.

ჩიქობავა 1950 – არნოლდ ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქველ, ტ. I, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1950.

ჭიკაძე 1995 – როინ ჭიკაძე, წინადადების პარატაქსული კონსტრუქცია ქართულში, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1995.

ჯორბენაძე 1980 – ბესარიონ ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმოზოგი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1980.

Roin Chikadze

Morpho-Syntactic and Semantic Paradigms of Stative Verbs in a Sentence with Homogenous Parts

Summary

The observation of the tense and mood sequence in the components of the semantic paradigm of a sentence with homogeneous predicates has shown that the stative verbs expressing state have retained the ancient system of the Georgian language even in New Georgian and that their temporal semantics is constant, unchanging and undefined, and it has no beginning and no end. That's why, the borrowed past perfect form of a stative verb semantically approximates to the imperfect form of a dynamic verb, and its natural companion is mainly a dynamic verb of the imperfect series in the past-form paradigms. This paradigmatic model has once again confirmed that the past stative verbs are discontinuous in their form, but continuous in their meaning.

ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი

რატომ არ ჩანს ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ქართული ხორბლის უძველესი სახეობის აღმნიშვნელი სახელი *მახა*?

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ *Triticum macha* ქართული ენდემური ხორბლის არქაული სახეობაა, ხოლო მისი ქართული სახელი **მახა** განეკუთვნება პირველად, საწყის სიტყვაწარმოების კატეგორიას (კახაძე 1987: 94-95). **მახას** გამორჩეულობასა და არქაულობას მკაფიოდ ადასტურებს არაერთი გარეენობრივი მონაცემიც (ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2020; იბეჭდება). მიუხედავად ამისა, სახელი **მახა** არ ჩანს ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, მაშინ, როცა ბიბლიის ქართულ თარგმანებსა თუ სხვა ძველ წერილობით წყაროებში დასტურდება მარცვლეულ კულტურთა რიგი სახელები: იფქლი, დიკა, ასლი, ქრთილი, ქერი...

მახას ყველაზე ადრეული წერილობითი დადასტურება სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაშია“. რატომ არ ჩანს უფრო ადრეულ ქართულ წერილობით ძეგლებში სახელი **მახა**?

ჩვენთვის საინტერესო საკითხის ერთ-ერთი ახსნა მოგვცა ივანე ჯავახიშვილმა: „არ უნდა დავივიწყოთ, რომ დაბადების ქართულ თარგმანში მხოლოდ იმ ხორბლეულისა და მარცვლეულის აღმნიშვნელი ტერმინები შეიძლება იყოს, რომელიც ებრაელთა ამ მრავალსაუკუნოვანი და მრავალწიგნიანი კრებულის ტექსტში იხსენიება... ამ ყველაზე საგულისხმო და საყურადღებო საკითხის შესწავლა დაბადების ქართული თარგმანის ტერმინოლოგიის საშუალებით სრულებით შეუძლებელია, რადგან, ცხადია, არცერთი ისეთი მცენარის სახელი, რომელიც პალესტინაში არ ხარობდა, ამ ძეგლში არ შეიძლება იყოს. ასეთი ტერმინები, რასაკვირველია, ორიგინალურ ძეგლებში უნდა ვეძიოთ... უნდა გვახსოვდეს, რომ მაშინდელ საქართველოში არსებული ხორბლეულის მთლიანი სურათი არა გვაქვს“ (ჯავახიშვილი 1930: 323).

მაგრამ სახელი **მახა** არ ჩანს არა მხოლოდ თარგმნილ, არამედ ძველ ორიგინალურ ძეგლებშიც. ვფიქრობთ, ამასაც მოეპოვება ახსნა, რისთვისაც მცირე ბოტანიკურ ექსკურსს უნდა მივმართოთ.

ცნობილია, რომ **მახა** არა მხოლოდ ქართული არქაული ენდემია, არამედ განეკუთვნება ხორბლის (*Triticum*--ის გვარის) ე. წ. „**კილიანთა**“¹ ჯგუფს,

¹ შდრ.: კილი „ხვარბლის ბუდე“ (საბა); „საერთოდ, თავთავიან კულტურათა მარცვლის ბუდე“ (ქეგლ). უნდა ითქვას, რომ, საზოგადოდ, კილი ყველა თავთავიან კულტურას

რომელიც, თავის მხრივ, ტრიტიკუმების მომინაურების გზაზე შუალედურ რგოლადაა მიჩნეული და კულტურული ხორბლის წარმოშობა-განვითარების ისტორიაში ქრონოლოგიურად **პირველი** ადგილი უკავია. „კილიანებმა“ სათავე დაუდეს მაღალგანვითარებულ შიშველმარცვლიანთა ფორმებს. ქართული ხორბლის პირველადი, ველურიდან კულტურულისაკენ გარდამავალი კილიანი სახეობებია: **მახა და ძველკოლხური ასლი**.

რას წარმოადგენს **ასლი**? ქეგლის მიხედვით, **ასლი** არის „კილიანი ხორბალი; მარცვლი მჭიდროდ ზის კილებში (ბუდეში) და დამატებითი ცეხვა სჭირდება“ (ქეგლი 1950). საბას „სიტყვის კონაში“ კი მხოლოდ ისაა მითითებული, რომ **ასლი** არის ბალახი (განმარტებაში არ ჩანს „ყანა“, „მოსავალი“, „ხვარბალი“) და მოხმობილია მისი უცხოენოვანი შესატყვისები, შდრ.: „*Turk.* ფარინჯ ZAA, ფრინჯ BC. *Arm.* აჭარ ZBC, ჰაჭარ Aa.“ (საბა 1991). სხვა ლექსიკოგრაფები **ასლს** ასე განმარტავენ: „Полна, Triticum spelta ასლი, აჭრა“ (ბაგრატიონი 1986); „(ბალ.) აჭარა, აჭარული ბრინჯი пыро, рис, полна“ (ჩუბინაშვილი 1961); „полна, Triticum spelta“ (ერისთავი 1884); „მცენ. Полна, оркиш“; „აჭარა, ს.; აჭარული ბრინჯი, ს. ასლი, полна“ (ჩუბინაშვილი 1984).

ასლი წარმოდგენილია ძველ ქართულ წერილობით წყაროებში, კერძოდ, „დაბადების“ ქართულ თარგმანში, შდრ.: „სელი და ქრთილი იგუემა, რამეთუ ქრთილი წარმოდგომილ იყო, იფქლი და **ასლი** არა იგუემა, რამეთუ მცხუედ იყო“ (გამ. 9, 31-32 (O)); „და აჰა თავით ვერძო მისა ჯუეზად ერთი **ასლისად** და სტამნითა წყალი“ (III მფ. 19,6 (O)); „სთესის... ფეტვ და **ასლი** საზღუართა შენთა“ (ეს. 28, 25).

სახელ **ასლი**-ს წარმომავლობა უცნობია (გიგინეიშვილი 2016: 25), თუმცა გამოთქმულია მოსაზრება მისი ქართული წარმომავლობის შესახებაც (ჯავახიშვილი 1930: 338, 348; კახაძე 1987: 36).

ამჟამად **ასლი** (*Triticum dicoccum*) რელიქტური კულტურაა - ნაშთი ოდესღაც ძველ სამიწათმოქმედო ცენტრებში ფართოდ გავრცელებული **კილიანი** ხორბლისა. ცნობილია, რომ მესოპოტამიისა და ეგვიპტის მდინარეების შლამით დატბორილი მინდვრების მთავარი კულტურა სწორედ **ორმარცვალა ასლი** იყო, ძველ რომში კი ქორწინების რიტუალის აუცილებელ კომპონენტს სიმე-პატარძლის მიერ **ასლისგან** გამომცხვარი პურის (*panis farreus*) იუპიტერისადმი შეწირვა წარმოადგენდა და წყვილი მხოლოდ მას შემდეგ ითვლებოდა დაქორწინებულად, რაც პურის მორჩენილ ნაწილს ცეცხლში ჩააგდებდა (გორგილაძე, 2012: 64-65).

როგორც სპეც. ლიტერატურაშია მითითებული, ანტიკურ წყაროებში დასტურდება ცნობები ძველ კოლხეთში **ასლის** არსებობის შესახებ.¹ „[ქსე-

აქვს, თუმცა „**კილიანებს**“ უწოდებენ იმ სახეობებს, რომელთა მარცვლები კილიდან არ ცვივა, არ შორდება მას. ამგვარი ხორბალი იცეხება - ნ.ხ.

¹ შდრ.: „გრ. ფხაკაძე (1962) ვარაუდობს, რომ „ასლი“ რომში გატანილი უნდა იყოს ქანების ტომის, მოსინიკების ქვეყნიდან დაახლოებით ძვ. წ. IV ს., როდესაც ბერძენ-რომაელები ლაშქრობის შემდეგ თავიანთ ქვეყნებში ბრუნდებოდნენ და მოსინიკების მიწა-წყალზე გავლისას „**ასლი**“ ნახეს“ (მაისაია 2009: 7).

ნოფონტეს ცნობით], ელინების ჯარი ქართველური ტომის, მოსინიკების, მიწაზე გავლის დროს სძარცვავდა სახლებს, სადაც წააწყდა პურის დიდ მარაგს, რომელიც როგორც მოსინიკები ამბობდნენ, [წინაპართა ანდერძის თანახმად] წინა წელს იყო განაწილებული. ახალი პური კი თავთავებად ჰქონდათ დახვავებული. განსაკუთრებით ბევრი იყო **ასლი** (пшени)“ (ბერძენიშვილი 1956; მიქელძე 1967)“ (მაისაია 2009: 6).

საქართველოში დასტურდება ასლის 3 ძირითადი ქვესახეობა: 1. ემერი, ორმარცვალა ასლი (*Triticum dicoccum*); 2. კოლხური ასლი (*Triticum paleocolchicum* Men.) და 3. სპელტა, ნამდვილი ასლი (*Triticum spelta*). ასლის ამ ქვესახეობათა გამოყოფა მე-20 საუკუნეში მოხდა.

ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ სახელი **ასლი** ძველად ხორბლეულთა გარკვეული ჯგუფის **ზოგადი** თვისებების გამომხატველი ტერმინი უნდა ყოფილიყო და მასში მოიაზრებოდა ე. წ. „**კილიან**“ ხორბლთა სახეობები.

საგულისხმო დაკვირვებაა, რომ, საზოგადოდ, ქართულ სამიწათმოქმედო ყოფას უძველეს ხანაშივე მოუხდენია ხორბლის ნიშანდობლივად განსხვავებული სახეობების ურთიერთისაგან გამოყოფა-დიფერენციაცია¹ მათი ბიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით, რაც აისახა კიდევ ქართულის ლექსიკაში: **რბილი** ხორბლის ჯგუფის ზოგად აღმნიშვნელად იქცა **იფქლი**, **მაგარის – დიკა** და **კილიანი** ხორბლისა - **ასლი** (ჯავახიშვილი 1930: 325; ბრეგაძე 2004: 125). ვაჟა-ფშაველას ლექსის - „რაც უნდ დავთესო შენს მკერდზე, **ასლი**, **წმინდა თუ ქერია**, ცოტა მაშინა მაინცა, თუ არ მოვიდა ბევრია“ (ვაჟა-ფშაველა 1950: 88) – ამ ჩამონათვალში „**წმინდა**“ შიშველმარცვლიანი რბილი ხორბალია, **ასლი** - კილიანი, ხოლო **ქერი** არის *Hordeum*-ი . შდრ., ასევე: „**ასლს** მარცვალი აქვს წმინდისა“ (ფშაველას მასალიდან). როგორც მითითებულია, აქაც „**წმინდა**“ ნიშნავს ზოგადად „**რბილ ხორბლს**“ (ბრეგაძე 2004:160-162).

აქვე უნდა აღინიშნოს კილიან სახეობათა (**მახისა** და **ასლის**) ურთიერთმსგავსების ხელსესახებად დადასტურება ძველ ქართულ ლექსიკონებში, შდრ.: **მახა** - „(ბალ.) ყანაა, ასლს ჰგავს; ყანა ასლის მსგავსი“ (საბა 1991); „(ბალ.)ერთგვარი მოსავალია, ასლს ჰგავს“ (ჩუბინაშვილი 1961); „ასლსა ჰგავს...“ (ერისთავი 1884)“; „ერთგვარი მოსავალი, ასლსა ჰგავს“ (ჩუბინაშვილი 1984). ამ განმარტებებიდან ჩანს შემდეგი: 1. მაშინ **ასლი** პურეულთა გარკვეულ ძირითად ჯგუფს გულისხმობდა; 2. ტერმინი „ასლი“ ამ ჯგუფის ზოგად თვისებებს გამომხატავდა; 3. **მახას** მაშინაც **ასლთა** ჯგუფს მიაკუთვნებდნენ.

კილიან სახეობათა ურთიერთმსგავსება ხშირად განაპირობებს მათ განურჩევლობას. შენიშნულია, რომ დღესაც ადგილობრივი მოსახლეობა ვერ ასხვავებს ამ ჯგუფის სახეობებს. ვ.სუპატაშვილის ცნობით, ლეჩხუმის

¹ „ხორბლის ძველქართულ სახელწოდებათა სემანტიკურმა ანალიზმა გამოავლინა, რომ თითოეულ მათგანს აქვს არა მხოლოდ კონკრეტული მნიშვნელობა, არამედ, რიგ შემთხვევაში, ისინი იხმარება ხორბლის გვარის საზოგადო სახელადაც“ (ბრეგაძე 2004: 177-178.).

„ადგილობრივი მოსახლეობა ყველა *dicoccum*-ებს (ანუ ყველა **ასლს**) ეძახის „მახა“-ს. მაგრამ ამ სახელწოდებაშიც არჩევენ, ფორმებს მაგალითად: წვრილი მახა, კენტეხელა მ., ფართე მ., ჩელტა და ფიცარა მ.“ (ზრეგაძე 2004: 341).

ამ მხრივ ყურადღებას მივაპყრობთ **ასლის** ერთ-ერთ ქვესახეობას – **ძველკოლხურ ასლს**. ცნობილია, რომ მისი მარცვლების აღმოჩენამ კოლხეთის ენეოლითურ ფენებში განაპირობა ამ ხორბლის გამოყოფა ცალკე სახეობად და მისთვის მიკუთვნება სახელისა – **ძველკოლხური ასლი** Tr. *Palaeocolchicum* Men.. ეს კულტურა, აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ ასლთაგან განსხვავებით, აღნაგობით ყველაზე ახლოს დგას ასტურიის **ემერის** (ასლის) ფორმასთან, გარეგნულად კი იგი მსგავსებას ავლენს ხორბალ **მახას** ერთ-ერთ **ვარიაციასთან** – Tr. *Macha* ssp. *Imereticum*-თან და, ძირითადად, სწორედ **მახის** ნათესებში გვხვდება, ამიტომაც ადგილობრივი მოსახლეობა არ გამოყოფს მას ცალკე სახეობად. მისი ხალხური სახელწოდებაა **ჩელტა მახა**, ხოლო გავრცელების არე – ლეჩხუმი და მიმდებარე იმერეთის ზონა.

ამგვარად: 1. „კილიანები“ (ასლისებრნი) კულტურული ხორბლის თავდაპირველი, უძველესი სახეობებია; 2. საქართველოს ენდემის, **მახას**, ყველა ვარიაცია კილიანი ხორბალია და ბოტანიკურად **ასლისებრთა** ჯგუფს მიეკუთვნება; 3. **ჩელტა მახა ძველკოლხური ასლის** ხალხური სახელია; 4. **ძველკოლხური ასლი** ძირითადად **მახას** ნათესებშია და ცალკე სახეობად არ მიიჩნეოდა (მეცნიერთ მიერ მისი ინიცირება მე-20ს-ში მოხდა); 5. კილიან სახეობათა ურთიერთმსგავსება განაპირობებდა მათ განურჩევლობას (ასეა დღესაც), ამიტომ **მახა**, როგორც კილიანი ხორბალი, გაიგივებული იყო **ასლთან**; 7. ქსენოფონტესთან დადასტურებული „ასლი“, სავარაუდოდ, **მახაა**, მის ნათესებში შერეულ **ძველკოლხურ ასლთან** ერთად; 8. სახელი **ასლი** მხოლოდ მოგვიანებით იქცა კილიანების ზოგად ტერმინად, ვინაიდან ბევრად უფრო ადრე სწორედ **მაჯა** უნდა ყოფილიყო თავდაპირველი სახელი, საზოგადოდ, ადამიანის მიერ მოწეული ხორბლეული კულტურისა, ამიტომ ***მაჯა** ხალხური აგროტერმინი უნდა ყოფილიყო; 9. ძველ ქართულ წყაროებში (თარგმნილსა და ორიგინალურში) ნახსენები სახელი **ასლი**, საზოგადოდ, „კილიან“ ხორბალს ან მის რომელიმე სახეობას გულისხმობდა, მათ შორის **მახასაც**; 10. უძველესი სახელი **მახა** (<***მაჯა**)¹ ძველ ქართულშივე ლოკალურ, დიალექტურ (დასავლეთ საქართველო) სახელად აღიქმებოდა.

ლიტერატურა

ალავიძე 1957 – გ. ალავიძე, ქვემო რაჭის ტოპონიმიკური ლექსიკონი, ქუთაისის სახ. ინსტ. შრომები, ქუთაისი.

ზაგრაციონი 1986 – ი. ზაგრაციონი, საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი, თბ.

¹ ***მაჯა** > **მახა** (ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2020).

ბრეგამე 2004 – ნ. ბრეგამე, საქართველო - მიწათმოქმედების დამოუკიდებელი კერა, თბ.

გიგინეიშვილი 2016 – ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ.

გორგილაძე 2012 – რ. გორგილაძე, კერძთაყვანისცემა, თბ.

დეკაპრელევიჩი 1938 – ლ. დეკაპრელევიჩი, შ. რუსთაველის ეპოქის ზოგიერთი უმთავრესი კულტურის სამეურნეო მნიშვნელობა, კრებული – შ. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ.

ერისთავი 1884 – რ. ერისთავი, ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი: მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებებიდან, თბ.

ვაჟა-ფშაველა 1950 – ვაჟა-ფშაველა, ტ., 2, ლექსები, თბ.

კახაძე 1987 – ო. კახაძე, პურეულის ლექსიკა ქართულში, თბ.

მაისაია 2009 – ი. მაისაია, ჩვენი ეროვნული საუნჯე (საქართველოს მარცვლოვანი და საზეთე-ბოჭკოვანი კულტურები), თბ.

მაყაშვილი 1961 – ბოტანიკური ლექსიკონი, თბ.

საბა 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ.

ქეგლი 1950 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბ.

ჩუბინაშვილი 1961 – ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ.

ჩუბინაშვილი 1984 – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ, თბ.

ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2020 – ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი, ქართული ხორბლის უძველესი სახეობის - მახას (*Triticum macha*) – თავდაპირველი სემანტიკისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XLVIII, თბ. (იბეჭდება).

ჯავახიშვილი 1930 – ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, თბ.

Nana Khocholava-Machavariani

Why is the Name Makha that Refers to the Oldest Species of Georgian Wheat Not Attested in the Old Georgian Written Monuments?

Summary

It is generally accepted that *Triticum macha* Dek. et Men. is one of the most archaic species of Georgian endemic wheat and its Georgian name Makha belongs to the category of the original word formation. Nevertheless, the name Makha is not attested in old Georgian written monuments while in Georgian translations of the Bible or other ancient written sources a number of Georgian

names of grain crops are attested. Studying the issue made it clear to us why the name Makha does not appear in old Georgian written monuments.

The main conclusions are as follows: 1. "Kilianebi" (Aslisebrni) are the original, ancient species of cultivated wheat; 2. All variations of the Georgian endemic Makhaare Kiliani wheat and belong to the group of Aslisebrni; 3. Chelta Makha is the folk name of the old Colchian Asli (Tr. Palaeocolchicum Men.); 4. The old Colchian Asli is mainly included in the Makha crops and was not considered as a separate species (it was separated by scientists in the 20th century); 5. The similarity of the Kilianebi species led to their indistinguishability (the situation is the same today), so Makha, like Kilianebi wheat, was considered to be the same as Asli; 7. Asli attested by Xenophon is presumably Makha, along with an old Colchian Asli mixed with it; 8. The name Asli became a general term for Kilianebi later, since much earlier *maqqa* should have been the original name, in general, of a man-cropped wheat, so *maqqa* must have been a folk agricultural term; 9. The name Asli mentioned in ancient Georgian sources (translated and original) generally referred to Kilianebi wheat or any of its species, including Makha; 10. The ancient name Makha (<**maqqa*) was considered as a local, dialectal (Western Georgia) name in Old Georgian.

ცირა ჯანჯღავა

სემანტიკური ცვლილებისათვის მეგრულ ნასესხებ ლექსიკაში

სემანტიკის ცვლილება ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებში ყველა ენისათვის დამახასიათებელი თვისებაა; ბუნებრივია, გამონაკლისი არც მეგრულ-ლაზური ენის მეგრული დიალექტია. ნასესხებ სიტყვებში მომხდარ სემანტიკურ ცვლილებებს მიეძღვნა ჩვენ მიერ ადრე გამოქვეყნებული ორი წერილი (იხ. ჯანჯღავა 2018: 219-222; ჯანჯღავა 2019: 595-599), რომლებშიც 20-20 ნასესხები მეგრული სიტყვა კვლევის საგანი. ამჯერად განვიხილავთ სხვადასხვა ენიდან მეგრულში შემოსულ და დამკვიდრებულ კიდევ 20 სიტყვას.

1. მეგრ. **ადამიანი** „ადამიანი; ქალი, მანდილოსანი“ (ქაჯაია 2001: 164; ქობალია 2010: 8). ეს ქართული სიტყვა დერივატია და **ადამ** საკუთარი სახელისგან არის ნაწარმოები -**იან** სუფიქსით; -**იან** < -**იან** (შანიძე 1976: 52).

2. **არიკი** „ზღაპარი“ ნასესხები ჩანს ქართულიდან (ციფშიძე 1914: 197). ქართული სალიტერატურო ენის სათანადო სიტყვას – **არაკი** – ორი მნიშვნელობა აქვს: 1. „ზღაპურლი შინაარსის იგავი, იგავ-ზღაპარი“ და 2. „გადატ. ტყუილი, მოგონილი ამბავი“ (ქეგლი 1950: 539). თავად ქართული **არაკი** კი ბ. გიგინეიშვილს სომხურიდან შემოსულად მიაჩნია (გიგინეიშვილი 2016: 20).

ქართულიდან არის ნასესხები, აგრეთვე, მეგრ. **საარიკო** || **სარიკო** || **სარკო** „საკვირველი, საოცარი“ (ციფშიძე 1914: 197) – შდრ. ქართ. საარაკო.

3. **ახირებული** || **ახრებული** „არაჩვეულებრივი, ძვირფასი“ (ქაჯაია 2001: 207). შესაბამისი ქართული სიტყვა **ახირებული** საოზიექტო მიმღეობაა და ნიშნავს: „1. დაჩემებული, დაჟინებული, აკვიატებული, 2. უცნაური, უჩვეულო, გასაოცარი, საკვირველი“ (ქეგლი 1950: 915).

4. **ზაცანა** || **ზაცანი** „ცულლუტი, გაიძვერა, უსაქმური ახალგაზრდა“; ნასესხებია რუსულიდან: რუს **пацан** სასაუბრ. მეტყვ. „ბიჭი, ბიჭუნა“ (რელ 1987: 99). მეგრულ დიალექტში **პ** → **ზ** დისიმილაციური გამჟღერებით.

5. **ბიჭება** || **მობიჭება** „დაჩიავება, გადაგვარება, გადაჯიშება, გაფუჭე-

ბა, გამოფიტვა“ (ქაჯაია 2001: 247, ქაჯაია 2002: 289). მეგრულ სიტყვაში გამოიყოფა ფუძე **ბიჭ**-, რომელიც ქართულიდან არის ნასესხები; შდრ. ქართ. **ბიჭი** „მამრობითი სქესის მოზარდი ადამიანი, ყრმა“ (ქეგლი 1950: 1072), **ნაბიჭვეი** „1. ნამცეცი, ნახორხალი, ნამტვრევი, 2. ნაადრევი ბატკანი“ (ქეგლი 1958: 1266).

6. **ვირი** „1. სახედარი; 2. ვირთხა“. სიტყვა ამ ფორმით ქართულიდან არის ნასესხები; ქართული **ვირ**-ის შესატყვისად მეგრულში გირინი გვაქვს (ჩიქობავა 1938: 79-80). „ვირთხის“ მნიშვნელობა შექმნილია.

7. **ზაფრანა** „წიწკა, პილპილი“ უკავშირდება ქართულ **ზაფრანა**-ს, რომელიც არის „კულტურული მცენარე ზამბახისებრთა ოჯახისა..., ენძელასა ჰგავს...“ (ქეგლი 1955: 105). **ზაფრანა** ქართულში სპარსულიდან თუ არაბულიდან ნასესხებად არის მიჩნეული (ანდრონიკაშვილი 1996: 206; გიგინეიშვილი 2016: 168). მეგრულში მისთვის არაბუნებრივი **ფრ** კომპლექსი გამარტივებულია (ფრ → ფ).

8. **ზინდუა** „1. თრევა; 2. გაჭიმვა, გაწელვა“. მეორე მნიშვნელობა შექმნილია – შდრ. ქართ. **ზიდვა** „წადება, აწევა (მძიმე რისამე)“ (ქეგლი 1955: 153). მეგრულში **ნ დ**-ს წინა განვითარებულია.

9. **კანდიორი** „ამაყი, თამამი, მედიდური, ამპარტავანი, პრანჭია“ (ყიფშიძე 1914: 251; ჭარაია 1997: 75; ქაჯაია 2002: 105; ქობალია 2010: 353). ახალ ქართულში ამ სიტყვის მნიშვნელობაა „თამამი, გამბედავი, მოურიდებელი, თავზედი“ (ქეგლი 1955: 1007), ძველ ქართულში – „გაბედული, თამამი“ (აბულაძე 1973: 190); მ. ანდრონიკაშვილი არაბულ-სპარსულ ნასესხობად მიიჩნევს (ანდრონიკაშვილი 1996: 207).

მეგრულში არაბუნებრივი **დნ** კომპლექსი **ნდ**-ში გადასულა; **ერ**-ისაგან **ორ**-ის მიღების საფუძველი საკვლევა (შდრ. მსგავსი პროცესი: მეგრ. მანგიორი < ქართ. მაგიერი).

10. **კართე** „კალთა“; სათანადო სიტყვას – **კალთა** – ქართულში ორი ძირითადი მნიშვნელობა აქვს: „1. ქვემოთ გაშლილი ტანისამოსის (კაბის, ჩოხის...) ქვედა ნაწილი“ და „2. დაქანებული, დაფერდებული (მთისა)“ (ქეგლი 1955: 1033). მეგრულში **კართე** მხოლოდ პირველი მნიშვნელობით გამოიყენება. ქართულიდან სიტყვის სესხების შემდეგ **ლთ** კომპლექსი მეგრულში **რთ**-ში გადასულა და სიტყვის ბოლოს **ე** გაჩენილა (როგორც ჩანს *კალთა > *კართა > კართე).

11. **კიბე** „საფეხურიანი ასასვლელ-ჩასასვლელი“ ნასესხებია ქართულიდან (გიგინეიშვილი 2016: 252). მეგრულში ეს სიტყვა ზოგადი სახელია ყველა სახის კიბისა. საკუთრივ მეგრულია **ტკვა** „მთლიან ხეზე საფეხურებჩაჭრილი კიბე, რომელიც ჩვეულებრივ მიდგმული იყო სასიმინდეზე“

(ქაჯაია 2002: 31), „საცალფეხო კიბე-მორი ჩაჭრილი საფეხურებით“ (ქობალია 2010: 603) და **ჩართი** „სახლის კიბე; საქათმის მასიური კიბე“ (ქაჯაია 2002: 293), „თაჯული კიბე“ (ქობალია 2010: 670).

12. **ნაკვეთი** „მიწის გარკვეული ნაწილი“ სათანადო ქართული სიტყვა **კვეთს** ზმნისგან ნაწარმოები საობიექტო მიმღეობაა და რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. მეგრულში ეს სიტყვა დამკვიდრებულია ძირითადი მნიშვნელობის შესაბამისად – „მიწის რაიმე ნაწილი, რომელიც ვისიმე სარგებლობაშია“ (ქეგლი 1958: 1309).

13. **ნემეცი** რუსულიდან შემოსული სიტყვაა (რუს. немец „გერმანელი“). მეგრულში ამ სიტყვას ორი მნიშვნელობა აქვს: 1. (რუსულისებური) „გერმანელი“ და „2. ჭკვიანი, გონებამახვილი, მოსაზრებული“.

14. **პერო** „კალამი“ რუსულიდან არის ნასესხები (რუს. перо), სადაც ამ სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს (რელ 1987: 110-111), მეგრულში კი ლითონის საწერი საშუალების აღსანიშნავად არის გამოყენებული.

15. **რაში** „რაში; მძლავრი, ძალიან ღონიერი, ძალიან ძლიერი (შდრ. მეგრ. შესიტყვება **კოჩიშ რაში** „ძლიერი კაცი“, ზედმიწე. „კაცის რაში“). სიტყვა წარმოშობით სპარსულია და ქართულ სალიტერატურო ენაში დამკვიდრების შემდეგ შემოსულია მეგრულში.

16. **ქუხნა** „სამხარეულო სახლი“ ნასესხებია რუსულიდან; სათანადო რუსულ სიტყვას – кухня – მეგრულში წარმოდგენილ მნიშვნელობასთან ერთად, სხვა მნიშვნელობაც მოეპოვება: „საჭმლის მომზადება“, „საჭმელეების ერთობლიობა“... (რელ 1986: 156).

17. **ყარაჩი** ეთნიკური ტერმინია, რომელიც, სავარაუდოდ, ქართულიდან არის შემოსული და მეგრულში აღნიშნავს როგორც „ყარაჩაელს“, ისე „ყარაჩაული ჯიშის ცხენს“ (ქობალია 2010: 649). სიტყვები **ყარაჩა**, **ყარაჩაელი**, **ყარაჩაელები** ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში (კერძოდ, ყარაჩაი-ჩერქეზეთში) მოსახლე ხალხის თვითსახელწოდებას უკავშირდება.

18. **ცალა** „ცოფიანი“ ნასესხები უნდა იყოს ჩერქეზული ენებიდან, სადაც სათანადო სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: „ველური; ოჩანი; გამმაგებული; უკარება“ (ადილეური 1960: 689; ყაზარდოულ-ჩერქეზული 1999: 828).

19. **ჩეთვერი** „სამლიტრიანი ბოთლი“ რუსულიდან არის ნასესხები. მრავალი მნიშვნელობიდან, რომლებიც სათანადო რუსულ სიტყვას უკავშირდება, მეგრულისათვის ამოსავალია ის მნიშვნელობა, რომელიც მას რუსულში ადრე ჰქონია: „სითხის მოცულობა, ვედროს მეოთხედი, – სამი

ლიტრის მოცულობის ბოთლი“ (რელ 1966: 674).

20. **ჩოგანი** „ღომის საზელი, ხვარჩინი“ ქართულიდან არის ნასესხები, ხოლო ქართულში სპარსულიდან შემოსულად მიიჩნევა; **ჩოგან**-ს ქართულში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, მეგრულისებური მნიშვნელობა დასტურდება დასავლურ-ქართულ დიალექტებში (ქეგლი 1964: 526-527).

ლიტერატურა

ადილეური 1960 – А. А. Хатанов, З. И. Керашева, Толковый словарь адыгейского языка, Майкоп.

ანდრონიკაშვილი 1996 – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, ტ. II, თბილისი.

გიგინეიშვილი 2016 – ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა – მ), თბილისი.

რელ 1986 – Словарь русского языка, т. II, Главный редактор - А. П. Евгеньева, Москва.

რელ 1987 – Словарь русского языка, т. III, Главный редактор - А. П. Евгеньева, Москва.

რელ 1988 – Словарь русского языка, т. IV, Главный редактор - А. П. Евгеньева, Москва.

ქაჯაია 2001 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი.

ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი.

ქაჯაია 2002. – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი.

ქეგლი 1950 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

ქეგლი 1955 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

ქეგლი 1958 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

ქეგლი 1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

ქობალია 2010 – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

ყაბარდოულ-ჩერქეზული 1999 – Словарь кабардино-черкесского языка, Главный редактор – П. М. Багов, Москва.

ყიფშიძე 1914 – Грамматика мингрельского (иверского) языка. Мингрельско-русский словарь, С.-Петербург.

ჩიქობავა 1938 – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი.

ჯანჯღავა 2018 – ც. ჯანჯღავა, ნასესხები სიტყვების სემანტიკურ

ცვლილებათა შესახებ მეგრულში. – იკე, ტ. 46, თბილისი.

ჯანჯღავა 2019 – ც. ჯანჯღავა, ნასესხები სიტყვების სემანტიკურ ცვლილებათა შესახებ მეგრულში. II – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“. V. შრომები, ქუთაისი.

Tsira Janjghava

On the Semantic Change in the Megrelian
Borrowed Vocabulary

Summary

This paper is a continuation of two papers previously published in recent years (see “Ibero-Caucasian Linguistics”, Vol. 46, Tbilisi, 2018 and “Language and Culture”, Vol. V, Kutaisi, 2019) in which we discussed 20 words that entered Megrelian dialect of the Megrelian-Laz language and that underwent semantic changes after borrowing. The present paper discusses another 20 borrowed words in which the semantics is changed.

მარინა ჯღარკავა

ხედვის სემანტიკის ზმნათა ერთი ჯგუფის შესახებ მეგრულ-ლაზურში

რეალური სამყაროს შერქმევა, გარემომცველი სინამდვილის შემეცნებავერ იქნებოდა სრული, ცოცხალ არსებებს ვიზუალური აღქმის ნიჭი რომ არ ჰქონოდათ. ვიზუალური აღქმა შესაძლებლობაა უწყვეტად მივიღოთ ინფორმაცია გარე რეალობის შესახებ, აღვსუსხოთ სივრცე და მასში გამოკვეთილი საგნებისფორმა, ხატი, სტრუქტურა, ზომა, სიმკვეთრე, ფერი, ფონი და სხვა.

მხედველობითი აღქმის სიტუაცია გულისხმობს სუბიექტის ქმედებას, რომელიც ეხმარება მას სინამდვილის ათვისებაში, ანუ აღქმა არის პროცესი, ამიტომ მისი გამოხატვისთვის მთავარი როლი ეკისრება ზმნას (ფრანგულისი 2006, 116). ასეთი ზმნები, რა თქმა უნდა, ყველა ენაშია, ოღონდ სხვადასხვა რაოდენობითა და სხვადასხვა მორფოლოგიური კლასიფიკატორებით. მოდალობის თვალსაზრისით შესაძლებელია გამოვყოთ მათი ფუნქცია, ერთი მხრივ, გამოხატონ სუბიექტის უნარი, დააფიქსიროს ირგვლივ არსებული რეალობა. მათ ქართულში განეკუთვნება ზმნა **ხედავს**. მეორე მხრივ, არის ზმნები, როგორებიცაა **უყურებს**, **უმზერს**, **უთვალთვალებს** და სხვ., რომლებიც აღნიშნავენ აღქმისთვის საჭირო ქმედებას.

ქართველური ენები გამოირჩევა ხედვის სემანტიკის ზმნების სიმრავლით, რომელთა შორის გვაქვს როგორც საერთო ძირისა და ფუძის მქონე ერთეულები, ასევე განსხვავებულიც.

ხედვის მოდალობის ზმნებში საერთოქართველური ძირია **ხ-** (ილ. ცერცვაძე, ვ. თოფურია). მ. ჩუხუამ შეადარა სვანური **ხალ**, ქართული **ხელ-ზანურ** (მეგრულ) **ხვილ**ფუძესთან და აღნიშნა, რომ მეგრულში დადასტურებული **ხვილ-** ფუძისთვის ბუნებრივია ქართულისმაგვარი **ხედვა/ნახვა/ხილვა** სემანტიკა. ამას თვალსაჩინოს ხდის კონტექსტების განხილვა, შდრ. ქართ. „წადი და იხილავ“ და მისი ზუსტი ზანური თარგმანი „მეუ დო თექ ქიგიოხვილუანქე“... ქართული **ე/ი**-ს ფარდად მეგრულში **ვი**-ს გაჩენის ანალოგად მკვლევარი ასახელებს ქართ. **ექერ/ციორ** და მეგრ. **ცივიორ** ფუძეებს. მ. ჩუხუა ასკვნის, რომ საერთოქართველურ ფუძეენას ჰქონდა ხ- ძირიანი ზმნური ფორმები, რომელთა სემანტიკაც „ხედვით“ „ხილვით“ შემოისაზღვრებოდა, განსხვავებული მნიშვნელობები, რაც თანამედროვე ქართველურ ენა-კილოებში დასტურდება, ინოვაციას წარმოადგენს და გა-

ჩენილია ქართველურ ენათა დამოუკიდებელი განვითარების პერიოდში (ჩუხუა 2000, 393);

ქართველურ ენებში გვაქვს **წ/წა/წყ** ძირის მქონე ზმნები. მ. ჩუხუამ შეადარა სვანური **წად-/წად-/წედ**, ხ-ე-**წად** „ხედავს, უყურებს“, ლი-**წედ** „დანახვა, შეხედვა, ყურება“... ზანური (მეგრული) **წავდ/წაიდ** „ყურება“, ქიგი-ბ-**წავდ**-ი „შემოვიხედე“... (ჭანური) წკედ-, გო-ვ-ი-**წაიდ**-ი „გავიხედე“ (ჩუხუა 2000, 353); ვფიქრობთ, რომ აქ გამოიყოფა ძირები **წ** და **წა/წყ** დეტერმინანტი სუფიქსითურთ. შევადაროთ სვანური: **ნომა ჯ-ე-წ-ე ამერჟა არ დაგინახო აქ** (სვანური მასალა მოგვარდა ქეთევან მარგიანი-დადვანი-მა). ასევე ჩნდება **წკ** ძირი ლაზურ მასდარში **ო-წკ-ომ-უ** „ხედვა, დათვალიერება“, სადაც **ო-უ** მასდარის მაწარმოებლებია, **-ომ**თემის ნიშანი; **წკ** ძირი გამოიყოფა ლაზურში ზმნაში **ბ-ო-წკ-ერ** „ვხედავ“, რომლის მეგრული შესატყვისია **ვ-ო-რწყ-ე-ქ**.

ქართველურ ენა-კილოებში ხედვის აღმნიშვნელი ზმნებიდან შეიძლება დავასახელოთ:

1. ქართულში – ხედავს, უცქერს, უმზერს, უჭვრეტს, ნახა, უყურებს, ათვალიერებს, უთვალთვალებს, აკვირდება, უბღვერს, ამტერდება, შესციცინებს...

2. სვანურში – ხოსგდი „ხედავს(უყურებს)“, ხაწდნე „ანახვებს“, ათჟურალი, ასინჯაჟი „თვალყურს ადევნებს, უკვირდება, ათვალიერებს“... იბღირანალ „იბღვირება“, ხობლიანე „დაბნეულად, გამოშტერებულად უყურებს“...

3. ზანურში – მეგრ. ორწყე/ლაზ. ოწკენ „ხედავს“, მეგრ. ძირუნს/ლაზ. ძირუნ/ზირომს „ნახავს“; მეგრ. უჯინე „უყურებს“; ლაზ. ოხოსარს „უჭვრეტს“ და სხვ.

ხედვის სემანტიკის მატარებელია ქართველურში ზმნათა საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომლებიც გარდა თავიანთი პირდაპირი ფუნქციისა, გამოხატავენ ასევე სუბიექტის დამოკიდებულებას ობიექტისადმი ან სუბიექტის სახის გამომეტყველებას ყურების დროს. ასეთი ზმნები ქართულშიც არის, მაგ.: უბღვერს, ამტერდება, შესციცინებს...; მრავლადაა ისინი სვანურში და აღსანიშნავია, რომ სვანურში მათ ხანმეტობისდროინდელი ფორმა აქვს მიღებული, თუმცა ბევრი მათგანი შედარებით გვიან არის გაჩენილი:

ხ-ე-ბღ-ირ-ან-ალ „უბღვერს“

ხ-ო-ცაჟლცაჟნე „შესციცინებს“

ხ-ო-ტრიკანე „დაჟინებული ცქერა, დაჟინებით უყურებს“

ხ-ო-ბლი-ან-ე „დაბნეულად, გამოშტერებულად უყურებს“

ხ-ო-სიდ-ან-ე „ელამი უყურებს“

ხ-ო-შტი-ან-ე „მიშტერებით უყურებს“

ხ-ო-წკი-ან-ე „წვრილთვალება უყურებს“ და სხვ... (სვანურ მასალა-ზე მუშაობს ქეთევან მარგიანი-დადვანი).

რაც შეეხება ზანურს, მეგრულსა და ლაზურში რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა: ლაზურში არის მსგავსი ზმნები, მაგრამ მცირე ოდენობით:

ობოსარს „უჭვრეტს“. **ხოსარ-** ძირზეგარკვეული ზმნისწინების დამატებით იცვლება ზმნის სემანტიკა **ამახოსარს, შიგნით უჭვრეტს** („ამა-ხოსარაფა „შეჭვრეტა“), **გოწახოსარს** „ირგვლივ ათვალიერებს, მომოათვალიერებს“ (**გოწახოსარაფა** მიმოთვალიერება)...(თანდილავა 2013: 169). მაგ., მთუთიქ ქუიმხოტუდა“ დო **ამიხოსარუ** ახუის – „დათვი შეჭამდაო და შეიჭვრიტა ბოსელში“ (კარტოზია 1972: 116).

ოდულანუ „ცერად გახედვა“(თანდილავა 2013: 636) შდრ. ზან. **დულა** „მრუდე, მოგრეხილი“; უდულაფს „ცერად უყურებს“;

მეზომონუ „მიშტერება“, **მეზომონაფს** „ამტერდება“; მუთხანი **ქომეაზ-მონი** – „რადაც მივაშტერდი“(თანდილავა 2013: 407).

ისეთი ლექსემები, როგორცაა: **დადილი** „მკრთალად ხედვა“... (თანდილავა 2013: 758), **გოსერსემერი** (თურქ.-სპარს. Sersem, ლაზ.-თურქ. goserssem-ეი) „დაბნეული, გაბრიყვებული, გაშტერებული“ (თანდილავა 2013: 153), გამოიყენება ხედვის აღმნიშვნელ ძირითად ზმნებთან **ოწკენ** და **ძირუნს**, რომელთაც ლაზური ასევე ამატებს შესიტყვებებს, რომელთა შორის უმეტესობა დაკავშირებულია თვალთან: **თოლი გოლაყონუ** „თვალის ვლება, თვალთვალი, თვალიერება, თვალის გაყოლება“, **თოლი იყონუ-გეყონუ** „ათვალიერება-ჩათვალიერება, თვალის აყოლება-ჩაყოლება“, **თოლი მეკკოდუ** „გაოცება, თვალის მოწყვეტა“, **თოლი მონკა** „სერიოზული, თვალი მიმიე“, **თოლი მოსთვალუ** „შეშინება“, **თოლი მდირელი** „თვალამღვრეული“, **თოლი მესქიდუ** „მიაშტერდა“(თანდილავა, 290- 291).

მეგრულში აღნიშნული ჯგუფის ზმნები საკმაოზე მეტია. მათ ერთნაირი მორფოლოგიური ყალიბი აქვს, რომელიც მიღებულია მასდარზე ზმნური მაწარმოებლების დართვით. მაგ., **ზიდინ-ი** „გულუბრყვილო, მიაშიტი, უაზროყურება“. **იზიდინანს/ოზიდინანს** „მიამიტად, უაზროდ იყურება“. **უზიდინანს** „მიამიტად, უაზროდ უყურებს“.

ამ ჯგუფში შედის:

ზირდინუა „ბოთესავითყურება“. **იზირდინანს/ოზირდინანს** „იყურება ბოთესავით“.

ზირდინ-ი „ამაყად, ზვიადადყურება“; **იზირდინანს/ოზირდინანს** „ამაყად, ზვიადად იყურება“.

ზირინ-ი „[გა]ოგნება, [გა]შტერება“; „იქით-აქეთუაზრო, გაოგნებული, გაშტერებული ყურება (ცქერა)“. **ოზირინანს** იგივეა, რაც **იზირინანს**. **ზირონდუ(ნ)** „გაშტერებული იყურება“(ქაჯაია 2001: 244); **ზირინი** – უაზროდ, თვალებგადმოცვნილი ყურება, ცქერა (ელიავა 1997: 32);

ზირცხინაფა, ზირცხინუა სახელი **ოზირცხინუანს, უზირცხანს** ზმნათა- „ჭყეტა (თვალისა), ცქვითად ყურება“.

ზირძდინ-ი „გაგულისება, გამომწვევად ყურება, ქცევა“;

ბიტინ-ი „უაზრო, უდარდელი, უნაღვლოყურება“. **ობიტინანს** „უდარდელად იყურება“ (ქაჯაია 2002: 246). **ობიტინანს** „უაზროდ იყურება“ (ელიავა 1997: 32)

ბიციინ-ი *იხ.* **ცვიბინი**, - „დაბღვერილი ყურება“.

გოსვისვინაფა „გატრუნვა, ხმაგაკმენდილი ყურება“.

დვირინ-ი „გამომტერებული ყურება“. **იდვირინანს** - „გამომტერებული იყურება“.

დირდინ-ი „უმნო გამოხედვა (ყურება)“. **იდირდინანს** - „უმნოდ იყურება“.

დღვიზინ-ი „ბღვერა, წყრომითყურება, მუქართ მზერა“. **იდღვიზინანს** - „იბღვირება“.

დღვიპინ-ი „მოჭმუხნილი, მოღუშული ყურება“. **იდღვიპინანს** - „მოღუშული იყურება“.

ეკოყიინ-ი „თვალგადმოკარკლულად დამიდევნებითყურება“.

ზგინჯინაფა „მკვირცხლადყურება“. **იზგინჯინანს** „მკვირცხლადიყურება“;

თქვითქვინ-ი „პუტკუნას ნაზი ყურება“. *მდრ.* **დღვიდღვინი, ტყვიტყვინი // ტკვიტკვინი.** **ითქვითქვინანს** - „პუტკუნად იყურება“.

კვიკვინ-ი „ნაზადყურება; კეკლუცობა“; **იკვიკვინანს** - „კეკლუცობს, ნაზად იყურება“. *მდრ.* **სვისვინი, ქვიქვინი, ყვიყვინი, წვიწვინი.**

კვირსა „ვისაც ჩუმად წყრომას ჩვევია და ისე ყურება; ქედმაღალი“. *იხ.* **კვირსინი** - „გაბუტულად ყურება, ჩუმად წყრომა“

კინოჯინა „უკანყურება, მოხედვა“. **კინიჯინე** - „უკან-უკან იყურება“.

ლიგვინ-ი „გამომტერებულიყურება“. **ილიგვინანს//ოლიგვინანს** - „გამომტერებული იყურება“.

ნდღვირინი - „ბღვერა“; **ინდღვირინანს** - „იბღვირება, დაბღვერით იყურება“.

ნჩვირინ-ი, ნჩვირინა სახელი **ინჩვირინანს** ზმნისა- „მწყრალი, გაბრაზებული ხედვა (ყურება)“, „ბღვერა“. **ინჩვირინანს** „იბღვირება“.

ნმგვირინ-ი, ნმგვირინა სახელი **ინმგვირინანს** ზმნისა – წყრომით, სახემოღუშული ყურება; განზეყურება. **ინმგვირინანს** „სახემოღუშული იყურება“.

ჟვიჟვინ-ი „ნაზად, მორცხვადყურება - ჟუჟუნი“.

რინტინ-ი „ცეტობა, ცერცეტობა, თავქარიანობა“. **ორინტინანს** იგივეა, რაც **ირინტინანს** - „ცეტად იყურება“.

რიჟინა იგივეა, რაც **რიჟინაფა** - „თვალეზისბრიალით, პრაწვით ყურება“. **ორიჟინანს** „აბრიალებს, პრაწავს (თვალეზს)“.

რიცვინა სახელი **ირიცვინანს** ზმნისა – გაოგნებული, რეტდასხმული ყურება. **ირიცვინანს** იგივეა, რაც **ორიცვინანს**.

რსიმინ-ი განაბული ყურება, გარინდება; განაბვა; კუმტიმზერა. **ორსიმინანს** „იბღვირება; გარინდული იყურება“. **ორსიმინანს** იგივეა, რაც **ირსიმინანს**.

რსხიპინ-ი ჭყერა, ჭყეტა. **ირსხიპინანს** „თვალდაჭყერილი იყურება“. **ორსხიპინანს** იგივეა, რაც **ირსხიპინანს**.

რცხიმინუა „ბრიალი (თვალისა)“; „კუმტობა, კუმტადყურება“. **ორცხიმინანს** „კუმტადიყურება“, **ორცხიმინუანს** აბრიალებს (თვალეს).

რძლიმინ-ი, რძლიმინუა სახელი **ირძლიმინანს** ზმნისა - „თვალისჭყეტით ყურება“. **ირძლიმინანს** „იჭყიტება, თვალდაჭყეტით იყურება“. **ორძლიმინანს** იგივეა, რაც **ირძლიმინანს**.

რწიპინ-ი წრიპინი, ძალზე წვრილი ხმის გამოცემა. // გადატ. განაბული ყურება. **ირწიპინანს** „განაბულიყურება“. **ორწიპინანს** იგივეა, რაც **ირწიპინანს**.

რწვიმინუა სახელი **ირწვიმინანს** ზმნისა - „გაყუჩება, გარინდება“, „წარბშეუხრელად ყურება ელვარე თვალებით“. **ირწვიმინანს** „გარინდებულად იყურება ელვარეთ ვალებით“. **ორწვიმინანს** იგივეა, რაც **ირწვიმინანს**.

რჯგიმინ-ი, რჯგიმინუა სახელი **ირჯგიმინანს** ზმნისა - „ამაყად ყურება, ბრექიობა, ბლენძა, ჭიმვა“.

სვირინი, სვირინუა - ნაზად ყურება . **ისვირინანს** „ნაზად იყურება; გაცეცხებით, გამორჩეულად იყურება“. **ოსვირინანს** იგივეა, რაც **ისვირინანს**.

სვირტინ-ი, სვირტინუა იგივეა, რაც **სვირთინი**, - „უშნოდ გაზრდა სიმალლეში“. **ისვირტინანს** - გადატ. „გულუბრყვილოდ იყურება“.

სვისვინ-ი, სვისვინუა სახელი **ოსვისვინანს** ზმნისა - „კეკლეცობა; კოპწიაობა; მდუმარება“; **ოსვისვინანს** - „მორიდებით, დარცხვენით, მშვიდად, ნაზად იყურება“; **ოსვისვინანს** იგივეა, რაც **ისვისვინანს**. შდრ. **ცქვიქვინი; ძგვიძგვინი; წკვიწკვინი**

სქვიპინ-ი „პატარის(ტანით) უშნოდ ყურება“. **მუჭო ისქვიპინანს?** - „როგორ იყურება (უშნოდ)“?

ტვირინი - „მორიდებით, უაზრო ყურება“. **იტვირინანს** - „უაზროდ იყურება“. **ოტვირინანს** - „მორიდებით, ჩუმად იყურება“.

ტყვიზინ-ი „თვალეზგადმოკარკვლით, გამტერებით ყურება; ბღვერა“. **იტყვიზინანს** - „თვალეზგადმოკარკვლით იყურება“, - „იზღვირება“. **ოტყვიზინანს** იგივეა, რაც **იტყვიზინანს** „თვალეზდაყვლეფილი იყურება“; **უტყვიზინანს** „უყურებს ბღვერით, თვალეზდაყვლეფილი“. **უტყვიზინანს თოლი** „გადმოკარკვლილი აქვს თვალეზი“. აქედან **თოლიტყვიზა** „თვალეზგადმოკარკვლილი“ (ქაჯაია 2002 III: 46).

ტყვიპინ-ი „სახეგაყვითლებულის მოღუშულიყურება“. **იტყვიპინანს** - „მოღუშულად იყურება“.

ტყვირინ-ი იგივეა, რაც **დღვირინი**, - „სახის მოღუშული გამომეტყველება; ნაწყენი პირის გამოხედვა“, - „მოღუშვით ყურება“. **იტყვირინანს** „მოღუშვით იყურება“.

ტყვიტყვინ-ი იგივეა, რაც **ტყვირინი**, - „სახის მოღუშული გამომეტყველება, მოღუშვით ყურება“. **იტყვიტყვინანს** - „მოღუშვით იყურება“.

ოფიყვინანს „უხალისოდ იყურება“. **ოფიყვინანს** იგივეა, რაც **იფიყვინანს**.

ღვიბინუა „კოხტად, ლამაზად ყურება (გამოხედვა)“. **იღვიბინანს** „კოხტად იყურება“.

ღვინჯგინუა იგივეა, რაც **ღვინჯგინი**, - „გაღიმება“. **იღვინჯგინანს**, **ოღვინჯგინანს** „იღიმის, გაღიმებული იყურება“.

ყვიპინ-ი „სახეშეშუპებული ყურება“; „მოწყენით გამოხედვა“. **იყვიპინანს** „მოწყენით იყურება“.

ყვირყვინ-ი იგივეა, რაც **ყვირყვინი**, - „უმწეოდყურება“. გადატ. „ყურყუტი“.

ყვირყვინუა „უმწეოდ ყურება“. **იყვირყვინანს** „უმწეოდ იყურება“.

ყვირყვინ-ი იგივეა, რაც **ყვირყვინი**, - „უმწეოდყურება“; „მობუზული, მოწყენილის მზერა“; **იყვირყვინანს** - **ოყვირყვინანს** - „უმწეოდ იყურება“.

ყიყინ-ი 1. იგივეა, რაც **ყირყინი**, - „ყიყინი, გაურკვეველი ლაპარაკი, ბურტყუნი“. 2. „თვალეზადმოკარკლული ყურება“; „მორიდებული ჩახედვა“; **ინაყიყინანს** - „თვალეზადმოკარკლული ჩაჰყურებს / თვალს არ აცილებს“ (ქაჯაია 2002 III: 213).

ყვიბინ-ი იგივეა, რაც **ბიყვინი**, - „სულელური გამოხედვა (ყურება)“.

ყვირგინ-ი „გამოთავყანებული, გამოჩერჩეტებული“. **იყვირგინანს** „გამოთავყანებულად იყურება“.

ყვირინ-ი, **ყვირინაფა** „აქეთ-იქით გაოგნებით ყურება“. **იყვირინანს**, **ყვირონდუ(ნ)** „გაოგნებით, გაშტერებით იყურება (იქით-აქეთ)“.

ჩვიგინ-ი, **ჩვირგინ-ი** (**ჩვი[ნ]გინს**) „გამოთავყანებული, გამოშტერებული იყურება (მზერა)“. **იჩვი[ნ]გინანს** „გამოთავყანებული იყურება“.

ჩვიპინ-ი „შეშუპებული სახის მქონე პირის ყურება“.

ჩვირგინ-ი იგივეა, რაც **ჩვიგინი**, - „გამოშტერებული ყურება“.

ჩირხინ-ი, **ჩირხინუა** (**ჩირხინუას**) „ბღენმა“. **ოჩირხინანს** იგივეა, რაც **იჩირხინანს**, - „გაბღენძილია, გაბღენძილი იყურება“.

ციცივინ-ი „ტანმორჩილის (პიროვნების) გამოხედვა (ყურება)“. შდრ. **სვისვინი**; **ძვიძვინი**, **წვიწვინი**.

ციქვინ-ი „ტანმორჩილის ყურება“. **იციქვინანს** - „ციცქნად იყურება“.

ცქვირინ-ი „თვალეზის იქეთ-აქეთ ცეცება, დაკვირვებით ყურება“; (შდრ. ქართ. „ყურების ცქვეტა“). შდრ. **ძღვირინი**, **წკვირინი**. იხ. **ცქვირინაფა** - „დაკვირვებით ცქერა, ყურადღების გამახვილება; თვალეზის ცეცება“; (ქაჯაია 2002: 361); **ცქვირინი** - „ინტერესით თვალთვალი“ (ელიავა 1997: 356).

ძგვიბინ-ი „უმწოდყურება“. **იძგვიბინანს** - „უმწოდ იყურება, უკმაყოფილოდ“.

ძგვინძგვინ „ცხვირგრძელი პიროვნების უმწოდ ყურება და ყურყუტი“. **იძგვინძგვინანს** - „ცხვირწაწვეტილად იყურება“.

ძგვირინ-ი იხ. **ნძგვირინი** „რალაცის მოლოდინში გაკვირვებით ყურება“; „უკმაყოფილო ხედვა; უმწოდ, უტიფარი ყურება“. **იძგვირინანს** - **ოძგვირინანს** „გაოცებული იყურება; ყურყუტებს“.

ძგვირინ-ი „ავი თვალთ შემოხედვა (ყურება) არაკეთილმოსურნისა“.

მიგინ-ი, მიგინუა „ყუნტვა, ყურყუტი; უშნო, უაზროყურება“. **იმიგინანს** „უშნოდ(უაზროდ) იყურება“;

ძღვიბინ-ი „პატარადაუშნოპირი-სახისმქონისგამოხედვა(ყურება)“. **იძღვიბინანს** „პატარაპირისსახისმქონეუშნოდიყურება“.

ძღვირინ-ი „ბღვერა; უშნო პირსახის მქონე პიროვნების ყურება; საწყალი გამოხედვა“. **იძღვირინანს** „საწყლად, უშნოდიყურება“. იხ. **ცქვირინი, წკვირინი**.

ძღვიძღვინ-ი „შეწუხებული სახით ყურება; საბრალო გამოხედვა“. **იძღვიძღვინანს** „საბრალოდ იყურება“. იხ. **ცქვიცქვინი, წკვიწკვინი**.

წვიწვინ-ი „ნაზად, სანდომიანად ყურება; კეკლუცობა, კოპწიაობა“. **იწვიწვინანს** „ნაზად (სანდომიანად) იყურება“. **ოწვიწვინანს** იგივეა, რაც **იწვიწვინანს**. შდრ. **კვიკვინი, სვისვინი, ყვიყვინი...; ცვიცვინი, ძვიძვინი, ჭვიჭვინი, ჯვიჯვინი**.

წკვიპინ-ი „წვრილი პირსახიანის კუმტი გამოხედვა“. **იწკვიპინანს** - **ოწკვიპინანს** იგივეა, რაც **იწკვიპინანს**

წკვირინ-ი „კუმტად ყურება; გაბრაზებული (უკმაყოფილო) განზეყურება“. შდრ. **ცქვირინი; ძღვირინი. წკვირინაფა** „კუმტადყურება; უკმაყოფილო გამომეტყველებით ყურება“. **იწკვირინანს** „კუმტადი ყურება“.

წკვიწკვინ-ი „დამწუხრებული სახით ყურება“. იხ. **ცქვიცქვინი; ძღვიძღვინი, ძღვირინი**.

წყვიწყვინ-ი „მოწყენილი ყურება“. შდრ. **ყვიყვინი. იწყვიწყვინანს** „მოწყენილი იყურება“.

ჭყვიჭყვინ-ი იგივეა, რაც **წყვიწყვინი** „მოწყენითყურება; სახე ჩამოსტირის და ისე იყურება“.

იხვიჩინუა „გაბადვრა, მხიარული გამოხედვა; ციმციმი (სახით)“. **იხვიჩინანს** „ციმციმებს, კიაფობს; გაბადრული იყურება“. **ოხვიჩინანს** იგივეა, რაც **იხვიჩინანს**.

იჯგვიბინ-ი, იჯგვიბინუა სახელი **იჯგვიბინანს** ზმნისა - „მსხვილი (ფართო) პირ-სახის მქონე პირის ყურება“. შდრ. **ძღვიბინი**.

იჯგვიჯგვინ-ი „უხეში, ტლანქი გამოხედვა (ყურება)“. **იჯგვიჯგვინანს** „უხეშად, ტლანქად {გამო}იყურება“.

იჯვინჯვინ-ი იგივეა, რაც **იჯვიჯვინი** „მსხვილი ცხვირპირიანის უშნოდ ყურება“. **იჯვინჯვინანს(ნ)** „იყურება უშნოდ, ტუჩაბზუებით“.

იჯვირინ-ი „არასიმპატიური ყურება, გაბუტული გამოხედვა“. **იჯვირინანს** „გაბუტული (ნაწყენი) იყურება“. (მეგრული მასალა ამოკრებილია ო. ქაჯაიასა და გ. ელიავას ლექსიკონებიდან)

აღნიშნული ჯგუფის ზმნებისსაწყისი ფორმები სამგვარი წარმოებისაა და სამივეში ძირითადი მაწარმოებელია **-ინ** სუფიქსი, რომელსაც დაერთვის **-ი** (ბრუნვის ნიშანი), **-უ** (თემის ნიშანი), **-ა** (მასდარის მაწარმოებელი), **-აფ** (კაუზაციის ნიშანი) .

- 1.მარტივი წარმოებისა- R-**ინ-ი**;
- 2.რთული წარმოებისა - R-**ინ-უ-ა**;

3. რთული წარმოებისა, კაუზატიური ფორმა **R-ინ-აფ-ა**, რომელიც ძირითადად დაირთავს ზმნისწინს.

შევადართ:

წვეირ-ინ-ი, წვეირ-ინ -უ-ა, ალა-წვეირ-ინ-აფ-ა

ბირდ-ინ-ი, ბირდინ-უ-ა, მიშა-ბირდ-ინ--აფ-ა

რსიმ-ინ-ი, რსიმ-ინ-უ-ა, გო-რსიმ-ინ-აფ-ა

ზმნური ფორმები მიიღება სწორედ მარტივი წარმოების მასდარზე სათანადო კატეგორიების ნიშანთა დართვით. აწმყოს ფუძის ყალიბი ერთნაირია:

ი (ო/უ)-R-ინ-ან

სადაც **ი, ო-, უ-** შესაბამისი ქცევის ნიშნებია, **-ან** - თემის ნიშანი, (ფუძეს ემატება პირისა და რიცხვის ნიშნები, მარკერები).

ვ-ი-ბირდ-ინ-ან-ქ, ი-ბირდ-ინ-ან-ქ, ი-ბირდ-ინ-ან-ს,

ვ-ი-ბირდ-ინ-ან-თ, ი-ბირდ-ინ-ან-თ, ი-ბირდ-ინ-ან-ა(ნ).

ი-ბირდ-ინ-ან-ს და ი-ბირდ-ინ-ან-ს ერთპირიანია („იყურება“), **უ-ბირდ-ინ-ან-ს** - ორპირიანი („უყურებს“).

ამ ჯგუფის ზმნები **მედიოაქტივებია**. აღსანიშნავია, რომ სასუბიექტო და ნეიტრალური ქცევის ფორმებს (**იბირდინანს, ობირდინანს** „უაზროდ იყურება“) ქართულში ინიანი ვნებითის ზმნაშეესატყვისება, მაგრამ საობიექტო ქცევის შემთხვევაში შესატყვისი მედიოაქტივის ფორმაა (უბირდინანს „უაზროდ უყურებს“).

გვაქვს აქტივის, მოქმედებითი გვარის ზმნებიც. ისინი პირდაპირ ობიექტად შეიწყობს სახელს თოლი „თვალი“ და გვამღვეს შესიტყვებებს:

ორიყინუანს (თოლენს) „აბრიალებს, პრაწავს (თვალებს)“ (ქაჯაია, 2002: 528), **ორყიმინუანს (თოლენს)** „აბრიალებს თვალებს“ მოქმედ. (ქაჯაია 2002: 536). **ორცხიმინუანს (თოლენს)** „აბრიალებს(თვალებს)“ (ქაჯაია 2002: 557).

გაანალიზებულ ზმნათა ამ ჯგუფს შეიძლება ჰიბრიდული სემანტიკის ზმნები დავარქვათ, რადგან მათ ორმაგი გაგება აქვს: 1. ყურება და 2. სახის გამომეტყველება ყურების დროს. ხშირ შემთხვევაში ისინი ირონიის, დაცინვის გამოსახატავად გამოიყენება ან მთქმელის გაბრაზების დროს.

ასეთი ზმნების დიდი ჯგუფია ზანურში (მეგრულში) და სვანურში.

(ამ ზმნათა უღლების პარადიგმები წარმოდგენილი იქნება შემდგომ ნაშრომში).

ლიტერატურა

- ელიავა 1997** – ელიავა გ., მეგრულ-ქართული ლექსიკონი (მასალე-ბი), თბ., 1997;
- თანდილავა 2013** – ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი (ლაზური ნენაფუნა), თბ. 2013;
- კარტოზია 1972** – გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, თბ., 1972;
- ქაჯაია 2001** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., 2001.
- ქაჯაია 2002** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2002.
- ქაჯაია 2002 III** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბ., 2002.
- ჩუხუა 2000** – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000.
- ფრანგულისი 2006** – З.С. Франгулис, К вопросу о классификации глаголов зрительного восприятия, ВЕСТНИК ИрГТУ 4 (28) – Филология, оркუტსკი, 2006.

Marina Jgharkava

On a Group of Verbs Related to Vision in Megrelian-Laz

Summary

Verbs expressing the visual perception of the world are in all languages but in different numbers and with different morphological classifiers. In terms of modality, it is possible to distinguish their function, on the one hand, to express the ability of the subject, to perceive the surrounding reality (e.g. the verb *xcdva* “to see” in Georgian), and on the other hand, there are verbs such as *gureba* “to watch”, *mzera* “to look at”, *tvaltvali* “to overwatch”, etc., that indicate an action necessary for perception.

A rather large group of verbs has the semantics of seeing in Kartvelian, that in addition to their direct function, also express the subject's attitude towards the object or the expression of the subject's face while looking at something. Such verbs are also in the Georgian language and they are in Svan in abundance. As for Zan (Megrelian and Laz), the situation is radically different: in Laz, there are similar verbs but in small quantities while in Megrelian, the number of such verbs is about 80.

The original forms of the verbs of this group are of three types in terms of formation and the main formative in all three types is the suffix **-in** that is added by **-i** (a case marker), **-u** (a stem marker), **-a** (a masdar formative), **-ap** (a causation marker).

1. Simple formation - R-in-i;
2. Complex formation - R-in-u-a;
3. Complex formation, the causative form R-in-af-a, that is mainly added by a preverb.

The verbs in this group are medioactive. It should be noted that the forms of subjective and neutral version (*ibirdinans*, *obirdinans* "to looks at smth. meaninglessly") are equal to the Georgian passiveverb having the prefix **-i** but in the case of the objective version, the medioactive form is its equivalent (*უბირდინანს* "to looks at smth. meaninglessly").

We also have activeverbs. They are directly added by the word *toli* "eye" as an object and give us phrases such as *orižinuans (tolcns)* "to flash a glance".

This group of analyzed verbs can be called "the verbs of complex semantics" because they have a double meaning: 1. looking at and 2. facial expressions while looking at. In most cases, they are used to express irony, ridicule, or anger.

მეცნიერის არქივიდან

ბესარიონ ჯორბენაძე

მესხური კილო ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით*

საქართველოს ყოველი კუთხის მსგავსად მესხეთიც განუყოფელია თავისი ისტორიული, ეთნოგრაფიული, მუსიკალური და ენობრივი კოლორიტით. მას შესაბამისად გათვალისწინება და შესწავლა ესაჭიროება. ზოგადი ტრადიციების მომარჯვება რეალურ სურათს ვერ წარმოგვისახავს, რადგან ყოველი თავისებურება შინაგანად არის შეპირობებული და იმავდროულად ორგანულად არის შეხამებული იმ მოვლენებთან, რომლებიც საერთო-ეროვნული კულტურის კუთვნილებათ:

* * *

საგანგებოდ მტკიცება არ სჭირდება იმას, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ცოცხალ კილოებს ეროვნული ენისათვის.

დიალექტები ის დვრიტაა, რომელიც სათავეს უდებს ერთიანი ეროვნული ენის წარმოქმნას.

დიალექტები ის ბალავარია, რომელსაც ხშირ-ხშირად მიმართავს ხოლმე სალიტერატურო ენა ძალ-ღონის მოსაკრებად, ხმარებისაგან გაცვეთილი ფორმების გასაახლებლად, გამომხატველობითი უნარის გასაცოცხლებლად.

სავსებით უმწეო აღმოჩნდება ენის მკვლევარი დიალექტების მონაცემების გარეშე.

საერთოდ, ქართული ენის მკვლევარს სამი ძირითადი მომენტის გათვალისწინება სჭირდება წარმატებული საქმიანობისათვის.

ეს არის:

უპირველესად – ძველი სალიტერატურო ქართული,

შემდეგ – ქართული ენის ცოცხალი კილოები,

და, ბოლოს, მონათესავე (სვანური და მეგრულ-ჭანური) ენები.

მათგან ცოცხალ (ეთნიკურ ანუ ტერიტორიულ) დიალექტებს განსაკუთრებული, შეუცვლელი სამეცნიერო ღირებულება ენიჭება.

ჯერ ერთი, დიალექტებს დაცული აქვს ბევრი ისეთი ფორმა, რომელიც არსებითად უძველესი ქართულის კუთვნილებათ, მაგრამ თვით ძველი ქართული ენის ძეგლებში არ არის ჯერჯერობით მოძველებული.

* წერილი დასაბეჭდად მოამზადა და რედაქციას გადმოსცა ნინო ჯორბენაძემ.

შემდეგ: დიალექტებს ცოცხლად აქვს შემონახული ის პროცესი ფორმათა წარმოქმნისა, რომლის შედეგსა ვადასტურებთ სალიტერატურო ენაში და, ამდენად, დიალექტები ფასეულ ცნობებს გვაწვდიან ამა თუ იმ ენობრივი ფორმის წარმოქმნისა და ჩამოყალიბების ისტორიისათვის.

გარდა ამისა, დიალექტებს, ასე ვთქვათ, თავისებური რეზერვის სახით აქვს დაცული ის გრამატიკული თუ ლექსიკური ფორმები, რომლებიც ჯერხნობით არ ასახულა სალიტერატურო ენაში, მაგრამ ასეთი პერსპექტივა კი უთუოდ უჩანთ.

დიალექტი ამა თუ იმ ერის შემადგენლობაში შემავალი ეთნიკური ჯგუფის მეტყველებაა, რომელსაც უტყუარად აქვს დაცული ამ ეთნოსის ისტორია და თავისებურება, იმავდროულად ძირითადი გამომხატველია მისი მსოფლხედვისა. ამიტომაც დიალექტების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფსიქოლოგიის თვალსაზრისით.

ასე რომ, დაისმის გლობალური პრობლემები, რომელთა წარმატებულ შესწავლას მხოლოდ კომპლექსური მიდგომით არის შესაძლებელი.

* * *

თანამედროვე ეპოქაში ქართული სალიტერატურო ენის სულ უფრო გაძლიერების, გავრცელებისა და საყოველთაოდ დამკვიდრების გამო თანდათანობით იშლება, იჩქმალება, ნიველირდება დიალექტური თავისებურებანი, დიალექტთა გამომრჩევი ნიშან-თვისებანი. ეს არის აუცილებელი და ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ენის ცხოვრებაში. ეს გარდაუვალი და ყოველმხრივ მხარდასაჭერი პროცესი ხელს უწყობს ქართული ერის კონსოლიდაციას, სულიერ ერთიანობას. მაგრამ ამავე პროცესს თან მოაქვს დიალექტებში შემორჩენილი თავისებური მოვლენების თანდათანობითი გაქრობაც, გადაშენება იმისა, რასაც უახლესი მეცნიერული ღირებულება აქვს. ამიტომაც სწორედ ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დიალექტური მასალის ზუსტ ენათმეცნიერულ ფიქსირებას, დიალექტებისათვის დამახასიათებელი ენობრივი პროცესების გამოკვლევას, დიალექტური ლექსიკური ფონდის მაქსიმალურ გამოვლენას და სათანადო შეფასების შემდგომ ყოველივე ამის საერთო ეროვნული სალიტერატურო ქართული ენის სამსახურში ჩაყენებას.

ეს კი თავის მხრივ იმაზე მიგვანიშნებს, რომ აუცილებელია ამავითვე მართებულად იქნას გააზრებული დიალექტებისა და სალიტერატურო ენის ურთიერთმიმართება.

ენა არა მხოლოდ აზრის გამოხატვისა ან ურთიერთობის საშუალებაა, არამედ უშუალოდ არის დაკავშირებული თვით აზრის ფორმირების პროცესთან.

სალიტერატურო ენა ითვლება ეროვნული ენის უმაღლეს ფორმად. სალიტერატურო ენა ითვალისწინებს ეროვნული ენის განვითარების ტენდენციებს და ყოველ ეპოქაში შესაბამისი წესების სახით ამკვიდრებს მას.

სალიტერატურო ენა არის ერის კულტურის ნაყოფი და იმავე დროს მისივე განვითარებისა და წინსვლის მძლავრი საშუალება.

სალიტერატურო ენის განვითარებისა და დახვეწის სამი ძირითადი ფაქტორი არსებობს:

პირველი და უმთავრესი არის განვითარების შინაგანი პოტენცია;

შემდეგ: არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სალიტერატურო ენის ურთიერთობას ცოცხალ კილოებთან;

და ბოლოს: ყოველი სალიტერატურო ენა მდიდრდება სხვა ენებთან გონივრული ურთიერთობითაც.

ენა იცვლება, ვითარდება, მაგრამ თუკი ეს ცვალებადობა თვისებრივად არ ცვლის მას, არ აქცევს სხვა ენად, მხოლოდ იმიტომ, რომ უცვლელი რჩება ენის შინაგანი თვითორგანიზების წესი. ეს არის ის კალაპოტი, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს ცალკეულ პიროვნებათა ენობრივი შემოქმედება.

იმავედროულად ყოველი ცვლილება, მეტყველების ყოველი ინდივიდუალური ნაირსახეობა იმთავითვე შეპირობებულია ენის იმანენტური პოტენციით.

ენა იმდენადაა ინდივიდუალური, რამდენადაც ამის შესაძლებლობას იძლევა მისი კოლექტიური ბუნება – საკომუნიკაციო, საურთიერთო ფუნქცია, და იმდენადაა კოლექტიური – საკომუნიკაციო ფუნქციის მქონე, რამდენადაც ერთდროულად კუთვნილებაა ცალკეული პიროვნებებისა.

ეს არის ერთი და იმავე არსის ორგვარი გამოვლინება.

აქედან გამომდინარე, ენა არის ის ობიექტური მოვლენა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ყოველ პიროვნებას გამოხატოს თავისი სუბიექტური მსოფლხედვა.

ენა იცვლება დროსა და სივრცეში.

პირველ შემთხვევაში ენის ისტორიასთან გვაქვს საქმე, მეორე შემთხვევაში – მის დიალექტურ ნაირსახეობებთან, რომელთა ჩამოყალიბება ხანგრძლივი ისტორიულ-გეოგრაფიული, პოლიტიკურით თუ ეთნიკური პროცესების არის შეპირობებული.

ამ მხრივ ისტორიული მესხეთი საგანგებო ყურადღებას იმსახურებს.

ისტორიულად მესხეთი საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. არსებითად ეს იყო საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი: მტკვრის აუზის ზემო წელი (სამცხე, ჯავახეთი, არტაანი, ერუშეთი, კოლა) და მთლიანად ჭოროხის აუზი (აჭარა, კლარჯეთი, შავშეთი, ტაო, სპერი...). გვიანი შუა საუკუნეებიდან საქართველოს ეს კუთხე (ზოგიერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებებით) სამცხე-საათაბაგოდ იწოდებოდა.

მესხეთი (სამცხე-საათაბაგო), **კოლხეთი** (იგივე ეგრისი, აფხაზეთი, ახლა – დასავლეთ საქართველო) და **იბერია** (ქართლი, შემდგომ: ქართლ-კახეთი თავისი განაპირა კუთხეებით – ქიზიყით, ფხოვით, ხევით, თუშეთით... ახლა – აღმოსავლეთ საქართველო) ოდესღაც ერთიანი საქართველოს სამი ძირითადი მხარე იყო.

XI-XIII საუკუნეებში მესხეთი საქართველოს ერთ-ერთი საერისთავოა – სამცხის სპასალარ ჯაყელ-ციხისჯვარელთა (რომელიც სათავეს

იღებს სულა კალმახელისაგან – სულა კალმახის ერისთავისაგან) სამფლობელო.

XIII საუკუნიდან, როცა მესხეთის მფლობელებმა საქართველოს სამეფო კარზე ათაბაგის თანამდებობა დაიმკვიდრეს, მათი საგამგებლო საათაბაგოდ იწოდებოდა. ცენტრი ახალციხე იყო.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ, 70-იან წლებში, სამცხე-საათაბაგოდ წოდებული მესხეთი ოსმალეთმა (თურქეთმა) დაიპყრო და ერთ ხანს ამ მხარის მმართველობა გამაჰმადიანებულ ჯაყელებს დაუტოვა. ასე იქცა სამცხე-საათაბაგო ახალციხის საფაშოდ.

მესხეთი „არა ერთგზის აოხრებულა შემოსეული მტრისაგან. არაბები, ბიზანტიელები, სელჯუკიანი თურქები, მონგოლები წამლეკავ ტალღად ედებოდნენ ამ მხარეს, მაგრამ იგი ყოველთვის ახერხებდა ფეხზე დადგომასა და აღორძინებას, ვიდრე ოსმალთა თურქებმა არ დაიპყრეს“ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი, 1961). ოსმალეთმა კარგა ხნით (XVI-XIX საუკუნეების მანძილზე) მოგლიჯა ეს კუთხე საქართველოს, მოსახლეობის ერთი ნაწილი გამაჰმადიანა, მაგრამ დედაენა მაინც ვერ დაავიწყა. ვახუშტი ბატონიშვილი წუხილით აღნიშნავდა: „გლეხნი კულადცა მაჰმადიანდებიან ჭირისათვის დიდისა“. ასეთი ვითარება გაგრძელდა 1828 წლამდე, როცა ქართველებისა და რუსების გაერთიანებულმა ჯარმა აიღო ახალციხე და დაამხო ახალციხის საფაშო. „1829 წლიდან სამცხე-საათაბაგოს გარკვეული ნაწილი დაუბრუნდა საქართველოს და მეფის რუსეთის ბატონობა დაიმკვიდრდა. გამაჰმადიანებულ ქართველთა ნაწილი ოსმალეთში გადასახლდა და აქ დაამკვიდრეს იქიდან გადმოხვეწილი სომხები და ბერძნები“ (ქართული დიალექტოლოგია).

ამჟამად ისტორიული მესხეთის დიდი ნაწილი თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. საქართველოს შემორჩა აჭარა, სამცხე და ჯავახეთი (ისიც ამ კუთხეების გარკვეული ნაწილი).

ისტორიული სამცხე შემდგომ მესხეთად იწოდა და, ამდენად, სამცხე და მესხეთი ერთმანეთის ფარდ ტერმინებად იქნა გაგებული.

თუ ისტორიულ ვითარებას გავითვალისწინებთ და ამჟამინდელ მდგომარეობასაც გავუწევთ ანგარიშს, უმჯობესი იქნება დიალექტურ ერთეულად გამოვყოთ მესხური, რომლის კილოკავებია სამცხური და ჯავახური.

ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერს სამცხე-საათაბაგოს: „მცხეთოს უწოდა ტფილისის და არაგუის დასავლეთს ლიხის მთამდე და ტაშისკარამდე შიდა ქართლი და ტაშისკარსა და ფანავრის დასავლეთს ზღუამდე უწოდა ზემო ქართლი... ხოლო შემდგომად მცხეთოს განუყო სამთა მეთა თუთისთა წილი თუთისი და მიცა უფლოსს, მესა თუთისსა... და მესა თუთისსა ოძრახოს მისცა ტაშისკარის ზეითი და მტკურის დასავლეთი, ვიდრე ზღუამდე, საზღვრამდე ქართლოსისა, რომელ არიან აწ სამცხე, გურია, ლიგანი, შავშეთი, არტანუჯი, ფანასკერტი, ოლთისი და ტაო... ხოლო ფანავრის დასავლეთი და მტკურის აღმოსავლეთი ვიდრე თავამდე მტკურისა მისცა მცხეთოს მესა თუთისსა ჯავახოსს და ამის მიერ ეწოდა ამ ადგილებთა ჯავა-

ხეთი. და არიან ამათ ადგილთა შინა ჯავახეთი, არტანი, ერუშეთი, კოლა და მტკურის აღმოსავლეთი; ხოლო კლარჯეთი არა არს წილი ამათი... და ესრეთ განიყო სახელი ზემო ქართლისა სამად. არამედ აწ ოძრახოს წილს გურიის მთამდე და არსიანის მთამდე უწოდებენ სამცხეს... ჯავახეთს უწოდებენ მასვე ძუელს სახელს“.

სამცხე-ჯავახეთში საკუთრივ სამცხელებისა (მესხებისა) და ჯავახების გარდა ამჟამად ცხოვრობენ მცირემოსავლიანი სოფლებიდან გადმოსახლებული რაჭველები, იმერლები, მთიულები, ქართლელები, აჭარლები... ასე რომ, დღევანდელი სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე ქართული ენის სხვადასხვა დიალექტური მეტყველება ისმის. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, არ გამოირიცხება დიალექტთა ურთიერთზეგავლენა, მით უფრო – დიალექტურ მეტყველებაზე სალიტერატურო ენის გავლენა. მიუხედავად ამისა, სამცხურ-ჯავახურს დაცული აქვს ის დვრიტა, რომელიც მას სხვა ქართულ კილოთაგან გამოარჩევს.

მესხური (სამცხურ-ჯავახური) იმ დიალექტთა რიგს განკუთვნიება, რომელთა შესახებ პირდაპირი მითითებაა ისტორიულ წყაროებში. მაგალითად, ევრემ მცირე ერთგან შენიშნავს: „შეისწავე, რამეთუ ამას სუინოლოროსსა, რომელ არს თანამოსარჩლე, მ ე ს ხ თ ა მ ი ე რ ვარქირი ჰქვან, მიზდებით მოყვანებულსა მოსარჩლესა“. ანდა: ბასილი სადთური მის მიერ გადაწერილ კრებულს ასეთ ანდერძს ურთავს: „დედასა შინა „მუნქუესვე“ დიად ეწერა და მისდა ნაცვლად „მეყსეულად“ დამიწერია და „ამარზაკისა“ ნაცვლად „მყის“. და ამისთვის მ ე ს ხ თ ა ც ა შემინდვეთ. ენასა ქართველთასა ესე უკეთუ მოეგუარების“; ანუ: კრებულის შემდგენი აშკარად განარჩევს მესხურ დიალექტიზმებს. მესხიზმები აისახა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც; ერთ-ერთი ნიმუში: „მარტული – ლათინთა ენაა, მოწამეს უწოდებენ, ხოლო მ ე ს ხ ნ ი ყ რ მ ა ს ა უ წ ო დ ე ბ ე ნ“. ვახუშტი ბატონიშვილი ზედმიწევნით ახასიათებს იმ ენობრივ სიტუაციას, რომელიც მისდროინდელ სამცხე-საათაბაგოში იყო: „კაცნი და ქალნი არიან მგზავსნი ქართველთანი (=ქართლელთა), არამედ უმეტეს ნელიად და ენა-ტკბილად მოუბარნი“; იგი იმასაც აღნიშნავს, რომ მოსახლეობის ნაწილი გამაჰმადიანებულია, რომელთაც „ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული. გარნა წარჩინებულნი ნადიმთა და კრებულთა შინა უბნობენ აწ თათრულსა და თვსთა სახლებთა ანუ ურთიერთის მეგობრობათა შინა იტყვან ქართულსავე“. ღირსსაცნობია მინიშნება მესხურისა და გურულის სიახლოვეზე, რომელიც მას გურიის აღწერისას აქვს აღნიშნული: „კაცნი და ქალნი... ენა-ტკბილმოუბარნი, უმეტეს წიგნის სიტყვით (მ ე ს ხ თ ა ე ბ რ)“.

სამცხურ-ჯავახურში თავს იჩენს როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ, საქართველოს დიალექტებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი, თუმცა არსებითი, განმსაზღვრელი ენობრივი მოვლენები სამცხურ-ჯავახურს მაინც აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტთა წრეში მოაქცევს.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი სამცხურ-ჯავახური კილო შედარებით მცირე ტერიტორიაზეა გავრცელებული, მას საკმაოდ თვალსაჩინო ქცევებრივი დიფერენციაცია ახასიათებს. მაგალითად, 1942 წელს

გამოქვეყნებულ ნაშრომში („ძირითადი ფონეტიკური მოვლენები მესხურში“) ი. მაისურაძე მესხურისათვის (სამცხურისათვის) სამ ძირითად ქცევას ასახელებდა: უდე-არალურს – მესხ კათოლიკეთა მეტყველებას (სოფლები: უდე, არალი, ვალე, ქალაქი ახალციხე...), მესხურ-ჭობარულს – მესხ მართლმადიდებელთა მეტყველებას (სოფლები: ანდრიაწმიდა, ღრელი, ჭობარეთი, მუსხი, ზედა თმოგვი, დადეში) და სვირულს – მესხ მაჰმადიანთა მეტყველებას (სოფლები: სვირი, ბოგა, ტატანისი, შურდო, აწყური...). ამჟამად ფუნქციონირებს პირველი ორი ქცევა.

რამდენიმე ქცევა გამოიყოფა ჯავახურ კილოკავშიც. მაგალითად, ზოგი ენობრივი ნიშნით გამორჩეულია ხიზაბავრის, მურჯახეთის, ბარალეთის, ხოსპიოს და ზოგიერთი სხვა სოფლის მეტყველებას.

თითოეული ამ ქცევებრივი ნაირსახეობის სისტემური აღწერა, მათ შორის მსგავსება-სხვაობის დეტალური აღწერა აუცილებელია უახლოეს ხანებში.

* * *

როგორც ითქვა, სამცხური და ჯავახური ურთიერთმიმართ არსებითად კილოკავებს წარმოადგენენ. ბევრი ნიშნით ისინი ქვემო და დასავლეთ ქართლურს უახლოვდებიან. ეს სიახლოვე იმდენად ხელშესახებია, რომ ზოგ მკვლევარს შესაძლებლად მიაჩნია სამცხურ-ჯავახური (მესხური) კილოკავის დონეზე დაუკავშიროს ქართლურ დიალექტს (რაც, რა თქმა უნდა, ფრიად პრობლემურია).

სამცხურსა და ჯავახურს ენობრივი თვალსაზრისით ბევრი რამა აქვთ საერთო. ნიმუშად ზოგიერთ მათგანს დავასახელებთ.

ორივე კილოკავში დასტურდება ე ხმოვნის იოტირებული შემართვა: ეხლა „ახლა“, ეხო „ეხო“; შეინიშნება ფუძეშიც: ს-დევეს-ს „სდევეს“, ს-ცემ-ს „სცემს“.

ასევე ორივე კილოკავში ხმოვნის წინა პოზიციაში ი → ე: ა) მაშინ, როცა აი → ი ჩვენებითი ნაწილაკ-მორფემოიდია: აი ეს → ეეს, აი ეგ → ეეგ, აი ესე → ეესე, აი აქ → აი ექ → ეექ, აი ამ → აი ემ → ეემ; პარალელურად: იეს, იეგ, იესე, იექ, იემ; ბ) ე დასტურდება ნასესხებ სიტყვებში: ძარალი, ძოლი, გძაური.

ორივე კილოკავში ჰ || ს → ე, ოღონდ პროცესი საკმაოდ შეზღუდულია; ძირითადად გვხვდება მასშინა → მაშინ, როცა → როცა და მისთ. ფორმებში. აქა-იქ თავს იჩენს ჰ || ს პირის ნიშანთა ცვლა ე-დ, იგივე ითქმის მიცემითისა და ნათესაობითის -ს ნიშანზე, აგრეთვე III სუბიექტური პირის -ს ფორმანტზეც. როგორც ჩანს, აქ მაინც ქართლურის გავლენასთან გვაქვს საქმე.

დამოწმებულია უმლაუტიანი ხმოვნები: ა, ო, უ. ამათგან ო და უ ქართული წარმომავლობის ფორმებში ვე და ვი კომპლექსთა რეფლექსს წარმოადგენს: ჩვენ → ჩონ, შვილი → შული. ზოგჯერ უმლაუტი პალატარული ხმოვნის მეზობლობით აიხსნება: პალოები → პალუები (დისიმილაციით) → პალუები (ე ხმოვანი ახდენს პალატალიზაციას). სხვა შემთხვე-

ვებში უმლაუტიანი ხმოვნები თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში გვხვდება, ქასა, დალიბაში, ბაზირგანი, დუზანი, ქულფათი.

უმლაუტიანი ხმოვნები უკვე გაქრობის გზასაა დამდგარი, რაც ორგვარი ფონეტიკური შედეგით ვლინდება: ა) მოშლილია უმლაუტი, ჩონ → ჩონ, შული → შული, ბ) უმლაუტიანი ხმოვანი იცვლება შესაბამისი კომპლექსით: დაითხოვა → დაითხოა → დაითხუა → დაითხვია.

ნიშანდობლივია ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა: ჰაკვანი, ჰეკალი, ჰეჭვი, ჰეკლესია, ჰამობენ „ამბობენ“, ჰამას „ამას“. ჰ შენარჩუნებულია ნასესხები სიტყვების თავკიდურა პოზიციაში: ჰარამი, ჰალალი, ჰურია.

დამახასიათებელია ნათლად გამოხატული ტონური მახვილი, რომელიც ხმოვნის დაგრძელებით წარმოთქმას იწვევს. გვხვდება იგი ერთმარცვლიან ფორმებშიც (ჩაფიქრებული ზის), ხოლო ორ- და მეტმარცვლიან სიტყვებს ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდის, ჩვეულებრივ. მახვილი განსაკუთრებით საგრძნობია კითხვითი, თხოვნითი, გაკვირვებითი, ძახითი ინტონაციის დროს: არ წახვედი? (თუ ფრაზაში კითხვითი სიტყვაა, მახვილი მას მოუდის, რა მოიტანე?; მიუხედავად ამისა, ხმოვანი სიტყვაში შესაძლოა მაინც დაგრძელდეს: რა მოიტანე?); გოგო, წყალი მოიტანო! (= მოიტანე!)... მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდის შედგენილ შემასმენელსაც: კაი წყალრა, გაყინულრა.

ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნის ან პაუზის წინა პოზიციაში ს → ჰ, მიუხედავად იმისა, ს ფუძისეულია თუ ფორმანტისეული. ს შეიძლება იყოს: ა) ფუძისეული: ეს → ეჰ, ის → იჰ, ასწავლე → აჰწავლე; ბ) მიცემითი ბრუნვის ნიშანი: რას → რაჰ, ძმას → ძმაჰ, ხენწიფეს → ხენწიფეჰ; გ) ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი: ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან (ოქროს ბურთი → ოქროჰ ბურთი, წყაროს წყალი → წყაროჰ წყალი), თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან (ხის ძირი → ხიჰ ძირი, კაცისკენ → კაციჰკენ, თავისი ქალი → თავიჰ ქალი); დ) III სუბიექტური პირის ნიშანი: დადის → დადიჰ, უთხრას → უთხრაჰ, გააკეთოს → გააკეთოჰ; ამავე რეფლექს იძლევა მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის -ეს ნიშნისეული -ს ელემენტიც: აჭამეს → აჭამეჰ, დანიშნეს → დანიშნეჰ, დაიწყეს → დაიწყეჰ. სპორადულად ს → ჰ შეიძლება დავადასტუროთ სხვა პოზიციებშიც: საით → ჰაით.

ორივე კილოკავში -ნ | -თ სუფიქსიანი მრავლობითი სპეციფიკური ფუნქციით გამოიყენება.

-თ სუფიქსი გამოყენებულია სიტყვაწარმოებითი დანიშნულებით: ტან-ი → ტან-თ-ი „ტანსაცმელი“, ფეხ-ი → ფეხ-თ-ი „ფეხსაცმელი“.

იგივე -თ სუფიქსი დასტურდება გვარის განაყოფთა (შტო-გვარის) სახელდების დროს: დათა-თ სინოი | სინო დათა-თ-ი „სინო დათაშვილი“; პაპა-თ მანაი | მანა პაპა-თ-ი „მანა პაპაშვილი“; აქედან: პაპა-თ-ნ-ი „პაპაშვილები“.

შტო-გვარის სახელები -ან და -ენ სუფიქსებითაც იწარმოება: თამაზა-ან-ი, მოსე-ენ-ი, გელა-ენ-ი → გელე-ენ-ი → გელი-ენ-ი...

შტო-გვარის სახელთაგან შესაძლოა იწარმოოს კუთვნილებისა და ადგილის (ლოკატიური) ფორმები (ამ შემთხვევაში -ან, ჩვეულებრივ, შენარჩუნებულია, -ენ შეიძლება დაიკარგოს): თამაზაანი → თამაზაან-თ-ი (კუთვნილება) → *თამაზაან-თ-ს-ა → თამაზაან-ც-ა (ლოკატივი); მოსეენი → მოსეენ-თ-ი → *მოსეენ-თ-ს-ა → მოსეენ-ც-ა; გელიენი → გელა-თ-ი (|| გელიენთი) → *გელა-თ-ს-ა → გელა-ც-ა (გ. ბერიძე).

თითქმის ყველა თემის ნიშანს სამცხურ-ჯავახურში ცვლის -ამ | -ან, ემ | -ენ, -ომ | -ონ.

თემის ნიშანთა მონაცვლეობას საფუძვლად შეიძლება ჰქონდეს როგორც ფონეტიკური, ასევე მორფოლოგიური პრინციპი (რომელსაც ხშირად თან ახლავს ფონეტიკური ცვლაც).

ფონეტიკური პრინციპით იცვლება: ხედ-ავ-ს → ხედ-ამ-ს | ხედ-ან-ს; ა-კეთ-ებ-ს → ა-კეთ-ემ-ს → ა-კეთ-ენ-ს; მუშა-ობ-ს → მუშა-ომ-ს → მუშა-ონ-ს.

მორფოლოგიური შენაცვლება: ა-კეთ-ებ-ს → ა-კეთ-ამ-ს, აქედან – ფონეტიკურად შეპირობებული: ა-კეთ-ან-ს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მ → ნ ერთნაირი ძალით არ იჩენს თავს მთელ სამცხურ-ჯავახურში. სხვაობა გვაქვს თქმებისა და ქცევების მიხედვით. მაგალითად, ჯავახურში, სოფელ აფნიაში უგამონაკლისოდ არის გატარებული მ → ნ (ასევე: ვ → მ → ნ, ბ → მ → ნ), ხოლო სოფელ ჩუნჩხაში ჩაწერილ ტექსტში კი მერყეობაა: ფიქრომდა | ფიქრონდა, წაიღემდა | წაიღენდა.

საერთო ქართული მოვლენაა: კავშირებითის ფორმაზე „უნდა“ ნაწილაკ-მორფემოდის დართვით გამოიხატება ვალდებულებითი კილო: უნდა ვაკეთებდე | გავაკეთო | გამეკეთებინა (აქ II შედეგობითი ცვლის III კავშირებითს). ამ სტრუქტურაში არ მონაწილეობს მყოფადის კავშირებითი (არ იხმარება *უნდა გავაკეთებდე). ეს პრინციპი სამცხურ-ჯავახურშიც მოქმედებს, ოღონდ გარკვეული მოდიფიკაციებით; კერძოდ, **უნდა** ფორმოზრივად იცვლება: -ნა | -და | -ნდა; ამათგან ძირითადია -ნა. ესაა თვალნათლივი პროცესი დამოუკიდებელი სიტყვის („უნდა“) გარდაქცევისა მორფემად – სემანტიკურ გადააზრიანებას თან მოჰყვა ფორმოზრივი ცვლაც: ფორმა გარეგნულადაც მორფემის სტატუსზე დადის. შევნიშნავთ, რომ სამცხურ-ჯავახურში უ-ნდ-ა ზმნის გვერდით დაცულია უ-ნ-ა ფორმაც.

-ნა წარმოდგენილია ორ პოზიციაში.

-ნა ზმნის წინაა და ამ შემთხვევაში იგი ენკლიტიკურად მიერთვის წინამავალ სიტყვას: მე-ნა წავიდე, ღვდეღ-ნა მოვიყვანო, ბოვშევი-ნა დავანათვლინო „მე უნდა წავიდე, მღვდელი უნდა მოვიყვანო, ბავშვები უნდა მოვანათვლინო“.

-ნა ზმნას მოსდევს და მასვე მიერთვის ენკლიტიკურად: მე წავიდე-ნა, ღვდეღი მოვიყვანო-ნა, ბოვშევი დავანათვლინო-ნა.

მრავალფეროვანია სამცხურ-ჯავახურის ლ ე ქ ს ი კ უ რ ი ფონდი. დაცულია ძირძველი ქართული სიტყვები, მეტაფორული სიტყვათწარმოების ნიმუშები (გუთნის გაშლა „მანძილი, რასაც ერთი გუთნეული გასწვდ-

ბა“, შავი გუთანი „ხის გუთანი“, ჩიტი ენა „ხორბლის ან ქერის გამოფიტული მარცვალი“), თავისებური ზმნები (დალევვა „ლევების დაყრა“, ასუნდება „სუნი ექნება“, აღორჯდება „პურეულის მარცვალი ფესვებს გამოიტანს“).

იპოვება თურქულიდან ნასესხები სიტყვებიც: ამი „ბიძა“, ბაჯანადი „ქვისლი“, ზენგინი „მდიდარი“, ზაჰმათი „გარჯა-შრომა“. ნასესხებია აგრეთვე ზოგი ნაწილაკ-მორფემოიდი: კითხვითი -მი (კაცი-მი არა ხარ? „კაცი არა ხარ?“), გამამძლიერებელი). -ალე || -ელა || -ილა (მოიტა ალე → მოიტალე, მამე ელა → მამელა, მოდი ილა → მოდილა), წინდებული თავ „ვიდრე“ (თავ სამხრობამდე „ვიდრე სამხრობამდე“). იმავდროულად ახალი თაობის მეტყველებაში აშკარაა საკუთრივ ქართული წარმომავლობის ფორმათა დამკვიდრების ტენდენციაც.

საერთო სხვაგ მრავლად დაჩნდება. ნიმუშებად, ვფიქრობთ, ზემოხსენებულიც იკმარებს.

იმავდროულად სამცხურსა და ჯავახურს შორის სხვაობაც ხელშესახებია. ზოგიერთს დავასახელებთ.

სამცხურში ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ საკუთარ ან მასთან გატოლებულ საზოგადო სახელთა სახელობით ბრუნვაში ბრუნვისნიშნისეული -ი → -ე: შოთა-ე, ნინა-ე, რაც უცხოა ჯავახურისათვის: აქ სრული -ი გვაქვს: შოთა-ი, ნინა-ი. ჯავახურში სიტყვის ბოლოკიდურა პოზიციაში ე, როგორც წესი, არ იპოვება, გარდა ორიოდ შემთხვევისა, როცა დაბოლოების ცვეთა ხდება: როგორი → როგომ, რანაირად → რანამ.

თავისებურებაა აგრეთვე ისიც, რომ ჯავახურში II სუბიექტური და III ობიექტური პირის ნიშნად, ჩვეულებრივ, ჰ- გვაქვს ყველა რიგის თანხმოვნის წინ: დაჰცქერხარ, დაჰდეგ, დაჰტოვე... დაჰდეგს, დაჰტოვა, მიჰწერა, ჰცემა... აღარაფერს ვამბობს ჰყვირი, ჰპარსავ... ჰფარავს, დაჰკარგავს, მიჰყავს... ტიპის ფორმათა შესახებ. ს → ჰ და ამასთანავე ჰ- პირის ნიშნის შენარჩუნებისას ფაქტი იმდენად თანამიმდევრულადაა წარმოდგენილი, რომ „ქართული დიალექტების კლასიფიკაციის დროს იგი ჯავახურისათვის... ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ“ (ა. მარტიროსოვი).

ყოველივე ეს (და ზოგი სხვა მოვლენაც) უთუოდ იმაზე მიგვანიშნებს, რომ (მიუხედავად ისტორიული და ეთნიკური სხვაობისა) საკუთრივ ენობრივი თვალსაზრისით სამცხური და ჯავახური ურთიერთმიმართ კილოკავებია (და არა დამოუკიდებელი დიალექტები). ანალოგიისათვის ალბათ ზანურის (კოლხურის) მაგალითი გამოგვადგება, როცა ეთნიკურად განსხვავებული ორი ქართველური ტომი (მეგრელები და ჭანები | ლაზები) საკუთრივ ლინგვისტური თვალსაზრისით არსებითად ერთი ენის ორი დიალექტის წარმომადგენლები არიან.

* * *

ისტორიული მესხეთი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII-VI საუკუნეებიდან იხსენიება მუშქების, მუსკების, მოსინიკების, მოსოხების სახელწოდებით. ყველა ეს სახელწოდება, როგორც სპეციალურ ლიტერა-

ტურაშია გარკვეული, ერთი და იმავე „მესხების“ სხვადასხვაენოვანი გამოთქმაა.

მესხები დაწინაურებული და სახელგანთქმული ტომი ყოფილა. ივარაუდება ისიც, რომ გარკვეულ პერიოდში ძველ ქართულ სალიტერატურო ენას სწორედ მესხური დიალექტი უნდა დასდებოდა საფუძვლად. უნდა ვიგულისხმოდ, რომ გამოწვლილვით შესწავლის შემდგომ მესხური საინტერესო მასალას მოგვაწვდის ქართული ენის ისტორიული დიალექტოლოგიის პრობლემების გადასაწყვეტად.

მესხური დიალექტი საუკუნეების მანძილზე ემეზობლებოდა უცხოენოვან ხალხებს. ამიტომაც უძველესი ენობრივი კონტაქტების თვალსაზრისით სწორედ მესხური იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს.

მესხურს დაცული აქვს ის თავისებურებანი, რომლებიც დამახასიათებელია ქართული ენის როგორც აღმოსავლური, ასევე დასავლური დიალექტებისათვის. ზოგი ნიშნით იგი ქართულს ეკედლება, სხვა ნიშნებით გურულ-აჭარულთან პოულობს საერთოს. ამდენად, სწორედ მესხურშია თავმოყრილი ის, რაც დიალექტური დიფერენციაციის შედეგად განითესა და ნაირგვარად განაწილდა აღმოსავლურ და დასავლურ ქართულ კილოებში.

ზემოხსენებულთან ერთად სალიტერატურო ენის ზეგავლენით დიალექტურ თავისებურებათა ნიველირების შეუქცევადი პროცესი განსაკუთრებით საშურს ხდის მესხურის ყოველმხრივ ენათმეცნიერულ შესწავლას.

* * *

როგორც ისტორიული, ასევე ენათმეცნიერული თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მესხურში, უპირატესად კი მესხურ ტოპონიმიში, მკვლევართა ერთი ნაწილი ადასტურებს ზანიზმებს (ანუ: მეგრულ-ჭანურის სუბსტრატს). ამ რიგისად მიიჩნევა: ჭობარეთი, ჭობიხევი, ოხონა, ტობა, ტოლოში, ჯინჯიგორა, ხონა... ეს ვითარება იმ პერიოდის რელიქტი ჩანს, როცა სამცხე ტაო-კლარჯეთს იმეზობლებდა. თავის მხრივ კი, ეს ფაქტი ფრიად მნიშვნელოვან პრობლემებს აღძრავს ქართველურ ენათა ისტორიის თვალსაზრისითაც. იგი უშუალოდ უკავშირდება ქართველურ ტომთა უძველესი განსახლების საკითხს.

* * *

მესხურის ერთი თავისებური მოვლენის შესახებ ცნობა სულხან-საბა ორბელიანის ქართულ ლექსიკონში მოგვეპოვება.

სიტყვის „სიარული“ განმარტებაში სულხან-საბა ასახელებს სიარულის სხვადასხვა სახეს (მოთხვა, სეერობა, ხლდომა, ტანტალი, ბაჯბაჯი, თოხარიკობა და ა. შ.) და აღნიშნავს: „მოგზაურთაგან სიარულად იარე და ჟარეც ითქმის“. ანალოგიური აღნიშვნა აქვს მას სიტყვის „სლვა“ განმარტებისას. იმავდროულად სულხან-საბას ცალკე აქვს გამოტანილი სიტყვა „ჟარე“ და მას ასე განმარტავს: „იარე მესხურად“, ანუ: „ჟარე“ მესხურად იგივეაო, რაც ქართული ენის სხვა დიალექტებში პოვნიერი „იარე“.

სულხან-საბა ორბელიანის ამ ცნობამ საგანგებო ყურადღება მიიქცია. მას სპეციალურად შეეხო გ. ახვლედიანი და ასეთი დებულება წამოაყენა: მესხურისათვის დამახასიათებელი ყოფილა ი- (→ ე) ხმოვნის გარკვეულ პოზიციაში ჟ თანხმოვნად ქცევა (კერძოდ, ე იქცეოდა ჟ-დ, როცა იგი ხვდებოდა ხმოვანს ერთი მარცვლის ფარგლებში): იარე → ეარე → ჟარე.

ამ ვარაუდს მხარი დაუჭირა ივ. ჯავახიშვილმა.

ზემოხსენებული მრავალმხრივ საყურადღებო ფაქტია.

განსაზღვრულ პოზიციაში ი → ე → ჟ ქართველური ენებისათვის მოულოდნელი არ არის.

ნ. მარმა დაადგინა, რომ მეგრული გვარები ჟვანია, ჟორდანია სწორედ ამ გზითაა მიღებული: ივანია → ევანია → ჟვანია, იორდანია → ეორდანია → ჟორდანია...

ამჟამად მესხურმა „ჟჟარე“, „ჟარები“ ფორმები არ იცის. ამ შემთხვევაში ჩვენ ისტორიული დიალექტოლოგიის მნიშვნელოვან პრობლემასთან გვაქვს საქმე, რომლის სათანადო შესწავლა ახალ პერსპექტივას შეუქმნის ქართული ენის ისტორიის შესწავლას, მისი ოდინდელი სახის აღდგენას.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში მესხურის სხვა ფორმებიცაა შესული.

* * *

ვ. თოფურია აღნიშნავდა: „ქართველურ ენათა დიალექტების ყოველმხრივი შესწავლა საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, თვით ამ ენათა განვითარების ისტორიის უფრო ღრმად კვლევისათვის და, მეორე მხრივ, ზოგადი ენათმეცნიერების ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემების დასმისა და ნაწილობრივ გადაწყვეტისათვის, როგორცაა: დიალექტთა წარმოქმნა, დიალექტებისა თუ დიალექტთა და მეზობელ ენათა ურთიერთმოქმედება, კონვერგენცია, მოვლენათა უნიფიკაცია, ინოვაცია და სხვა“.

ამ თვალსაზრისით სამცხურ-ჯავახურს ზოგი ფრიად ანგარიშგასაწევი მოვლენა დაუცავს. ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე ენობრივი მოვლენა, რომლებიც სწორედ ამ მხრივ იმსახურებენ ყურადღებას.

სამცხურ-ჯავახურში ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ საკუთარ სახელებთან სახელობით ბრუნვას -ი → -ე ნიშანი მოუდის, საზოგადო სახელები კი, ჩვეულებრივ, უნიშნოდაა წარმოდგენილი: შოთა-ი, ნუნუ-ი... მაგრამ: მიწა, ხე... შევნიშნავთ, მესხურში ხშირად -ე გვაქვს, შოთა-ე, ნუნუ-ე, ჯავახურში, როგორც წესი, -ი: შოთა-ი, ნუნუ-ი...

ძველ ქართულში საპირისპირო ვითარება იყო: სახელობითი ბრუნვის ნიშანი საზოგადო სახელებს ჰქონდათ, საკუთარს – არა.

სხვაობა რაოდენობრივი ხასიათისაა, თვისებრივად კი არსებითად იდენტური ვითარებაა. მიზანი საკუთარ და საზოგადო სახელთა მორფოლოგიური დაპირისპირებაა. ეს დაპირისპირება გამოიხატება 0 (ნული) – ი ოპოზიციით. ესაა თვით სისტემის შინაგანი შესაძლებლობა, ხოლო მის კონკრეტულ ნაირსახეობებს ქმნის ის, თუ როგორ ნაწილდება ეს ნიშნები საკუთარ და საზოგადო სახელებს შორის. ხსენებული ფაქტი არა მხოლოდ ძველ ქართულთან მიმართებითაა ღირსსაცნობი. მას გარკვეული ზოგადენათმეცნიერული ღირებულება ენიჭება: ძველი ქართულისა და სამცხურ-

ჯავახურის მაგალითზე აშკარა ხდება, რომ მორფემათა ერთი და იმავე ვარიანტების ურთიერთსაპირისპირო განაწილება სემანტიკური თვალსაზრისით შესაძლოა ერთსა და იმავე შედეგს იძლეოდეს.

შემდეგ: ა და ე ხმოვანზე დაბოლოებული სახელები -ებ მრავლობითობის ნიშნის დართვისას ფონეტიკურ ნიადაგზე იცვლიან ფუძისეულ ხმოვანს: ციხე → ციხე-ებ-ი → ციხი-ებ-ი, ჭალა → ჭალა-ებ-ი → ჭალე-ებ-ი → ჭალი-ებ-ი... ამ თვალსაზრისით სამცხურ-ჯავახურს შუალედური საფეხური უჭირავს აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში პოვნიერი ჭალე-ებ-ი და აჭარულში დადასტურებული ჭალე-ებ-ი ფორმებს შორის. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას სხვა ფაქტიც იქცევს: ფუძისეული -ი და მრავლობითობის -ებ ერთიან ფორმანტად გაიაზრება და წარმოდგენილია როგორც -იებ. მაგრამ იგი განუკითხავად კი არ მიერთვის ყველა ფორმას, არამედ მოქმედებს მკაცრად განსაზღვრული წესი: -იებ დაერთვის თანხმოვანზე დასრულებულ ერთმარცვლიან კუმშვად ფუძეებს: ცხვარ-ი → ცხვრ-იებ-ი, მგელ-ი → გლ-იებ-ი... ანუ: დიალექტში გადააზრინების საფუძველზე ჩამოყალიბდა „ახალი“ ფორმანტი, რომლის გამოყენება განისაზღვრა ზუსტი მორფოლოგიური წესით. ამ ფაქტს უთუოდ აქვს გარკვეული ზოგადენათმეცნიერული ღირებულება.

ფორმანტის ახალი სახეობის ჩამოყალიბების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს აგრეთვე ვალდებულებითი კილოს ფორმები, ნაწარმოები „უნდა“ მორფემოდიით. როგორც ზემოთ აღინიშნა, სამცხურ-ჯავახურში (ანალოგიური ვითარებაა აჭარულშიც) ხდება ამ მორფემოიდის ცვთა: უნდა → ნდა | ნა | და: გავაკეთო უნდა → გავაკეთო-ნა | გავაკეთო-და... მესხურ-ჯავახურმა რეალურად დაადასტურა ის ვარაუდი, რომ მორფემები (ყოველ შემთხვევაში, მათი ერთი ნაწილი) დამოუკიდებელი სიტყვების ცვითითაა მიღებული.

ზემოთ შერჩევით წარმოდგენილი ნიმუშები ნათელს ხდიან, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამცხურ-ჯავახურში დადასტურებულ მოვლენებს არა მხოლოდ ქართველური ენების სტრუქტურისა და ისტორიის შესწავლისას, არამედ თვით ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისითაც.

* * *

სამცხურ-ჯავახური ყურადღებას იქცევს არამონათესავე ენებთან ხანგრძლივი კონტაქტების თვალსაზრისითაც.

როგორც ითქვა, სამცხე-საათაბაგოს აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „კაცნი და ქალნი არიან მგზავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენა-ტკვილად მოუბარნი“... შემდეგ კი იგი საგანგებოდ ეხება იმ ისტორიულ და ენობრივ სიტუაციას, რომელიც იმჟამად იყო ამ კუთხეში: „სარწმუნოებით იყვნენ... სრულიად ქრისტიანენი ქართველთა თანა და სამწყსონი ქართლის კათალიკოზისანი, ხოლო აწ მთავარნი და წარჩინებულნი არიან მოჰმადიანნი და გლეხნი ქრისტიანენი... ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული. გარნა წარჩინებულნი ნადიმთა და კრებულ-

თა შინა უბნობენ აწ თათრულსა და თუისთა სახლებთა ანუ ურთიერთის მეგობრობათა შინა იტყუიან ქართულსავე“.

ეს ვითარება თანდათანობით უფრო მძიმდებოდა და, როგორც უკვე აღინიშნა, „გლეხნი კულადცა მაჰმადიანდებიან ჭირისათვის დიდისა“.

ბუნებრივია, ასეთი მდგომარეობა უკვალოდ არ ჩაივლის ადგილობრივი მეტყველებისათვის, რაც ძირითადად ლექსიკაში აისახა (ამი „ბიძა“, ზენგინი „მდიდარი“, ზაჰმათი „გარჯა, შრომა“...), ნაწილობრივ მორფოლოგიასა და სინტაქსში (კაც-მი არა ხარ?“ „კაცი არა ხარ?“ – მორფოლოგიური, ხოლო: ძალა უყვეს „დაამალეს“, ამბავი მისცეს „შეატყობინეს“ – სინტაქსური კალკებია).

ამგვარი მოვლენები ამჟამად უპირატესად მოხუცთა მეტყველებაში იჩენს თავს და სამცხურ-ჯავახურის ძირითად ენობრივ მახასიათებელთა რიგს, რა თქმა უნდა, არ განეკუთვნება, მაგრამ ისტორიული თვალსაზრისით უთუოდ გასათვალისწინებელია.

დიალექტური თვალსაზრისით ფრიად საინტერესო მოვლენაა მოსახლეობის მიგრაციის პროცესიც. ახალ ტერიტორიაზე მისულ მოსახლეობას თან მიაქვს თავისი დიალექტიც, რომელიც ურთიერთობას ამყარებს დამხვედურ დიალექტთან. ასეთ პირობებში გარდაუვალია ურთიერთზე გავლენის, ურთიერშედწევის, ახალი ენობრივი სიტუაციის შესაბამისად ცვლილებების პროცესი. ეს მოვლენა საგანგებო ყურადღებას იმსახურებს. ამ რიგისაა, მაგალითად, ქვემო იმერეთში გადასახლებულ მესხთა მეტყველებაში დო-უ-ძახ-ამ-ს | დო-უ-ძახ-ან-ს ტიპის ფორმები, სადაც აუ → ოუ იმერული მოვლენაა, ხოლო თემის ნიშანთა შენაცვლება (-ებ → -ამ | -ან) – მესხური.

როგორც დიალექტური, ასევე ისტორიულ-ეთნოგრაფიული თავისებურებების გამო სამცხურ-ჯავახურს მკვლევართა ყურადღება არ მოჰკლებია. და მაინც, ზემოხსენებულის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ სამცხურ-ჯავახურში ბევრი ისეთი მოვლენა იჩენს თავს, რომლებიც ჯერ კიდევ ელის უფრო გულდასმით და გამოწვლილვით შესწავლას არა მხოლოდ ამ დიალექტის შინაგანი ბუნების წარმოსაჩენად, არამედ ქართველურ ენათა დიალექტოლოგიის არსებითი პრობლემების გადასაწყვეტადც...

შეიძლება დავასახელოთ ოთხი პერიოდი, როდესაც მესხეთს განსაკუთრებული მისია დაეკისრა სრულიად საქართველოს გადასახედიდან:

უძველესი ხანა, როდესაც საქართველოს ამ ძირძველი ტერიტორიის მკვიდრნი (მუშქები | მუსკები | მოსინიკები | მოსოხები...) არსებითად მთელ საქართველოს წარადგენდნენ იმდროინდელ ცივილიზებულ სამყაროში, როცა ამ კუთხის მიხედვით განისაზღვრებოდა საქართველოს კულტურის დონე;

ჩვენი წელთაღრიცხვის VIII-XI საუკუნეები, როცა კულტურის აღმავლობის ახალმა ტალღამ საჩინო გახადა მესხეთის განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველოს მომავლისათვის: ახალი საქართველოს აღორძინების აკვანი მესხეთში დაირწა. სწორედ ამ პერიოდის მესხეთში შეიქმნა ის ცნობიერება და გამოიკვეთა ის ხმალი, სრულიად საქართველოს ბრძენი და ძლევამოსილი მამის დავით აღმაშენებლის ეპოქა რომ განისაზღვრა;

XVI საუკუნიდან იწყება მუსულმანიზმის მძლავრობის ხანგრძლივი ძნელბედობა. მესხეთი ამ პერიოდშიც ქართული სულისკვეთების გადარჩენის მედროშეა. აქედან დამრული მოსახლეობა ქართულ გენს ამრავლებს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში (მუსხელიშვილები, ჯავახიშვილები, კალმახელიძეები და სხვანი მრავალნი მათი მოდგმისანი არიან), ხოლო მშობლიურ კერას შერჩენილნი გმირული გამძლეობისა და ვაჟკაცური შემართების სწორუპოვარ მაგალითად შთებიან შთამომავლობის მახსოვრობაში.

და ბოლოს, სადღეისოდ მესხეთის ოდინდელი დიდების აღორძინება ის პრობლემაა, რომლის წარმატებული გადაჭრა სასიკეთოდ წაადგება ჯერჯერობით მხოლოდ ოცნებაში ნაგულვებელ ჭეშმარიტად თავისუფალ და ზნეობრივად განწყობილ საქართველოს.

გასათვალისწინებელია, რომ ყველა შემთხვევაში სამცხე-ჯავახეთი საქართველოს სულიერი და ფიზიკური გადარჩენის გზაჯვარედინზე აღმოჩნდებოდა ხოლმე.

ერთი მხრივ, იმერეთი – სამეგრელო – გურია – აჭარა, მეორე მხრივ, შავშეთი – კლარჯეთი – ტაო, აი, ის ორი გზა, რომელიც სამცხე-ჯავახეთზე გადიოდა და რომელიც განსაზღვრავდა სრულიად საქართველოს სულიერ და სისხლისმიერ ერთიანობას.

სადღეისოდ ამ ისტორიული მისიის აღდგენა უმთავრესი პირობაა სამცხე-ჯავახეთის ჭეშმარიტი აღორძინებისა.

Besarion Jorbenadze

Meskhethian Dialect in Terms of History and Modernity

Summary

Meskhethi is unique with its historical, ethnographic, musical and linguistic features like other parts of Georgia. It needs to be taken into consideration and studied thoroughly. Referring to general images does not portray a real situation because every feature is conditioned by the inner composition and is organically compatible with the phenomena that belong to the common national culture.

ბიბლიოგრაფიული განყოფილება

ავთანდილ არაბული, მანანა ტუსკია, ლალი ბინიაშვილი

ქეგლის ახალი რედაქციის ოთხი ტომი მოცულობით რვატომეულის ნახევარზე მეტია, მაგრამ განზრახულისა – მხოლოდ მესამედია (თვითრეცენზიის ფორმით)*

გასული – 2019 წლის თარიღით გამოიცა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი რედაქციის მე-4 ტომი და ჩვენ წინაშე ლოგიკურად დაისვა პერსპექტივის გააზრების ამოცანა. ახალი ტომების რაოდენობა ქმნის ილუზიას, რომ პირვანდელი რედაქციის 8 ტომის ნახევარი უკვე გავლილია; სიტყვა-სტატიათა რაოდენობითა და ტომების მოცულობით ნახევარზე მეტიც არის გაკეთებული, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ახალი რედაქციის პერსპექტიული გეგმა 12-ტომეულს ითვალისწინებს, სამუშაოს ორი მესამედი ჯერ კიდევ წინ არის.

პირველ რიგში – „თვითრეცენზიის“ გაგებისათვის.

თვითრეცენზია, ბუნებრივია, იწერება ისეთ არაორდინარულ შემთხვევაში, როდესაც ან რეცენზიას არავინ წერს, ანდა პრეტენდენტს მიაჩნია, რომ მისი განაზრახი (და ნამუშაკვევი) ისე ვერ გაიგეს, როგორც მას ჰქონდა ჩაფიქრებული.

ასეთი შემთხვევები, პირდაპირი ან ირიბი ფორმით, ლიტერატურის (ლიტერატურათმცოდნეობის) სფეროში უფრო ხშირია (ის განსაკუთრებით ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობათა, კონცეპტუალურ სიახლეთა დამკვიდრებას ახლავს თან).

მაგალითად, ისეთი დიდი პროზაიკოსი, როგორც რეზო ინანიშვილია, 1978 წელს გამოცემულ მოთხრობების შესანიშნავ კრებულს „ჩიტების გამომზამთრებელი“ წაუმძღვარებს ოთხგვერდიან წინათქმას „ავტორისაგან“, რომელშიც ავტორი ერთგვარ გეზს იძლევა იმის გასაგებად, თუ როგორ უნდა იქნეს წაკითხული მხატვრული განაზრახი.

რ. ინანიშვილი ამ წინათქმის მოტივად ასახელებს იმას, რომ მას „სთხოვენ¹, თავადვე დაწეროს ანოტაცია, ე. ი. რამდენიმე ფრაზით აუწყოს

* **რედაქტორისაგან:** 2019 წელს დაიბეჭდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი რედაქციის IV ტომი. ახალი რედაქციით დაინტერესებულ პირებს შეიძლება ბევრი კითხვა ჰქონდეს სარედაქციო ჯგუფის მიმართ... ასე გაჩნდა იდეა „თვითრეცენზიისა“... ვფიქრობთ, ამით ბევრ კითხვას გაეცა პასუხი...

მკითხველს, რას ეხება იგი, რა არის თქმული, ძირითადად, მოთხრობებსა და მინიატურებში.“ და რადგანაც „შეუძლებლად მიაჩნია მოკლე ანოტაციის დაწერა“, იგი წერს ამ „შეუძლებლობის“ განმარტებას, ანუ თვითრეცენზიას. „აღბათ ყველა ავტორს ქვეყანაზე აქვს პრეტენზია, რომ მისი მთლად მცირე ფორმის ქმნილებაც კი ეხება მრავალ საკითხს, და თუკი ამ საკითხების გამოცალკევებას დავიწყებთ, ათობით მეტი წერილობითი ფართობი დაგვჭირდება, ვიდრე თვით ნაწარმოებს უკავია.“

ამის საჩვენებლად ავტორი იღებს „ერთ-ერთ უმცირეს“ თავისი მინიატურებიდან – „თუშეთის მთებში“ და კრიტიკოსის თვალთ იწყებს მის სკრუპულოზურ ანალიზს.

მინიატურა სულ ერთი წინადადებაა: *„თუშეთის მთებში, ხრიოკ მიწაზე, გულაღმა ვგდივარ, ცხენისგან ნათრევი, დაჩეჩქვილი, თვალეზში სისხლჩაღებულნი, და შევლიმი ჩემთან ჩამუხლულ, ხელეგათახთახებულ, ატირებულ წითელ დედაბერს.“*

მწერლისეული ანალიზი ეძღვნება იმის ამოხსნას, თუ ვინ არის ცხენისგან ნათრევი კაცი, ვინ არის წითელი დედაბერი და რატომ შეღიმის მას ცხენიდან ჩამოვარდნილი მხედარი. ავტორი გარე თვალთ განჩხრეკს საკუთარ ნაწარმოებს, „მე ასე ვკითხულობ“ – იტყვის იგი და მხატვრული ტექსტის ღრმა ხედვის მაგალითს იძლევა.

ხომ ბევრი რამ დაწერილა რეზო ინანიშვილის შემოქმედების შესახებ (მათ შორის ისეთებიც, როგორც ა. ბაქრაძის წერილია „სულის პური“), არაერთი სტატია, წიგნი და საკვალიფიკაციო ნაშრომიც შექმნილა, მაგრამ მწერლისეული განაზრახვის წვდომის იმ სიღრმისათვის, რასაც თავად ავტორი გვთავაზობს, ჯერ არავის მიუღწევია.

აი, რა მოტივი ამოძრავებს მწერალს, როდესაც იგი „თვითრეცენზიის“ ფორმას მიმართავს. მეცნიერების სფეროში, ცხადია, მოტივაცია ამ ხასიათისა არ არის, მაგრამ გარკვეული სამეცნიერო პროდუქტის ადეკვატური წაკითხვის პრობლემა ამ შემთხვევაშიც არაერთგზის იჩენს თავს.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალ რედაქციაზე მუშაობის ყოველ ეტაპზე ჩვენ ვაჯამებდით და ვაზოგადებდით იმ სიახლეებსა და კორექტივებს, რის აუცილებლობასაც სალექსიკონო სამუშაოები შესაბამის საფეხურზე მოითხოვდა. ამ მითითებებს დაინტერესებული მომხმარებელი გაეცნობა პირველი და მესამე ტომების წინათქმებში, აგრეთვე სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ რამდენიმე მოხსენებასა და სტატიაში.

ობიექტური რეალობა გვიჩვენებს, რომ საზოგადო დაინტერესება ამ საეტაპო სამეცნიერო პროექტით დღეს მინიმალურია. ეს შეეხება საზოგადოების დამოკიდებულებასაც და ოფიციალურ პოზიციასაც. შედარებისათვის: ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ, როდესაც ქეგლის 8-ტომეულის შედგენა მიმდინარეობდა, როგორც სახელმწიფოს მხარდაჭერა იყო უპრეცედენტო, ასევე საზოგადოების ინტერესი ამ გამოცემის მიმართ მართლაც გაუგონარი გახლდათ. თითოეული ტომი 30 000 ტირაჟით გამოიცემოდა და ის თითოეულ სასწავლებელს, ბიბლიოთეკასა და უწყებას ცენტრალი-

¹ ამ შემთხვევაში მესამე პირში გადაგვყავს ავტორისეული პირველი პირის თხრობა.

ზებული წესით მიეწოდებოდა. 8-ტომეულის გამოცემის შემდეგ თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ამ ლექსიკონის უფრო სამომხმარებლო ვერსიის – ერთტომეულის მომზადება. ქეგლის ერთტომეული 80-იან წლებში ორგზის გამოიცა 100-ათასიანი ტირაჟით და ის მაღაზიებში არ დარჩენილა. დღევანდელ დღეს ქეგლის ახალი რედაქცია სულ 400-500 ეგზემპლარი გამოდის და ისიც ძირითადად საჩუქრად რიგდება. ისე ჩანს, რომ დღევანდელ საქართველოში ლექსიკონი არ სჭირდება არც უნივერსიტეტებს, არც ინსტიტუტებს, არც სკოლებს, არც სპეციალისტებს, მით უფრო – ფართო საზოგადოებას; თუ პერსონალური მოთხოვნა-შესაძლებლობების მიხედვით დავაზუსტებთ: ვისაც წიგნი სჭირდება, მას შეძენის შესაძლებლობა არა აქვს, ხოლო ვისაც შესაძლებლობა აქვს, მას წიგნი არ აინტერესებს...

სხვა სიძნელეებზე ამ კონტექსტში აღარ შევჩერდებით.

იმ ძველ დროს საზოგადოების ფართო ჩართულობა ამ (მაშინდელი ობიექტური შეგნებით) ეროვნულ საქმეში იმითაც გამოიხატებოდა, რომ სხვადასხვა დარგის სამეცნიერო პერსონალი, მწერლები, ინტელიგენცია ინტერესით ხვდებოდა ყოველ ახალ ტომს, სწავლობდა და დროსა და ენერგიას არ იშურებდა კარგის სათქმელად თუ შენიშვნების მისაწოდებლად, განმარტებითი ლექსიკონის შედგენის საქმე საერთო ეროვნულ ინტერესად იყო აღქმული. დღესაც მოარულია მაშინდელი ციტატები სალექსიკონო საქმის მხარდამჭერი და საქებარი რეცენზიებიდან. დღეს ამ მხრივაც სრულიად საპირისპირო ვითარებაა: უკვე 13 წელი გავიდა, რაც ახალი რედაქციის პირველი ტომი გამოვიდა და, ორი პასკვილის გარდა, ორი საგნობრივი სიტყვაც არავინ გაიმეტა.

აღნიშნული ორივე პასკვილი სხვა (არასამეცნიერო) მოტივით ანგაჟირებულ მწერლებს ეკუთვნოდა. პირველი – ბატონი ნოდარ კობერიძე – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მიმართავდა მოწოდებით (გამოქვეყნდა „მწერლის გაზეთში“), დაენახა, თუ როგორ მტრობდნენ ლექსიკოლოგები ქართულ ენას იმით, რომ მეგრული და სვანური ლექსიკა განმარტებით ლექსიკონში არ შეჰქონდათ.

საკითხის ასე დასმა, მის პროვოკაციულ მხარეს რომ თავი დავანაბოთ, არც მართალია და არც - სამართლიანი. საერთოქართული ეროვნული (სახელმწიფო) ენის განვითარების ისტორია ობიექტური დასტურია იმისა, რომ მის საგანძურს ქართველური ენების ლექსიკა ისევე ასაზრდოებდა, როგორც ცალკეული დიალექტებისა. და ეს სრულიად ბუნებრივია, რადგანაც ხანგრძლივი (და უწყვეტი) ერთიანი ეროვნული, სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაწყვეტა თითოეული მონაწილისაგან არა მხოლოდ ფიზიკურს, არამედ სულიერს, კულტურულსა და ენობრივ თანამონაწილეობას მოითხოვდა. ამდენადვე ასაზრდოებდა ეროვნული ენის დიდ მდინარებას დროის მიერ გადარჩეული და დაწმენდილი ცალკეული „ნაკადულები“. საყოველთაოდ არის ცნობილი სახელმწიფო ენაში ამ გზით დამკვიდრებული ლექსიკა, რომლის გარეშე ჩვენი ეროვნული ენის არსებობა შეუძლებელია (მაგალითად: **ლაყუჩი, მარულა, ისინდი, ორჩხომელი, ოლეკკანდერი, ოჩოკოჩი, მახვში, საკარცხული** და მრავალი სხვა). ეროვნუ-

ლი ენის ამ ისტორიული განვითარების შესატყვისი კრიტერიუმები შეიმუშავა არნ. ჩიქობავამ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის სიტყვანის შესარჩევად; მათ შორის ქართველური ენების მასალაც იგულისხმებოდა და მკვიდრდებოდა კიდევ საერთო ლექსიკურ ფონდში; ამისი დასტურია თუნდაც ის, რომ ქეგლის შემოკლებათა ვრცელ ნუსხას იმთავითვე ახლდა ქართველურ ენათა დასახელებაც. იმავე პრინციპებით ხელმძღვანელობს ქეგლის ახალი რედაქცია და კვლავაც შემოდის ამ ფონდში ქართველური ენების ახლად გააქტიურებული ლექსიკა. მაგალითად, ახალ მე-4 ტომში აისახა მეგრული ტაბუს გამომხატველი მაგიური სიტყვა „**ვაშინერს**“, რომელსაც სათანადო კვალიფიკაციაც ახლავს:

ვაშინერს! კუთხ. (მეგრ.) ტაბუს ფორმა: რაიმეს თქმის (ხსენების) აკრძალვა. ტუჩებზე ხელი მომაფარა: „ვაშინერს, მასა, ვაშინერს!“ – ვაშინერს? ამ სიტყვის მნიშვნელობა ვერ მოვიგონე (**კ. გამს.**). სიტყვა ტაბუს (აკრძალვას) სამეგრელოს ეოფაში შეესაბამება „ვაშინერს“ („**ლიტ. საქ.**“). – ვაშინერს! – ასე გაიძახოდა დიდი და პატარა („**ლიტ. საქ.**“). სამეგრელოში დღესაც ადევს ტაბუ ორმანათობით საქმეზე წასვლას (ვაშინერს) („**საუნჯე**“).

ასე რომ, აღნიშნული საჩივარი ქეგლის მისამართით სრულიად უმართებულოა (ვაშინერს!).

რაც შეეხება მეორე მწერლის – გიზო ზარნაძის – წერილს (გამოქვეყნდა „საქართველოს რესპუბლიკაში“), ის კონკრეტულ ენობრივ ფაქტებს შეეხებოდა და მათზე მსჯელობა მართლაც შეიძლება. მაგრამ ამ პუბლიკაციის უმართლობა მის ტენდენციურობაში მდგომარეობდა: ავტორი დავის საგანს ისე წარმოსახავდა, თითქოს ის ქეგლის ახალ რედაქციას ეკუთვნოდა, სინამდვილეში კი პირვანდელი რედაქციის (8-ტომეულის) მასალას ასახავდა, კერძოდ, შეეხებოდა **მაჭიკი** და **იწვება** სიტყვებს, რომლებიც, 8-ტომეულის მიხედვით, მე-4 და მე-5 ტომების კუთვნილებათა. ახალი რედაქციის მე-4 ტომიც კი, რომელიც დასახელებული წერილის დაბეჭდვიდან 2 წლის შემდეგ გამოვიდა, **ი(ნ)**-ის მასალას არ შეიცავს. ეს მონაკვეთი იქნება მე-5 ტომში, ხოლო **მ(ანი)** – მე-6 ტომში. სრულიად ნათელია, რომ მისამართი განზრახ ან უნებურად არის აღრეული და ჩვენ მოპასუხედ ვერ გამოვდგებით.

უნდა ითქვას, რომ ეს მეთოდი ჩვენთვის უცხო არ არის; მას წარმატებით იყენებდა ჩვენი კოლეგა, კვალიფიციური ენათმეცნიერი, ქალბატონი ლამარა ნოზაძე. ჩვენ ვერ ვხვდებით, რა განზრახვა ამოძრავებდა „მისამართების“ შეცვლისათვის მწერალ გ. ზარნაძეს, მაგრამ კარგად ვიცით, რა მოტივი ჰქონდა მეცნიერ ლ. ნოზაძეს. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტშიც მუშაობდნენ ისეთი სპეციალისტები, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ განმარტებითი ლექსიკონის ჩიქობავასეულ პრინციპებს. ამ ჯგუფს ეკუთვნოდა ლამარა ნოზაძეც. მას შემდეგ, რაც ჩვენ ქეგლის ახალი რედაქციის მომზადება დავიწყეთ, ქალბატონმა ლამარამ განაახლა ლექსიკონის შედგენის პრინციპების კრიტიკა. ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი უფროსი კოლეგა ტაქტიკით გამოირჩეოდა (იგი საკმაოდ პირდაპირი ადამიანი იყო), მაგრამ ამ შემთხვევაში მოხერხებულ ტაქტიკას მიმართა: იგი

ფორმალურად ახალ რედაქციას (და რედაქტორს) აკრიტიკებდა, რითაც ინსტიტუტის ხელმძღვანელობის კეთილგანწყობას მოიპოვებდა, სინამდვილეში კი არნოლდ ჩიქობავას ნარედაქციალი 8-ტომეულის მასალას „ამხელდა“. ამას კარგად დაინახავდა ყველა, ვინც მოინდომებდა, რომ თუნდაც მხოლოდ დაეხედა განხილული სალექსიკონო ერთეულებისათვის (სტატიებისათვის)...

ენათმეცნიერთა უთანხმოების მთავარი საგანი ქართული ზმნის ბუნების შესატყვისი სალექსიკონო ფორმის შერჩევა გახლდათ. არნოლდ ჩიქობავამ, მოგეხსენებათ, მეთაურ ერთეულად აწმყოს მესამე პირის ფორმა აირჩია. მანამდელი ტრადიცია და არაერთი ანგარიშგასაწევი ლინგვისტი შესაფერის ფორმად ზმნის საწყისის (მასდარის) გამოყენებას მიიჩნევდა. არნ. ჩიქობავას ხედვამ გაიმარჯვა და მის საფუძველზე შეიქმნა მწყობრი ლექსიკოგრაფიული კორპუსი – 8-ტომეული. ოპონენტები ზმნურ სალექსიკონო ერთეულად აწმყოს მე-3 პირის არჩევას არარაციონალურად მიიჩნევდნენ, რადგან ის მნიშვნელოვნად ზრდიდა იმ ერთეულთა რაოდენობას, რაც შეიძლებოდა მასდარს მოეცვა. კერძოდ, აწმყოს პრინციპი მოითხოვს, დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულად იქნეს წარმოდგენილი როგორც ყველა ზმნისწინიანი, ასევე გვარისა და ქცევის ფორმები; ეს კი თითოეულ შემთხვევაში ათ ერთეულს აჭარბებს. გავიხსენოთ: აწმყოს ფორმა ზმნის სალექსიკონო ერთეულად არჩეული იქნა იმის გამო, რომ მასდარი ზმნათა მნიშვნელოვან ნაწილს არ ეწარმოება (და ის არც გვარისა და ქცევის ფორმებს განარჩევს). აწმყოს უპირატესობა ის არის, რომ ეს მწკრივი ზმნათა დიდ უმრავლესობას მოეპოვება, თვით პარადიგმანაკლულ (დეფექტურ) ზმნებსაც კი. მაგრამ, ამავე დროს, კონკრეტული ზმნის აწმყოს უზმნისწინო ფორმა მხოლოდ საწყისი მასალაა იმ ლექსიკური ერთეულების რეალიზაციისათვის, რომელთა არსებობის ფორმასაც ზმნისწინი ქმნის (**აშენებ**-ს: **ა**-აშენებ-ს, **ამო**-აშენებ-ს, **ჩა**-აშენებ-ს, **და**-აშენებ-ს, **გა**-აშენებ-ს, **გადა**-აშენებ-ს და სხვ.). ეს კი იმას ნიშნავს, რომ მყოფადი შემოდის, როგორც სალექსიკონო ერთეულის ფორმა. არნ. ჩიქობავას კონცეფციის პირვანდელი შინაარსი გულისხმობდა, რომ მყოფადი მხოლოდ დამხმარე ფორმა იყო იმ შემთხვევებისათვის, როდესაც ზმნისწინი დამოუკიდებელ ლექსიკურ მნიშვნელობას ქმნიდა (შდრ.: **აშენებს** – **ა-აშენებს**, მაგრამ: **აშენებს** – **გა-აშენებს**...), მაგრამ შემდეგ ამ საზღვრების დაცვა, უთუოდ ობიექტურ მონაცემთა ნაირგვარობის გამო, არსებითად შეუძლებელი აღმოჩნდა. ეს კი მოხერხებული არგუმენტი გამოდგა ჩიქობავას სალექსიკონო პრინციპების ოპონენტებისათვის...

აქვე უნდა ითქვას, რომ ლ. ნოზაძე (მ. ჭაბაშვილთან ერთად) გახლდათ ხელმძღვანელი „ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონის“ სამუშაოებისა (სამწუხაროდ, დაუსრულებელი დარჩა) და, რამდენადაც მოულოდნელი არ უნდა იყოს, ამ ლექსიკონის შედგენისას სწორედ აწმყო-მყოფადის ფორმები იქნა არჩეული სინონიმთა მწკრივების საწარმოებლად. ზმნისწინიან აწმყოს ფორმათა სიჭარბე ამ სპეციფიკური სემანტიკური მწკრივების წარმოებისას მართლაც თვალშისაცემია.

იყო სხვა საკითხებიც, რომლებიც განმარტებითი ლექსიკონის შედგენის პრინციპებს შეეხებოდა (იხ. ლ. ნოზაძე 2008), მაგრამ არსებითი ის არის, რომ მათი პირდაპირი სამიზნე არ იყო და ვერც იქნებოდა ქეგლის ახალი რედაქცია, რადგანაც ამ დროისათვის მისი მხოლოდ პირველი ტომი იყო მომზადებული (გამოიცა 2007-2008 წლებში).

ერთი სიტყვით, საკითხის არსში ჩახედულ არცერთ მეცნიერს არ გაუმეტებია დრო და ყურადღება ქართველოლოგიის ამ უმნიშვნელოვანესი სიახლის (ქეგლის ახალი რედაქციის) მიმართ – არც სათანამშრომლოდ და არც ოპონირებისათვის. ახსნისათვის ვიტყვით, რომ ამას, სუბიექტურ გარემოებებთან ერთად, ობიექტური ფაქტორებიც განაპირობებს: განმარტებითი ლექსიკონის თითქმის ყოველი სტატია ენობრივი პრობლემების მრავალმხრივ კომპლექსს წარმოგვიდგენს და ახალი რედაქციის სიახლეების დანახვა და შეფასება ასეთსავე კომპლექსურ ხედვას მოითხოვს...

ამიტომაც ვხდებით იძულებული, მივმართოთ თვითრეცენზიის უიშვიათეს ფორმას და რედაქციის თვალთახედვით წარმოვაჩინოთ ის სიახლეები, რაც თანამედროვე ეტაპზე ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალი რედაქციის განხორციელებას უკავშირდება.

რადგან ამ კონკრეტულ პუბლიკაციაში შესაბამისი სალექსიკონო სამუშაოების ყველა ასპექტზე ვერ შევჩერდებით, ინფორმაციისათვის აღვნიშნავთ, რომ ჩვენ უკვე გვქონდა შესაძლებლობა შევხებოდით ახალი რედაქციის სიახლეებს ცალკეულ კვალიფიკაციებთან (მაგალითად, დიალექტიზმებთან) დაკავშირებით, საზიარო აწმყოს პრობლემას, „სტატიკურობის“ კვალიფიკაციასა და მის ასახვას გრამატიკულ მნიშვნელობათა ომონიმიაში და სხვ. ასევე ვცადეთ გვეჩვენებინა თვალსაჩინო სარედაქციო ცვლილებები კონკრეტული მაგალითის საფუძველზე; მაგალითად, ის, თუ რაოდენ მასშტაბური რედაქტირება განიცადა, ერთი შეხედვით, ისეთმა რიგითმა ზმნურმა ერთეულმა (შესაბამისმა სტატიამ), როგორც არის **გარბი**-ს ზმნა. აღმოჩნდა, რომ სწორედ სალექსიკონო ინტერესების სრულად რეალიზებამ წარმოაჩინა ამ ზმნის მრავალასპექტური სემანტიკური პოტენცია; შდრ.:

ძირითადი სტატია ქეგლის ძველი რედაქციის მე-2 ტომიდან:

გარბი-ს (მხოლოდ ნაკვთა აწმყოს წყებაში) გრღუვ. სტატ. სირბილით მიდის, – მირბის. კატო ხარხარით გარბოდა ქვემოთკენ (ნ. ლომ.). [ხატარა ბიჭუნა] კისრისტეხით გარბოდა (ა. ბელ.). || გადატ. სწრაფად მიდის, მიიწევს. – ხანლიდან გარბის. – ძალი შინ არ ვარგოდო, ხანადიროდ გარბოდო (ანდაზა). ბეგრე შუშის დამწვევლი ძალიძალ ტეეში გარბოდო (ანდაზა).

ეს სტატია, თუ განმარტებითი ლექსიკონი ილუსტრირებული არ არის, ძირითადად აკმაყოფილებს ლექსიკოგრაფიულ მოთხოვნებს (თუ, იმავე დროს, გვერდს ავუვლით გრამატიკული კვალიფიკაციის საკითხს). მაგრამ ემპირიული მონაცემების აღნიშნული ძირითადი ასპექტებით სისტემატიზაციამ სრულიად ახალი რედაქცია მოითხოვა:

გარბი-ს გრღუვ. 1. (მხოლოდ ნაკვთა აწმყოს წყებაში) დარბის; მირბის. ბეგრე შუშის დამწვევლი ძალიძალ ტეეში გარბოდო (ანდაზა).

დათვი უფრო მაგრა გარბის თუ მელას უფრო გრძელი კუდი აქვს? (**„ფორუმ. Gol. გე“**). არის ერთი ვაი-უშველებელი, გარბიან და გამო-რბიან ექთნები და ექიმები (**„კარავი“**). ეჩვენებოდა, რომ აუჯაუბელ დეკიანში გარბიან ისა და ქალი (**გ. ჩოხ.**). ბუერი ლაპარაკი უყვართ, ან კიდევ სულ სადღაც გარბიან და მაინც ვერაფერს ახსწრებენ (**„ქართ. საფიხ.“**). ფიგურ. გარბიან, ერთმანეთს ეჭიდებიან გზისპირა ბალახები (**რ. ინან.**). 2. (იყენ. გაირბინა, გაურბენია) სირბილით გაივლის რაიმე მონაკვეთს, გადის რაიმე მანძილს. ხშირს შე-მთხვევაში დათვი გარბის კაი დიდ მანძილს დაჭრილი (**„თბილ. ფორ.“**). მონაწილენი რიგრიგობით აკეთებენ გადაწყვეტებს, რის შემ-დეგ მონაწილე გარბის ჯგუფის ბოლომდე მარჯვენა მხრიდან და დგება ბოლოში (**„ლემ.“**). ◊ **დრო (თვე, წელიწადი) გარბის დრო სწრაფად მიდის.** გარბოდა დრო და დღეს ღამე სდგება (**გ. აბაშ.**). წელიწადიც მალე გარბოდა (**თ. ნატრ.**). 3. (ივს. გაიქცა, გაქცეულა) სირბილით მიდის, – მირბის (საღვაც). კატო ხანხანით გარბოდა ქვემოთკენ (**ნ. ლომ.**). თრღობეში... სახლიდან ჰერანჯის ამარა გამოფარდნილი ბიჭუნა გარბის (**გ. მალულ.**). მამა წამოხტებოდა ლოკინიდან, ზირის დასახანად გარბოდა (**თ. ნატრ.**). 4. გადატ. საიდანმე მიდის; (სწრაფად) ტოვებს, სცილდება რაიმე ადგილს. ძალი შინ არ ვარგოდაო, ხანადროდ გარბოდაო (**ანდაზა**). დიდი და ჰატარა ფოთისაკენ გარბოდა (**გ. წერეთ.**). შენ ეს-ლა გარბიხარ ჩემგან (**მემ. აბაშ.**). [ხატრტხმენები] ხალიხიდან დაო-თხილინ გარბოდნენ (**რ. ჭვიშვ.**). ◊ **კისრისტეხით გარბის ძალიან სწრაფად მირბის.** [ჰატარა ბიჭუნა] კისრისტეხით გარბოდა (**ა. ბელ.**). როგორც კი დედ-მამა (= დინოზავრი) ხანადროდ წავი-დოდა, ორივე კისრისტეხით გარბოდა ჭალისაკენ (**ი. მალაც.**). ◊ **თავ-ქულმოგლეჯილი გარბის** იგივეა, რაც **კ ი ს რ ი ს ტ ე ხ ი თ გ ა რ ბ ი ს.** თავქულმოგლეჯილი გარბოდა თვითონ მთავარსარდალი შაჰვერდ სულთან ზიად-ოღლი! (**ლ. ხანიკ.**). ხმაურს გავიგებდით და კორპუსებიდან თავქულმოგლეჯილი გაურბოდით (**„კვ. პალიტ.“**).

წარმოდგენილი ზმნური სალექსიკონო ერთეულის სემანტიკურ-ფუნქციონალურმა ანალიზმა პირველ რიგში წარმოაჩინა, რომ ზმნური ფორმა **გარბი**-ს სამი სხვადასხვა პარადიგმის წევრია (resp. საწყისი ერთეუ-ლია). მათგან პირველი ნაკლები პარადიგმაა, ხოლო ორი დანარჩენი, სე-მანტიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით, ორგვარად არის ჩანაც-ვლებული (შევსებული) სხვა ფუძით – იმავე ძირის მასდარის ფუძით (**რბენ-/რბინ-**) და სუპლეტური ფუძით (**ქცევ-**). ყურადღებამისაქცევია, რომ ამ განსხვავებას გამოხატავს სათანადო გრამატიკული კვალიფიკაციები (შემოკლებები): **იყენ.** და **ივს.** პირველ პარადიგმას განამტკიცებს ამავე ძი-რის შემდეგი ფუძეები: **რბი**-ს, **დარბი**-ს (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყება-ში); მეორეს: **გადარბი**-ს, **გადმორბი**-ს (**გადარბინ**-ა...); ხოლო მესამეს: **გა-ურბი**-ს, **გამორბი**-ს (**გაევე**-ა...).

შესაბამის ადგილას, სათანადო მასალის მოშველიებით, ჩვენ აღვნიშ-ნავდით, რომ ამ რიგის შემთხვევებში, წესისამებრ, თავს იყრის როგორც ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის, ისე გრამატიკული პარადიგმატიკისა

და სინტაგმატიკის საკვანძო პრობლემები. შესამჩნევია, რომ სალექსიკონო ამოცანების გადაწყვეტის დროს (უფრო კი – შესაბამისი პროდუქტის გამოყენებისას) ჩვეულებრივი თვალისათვის შეიძლება შეუმჩნეველი რჩებოდეს ანალიზის, კლასიფიკაციისა და კვალიფიკაციის ის კვლევითი პროცესები, რაც მიზანმიმართული სამეცნიერო ანალიზისას სრულიად თვალსაჩინო ხდება. ასეთი „დაფარული“ კვლევითი შრეები მრავლად არის განმარტებითი ხასიათის ლექსიკონებში და მათს წაკითხვას მხოლოდ შესაბამის სირთულეებში გარკვეულობა, ანუ სათანადო კვალიფიკაცია ხდის შესაძლებელს.

ქეგლის ახალი რედაქციის მე-4 ტომის ძირითადი ნაწილი ე(ნ) ასოს ეთმობა (პირვანდელი რედაქციის მე-3 ტომის ნაცვლად). ამავე ტომში შემოდის გ(ინ) და ზ(ენ) ასოების ლექსიკური მასალა.

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ე(ნ) ასოს შესაბამისი მასალის მოცულობა (იყო 300 სვეტი, არის 1144 სვეტი) და რაოდენობა (იყო 2396 სიტყვა-სტატია, არის 4773 სალექსიკონო ერთეული).

ე(ნ)-ის მონაკვეთის ძირითად შემადგენლობას ზმნური ფორმაწარმოება ქმნის. მაგრამ არანაკლებ საინტერესოა აქ წარმოდგენილ სახელთა რიგი; კერძოდ, ერთი მხრივ, საგრძნობია ახალი სახელური დერივატების გააქტიურება: **ენაზრტყელი, ენაგაკრეფილი, ენაგაქლესილი, ენადაუმზრალი, ენაძვირი... ერთბუნება, ერთგზისი, ერთგზისობა, ერთენოვნება, ერთთავა, ერთნამცეცა... ერისშიდა, ერიშვილი, ერიშვილობა... ეკვგარეული, ეკვებაშლილი...** მეორე, მხრივ, მრავალრიცხოვანია იმ ინტერნაციონალიზმების (უცხო სიტყვათა) წილი, რომელიც ე(ნ)-ზე იწყება (მაგ., „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“ სიტყვათა ამ ნაწილს 21 გვერდი უკავია) და მისი (მათ შორის - უახლესი შემონატანების) ასახვა თანამედროვე განმარტებით ლექსიკონში მნიშვნელოვან რედაქტირებას მოითხოვს. მაგალითად, სიტყვა **ეპიცენტრს** ქეგლის პირვანდელ რედაქციასა და უცხო სიტყვათა ლექსიკონში მხოლოდ სპეციალური ცნების შინაარსი ჰქონდა:

ეპიცენტრ-ი (ეპიცენტრისა) [ბერძ. epi და ლათ. centrum] გეოლ.

ადგილი მიწის ზედაპირზე, რომელიც მიწისძვრის კერის (ჰიპოცენტრის) თავზე მდებარეობს და სადაც ამის გამო მიწისძვრა ყველაზე ადრე აღწევს. სეისმურმა სადგურმა... აღნიშნა ძლიერი მიწისძვრა..., მიწისძვრის ეპიცენტრია 200 კილომეტრზე ირკუტსკის სამხრეთ-დასავლეთით («კომუნისტი»).

„უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ (**უსლ**): „ადგილი დედამიწის ზედაპირზე, რომელიც მოთავსებულია რაიმე დამანგრეველი ძალის კერის თავზე ან მის ქვეშ. მაგ., მიწისძვრის ეპიცენტრი. აფეთქების ეპიცენტრი.“

ქეგლის ახალი რედაქციის მიხედვით, ტერმინს გაუჩნდა გადატანილი მნიშვნელობა:

ეპიცენტრ-ი (ეპიცენტრისა) [ბერძ. epi და ლათ. centrum ცენტრი] გეოლ. 1. ადგილი მიწის ზედაპირზე, რომელიც მიწისძვრის კერის (ჰიპოცენტრის) თავზე ან მის ქვეშ მდებარე-

ობს და სადაც ამის გამო მიწისძვრა ყველაზე ადრე აღ-
წევს. მიწისძვრის ეპიცენტრი თბილისიდან 3 კმ-ში... სოფელ ნორი-
ოში იყო („კვ. პალიტ.“). მიწისძვრის ეპიცენტრი ჯავახეთის ქედზე...
დაფიქსირდა („გურია“). 2. გადატ. ცენტრალური, უმთავრესი,
ძირითადი (გარემო...). ეს გამოფენა მოწმობს, რომ თუმცა სხვა-
დასხვავებულ გავლენათა ეპიცენტრში იმოფებოდა, ქართულმა ხელოვნება-
მ შეინარჩუნა თვითმოფობა („ლიტ. საქ.“). ირაკლი აბაშიძე
დღემდე ერის კულტურული, საზოგადოებრივი ცხოვრების ეპიცენ-
ტრშია (ე. ამაშ.). [დ. გურამიშვილი] ცენტრალური ჰოქსის ეპიცენ-
ტრში საკუთარ ჰიროფებს აფენებს („ლიტ. საქ.“).

არცთუ დიდი ხნის ტერმინ **ეკოლოგიას** ქართულში ასევე გაუფარ-
თობია მნიშვნელობა; შდრ.:

ქეგლის ძველი რედაქცია:

ეკოლოგია (ეკოლოგიისა) [ბერძ. oikos სახლი, საცხოვრისი
და logos მოძღვრება] ბიოლოგიის დარგი, რომელიც სწავ-
ლობს ორგანიზმებისა და მათი გარემოს ურთიერთდამოკი-
დებულებას.

„უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ არსებითად იმავს იმეორებს (მხო-
ლოდ სიტყვა „დარგს“ ცვლის სიტყვით „ნაწილი“ და სიტყვას „სწავლობს“ -
სიტყვით „შეისწავლის“).

ქეგლის ახალი რედაქცია:

ეკოლოგია (ეკოლოგიისა) [= ბერძ. oikos სახლი, საცხოვრისი
და logos მოძღვრება] 1. მეცნიერება, რომელიც სწავლობს
ცოცხალი ორგანიზმებისა და მათი საარსებო გარემოს ურ-
თიერთდამოკიდებულებას. სემინარი შეესებოდა სერსემპლიან ცხო-
ველთა ეკოლოგიის ჰრობლემებს („საქ. ბუნ.“). საქართველოს სკოლებ-
ში ეკოლოგიის სწავლება შეიძლება სავალდებულო განდეს („ახ. თა-
ობა“). ეს ინიციატივები ქვეყნის ეკოლოგიაზე ზრუნვას ისახავს მიხ-
ნად („თავისუფ.“). 2. გადატ. რაიმე სისტემის შინაგანი წონას-
წორობა, მდგრადობა გამოვლენელი ფაქტორების მიმართ.
კულტურის ეკოლოგია [სათაური] (თ. გამყრ.). ერის ბუნების ეკოლო-
გია, – აი, რა უნდა იქონ ჩვენი უმთავრესი საზრუნავი („თავი-
სუფ.“).

ამგვარად, მე-4 ტომის ახალ რედაქციაში ფართოდ და, რაც მთავა-
რია, დაზუსტებულად არის წარმოდგენილი სპეციალური ტერმინოლოგია
(და ტერმინოლოგიური შესიტყვებები), მათ შორის – სრულიად ახალი ერ-
თეულები ქართულ სალიტერატურო ენაში. მაგ.: **ვალიდური, ვანტი, ვაპო-
რი, ვეგანი, ვეგანიზმი, ვეზიკულა, ველბოტი, ვენტა, ვერიზმი, ვერიფიკა-
ცია, ვიზავი, ვიზაჟისტი, ვიზიონერი, ვირტუალური, ზეგმა, ზენდელი,
ზიგოტა, ზუმერი...** და მათ შორის – ქართული ტერმინოლოგიური წარმო-
ებები: **ზეაქნევი, ზეახალი, ზედროითი, ზედროულობა** და სხვ.

უფრო მნიშვნელოვანია, რომ ქეგლის მე-4 ტომის ამავე სიტყვანში
შედის ისეთი ფუნდამენტური ისტორიულ-ფილოსოფიური ცნებები, რო-
გორებიცაა: **ენა, ერი, ეროვნება** და სხვ. ამ ცნებების გაგებამ და ახსნამ კა-

კობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე განიცადა თავისებური ცვლილება. ცხადია, ამ ცნებებთან არის დაკავშირებული სხვადასხვა ხალხის ეთნიკური იდენტობის, ეროვნული თავისთავადობისა და თვითგამორკვევის ხანგრძლივი და მძაფრი პროცესი. ამ ცნებათა გააზრებითა და სამოქმედო ენერჯის მინიჭებით არის აღსავსე მე-19-მე-20 საუკუნეთა ყველაზე აქტიური ძვრები. მხოლოდ ის მაგალითები რად ღირს, რაც საბჭოთა იდეოლოგიზებული სისტემის განვითარების მტკივნეულ პროცესებს უკავშირდება. შესაბამისად, დროთა განმავლობაში ამ ცნებათა განმარტების ათეულობით ვერსია შეიმუშავეს ფილოსოფოსებმა, სოციოლოგებმა, ისტორიკოსებმა, ფილოლოგებმა... ზოგჯერ მათ შორის საერთოს მოძებნაც კი გამძლეულობა. განსაკუთრებით ცნება „ერის“ გაგებაში იჩინა თავი თვალსაზრისთა ნაირგვარობამ. მაგალითად, მიხ. წერეთელი, ვინც შექმნა ფუნდამენტური წიგნი „ერი და კაცობრიობა“ (1910), ამგვარად აყალიბებს ერის ცნებით შინაარსს:

„ერის საზოგადო არსებობა, მისი სოციალური ორგანიზმობა და არა მექანიზმობა, – აი, რა არის ერთობა მისი ცნებისა. ერის ინდივიდუალობა, საკუთარი სოციალობა – საკუთარი ენა, ლიტერატურა, სამართალი, პოლიტიკა, სარწმუნოება, – რომელსაც მიუხედავად სხვა ერის სარწმუნოებასთან მსგავსებისა იმ სოციალური წრის ელფერი ადევს, სადაც იგი დამკვიდრებულია, – განსაკუთრებული „სოციალური ელფერი“ თვითოეული ეროვნული ინდივიდისა, თვით შეგნება ეროვნული ორგანიზმისა, რომელიც უპირველეს ყოვლისა თავის დაცვისათვის ბრძოლაში გამოიხატება – აი, რა ქმნის ერის ინდივიდუალობას...“

მეცნიერი, ცხადია, საზრდოობს და საკუთარ ხედვას აყალიბებს მე-19 საუკუნის ევროპელ ფილოსოფოსთა და სოციოლოგთა ნააზრევთან პაექრობაში; იგი არაერთ განმარტებას იმოწმებს:

ერნესტ ნისი: *„განხორციელება საერთო მიზნისა - აი, რა არის ერი.“*

ოტო ბაუერი: *„ერი არის კრებული ადამიანთა, რომელნიც შეკავშირებულნი არიან ხასიათის ერთობით ბედ-იღბლის ერთობის ნიადაგზე.“*

რუდოლფ შპრინგერი: *„ერები არიან ეთნოლოგიური მხრით სუმმანი ინდივიდთა, ხშირად გამოურკვეველ რასიულ ტიპისა, სოციალური მხრით კი - კრებული ინდივიდთა, რომელთაც აქვთ საერთო ენის წყალობით გრძნობისა და აზროვნების მსგავსება. იგინი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე გარდაიქცევიან ხოლმე ერთი ნების მქონე საზოგადოებად და მისიწრაფიან ეროვნულ კულტურის დასაცველად შექმნან პოლიტიკურად დამოუკიდებელი ძალანი.“*

ამ განმარტებაში ენის მნიშვნელობაზე მითითება უთუოდ გაგვახსენებს ვ. ჰუმბოლდტს, ვინც ერის თავისთავადობას პრინციპულად უკავშირებს ენობრივ შეგნებას: *„ერი ამ გაგებით არის ამა თუ იმ ენით აღბეჭდილი გონითი ფორმა კაცობრიობისა – ინდივიდუალიზებული იდეალურ მთლიანობასთან მიმართებაში.“*

მიხ. წერეთლის ზემომითითებულ წიგნს მოჰყვა კრიტიკული გამოხმაურება ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის აკაკი ჩხენკელისა („ერი თუ კაცობრიობა“, 1912), რომელიც ასე აყალიბებს ერის განმარტებას: *„ერი არის*

ისეთი სოციალური ორგანიზმი, რომლის ხორცშესხმულ არსებობას, როგორც ხელუხლებელ და განუყოფელ ინდივიდუალობისას, ინსტიტუტურათ გრძნობენ და ინტელექტუალურათ სჭვრეტენ თვით მისი შემადგენელნი წევრნი.“

ამ დროიდან მოკიდებული ქართულ სინამდვილეშიც არაერთი თვალსაზრისი გამოითქვა ერის არსისა და რაობის შესახებ. მათი შეჯერება ჩვენი ამოცანა არ არის. დავიმოწმებთ მხოლოდ ერთ-ერთ უახლეს განმარტებას, რომელიც ეკუთვნის მე-20 საუკუნის ცნობილ მოაზროვნეს, ნოდარ ნათაძეს, ვინც ასევე საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა ამ საკითხის განხილვას:

„ერი არის ადამიანთა პირადი ნაცნობობის არამგულისხმებელი და ღირებულებრივად ნიშანდებული კავშირი, რომელიც დამყარებულია სისხლით ერთობის ცნობიერებასა და კაცობრიობის ისტორიულსა და პოლიტიკურ სისტემაში პრინციპულად თანასწორუფლებიან წევრად მონაწილეობის უფლებაზე.“

ნ. ნათაძის უახლესი ნაშრომი – „მეცნიერული ქართველოლოგიის წინასიტყვა“ (თბ. 2020), რომელიც ყოველმხრივ განიხილავს ერის არსებობის პირობებსა და პრინციპებს, ამ ცნების განსაზღვრების კიდევ ერთ ვერსიას გვთავაზობს:

„ერი არის ადამიანთა ერთობა, რომელსაც სისხლისმიერი (ძირითადად) იგივეობის ცნობიერება აქვს და რომელიც მიმართულია კაცობრიობის მთლიან სისტემაში მონაწილეობაზე შეძლებისდაგვარად მაღალ სტატუსში, როგორც მინიმუმი – სხვათა პრინციპულად თანასწორი წევრის სახით, რაც (რომელი მონაწილეობაც) პრაქტიკულად მდგომარეობს

– მის შემოქმედებით მონაწილეობაში მსოფლიო პოლიტიკური სისტემების ფუნქციონებაში.

– მის მონაწილეობაში როგორც წარსულ, ისე მომავალ ისტორიაში.

– მისთვის მოსაწონი და მის მიერ საკუთარი – საკუთარი ბუნების შესაბამისად აგებული კულტურის შექმნაში“ (გვ. 22-23).

მოხმობილი განმარტებები იმის შესაძლებლობასაც ქმნის, რომ თვალსაჩინო იყოს, თუ რაოდენ მნიშვნელოვნად განსხვავდება ზოგად ცნებათა (კატეგორიათა) ამგვარი „თავისუფალი“ განსაზღვრებებისაგან ის განმარტება, რასაც განმარტებითი სალექსიკონო სტატის პირობები მოითხოვს, კერძოდ, სიტყვის სალექსიკონო განმარტება თავისი სიზუსტითა და ლაკონიურობით ბევრად მეტ დახვეწილობას მოითხოვს. ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ ამ კატეგორიის ცნებათა განმარტება ეპოქისა და სისტემის იდეოლოგიურ დაღსაც ატარებს.

ამგვარად, განმარტებითი ლექსიკონის იმჟამინდელი სტატია „ერი“, მიუხედავად ყველაფრისა, შესაბამისი კონიუნქტურის ნიშნით იყო აღბეჭდილი, კერძოდ, ერის განმარტება სტალინის ცნობილი დეფინიციის ციტირებით იყო წარმოდგენილი¹:

¹ სხვათა შორის, ამ ციტატის თარგმანის სხვა რედაქციაც არის ცნობილი: „ერი – ესაა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა ენისა, ტერიტორიისა, ეკონომიური ცხოვრებისა და ფსიქიური წყობისა, რომელიც კულტურის ერთობაში იხატება.“

ერ-ი¹ (ერისა) 1. „ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამონატულებაა კულტურის ერთობა“ (სტალინი). ერი ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობაა და აზრს რასობრივი და ტომობრივი ერთობა (სტალინი). ამასთან თავისთავად ცხადია, რომ ერი, ისევე, როგორც ყოველი ისტორიული მოვლენა, წვალუბადობის კანონს ექვემდებარება, მას თავისი ისტორია, დასაწყისი და დასასრული აქვს (სტალინი). ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს მამული, თავის ერია (ხალხი). ვეტრფი ჩემს ერს და სამშობლოს, ოცნებით თავზე ვეკვლები (ბაჩ.). ჩემო სამშობლოვ, დღეს შენი ერი განახლებული ქართლის ერია (ა. მირცხ.).

◇ **ბურჟუაზიული ერები** „განვითარდნენ აღმავალი კაპიტალიზმის ეპოქაში... ბურჟუაზია და მისი ნაციონალისტური პარტიები ამ პერიოდში ასეთი ერების მთავარი ხელმძღვანელი ძალა იყვნენ და არიან. კლასობრივი მშვიდობა ერის შიგნით „ერის ერთიანობის“ გულისთვის; თავისი ერის ტერიტორიის გაფართოება სხვისი ნაციონალური ტერიტორიების დაპყრობის გზით; სხვა ერებისადმი უნდობლობა და სიძულვილი; ნაციონალურ უმცირესობათა ჩახშობა; იმპერიალიზმთან ერთიანი ფრონტი, – ასეთია ამ ერების იდეური და სოციალურ-პოლიტიკური ავლადიდება“ (სტალინი).

ნუთუ არ იცით, რომ გარდა ბურჟუაზიული ერებისა არსებობენ კიდევ სხვა ერები, სოციალისტური ერები, რომლებიც გაცილებით უფრო მჭიდროდ შეკავშირებული და სიცოცხლისუნარიანი არიან, ვიდრე ყოველი ბურჟუაზიული ერი? (სტალინი).

◇ **სოციალისტური ერები** „წარმოიშვნენ და განვითარდნენ ძველი, ბურჟუაზიული ერების ბაზაზე კაპიტალიზმის ლიკვიდაციის შედეგად, – სოციალიზმის სულისკვეთებით მათი ძირეული გარდაქმნის გზით... მუშათა კლასი და მისი ინტერნაციონალისტური პარტია წარმოადგენენ იმ ძალას, რომელიც მტკიცედ აკავშირებს ამ ახალ ერებს და ხელმძღვანელობს მათ. მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირი ერის შიგნით – კაპიტალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად სოციალიზმის ძლევაში მშენებლობისათვის; ეროვნული ჩაგვრის ნაშთების მოსპობა ერთა და ნაციონალურ უმცირესობათა თანასწორუფლებიანობისა და თავისუფალი განვითარებისათვის; ნაციონალიზმის ნაშთების მოსპობა ხალხთა შორის მეგობრობის დამყარებისა და ინტერნაციონალიზმის დამკვიდრებისათვის; ყველა ჩაგრულ და არასრულუფლებიან ერთან ერთიანი ფრონტი დაპყრობათა პოლიტიკისა და დაპყრობითი ომების წინააღმდეგ ბრძოლაში, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, – ასეთია ამ ერების სულიერი და სოციალურ-პოლიტიკური სახე“ (სტალინი). ვერავენ უარყოფს

იმას, რომ ახლანდელი სოციალისტური ერები საბჭოთა კავშირში – რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, თათარი, ბაშკირი, უზბეკი, ეაზნახი, აზერბაიჯანელი, ქართველი, სომეხი და სხვა ერები – ძირეულად განსხვავდებიან ძველი რუსეთის შესაბამისი ძველი, ბურჟუაზიული ერებისგან როგორც თავიანთი კლასობრივი შემადგენლობითა და სულიერი სხივით, ისე თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური ინტერესებითა და მისწრაფებებით (**სტალინი**). **◇ ერთა თვითგამორკვევა** იხ. **თ ვ ი თ გ ა მ ო რ კ ვ ე ვ ა**. **◇ ერთა ლიგა** იხ. **ლ ი გ ა**. 2. ძვ. ხალხი, საზოგადოება (ჩვეულებრივ, სამღვდლოების საპირისპიროდ). ხმა ღვთისა და ხმა ერისაო (**ძველი ანდაზა**). როგორც მღვდელიო, ისეთი ერთი (**ძველი ანდაზა**). მთელი მოსახლეობის სქესისა და ჰასაკისდა მიუხედავად შემკრებელობით აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად ძველ ქართულ მწერლობაში «ერი» იხმარებოდა (**ივ. ჯავახ.**). ხაღმართო წერილის უძველეს ქართულ თარგმანებში ხალხის აღმნიშვნელ სიტყვად იხმარება «ერი» (**ივ. ჯავახ.**). [ვაჟკაცმა] არ გადიწვიტოს იმედი, არ შეიცვალოს ფერია, თორემ დაგმობს და დასწვევლის მოძმე, ერი და ბერია (**ხალხ.**). თავადი, ახნაური, მღვდელი, ერი – ყველანი დღე-ღამ იარაღში იხსდნენ (**ნ. ლომ.**). **◇ დარბაზის ერნი** ისტ. იხ. **დ ა რ ბ ა ზ ი**. **◇ წერილი ერი** ისტ. გლენობა. «მატიანე ქართლისაჲს»-კი გლენობის აღსანიშნავად «წერილი ერი» უწერია (**ივ. ჯავახ.**). 3. ძვ. თავმოყრილი, შეჯგუფებული ხალხი, კრებული, მარაქა. „აუარებელი გამსინჯველი მოაწყდა ზიზიანთ ქალსა“; – ეუბნებოდა შორიანლოს ერში მდგომი ახალგაზრდა ვაჟის მეორეს (**ეკ. ვახ.**). || საუბ. სახალხო გართობა, დღეობა (სოფლად). 4. ისტ. შეიარაღებული ხალხი, – ჯარი. «ერს» ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებში ორგვარი მნიშვნელობა ჰქონდა: ხალხსაც ნიშნავდა და ჯარსაც (**ივ. ჯავახ.**).

ქეგლის ახალი რედაქციის შესაბამისი სალექსიკონო სტატიის შედარება შესაძლებლობას მოგვცემს, დავინახოთ განსხვავება **ერის** ზოგად დეფინიციასა და, საერთოდ, სტატიის აგებულებაში:

ერი¹ (ერისა) 1. ისტორიულად ჩამოყალიბებული ადამიანთა ერთობა, რომელსაც მოსდგამს საერთო კულტურული მემკვიდრეობა (ენა, ტრადიციები, შემოქმედება) და აერთიანებს თვისობისა და ერთიანი მომავლის (პერსპექტივის) შეგნება. ხმა ღვთისა და ხმა ერისაო (**ანდაზა**). ვურა, ვურ ჰმართონ ვერსად ერი იმა მმართველთა, ვისც არ აქვთ ერის სიყვარული და შეწუნარება (**ილია**). ვეტრფი ჩემს ერს და სამშობლოს, ოცნებით თავსე ვეველები (**ბაჩ.**). ქუდს მოუხდით და ვახსნებთ ქებით მას, ვინც სიცოცხლე დაუდალაჲად შესწირა თავის ერს თავდავიწყებით (**ს. ფაშალ.**). **ერთა თვითგამორკვევა** იხ. **თ ვ ი თ გ ა მ ო რ კ ვ ე ვ ა**. **ერთა ლიგა** იხ. **ლ ი გ ა**. 2. ხალხი, საერო საზოგადოება. როგორც მღვდელიო, ისეთი ერთი (**ანდაზა**). არათუ მღვდლის სიტყვები, ერის წახურწულებაც არ გამოეპარება ხოლმე იმ წირვის დროს (**აკაკი**). ხაღმართო წერილის უძველეს ქართულ თარგმანებში ხალხის აღმნიშვნელ სიტყვად იხმარება „ერი“ (**ივ. ჯავახ.**). თავადი, ახნაური, მღვდელი, ერი – ყველანი დღე-ღამ იარაღში იხსდნენ

(ნ. ლომ.). ◊ **ერი და ბერი** ერისკაცები და სასულიერო პირები, — მთელი ხალხი, ერი (მნიშვ. 1). ძვირფას სტუმარსა და ანაბიას გზაში უამრავი ხალხი, დიდი და მცირე, ერი და ბერი, კაცი და ქალი... მხიარული შემახილებით სვდებოდა (რ. ჯაფ.). სოფელი ერთ მუჭად შეკრული და დანატარავებული ქვეყნიერება — თავისი ხალხით და ჯამათით, ერთი და ბერთი (თ. ბიბილ.). ◊ **დარბაზის ერ^წნი** ისტ. იხ. დ ა რ ბ ა ზ ი. იმავე დღეს ეაჯა ვაზინთა უპირველესი მეფეს: ვაწვიოთო დარბაზის ერნი (კ. გამს.). დარბაზის ერი მიუდგომლად გადაწვევტს სასჯელის ზომას (რ. ჯაფ.). ◊ **წვრილი ერი** ისტ. გლენობა. „მატიანე ქართლისაის“ კი გლეხობის აღსანიშნავად „წვრილი ერი“ უწერია (ივ. ჯავახ.). 3. ძვ. თავმოყრილი, შეჯგუფებული ხალხი, კრებული, მარაქა. „აუარბელი გამსინჯველი შაჰქუდა ზიზიანთ ქალსა“, — ეუბნებოდა შორიხლოს ერში მდგომი ახალგაზრდა გლეხი მქორეს (ეპ. გაბ.). 4. ისტ. შეიარაღებული ხალხი, — ჯარი. „ეოს“ ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებში ორგვარი მნიშვნელობა ჰქონდა: ხალხსაც ნიშნავდა და ჯარსაც (ივ. ჯავახ.).

როგორც ვხედავთ, ეს არის იმ იშვიათ შემთხვევათაგანი, როდესაც სალექსიკონო სტატია მოცულობის თვალსაზრისით უფრო შემცირებულია, ვიდრე ის წინამავალ რედაქციაში იყო. ამისი მიზეზია გათავისუფლება ისეთი იდეოლოგიზებული მონაკვეთებისაგან, როგორებიც მველი რედაქციის მიხედვით იყო „**ბურჟუაზიული ერები**“ და „**სოციალისტური ერები**“.

სამაგიეროდ, „ენა“ სტატიის შედარებითი წარმოდგენა აქ ვერ მოხერხდება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისი ტექსტი მველ რედაქციაში სამ-ნახევარი სვეტი იყო, ახალ რედაქციაში კი თხუთმეტ სვეტამდე გაიზარდა. ამავე დროს, ამგვარი აქტიური შინაარსისა და ფუნქციის სიტყვები მნიშვნელოვანი დერივაციული პოტენციით გამოირჩევა. განსაკუთრებულ ბუდობრივ სურათს ქმნის „ენა“-შემადგენლიანი კომპოზიტები, ე(ნ) ანბანთრიგზე ასეთი ლექსემა 200-ზე მეტი აღირიცხება. ამ ტომში ზოგი სხვა ლექსიკური ერთეულიც წარმოგვიდგენს არანაკლებ სიტყვაწარმოებით შესაძლებლობას: „ერთ“- სიტყვის შემადგენლობით — 450-მდე კომპოზიტი, უცხო „ელექტრო“- ელემენტის შემცველი — 200-ზე მეტი და სხვ.

ამავე დროს, „არ[ა]“ (პირველ ტომში) და „ვერ[ა]“ (მე-4 ტომში) ნაწილაკების აქტივობაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ენაში საგრძნობლად გაძლიერდა კონტარული, ანუ ხელოვნური ანტონიმის წილი (რაც ნაწილობრივ მაინც უნდა მიეწეროს გარეენობრივ გავლენას); კერძოდ, განსახილველ ტომში „ვერ[ა]“- კომპონენტისანი ლექსიკური ერთეული 300-ზე მეტი დაფიქსირდა. ეს მასალა, ცხადია, ერთგვაროვანი არ არის, მაგრამ მისი შემადგენლობის დახასიათებას აქ ვერ შევუდგებით, რადგან წერილის მიზანდასახულება ამ ამოცანას სცილდება (იხ. ნ. ხახიაშვილი 2019).

რაც მთავარია, საჩვენებელია ის სარედაქციო სიახლეები, რაც ე- პრეფიქსიან ზმნათა ლექსიკოგრაფიული უზრუნველყოფისას იჩენდა თავს.

ამ ტომის ე(ნ)-ის მონაკვეთზე მუშაობამ განსაკუთრებულად წარმოაჩინა ის დიდი პოტენცია, რაც ქართული ენის ზმნურ ფორმალაშრომებამ

არის „პროგრამირებული“. კერძოდ, ენიანი ვნებითები აღმოჩნდა ის ასპარეზი, რომელმაც გამოავლინა განსაკუთრებული აქტივობა ამგვარი წარმოებების დეკონენსური შინაარსის გამოსაკვეთად, განსაკუთრებით – ნეოლოგიზმების ზმნური „ადაპტირებისათვის“. უნდა ითქვას, რომ ენობრივ პროცესებში მისი განვითარების ყოველ ეტაპზე იგრძნობოდა ახალ ლექსიკურ შემონატანთა ენიანი გაზმნავების ტენდენცია. მაგალითად, შემოვიდა სიტყვა „ანგალი“ და გაჩნდა ზმნა „**ეანგლება**“, დამკვიდრდა „**კონტაქტი**“ და გაჩნდა ზმნა „**ეკონტაქტება**“, შემოვიდა „**მესიჯი**“ და – „**ემესიჯება**“, „**კოკეტი**“ – „**ეკოკეტება**“, „**ემიგრირება**“ – „**ემიგრირდება**“ და სხვ.

უნდა ვიფიქროთ, რომ ენის მხრიდან ეს თავდაცვითი რეაქციის გამოვლენაა, ერთგვარი ეკოლოგიური პასუხია: ენა აქტიურად ამოქმედებს სხვადასხვა დროს შემოჭრილი უცხო ელემენტების „გაქართულების“ შინაგან შესაძლებლობებს. ენობრივად უფრო მეტ დინამიკას წარმოაჩენს კომპოზიტების ენიანი გაზმნავების პროცესი: **ენამახვილება, ეთავდიდება, ეთავხედება, ეთვალთმაქცება, ემელაკუდავება, ესხივანათელება, ესხვაგვარება, ესხვაფერება, ეხელმწიფება, ეხელქვეითება, ეხმამაღლება, ეხმატკბილება...** და თვით – **ეხმატკბილკავშირება(!): მგალობელთა გუნდი კრიმანჭულით ეხმატკბილ-კავშირება (აკაკი).**

აღარას ვამბობთ მოდალური შინაარსის, კერძოდ, გუნება-მიჩნევისა და სხვ. ვნებითთა ახალ წარმოებებზე: **ედულება, ედუმილება, ეედემება, ევაგლახება, ევარდება** და სხვ.

ქართული ზმნის ენიანი მოდელი მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის ვნებითობის (ზოგადად) ნიუანსების მრავალმხრივი გამოვლენისათვის, რომელთა თავისებურება სუბსისტემური მოტივაციისა ჩანს და ფართო პარადიგმატულ (პარადიგმათაშორის) გააზრებას მოითხოვს.

მაგალითად, ნასახელარი ზმნური ერთეულები **ეჭვობ-ს, ე-ეჭვებ-ა, ა-ეჭვებ-ს** ძნელად გასარჩევია ძირითადი (ლექსიკური) შინაარსის თვალსაზრისით, მაგრამ გრამატიკა ამ დამოკიდებულებას სპეციფიკურ ნიშნებს სძენს.

აეჭვებ-ს თავისი გენეზისით აქტიური კონსტრუქციის ზმნაა (ის მას -> მან ის) და ეს სათანადოდ აისახება კიდევ ამ ზმნის ფუნქციონირების დროს: „*ომის ბედი აღარავის **აეჭვებდა**“ (ა. სულაკ.). „სასწაულები არ ხდებოდა... ასეთი ლაპარაკით კი უფრო **მაეჭვებ**“ („თბილის.“). მაგრამ სუბიექტური აღქმის ინტენსივობის შედეგად ამ ფორმამ ინვერსიისმიერი შინაარსობრივი ტრანსფორმაცია განიცადა და არსებითად ერთპირიან უგვარო ზმნად იქცა: „*აღარ **მაეჭვებს**, რა მირჩევნია, შენთან ყოფნა თუ შინ დაბრუნება“ (გ. აღხაზ.). „**მაეჭვებს**, რომ გარემოებები ასე გადაეჯაჭვა ერთმანეთს“ („პრესა“).**

ეჭვ-ობ-ს ე.წ. საშუალო გვარის ნასახელარი ზმნაა. ვერ ვიტყვით, რომ ის აქტიურ განწყობას გამოხატავდეს, მაგრამ პარადიგმის შემავსებელი სათავისო ქცევის მოდელი (**ო-ეჭვებ-ს, ი-ეჭვ-ა**) ადასტურებს ამას. სალექსიკონო სტატია, ამავე დროს, ასახავს ამ ფორმის სემანტიკურ დიფერენცირებას: 1. საეჭვოდ მიაჩნია, ეეჭვება (რაიმე). *არ **ეჭვობდნენ** აწ გამარჯვებას (აკაკი).* 2. ეჭვი აქვს, – ეფიქრება, ჰგონია, ვარაუდობს. *ჭაბუკი... **ეჭვობდა**,*

ვაითუ ახლა მიმტყუნოს ამ ანკესმა და თევზი ხელიდან დამისხლტესო (**გ. ბარნ.**).

მაგრამ **ეკვობ**-ს არ არის **აეკვებ**-ს ფორმის სისტემური (კონვერსიული) წყვილისცალი, ამიტომაც სისტემის შევსება ხდება სათანადო წარმოებით: **ე-ეკვებ**-ა (მივაქციოთ ყურადღება, რომ ეს ფორმა **ეკვობ**-ს ზმნის პირველი, უფრო აქტიური შინაარსის განმარტებაში გამოჩნდა). სრულიად აშკარაა, რომ ამ ზმნის სემანტიკაც ინვერსიულ ტრანსფორმაციას დაექვემდებარა: *ახლა მეც შეეკვება, რომ ცხრაზე გაილოს (რ. ინან.)*. როგორც ჩანს, ამ სისტემური „დაწოლის“ შედეგია კიდევ ერთი - დონიანი ვნებითის მოდელით ნაწარმოები ფორმის გაჩენა: **ეკვ-დ-ებ**-ა. ის უკვე მყარად ზის ნასახელარ ზმნათა კონვერსიულ სისტემაში: **აეკვებ**-ს „ეკვს უჩენს“ – **ეკვდებ**-ა „ეკვი უჩნდება“ (შდრ. **აერთებ**-ს – **ერთდებ**-ა და მისთ.). მაგ.: *განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანი ეკვიანი კია, მაგრამ ყოველთვის თავის სასარგებლოდ ეკვდება (ო. ჭილ.)*.

საგულისხმოა ისიც, რომ ამავე სახელის ახალი **ეკვიან**- ფუმიდან ზმნურ ფორმათა ახალი სისტემა განვითარდა (რომელიც ნაწილობრივ ფარავს კიდევ **ეკვ**- ფუძის ზმნათა ფუნქციონირების არეს): **ა-ეკვიანებ**-ს – **ეკვიანდებ**-ა, **ეკვიანობ**-ს – **ეკვიანებ**-ს¹.

ანალოგიურ სემანტიკურ მიმართებებს ააშკარავებს **ფიქრ**- სახელურნი ფუმიდან წარმოქმნილი ზმნები: **აფიქრებ**-ს, **ფიქრობ**-ს, **ეფიქრებ**-ა.

აფიქრებ-ს უფრო მკვეთრად წარმოაჩენს განსხვავებას აქტიურსა და ინვერსიულ პროცესს დაქვემდებარებულ შინაარსს შორის: 1. *ფიქრებს აღუმრავს. ამოშანთულ წარწერასავით ისევ და ისევ იმ სამყაროზე აფიქრებდა, სადაც ხალხი ტანჯვით ცხოვრობდა (თ. ჭილ.)*. 2. *ადარდებს, აეჭვებს. დიდ თავადებს განსაკუთრებით აფიქრებდა, რომ ვახტანგმა „მცველთა ჯარი“ გაიჩინა (საქ. ისტ.)*.

ფიქრობ-ს (**ი-ფიქრებ**-ს) მეტად შეიცავს აქტივის შინაარსს.

ეფიქრებ-ა, როგორც ენიანი ვნებითი, თავის ადგილს იკავებს კონვერსიულ სისტემაში: *დღედაღამ [სწავლის] მეტი აღარა მეფიქრებოდა რა (აკაკი)*. მაგრამ ეს ფორმა ფრიად ნაკლები პარადიგმით წარმოდგება, მხოლოდ აწმყოს წრის სამი მწკრივი აქვს.

ამიტომაც ნასახელარ ზმნათა სისტემის მოთხოვნით ჩნდება დონიანი ვნებითის სრული პარადიგმა: [და]**ფიქრ-დ-ებ**-ა, **დაფიქრ-დ**-ა, **დაფიქრებულა**..., რომელსაც თავისი სასხვისო ქცევის ფორმებიც განვითარებია: **უ-ფიქრდებ**-ა...

უფრო რთული სისტემური გადაჯაჭვა გვაქვს **გვიან**- ფუმიდან წარმოქმნილ ზმნურ ფორმათა მიმართებაში. აქ რეალურად 7-ამდე ფორმა იყრის თავს: **ავვიანებ**-ს, **ავვიანდებ**-ა, **იგვიანებ**-ს, **გვიანდებ**-ა, **უგვიანდებ**-ა, **გვიანობ**-ს და ბოლოს – **ეგვიანებ**-ა. ძირითად ფუნქციონალურ სემანტიკაში მხოლოდ ნიუანსობრივი განსხვავების დაფიქსირება ხერხდება. დავაკვირდეთ: „*რატომ დაიგვიანე?*“ – ეკითხება მომლოდინე მეგობარი მე-

¹ შეიძლება რეალიზდეს ***ე-ეკვიან-ებ**-ა პოტენციური ფორმაც.

გობარს; „კი არ დავიგვიანე, **დამაგვიანდა!**“ – უპასუხებს მოსული და ამ პასუხში კარგად ჩანს იმ ნიუანსის წვდომა, რომელიც სასურველია სიტყვათა განმარტებამ ასახოს.

აგვიანებ-ს ფორმა მკვეთრად წარმოაჩენს სემანტიკურ ოპოზიციას თავის აქტიურსა და არააქტიურ (თუმცა არა – ინვერსიულ) გამოვლენას შორის: 1. პირობას უქმნის, რომ დაგვიანდეს, – აყოვნებს. – *ნუ მაგვიანებ, ფშაველო, ჩქარა შიხსენ ხმალია! (ვაჟა)*. 2. არ ჩქარობს, აყოვნებს, გვიანდება. *წადი, შვილო, წადი, ნულარ აგვიანებ (აკაკი)*¹.

როგორც ვხედავთ, მეორე მნიშვნელობა ფაქტობრივ გამოხატავს „იგვიანებს“, „გვიანდება“ შინაარსს. ზოგადად, ძნელი ასახსნელია, რამ განაპირობა ფაქტობრივ სინონიმურ ფორმათა ამ სიმრავლეში კიდევ ერთი – ენიანი წარმოების გააქტიურება და გაჩენა ფორმისა **ე-გვიანებ-ა**, ალბათ ამისი მოტივი უნებლილობის გამოხატვის საჭიროებაა: *ცოტა კიდევ მოვიცადოთ... მე თუ დამიჯერებთ, ეგვიანებთ (რ. ჯაფ.)*. აქვეა მიჩნევისა და სხვა ზმნური ნიუანსები: *ახლა კი აღარ გვეგვიანება (რ. ჯაფ.)*. *მეუბნებიან, გვიანი ახლაც არ არისო, მაგრამ მე „მეგვიანება“ („ამბები“)*. *...კლივლენდი კი იყო 1:30-ზე, მარა ალბათ ეგვიანათ („თბილ. ფორ.“)*.

ამგვარ ფორმათა მიმართება თითქოს ცხადს ხდის, რომ, გარკვეულ შემთხვევებში მაინც, ცალკეულ ფორმათა წარმოქმნას არა სემანტიკური საჭიროება, არამედ სისტემის შევსების აუცილებლობა ქმნის. მაგალითად, რამ განაპირობა **ეროქებ-ა** ფორმის გაჩენა? რეალურად გვაქვს სემანტიკური ოპოზიციისა: **აჩოქებ-ს** – **იჩოქებ-ს**. ფუნქციონალურად **იჩოქებ-ს** ფაქტობრივ იკავებს კონვერსიული ვნებითის ადგილს – „ჩოქზე დგება“, მაგრამ ის ფორმალურად ერთპირიანი აქტივია (**დაიჩოქ-ა მან**). ამიტომაც სისტემის მოთხოვნა აჩენს სემანტიკურად მის ფარდ ინიან ვნებითს – **იჩოქებ-ა**: *აზირ, ისა თქვა, რომ საიდანაც ქარი შემოუბერავს, იქითკენ იჩოქები? („კვ. პალიტ.“)*. ერთპირიანი ვნებითის არსებობა განაპირობებს (რაც განმარტებაშიც გამოჩნდება), რომ გააქტიურდეს მისი „სასხვისო ქცევის“ ფორმა – ორპირიანი ვნებითი – **ეროქებ-ა**, რომელიც ომოფორმად² არის ასახული ქეგლის ახალ რედაქციაში:

ეროქებ-ა¹ (ღა¹ეროქა, ღა¹სჩოქებია) გრღუვ. ვნებ. იჩოქება ვინმეს წინაშე, – უჩოქებს. წამო, ქალო, გეჩოქები, ზღვაში შევადგუროთ ტივი (**ხალხ.**). ჰაწაწინა მწერია, დიდ შტერს არ ეჩოქება, სანადიროდ დადიან გუნდებად და ჯოგებად (**გამოცანა**). რანან გავრბივარ, არ გიჩერდები, არ გეჩოქები და სიცოცხლესაც არ გეკვდრები (**გ. სულაკ.**). გინდა ებძოლე განგებას და გინდა ეჩოქე, ...ღვინის სმის

¹ როგორც ვხედავთ, აქ „აყოვნებს“ ზმნა გაჩნდა როგორც პირველი (აქტიური), ისე მეორე (პასიური) შინაარსის განმარტებაში. შესაბამისად, აღწერილი სემანტიკური განვითარება ამ ზმნასაც ახასიათებს და გარკვეული ფორმოზოცი მიმართებებიც არსებობს: **აყოვნებს-ს** – **ყოვნდება-ა**; მათ შორის იშვიათი **ეყოვნება-ა** წარმოებაც ვლინდება: *წარვედ გეთსამანის ბაღში, მსწრაფო, აქ ნულარ ეყოვნებო! („მწყემსი“)*. ამ ფორმას შესაძლებლობის ვნებითის სემანტიკაც უდასტურდება: *როდესაც სტრაიონს არ ეყოვნება და ფიცარანგო სისხლით ირწყვება, თავდება მაშინ აქ ხელოვნება... („ლიტერ.“)*.

² **ეროქებ-ა**² ასახავს [აჩოქი-ა] სტატკურ შინაარსს: „დაჩოქილი იქნება“: ...მისი მისწული უფროსი კარზე ეჩოქა (**საბა**).

გარდა, ანაფორი შეკრება (ა. ელერდ. თარგმ.). ფიგურ. ანარა ახარება მის დაღვრემოდ სანეს, მიტოვებული მარტოსული აზრებს ეხოქება (აერონ. ბილ.).

როგორც ვხედავთ, ამ ფორმის განმარტებით სინონიმად შემოთავაზებულია „უ ჩ ო ქ ე ბ ა.“ ამდენად, საბოლოოდ მივიღეთ რეალიზებულ ფორმათა მწკრივი: **აჩოქებს – იჩოქებს – უჩოქებს – იჩოქება – ეჩოქება.**

ენიან ზმნურ წარმოებათა ნაირგვარი პოტენციის ამგვარ რეალიზაციათა გამოვლენის შემთხვევები უამრავია ქველის ამ ტომში და რამდენადაც ისინი წარმოაჩენენ ეროვნული ენის ამოუწყავ შესაძლებლობებს, იმდენადვე ადასტურებენ იმ სპეციალური შრომის საჭიროებასა და მნიშვნელობას, რაც ამ მასალის სრულ ლექსიკოგრაფიულ უზრუნველყოფას უკავშირდება და რაც მხოლოდ განსაკუთრებული პროფესიონალიზმით არის შესაძლებელი.

ქველის ახალი რედაქციის შედარება პირვანდელ რედაქციასთან უპირველესად თვალსაჩინოს ხდის (შეუიარაღებელი თვალისთვისაც კი) იმ „რაოდენობრივ“ ცვლილებებს, რაც ზმნურმა სტატიებმა განიცადა წერილობითი წყაროებით დოკუმენტირებისა და, შესაბამისად, მნიშვნელობათა კვალიფიციური დიფერენცირების თვალსაზრისით. ნეიტრალური, არააქცენტირებული შედარებისათვის ავიღოთ ორი მეზობელი სიტყვა-სტატია: **„ეცრემლება“** და **„ეცრიცება“**.

ძველი რედაქცია	ახალი რედაქცია
<p>ეცრემლება-ა (მხოლოდ ნაკვთთა აწმგოს წყებაში) გრდუვ. ვნებ. 1. გამოთქმაში: ◊ თვალ¹ებ¹ი ეცრემლება თვალ¹ებ¹ი ცრემლიანი უხდება, უცრემლიანდება, თვალ¹ებ¹ზე ცრემლი ადგება. „ანა ვტირი, შვილო, ბერიკაცი ვარ, თვალები მეცრემლებს“ (ვაჟა). 2. პოეტ. გადატ. ცრემლად ეფრქვევა, ცრემლად ედინება, ეღვრება. მთას ეხლანსება ღრუბელი, ძირს ეცრემლება ველებსა (ი. ევლ.).</p>	<p>ეცრემლება-ა გრდუვ. 1. (მოეცრემლა, მოსცრემლვია)¹ ვნებ. უ ც რ ე მ ლ ა ვ ს ზმნისა: ◊ თვალ¹ებ¹ი ეცრემლება ცრემლი მოსდის, თვალ¹ებ¹ი უცრემლიანდება. – ანა ვსტირი, შვილო, ბერიკაცი ვარ, თვალები მეცრემლება (ვაჟა). ვაჟას თვალი აღარ ჰქონდა შესვეული, მაგრამ ეცრემლებოდა კი (ნ. ნაკაშ.). ვხედავ, როგორ მოაქვს ქაწის კვამლი, მჭვარტლი და ნაცარი, როგორ გეწვის და გეცრემლება თვალები (ი. ლომ.). [კაცს] თმა სრულიად გასეთრებოდა, ...მსხვილი, გადმოკარკლული, ჩასისხლიანებული ლურჯი თვალები ეცრემლებოდა (დ. კოკ. თარგმ.). თვალზე ცრემლი ადგება, ეტირება; ტირის. რა ხანი არის, გათენდა, ადგე, გარეკე საქონი. რას გეცრემლება თვალები, რა გავხდომია სავონი? (ვაჟა). მლი ამ სიტყვებით თრობის ნაკვალევს და გეცრემლება თვალი ღვთის ნებით</p>

¹ქველის ახალი რედაქცია ითვალისწინებს და წარმოაჩენს არაერთ ნორმატიულ ცვლილებას, რაც ქართული სალიტერატურო ენის მორფოფონოლოგიურ პროცესებს უკავშირდება; ამისი ნიმუშია მითითებული ფორმა **მოსცრემლვია** (იხ.: ა. არაბული, ფრვ/ფვრ ტიპის მეტათეზისის გააზრებისათვის ქართულში. – შოთა მიძიგური 90, თბ. 2002).

<p>ეცრიცება-ა (გაეცრიცა, გასცრიცია) გრდუვ. ვნებ. ფერი ეკარგება (რისამე), ფერმკრთალი უხდება, უფითრდება (მაგ., სახე).</p>	<p>(გ. აღხაზ.). დედაშენი შესიხმრება. ეცრემდება თვალი მონაშუქი. მისხნის როგორ გაგიფრთხილდე, მოვიარო (ნ. დარბ.). როცა მის (= რ. ინანიშვილის) მოთხრობებს ვკითხულობ, თვალები მეცრემდება („ბურუსი“). ფიგურ. მაგრამ მხეც რომ თვალი ჩუქად ეცრემდება, ისევე მინდა სიყვარული გაგიმხილო („მეღია“). 2. (დაეცრემლა, დასცრემლვია) ვნებ. ცრემლებით უსველდება. — ...შენ შეხმარებოდი გოზინაის გაკეთებაში — სახე ეცრემდება მანანას. ჩემთან მოდის და მხრებზე მეხვევა („არქივი“). ვტირი და მეცრემდება წაშლაში, ჩემთვის ანასოდეს გათენდება („მეღია“). 3. (დაეცრემლა, დასცრემლებია) პოეტ. ვნებ. ცრემლ^რად ედინება, ცრემლ^რად ეფრქვევა, ეპკურება. მთას ეწლანება ღრუბელი, ძირს ეცრემდება ველებსა (ი. ევდ.). 4. (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) ვნებ. უნებურად ტირის, — ეტირება. გაველეშორდი, ევაგილებში გაურბი წყაროდ, მოხდვაეებულ სინარულით მეცრემდება (ზ. სოლომნ.). დაბადებიდან შეუკუედელი თმა შევიტყრი... და ამ მოხუცს ფურდი გადავუსვიე. უნებურად მეცრემდებოდა, ფიცს რომ ვტყენდი (ნ. ვარად.). ეველას გლოცავთ, ხალხო, მეცრემდება, რამდენი მადლია ქვეყანაზე (კვ. პალიტ.). ფიგურ. იქნებ სულაც არ ეგალობება მის (= შაშვის) ზატარა გულს, იქნებ ეცრემდება და დარღს უხმობს (ბ. მაცაბ.).</p> <p>ეცრიცება-ა (გაეცრიცა, გასცრიცია) გრდუვ. ვნებ. უცრეცს ზმნისა იცრიცება მისი. — 1. უცვდება, უთხელდება, განელევა. „მაიკები“ მუცელთან უკვე მეცრიცება და ვერ ვხვდები რატომ („თბილის.“). კანი მაქვს სელის გულებზე გამაგრებული და გახეხილი, მეცრიცება... და მძვრება („ამბები“). ფიგურ. მიუღივართ, თანდათან სელში გვეცრიცება ძვირფას მისამართთა რუკა (გ. ლობჟ.). [დარდი] ისე მალიან მიფათურებს ხელებს სულში, რომ სხეული მეცრიცება („არქივი“). 2. ფერი ეკარგება (მისას), უფერულდება. ცას მართლაც ფერი ეცრიცებოდა... სიბნელეში</p>
--	---

	<p>უცნობ ინათა (თ. სახ. თარგმ.). [თოვ-ლო], ფერი გეცნობა ბალახთა წინა-შე და მხემ აცნობება უხვად მოგანება (გ. ჯაბუშ.). კალენდარს თითის მთელი ძალით დაჭრისგან, დღეების თითის გაყოფებით დათვლის დროს, ფერი ეცნობება („ურაკა“). დღითიდღე ეს იისფერ-ლილისფერი ევაილები ხუნდებოდა, თვალდათვალ ეცნობებოდათ ფერი („ერონ. ბილ.“). ფიგურ. გრძობა, ზედმეტი ხარ და ეველაფერს ანაზიდი ხარ და ხსოვნის კვანთს ეცნობება ბნელი კადრები (ვ. კოტეც.). რამდენადღაც წინ მიდინარ, იმდენი გშორდება და გეცნობება სამშობლო თვალსაწიერი (ზ. კვარ.). ◊ სახე ეცნობება ფერს კარგავს, ფითრდება. [ბი-ტი] ხმას არ იღებდა, მხოლოდ სახე ეცნობებოდა უფრო და უფრო („არმურ“). [კანცი] ხელებში მაკვებოდა, სახე ეცნობებოდა, ტუჩების გაღურჯებოდა („არქივი“).</p>
--	--

როგორც ვხედავთ, მოპოვებულმა მასალამ კვალიფიკაციების და-ზუსტებაც მოითხოვა და სიტყვათა სემანტიკური „განშლაც“ საკმაოდ შეცვალა.

მაგალითად, ზმნური ფორმა **ეთბილებ**-ა ქეგლის პირვანდელ რედაქციას აკლდა, ახალ რედაქციაში კი ის სამი ომოფორმით, ანუ სამი სტატიის სახით არის წარმოდგენილი:

ეთბილებ-ა¹ (ეთბილა, –) თბილი (თბილად) ეჩვენება.

ეთბილებ-ა² 1. ([დაეთბილა, დასთბილვია]) ითბილება მისი, – თბილი უხდება, სითბოთი ევსება, უთბება. 2. ([მეთბილა, მისთბილვია]) თბილად ექცევა, ეგულთბილება.

ეთბილებ-ა³ 1. (–, თბილებულა; აწმ.–სტატ. თბილა) სითბო იქნება, თბილი (ამინდი) იქნება. 2. (–, სთბილვია; აწმ.–სტატ. სთბილა) სითბო ექნება, თბილად იქნება, თბილად იგრძნობს თავს.

ასევე არ არსებობდა **ესაფლავებ**-ა სიტყვა-სტატია, ახალ რედაქციაში კი ის წყვილი ომოფორმით არის წარმოდგენილი:

ესაფლავებ-ა¹: ემარხება¹, საფლავება.

ესაფლავებ-ა²: დასაფლავებული იქნება, – ემარხება².

როგორც ვხედავთ, ომონიმურად არის წარმოდგენილი **ემარხებ**-ა ფორმაც (ოლონდ **ემარხებ**-ა¹ მხოლოდ ორპირიანი ჩანს), რომელიც ძველ რედაქციაში ერთ სტატიად იყო წარმოდგენილი და სხვ. და სხვ.

ენიან ზმნათა კვალიფიკაციისა და კლასიფიკაციის არსებითი მხარე მაინც ის არის, რომ ერთი და იმავე სტრუქტურის ზმნური ფორმები ხშირად გრამატიკულად არსებით განსხვავებას იძლევა, ანუ ომოფორმებად განაწილების შესაძლებლობას ქმნის (ამ თვალსაზრისით გავიხსენოთ თუნდაც წერილის დასაწყისში მოყვანილი მაგალითი „გარბის“ ზმნისა).

ამ საკითხის სათანადო გააზრებისათვის უპირველესად ქეგლის ლექსიკოგრაფიული პრინციპებიდან გავიხსენოთ ის დებულება, რომელიც ე.წ. „საზიარო აწმყოს“ გამოყენების წესს უკავშირდება. ჯერ კიდევ ახალი რედაქციის წინათქმაში ვუთითებდით, რომ:

„ზმნური ფორმაწარმოების სირთულე კვლავაც წარმოშობს ზოგი ლექსიკოგრაფიული შესაძლებლობის დაზუსტებისა და დახვეწის აუცილებლობას.

აღნიშნული განსაკუთრებით შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც რომელიმე ზმნის აწმყოს ფორმა რაოდენობრივად და ფუნქციურად ნაირგვარ ზმნისწინს ითავსებს. სწორედ ამგვარი შემთხვევებისათვის არის გამოყენებული ქეგლში ე.წ. საზიარო აწმყოს ცნება, რომელიც უპირველესად ერთი სალექსიკონო სტატიიდან რთული პრევერბული ზმნური სისტემის (ფორმაწარმოების) სემანტიკურ-ფუნქციონალურ განთესვას ემსახურება.

მაგრამ ყველა ამგვარი ფაქტი როდი წარმოგვიდგენს ერთგვაროვან და ცალმხრივ ვითარებას.

მაგალითად, საზიარო აწმყოს ერთ-ერთი უმარტივესი მაგალითია:

აცილებ-ს (აცილა, უცილებია) გრდმ. საზიარო აწმყო ზმნური ერთეულებისათვის: ა ა ც ი ლ ე ბ ს, გ ა ა ც ი ლ ე ბ ს, დ ა ა ც ი ლ ე ბ ს, მ ო ა - ც ი ლ ე ბ ს, მ ი ა ც ი ლ ე ბ ს.¹

როგორც აქედან ჩანს, „საზიარო აწმყოს“ ცნება აერთიანებს ლექსიკურ-გრამატიკულად არაერთგვაროვან მასალას: აქ შეიძლება იყოს როგორც ზმნისწინით განსხვავებული, მაგრამ სემანტიკურად ერთიანი ზმნური ერთეულები (მაგ. **აცილებს** – **დააცილებს**), ისე – იმავე ზმნისწინით ლექსიკურად განსხვავებული ზმნები (მაგ. **დააცილებს** – **მიაცილებს**).

ამავე დროს, ამგვარ სტატიაში თავისებურად არის წარმოდგენილი რამდენიმე ლექსიკოგრაფიული ნორმა: საერთო და ქვემნიშვნელობათა განუმარტაობა (განმარტების არქონა), მხოლოდ საილუსტრაციო ფაქტების წარმოდგენა; მითითებულ ზმნისწინიან ფორმათა მხოლოდ ნაწილის ჩამოთვლა (მრავალწერტილის გამოყენება). თითოეული ილუსტრაციის ბოლოს ზმნისწინიან ფორმაზე [იხ.] მითითებით გაგზავნა (რაც ჩვეულებრივი არ არის ქეგლისათვის) და სხვ.²

იქვე ვაზუსტებდით იმასაც, რომ შემთხვევათა ნაწილში შეიძლება უპირატესობა მიეცეს მნიშვნელობათა ომოფორმებად წარმოდგენას:

„ლექსიკოგრაფიული ინტერესები პირველ რიგში იმას მოითხოვს, რომ „საზიარო აწმყოს“ ცნებამ ერთმანეთისაგან გაარჩიოს და გამიჯნოს ზმნისწინთა გრამატიკული და ლექსიკური ფუნქციით გამოვლენის შემთხვევები, რაც გარკვეული ლექსიკური ერთეულების მიმართ არის კიდევ გატარებული ლექსიკონში. მაგალითად, ზემომოყვანილისაგან განსხვავებით, **აფრინდებ**-ა ფორმა ომონიმურ ერთეულთა სტატიების სახით

¹ ამ ხუთი მნიშვნელობის სალექსიკონო ილუსტრირება ეკონომიის მიზნით არ მოგვცავს.

² ქეგლა, ტ. I, თბ. 2008, გვ. 13.

არის წარმოდგენილი: **აფრინდებ**-ა¹ (აფრინდა, აფრენილა) და **აფრინდებ**-ა² ([და]აფრინდა, [და]ჰფრენია)...⁴¹

ზმნური ფორმაწარმოების² შემდგომმა ლექსიკოგრაფიულმა უზრუნველყოფამ უფრო ცხადი გახადა, რომ ბევრ შემთხვევაში ე.წ. „საზიარო აწმყოს“ ომოფორმებად წარმოდგენა ბევრად უფრო რაციონალურია. შესაბამისად, ენიან ზმნათა შემთხვევაში ზმნურ მნიშვნელობათა გამიჯვნის ეს ხერხი უფრო რეგულარულად არის გამოყენებული. მაგალითისათვის ავიღოთ სიტყვაფორმა **ეწყობ**-ა, რომელიც ქეგლის ახალ რედაქციაში 7 ომონიმური სტატიით არის წარმოდგენილი, ნაცვლად პირვანდელი ერთი სტატიისა³ (ექვესი „მსხვილი“ მნიშვნელობით⁴):

ეწყობ-ა გრდუვ. ვნებ. ა წ ყ ო ბ ს ზმნისა. 1. (დაეწყო, დაწყობილა)

1. იდება ბევრი, – ლაგდება, აწყობენ. სორბლით საყვე ტომრები ერთიმეორეზე ეწობა (ს. შანშ.). 2. გარკვეული წესით დგება (ჯარის ნაწილი, რაზმი და სხვ.), – ირაზმება, მწკრივდება. საითაც-ცოი მიიხედავთ, რაზმი რაზმზე ეწობა, ჯარებს უმატებენ (ილია). || ფიგურ. აღაძიანები ჯერ ერთდებიან, ჯერ ორგანიზაციებად ეწობიან და მერე საბრძოლად გადიან (სტალინი). || (საბრძოლად) ემზადება (ჯარი...). || ფიგურ. უძლეველია ჰარტიის რიგები, ჩვენ ისევ გადამწკვეტ ბრძოლისთვის ვეწობით (ა. მირცხ.). 3. თავსდება, სხდება. გლეხები... დარბაისლურად, წუნარად ეწობიან სკამებზე (ეპ. გაბ.). 2. (მოეწყო, მოწყობილა) 1. წესრიგი მყარდება (სადმე, რამეში); იმართება; იქმნება, ყალიბდება; გვარდება. ეწობა ლექცია-მოსხენებები. – საქმე ეწობა. – განთავისუფლებული ქართლი ახლა (= მე-6 საუკუნის დამლევეს) საკუთარი მართვა-გამგობის წესზე ეწობოდა (საქ. ისტ.). სისტემატურად ეწობა ამომრჩეველთა შესვედრა... დასახლებულ კანდიდატებთან („კომ.“). ხილის ბაღებში ეწობა სასაფხულო ბარაკები („ახ. კომ.“).
2. საუბ. გადღტ. ვაკანტურ ადგილს იჭერს, სამსახურში (სასწავლებელში...) შედის. დიმიტრი... აღმინისტრაციის სამსახურში ეწობოდა (ს. კლდ.). 3. (გამოეწყო, გამოწყობილა) იმოსება, ირთვება, იკაზმება. 4. (შეეწყო, შესწყობია) ეთვისება (ხასიათით...), – ეგუება (ვისმე ან რასმე). ტოლ-ამხანაგობას აგრე რიგად არ ეწობოდა (ილია). თევზს საჭმელად ძალიან ნაკლებად ვეწობოდი (ი. გოგებ.). 5. (შეეწყო, შესწყობია) ვნებ. უ წ ყ ო ბ ს

¹ იქვე, გვ. 13-14.

² ამ ტერმინს ამ ზოგად კონტექსტში პირობითად ვიყენებთ, რადგანაც ის ადეკვატური ვერ იქნება ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც ზმნური ფორმის ცვლა ლექსიკური ხასიათის სემანტიკურ ცვლილებას განაპირობებს, ანუ სიტყვაწარმოების („წარმოქმნის“ – აკაკი შანიძის მიხედვით) სტატუსს იძენს. საკითხის გაშლას, სამწუხაროდ, ვერ ვახერხებთ „ფართობის“ არქონის გამო.

³ მეორე სტატიად შემოტანილია არასალიტერატურო **ეწყობ**-ა „ეწყება“ მნიშვნელობით, რასაც ანგარიშგასაწევად არ მივიჩნევთ.

⁴ ვგულისხმობთ ძველი რედაქციის იმ წესის გამოყენებას, რომლის დროსაც მნიშვნელოვანი პარადიგმატული განსხვავება შედარებით მსხვილი ციფრებით არის გამოყოფილი, რაც თავისთავად გამოხატავდა მნიშვნელობათა კლასიფიკაციის „ასიმეტრიას“.

ზმნისა. ◊ **ხელი ეწეობა** დახმარება ეწევა, – ხელს უწყობენ, ხელს უმართავენ, შველიან. ქართულ არტიკლებს აქ დიდი ურნაღება ექნოდათ და... ხელი ეწეობოდათ (დ. კლდ.). **6.** (ეწეო, წეობილა და სწეობია; აწეოში იყენ. აწევია, უწევია) ვნებ. სტატ. ჩვეულებრივ იხმარება ნაკეთთა ნამყო ძირითადის წყებაში – ელაგება, დაწეობილი, ჩაწეობილი იქნება ან ექნება. დემეტრეს დედას მარცხნივ კალათა ედგა, მარჯვნივ კვერცხები ეწეო (ი. გოგებ.). შეცნარეებს... შეციუნული ხელეები... უბეში ეწეოთ (ილია). ჰეროს მოხაჯალი ბელლებში ეწეო („კომუნისტი“).

ახალი რედაქცია სრულიად განსხვავებულ სურათს იძლევა:

ეწეობ-ა¹ გრლუვ. ვნებ. ა წ ე ო ბ ს ზმნისა 1. (დაეწეო, დაწეობილა) იღება ბევრი, – ლაგდება; აწეობენ. სორბლით სავსე ტომრები ერთიმორეზე ეწეობა (ს. შანშ.). ვეკლა ეს ღვინო თართობზე ეწეობა ჯიძების და ადგილწარმოშობის მიხედვით („ნოუსი“). სხვენზე ქვის წეობა ეწეობა სხვადსხვა დონეზე („ტენდერ“). ფიგურ. და შამფურები, როგორც შუბები, ნუ ესუმრები, ჯარად ეწეობა (გ. ტაბ.). **2.** (ჩაეწეო, ჩაწეობილა) ლაგდება რაიმეში. შემშრალი ვეკლი ხელახლა ეწეობა უკვე გასუფთავებულ კასრში („ვეკიპედია“). სვეტის მუშა ანმატურის ღეროები ეწეობა სპეციალურ ბურღილებში („თბილის“). **3.** (მიეწეო, მიწეობილა ან მისწეობია) ერთმანეთის გვერდით, მიყოლებით ლაგდება. ფიგურ. მრავალი თავადსავალი ეწეობა ერთმანეთს, მოვლენები, რომლებიც ფელქის საშუალებას მისცემენ ნელ-ნელა გამოვიდეს ბავშვობის ასაკიდან („მედია“). **4.** (გაეწეო, გაწეობილა) გარკვეული წესით „გან“-ლაგდება რაიმე. ხანგრძლივი, სამსახურიანი ღოცვა დასრულდება თუ არა, სამლოცველოში გრძელი სუფრა ეწეობა („ლიბერ“). ◊ **არაფერი ეწეობა** არაფერი გამოდის, სხვა გზა არ არის. ვეკდრები, ვეხეკვები, ვაჯერებ რაც შემოდია, ნუ ადგახარ ამგვარ გზას-თქვა, მაგრამ არაფერი ეწეობა! (დ. კლდ.). ერთი ორმო მეკვლეობდა და შივ ჩაეწევი, მაგრამ გერმანელს დაუუნახივარ... არაფერი ეწეობოდა, ამოვედი („გურ“).

ეწეობ-ა² (მოეწეო, მოწეობილა) გრლუვ. ვნებ. ა წ ე ო ბ ს ზმნისა 1. თავსდება (ბევრი ვინმე), სხდება. გლეხები... დაზბაისლურად, წუნარად ეწეობიან სკამებზე (ეპ. გაბ.). აღექსი ჰანიროსს უკიდებს და კარგად ეწეობა (რ. ინან.). **2.** გარკვეული წესით „გან“-ლაგდება, წეობით ღვება (ჯარი...). საითაც კი მიიხედავთ, რაშიმ რაშიმე ეწეობა, ჯარებს უმატებენ (ილია). ნამძინარევი ჯარი ზღაზღანით საომრად ეწეობოდა (რ. ჯაფ.). **3.** წესრიგდება, ლაგდება (ცხოვრება). განთავისუფლებული ქართლი ახლა (= მე-ნ საუკუნის დასაწყის) საკუთარი მართვა-გამკვირვების წესზე ეწეობოდა (საქ. ისტ.). ◊ **ისე ეწეობა** (ყველაფერი)... ისეთი პირობები, გარემოებები იქმნება... ეოველი გარემოება ისე ეწეობა, რომ უსათუოდ ამ ქალის მსხენებელი ხდება [ზლატონს] ვეკლგან (დ. კლდ.). მე ოცდაექვსი წლისა ვარ და ვეკლაფერი ისე ეწეობა, რომ ახლა ვიწეებ თავიდან ცხოვრებას (ნ. მიწიშ.). **4.** საუბ. მუშაობას (სწავლას) იწყებს;

ვაკანტურ ადგილს იჭერს. დიმიტრი... ადმინისტრაციის სამსახურში ეწეობოდა (ს. კლდ.). აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში ვეწეობი (კ. ბუაჩ.). 5. კალკ. იმართება, ტარდება. კვალფიკაციის ამაღლების მიზნით ეწეობა შეცდინებები საბჭოთა მეურნეობებში (ს. ცისკ.). ეწეობა მრავალი მაგიდები, სადაც საქმიან საუბრებს სცვლის დრამატურთა განქიქება (ლიტ. საქ.). || იქმნება, ყალიბდება. ახალგაზრდული ბანაკები რომ ეწეობოდა, ამ ბანაკებს ჩემი შვილები სელმდღვანელობდნენ? (ალია“).

ეწეობ-ა³ გრდუვ. 1. (აეწეო, აწეობილა) ვნებ. ა წ ყ ო ბ ს ზმნისა ცალკეული ნაწილებისაგან იგება, კოწიწდება რაიმე. წვრტილისხელა ბურთულებით ეწეობა ორნამენტი (ს. კვ. პალიტ.“). 2. სასტამბო ნიშნებით იწეობა; დასაბეჭდად მზადდება (რაიმე ტექსტი). როგორ ეწეობა გაზეთი, ვინ მუშაობს მასზე და, საერთოდ, როგორ იბეჭდება სტამბაში? („სპორტ.“). 3. «მო¹იმართება საკრავი. რა ნოტებზე ეწეობა ფანდურის სიმები? („კარავი“). ინსტრუმენტები საერთოდ ამ ოქტავაში ეწეობა, თუ არ მქმნება („მართლ. ფორ.“). 4. გადატ. გამოდის, წარიმართება (რაიმე პროცესი). სადილის მერე ივორმა საწერკალაში აიღო და წერას შეუდგა... წერილის წერა არ ეწეობოდა (გ. რჩეულ.). ◊ საუბარი (არ) ეწეობა საუბარი (არ) გამოდის. საუბარი არ ეწეობოდა... ბიჭი დაიბნა („ურაკ.“). ◊ საქმე ეწეობა საქმე გვარდება, საქმე გამოდის. სინარულისაგან აფრენილმა [გალაქტიონმა], რომ საქმე სასურველად ეწეობოდა, გასწია შინისაკენ (დ. კლდ.). საქმე იწეუბოდა, არ ეწეობოდა (დ. კლდ.). 5. (აეწეო, აწეობია) გადატ. ვნებ. უგვარდება, გამოდის. ზირადი ურთიერთობებიც არ მეწეობოდა ამხელა დისტანციიდან. მავრამ... დავამთავრებ... ეველაფერი კარგად ამეწეობა („24 საათი“). ცხოვრება როგორ აგეწეო, ჯონი? რას საქმიანობ? – ცხოვრება სხვა და სხვა გვარად მეწეობოდა („არქივი“).

ეწეობ-ა⁴ (გამოეწეო, გამოწეობილა) გრდუვ. ვნებ. იმოსება; ირთვება, იკაზმება. ხელავთ, როგორ ქართულად ჩინტი-კაშპია გამოწეობილი... იმათ კი, ვინც რუსულ ტანისამოსში ეწეობა, დასცინის („სახ. გაზ.“). ამ ღაზარაკში წამსვლელნი ეწეობოდნენ... ვარვარამ, ნატალიამ და კაროენამ... ხექმები ჩაიციეს... ქუდები შორეულ (რ. მიშე.). არდადეგები დაგვიდგა, სამოგზაუროდ ვეწეობი (ე. ბართ.). გამძრალ ტანისამოსში ვეწეობი და ორივენი სამსახურში მივდივართ („არქივი“).

ეწეობ-ა⁵ (შეეწეო, შესწეობია) გრდუვ. ვნებ. უ წ ყ ო ბ ს ზმნისა 1. ეთვისება, ეგუება. შენს წინ კასკა სდგას, მანუღარი არ არის იგი და არც ეწეობა მითქმა-მოთქმას (ი. მაჩაბ. თარგმ.). [გიორგი] ტოლ-ამხანაგობას აგრე რივად არ ეწეობოდა (ილია). – ფილო არ გადავა გიორგისთან! – რატომ?.. – ევა და შალვა ვერ ეწეობიან ერთურთს (გ. ბუთხ.). აკლდამებს ახუქურთმებენ, ზანათა სამკლოვანესა, ოსტატს ეწეობა შეკირდი, ხელი ახელოვანესა (ლიტ. გაზ.“). ფიგურ. სივარა ცუდად ეწეობა სწორტს: მანქანის საჭესთან სივარას ვერ მოუკიდებ (გ. რობაქ.). ეს გული მავ შენს გულს ჩონგურის სი-

მივით ეწეობა („მწერ.“). 2. ჰეუობს, იტანს (რაიმეს). თეესს სა-
 გჰელად ძალიან ნაკლებად ვეწეობოდი (ი. გოგებ.). – ზატონი,
 თქვენც კი იცით, ჩვენ ჰურს არაფლათ ვეწეობით, ჩვენი საჭმელი
 ღობია (გ. წერეთ.). დღე მოხეენებას ერიდებოდა მოხუცი. სადილთუ-
 კან მილს არ ეწეობოდა, რათა არ გაელაღებინა სორცი მჰინვიერი
 (ვ. ბარნ.). ◊ ხელი (არ) ეწეობა დახმარება (არ) ეწევა;
 ხელს (არ) უწეობენ. ეს კარგი არის! ჩემს საქმეს თითქმის თა-
 ვისთავად ხელი ეწეობა (ილია, ი. მაჩაბ. თარგმ.). ქართველ არტისტებს
 აქ დიდი ურნადლება ექნეოდათ და... ხელი ეწეობოდათ (დ. კლდ.).

ეწეობ-ან (ჩაეწყო, ჩაწეობილა) საუბ. გრდუვ. ვნებ. ა წ ე ო ბ ს
 ზმნისა ჩაწეობით გვარდება (რაიმე). დიდ ჩემპიონატებში თამაშები
 არ ეწეობა. საქართველოში და ჰონდურანსში შეიძლება ვიღაცამ გაეი-
 ღოს თამაში, მაგრამ... („სპორტ.“). კვიპროსის ლიგაში მოთამაშეების
 67% დარწმუნებულია, რომ ჩემპიონატში თამაშები ეწეობა
 („სპორტ.“).

ეწეობ-ა⁷ გრდუვ. ვნებ. 1. (ეწყო, წეობილა; აწმ. – სტატ. აწყვია)
 დაწეობილი, ჩაწეობილი იქნება. გრძელ ნაუმი მვირფასი ხალისა
 ეუინა, მდინრე ტაბლაზე სასმელ-საჭმელი ეწყო (გ. აბაშ.). ვახნებიც
 ისევ შივ (= თოფში) ეწყო ექვსი ნომერი საფანტით გატენილი
 (ი. მჭედლ.). მასში (= ჩემოდანში) არამც და არამც არ შეიძლება
 წეობილიყო სამარეო კონიაკისა და ღვინის ბოთლები (ჯ. მეზრ.). 2.
 (ეწყო, სწეობია; აწმ. – სტატ. უწყვია) დაწეობილი, ჩაწეობი-
 ლი ექნება თავისთან (თავისთვის...). დემეტრეს დედას მარცხნივ
 კალათა ედგა, მარჯვნივ კვერცხები ეწყო (ი. გოგებ.). ვანე ტახტზე
 იჯდა, წინ ჩურები ეწყო და ხელში ნემსი და ძაფი ეჭირა (თ. რა-
 ზიკ.). კიმნასტურის გულჯობეუმი მეწყო ახლა უკვე უსარგებლო სა-
 მოქალაქო დოკუმენტები („მნათ.“). სიმღერა მექნება ჩართული, გვერ-
 დით სამედიანო წიგნები მეწეობა („არქივი“). || დალაგებული ექ-
 ნება თავისი (ხელები...). მეცხვარეებს... შეცივებული ხელები...
 უბეში ეწეოთ (ილია). [ქალს] ხელები მუხლზე ეწყო (რ. ინან.).
 [კაცს] ხელები ჯიბეში არ ეწყო, ზურგზე ჰქონდა შემოსალტული (რ.
 მიშე.). თოვლიანი წიფლის ზურგზე იდო თოფი და ხელები უბეში
 მეწყო (ი. მჭედლ.).

თუკი გავიაზრებთ წარმოდგენილი შვიდი ომოფორმის ურთიერ-
 თმიმართებას, დავინახავთ, რომ მიღებული სურათი შედეგია რთული,
 არაერთგვაროვანი ლექსიკურ-გრამატიკული მნიშვნელობების გადაჯაჭვი-
 სა. შესაბამისი ოპოზიციები იმდენად არაერთტიპობრივია, რომ სალექსი-
 კონო ერთეულთა ლექსიკოგრაფიული კლასიფიცირება ადვილად მოსა-
 ხელთებელი არ არის. ისიც უნდა ითქვას, რომ ე.წ. „საზიარო აწმყოს“ მე-
 თოდი ამ მონაცემთა სისტემატიზების უფრო ბუნდოვან შესაძლებლობას
 ქმნის. ვინაიდან მოყვანილი ზმნის პოლისემანტიკურობა ე- პრეფიქსიან
 ზმნებთან დაკავშირებულ ბევრ თავისებურებას წარმოაჩენს, ვცადოთ ავ-
 ხსნათ ამ სისტემის თითოეული ოპოზიციის ლექსიკურ-გრამატიკული არ-
 სი:

1. ეწეობ-ა¹⁻³ - ეწეობ-ა⁵ ოპოზიციამი პირველ რიგში უნდა დავინა-
 ხოთ ნამდვილი (კონვერსიული) ვნებითისა და აქტიური, დეპონენსური

ვნებითის სემანტიკური დაპირისპირება. ეს მოვლენა სისტემური ხასიათისაა. აკაკი შანიძიდან მოკიდებული გრამატიკულ ლიტერატურაში რეგულარულად აღინიშნება, რომ, საზოგადოდ, ფორმალურად ვნებითის ფორმებში და, კერძოდ, ენიან ვნებითებში ჭარბობს აქტიური ანუ დეპონენსური შინაარსი: ფორმა ვნებითისაა, ხოლო შინაარსი – აქტივისა (მაგ.: **ეკიდავება**, **ელაპარაკება**, **ედავება**...). ანუ ასეთი ფორმები ნამდვილი ვნებითები არ არის. როგორც ჩანს, ენობრივმა პროცესებმა გააძლიერა და გააფართოვა ამ მოდელის ზმნათა აქტიური შინაარსი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ამას პირთა განსხვავებაც ემატება: ენიანი ფორმის მოსალოდნელი ორპირიანობა (ორვალენტურობა) მხოლოდ მის აქტიურ (**ეწყობ**-ა⁵ ის მას) ვერსიაში არის გამოვლენილი. ამავე დროს, ამ ტიპის ფორმათა უმეტესობა ითავსებს ვნებითის ნამდვილ შინაარსს, ანუ კონვერსიის მოდელში თავსდება. ახალი რედაქციის მეოთხე ტომი რეგულარულად წარმოაჩენს ენიან ფორმათა ამ ბინარულ პოტენციას. ამ შესაძლებლობის გამოვლენა, ჩვეულებისამებრ, ერთი სტატის ფარგლებში, ორ მნიშვნელობად აღიწერება. მაგ.:

ელმიჭება-ა (დაელმიჭა, დალმეჭია) გრდუვ. 1. ვნებ. უ ღ მ ე ჭ ს ზმნი-სა ილმიჭება მისი, – ემანჭება (მნიშვ. 1) (სახე...). [სტეფანეს] დრო-გამოყებით სახე ელმიჭებოდა და კბილებს აგრატუნებდა, თითქოს რაღაც ტკივილი აწუხებოდა („ცნ. ფურც.“). ბეჟია გველსავით იკლაკნებოდა შიშისა და ტკივილისაგან, სახე უცნაურად ელმიჭებოდა (**ა. ყაზბ.**). [ავადმოფუს] ხაჯარდნილ ლოყებზე მსხვილი კურცნალები სწვიოდა და გამხდარი ზირის კუთხეები... ელმიჭებოდა (**მ. ჯავახ. თარგმ.**). ეოფელი უცნაური სახელის გაგონებაზე ოსეს უარესად ელმიჭებოდა ისედაც მოჯდუნული ზირისასე (**ჯ. მხრ.**). 2. ვნებ. ილმიჭება ვინმეს მიმართ, ვინმეს დასანახად, – ემანჭება (მნიშვ. 2). ეურმა... ლამობს ჯაგრი ციფუზე ივაროს, ...მაგრამ კურდღლის ნათესავი უხამუნად არბის... წიფელზე და იქიდან მაიშინივით ელმიჭება (**მ. ჯავახ.**). ატლანტიდელები... ელმიჭებოდნენ და ყუაყანებოდნენ ნოეს და ერთ ეოფაში ივენენ (**გ. დორ.**). მეჯვარედ ჩვენი მძაკაცი იყო... ნერვებს გვიშლიდა შორიდან, გველმიჭებოდა, გვანარებდა თავის ჭკუით („მონადირე“).¹

ეწყობ-ა ზმნის შემთხვევაში „აქტიურობა“-„პასიურობის“ გრამატიკულ შინაარსს დაერთო ლექსიკური შინაარსი (უფრო სწორად, ლექსიკურმა შინაარსმა გახადა შესაძლებელი კონვერსიული გრამატიკული პოტენციის რეალიზება. შესაბამისად მივიღეთ, ერთი მხრივ, აქტიური შინაარსის **ეწყობ**-ა⁵ (შეეწყო, შეესწყობია) „ეთვისება, ეგუება“² და, მეორე მხრივ, ნამდვილი პასივი - **ეწყობ**-ა¹ (დაეწყო, დაწყობილა) „ლაგდება; აწყობენ...“ (როგორც ვხედავთ, ამ უკანასკნელ განმარტებაში სწორედ კონვერსიულ შინაარსს გაესმის ხაზი).

¹ სტატის პირვანდელი რედაქცია ასეთი იყო: **ელმიჭება**-ა (დაელმიჭა, დალმეჭია) გრდუვ. ვნებ. ილმიჭება მისი, – ემანჭება (სახე). [ბეჟიას] სახე უცნაურად ელმიჭებოდა (**ა. ყაზბ.**).

² ამ ფორმის მეორე განმარტება უფრო მეტად გვიჩვენებს პასიურ სემანტიკას: „პგუობს, იტანს (რაიმეს)“.

გრამატიკული კვალიფიკაციის ასპექტით ამ ოპოზიციაში ყურადღებამისაქცევია ის, რომ პირველ შემთხვევაში მითითებული აქვს [გრდფვ. ვნებ. ა წ ყ ო ბ ს ზმნისა], ხოლო მეორე ომოფორმას – [გრდფვ. ვნებ. უ წ ყ ო ბ ს ზმნისა], რაც სწორედ კონვერსიულობის მინიშნებაა.

ეწყობ-ა¹ სტატიის ოთხი მნიშვნელობა ზმნისწინთა სემანტიკით (ამ სემანტიკის სინთეზით ძირეულ მნიშვნელობასთან) არის განპირობებული: 1. (დაეწყო, დაწყობილა); 2. (ჩაეწყო, ჩაწყობილა); 3. (მიეწყო, მიწყობილა); 4. (გაეწყო, გაწყობილა).

ეწყობ-ა¹ და **ეწყობ**-ა² გრამატიკული სტრუქტურით სრულად ეთანადება ერთმანეთს, მაგრამ ვინაიდან **ეწყობ**-ა²-ის სუბიექტი სულიერთა (ვინ-ჯგუფის) კატეგორიას ეკუთვნის, ის უფრო აქტიური შინაარსისაა, ვიდრე ასეთივე კონვერსიული წყობის **ეწყობ**-ა¹: შდრ. „*ეწყობა ტომრები*“ და „*ეწყობა ჯარი*“. **ეწყობ**-ა²-ის (4)-(5) მნიშვნელობები ახალ სალიტერატურო ენაში არის განვითარებული და გარეუბრები გავლენის კვალი ეტყობა (რასაც მიუთითებს კვალიფიკაციები საუბ. და კალკ.). ისინი ზმნისწინის გათვალისწინებით მოექცნენ ამ სტატიის ფარგლებში.

ზემოაღნიშნული აქტიური სემანტიკა არანაკლებ გამოკვეთილია **ეწყობ**-ა⁴-ის შემთხვევაში (გამოეწყო, გამოეწყობილა), რაც განაპირობებს იმას, რომ მისი კონვერსიულობის საწყისი აქტივის ფორმა არც მიეთითება (თუმცა ასეთი ფორმა შეუძლებელი არ არის).

ეწყობ-ა³ თავისი შინაარსით ა- ზმნისწინისგან განვითარებული ავტონომიური სემანტიკაა, რომელიც მკვეთრად წარმოაჩენს კონვერსიულ გენეზისს: „აწყობენ რაიმე მექანიზმს, საკრავს და მისთ.“ ამ სტრუქტურას უდასტურდება ახლად განვითარებული ობიექტური წყობის (5) ორპირიანი წარმოება (აეწყო, ასწყობია): „*ცხოვრება როგორ აეეწყო, ჯონი?*“ (**არქივი**).

ეწყობ-ა⁶-ის ავტონომიური სტატუსი არსებული სტრუქტურის საფუძველზე განვითარებული სრულიად ახალი, საუბრული სემანტიკით არის განპირობებული – „*[ჩა]ეწყობა, ანუ ჩაწყობით გვარდება რაიმე საქმე*“. იგულისხმება, რომ მისი გაერთიანება ჩა- ზმნისწინიან პირდაპირი მნიშვნელობის წარმოებასთან („*[ჩა]ეწყობა წიგნები ჩანთაში*“) სემანტიკის უგულებელყოფა იქნებოდა.

ეწყობ-ა⁷ თავისი უეჭველი სტატიკურობით იკავებს ავტონომიურ ადგილს. მაგრამ უპირველესად სწორედ ეს („სტატიკური“) სტატუსი მოითხოვს დასაბუთებას (და, შესაბამისად, ზემოაღნიშნულ მსგავსი სემანტიკის ზმნებისაგან განსხვავების ჩვენებას). როგორც ვხედავთ, ამ ომოფორმის სავალდებულო ფორმებით უზრუნველყოფა მხოლოდ აწმყოს წრის კლებას გულისხმობს: მას წყვეტილიც აქვს და 1-ლი თურმეობითიც (**ეწყო, წყო-ბილა**), მაგრამ იქვე მითითებულია, რომ აწმყოში შეესაბამება უდავოდ სტატიკური – **აწყვია**. ამავე დროს, ამ ერთპირიან სტატიკურს უდასტურდება შესაბამისი ორპირიანი წარმოება – **სწყობია**, შემავსებელი სასხვისო ქცევის ფორმისა – **უწყვია**. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **ეწყობ**-ა, **ეწყ**-ო, **წყო-ბილა**-ა და **სწყობი**-ა არის ვნებითები, შემავსებელი მწკრივინაკლი სტატიკური ზმნებისა **აწყვი**-ა და **უწყვი**-ა.

ამდენად, **აწყვი**-ა სტატიკური ზმნის შევსებული პარადიგმა ასეთია:

	1 პ.	2 პ.
აწმყო	აწყვი -ა	უწყვი -ა
მყოფადი	ეწყობ -ა	ენწყობ -ა
წყვეტილი	ეწყ-ო	ენწყ-ო
1-ლი თურმ.	წყობილ -ა	ს- წყობი -ა

ამიტომაც, ქეგლისეული პრინციპით, **ეწყობ**-ა (და სხვ.) ვნებითის ფორმას კი არ მიეთითება გრამატიკული კვალიფიკაცია [სტატ.], არამედ მის „მიმკუთვნებელ“ ფორმას – **აწყვი**-ა//**უწყვი**-ა. ანუ: **აწყვი**-ა//**უწყვი**-ა სტატიკურია ფორმითაც და შინაარსითაც, ხოლო **ეწყობ**-ა (ამ პარადიგმაში) შინაარსით სტატიკურია, მაგრამ ფორმით ვნებითია და ომოფორმათა კვალიფიკაციისას ეს არის არსებითი.

არსებით ინფორმაციას გვაძლევს ყურადღების გამახვილება მითითებული პარადიგმის ერთეულთა გრამატიკულ მნიშვნელობაზე (პარადიგმის დამოწმების აზრიც ამაში მდგომარეობს): **ეწყობ**-ა⁷ ფორმას კატეგორიულად მყოფადის მნიშვნელობა აქვს: „დაწყობილი, ჩაწყობილი იქნებ ა“.¹

რით აიხსნება ეს?

იმით, რომ აწმყოს ადგილი უკვე დაკავებული აქვს **აწყვი**-ა ფორმას, რომელიც, ცხადია, არა თავისი, არამედ იმ ადგილების შესავსებად იწვევს ვნებითის ფორმებს (**ეწყობ**-ა და მისთ.), რომლებიც მას აკლია.

აქედან ერთი ზოგადი წესი:

ენიანი ფორმის სტატიკურობა შეიძლება სანდოდ განისაზღვროს მაშინ, როდესაც მისი ძირითადი დროული შინაარსი მყოფადია.

ეს წესი შეძლებისდაგვარად გატარებულია ქეგლის მე-4 ტომის ახალ რედაქციაში.

კიდევ ერთი შენიშვნა:

ბოლო ომოფორმისთან განხილულ სტატიკურობის შინაარსს მეტად უახლოვდება გარკვეული მდგომარეობის გამომხატველი ვნებითები: **ესაზღვრება**, **ემიჯნება**, **ევერის**... მაგალითად, **ეველებ**-ა¹-ის (4) მნიშვნელობა მწკრივინაკლობის ტიპობრივი შემთხვევაა – მხოლოდ აწმყოს წრეში დასტურდება და შინაარსით სტატიკურობას უახლოვდება: „გავლებული, მოვლებული აქვს, ავლია.“ ოღონდაც ჩვენ მას სისტემურად ვაკუთვნებთ **ეველებ**-ა დეპონენსის სემანტიკურ ნიუანსს და არა – სტატიკურობის კატეგორიას, რადგანაც ნამდვილი სტატიკური სხვა შინაარსს შეიცავს (იხ. **ეწყობ**-ა⁷, **ეველებ**-ა⁶ და სხვ.).²

სალექსიკონო ომოფორმათა განხილვის დროს, ბუნებრივია, არსებითი ყურადღების გარეშე ვტოვებთ ისეთ სემანტიკურად (ლექსიკურად) განპირობებულ ერთეულებს, როგორებიცაა, მაგალითად, **ებლებ**-ა¹ (მიეხა-

¹ თუმცა, არსებობს შემთხვევები, როცა ასეთი ფორმა აწმყო-მყოფადის ორმაგ სემანტიკას ითავსებს.

² საზოგადოდ, ის არაერთგვაროვნება, რაც სტატიკურობის კვალიფიკაციისას იჩენდა თავს ქეგლში, გარკვეულად მოწესრიგდა ახალ რედაქციაში.

ლა, მიხლია; შეეხალა, შეხლია) და **ეხლებ**-ა² (– , ხლებია; აწმ. – სტატ. ახლავს). ასეთ შემთხვევაში გრამატიკული (პარადიგმატული) განსხვავების აქცენტირება ისეთივე აქტუალური არ არის, როგორც ზემომითითებულ ომოფორმებში.

ეკიდებ-ა ზმნა ასევე ექვსი ომოფორმით არის წარმოდგენილი (ძველი ვერსია 2 ომოფორმას შეიცავდა), ოღონდ მნიშვნელობათა ვარიანტებში, ცხადია, სემანტიკური სიმეტრია არა გვაქვს. ამ მონაცემების სრულად დამოწმება აქ ვეღარ მოხერხდება, მხოლოდ იმაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომ **ეკიდებ**-ა¹ ლექსემა, რაკი ზმნისწინთა ლექსიკურ-სემანტიკური უნარი უფრო ნაირგვარი უვლინდება, თავის მხრივ, საზიარო აწმყოს წესით არის გაწყობილი (სხვაგვარად კიდევ რამდენიმე ომოფორმა უნდა დამატებოდა ამ რიგს):

ეკიდებ-ა¹ (#ეკიდა, #ჰკიდებია)¹ გრდუვ. ვნებ. ჰ კ ი დ ე ბ ს ზმნისა საზიარო აწმყო ზმნური ერთეულებისათვის: ა ე კ ი დ ე ბ ა, დ ა ე კ ი დ ე ბ ა, ჩ ა -მ ო ე კ ი დ ე ბ ა, მ ო ე კ ი დ ე ბ ა¹, გ ა მ ო ე კ ი დ ე ბ ა¹, გ ა ე კ ი დ ე ბ ა¹, გ ა - დ ა ე კ ი დ ე ბ ა¹...

შესაბამისად, ამ სტატიაში 7 ქვემნიშვნელობა არის გამოყოფილი და მრავალწერტილი მიანიშნებს, რომ ეს სურათი არ არის ამ შესაძლებლობის ამომწურავი ვერსია. ზმნისწინიან ფორმებზე მითითება იმასაც წარმოაჩენს, რომ მათი უმეტესობა ასევე ომონიმური პოტენციისაა.

ამავე დროს, ამ რიგში ორი სტატიკური ომოფორმა ჩნდება, უკვე ლექსიკური შინაარსით განსხვავებული: **ეკიდებ**-ა⁴, რომელიც „დაკიდება, ჩამოკიდება“ სემანტიკას ასახავს, და **ეკიდებ**-ა⁵, რომელიც „მოკიდება, ანთება“ შინაარსს უკავშირდება.

მეორე მხრივ, შესაძლებელია ომოფორმის სტატიკური (პირობითად – ბოლო) ვერსიაც საკმაო პოლისემანტიკურობას ავლენდეს. მაგალითად, პირვანდელ რედაქციაში **ეადებ**-ა ზმნა ერთი სტატიკური ნიშნით იყო წარმოდგენილი:

ეადებ-ა (ეგლო, გდებულა; აწმყოში იყენ. «ა¹გლია) გრდუვ. ვნებ.

სტატ. ჩვეულებრივ იხმარება ნამყო ძირითადისა და თურმეობითის წყებაში – დაგდებული იქნება, ძირს იდება, უადგილო ადგილას, უპატრონოდ იდება. მინდვრად ეგლო თეთრი ქვა, დაგვარ ხელი, თან ამჟღა (**ხალხ**). [ქვა] ერთ ალაგას რომ ასი წელიწადი ეგდოს, არც სიმაღლე მოემატება, არც სისქე (**ი. გოგებ**). || იწოლება ძირს (უსულოდ ან გულწასული, გონებადაკარგული). „ასე ვეგდე ერთ ხანს გაოგნებული მიწაზე“ (**კ. ლორთქ**). || უპატივც. იქნება (სადმე); იწოლება; უპატრონოდ იქნება. „მიოხარ, სად ეგდე წუხელის?“ (**შ. მღვიმ**). „ეს ცხენი ანა მყოლოდა, ახლა ლუკმა-ლუკმა დაკეპილი ვეგდებოდი სადმე“ (**უიარ**). ◊

შენტვის (შენს ქერქში) ეგდე დატუქსვით შენთვის დაეტიე,

¹ სიმბოლო [#] შემოღებულია „საზიარო აწმყოს“ შემთხვევებისათვის ე.წ. შემავსებელი ფორმების ისეთ სავალდებულო (სიმბოლურ) ნიშნად, რომლის ადგილასაც შეიძლება ნებისმიერი „არასაზიარო“ ზმნისწინი ჩაჯდეს.

ნუ ეჩრები. „ეგდე შენს ქერქში, რა გინდა, რად მიშლი ხელსა?“
(**თ. რაზიკ.**).

ახალ რედაქციაში ის ორ ომოფორმად წარმოდგება, ოღონდ სტატიკური **ეგდებ**-ა² მნიშვნელოვან სემანტიკურ პოტენციას ავლენს – ექვს მნიშვნელობად გვევლინება:

ეგდებ-ა¹ (დაეგლო, დაგდებულა) გრდუვ. ვნებ. ა გ ე ბ ს ზმნისა 1.

უადგილო ადგილას ვარდება. 2. უპატივც. მოწყვეტით ძირს ეცემა; წვება. ჩემს სამილე ტომარაზე ვეგდები (**თ. ვოლერძ.**). მერე დასაძინებლად მივდივარ. ღოვინზე ვეგდები და ჩემს დას შევცქერბი („ლიტკლები“). ჩემს ოთახში შევდივარ და საწოლზე ვეგდები („არქივი“).

ეგდებ-ა² გრდუვ. ვნებ. 1. (ეგლო, გდებულა; აწმ.–სტატ. «ა¹გლია)

დაგდებული იქნება, ძირს იდება, უადგილო ადგილას (უპატრონოდ) იდება. [ქვა] ერთ ალაგას რომ ასი წელიწადი ეგდოს, ანც სიმაღლე მოემატება, ანც სისქე (**ი. ვოგებ.**). გვერდს ეგდო ჩემივე ცხენი, ცრემლითა სატირებელი (**ვაჟა**). ცარიელი ვედრო წინკარში ეგდო (**მ. გვას.**). აქ ცხენი ეგდო. არ ვიცო, თათრებს მოუკვდათ თუ იორმა დაახრხო (**რ. ინან.**). ფიგურ. გამოხედავ გარეთ, გახედავ შარას, ქარში ეგდება ღრუბლების ღერი, შეიმძირალებს შენს წამწამებთან ჩემი ცრემლები, შენი ვიშერი (**ნ. სამად.**). 2. იწვება ძირს (გულწასული, გონებადაკარგული). საწყალს ის კი არ ცოდნია, მამაძისი რომ ამ დროს სულმობრძავთ ეგდო ღოვინზე (**ვ. წერეთ.**). ასე ვეგდე ერთ ხანს გაოგნებული მიწაზე (**კ. ლორთქ.**). წვიმა და წვიმა, მარტის ქარში წვიმა გაბმულა. დიდხანს გდებულა მომაკვდავი და გაღუმძული (**ნ. დარბ.**). ფიგურ. წამებული დაფში ეგდო, წამებულის გვირგვინი მლიქვნელს ეგვა თავზე (**ო. ჭილ.**). ზღვა უზომოდ გამძღარ მეღუზასავით ეგდო ორმოში (**გ. მადულ.**). 3. უპატივც. იქნება სადმე (გაჩერებული, დარჩენილი...); მიტოვებული, მიუსაფარი იქნება. ტყუილად მოვცდი... ვგდებულიყავ ჩემთვის ბაკში, ერთი ღაზათიანად გამოემძინა, ის არა სჯობდა? (**ილია**). მოვათრევე მუსლებს დათვის სორმდევ... იცით კი, საით მხარეზე ეგდება, სად ექნება თვერი? (**ვაჟა**). მითხარ, სად ეგდე წუხელის? (**შ. მღვიმ.**). ერეკლე ომში [იფოს] და მე აქ ვეგდო? (**ვ. კანდელ.**). სიცოცხლის ბოლომდე მარტო ეგდება და რაც არ უნდა მოხდეს, მე ამ ხანში ფენის ჩამომდგმელი აღარ ვიქნები („**კვ. პალიტ.**“). ◊ **ეგდე (მანდ...)**! ავლებით მიმართვა: იყავი (მანდ...)! დაეტიე (მანდ...)! ნულარ წუწუნებ, ეგდე მანდ! (**გ. ტოვონ.**). ◊ **შენთვის (შენს ქერქში) ეგდე!** შენთვის დაეტიე! ნუ ეჩრები! ეგდე შენს ქერქში, რა გინდა, რად მიშლი ხელსა? (**თ. რაზიკ.**). 4. (ეგლო, ჰგდება; აწმ.–სტატ. აგლია, უგლია) დაგდებული (მოგდებული, ჩაგდებული...) ექნება. თან გამძელი მოხდევდა. ქალს თმა გაჭმლოდა, ბეჭები დაეფინა, ეელზე მარგალიტის ფარღული ეგდო (**ვ. ბარნ.**). [აბგაში] ერთი წიგნი მეგდო ხოლმე და ერთიც რვეული (**რ. ინან.**). მხრებსეც ციშიბრის ვეფხვი მეგდებოდა („**თბილ. ფორ.**“). 5. საერთოდ, ექნება რაიმე. ვეხუხებოდი ბუნარსა და გუფი მისეგებოდა მიშით – თუ ხვალაც ვერ წავიდოდი სათარზე, სევ

საქმე კაშაში აღარ გვეგდებოდა (კ. კობ.). ◊ **განხრეტილი გროში (შაური) არ ეგლო ჯიბეში** საუბ. არაფერი ებადა; ღარიბი იყო. და რომ არა ის აუტანელი სიღარიბე, ზოგჯერ განხრეტილი გროშიც რომ არ ეგლო ჯიბეში, ბუჭუტა თავს უბედნიერეს კაცად ჩათვლიდა (გ. გვეშ.). **ნ.** (მხოლოდ ნაკვთა მყოფადის წყებაში) შეიძლება, ალბათ ავდია. — ე წულის ზირს დაჭევი, მანდ ეგდება [მეინდა] სადმე. თუ მანდ არ იყოს, ჭალის ზირას, გრილოში იქნება (შ. არაგვ.). — აქ მქონდა, ამ ჩანთაში, ძლივს ვიძოვე. — ძირს მოძებნეთ, სადმე ეგდება. — მთელი ტროლეიბუსი „დედაენას“ ექებს (ჯ. თოფ.). || შეიძლება, ალბათ უვდია. — არ გაწეობს და ფეხები გაბია, ან ტაქსის ფული გეგდება ჯიბეში („პლანეტა“).

თუნდაც მხოლოდ ამ სალექსიკონო სტატიის გააზრება იძლევა წარმოდგენას იმაზე, თუ რაოდენ რთული და კომპლექსური გრამატიკული და ლექსიკური (სემანტიკური) ანალიზის ჩატარება უწევს თითოეული ამ სტატიის შემქმნელს, დაწყებული სალექსიკონო მასალის მაქსიმალური მოზილიზებითა და დამთავრებული მიღებული შედეგის საბოლოო რაფინირებით.

ამ ასპარეზზე ლექსიკოგრაფის ტვირთს დამატებით ზრდის ის გარემოებაც, რომ ქართულ სინამდვილეში, სამწუხაროდ, არ არსებობს თანამედროვე ლექსიკოგრაფიული სამუშაოებისათვის საკმარისი ლექსიკური რესურსები, კერძოდ, ორიოდე გამონაკლისის გარდა, არ მოგვეპოვება კლასიკოს მწერალთა სიმფონია-ლექსიკონები, არა გვაქვს კრებსითი დიალექტური ლექსიკონი, გვაკლია უახლესი საჭიროების ამსახველი ტერმინოლოგიური ლექსიკონები, არასაკმარისია ის საბარათო ფონდები, რომლებიც მე-20 საუკუნის ლექსიკოგრაფთა დიდი რუდუნებით არის შექმნილი, მაგრამ ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს; რაც მთავარია, ჯერჯერობით სანახევროდაც ვერ უპასუხებს ჩვენს ამოცანებს ის ტექსტური კორპუსები, რომლებიც ათწლეულებია იქმნება, მაგრამ სასურველისაგან ჯერ კიდევ შორს არის. მაგალითისათვის: მე-4 ტომში არის ლექსიკური ერთეულები, რომელთა მნიშვნელობათაგან თითოეული 3-4 ისეთი ფრაზით არის განმტკიცებული, რომლებიც კორპუსებში ფაქტობრივ არ იძებნება.

ლექსიკონის ენიან ზმნათა ნაწილში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმ ერთეულ წარმოებებს, რომლებიც ხელშესახებად წარმოაჩენენ, ერთი მხრივ, ქართული ზმნის ამოუწურავ პოტენციას, ხოლო მეორე მხრივ - ავლენენ იმ თანამედროვე კალმოსანთა შემოქმედებით შესაძლებლობებს, რომელთა მხატვრული ამოცანების ხორცშესხმისასაც რეალიზდნენ ისინი. ასე შეაგრძნობინებენ კვლავაც ქართული ენის მდიდარ შესაძლებლობებს თანამედროვე პროზაიკოსები: რ. ინანიშვილი, ო. იოსელიანი, გ. დოჩანაშვილი..., პოეტები: შ. ნიშნიანიძე, ვ. ჯავახიძე..., მთარგმნელები: დ. წერეთლიანი, ჯ. აჯიაშვილი, ზ. მედულაშვილი... ეს ის შემთხვევაა, როდესაც ახალი ფორმა თითქოს ყურს ეუცხოვება, მაგრამ როდესაც მას ცოცხალ ფრაზაში შეიგრძნობთ, უმალ გაითავისებთ, როგორც შენი ენის ბუნებრივ შენაძენს.

რამდენიმე მაგალითი:

ედანაშაულებ-ა (ედანაშაულა¹, -): *სანდრომ ერთ ხანს მალულად ათვალიერა და თუმცა კარგად ვერ ხედავდა მის სახეს, ედანაშაულა, ასე რომ დაადარდიანა (გ. დოჩ.).*

ედილამშვიდობებ-ა (-)²: *...აქ ერთურთს ედილამშვიდობებთან კიდევ...³ (გ. ხორგ.).*

ენამახვილებ-ა (-): *...ლიმილიან ქალებს შესტრფოდა და ეენამახვილებოდა (გ. დოჩ.).*

ევახვახებ-ა (ევახვახა, -): *ხან სულელივით უცინის ყველას, ხან ბედისწერას ევახვახება (ჯ. აჯიაშვ. თარგმ.). მტერი ისევ გლოვს თავადებულთ, ისევ ვაებს და მევახვახება (ჯ. აჯიაშვ. თარგმ.).*

ეზარნიშებ-ა (-): *ფიგურ...არ ვეფინები ფიანდაზივით, არც ოქროებად ვეზარნიშები (ჯ. აჯიაშვ. თარგმ.).*

ეზიგზაგებ-ა (ეზიგზაგა, -): *უკვე ჩვენი გზა ჭალებს გამოსცდა და სანაპიროს ეზიგზაგება (ჯ. აჯიაშვ. თარგმ.).*

ეთვალსეირებ-ა (ეთვალსეირა, -): *ერთი გულით თვითონაც კი ეთვალსეირა [თვითმფრინავში ჩაჯდომა] (ო. იოს.).*

ემეფებ-ა (ემეფა, -): *1.რა ჭირად გინდა, აქ დადგა ტახტი, იჯდე, ემეფო უღრან წიაღებს (დ. წერედ. თარგმ.).*

ემთავრებ-ა (ემთავრა, -): *ბიძინა იდუმალ ემთავრება გუნდებს (გ. რობაქ.).*

ეორკეცებ-ა (-): *...ნელი კიავით გაიელვებს სიჭაბუკეში და წუთისოვლის გასაყართან გვეორკეცება (ჯ. აჯიაშვ. თარგმ.).*

ესატრფოებ-ა (ესატრფოვა, -): *ვესატრფოები ქალ-ვაჟთ მარად ჩემს ლექსთა გამო (გ. სარიშ. თარგმ.).*

ესასთუმლებ-ა (ესასთუმლა, -): *ფიგურ. ...აქ ვეფინები ცოდვის ზვაობას, იქ – ბოროტებას ვესასთუმლები (ჯ. აჯიაშვ. თარგმ.). ...და შენზე ფიქრი მესასთუმლება (თ. სვან.).*

ესატკივრებ-ა (ესატკივრა, -): *ფიგურ. მე კი შენ გიმდერ მეჩანგესავით, ისევ გესავ და გესატკივრები (ჯ. აჯიაშვ. თარგმ.). ვით სულს ესატკივარა(!), ვით გულს ესამბიმარა... (გ. ოტობ.).*

ეუხამუშებ-ა (ეუხამუშა, -): *ეუხამუშათ პირველი მწყემსის საქციელი კანუდოსელებს (გ. დოჩ.).*

ეკამკამებ-ა (ეკამკამა, -): *...[მთვარე] ნაზის სხივით იქაურობას ეკამკამებოდა (ა. ყაზბ.). ფიგურ. კარებს რად მიხშობ, უანკარესო, რა შორი-შორად მეკამკამები! (ჯ. აჯიაშვ. თარგმ.).*

ახალ რედაქციაზე მუშაობის პროცესმა აშკარად წარმოაჩინა, რომ ქვეყლის პირვანდელი რედაქციის მომზადებისას სხვადასხვა მიზეზით საკმარისად არ იყო დამუშავებული მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული

¹ ნაკლული პარადიგმის ნაწილობრივი შევსება (წყვეტილის გაჩენა) განაპირობა იმან, რომ ფორმა ე.წ. მიჩნევის ვნებითის ამსახველია. აღსანიშნავია, რომ ნაკლული პარადიგმის შევსება, ჩვეულებისამებრ, მწერალთა შემოქმედებით აქტივობას უკავშირდება.

² მწკრივინაკლობას აღნიშნავს, რომლის შემთხვევაშიც ფრჩხილებში უწერია: „მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში“.

³ ლექსიკონისეულ ციტატებს შემდგომისამებრ ვამოკლებთ ეკონომიის მიზნით.

მწერლობის დიდი შემოქმედებითი აქტივობა, მით უფრო, არსებითად უყურადღებოდ იყო დატოვებული მე-19 საუკუნის დასასრულისა და გასული საუკუნის დასაწყისის მრავალფეროვანი პრესის მონაცემები. ახალი მასალები აჩვენებს, რომ იმდროინდელი გამოცემები ახალი ქართული ენის განვითარების ძალზე შთამბეჭდავი ილუსტრაციაა; ამის ნიმუშია არა მხოლოდ „ივერია“ და „მოამბე“, არამედ „ცნობის ფურცელი“, „ემმაკის მათრახი“, „მათრახი“ და სხვ. სწორედ აქ ვლინდება (თანაც - ინტენსიურად) ქართული ენის შინაგანი შესაძლებლობების გამოვლენის ძალზე საინტერესო შემთხვევები. მაგალითისამებრ:

ეუპირულეზ-ა: *ენახოთ, შუადღეა და ჩემს დედა-კაცს-კი გაუშლია ლოგინი და კენესის. როგორღაც მეუპირულა... ვიცოდი, აქ რაღაცა ეშმაკობა იყო („ივერია“).*

ეკუწეზ-ა: *ფიგურ. ცრემლები თვალეზზე მომადგა, ვიტანჯებოდი, გული მეკუწებოდა („ცნ. ფურც.“).*

ემადლოზეზ-ა: *მას უკან ემადლოზა თავის მფარველ ანგელოზსა („ცნ. ფურც.“).*

ეკერძეზ-ა: 1. ემხრობა, მხარს უჭერს.¹ აკაკი *ეკერძება პროცენტების მოსაზრებას... („დროება“).* ჩვენც ამ აზრსა *ვეკერძებით („ეშმ. მათრ.“).* ...არ იფიქრო, *ეკერძოს ღმერთსა, მაშინვე ეშმაკს მოიხსენიებს („ეშმ. მათრ.“).*

ეტოვებ-ა: *აბულ-გამიდი მოსთქვამდა, მზარეულთ ეთხოვებოდა, ორას ოთხმოცის მაგიერ ოციოდ ეტოვებოდა („ეშმ. მათრ.“).*

სრულიად აშკარაა, რომ ეს ტომი წარმოგვიდგენს ენიან (ორპირიან) ვნებითა ნაირგვარი მნიშვნელობების სრულ სპექტრს, რაც საუკეთესო საფუძველია ქართული ზმნის მომავალი გადრმავებული კვლევისათვის. აქ უპირველესად საინტერესოა ვნებითის ის ორი ძირითადი (ამავე დროს – ოპოზიციური) მნიშვნელობა, რომლებიც უკვე განხილულ მასალაშიც წარმოჩნდა. პირველია ისეთი „ნამდვილი“, კონვერსიით შეპირობებული ვნებითები, რომლის მაგალითები სულ ბოლო ნიმუშებშიც დასტურდება: **ეკუწეზ**-ა (ანუ „იკუწება მისი, უკუწავენ“), **ეტოვებ**-ა (ანუ „უტოვებენ“), **ეტოტებ**-ა (ანუ „იტოტება მისი, უტოტავენ“) და სხვ.

მეორე დომინანტი მნიშვნელობა ამ ტიპის ვნებითებისა არის დეპონენსური, ანუ აქტიური სემანტიკა: **ეტმასნეზ**-ა², **ეტოლებ**-ა, **ეტორღალეზ**-ა, **ეტრაბახეზ**-ა და სხვ.

საყურადღებოა, რომ ამ ორი ჯგუფის ვნებითებს, განსაკუთრებით პირველ შემთხვევაში, ორგანულად დაჰყვებათ სასხვისო ქცევის შინაარსი: **ელახვრეზ**-ა (გული) ნიშნავს, რომ „ილახვრება მისი (გული)“, ანუ „ულახვრავენ (გულს)“. ეს შინაარსობრივი მხარე ზოგჯერ შესაბამის (ენიან და სახვისო ქცევის დონიან) ფორმათა მონაცვლეობაშიც გამოიხატება; მაგ.: **ეცხადებ**-ა და **უცხადებ**-ა, **ეორკეცებ**-ა და **უორკეცებ**-ა...

¹ როგორც ვხედავთ, ეს მასალა ყურადღებას იპყრობს არა მხოლოდ ფორმაწარმოების თვალსაზრისით, არამედ მნიშვნელობების მხრივაც.

² დავაკვირდეთ: განიმარტება იმავე ტიპის სინონიმებით: „ეკვრება, ეწებება“, ანუ ამ შემთხვევებში გრამატიკულ პერიფრაზირებას ვერ გამოვიყენებთ: „*იტმასნება მისი, უტმასნიან“.

იშვიათი არ არის ვნებითის სპეციფიკური მოდალობების გამოვლენა ან ერთადერთ, ანდა დამატებით მნიშვნელობად. მაგალითად:

ა) გუნების ვნებითი:

ეფხიზლება-ა: ყველაფერი გონების ძილისაკენ გეწევა. ან-კი რაღა გეფხიზლება, თუ ღმერთი გწამს, იქ, სადაც მცირედი... გონების სიფხიზლე... „ნებლადონადიოჲნობად“ ჩაგეთვლება? („ივერია“).

ედუელება-ა: ტარიელმა უარი სთქვა: რა მედუელება! თუ ჩხუბი უნდა, გამოვიდეს და ვეჩხუბებო (ე. ნინოშ.).

ედუმილება-ა: ხომ ხედავთ, აღარ გედუმილებათ და აღარ გესვენებათ, მოდით, მოხედეთ თქვენს დაბეჩავებულ მამულსა (გ. ხორგ.).

ბ) მიჩნევის ვნებითი:

ეოჩნება-ა: [ფრიდონს] ეოჩნება მატარებელი, თვითმფრინავით მოეშურება (ო. ჩხ.).

ეედემება-ა: თუ არ აკრძალულ ხილის გემება, ედემიც კი არ გეედემებათ (ო. ჭელ. თარგმ.).

ასევე: ევაგლახება, ეზედმეტება, ეზეიმება, ეუშნობება, ეუცნაურება, ეხამუშება და სხვ.

გ) შესაძლებლობის ვნებითი:

ემშევა-ა?: ალბათ შია, ეშიება (მნიშვ. 2). პურს აპატიყებს ალუდას: პური გემშევა? – შაექე! (ვაჟა).

ეყვედრება-ა: 2. ...შეიძლება აყვედრონ. ...თეთრის ღვინის ჭაჭაზედ დაყენება რად უნდა გვეყვედრებოდეს... (ილია).

დ) უნდაობის (უნებლობის) ვნებითი:

ეტირება-ა!: ... ტირილი უნდა. გოგრას ეტირება, მაგრამ არა ტირის (ვაჟა).

ეყვირება-ა: ჰმ! ადამიანს გეყვირებოდეს და ვერ ყვიროდე, ეს არის ცხოვრება? (ვ. ბუაჩ.). და სხვ.

განმარტებითი ლექსიკონის განსაკუთრებული მხარეა ყოველი სიტყვის, მისი ყოველი მნიშვნელობის ილუსტრირება ცოცხალი სამწიგნობრო დოკუმენტაციით. სიტყვის პოლისემანტიკური სიცოცხლე მის ფუნქციონირებაში მქვადნდება და ეს ფუნქციური სივრცე არის ობიექტური საფუძველი სიტყვის მნიშვნელობათა დანახვისა სინქრონიასა თუ ისტორიულ დინამიკაში. ლექსიკონის ნებისმიერი მომხმარებელი გრძნობს, თუ რა ძალა აქვს მწერლისეულ ფრაზას სიტყვის მთელი ენერგეტიკის დასანახად და შესამეცნებლად და იმასაც ხედავს, რომ ჭემმარიტი მწერლის ნებისმიერი ფრაზა რაღაც განსაკუთრებული მადლით ანათებს სიტყვის ენობრივ ასპარეზს.

ქეგლის ახალი რედაქციის წინათქმაში ვწერდით, რომ ქართული ლექსიკოლოგია ვალში იყო მე-20 საუკუნის მწერლობის წინაშე. ეს არ არის ფიგურალური თქმა. სათანადო დონის ლექსიკოგრაფია კვალში უნდა მიჰყვებოდეს ენის განვითარებას ყოველი მიმართულებით, განსაკუთრებით კი მხატვრული სიტყვის ასპარეზზე. ქართული მწერლობის შემოქმედებითმა ძალისხმევამ მე-20 საუკუნეში განაპირობა ქართული ენის მხატვრული შესაძლებლობების სრულიად ახალი და ახლებური გამოვლინება.

ქართულმა ლექსიკოგრაფიამ კი ვერ შეძლო ისეთივე პარტნიორობა გაეწია ამ პროცესისათვის, როგორი მემკვიდრეობაც ქართული ენის განმარტებითმა ლექსიკონმა შექმნა. ამისი შედეგია, საზოგადოდ, გახანგრძლივებული კრიზისი ეროვნული ენის ლექსიკოგრაფიული უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ქეგლის ახალი რედაქციის სამუშაოები ქართველოლოგიის ამ ფუნდამენტური ნაკლოვანების გამოსწორებას ისახავდა მიზნად. უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ, აღნიშნულ გარემოებათა გამო, სულ სხვა მასშტაბი შეიძინა წყაროებისადმი დამოკიდებულებამ. მხოლოდ სტატისტიკას რომ მივმართოთ: ქეგლის ძველი რედაქციის საილუსტრაციო მასალა 70-ოდე კალმოსნის (ძირითადად – მე-19 საუკუნის კლასიკოსების) შემოქმედებას ასახავდა, ახალი რედაქციის ავტორთა რიცხვი 700-ს აჭარბებს; ამავე დროს, გაიზარდა კლასიკოსთა ციტირების შემთხვევები. ძველ 8-ტომეულში პრესის მონაცემები მცირედ იყო, ამათ შორის დომინირებდა „კომუნისტი“ და სხვა ერთეული იდეოლოგიური გამოცემები. ახალი რედაქციის მედიის წყაროები 100 ერთეულს აჭარბებს. შეუდარებლად დიდია რაოდენობა სპეციალური ტერმინოლოგიური ლექსიკონებისა და დიალექტური მასალებისა. ახალ რედაქციაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თანამედროვე ელექტრონულ წყაროებს, როგორც საილუსტრაციო ხარვეზების შევსებისა და სიტყვა-ფორმათა გავრცელებულობის შემოწმების ოპერატიულ საშუალებას.

ქართული სიტყვის ჭეშმარიტ მსახურთ ნამდვილად მოეხსენებათ, თუ რაოდენი მხარდაჭერა და გამოსარჩლებაა ეროვნული მწერლობისათვის მისი ღირსების ამსახველი ისეთი ლექსიკოგრაფიული კორპუსის შექმნა, როგორც განმარტებითი ლექსიკონია. სულმნათ სულხან-საბას ლექსიკონი რომ არ შეექმნა, მისი ეპოქა იმ სინათლეს მოაკლდებოდა, რომელიც სხვადასხვაგვარი კულტურული მოვლენების სრულყოფილად დანახვის შესაძლებლობას ქმნის. საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორ ედგნენ დარაჯად მე-20 საუკუნის შუა წლების ქართული სიტყვის დიდოსტატები „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მასშტაბური ამოცანების განხორციელებას, რომელიც პირდაპირ ეროვნული ინტერესების გამოხატულებად იყო აღქმული. მართალია, დღეს ეროვნულ სულიერ კულტურას და, მათ შორის, მწერლობასაც ისევე უჭირს, როგორც, საზოგადოდ, ქართველოლოგიას და მის ცენტრალურ დარგსაც – ლექსიკოლოგიას, მაგრამ ეს არ უნდა იქცეს იმის მიზეზად, რომ სასიცოცხლო ამოცანების გადაწყვეტაზე უარი ვთქვათ.

ლიტერატურა

ჩიქობავა 1950 – არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება. – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბ. 1950.

არაბული 2008 – ა. არაბული, წინათქმა. – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტ. I, თბ. 2008.

არაბული 2015 – ა. არაბული, წინათქმა. – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტ. III, თბ. 2015.

არაბული 2019 – ა. არაბული, „ლექსიკონი ხალხის პირველ წიგნად თქმულა“ (არნ. ჩიქობავა). არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი არნ. ჩიქობავას დაბადების 120 წლის-თავისადმი, თბ. 2019, დეკ.

არაბული 2007 – ა. არაბული, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალი რედაქცია – ეპოქის შეკვეთა. – მნათობი, 12, 2007.

არაბული 2007 – ა. არაბული, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ნორმატიული პარამეტრები. – კონფერენცია: ქართული მეტყველების კულტურის საკითხები, I, 2007.

არაბული 2011 – ა. არაბული, პირთა ვითარების ასახვა განმარტებითი ლექსიკონში. – არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 70-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბ. 2011, ივნ.

არაბული 2013 – ა. არაბული, სპეციალური ტერმინოლოგიის ადგილისათვის განმარტებით ლექსიკონში. – კონფ. „ტერმინოლოგია – ქართული ენის ხვალისდელი დღე“, თბ. 2013, ივნ.

არაბული, ბინიაშვილი, სოხაძე 2009 – ა. არაბული, ლ. ბინიაშვილი, ლ. სოხაძე, სალექსიკონო სტატიის რედაქტირების რამდენიმე ასპექტისათვის (ერთი ზმნური ბუდის მაგალითზე). – არნ. ჩიქობავას საკითხავები, 14-17 აპრ., 2009.

არაბული, ბინიაშვილი, სოხაძე 2013 – ა. არაბული, ლ. ბინიაშვილი, ლ. სოხაძე, ერთი ტიპის ქცევის ფორმათა გრამატიკული ომონიმიის ასახვისათვის ქეგლში. – იკე, ტ. 41, თბ. 2013.

ნათაძე 1988 – ნ. ნათაძე, ერი და ეროვნული კულტურა, თბ. 1988.

ნათაძე 2020 – ნ. ნათაძე, მეცნიერული ქართველოლოგიის წინასიტყვა, თბ. 2020.

ნოზაძე 2008 – ლ. ნოზაძე, ქართული ენის ლექსიკოლოგიის პრობლემები, თბ. 2008.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III, თბ. 1953.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტ. IV, თბ. 2019.

წერეთელი 1990 – მიხ. წერეთელი, ერი და კაცობრიობა, თბ. 1990.

ხახიაშვილი 2019 – ნ. ხახიაშვილი, კონტრადიქტორული ხასიათის ცნებათა როლის გაძლიერებისათვის სალიტერატურო ენაში. – 39-ე დიალექტოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია, 2019.

Avtandil Arabuli, Manana Tuskia, Lali Biniashvili

The Four Volumes of the New Edition of the GEDAre
More Than Half the Size of the Eight-Volume Dictionary
but They Are Only One Third of the Intended
(Self-Review)

Summary

The 4th volume of the new edition of “the Georgian Explanatory Dictionary” was published in 2019. Since the old edition of the GED consists of 8 volumes, we may think that half of the work has already been done. Indeed, more than half of the work has been done considering the number of dictionary entries and the size of the volumesbut since the prospective plan of the new edition envisages 12 volumes, two thirds of the work has to be done.

At each stage of the work on the new edition of the Georgian Explanatory Dictionary we summarized and generalized the innovations and corrections that were necessary for the dictionary work at the appropriate level.

This time we focus on the news that the user will see in the 4th volume of the new edition of the dictionary. In particular, the main part of this volume is devoted to the lexicographicpresentation of the e-prefixed verbs. The structural and semantic heterogeneity of the verbs (so-called the passive e-prefixed verbs) of such a structure is well known. In particular, such verbs are often characterized by a flexional anomaly (a paradigm having a gap) and acquiring peculiar semantic nuances (modalities).

The present paper mainly discusses the possibilities of lexicographic presentation of such verbs by using the so-called "shared present" (when the present form without a preverb combines verb forms that differ with preverbs and corresponding meanings into one dictionary entry) and separating the same units into lexical omoforms. It is clear that a combination of these two methods gives an optimal result.

მამია ფაღავა

ექსპედიციის ერთი დღე ტაოში*

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი (ადრე: ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევის ლაბორატორია) უკვე სამი ათეული წელია იკვლევს ჭოროხის ქვეყნებს – შავშეთი, კლარჯეთი, ტაო... მოეწყო არაერთი კომპლექსური ექსპედიცია, შეიკრიბა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა მნიშვნელოვანი დიალექტოლოგიური, ფოლკლორული, ეთნოლოგიური და არქეოლოგიური მასალა. სტატიაში მოთხობილია 2017 წლის ტაოს ექსპედიციის ერთი დღის მუშაობის შესახებ.

26 ივლისის მზიანი დილა გათენდა. პარხლისწყლის სევდიანი ხმა მესმის ახლადგადვიძებულს. ჩიტები ჭიკჭიკებენ „აგარას“ ეზოში, ფარშევანგებზე დასეირნობენ წიწვოვნებში... თანდათან იღვიძებს ექსპედიცია, აბა სოფელს კარგა ხანია ღვიძავს... მოვემზადეთ და სასტუმროს რესტორნის აივანზე შევიკრიბეთ სასაუზმოდ. გამოძინებული და ხალისიანია ყველა.

დღეს ელიასხევის, პარხლისწყლის მარჯვენა შენაკადის, ზემო სოფლებში წავალთ სამუშაოდ, - მექართულე სოფლებში. ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ საუზმის შემდეგ. ვფიქრობ, როგორ შეგვხვდებიან ტაოელები, მიგვიღებენ თუ არა მათიანად, თუ მიგვიღებენ, რამდენად ჩავგახედებენ მათ სამყაროში... უნდა მიგვიღონ! თუნდაც იმიტომ, რომ მათ გასაცნობად ჩამოვედით, მათზე მოსაფერებლად, და იმიტომაც, რომ ძველი და ახალი ტაოელების წარსული და თანამედროვეობა გავაცნოთ დანარჩენ საქართველოს, აქაურ მატერიალური კულტურის ძეგლებზე და ეთნოგრაფიულ ყოფაზე, მეტყველებასა და ფოლკლორზე მოვუთხროთ მკითხველს; საბოლოოდ ტაოს, ძველი საქართველოს ამ მნიშვნელოვანი პროვინციის ერთიანი პორტრეტი შევქმნათ და სხვასაც გავაცნოთ იგი.

გვჯერა, გავგიგებენ ტაოელები, გულთან მიიტანენ ჩვენს სათხოვარს, თავიანთ სადარდებელს გვეტყვიან, ჩვენც ჩვენსას ვეტყვით და გულ-

* ბათუმის უნივერსიტეტის ქართველოლოგიურ ცენტრში მიმდინარეობს გეგმაზომიერი, ნაყოფიერი დიალექტოლოგიური მუშაობა სამხრეთ საქართველოს შესასწავლად (ვრცლად იხ.: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XIV, 2018). 2011 წელს გამოიცა ვრცელი მონოგრაფია „შავშეთი“; 2016 წელს – „კლარჯეთი“... პარალელურად ამ საქმიანობის თავკაცის პროფ. მამია ფაღავას წიგნები „შავშური ჩანაწერები“ (2011); „კლარჯული ჩანაწერები“ (2017)... მომზადდა და იბეჭდება მონოგრაფია „ტაო“. ასევე „ტაოური ჩანაწერები“... გთავაზობთ ერთ თავს ამ წიგნიდან... დიდი საქმის მცირე ნაწილს...

წრფელი დიალოგი გაიმართება სტუმრებსა და მასპინძლებს შორის... ჩვენი ცდა ამჯერადაც წარმატებული იქნება.

სარიგიოლში, პატარა დაბაში, გავჩერდით, მცირე მარკეტში წყალი და საგზალი შევიძინეთ, შევავეთ სასტუმროდან წამოღებული სადილი. დაბიდან რამდენიმე კილომეტრში, იქ, სადაც ელიასხევი პარხლისწყალს უერთდება, გზა ორად იყოფა: ერთი პარხალსა და მის ზემო სოფლებში მიდის, მეორე – მარჯვნივ შეუხვევს და ელიასხევს მიუყვება. ჩვენ მარჯვნივ შევუხვევით.

ვიტყვი, რომ ელიასხევი ვიწრო ხეობაა. პატარა სოფლები ხეობის ორივე მხარესაა გაშენებული, სადაც რელიეფი ამის საშუალებას იძლევა. უფრო ელიასხევის მარცხენა ნაპირია დასახლებული, თუმცა მდინარის სათავეში, სადაც ხეობა უფრო გაშლილია, სოფლები ორივე მხარეს ჩანს. და კიდევ, მცირემიწიანია, უფრო მცირესავარგულიანია ტაო, სახნავ-სათესის ნაკლებობას უჩივის ელიასხევიც. ამიტომაც ყოველ გოჯე მიწას იყენებს აქაური კაცი, ყორეს ააშენებს, მიწას შემოაკავეს, ხელოვნურ დავაკებას შექმნის და სავარგულად აქცევს. ასეა ელიასხევიში, ასეა მთელს ტაოში. ტერასულს უწოდებენ ამგვარ მეურნეობას ეთნოგრაფები.

გზა მაღლა და მაღლა მიიწევს. შარა კარგია, დაბეტონებული, ალაგ-ალაგ მოასფალტებული. გავიარეთ ელიასხევი, სახეცვლილი ტაოური სოფელი, ჩვენგან მარცხნივ, მაღლა, მთის კალთებზე ცუცკეპარია, უფრო მაღლა კი – ბოწმინდა, ელიასხეველთა მაილა და ძველი სალოცავი. ბარემ აღვნიშნავ, რომ უწინ სოფელი მაღლა ყოფილა გაშენებული, მთის ფერდობებზე; ხეობაში, მდინარისპირა დასახლებები მას შემდეგ გაჩნდა, რაც აქ სამანქანე გზები შემოიყვანეს.

ხევაში||ხევეკში ავედით. სასტუმრო „მასისის“ ეზოში მევლუდ დოლენჯოლი (დოლენჯაშვილი) შევნიშნეთ, ჩვენი ძველი ნაცნობი, „მასისის“ აღმშენებელი და პატრონი. მანქანა გავაჩერეთ. დაინახა რა უცხო მინიბუსი, მუშაობას თავი მიანება და ჩვენსკენ წამოვიდა. მის მოსვლამდე მანქანიდან გადმოვედით, სათითაოდ მოგვიკითხა:

– **მევლუდაი დოლენჯოლი ვარ, აქაური გურჯი,** – მეუბნება ღიმილით.

– მამია ფაღავა, ქართველი საქართველოდან, ბათუმიდან, – აქაური წესისამებრ, ვპასუხობ და შუბლის შუბლზე შეხებით ვესალმები...

ახალგაზრდა კაცია მევლუდ დოლენჯოლი, ორმოცს ახლად გაცილებული, შავრემანი, მკვირცხლი, მუდამ მოძრავი და საქმიანი, კარგი მექართულე, თავისი კუთხის მცოდნე და მოყვარული. პატარა მუზეუმი აქვს მოწყობილი სასტუმროს ფოიეში, სადაც გამოფენილი აქვს ძველი საოჯახო ნივთები, ტაოურ სოფელში რომ გამოიყენებდნენ ტაოელები. რას არ ნახავთ მევლუდის კოლექციაში: კავი, ძველებური სასწორი, საცერი, თუნგები, თიხის ჭურჭელი, ცულები, წალდი, ნამგალი, სხვადასხვა იარაღი... ყოველდღიურად რაღაცას უმატებს თავის მუზეუმს მისი დამფუძნებელი და პატრონი.

მცირე ხნით გავჩერდით „მასისის“ ეზოში. ჩაი მოგვართვეს, სადილიც შემოგვთავაზა მასპინძელმა.

ჩაი მივირთვით, სადილზე უარი ვთქვით. ჩვენი მოსვლის მიზეზი ავუხსენით მევლუდს, ვუთხარით, წიგნის დაწერას რომ ვაპირებთ ტაოზე და მასალების შესაგროვებლად რომ ვართ ჩამოსული.

დაგვპირდა, რომ დაგვეხმარება ამ საქმეში.

პირველი ჩანაწერები გავაკეთეთ ხევეკში, პირველი მთხრობელი კი მევლუდ დოლენჯოლი იყო.

– მევლუდ, ამ ხეობაში ეკლესია, ქილისა, არის? თუ გაგიგონია ადგილის სახელი მაინც, სადაც ქილისა იყო? – ვეკითხებით ინფორმატორს.

– **ქილისა აქ არ არი, საყდარი არი!**

– სადაა საყდარი?

– **საყდარი არი ქელაზორ... ჩვენში ხუთ ძერზე არი საყდარი: ქელაზორ არი, ფიშნარკვე არი, ველითავში, კიდო – ბალხში, ქობაში. ყოლ მაჰალეში არი საყდარი,** – ჩამოთვალა მევლუდმა ძველი სალოცავები.

– ხომ წაგვიყვან და გვანახებ რომელიმე საყდარს მაინც?

– **წაგვეთ'ნა, მიგიყვანოთ!**

– ხუთი საყდარი დაასახელეთ, სად დგას, რა ადგილებში დგას ისინი?

– **საყდარი? სოფლის მაღალი ადგილია, [იქ] არი საყდარი, თელ მაღლა უბანებში არი, იქედამ უყურებ სოფელ. იქედამ შუმუყვები, ქომოხვალ, იქოს გათავდება სოფელი.**

– საყდარში მიდიოდა ხალხი, ალბათ, სალოცავად, რას სთხოვდნენ ღმერთს? – ვცდილობთ, დავაზუსტოთ საყდრის ფუნქცია ახალ დროში.

– **მთაში არი [საყდარი], ვიცი ის ალაგი. რომ ბაღანა დეიბადვის, რომ ვერ დეილაპარიკებს, იქ მივა და... იქ გურჯი მეზერია, იქოს ეხოწებთან...**

– საყდარზე მუმს, სანთელს დაანთებდნენ?

– **საყდარზე ძველათ უნთიან, მუმში არ იყო და სხვა რამე უნთიან, ცეცხლი. აქ უწინ გურჯი წუმუვდოდა, იმალოდენ...**

ძველად ანთებდნენ, ალბათ, საყდარში სანთელს და ისე შესთხოვდნენ უფალს შემწეობას. სანთელს გამუსლიმანების შემდეგაც ანთებდნენ, „ფარული ქრისტიანები“ ქრისტიანულ რიტუალს ასრულებდნენ წმინდა სანთლის დანთებით, მახვეწარი მუსულმანები კიდევ ძველი ტრადიციით განაგრძობდნენ სანთლის დანთების ადათს. ეს წესი თანდათან მოიშალა, სალოცავმაც იცვალა სახე და დანიშნულებაც.

ყურადღება მიიქცია საყდრის მდებარეობამაც, კერძოდ იმან, რომ საყდარი სოფლის „უბანებს ხედავს“, „უყურებს სოფელს“. ჩანს, სალოცავი გარკვეულ შემთხვევაში სათვალთვალო ფუნქციასაც ასრულებდა; ყოველ შემთხვევაში, მისი მდებარეობა ამგვარი ვარაუდის საფუძველს იძლევა.

ელისხევეში კიდევაც ერთი სალოცავი, ბოწმინდაზე, ელიასხევის მაილაზე. 1995 წელს ვიყავით იქ. სახლში დაბრუნებულმა მაშინდელი დღიური მოვებნე, მოვიყვან ამონარიდს ჩანაწერიდან:

– აჰა, ეს კედი (<ქედი –ავტ.), ეს ბოწმინდაა... ესაგ ჩემი ნათქუამი. ყოველ ქარჩაზე გამუალთ აქა, ერთი ათი ცალი იქნება თუ ფშვიდი, თუ ვრა ცალი ცხუარი, რაცხა იმნეთი იქნება მისხამ (?) წაართუამს, ფულს არ გამულდებს. ის ხალხი მოიკრიფებიან, გამუალთ აქა, დავჰკლავთ, დავჰჭრით, ადულდებენ, იმა შეეჰჰამთ. აქო დააგებენ ქილიმებ, ილოცვენ, ღმერთ ეხოწე-ბიან კი, აქო ნაწოლი გულისთუნ ჩონი ხოწნები გეიგონეო და ასე, ასე... (ფალავა... 2005:150).

ელიასხეველთა ბოწმინდის სალოცავზე მოგვითხრო ელიასხევის მკვიდრმა, რეჯებ ქესკინმა. მისი მონათხრობი იმიტომაცა საინტერესო, რომ თავად უნახავს სოფლის ბოწმინდაზე გასვლა და თავადაა მონაწილე ყველა ქმედებისა. ბარემ ვიტყვი, რომ იმავე საღამოს ცუცკარელ ალი მაზიჯის ჩამოვუგდე საუბარი ბოწმინდის შესახებ; მინდოდა, ზოგიერთი ცნობა დამეზუსტებინა და ახალიც მომეპოვებინა ძველი სალოცავის შესახებ.

– თქვენ რა იცით ბოწმინდა? – მეკითხება ალი.

– დღეს ვიყავით, ვნახეთ, რეჯებმაც გვიამბო სალოცავის შესახებ, – ვუპასუხე.

– რატომ გადით იქ? თქვენ მუსლიმანები ხომ არ ხართ?

შევატყვე, გვიწყინა ალი მაზიჯიმ. მისი აზრით, ბოწმინდა მუსლიმანთა წმინდა სალოცავია და სხვას იქ არ მიესვლება... თუმცა უხალისოდ, მაგრამ მაინც მცირე რამ გვიამბო ბოწმინდის შესახებ:

– [ყურბანს] დავჰკლავთ იშტა, გაწვიმდეს, ეფენდუმ, გაწვიმდება, ყაღამ არ იყვეს, ზუქი არ იყვეს, სეპტკვა არა ჰყრიდეს... (ფალავა... 2005:150).

დავუბრუნდეთ რეჯებ ქესკინის მონათხრობს.

– ვისი საფლავებია აქ? – ვეკითხები მთხრობელს.

– აქ რუსეთ კი გუმუღლია, გუმუღლია და ერთი სამი თანე თურქეთისი ასკერები მუკტუნებია, ასე წინ მოსულ კაცები მუკტუნებია, იქა, კუპრეთში. იმ კაცებ ის თავებ უხუჭიან კი, მოსულან აქოს, დაკარქულან. იმ ჯარის თავრობამ უთქვია კი: მე ასე სიცოცხლე რაღა ვქნა კი, ასე კაცები მუაკტუნე. იმასაც თავი მუკტუნებია. აქო ჩაწყობილან, დაკარქულან... იმის მერე იტყვიან კი, ეს ადგილი კამ ადგილია, უცალი ადგილია. ხალხსაც უთქვია კი, ჩვენ გვენეთ იქა, ღმერთისთუნ დავჰკლავთ რამენი ცხვრები, ჩვენ ხალხს გაუმარჯოს, ფინთი არ მუუვდეს, წყალი მუუვდეს. სუყველა ქარჩაზე გამუალთ ხალხი. ვიტყვით იქ, ჯამეში, გევდეთ და დავჰკლავთ ყურბნები. თოვლი ეიკრიფვის აქა, დილა გამოვლენ, იმ ცხოვრებ დაჰკლავენ, ღმერთ ეხოწებიან, ეიკრიფვიან, წევლენ (ფალავა... 2005:150-151).

რეჯების მოთხრობიდან ზოგიერთ დეტალს მივაქცევ ყურადღებას:

– რომ აქ, ბოწმინდაზე, მუსულმანთა წმინდა სალოცავია.

– რომ აქ დამარხული არიან რუსების მიერ დახოცილი თურქი ჯარისკაცები და თვითმკვლეელი რუსი მეთაური. საყურადღებოა, რომ კუპრეთში დახოცილები თავად გამოსულან აქ და „დაწოლილან“. რატომ მაინცდამაინც აქ, ბოწმინდაზე, გამოვიდნენ და დაიმარხნენ? ეს ფაქტი ხომ

არ მიანიშნებს, რომ აქ უწინდელი სალოცავია? დიახ, მიანიშნებს, რომ ეს წმინდა ადგილია, სახელწოდებაც გვიდასტურებს ამას – ბოწმინდა.

– რომ აქ გაზაფხულზე (ქარჩაზე – ავტ.) დათქმულ დილას გამოდიან ელიასხვევლები, ყურბანს (მსხვერპლს – ავტ.) კლავენ და თხოვენ უფალს: „ფინთი არ მუუვდეს ჩვენ ხალხს“, „წყალი მუუვდესო“... დიახ, სხვასთან ერთად წყალს თხოვენ ტაოელები ღმერთს. ამ კუთხეში ხომ რწყვის გარეშე შეუძლებელია საზრდოს მოყვანა. შემთხვევითი არაა წყალთან დაკავშირებული მოთხრობების სიმრავლე ტაოში.

ჩანს, ტრანსფორმაცია განიცადა ბოწმინდის ფუნქციამ. ახალ დროში ახალი დატვირთვა შეიძინა ძველმა სალოცავმა.

მევლუდ დოლენჯოლის ვთხოვ, ჩამაწერინე-მეთქი ადგილის სახელები. მთანხმდება. გონებით თვალს გადაავლებს შემოგარენს და იწყებს:

ბასლეკარი(<*ბასლე[ვ]კარი), **ქონობანი** (<*ქომობანი. მ - ნან - ნ), **გოდრეკარი**>**გოდლეკარი**(<*გოდრ[ე]ვკარი), **დოლეჯიანკარი**, **კრეკარი**||**კრა-ეკარი**||**კრააკარი**. უფრო **კრაეკარი** (<*კრაე[ვ]კარი) ისმის. ამოსავალ ფორმადაც ის უნდა მივიჩნიოთ;**ფიშნარჭევი**, **ვაჩეკარი**, **კილდე** (<*კლდე).

„**ამნეთი ვიცო**“, – მევლუდმა, სხვა არ ვიცო. უფრო სახელდახელოდ ვერ იხსენებს...

ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა გზაზე, გავაჩერეთ.

იაშარ ქეჩეჯი ვარო, – გაგვეცნო.

ჩვენც ჩვენი სახელები ვუთხარით, აქ მოსვლის მიზანიც გავუმხილეთ.

უჭირს იაშარს ქართული, „**პეტრეა წევეა და კამ არ ვიცი გურჯული**“, – იმართლებს თავს.

იაშარ ქეჩეჯი ერთი რომ იყოს, ყურადღებას არც მივაქცევდი ამ ფაქტს. საქმე იმაშია, რომ, იაშარის მსგავსად, მრავალი ტაოელი, შავში, კლარჯი თუ მუჰაჯირთა შთამომავალი იზრდება სხვა მხარეში, სხვა კულტურას ითვისებს, მისი ნაწილი ხდება, საკუთარ ენას და, ზოგადად, კულტურას ივიწყებს; ზოგი კიდეც საერთოდაც ვერ (თუ არ) სწავლობს წინაპართა ენას. შედეგად ვღებულობთ სურათს:

– ახალთაობამ ქართული არ იცის, სხვა კულტურის ნაწილია იგი.

– საშუალო თაობამ ცუდად იცის წინაპართა ენა.

– ქართულად მხოლოდ მამათა თაობა ლაპარაკობს, თუმცა ისიც ორი კულტურის მატარებელია, ხშირად ქართულად გაჭირვებით ახერხებს კომუნიკაციას თანამოსაუბრესთან, შელახულია მისი ქართული...

იაშარ ქეჩეჯი საშუალო თაობის ჭოროხისქვეყნელია, თავისი თაობის ხვედრის მატარებელი.

მანქანაში ჩავსხედით და ზემო სოფლებში წავედით. მევლუდ დოლენჯოლიმ ითავა მეგზურობა. უკეთესს ვერც ვინატრებდით.

– მევლუდ, შენი თურქული გვარი მითხარი, ჩავიწერო!

– **რათ გინდა თურქული, მოგონილი, მევლუდამ ვარ დოლენჯოლი**||**დოლენჯაშვილი**, **გურჯი**, **ასე იცოდეთ!**

არაფერს ვამბობ, დუმილით ვეთანხმები გამცილებელს.

მანქანა აღმართებს შეუდგა:

უკან კეი (<*კევი), **ქეიჯანები**, **სადიყანა** (<*სადლიყანა||სადლიყანა),
ზეით – იეთი!

გვაჩვენებს მანქანიდან ადგილებს მევლუდი.

– **აქოს გააჩერე, ჩომოდით, ეს გოდლეკარია!**

მანქანიდან ჩამოვედით. ცნობიმოყვარეობით ვათვალიერებთ სოფელს...

აზიზ ქურთი გავიცანით, გოდლეკარელი ტაოელი. თავკარა მზის ქვეშ ქვებზე ჩამოვსხედით, მასალების ჩასაწერად მოვემზადეთ.

– ბატონო აზიზ, სოფლის ადგილების, ყანა-ბახჩების სახელები ჩამაწერინე, ძველი მაინტერესებს, მინდა, ვიცოდე, ვინ ცხოვრობდა აქ ძველიდან.

– **ძველი სახელები ზათი გურჯია სულ:**

ობლეკარი (<ობლე[ბ]კარი||ობლე[ვ]კარი), **ქეილანკარი**, **ქოროხნა-ქეთ** (<*ქოროხნაქედი||ქოროხნახედი?), **ველითამ** (<*ველი[ს]თავი?), **მასისი**, **სანათლიე**, **საფალანთო**, **ქეითავი** (<*ქეითავი<ქევისთავი), **იეთებ ჭალები**, **ქეი ყანები** (<*ქედი ყანები თუ ქვედა ყანები?), **იეთი კევი** (იეთინ დერესი – თურქული სახელიც გვითხრა აზიზმა).

ოტელს გულისხმობს, „მასისს“, დააზუსტა მევლუდმა.

ქვეი – ელიასკევი, იმის ქვეი – დევთისკარი.

სხვას ვერ იხსენებს აზიზ ქურთი, მეც ვცვლი საუბრის თემას და მცენარეთა სახელებს ვეკითხები:

– ამას რას ეძახით? – კაკალზე ვეკითხები.

– **ეს კაკალაა, ჯევიზ!**

– ეს რადაა? – კარტოფილის ყანაზე ვუთითებ.

– **ეს მარქვალაია, მარ-კვა-ლი** (დამარცვლით მეუბნება აზიზი).

ვიფიქრე, კითხვა ვერ გაიგო-მეთქი აზიზმა:

– მაყვალზე არ გეკითხები (იქვე ბარდის ბუჩქებიც იყო და იმის სახელს ხომ არ მეუბნება-მეთქი, ვიფიქრე), ყანაში რომ გითესიათ, იმაზე გეკითხები, კარტოფილზე.

– **ჩვენ მარქვალს ვეტყვით, მარკვალი!** – გაიმეორა.

ახლა გავიგე! **მარქვალი||მარკვალი** კარტოფილის მნიშვნელობით სამხრულ მეტყველებაში მხოლოდ ტაოურში დადასტურდა. ბარემ ვიტყვი, რომ სალიტერატურო ქართულში და დიალექტთა უმეტესობაში დასახელებული კულტურის აღსანიშნავად ნასესხები ფუძე იხმარება – კარტოფილი, სხვადასხვა ფონეტიკური სახესხვაობით, გვხვდება ინგლიზიც, აჭარულში გვხვდება ქართული ფუძე – მიწიხაპაჰ (შდრ. მიწავაშლაჰ), ტაოურს ქართული ფუძე გამოუყენებია, მაგრამ არა ყველა სოფელს.

თანდათან აგვეწყო საუბარი. ვხედავ, რესპონდენტიც იხსენება, უფრო იოლად იხსენებს სიტყვებს, რომელთაც ჩვეულებრივ საუბარში აქტიურად აღარ იყენებს, უბრალოდ, ყოველდღიურ ურთიერთობაში არ სჭირდება...

– ეს რადაა? – სახლის სახურავზე ვეკითხები.

– **თავანი გადაკოჭილი, დაბურული-საჯი** (თუნუქი – ავტ.). **უწინ ყავარი იყო, ჰამა დალპა, დაჩურულდა.**

– რა ქნა?

– **დაჩურულდა და, დალბა!**

დაჩურულდა – საყურადღებო ფუძეა **დალბობის** მნიშვნელობით. შდრ. **ჩურუქსუ** – დამპალი წყალი, **ჩურულამ||ჩურუგამ** – დამპალი თვე¹.

მრავალი თვალსაზრისით საყურადღებოა ტაოური სახლ-კარი, საკარმიდამო ზოგადად. პრობლემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სხვაგანაც შევხებით მას.

– რა არის ეს? ვეკითხები აზიზს ეზოში მდგარ ძველი ნაგებობის ნანგრევებზე.

– [აქ] **ტახტადან ბეღელი მქონდა, შაჭმელი დავდებდი. ახლა დამხლევადა, დეინგრა.**

საოჯახო ნივთები აწყვია იქვე, ყორესთან. სახელებს ვეკითხები მას-პინძელს:

– **ამ ჩეთენია, გოდორი, აგი – მაწალა, გოდორზე პეტრამ, იმი პეტრამ – კელედი, ასე წამემაბამ კლაფზე** (ხელით მაჩვენებს აზიზი – ავტ.).

ყურადღებას იქცევს მოქსოვილი ჭურჭლის სახელწოდებები: **გოდორი, მაწალა||მახალა, კელედი**, განსაკუთრებით **მაწალასა** და **კელედის** პოვნირება ტაოურში.

– გოდორს მოიკიდებთ, ტვირთს წაიღებთ, ხომ?

– **გოდორში ყველს ჩადეფ, გახმება!** – მპასუხობს აზიზი.

გოდორი ტვირთის გადასატანად არ გამოიყენება ტაოში, საამისოდ **მაწალა||მახალა** და **კელედი** აქვთ, გოდორი ბეღელში უდგათ, ჭურჭლად იყენებენ.

ტაოში, განსაკუთრებით მთის სოფლებში, თოვლი ბევრი მოდიოდა, ზოგჯერ სამ მეტრზე მეტი გათოვდებოდაო, გვეუბნებიან. ზოგადად, ცივი და გრძელი ზამთარი იცოდა ამ კუთხეში. სახლსაც შესაბამისს აკეთებდა ტაოელი: ნაგებობა, როგორც წესი, რამდენიმესართულიანი იყო:

პირველი სართული ქვისაა, ყორისაა, შიგ ბოსელია გამართული. ბოსელში შემოღობილი კუთხეა, რომელსაც **ქორს** ემახიან, წვრილფეხა საქონელი, „თხები და ცხვრები“ შეიყრება შიგ. დიახ, ტაოურში „ქორის“ დანიშნულება განსხვავებულია შავშურისაგან, საერთოდ – ქართული ენის სხვა ქვესისტემებისაგან, სადაც ეს ტერმინი გამოიყენება.

მეორე სართული „**სახლს**“ უჭირავს, ოჯახის სადგომს.

მესამე სართულზე **სათიფე||სათივრე** და **ბეღელია** გამართული. სართულები შიგა კიბით უკავშირდება ერთმანეთს.

როგორც ვხედავთ, ტაოური სახლი ვერტიკალური განლაგებისაა. და, რაც მთავარია, საცხოვრებელი ნაგებობის ტიპი გარემოს შესაბამისია, გარემო პირობებთან შეხამებული.

აზიზის ეზოში, ხეზე **გურგვალა** (ხის მორისაგან გამოთლილი სკა – ავტ.), იქვე ჩანს **კოდიც** (ფიცრისაგან დამზადებული სკა – ავტ.). ელიასხევეში, ჩანს, მეფუტკრეობა კარგადაა განვითარებული.

¹ შდრ.: ჩურუნგამ (თ. დიალ. çürünk) ივლისის მეტსახელი (ხშირი წვიმების, უხვნალექიანობის გამო შერქმეული. (იხ. **ნიყარაძე, 1971**). აჭარულში, განსაკუთრებით ქვემოაჭარულსა და ქობულეთურში იხმარება ჩურულამ||ჩურუგამ ფორმები.

გოდლეკარიდან იეთში ავედით. ყურადღებას იქცევს თვით სოფლის სახელწოდება - **იეთი** ***აიეთ**ისაგან. **ია** კიდევ ადამიანის საკუთარ სახელად გვხვდება, ან მეტსახელად (შდრ. გვარი **იაშვილი**). **იეთი იას** ჩამომავლების საცხოვრისს უნდა აღნიშნავდეს.

-გურჯები მუასხი და! – ეუბნება მევლუდი პირველშემხვედრ იეთელს. შემდეგ ჩვენ მოგვიბრუნდა: „**ესენი ჩემი ნათესავები არიან ყოლანი**”.

სოფელს ვათვალიერებ. მშვენიერი დასახლებაა, ტიპური ტაოური, მთის კალთებზე შეფენილი. სახლები უმეტესად ახალია, აივნაანი. სამოცამდე ქოხია იეთში; ზამთრობით სოფელი იცლება, უმეტესობა ქალაქში მიდის გამოსაზამთრებლად, რამდენიმე ოჯახიღა რჩება მხოლოდ... კაკალი, ვაშლი, მსხალი, - ზოგადად ხილი ცოტაა იეთში, თუ არ ჩავთვლით ბალს, რომელიც აქ და მთელს ელიასხევიში მრავლადაა. ბარემ ვიტყვი, რომ ბალი პანტაა, წვრილნაყოფიანი, მაგრამ ტკბილი და გემრიელი.

სოფლის სავარგულები სათიბებად, უმეტესად ჭალებადაა ქცეული. ნაკლებადაა ყანები, აღარ თესავენ პურს და სხვა მარცვლეულს. ბაღებში ჩანს მარქვალი და ლობიო. როგორც ამბობენ, კარგი ლობიო მოდის ტაოს მთიან სოფლებში...

იეთში მისდევენ მეფუტკრეობას, ძველებურად აღარ აშენებენ საქონელს, უმეტესობას თითო-ოროლა ძროხა თუ ჰყავს ოჯახში, ზოგიერთს ძაილაზეც დაუდის მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი.

იეთლები დღეს სათიბებში საქმობენ. მაკალამოკიდებული ქალები შეგვხვდნენ გზაზე, ცელებითა და ნამგლებით აღჭურვილნი. სოფელი ტერასაზეა გაშენებული. სამანქანე გზა სოფლის თუ უბნის თავზე გაივლის, ეხოებში, კარზე, ჩვეულებრივ, სამანქანე გზა არ შედის.

საინტერესო ინფორმაცია მოვიპოვეთ იეთში. ერთი კია, ქართული უჭირთ იეთლებს...

იეთიდან **ქობაში || ქვაბაში || ქუაბაში || ქობაკში || ქვაბაგში || ქობაგარში** წავედით. ყველა ფორმა გვხვდება ადგილობრივთა გამოთქმაში. ზღვის დონიდან 2000 მეტრზე გაუშენებიათ დასახლება ძველ ტაოელებს. ვიწრო ტყის ზოლის იქით ალპური ზონა იწყება. შუადღეა. მზე აცხუნებს, იხრაკება ირგვლივ ყველაფერი, „გევხრაკეთ ჩვენც” – მასალის სამიებლად ჩამოსული ქალაქელები... გრილი სიო ანელებს სიცხეს. იაშარ ჩელიქი და მე გზისპირას, მაგიდასთან დავსხედით სასაუბროდ.

ორმოცდათექვსმეტი წლის კაცია იაშარი, შავგრემანი, მზით გარუჯული, როგორც მომეტებული ნაწილი ტაოელებისა. მძიმე შრომას დადი დაუსვამს მისთვის, ნაადრევად მოხუცებულა ყოვედლიურობას შეჭიდებული. უჭირს იაშარს ქართული. იგი პასიური მცოდნეა წინაპართა ენისა. ჩვეულებრივ დღეებში თურქულად საუბრობს, აღარც ოჯახის წევრებს ელაპარაკება ქართულად. ახლა იძულებულია თუ მე ვაიძულებ ქართულად ისაუბროს. ვხედავ, ჯერ თურქულად გაიაზრებს სათქმელს, შემდეგ ცდილობს თარგმნოს და ისე გამოთქვას ქართულად. მეტყველება უჭირს ჩემს რესპონდენტს, ამიტომაც ხშირად ვამეორებინებ სათქმელს, ვაზუსტებ, ცვდილობ, მის მიერ გამოთქმული სახელური თუ ზმნური ფორმები

სწორად ჩავიწერო. თანდათან ყური ეჩვევა იაშარის ქართულ გამოთქმას, აღარც მე მიჭირს ჩაწერა. ერთი კია, დიდ გაჭირვებაში, ეზიეთში ვართ ორივე...

– იაშარ ბატონო, ადგილის სახელები მინდა ვიცოდე აქაური, ოღონდ ქართული სახელები მაინტერესებს, ძველი და არა ახალი, თურქული.

– ყველამ არ მახსოვს.

– რასაც გაიხსენებ, ის ჩამაწერინე.

იაშარი მკარნახობს, თან ხელით მაჩვენებს ადგილებს:

მურუდამ (<*მრუდამ), **ქვაბელეთი** შდრ. გვარსახელი ქვაბელი, **ვაკეწარი** (*ვაკ-ეგ-ნარ შდრ. ვაკევი), **ფილადრეთი** || **ფილარეთი**, **კოჭა ტყე**, **დიდქედი**, **ბარდიეთი**, **ნეკნარი ძირი** (<*ლეკნარი ძირი, შდრ. ლეკი), **სახაზო**, **მეწმანი ჯევი** (<*მეწნარი ჯევი. შდრ. მეწნი||მეწვნი. აჭარაში, ქედის მუნიციპალიტეტში სოფლის სახელია მე[წ]წმანი), **კიდის თავი**, **უკანა მთა**, **გამელთ წინამ** (<*გა[ლ]მელთ წინამ? ღ' დაკარგულია), **გულია ძირი**, **ზასლიან დუზი**, **ფერსაბერ ტყე**, **ქვაფუტკარ მაღარა** (მაღარა (ქვაბი), სადაც გარეული ფუტკარი ბუდობს. შდრ. ხეფუტკარა), **წითელთი** || **წითელთა**, **უკან ტყე**.

გაჩერდა იაშარი, სიგარეტს მოუკიდა, ფიქრობს.

– იაშარ ბატონო, აქედან გზები საითკენ მიდის?

– **ეს გზა ისე მივა, ხოფისკე, ასე – სარიგიოლისკე წავა, ბალხისკე წავა...**

– თქვენ ზამთარ-ზაფხულ აქ ხართ, თუ მიდიხართ სხვაგან?

– **ზამთარ აქ არ ვართ, ჭილათ ვართა!**

შევნიშნავთ, რომ ჭილათი ქობაელთა სოფელია პარხლისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, ბარის სოფელი. აღსანიშნავია, რომ ძველი სოფელი ქვაბაგია, ჭილათი – ახალია. დიდთოვლობა იცის ქვაბაგში. სამი-ოთხი მეტრი(?) მოვალ ზოგჯერ, შესაბამისად, ზამთარი გრძელია. ამიტომაც ქვაბაგელებმა ბარში ჩამოინაცვლეს, ასევე მოიქცნენ ბალხელები, სხვებიც, შექმნეს ახალი სოფელი, თუმცა წინაპართა ნასახლევი არ დაუტოვებიათ, ბალხშიც უვლიან ძველ სახლ-კარს.

– გალმა, მაღალი მთა რომ ჩანს, რას ეძახით?

– **ეს მასისია, მის გვერდით – მოგლესილი. მასისზე ბევრი გოლია: სავილვილე გოლი, თხელპა, გურჯი გოლი, ყური გოლი.**

– ამ გოლებში ხარი არ ცხოვრობდა? გოლის ხარის ამბავი არ გაგიგონია?

– **გოლში შავი კარი ყოფილა ზამანინდე, ახლა აღარ არი. გუმოვდოდა, კარებ ეჭედებოდა, შევდოდა შიან. გოლის კარი კარგი დიდი ყოფილა. არ ვიცი, რა იქნა მასკა...**

იაშარმა იცის, რომ ძველად ტბაში შავი ხარი ცხოვრობდა. ისიც იცის, რომ იგი სოფლის ხარებს ეჭიდებოდა, დიდი იყო და ერეოდა კიდეც, მაგრამ არ იცის, სად წავიდა იგი... აღვნიშნავთ, რომ ლეგენდა ტბის ხარის შესახებ საქართველოს ბევრ კუთხეშია შენახული სხვადასხვა ვარიაციით. მნიშვნელოვანია, რომ იგი ტაოელთა ხსოვნასაც დაუცავს, მართალია სქემატურად, მაგრამ მაინც.

– წინათ სოფელში ბევრ საქონელს ინახავდით? ძროხას, ჯარს, პურტყებს...

– **ბევრი იყო, ხუთმოციც იქნებოდა, ტყონარში იქნებოდეს. მეცხვარე იქნებოდა, აძვებდა, საღამოს მოჰყავდა: ჯარები იყვნეს, ფურები იყვნეს, პურტყები** (ხბოები, წვრილფეხა საქონელიც – ავტ.) **იყვნეს. ახლა აღარ არიან, გათავდეს.**

ქარი და **ფური**- ოპოზიციას. მნიშვნელოვანია ასევე **პურტყი** – ხბოსა და თხა-ცხვარის (წვრილფეხა პირუტყვის – ავტ.) მნიშვნელობით. სხვა სამხრულ კილოებში **პურტყი** არ დაგვიდასტურებია. საინტერესოა, რას უნდა უკავშირდებოდეს ტაოური **პურტყი**? ხომ არ არის იგი ფონეტიკურად სახეცვლილი – **პირუტყვი**? თუ ეს ასეა (და ასეა), მაშინ **პირუტყვის** მნიშვნელობა ტაოურში დავიწროებულია. ბარემ ვიტყვით, რომ ტაოურმა (არც სხვა სამხრულმა კილოებმა) **პირუტყვი** არ იცის...

ყურადღებას მივაქცევ თვლის სისტემას ტაოურში: „**ძველათ ჩემი მამას დედემ ამნაირ თლიდეს: ათი, ოცი, ოროცი, სამოცი... ბიჭები ჩამოვლენ** [საქართველოდან – ავტ.] **და ისინი თლიან, იმათ უმზირვარ, ისინი სხვაფერ თლიან, მე ვთქვია კი... წორი ქართული ეს არი: ათდაორ, ათდასამ, ათდაოთხ... ეს არი წორი დათლა**” (ფაღავა...2005:162), მითხრა ელიასხველმა რეჯებ ქესკინმა. მას შემდეგ მექართულე ტაოელებთან ყოველი შეხვედრისას ვაკვირდები თვლის სისტემას ტაოურში, იგი ათობით-ოცობითია. ტაოურმა იცის: **ათი, ოცი, ოცი და ათი, ოროცი, სამოცი, ოთხოცი, ხუთოცი, ექვსოცი, შვიდოცი...**

ხუთოცის გვერდით ხმარობენ **ასსაც.**

მეორეს მხრივ: **ათდაერთი, ათდაორი, ათდასამი...**

ვფიქრობთ, საყურადღებო ფაქტია ტაოურში დაცული, საინტერესო ქართული ენის ისტორიისათვის.

და კიდევ: ყურადღებას იქცევს მრავლობითი რიცხვის წარმოება **-ეს** სუფიქსით (თუმცა სხვა მაწარმოებლებიც გვხვდება): „**ერთი თანე მოვდოდა, იქი** (ორი) **თანე მოდიოდეს**”; „**ბალხიდამ მოდიოდეს: ორნი, ექუსნი, ფიდნი, ვრანი, ბევრი მოდიოდეს**”(ფაღავა... 2005:155) – დაუპირისპირა ერთმანეთს მხოლოდობითი და მრავლობითი რეჯებ ქესკინმა.

ჩვენს წინ ძველი სახლია, ტიპური ტაოური. სახლის შესახებ ვეკითხები იაშარს, რომელმაც ასე „გაანაწილა” სართულები: „**ქოხი** (აქ: სახლი) **სამი ყათი იყო: მირამ ზოსელი, იმის ზეიდან სახლი, ზეიდან სათივრე, მერეგი, იქ თივებ ვჯოხიდი. ზოსელში ქორი იყო, პურტყებითინ**”.

ჩვენს კითხვაზე: **პურტყს** რას ეტყვით?

– **ცხვარი, თხა, ხბო... პურტყია**, – მიპასუხა იაშარმა.

ქვაბაგში ხილი ცოტაა, მაგრამ არის მაინც:

ვაშლი: **წითელი, ყუთელი, თეთრი.**

ბალი: **ყუთელი, წითელი.**

მსხალი: **ხურდა სხალი, ცივათი, დიდვანი** (ასე გეგზდება, – ხელით მაჩვენებს იაშარი მსხლის ზომებს - ავტ.).

– ყანა-ბახჩაში რას თესავთ? ძველად რას თესავდნენ?

– ვთესევდით ქერი, ცერცვი, შავი ცერცვია, ქართოლი || მარქვალი (ორივეს ვეტყვი - დააზუსტა ინფორმატორმა – ავტ.), ლებოი ვთესევდით, ლახანა...

– ქერს თუ თესავდით, ალბათ კალოსაც ლეწავდით.

– **ჰო, კალობა ვიჯებოდით, ქერს ვლეწიდით. ცხენს ვამუშავებდით კალოზე. ძირამ** [გულისხმობს კევრის ძირს – ავტ.] **ქვები დატეხილი იყო დასობილი და ცხენი არუნიებდა: დავყდებოდით** [კევრზე – ავტ.], **გავლეწიდით კალოს.**

მოყვანილ მონათხრობში ყურადღებას მივაქცევთ ზმნის ხოლმეობითის ფორმებს: **ვლეწიდით, გავლეწიდით**, რაც საყურადღებო ფაქტია ტაოურში და სამხრულ მეტყველებაში ზოგადად.

ქვაბაგის გაღმა, ფერდობებზე, მახსოვს, სახლები იყო ერთმანეთთან მიჯრით ნაშენები. პირველი ექსპედიციის დროს აჰმედ უსტიოლდომ მითხრა, იქ, სერებზე საქონელს „**ამუებენ, სადამოს მწყემსი მორეკავს, ქალები ფურებ მოწველენ**“, დილით ისევ გარეკავსო მწყემსი ძროხას...

– გაღმა, სერზე რომ ქოხები იყო, რა იქნა? – ვეკითხები იაშარს.–

– **იქ აგრები იყო, დაანგრის, დახრაკესო.** – იაშარმა.

– იაშარ ბატონო, ამდენი ყორეები გიშენებიათ სოფელში, ქვებს საიდან ეზიდებოდნენ თქვენი დედეები, საიდან მოგაქვთ თქვენ?

– **ქობამ ქვა და ზუქია ზათი** (ქვაბაგის ხალხური ეტიმოლოგია: „**აქ ქვამა და ზუქი, იმდაგვარ ქვაბამ დუურქმევთან**“ – გაიმეორა მთხრობელმა – ავტ.), **ძარებით** (ძარხილი – ავტ.) **ათრევდენ ქვას თოვლშიგან, აქ გავტყედით**, [ყორეს||ყვერეს] **ვაშენებდით.**

– ტყე ბევრი გაქვთ, რა მცენარეები ხარობს აქ?

– **ამ ტყეში თეთრი ხეა, კატარი!**

– ნადირი ბევრია ტყეში?

– **ტყეში დათვი არი, დომუზი არი, ოტომანი თხა – *ნადირი თხა, გელი არი...**

– ნადირს ხოცავთ?

– **მოჰკლენ, შეჰჰამ, დათვ მოჰკვლენ, უჩუმრა მოჰკვლენ.**

***ნადირი თხა** აქ: გარეული თხა. „ნადირი“ „გარეულის“ მნიშვნელობით მნიშვნელოვანი სიახლეა ტაოურში.

– სახლის ძირი ქვისაა, ყორეა, ზემოთ ხე. სახლისათვის ფიცრებს ხელით ხერხავდით ალბათ.

– **ზათინდელი ხელი ხიზარი იყო, ხერხავდენ: ერთანე ზეიდან, ორი თანე ძირედან... დილაზე ავდგებოდით, სადამომდე ვჰწევდით. ესენი ხელით გათლილია: ერთ თანე გორგალი ხიდან ერთ თანე ტახთა გამოვდოდა ცულითა, თლიდეს და თლიდეს...**

მნელი ყოფილა ყველა დროში სახლის შენება, განსაკუთრებით ძველად. ხელით, ცულით, რამდენი ფიცარი უნდა გათალო, რომ სახლი ააშენო? თუნდაც ხიზარით რამდენი მორი უნდა გახერხო, რომ სახლის მშენებლობისათვის იკმაროს? ზოგადად, მძიმე შრომაა ხიზარზე მუშაობა...

– ღობე გაქვთ აგრ. მოდი, მითხარი ღობის ნაწილების სახელები, რას ეძახით თითოეულს?

– დაასობ – აზუღია.

აზუღ გაამგრებ, მანჩალმა (სხვაგან **ბიჯგს||ბაჯგს** ემახიან – ავტ.), **გაა-ჭედებ ჩეფერი!**

– გაჭედებულ ლარტყას ჩეფერს ეტყვით თუ ჭერს?

– **ჭერსაც ვეტყვით, ჩეფერსაც.**

„ჩეფერი“ „ჭერის“ თურქული შესატყვისია. აჭარაში „ჭერიც“¹ იციან და „ლარტყაც“, სოფლის სახელწოდებაცაა „ჭერი“ ზემოაჭარაში, სხალთისწყლის ხეობაში.

იაშარის საუბრიდან ჩანს, რომ ქვაბაგელები „ქვას“ „ყვერეს“ ემახიან. ლობის ქვა მთხრობელმა მოიხსენია როგორც „ქემელი ყვერე“.

„ყვერე“ „ყორეს“ ფონეტიკური გარდაქმნის შედეგია. იგივე ძირი, „ყორ“, ჩანს გეოგრაფიულ სახელში – „ყოროლისთავი“ (სოფელი ორთაბათუმის თემში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში) და მდინარის სახელწოდებაში – „ყოროლისწყალი“. „ყოროლისთავი“ „ყორის“, „ქვის“ თავს, „ყოროლისწყალი“ „ქვიან წყალს||ხეობას“ ნიშნავს. თქმულს შეიძლება კიდევ დავუმატოთ: ორთაბათუმელთა დაკვირვებით, ყოროლისწყლის ხეობიდან რამდენი ქვაც არ უნდა აიღონ, ერთი გაწვიმებაც საკმარისია, ხევი კვლავ რომ ქვით აივსოს. საიდან მოდის ამდენი ქვა? – უჩნდებათ სამართლიანი კითხვა ორთაბათუმელებს.

დაიღალა იაშარი. ორ საათზე მეტია, თავარა მზის ქვეშ ვსხედვართ და ვსაუბრობთ. მისი სტუმართმოყვარეობით ბოროტად ვისარგებლე. საყურადღებო მასალებიც ჩამაწერინა. მადლობა გადავუხადე იაშარს, შეგაწუხე-მეთქი, სინანულიც გამოვხატე, ამდენი ხანი მზის ქვეშ გაგხრაკე-მეთქი.

– **არ გაგხრაკულვარ, კიდევ მოდი, გეგხსენებ, გეტყვით**, – ალაღად მითხრა ქვაბაგელმა გურჯმა რესპონდენტმა.

ორღობეში გავიარე. წყაროსთან მამაკაცები საუბრობდნენ. მივესალმე. ქალაქელი ქვაბაგელები აღმოჩნდნენ, ზაფხულს ატარებენ მშობლიურ სოფელში, „ბურსას დგანან“ წელიწადის სხვა დროს. ორჰან ასლანი – ჰაჯი-აჰმედოღლი აქტიურობს. იგი კარგად ლაპარაკობს ქართულად. გეოგრაფიულ სახელებს მაწერინებს, თან ხელით მაჩვენებს:

ჰაჯიმეზერი – კაცი ჰაჯიდან მოსულა, აქ მომკტარა, ჩუუფლიან.

ნაზიანი – აქ დიდი კამანდარი დამდგარა, ზომო მაჰალეში. აქნედან ნაზნი კაცი დამჟდარა, **ნაზიანი** დუურქმიან.

აინიანი – პატინად ადგილია; **ზოომელე** – დიდი კამანდარის ძერი; **სახუნდარი** – შდრ. ხუნდი; **სიკლია ტყე** – ზათინდელი ბევრი ტყეა; ***წარებთი მათალი** (<*წარებთა მათალი?); **ბოზალთი** – (<*ბოძალთი?) ისიც წარი მათალი; ****დიდი მათალი** – ბოვრ წარებ ამუებდენ; **სახაზო**; *****ლეწმანი კევი**; **ბალხი [მ]თა**,

¹ **ჭერი** – დაუმუშავებელი, გაუთლელი წვრილიხე, იყენებენ სასიმინდის, საქათმისა და მისთ. იატაკის დასაგებად იხ. **მ. ნიყარამე**, დასახ. შრომა. ვიტყვით, რომ მოყვანილი განმარტება მთლად ზუსტად ვერ ასახავს „ჭერის“ მნიშვნელობას. „ჭერი“ არა მარტო სასიმინდისა და მისთ. იატაკის მასალაა, არამედ ლობის ბოძებს შორის გაჭედებული თუ გადებული, უმეტესად – გაპობილი, ხე.

თეთრი წყალი, ყუთელი წყალი, წისქვილები – ასე ზემოთ დაწკალებული იყო წისქვილები ერთმანეთის ზედან. ხუთ-ექს ხანეს ერთი წისქვილი ქონდა, იხმარებდეს: დიკა, ლაზუთი, ცერცვი... ვაფქვიდით.

კილდიათი, გაღმა კილდიათი.

***ჯარებითი** ორმაგი მრავლობითის ფორმაა: **-ებ და თ'** ნიშნით ნაწარმოები.

****ქვაბაგელებს** ხარი რომ უყვარდათ და ბევრსაც აშენებდნენ, იქედანაც ჩანს, რომ მხოლოდ ერთ სოფელს სამი ხარების საწოლი ჰქონია: ჯარებითი მათალი, ბოზალთი და დიდი მათალი. ამ უკანასკნელში „ბოვრ ჯარებ აძუებდენ“.

*****ლეწმანი კევი** – საინტერესო ფორმაა **ლეწმანი**: ჩანს, იგი მიღებულია **ლერწმანი** საგან (შდრ. მც. **ლერწამა** – სასტვირთა (*Valeriana tiliifolia*), იგივეა, რაც **ჭიბონა**. იხ. **ნიჟარაძე, 1971**).

ერთი ამბავიც მომითხრო ორჰანმა, რუსი რომ მოსულა აქ იმდროინდელი. ვიტყვი, რომ რუსებს არ წყალობენ ტაოელები, არც ორჰანის მოთხრობაა გამონაკლისი: „**ქომოთობაში რუსებსა მუხებითა ხელები უსვიან, კაცები მუუკლიან, გუგდიან, გუდუყურიან ქომოთკე, კევიში. აქ არ უქნიან. აქ გურჯი ყოფილან, რუსჯა იცოდეს, ჩაგებებიან, თოფი არ ყოფილა აქ. ქალები დამალულან ტყეში, დამე მოვდოდეს სახში, დღე ტყეში იმაღვოდეს...**“

რუსული მმართველობა ამ კუთხეში დიდხანს არ გაგრძელებულა, მიუხედავად ამისა, ერთი რუსული სიტყვა დარჩენილა ტაოურში რუსული მმართველობის სამახსოვროდ, ესაა „**კამანდარი**“: „**აქ დიდი კამანდარი დამდგარა**“ (შდრ. რუს. **командарм** შემ. **командующий армией** – არმიის სარდალი).

კარგა ხანია, ქვაბაგში ვართ, კარგადაც ვიმუშავეთ; დროა, სხვა სოფელში გადავიდეთ.

შუადღე გადასული იყო, ფიშნარხევში რომ ავედით. მაღალი მთის კალთებზე გაუშენებიათ სოფელი. სამანქანე გზა მიდის ფიშნარხევამდე, გაჭირვებით, მაგრამ მაინც მიაღწევ დასახლებამდე. მანქანა გავაჩერეთ, ბილიკით შევედით სოფელში.

მუზაფერ გულლერ, – გაგვაცნო მეველუდმა მასპინძელი, ნათესავი-აო ჩემი.

ფიშნარხევი, ტაოს სხვა სოფლების მსგავსად, ირწყვება. სარწყავი რუ არხით მოუყვანიათ ფიშნარხეველებსაც, „ძველი თურმე თამარასი მოყვანილია“.

საყურადღებო ცნობაა. ფიშნარხეველთა მეხსიერებას შეუნახავს ლეგენდა თამარ დედოფლის მიერ სოფელში წყლის მოყვანის შესახებ. ყურადღებას მივაქცევთ, რომ მეფეს სარწყავი არხები უშენებია ტაოს მრავალ სოფელში, კლარჯეთშიც, წყალი კიდეც მზით გახრაკული მთის კალთების მაცოცხლებელია. იმდენად მნიშვნელოვანია სარწყავი წყალი ტაოელთა ყოველდღიურობისათვის, რომ წყლის გამყვანის ხსოვნამ საუკუნეებს გაუძღო, ზოგჯერ ისე ცოცხლად მოგითხრობენ ლეგენდას, რომ თითქოს გუშინდელი ამბავია და არა ცხრა საუკუნის წინანდელი. და კიდეც, იბადე-

ბა კითხვა, რატომ მაინცდამაინც თამარ დედოფლის სახელი ცოცხლობს ჭოროხის ხეობის მკვიდრთა ლეგენდებსა თუ გადმოცემებში და არა საქართველოს სხვა რომელიმე მეფისა თუ დედოფლისა? ჩვენი კითხვა არაა შემთხვევითი და პასუხსაც მოითხოვს, ოღონდ არა აჩქარებულს...

– აქ, ამ სოფელში ძველიდანვე გურჯები ცხოვრობდნენ თუ ჯერ სხვები იყვნენ და თქვენი ძველები გვიან მოვიდნენ?

– **ეს სახლი... ამისი საიბი გურჯისტან წესულან, აღარ მოსულან, სამუშაოდ წასულა, დამჩალა¹ იქა.**

მთლად კარგად ვერ გაიგო ჩვენი კითხვა მუზაფერმა.

– აქ უჩუმარად თუ ილოცებდენ ქრისტიანები? – ეკითხება მალხაზი.

– **ერმენ ხევეკში ულოცვიან... იქ ერმენია ზათი. ამ ხევეკში** (გულისხმობს ხევაჲს, ელიასხევის სოფელს – ავტ.) **ულოცვიან, მუსლიმანებ ულოცვიან. აქ ხრისტიანები არ ცხოვრობდენ.**

– შენ ფიქრობ, რომ ესკიდან აქ მუსლიმანები ცხოვრობდნენ? თამარა დედოფალს რომ ახსენებ, მის დროსაც აქ მუსლიმანები ცხოვრობდნენ და იგი მუსლიმანებს უშენებდა არხებს?

ვერაფერი გვიპასუხა მუზაფერმა. მისი ცოდნა თამარის ეპოქის ტაოს ვერ წვდება, თავად მუსულმანია და გაუგონია, დედეებიც მუსულმანები იყვნენო...

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, დაიძაბა მასპინძელი. აზრი არა აქვს საუბრის ასე გაგრძელებას, ამიტომაც თემა შევცვალე:

– სად საქმობთ, ბატონო მუზაფერ?

– **აქ ზევრ რასმე ვისაქმებ. აქ გზევნარ ვაკეთებ, ხიდები არი, დიდვანი ხიდები, იმა ვაშენებ...**

– მაღლა, მთებში, ზიარეთი ყოფილა. გაგიგონიათ რამე ზიარეთზე? საყდარზე? ხომ არ ყოფილხართ იქ?

– **იმხან** (აქ: ძველად, წინათ) **ასე იყო: ავათ არი, თავი ტკივა, წევა იქა, ფაშვი ტკივა, წევა იქა... მე არ ვიყავ, არ ვჯერვარ².**

– მუზაფერ, ძველი ამბები გეცოდინება, სოფელში გაგონილი ან დედების ნათქვამი.

– **ძველი ხებრები? რა გინდა, რა ვიცი?**

– საიდან მოსულან დედეები?

– **ამ ქოხებ ხედავ, ამათა? ამათში იყვნეს!**

– თქვენ ფიქრობთ, რომ დედეები არ მოსულან, აქაურები იყვნენ.

– **არ მოსულან, აქ დეიბადენ, აქ გეიზდენ...**

– გასაგებია! რას ისაქმებდნენ ძველები?

– **ქერ დათესვიდეს, სელ დათესვიდეს... ისე იზამდეს.**

– ჯარს, ძროხას, პურტყვებს არ აშენებდნენ?

– **აშენებდენ!**

– ამდენი ყორე ვისი ნაშენებია? ქვები საიდანაა მოზიდული?

¹ დამჩალა – აქ: მომკვდარა.

² **ჯერვარ** – **ჯერვადები** (აქ: მჯერა). შდრ.: „მით არ ვჯერვარ ქმარსა ჩემსა...“ (ვტყ. 1214,1); „შენა რსჯერხარ, უსწავლელნი კაცნი ვით მცა შევაჯერენ“ (ვტყ. 791, 4); ხამს ყოვლისა დაჯერება. ბრძენის ჯერა მოწევნადსა (ვტყ. 1050, 4).

– **ზრუგით მუტანიან, ჩვენ არაბაით ვერ მოვტანთ იმა. დედებმა აშენეს ყვერები, ჩვენც ვაშენებთ...**

– როგორ ფიქრობთ, სად უფრო კარგი ქართულით ხვარათობენ, – ელიასხევში თუ ბორჩხაში? თუ არიგებთ ბორჩხელების გურჯულს?

– **ჩვენი გურჯი და შავშეთის გურჯი არ ეწყობა. ბორჩხაში ნახვარ ვხვდები მე, მაგ. შენი ხვარათობა¹ ზევრი ვერ გიმიგნია.**

– მე შენს ხვარათობას ვიგნეფ, ბორჩხელების, შავშეთის ლაპარაკსაც ვიგნეფ... ვცდილობ, მისთვის გასაგებად ვუთხრა მუზაფერს.

– ბაღნებმა გურჯული არ იციან, რატომ არ ასწავლით?

– **ჩვენ ქი წევნეთ, აქ გათავდება გურჯი. მე მექთებში მივდოდი, თურქა არ ვიცოდი, იმხან გვერიგე.**

– „ჩვენ ქი წევნეთ, აქ გათავდება გურჯი“ – გვეუბნება მუზაფერი. მის ნათქვამში სინანული ჩანს შექმნილი ვითარებისა გამო. მუზაფერის თაობა ბოლო ქართულის მცოდნე თაობაა ამ კუთხეში. ნიშანდობლივია, რომ სკოლაში მიმავალმა მუზაფერმა და ზევრმა მისმა თანატოლმა ტაოელმა, შავშმა თუ კლარჯმა, თურქული არ იცოდა, იჯახში ქართულად ლაპარაკობდნენ, სოფელშიც და ქართული იცოდა მხოლოდ. ახლა მოზარდი თურქულ გარემოში იზრდება, იჯახშიც დედ-მამა თურქულად ესაუბრება, ამიტომაც არ იცის ქართული, წინაპართა ენა.

კიდევ ერთ გარემოებას მივაქცევ მკითხველის ყურადღებას: „ჩვენ ქი წევნეთ, აქ გათავდება გურჯი“, – გვეუბნება ინფორმატორი.

ვინ იწოდება გურჯად მექართულე ტაოელის გაგებით?

ტაოში, მსგავსად ჭოროხის სხვა ქვეყნებისა, ქართველად, გურჯად მხოლოდ ის ითვლება, ვინც ქართული ენა იცის. წინაპართა ენის ცოდნაა ეროვნული კუთვნილების განმსაზღვრელი ნიშანი. რესპონდენტთა საუბრებიდან გვესმის სინტაგმა: **ესკი გურჯი** (აქ: ყოფილი ქართველი) და **გურჯი**. ვიდაც, დავუშვათ, რომელიმე პარხლელი **ესკი გურჯია**, დღეს – **თურქი**, ქართულის არმცოდნე. რომელიმე ელიასხეველი **გურჯია** იმიტომ, რომ მან იცის ქართული...

და კიდევ: „**გზა შამოვდა, მას მერე სუყველა თურქა პარიკობენ. ჩვენში არიან და თურქებ ეტყვიან კი**“ (ფაღავა...2005:150).

ან: „**პარხალი გურჯი არ არი, ბაღხი არი, ქობაი არი... ქართული ლაპარიკი ახლი დარჩა**“ (ფაღავა...2005:151). შდრ. „**ალთი პარმადში** (პარხალი – ავტ.) **გურჯი არ არიან, გურჯიჯა არ იციან, ესკი გურჯი არიან თუ არა, ისაც არ ვიცი მე**“ – გამოთქვამს ექვს მუზაფერ გულერი.

ქართულის მცოდნე თუ არ დარჩება სოფელსა თუ კუთხეში, „გათავდება გურჯი“. მუზაფერს უყვარს თავისი სოფელი, ამიტომაც რჩება „აქოვრში“, თანასოფლელებთან ერთად არ სტოვებს ფიშნარხევს, არ მიდის ქალაქში უკეთესი ცხოვრების საძიებლად.

კვლავ ვუბრუნდებით საყდრის თემას:

– შორია აქედან საყდრამდე? – ვეკითხებით მუზაფერს.

– **ნახვარ საათში გეხვალ არაბაით!**

¹ **ხვარათობა** – ლაპარაკი, მხოლოდ ტაოურში დასტურდება.

– ეს არაბა გავა?

– **ამ მანქანით ვერ გეხუალთ!** – ჩაერთო საუბარში მეველუდი.

– **უკან დასხნენ, გევა, ესას გევა. არაბა მივა იქა. გპელი თუა, არ გავა.**

– შენ არ გაგვევები საყდართან?

– **მე ვერა. ზადანა არი პუტურუ, წვრილი, ვუმზირო’და...**

ხშირ-ხშირად იხედება მუზაფერი ქოხში, შვილიშვილს დახედავს, მის ძილს დარაჯობს. უკან მობრუნებული გვებოდიშება: „**პუტურამ არი, ვერ გიმიგდია, ჩემი თორია**”.

– აქედან ქობად ჩანს?

– **ქობამ აქიდან ვერ დეინახავ!**

– მუზაფერ, მოდი, ადგილის სახელები ჩამაწერინე, – ვთხოვ მასპინძელს.

– აქიდან ჩახყვები ასე, **ხამფიანკარი**, აბლი ქომოთკენ – **ვაჩეკარი**, მერე – **გოდლეკარი**. ჩვენ მოლახოლის შვილები ვართ. აქოს ისენი აღარ არიან, გენჯები წოვდეს აქედან.

– სხვა სახელები არ გახსოვთ?

ხოწითები – უბანია სოფლის, **ვაჩეთები**, იგივე ვაჩეკარი, **კოჩიან ყანა**, **კოდედიან ყანა**, **ფუქშებ ყანა**, **მოლახლიან ჭალა**, **სალიან ჭალა**, **ეიბიან ჭალა**, **ხიტიან ჭალა**, **ზოცებ ჭალა**, **მალღენ ჭალა**, **ყანთრენ ჭალა**, **ყულახ სვანი**, **მომონნი**.

მუზაფერმა საინტერესო გეოგრაფიული სახელები ჩაგვაწერინა, სადაც:

ყანა – მიწის მნიშვნელობით იხმარა.

ყანა და **ჭალა** (აქ: სათიბი) სინონიმებად გამოიყენა, ორივე ერთად **მიწის** მნიშვნელობით.

ყურადღება მიიქცია კიდევ შემდეგმა:

ხოწითები იგივეა, რაც **ხოწითიანი**, შდრ.: **ხოწითიენთი**.

ვაჩეთები – **ვაჩეთიანი**, შდრ. **ვაჩეთიენთი**.

ხოწისა და **ვაჩეს** ჩამომავლების||სახლეულის საცხოვრისი, სხვა შემთხვევაში – ხოწისა და ვაჩეს ჩამომავლების მეტსახელი გვარები, ქოხის სახელები.

საყურადღებოა სინტაგმა ტოპონიმები, რომელთა შემადგენლობაშია **კარ’** ფუძე: **ვაჩეკარი**, **აზღენკარი**...

უაღრესად მნიშვნელოვანია გეოგრაფიულ სახელთა წარმოების პრინციპი ტაოში, იგი დაკავშირებულია სოფლის დასახლების სტრუქტურასთან.

დავტოვებთ მუზაფერი „პუტურუ თორთან” და მალა ავედით, იქ, სადაც ჩვენი მანქანა და ექსპედიციის რამდენიმე წევრი გველოდება. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მოგვიახლოვდა, კაცი ჩვენთან გაჩერდა, გამოგველაპარაკა, ქალმა გზა გააგრძელა, ძროხა გადენა ქოხისაკენ.

– ალთინ გული, – გაგვეცნო შავგრემანი, დაკუნთული ახალგაზრდა. ჩვენც ჩვენი ვინაობა ვუთხარით. აღმოჩნდა, ბათუმში უმუშავია ალთინს, ქართულად სხვა ტაოელებზე უკეთ საუბრობს, ოღონდ მის ტაოურს აშკარად ეტყობა ბათუმური მეტყველების კვალი.

ოჯახში მიგვიწვია ალთინმა, „ჩაი ვსვათო“, შემოგვთავაზა. ჩაიზე და, შეწუხებაზე ზოგადად, უარი ვუთხარით, აქვე ვისაუბროთო, ვთხოვეთ.

შევთანხმდით, გზისპირას, ქვებზე ჩამომსხდარნი ვისაუბრებდით.

– ამ მცენარეს (ანწლზე ვეკითხები – ავტ.) რას ემახით?

– **ყრალი მოლი**, არ ჭამენ, ამუა, გახმება, დედკარგვის.

მოლი, აქ: ბალახი. **ყრალი მოლი**, სინტაგმა კარგად ასახავს ამ მცენარის თვისებას.

– ალთინ, სოფელში ხილი გაქვთ, მოდი, მათი სახელები გვასწავლე.

– **მეივა ზევრია**:

სხალი: **ჭანურაა¹, პანტა, ვანგისაა²**.

ვაშლი: **ბოკელაა, დიდი და წითელი, წვნიანი; მწვანე ვაშლაა, სიცივეს რომ შეჭამს, ფქვილს გავს, ბებრები კოვზით შეჭამენ**.

ბალი გვაქ – **ყუთელი, შავი...**

– ალთინ, ძროხები გყავთ, რძისგან რას აკეთებთ?

– **მაშინას დავაბრუნებთ, ბადიაში ნაწველს ჩავასხამთ, ორი ღარი აქ: ერთიდან გამუა კამაღი, მეორედან – დელამოტი. დელამოტს გავაცხელებთ, ერთი საპათი გახდება, მერე ის ყველი ამოვა თავიდან, მისი წყალი ამოვა, ჯეჯიმში ჩავასხამთ, მუუჭირებთ, მერე შრავი რომგამოვა, დარჩება ყველი. ყველ ბელელში დავდებთ, გაშრება და ერთ თვეს იქეთ მოხმება, გამბადდება შიანაა, გაშავდება, მერე შიჭამენ. ძაღე ყველი, ან შავი ყველი ქვია. პუტრაა ყველი ათ ჭიქა ჩაის დაგალევიფს.**

დავინტერესდი ალთინის მონათხრობით. ვინც იცის ყველისადმი ჩემი დამოკიდებულება, არ გაიკვირვებს ჩემს ცნობისმოყვარეობას.

– ალთინ, ხომ ვერ გვაჩვენებ ძაღე ყველს? ეგებ გაქვთ სახლში...

– **მაქ, დადექით, მოგიტან!**

ძაღე დაბრუნდა ალთინი ყველით, მოზრდილი ნატეხი (ქვასავით მაგარი იყო და ნაჭერს ვერ ვუწოდებ – ავტ.) მოგვართვა. გავსინჯეთ, ვისაც სურვილი გვქონდა. ყველი მაგარია, გამომშრალ-გამხმარი, მაგრამ – გემრიელი.

კარგი ყველია-მეთქი, ვუთხარი ალთინს, მადლობა გადავუხადე. დარდი არ მომასვენებდა, რომ არ გამესინჯა აქაური ყველი-მეთქი, ვეუბნები მასპინძელს.

ჩემთვის გაუგებარი დარჩა, რატომ ქვია ამ ყველს „ძაღე ყველი“. სრულიადაც არ ჰქონდა ძაღე გემო მორთმეულ „შავ ყველს“. „ძაღე“ ხომ

¹ ყურადღება მიიქცია მსხლის ჯიშმა **ჭანურაა**. ნაკლებად ველოდებოდი ტაოშიც თუ შემხვდებოდა იგი. ჩემს ბავშვობაში ჩვენს ეზოშიც ხარობდა ჭანურაა, სახლის წინ იდგა ბებერი, უკვე დახვეწილი, ჩხავერი აეშვით მასზე. ერთ დიდ თოვლიან ზამთარში წაიქცა. ჭანურაა ხარობდა აგარაშიც (ორთა ბათუმის აგარაში), ბაბუაჩემის ბაღში. რამდენადაც ვიცი, ჩემს დედუღეთში მოჭრეს გადაბერებული ხე, ახალი არავის დაუმყენია და არ გაუმრავლებია. მსხალი აღარაა, სახელი დარჩა, შეინახა მესხიერებამ. უყურადღებობით ჩვენს თვალწინ გაქრა სხვა ადგილობრივი მსხლის ჯიშები: ჯენჯირმა, კადუმბუთი, კალმოსაფი... გადაშენების პირასაა სხვა მრავალი...

² **ვანგისაა** ძალიან მაგარია, სიცივეს რომ შეჭამს (გვიან შემოდგომაზე – ავტ.) შიანაა გაშავდება, დაცვივა. ღორი ჭამს. ღორი მეტია აქ, ხუთმეტე ერთათ დადიან.

„...მომწკლართო, მომწარო გემოსია? მძაღე ერბო, მძაღე ნიგოზი, მძაღე ყველი” (ქეგლ)...

დავიღალეთ. უკვე საღამოა. ხოჯამ იქინდის ნამაზზე მოუხმო მლოცველებს. წინ საკმაო გზა გვაქვს სასტუმრომდე.

ლიტერატურა

ვტყ – ვეფხისტყაოსანი, სასკოლო გამოცემა, თბ. 1986.

თურქულ-ქართული ლექსიკონი, ლ. ჩლაიძის რედაქციით, სტამბოლი, 2001.

რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ. 1993.

ფაღავა... 2005 – მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, ელგუჯა მაკარაძე, რევაზ დიასამიძე, ლილე თანდილავა, ტაოური მეტყველების ნიმუშები. ბსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებულის V, ბათუმი.

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 8 ტომად, ტ.I-VIII, თბ. 1950-1964.

შ. ნიყარაძე, 1971 – ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი.

Mamia Paghava

One Day of the Expedition to Tao

Summary

From July 25 to August 8, 2017, the Permanent Expedition of the Kartvelology Center of the Faculty of Humanities of Batumi Shota Rustaveli State University worked in the Chorokhi Gorge, in the historic Tao and collected dialectological, folk, ethnological and archeological materials based on the monograph “Tao”.

The article tells about one day of the expedition work.

ს ა რ ჩ ე ვ ი

იოსებ ყიფშიძის ხსოვნას

გ. გოგოლაშვილი – „თავგანწირული მოღვაწე უნივერსტეტისათვის“ (იოსებ ყიფშიძის გარდაცვალებიდან 100 წლისთავის გამო).....	3
G. Gogolashvili – „Dedicated Protector of the University“ (The 100 th Anniversary of Joseph Kipshidze’s Death)	10
ნ. ჭუმბურიძე, ნ. ლოლაძე – იოსებ ყიფშიძე ქართული ენის შესახებ.....	11
N. Chumburidze, N. Loladze – Joseph Kipshidze on the Georgian Language	22
მ. ბუკია – იოსებ ყიფშიძის ღვაწლი მეგრულ-ლაზურის კვლევის საქმეში	23
M. Bukia – Joseph Kipshidze’s Contribution to Studying Megrelian-Laz	32
ი. ყიფშიძე – მეგრელთა რელიგიური რწმენა-წარმოდგენები	33
J. Kipshidze – Religious Beliefs of the Megrelians.....	44
სამეცნიერო გამოკვლევები	
მ. ბუკია – ერთი კავკასიური ტრადიციის გავრცელების არეალისთვის	45
M. Bukia – On the Spread of a Caucasian Tradition.....	52
გ. გოგოლაშვილი, ხ. ყანდაშვილი – კახეთის 1812 წლის აჯანყების დოკუმენტების მნიშვნელობა კახური დიალექტის ისტორიისთვის	53

- G. Gogolashvili, Kh. Kandashvili** – The Importance of the Documents of Kakheti Uprising of 1812 for the History of the Kakhetian Dialect..... 69
- მ. მიქელაძე** – წოვათუშური ზმნის გვარის ტიპოლოგია ქართულთან მიმართებით 71
- M. Mikeladze** – Typology of the Voice of the Tsova-Tush Verb in Relation to Georgian 81
- მ. საღლიანი** – ნასესხები ლექსიკის სემანტიკური ადაპტაციისათვის სვანურში..... 82
- M. Saghliani** – On the Semantic Adaptation of Borrowed Vocabulary in Svan 101
- მ. საღლიანი, ნ. შავრეშიანი** – ნასესხები ლექსიკის ფონეტიკურ-ფონოლოგიური ადაპტაციისათვის სვანურში..... 102
- M. Saghliani, N. Shavreshiani** – On the Phonetic-Phonological Adaptation of Borrowed Vocabulary in Svan..... 128
- ჭ. კირია** – სუბიექტური პირის კლება (ელიფსი) და მოდალური ტრანსფორმაცია აორისტში 129
- Ch. Kiria** – Ellipsis of the Subject and Modal Transformation in Aorist 138
- ო. ჩანტლაძე** – ჩოლურული მასალა ნიკო მარის სვანურ-რუსულ ლექსიკონში 139
- I. Chantladze** – Cholur Material in Svan-Russian Dictionary by Niko Marr 149
- მ. ჩუხუა** – ზოგი თანდებულიანი ბრუნვისა და ფორმის შედგენილობისათვის ლაზურ-მეგრულში..... 150
- M. Chukhua** – On the Composition of Case Forms with a Postposition in Laz-Megrelian 154
- რ. ჭიკაძე** – სტატიკურ ზმნათა მორფო-სინტაქსური და სემანტიკური პარადიგმები შერწყმულ წინადადებაში 155

- R. Chikadze** – Morpho-Syntactic and Semantic Paradigms of Stative Verbs in a Sentence with Homogenous Parts 159
- ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი** – რატომ არ ჩანს ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ქართული ხორბლის უძველესი სახეობი აღმნიშვნელი სახელი *მახა*? 160
- N. Khocholava-Machavariani** – Why is the Name Makha that Refers to the Oldest Species of Georgian Wheat Not Attested in the Old Georgian Written Monuments? 164
- ც. ჯანჯღავა** – სემანტიკური ცვლილებისათვის მეგრულ ნასესხებ ლექსიკაში 166
- Ts. Janjghava** – On the Semantic Change in the Megrelian Borrowed Vocabulary 170
- მ. ჯღარკავა** – ხედვის სემანტიკის ზმნათა ერთი ჯგუფის შესახებ მეგრულ-ლაზურში 171
- M. Jgharkava** – On a Group of Verbs Related to Vision in Megrelian-Laz 179
- ბ. ჯორბენაძე** – მესხური კილო ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით 181
- B. Jorbenadze** – Meskhetian Dialect in Terms of History and Modernity 194
- ბიბლიოგრაფიული განყოფილება
- ა. არაბული, მ. ტუსკია, ლ. ბინიაშვილი** – ქეგლის ახალი რედაქციის ოთხი ტომი მოცულობით რვატომეულის ნახევარზე მეტია, მაგრამ განზრახულისა – მხოლოდ მესამედია (თვითრეცენზიის ფორმით) 195
- A. Arabuli, M. Tuskia, L. Biniashvili** – The Four Volumes of the New Edition of the GEDAre More Than Half the Size of the Eight-Volume Dictionary but They Are Only One Third of the Intended (Self-Review) 231
- მ. ფაღავა** – ექსპედიციის ერთი დღე ტაოში 232
- M. Paghava** – One Day of the Expedition to Tao 249

ტექნიკური რედაქტორი ლევან ვაშაკიძე

მთარგმნელი რიტა ჯაიანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა რუსუდან გრიგოლიასი